საქართველოს სამხედრო ისტორია

ნაწილი II

2013

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო სკოლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის ერთობლივ ნაშრომს.

წიგნში განხილულია ჩვენი ქვეყნის წარსულში მომხდარი ბრძოლების გამომწვევი მიზეზები, დინამიკა და შედეგები. მოცემულია მდიდარი ფაქტობრივი მასალაც, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს, თვითონ გააკეთოს ამა თუ იმ საბრძოლო მოქმედების ანალიზი. აღნიშნული საკითხები გაშუქებულია საქართველოს შიგნით და მის საზღვრებს გარეთ მიმდინარე საერთო პოლიტიკური პროცესების ჭრილში.

სახელმძღვანელოზე მუშაობა დაიწყო 2009 წელს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეცნიერო-კელევითი ცენტრის სამხედრო ისტორიის განყოფილებამ (განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი დ. მაღლაკელიძე, უფროსი მეცნ. თანამშრომელი ე. კუპატაძე), მაგრამ წიგნის გამოცემა სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოხერხდა.

ნაშრომი განკუთვნილია ეროვნული თავდაცვის აკადემიის მსმენელებისათვის და საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისათვის, როგორც ძირითადი სახელმძღვანელო სახელმწიფოებრივი მომზადების ფარგლებში.

ავტორები ინტერესით მიიღებენ მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს.

ავტორთა ჯგუფი:
მ. ბახტაძე – ისტორიის მეცნ. დოქტორი (§10);
ო. ჯანელიძე – ისტორიის მეცნ. დოქტორი (§12);
დ. ჭუმბურიძე – ისტორიის მეცნ. დოქტორი (§11);
ე. კუპატაძე – ისტორიის მეცნ. დოქტორი + (§13);
გ. დანელია – სამხედრო დოქტორი, პოლკოვნიკი (§4);
ა. ჩაჩხიანი – ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი (§7, 8, 9);
დ. მაღლაკელიძე – ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი (§4);
ზ. მჭედლიშვილი – ისტორიის დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი (§14, 15, 16);
ლ. სარალიძე – ისტორიის დოქტორი (§5);
მ. ტყავაშვილი – ისტორიის დოქტორი (§3);
ხ. ქოქრაშვილი – ისტორიის დოქტორი (§6);
ც. ჩხარტიშვილი – ისტორიის დოქტორი (§1, 2);

მთავარი რედაქტორი:
გ. ცხოვრებაძე – ისტორიის დოქტორი

სარედაქციო ჯგუფი:
ზ. პაპავაძე – სამხედრო დოქტორი, პოლკოვნიკი
ნ. ხორბალაძე – პოლიტიკის დოქტორი, ვიცე-პოლკოვნიკი
ლ. თავაძე – ისტორიის დოქტორი

რუკების რედაქტორი:
თ. გორგოძე

სქემების ავტორები:
ა. ჩაჩხიანი – ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი
დ. მაღლაკელიძე – ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი
გ. დანელია – სამხედრო დოქტორი, პოლკოვნიკი

გამოცემის რედაქტორი: ქ. ოსეფაშვილი
სტილისტი: ა. ბექაური, მ. აბრამიშვილი
დამკაბადონებელი: ნ. კასრაძე

ISBN 978-9941-0-6109-7 (ორივე ტომის)
ISBN 978-9941-0-6111-0 (მეორე ტომის)

I თავი

საქართველო და მეფის რუსეთი

§1. ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება

პოლიტიკური ვითარება და დაპირისპირებულ მხარეთა მიზნები: 1802 წელს თბილისში გამოაქვეყნეს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების მანიფესტი. მაგრამ ქართულ საზოგადოებას არ დაუკარგავს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის იმედი. იულონი, ვახტანგი და მირიანი (ერეკლე II-ის შვილები) ცდილობდნენ, რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაებათ იმერეთის მეფე სოლომონ II და მეზობელი სახანოები. ეს ცნობილი გახდა რუსეთის მთავრობისათვის, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოში დამატებითი პოლკები გამოგზავნა.

1802 წლის 8 სექტემბერს კავკასიაში რუსეთის ჯარების მთავარსარდლად და საქართველოს მთავარმართებლად გარუსებული ქართველი თავადი, გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი) დაინიშნა. მას სამხრეთ კავკასიაში რუსეთის რეჟიმის დამყარება და იმპერიის სამფლობელოების გაფართოება დაევალა.

1804 წელს დაიწყო რუსეთ-ირანის ომი სამხრეთ კავკასიაში ბატონობისთვის.

1804 წლის ივნისში რუსეთის ჯარის მთავარსარდალმა ანანურის მაზრის თავადაზნაურობის წინამძღოლს თორნიკე ერისთავს ლაშქრის შეკრება და ერევანში გაგზავნა უბრძანა. არაგველები ლაშქარში ერთსულოვნად გამოვიდნენ, მაგრამ ციციანოვის მისაშველებლად კი არ გაემართნენ, არამედ ანტირუსული აჯანყების დროშა ააფრიალეს. ქართველმა პატრიოტებმა ისარგებლეს ვითარებით და რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა გადაწყვიტეს. ბაგრატიონები — იულონი და ფარნაოზი მოწოდებებს გზავნიდნენ, ცდილობდნენ, რუსეთის წინააღმდეგ აემხედრებინათ მაპილადიანი ხანები, მთიელი ტომები, ქართველი თავადაზნაურობა და ხალხი. მათი მიზანი აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის რეჟიმისაგან გათავისუფლება და ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა იყო.

აჯანყების მიზეზები: რუსეთ-ირანის დაპირისპირებაში საქართველოს სამხედრო გზას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ერთადერთი გზა იყო, რომელიც რუსეთს ახლად დაპყრობილ ქვეყანასთან აკავშირებდა და ირანთან საომარი კომპანიის წარმართვაში ხელს უწყობდა. ამ გზით მოდიოდა ფოსტა, გადაჰქონდათ საქონელი, მოდიოდა ჯარი და სამხედრო იარაღი. გზას შეკეთება სჭირდებოდა, ხიდებს — აშენება, ზვავებისაგან გაწმენდა. საგზაო ბეგარა, სურსათისა და საქონლის საკვების რეკვიზიცია, მეურნეობის განადგურება თუ მოხელეთა ყოველგვარი ბოროტმოქმედება ხალხს ძალიან აწუხებდა. ამან გლეხებს თავგანწირული ნაბიჯი გადაადგმევინა. ანსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოს სამხედრო გზის ახლოს მცხოვრებ მთიელთა მდგომარეობა. მათი შეურაცხყოფა-დამცირება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ხალხმა დაინახა, რას უქადდა მას ცარიზმის მმართველობა. მათ ვერ შეძლეს, უცებ შეთვისებოდნენ ისეთი პოლიციური სახელმწიფოს სიმკაცრეს, როგორიც რუსეთი იყო.

ცარიზმის მძიმე კოლონიური რეჟიმი, ადგილობრივი ადმინისტრაციის მიერ გლეხობის უსაზღვრო ექსპლუატაცია გახდა ძირითადი მიზეზი 1804 წლის მთიანეთის აჯანყებისა, რომელიც 5 თვეზე მეტხანს გაგრძელდა.

აჯანყებაში მთიანეთის მთელი მოსახლეობა ჩაერთო — მთიულები, მოხევეები, ხევსურები, ფშაველები, ოსები. აღსანიშნავია ერთი დამახასიათებელი მოვლენაც — გლეხთა მოძრაობის გამოყენება რუსეთის მოწინააღმდეგე ქართველი არისტოკრატიის მხრიდან. მათი ძალები საკმარისი არ იყო დამოუკიდებელი გამოსვლისათვის, ამიტომ ისინი გლეხთა აჯანყებას შეუერთდნენ. აჯანყებაში ათასობით მთიელი მონაწილეობდა. რაზმებს ხელმძღვანელობდნენ: ლევან ნაზღაიძე, დეკანოზი შიო ბურდული. მამასახლისები: ხევის — თათარა ჩქარეული, გუდამაყრის — პაპუნა ჩებოლაური, მთიულეთის ნინია და ეგანა ბედოიძეები და ნინია ბენიანიძე. აჯანყების სულისჩამდგმელნი იყვნენ ბატონიშვილები ფარნაოზი, იულონი და ალექსანდრე. აჯანყებულთა რიცხვი 3000 კაცს აღემატებოდა. მათ შეიარაღებაში ჰქონდათ ხელთოფები, დამბაჩები, ხმლები, ხანჯლები და იმ დროისათვის დამახასიათებელი აღჭურვილობა.

რუსთა მხარეზე ყაზბეგში მოქმედებდა: მაიორი მელლა ერთი ასეულით და ერთი მძიმე ზარბაზნით; ელიზბარ და შანშე ერისთავები 612 კაცით კობში; ასევე, საგუშაგოებზე მყოფი ჯარისკაცები (რაოდენობა დაკონკრეტებული არ არის). მოგვიანებით გასაძლიერებლად დაემატათ: დონის სამხედრო მამასახლისი 46 კაზაკით; 90 გრენადერი (მძიმე ხელყუმბარებით შეიარაღებული სპეციალურად შერჩეული დიდი ფიზიკური ძალის მქონე ქვეითი ჯარისკაცი, რომელიც შეტევით და თავდაცვით ბრძოლებში გამოიყენებოდა); 50 მუშკეტერი; 60 შეიარაღებული ქართველი და 2 საველე ქვემეხი; ასევე, თბილისიდან ციციანოვის მიერ შეშველებული რაზმები. ჩრდილოეთიდან გენერალი ნესვეტაევი დაიძრა 3000 ჯარისკაცითა და 30 ქვემეხით.

ციციანოვმა ქსნის ერისთავებს საპასუხისმგებლო უბნები ჩააბარა: შანშეს, გორის მაზრის აზნაურთა მარშალს – დიდი ლიახვის ხეობა; მის ძმას, თორნიკეს, ანანურის მარშალს – არაგვის ხეობა; მიხეილს – ქსანი; ელიზბარს – პატარა ლიახვი. რუსული მხარე თითქმის ორჯერ აღემატებოდა ქართულს ცოცხალი ძალით და რვაჯერ – აღჭურვილობით.

1804 წლის აჯანყებას „მთიულეთის აჯანყებას“ უწოდებენ. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სწორი. საქმე ისაა, რომ „მთიულეთი“, როგორც ტერიტორიულ-გეოგრაფიული ცნება, ეწოდება იმ ადგილს არაგვის ხეობაში, რომელიც ფასანაურსა და მლეთას შორის მდებარეობს. ამიტომ, უმართებულო იქნებოდა, 1804 წლის „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყებისათვის“ „მთიულეთის აჯანყება“ გვეწოდებინა, რადგან მთიულეთი ერთ-ერთი ხეობაა აჯანყების მონაწილე რაიონთა შორის.

ცნობილია, რომ აჯანყებაში მონაწილეობდნენ სხვა ხეობებიც: ხანდო, ფართალი, გუდამაყარი, ხადა, ცხაოტი, ქსანი, ხევი, თრუსო, ქარჩოხი, ჟამური და სხვა. ე.ი. ქართლის თითქმის მთელი მთიანეთი. ყოველივე ზემოჩამოთვლილის გამო, მართებულად მიგვაჩნია 1804 წლის აჯანყებას „ქართლის მთიანეთის აჯანყება“ ვუწოდოთ.

დასახელებული ხეობები საქართველოს სამხედრო გზას სხვადასხვა გზა-ბილიკებით უერთდებოდნენ. მაგალითად: ფართალი, ხანდო, მთიულეთი და სხვა. საქართველოს სამხედრო გზა ქართლის მთიანეთში მრავლად განშტოდებოდა. ხევში ამ გზის ერთი განშტოება სოფელ კობიდან თრუსოს ხეობაზე მიემართებოდა და დიდი ლიახვის ხეობაში გადადიოდა. ერთი გზა, ხევიდან გუდამაყარზე გავლით, ბურსაჭირის გადმოსასვლელ სოფელ ფასანაურში უერთდებოდა მთავარ გზას. ლომისის მთას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მთაზე გადადიოდა გზა-ბილიკები, რომლებიც აერთებდნენ არა მარტო არაგვისა და ქსნის მთიანეთს, არამედ მთელი ქართლის მთიანეთსაც. ის ქარჩოხის ხეობაში სხვადასხვა მიმართულებით განშტოდებოდა. ერთი განშტოება სამხრეთით მიემართებოდა და ქსნის ხეობაში ჩადიოდა; მეორე განშტოება პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა ჩრდილოეთით და ჟამურის ხეობაზე გავლით მაღრან-დეალეთს, პატარა და დიდი ლიახვის ხეობებს უკავშირდებოდა; მესამე განშტოება ქარჩოხის ციხიდან დასავლეთით მიემართებოდა, ის სოფელ პავლიაანთკარზე, ძაბოეთზე, ხიზოეთზე გავლით ქურთის ხეობას კვეთდა, რეხულისა და ისროლის ხეობას გაიკვლიდა და ქართლში ჩადიოდა. ასეთი იყო გეოგრაფიული გარემო, რომელსაც უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა იმისთვის, ვისაც ეხებოდა დასახელებული გზების კონტროლი. ამ შემთხვევაში ორივე მხარე ცდილობდა ლომისის მთის დაკავებას.

ბრძოლები ძირითადად მთაგორიან რელიეფზე მიმდინარეობდა. იგი ართულებდა რუსთა არტილერიის გადაადგილებასა და ეფექტურ გამოყენებას, მნიშვნელოვნად ზღუდავდა ორივე მხარის ძალთა მანევრირებას, ართულებდა ურთიერთქმედებას, მაგრამ შესაძლებელს ხდიდა მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებას და ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ფარული გადაადგილებისათვის.

აჯანყების მსვლელობაში აჯანყებულთა სამი ძირითადი საბრძოლო დაჯგუფება შეიქმნა: ხევი (სტეფანწმინდა), ლომისი და ციხისძირი.

ხევის დაჯგუფება: აჯანყებულთა ხევის დაჯგუფებას დავალებული ჰქონდა, ხელთ ეგდო ხევში არსებული სამხედრო საგუშაგოები, შეეკრა დარიალის კარი და ამით საქართველოში მყოფი ჯარებისათვის დამხმარე ძალის მიღების საშუალება მოესპო. აჯანყებულებმა კაცი გაგზავნეს ბატონიშვილებთან იმერეთში, აგრეთვე ოსებთან, ხოლო თუშები, ხევსურები, ფშაველები წავიდნენ ანანურისკენ და ამოხოცეს კაიმაურში მყოფი ყველა კაზაკი. როგორც აქტებიდან ირკვევა, 1804 წლის 4 ივნისს პოდპოლკოვნიკმა ერისთავმა წერილი გაუგზავნა ციციანოვს, სადაც სწერდა, რომ: მთიულეთის ხალხი შეგროვდა და კობში ათასამდე კაცი მოვიდა, მათ ასამდე ოსი შეუერთდა

თრუსოდან, მათთან შეერთება უნდოდათ ხევის ხალხს. აჯანყებულებს მაიორ გაბრიელ ყაზბეგის (პროვინციის უფროსი) საგამგებლოში მყოფნი არ შეუერთდნენ, მაგრამ კობიდან წამოიღეს სახაზინო სურსათი, რკინა და ტყვია.

არაგველებთან და თრუსოელებთან ერთად აჯანყდნენ თაგაურებიც, მაგრამ, ერისთავის გაგებით, ჯერ საჭირო იყო არაგვისა და თრუსოს დამშვიდება, შემდეგ თაგაურებისა. თაგაურებს იერიში მიჰქონდათ ლარსის საგუშაგოებზე. საგუშაგოს ისე გაუჭირდა, რომ გუშაგები ბალახით იკვებებოდნენ. ამას მოჰყვა ავადმყოფობა. ავადმყოფთა რიცხვი იზრდებოდა. სწორედ ასეთ ვითარებაში დაესხნენ მათ თავს თაგაურები.

კობის სანახებში დაბანაკებული აჯანყებულები ხევსურებსა და ფშაველებს ელოდებოდნენ. ერისთავები ცდილობდნენ, გაეფანტათ აჯანყებულები და საპასუხო ზომები მიიღეს. პირველი შეტაკება აჯანყებულებსა და ერისთავებს შორის 1804 წლის 10 ივნისს კაიშაურის მახლობლად, ჯვარიეკეში მოხდა. აჯანყებულებს ერისთავებმა მოციქულები მიუგზავნეს და წინადადება მისცეს, უკან დაეხიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სიმაგრეების ძალით აღებით იმუქრებოდნენ. აჯანყებულებმა მათ უარით უპასუხეს.

ერისთავები ხევში თითქმის ალყაში იმყოფებოდნენ, მათ ძლიერ გაუჭირდათ. თან მხოლოდ ორი კვირის სამყოფი სურსათი ჰქონდათ. ერისთავს განზრახული ჰქონდა თაგაურებში წასვლა თრუსოზე გავლით, ჯარი კი ცოტა ჰყავდა. ასეთ პირობებში უკან დასახევი გზა მხოლოდ ღუდის ძნელად სავალი მთა-ხევები იყო. ლომისის მთაზე გადავლით მათ შეეძლოთ ქსნის ხეობაში ჩასვლა. ღუდის გზა-ბილიკები იწყებოდა ჯვრის გადასასვლელის მახლობლად, მთიულებმა სწორედ ეს ვიწროები აირჩიეს თავდაცვისათვის. ისინი თავგანწირვით იცავდნენ თავდაცვით სიმაგრეებს. შეიარაღების მხრივ უპირატესობა რუსების მხარეზე იყო, მათ ზარბაზნებიც კი ჰქონდათ. აჯანყებულები კი ხელთოფებით იყვნენ შეიარაღებულნი, ბევრ მათგანს იარაღიც არ გააჩნდა. მთიელებმა პირველი იერიში მაინც მოიგერიეს და მხნედ იცავდნენ თავს, მეორე იერიშის დროს კი, როცა ზარბაზნებიდან გაუხსნეს ცეცხლი და ციხესიმაგრე დაუნგრიეს, მთიულები იძულებულნი გახდნენ, მიეტოვებინათ დაკავებული ადგილები და მთაში გახიზნულიყვნენ. მაგრამ ისინი არ დამშვიდდნენ და ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ.

ხევში დაბანაკებულ სამხედრო ნაწილებსა და ყაზბეგს აჯანყებულები ავიწროებდნენ. ჯანყებულთა რიცხვმა 13 ივლისისათვის 500 კაცს მიაღწია. ისინი სტეფანწმინდიდან 3 ვერსის (3200 მეტრი) დაშორებით, მდინარე სნოს ვიწოებში დაბანაკდნენ. მათი მიზანი იყო, თავს დასხმოდნენ სტეფანწმინდის სამხედრო ბანაკს, რომელსაც დავალებული ჰქონდა სამხედრო გზების შეკეთება და ამ გზის დაცვა. ერთი დღის შემდეგ, 14 ივლისს, მდ. სნოს მარცხენა ნაპირზე თავი მოიყარა 70-მა ხევსურმა. აჯანყებულებს შეუერთდნენ ხევის, ღუდუშაურის, ასევე, გუდამაყრისა და თრუსოს ხეობათა მცხოვრებნი. იარაღასხმულთა რიცხვი, პოლკოვნიკ დრენიაკინის აღწერით, 1300 კაცამდე ავიდა. ხევიდან აჯანყებულთა მხარეზე არ გადავიდნენ მხოლოდ შემდეგი სოფლები: სტეფანწმინდა, გერგეთი, კობი, ყანობი, ქურტიზი, აჩხოთი და არში. მხოლოდ ეს სოფლები შეადგენდნენ გაბრიელ ყაზბეგის (პროვინციის გამგებელი) დასაყრდენს. აჯანყებულების თავკაცებმა მოილაპარაკეს და მოციქულთა პირით ყაზბეგს შეუთვალეს: „ჩვენს მხარეზე გადმოდი, უფროსობა იკისრე და რუსები ხაზინითურთ ჩაგვაბარე, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივეს ძალით აღვასრულებთო“.

ყაზბეგმა, რუსეთისადმი ერთგულების ფიცის გამო უარი განაცხადა. დილით, 15 ივლისს მთიულები ორ ნაწილად გაიყვნენ. ერთ ნაწილს დაევალა, დაეკავებინა სოფელი გერგეთი, ხელთ ეგდო ხიდი მდინარე თერგზე და გამაგრებულიყო მდინარის მარცხენა ნაპირზე. მეორე ნაწილი უნდა გადასულიყო სოფელ აჩხოთთან ხიდზე, რათა ალყა შემოერტყა ციხისათვის. ამ სიმაგრეში რუსთა რიცხვი მცირე იყო. ისინი ალყაში აღმოჩნდნენ. 22 საათზე ორივე მხრიდან დაიწყო სროლა. აჯანყებულთა ერთმა ჯგუფმა იერიში მიიტანა სტეფანწმინდაზე და აიძულა ამ სოფლის მცხოვრებნი, აჯანყებულთა მხარეზე გადასულიყვნენ. ყაზბეგმა ზავზე მოლაპარაკება ითხოვა. აჯანყებულებმა პირველი მოთხოვნა გაუმეორეს და დრო დილამდე მისცეს.

16 ივლისს, გამთენიისას, აჯანყებულთა მოსაშველებლად მოვიდა დუდარეკო 300 ოს-ქისტით. აჯანყებულთა საერთო რიცხვი ამ დროისათვის 3000 კაცს აღწევდა. ყაზბეგმა ამჯერადაც უარი უთხრა აჯანყებულებს. 17 ივლისს, ნაშუადღევს აჯანყებულთა წარმომადგენლები შევიდნენ და დაიკავეს ციხესიმაგრე. 18 ივლისს მოითხოვეს, რომ რუსები წასულიყვნენ დაკავებული ადგილებიდან. აქ

უკვე უთანხმოებამ იჩინა თავი. თაგაურები მოითხოვდნენ, ხევში მყოფი რუსები ვლადიკავკაზს გაეგზავნათ. მთიულები კი საქართველოში გაგზავნის მომხრენი იყვნენ. მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მათ თბილისისკენ რუსთა სამხედრო ნაწილების პირველ საგუშაგომდე ხევსურები მიაცილებდნენ.

ციხისძირის დაჯგუფება: აჯანყებულთა ციხისძირის ჯგუფი ძალებს იკრებდა და ანანურზე იერიშისათვის ემზადებოდა. მათ თავდაცვითი ზღუდეები ააგეს და შესაფერის მომენტს უცდიდნენ. გასაგებია, რომ ამ ჯგუფის მოქმედება ლომისისა და ხევის ჯგუფის წარმატებებზე იყო დამოკიდებული და სამივე ჯგუფის ურთიერთქმედება წარმოადგენდა გადამწყვეტ ბრძოლას საერთო გამარჯვებისათვის.

თავისი მოცულობით ციხისძირის აჯანყება ვერ შეედრებოდა ლომისის რაზმისას, მაგრამ ეს ჯგუფი ანანურის გარნიზონს საფრთხეს უქმნიდა. გარდა ამისა, რუსების მიერ ლომისის უბანზე იერიში და წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული ციხისძირის დაჯგუფების ლიკვიდაციაზე. ამ ჯგუფის ლიკვიდაცია ცარიზმის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა.

3 ივნისს ანანურის სამაზრო პოლიციამ მთავრობის აღმასრულებელ ექსპედიციას საგანგაშო ცნობები მიაწოდა. კერძოდ: „ქართლის, გუდამაყრის, ხანდოსა და მთიულეთის ხეობათა მოსახლეობამ თავი მოიყარა იმ აზრით, რომ თავს დაესხას სამაზრო ცენტრს – ქალაქ ანანურს და სხვა სოფლებს. ანანურის კაპიტან-ისპრავნიკ პეტრიკოვის ცნობით, აჯანყებულთა რიცხვი 400-ს აღწევდა, აჯანყებულებს იმავე პოლიციელის მოხსენებით, ჩაუხერგავთ მთელი გზა, ანანურიდან მოკიდებული, კაიშაურამდე, ჩაუხერგავთ უშველებელი ხეებით, მიმავალ-მომავალს გზაზე არ უშვებდნენ და ხოცავდნენ... თვით ციხისძირის საგუშაგოებიდან აჯანყებულებს პოლიციელები ჩამოურეკიათ და მათგან რამდენიმე კაზაკი მოუკლავთ კიდეც“.

ციხისძირის დაჯგუფების ლიკვიდაცია გენერალ-მაიორ ტალიზინს დაევალა. მან მოციქულები მიუგზავნა აჯანყებულებს და შერიგება სთხოვა. მალე ნათელი გახდა, რომ აჯანყებულები არ დაემორჩილებოდნენ და საქმეს აჭიანურებდნენ დროის მოსაგებად, რადგან დახმარებას ელოდნენ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები დაწვრილებით აღწერენ საბრძოლო ვითარებას. ოფიციალური პატაკებიდან ირკვევა, რომ „11 ივნისს გენერალ-მაიორი ტალიზინი, დღის .2 საათზე, ანანურიდან ციხისძირს გაემგზავრა და აქ შექმნა თავდაცვის ხაზი. აჯანყებულები მას გზაში ხვდებოდნენ და დიდ ზიანს აყენებდნენ. ყოველ ნახევარ ვერსზე (533 მეტრი) ჯგუფებად იკრიბებოდნენ და ძლიერ ცეცხლს გვიშენდნენ. აჯანყებულები უკან იხევდნენ და გამაგრდნენ გოდორეთის მთაზე. აქ თავი მოიყარა ათასზე მეტმა აჯანყებულმა და ისინი რუსთა ჯარებს მედგარი ბრძოლით ეკვეთნენ. ავიდნენ დაბურული ტყით დაფარულ მთაზე, შეუერთდნენ დანარჩენ აჯანყებულებს, ამოეფარნენ მათ მიერ გაკეთებულ ქვის სიმაგრეებს არაგვის გზის გასწვრივ, ავვიტეხეს სროლა და თავგამეტებით იბრძოდნენ, ცდილობდნენ ჩვენს განდევნას, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. დავატოვებინეთ ყველა სიმაგრე, ორ ვერსზე მეტ მანძილზე ვსდიეთ, რის შემდეგ ისინი გაიფანტნენ. ბრძოლა საღამოს 9 საათამდე გაგრძელდა. 13 ივნისს ტალიზინი შეტევაზე გადავიდა და აჯანყებულთა ნაწილები შეავიწროვა. აჯანყებულებმა ფართლის ხეობისაკენ დაიხიეს. აქ მათ გზა გადაეღობა შტაბს-კაპიტანმა კიტკევიჩმა. აჯანყებულებმა გამოსავალი მაინც ნახეს. ტალიზინი წერს: „სამი უზარმაზარი ჯგუფი მიუახლოვდა ჩემს საგუშაგოებს. ისინი სასტიკად ეძგერნენ ჩემს პირველ რაზმს და მიუხედავად დიდი ზარალისა, ბარში ჩასულები განაგრძობდნენ სროლას, ორივე მხარემ სამაგალითო შეუპოვრობა გამოიჩინა“.

ლომისის დაჯგუფება: ხანგრძლივობითა და მასშტაბით ლომისის ბრძოლა ხევისა და ციხისძირის ოპერაციებს აღემატებოდა.

ზემოთ ლაპარაკი იყო, რომ ქსნის ერისთავები ყველაზე უფრო შეუპოვრად იბრძოდნენ მთიულეთის აჯანყების ჩასაქრობად, მაგრამ აჯანყებულთათვის დარტყმა მათ ლომისის გზითაც შეეძლოთ. ქსნიდან არაგვის ხეობაში მიმავალი გზა სოფელ მლეთასთან უერთდებოდა საქართველოს სამხედრო გზას. ამ გზით მივიდნენ ერისთავები ქსნელებთან კაიშაურსა და ხევში.

ჯვარივაკის ოპერაციების შემდეგ ერისთავებს უკან უნდა დაეხიათ და დაეკავებინათ ლომისის მთა, რადგან, ოფიცერ ვოლკონსკის განმარტებით, არსებობდა საფრთხე, რომ მთიულეთის აჯანყება ქსანსაც მოედებოდა. როდესაც ერისთავები ბრძანებას ასრულებდნენ, 10 ივნისს, ლომისის მთის ძირში, სოფელ მლეთასთან, ისინი აჯანყებულთა წინააღმდეგობას წააწყდნენ. აჯანყებულებმა ქსნის გზა გააფუჭეს და მაღალ და ვიწრო ადგილზე დაბანაკდნენ.

აჯანყებულთა წინააღმდეგობა დაიძლია. 11 ივნისს ერისთავებმა ლომისის მთის ძირას თავდაცვითი ხაზი შექმნეს. პოლკოვნიკმა ვოლკონსკიმ მათ ერთი ასეული მიაშველა ერთი ქვემეხით.

14 ივნისს აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ერისთავების განლაგებაზე. ბრძოლამ 6 საათს გასტანა. პირდაპირი იერიშით აჯანყებულებმა ვერ აიღეს ერისთავების თავდაცვითი ხაზი. მაშინ მათ გადაწყვიტეს, შემოვლითი მანევრით ალყა შემოერტყათ მისთვის.

ერისთავებმა კონტრზომებს მიმართეს. თორნიკე ერისთავმა მწვერვალი დაიკავა და მარჯვენა ფლანგი გაამაგრა. შანშე ერისთავი დროის მოგების მიზნით აქტიურად იბრძოდა და თან მარცხენა ფლანგს ამაგრებდა. აჯანყებულებმა გაითვალისწინეს ერისთავების კონტრზომები.

ელიზბარ ერისთავმა რუსთა და ქართველთა შეერთებული ჯგუფი გაგზავნა და დაიკავა ყველა მთავარი სიმაგრე, რომელთა დაკავებაც აჯანყებულებს უნდოდათ.

მივიდა თუ არა ვოლკონსკი ანანურში, აჯანყებულებმა მიუგზავნეს რწმუნებულები: რევაზ ერისთავი, გიორგი ამილახვარი, თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანსკი და კავთისხევის მონასტრის არქიმანდრიტი დოსითეოს ფიცხელაური, რომლებმაც აჯანყებულთა მოთხოვნები გააცნეს.

ვოლკონსკიმ აღუთქვა, რომ შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილებდა აჯანყებულთა მოთხოვნას, ოღონდ აჯანყებულნიც დაუყოვნებლივ უნდა წასულიყვნენ სახლებში, გზები შეეკეთებინათ და თაგაურთა დასჯაში დახმარებოდნენ. მოლაპარაკებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. Xელისუფლება დანაპირებს არ ასრულებდა, ხოლო აჯანყებულები ამის გამო იარაღს არ ყრიდნენ. გენერალ-მაიორ ტალიზინს ებრძანა, დაესაჯა აჯანყებული მთიულები, თუ ისინი არ დაეთანხმებოდნენ ყველა წაყენებულ პირობას.

20 ივნისს აჯანყებულთა ლომისის ჯგუფმა მღვდელი ბურდული და ორი გლეხი მიუგზავნა ერისთავებს წინადადებით: ხელმწიფეს არ ეურიგდებით. დატოვეთ ადგილები და წადით. არაფერს არ გაენებთ. თუ არა, თქვენს წინააღმდეგ წავალთო. ერისთავებმა უარი შემოუთვალეს. ამის შემდეგ, მთიულები შეტევაზე გადავიდნენ და იერიში მიიტანეს მარჯვენა ფლანგზე. მათ უნდოდათ, ერისთავების თავდაცვითი ხაზისათვის სროლა აქედან დაეწყოთ. შანშე ერისთავი აჯანყებულთა ზურგში შეიჭრა. აჯანყებულებმა ამის გამო მიმართულება შეიცვალეს, მარჯვენა ფლანგი მიატოვეს და მარცხენას შეუტიეს, რომელსაც მიხეილ ერისთავი იცავდა ოსებით. შანშე იძულებული გახდა, მიხეილს მიშველებოდა. ძალიან დიდი იყო საფრთხე, რომ ერისთავები ალყაში აღმოჩნდებოდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ყმა გლეხებს არ სურდათ აჯანყებული მთიულების წინააღმდეგ ბრძოლა. შიში უფრო გაამძლავრა იმან, რომ ერთ დროს ერისთავთა მხარეზე მყოფნი ახლა აჯანყებულთა მხარეზე გადადიოდნენ. ეს კიდევ უფრო ზრდიდა მათ რიგებს. ამას ისიც ემატებოდა, რომ მათ იცოდნენ მთელი სამოქმედო გეგმა. პოლკოვნიკი ვოლკონსკი ყოველნაირად ცდილობდა ლომისის საგუშაგოს შენარჩუნებას.

ცარიზმის მოხელეებისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ მხოლოდ ბრძოლით ვერ შეძლებდნენ აჯანყებულ მთიელთა დამორჩილებას. ამიტომ ისინი შეუდგნენ აჯანყებული ხეობების ერთმანეთისგან გათიშვას. მთიულეთში მიავლინეს ეპისკოპოსი ამბროსი ნეკრესელი და რევაზ ერისთავი. ისინი დააფინანსეს 300 მანეთით. ამ ფულით მათ უნდა მოესყიდათ აჯანყებულთა ნაწილი და გათიშულობა შეეტანათ აჯანყებულებში.

აჯანყებულებმა საპასუხო ზომები მიიღეს. ცარიზმის მიერ გამოგზავნილ ჯაშუშ-პროპაანდისტებს ატყვევებდნენ, აჯანყებულთათვის სასარგებლო პროპაგანდას ეწეოდნენ და დაზვერვას აძლიერებდნენ. ამან შედეგი გამოიღო და 1804 წლის 3 აგვისტოდან აჯანყებამ მოიცვა ქართლის მთელი მთიანეთი — არაგვისა და ქსნის ხეობებში შემავალი თემები. აჯანყებულებმა მოშალეს მტრის სამხედრო ბანაკები და რუსების უკან დახევის დროს ტყვედ იგდეს 48 ჯარისკაცი.

მას შემდეგ, რაც აჯანყებულებმა ლომისის ბანაკი მოსპეს, მოქმედების არე სამხრეთით გადმოიტანეს და დუშეთს, ახალგორსა და ანანურს საფრთხე შეუქმნეს. ლომისის ხელში ჩაგდებით, მთიულებმა ხელთ იგდეს ქსნის ყველა გადმოსასვლელი და გზა ქართლისაკენ.

მთიელთა წარმატებით შეშფოთებულმა ციციანოვმა აჯანყებულ მთიანეთს თბილისიდან ჯარის ახალი ნაწილები შეუსია. მათ ვერ გაუძლეს რუსეთის რეგულარული არმიის მრავალრიცხოვანი ნაწილების შეტევას და გამაგრებული პოზიციები თანდათან დათმეს. გენერალმა ნესვეტაევმა დაიკავა ლარსი, დარიალი, სტეფანწმინდა, სიონთან დაამარცხა ფარნაოზ ბატონიშვილის რაზმები და 19 ოქტომბერს ანანურთან შეუერთდა ციციანოვის ჯარს. ფარნაოზ ბაგრატიონი ირანისკენ გაიქცა,

მაგრამ იგი რუსთა რაზმმა დაატყვევა ყაზახის მიდამოებში. რუსეთში გადასახლებას გადარჩენილი ბაგრატიონები ალექსანდრე, თეიმურაზი და ლევანი თავადაზნაურობასაც და გლეხობასაც საქართველოს დამოუკიდებლობის სიმბოლოებად მიაჩნდა.

მთიულეთის აჯანყება შეიძლება დავყოთ ოთხ პერიოდად:

I პერიოდი დაიწყო მაისის დამლევიდან და გაგრძელდა ივნისის ბოლომდე. ეს პერიოდი უმთავრესად მოსამზადებელი სამუშაოებით ხასიათდებოდა — აჯანყებულები ქმნიდნენ თავდაცვით სიმაგრეებს, სხვადასხვა ხეობის მცხოვრებთა შორის ეწეოდნენ პროპაგანდისტულ მუშაობას, რიცხობრივად ზრდიდნენ თავიანთ რიგებს, ხელოვნურ დაბრკოლებებს უქმნიდნენ სამხედრო ნაწილებს და მეფის ერთგულ ქსნის ერისთავებს, აფუჭებდნენ გზებს. ეს ფაქტი კი იმაზე მიუთითებს, რომ აჯანყებული მთიულები აორგანიზებდნენ ბრძოლის დაწყებას.

II პერიოდი დაიწყო ივნისის ბოლოს და გაგრძელდა აგვისტოს დამლევამდე. ეს პერიოდი აჯანყების აღმავლობის პერიოდია. აჯანყებულებმა მიიმხრეს ქართლის თითქმის მთელი მთიანეთის მცხოვრებნი. მოწინააღმდეგეთა შორის გაჩაღდა შეტაკებები, აჯანყებულებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის ხევისა და ლომისის დაჯგუფება და მოქმედება გადმოიტანეს ქართლის მთის ძირში. ეს პერიოდი დამთავრდა აჯანყებულთა მიერ დუშეთის აღებით, რამაც გამოკვეთა მთიულთა გონივრული ბრძოლა ტაქტიკური თვალსაზრისით.

III პერიოდი დაიწყო აგვისტოს ბოლოს და გაგრძელდა სექტემბრის ბოლომდე. ამ პერიოდში აჯანყებულებმა შეინარჩუნეს დაკავებული პოზიციები, გადავიდნენ თავდაცვაზე, რასაც მოწინააღმდეგის ძალთა გაძლიერება მოჰყვა. ბრძოლაში გამოყენებული იყო შემდეგი ტაქტიკური ელემენტები: თავდაცვითი ნაგებობების გაძლიერება, ძალთა მობილიზება, დაკავებული პოზიციების შენარჩუნება.

IV პერიოდი დაიწყო სექტემბრის ბოლოს და გაგრძელდა ოქტომბრის დამლევამდე. ეს პერიოდი აჯანყების დამარცხების პერიოდია, რაც განაპირობა შემდეგმა: ჩრდილო კავკასიის ხაზიდან ახალი შენაერთების გადმოსვლამ, ციციანოვის მიერ ერევნის ექსპედიციის შეჩერებამ და მთიანეთზე შეტევამ, ერისთავების ხელისუფლებისადმი თავდაუზოგავმა დახმარებამ. რა თქმა უნდა, უპირატესობა მთავრობის მხარეზე იყო და აჯანყება დამარცხდა.

ბრძოლის ანალიზისას გამოიკვეთა აჯანყებულთა ტაქტიკურ მოქმედებათა ელემენტები, რომლებმაც განაპირობეს წარმატება:

— ბრძოლის ჩანაფიქრის განსაზღვრა;
— ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება;
— დაჯგუფებების შექმნა და ურთიერთქმედება;
— მოწინააღმდეგის ლოგისტიკური მომარაგებისა და მაშველი ძალების მიღების დროებით შეზღუდვა;
— ალყის ორგანიზება;
— შეტევითი და თავდაცვითი მოქმედებების წარმართვა.

ნაკლოვანი მხარეები: აჯანყებულებს არ ჰქონდათ საბრძოლო მოქმედებების ორგანიზებისა და წარმართვის საერთო გეგმა, დაბალი იყო შეიარაღების, აღჭურვის, საბრძოლო მომზადებისა და უზრუნველყოფის მაჩვენებელი, მოისუსტებდა კოორდინაცია, იგრძნობოდა სამხედრო კადრების სიმცირე.

აჯანყება დამარცხდა, მაგრამ მეფის ხელისუფლება საქართველოში იძულებული გახდა, მოხელეთა თავაშვებულობა შეეზღუდა და მოეწესრიგებინა ტვირთების გადაზიდვის ანაზღაურების საკითხი, რაც მძიმედ აწვა მთის მცხოვრებთ. ქართლ-კახეთის ტახტის პრეტენდენტი იულონ ბატონიშვილი ფარნაოზთან ერთად რუსეთში გადაასახლეს, მარცხით დამთავრდა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენის კიდევ ერთი ცდა. მთიანეთის მოსახლეობამ რუსეთის მთავრობას დაუმტკიცა, რომ ანგარიშგასაწევი ძალაა და რომ მისი უსამართლოდ დაჩაგვრა-შეურაცხყოფა არც ისე ადვილია. ციციანოვი იძულებული გახდა, მთიელებისათვის მტკიცე წერილობითი განაწესი მიეცა, განესაზღვრა გზის პირას მოსახლეთა უფლება-მოვალეობები, რითაც მეტ-ნაკლებად შეიზღუდა რუს მოხელეთა თვითნებობა.

§2. 1812 წლის კახეთის აჯანყება

აჯანყების მიზეზები: 1801 წელს იძულებით შემოღებული რუსული მართვა-გამგებლობა საქართველოში ფეხს ნელ-ნელა იკიდებდა. რუსეთის მთავრობა თვითონ არ იყო მომზადებული იმ ღონისძიებების გასატარებლად. მიზეზი იყო სახელმწიფო ღონისძიებათა გამტარებელი მოხელეების არაკომპეტენტურობა. მიუხედავად 1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყებისა, რუსეთის სახელმწიფო-სამოხელეო მმართველი წრეების გავლენით კვლავ უხეშად გრძელდებოდა ქართველი ხალხის ასიმილირება. საქართველო რუსეთის მიერ იზოლირებული აღმოჩნდა მეზობელი სახელმწიფოებისაგან, მაგრამ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მაინც განაგრძობდა. სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობაში თითქმის ყველა კლასი და სოციალური ფენა მონაწილეობდა, მაგრამ მის ძირითად ძალას მაინც გლეხობა წარმოადგენდა. ის აძლევდა მასობრივ ხასიათს 1812 წლის კახეთის აჯანყებას.

კახეთის 1812 წლის აჯანყებას ბევრი მიზეზი ჰქონდა: სოფლებში სამხედრო ეგზეკუციების ჩაყენება, ხალხის ძარცვა, დამცირება, უკანონო ბეგარის დაკისრება. ამის გამო მხოლოდ მწარმოებელი გლეხობა კი არა, მებატონეებიც ჩიოდნენ. ბატონისა და ყმის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და ისინი ერთად გამოვიდნენ რუსული თვითმპყრობელური მმართველობის უსამართლობა-განუკითხაობის წინააღმდეგ. ეს იყო სამართალწარმოების რუსული წესი — მექრთამეობა, გამოძალვა, სასამართლოს წარმოება გაუგებარ ენაზე და სხვა. ყოველივე ეს ხალხის პროტესტს იწვევდა.

აჯანყებულებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ანანურის მაზრას. არაგვისა და თერგის ხეობაში აჯანყების გავრცელებით მათ სამხედრო გზის გადაკეტვა და კავკასიის სამხედრო ხაზისგან საქართველოს მოწყვეტა სურდათ. მეამბოხეთა საბოლოო მიზანი თბილისის აღება და საქართველოს განთავისუფლება იყო. საქართველოს მთავარმართებელი გენერალი პაულიჩი იმპერატორს მოახსენებდა (1812.22.02), რომ „მთელი კახეთი და ანანურის მაზრის მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყებულებმა სცადეს სამხედრო გზის დაკავება, კავშირის დამყარება ჩრდილო კავკასიის მთიელებთან. კახელებმა ამოხოცეს ბევრი ჯარისკაცი და ოფიცერი. გამოავლინეს საშინელი სიმკაცრე. აჯანყება დაიწყო დაღესტანშიც, შირვანშიც, შაქშიც. კახეთის მეფედ გამოცხადებული გრიგოლ ბატონიშვილი ცდილობს, ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს ქართლის მოსახლეობაც. ეს ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს შეთქმულებასთან, რომლის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ ჩვენი ჯარების გაწყვეტას და კავკასიის რუსეთისაგან ჩამოცილებას“.

აჯანყებას ხელმძღვანელობდნენ კახელი თავადები: სვიმონ და ადამ ბებურიშვილები, ნინია ანდრონიკაშვილი, ოთარ ქართველიშვილი, იოსებ სიდამონიშვილი და სხვები. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში ჩაება თავადაზნაურობისა და სამღვდელოების აქტიური ნაწილიც.

ეს აჯანყება თავისი ხასიათითა და მასშტაბებით ბევრად აღემატებოდა იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ ყველა აქამდე ცნობილ (გნებავთ, შემდეგდროინდელ) მოძრაობას. კარგად ორგანიზებული და მრისხანე ხასიათის გამო მას თანამედროვენი „საფრანგეთის რევოლუციას“ ადარებდნენ. „აჯანყების ორგანიზაცია ეჭვს გარეშე ხდის, რომ აქ იფარებოდა შეგნებული შეთქმულება, რომლის შედეგადაც კავკასიის ტერიტორია მთლიანად ეკარგებოდა რუსეთს“.

მეთაურები შეეცადნენ კახეთის მეზობელ კუთხეთა მოსახლეობის მიმხრობას — ქართლში, ბორჩალოში, ყაზახსა და ფშავ-ხევსურეთში აჯანყების დაწყებას. მოციქულები ჭარ-ბელაქანშიც გააგზავნეს, ინგილოებსა და ლეკებს აჯანყებისაკენ მოუწოდეს. კვლავ აღსდგნენ 1804 წელს დათრგუნული მთიელები და ფშავ-ხევსურები, თაგაურის მცხოვრებნი. ქართველ მებრძოლთა რაოდენობა 5000-6000 კაცს შეადგენდა. ამ შემთხვევაში და შემდეგაც ყურადღებას იქცევს აჯანყებულთა შეიარაღება, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირდა და მიუწვდომელი იყო უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის (გამორიცხული არ არის, რომ აჯანყების წინასწარი მომზადების პერიოდში ორგანიზატორებს იარაღი უცხო სახელმწიფოებიდან ფარულად შემოეტანათ). ქართველები შეიარაღებულნი იყვნენ დამბაჩებით, თოფებით, კარაბინებით.

რუსეთის მხრიდან მოქმედებდნენ გენერლები: პაულუჩი, პორტნიაგინი, სტალი, სემიონოვიჩი, დაბალი ჩინისა და თანამდებობის ოფიცრები. საერთო ჯამში 15-17 ათასამდე მებრძოლი, რომლებსაც ჰქონდათ საველე 8 ზარბაზანი, კარაბინები და ხელყუმბარები, ხიშტდანები. რუსები ცოცხალი

ძალით 3-ჯერ აღემატებოდნენ ქართველებს, საბრძოლო საშუალებებით კი — 4-5-ჯერ. აღსანიშნავია, რომ მოწინააღმდეგის ჯარს უფრო მცოდნე და გამოცდილი ოფიცრები ხელმძღვანელობდნენ.

დაპირისპირებული მხარეების შეტაკებების არეალი მოიცავდა კახეთის რეგიონს, მდინარეების არაგვისა და ივრის ხეობებში დასახლებულ პუნქტებსა და მიმდებარე ტერიტორიებს. დგილმდებარეობა იყო მთა-გორიანი და ხევებით დაღარული, ასევე ვაკე-ბორცვიანი, ალაგ-ალაგ ტყეებითა და ხეხილის ბაღებით დაფარული. ზემოაღნიშნული ხელს უწყობდა აჯანყებულთა რაზმების ფარულად გადაადგილებას, ჩასაფრებებისა და სარეიდო ოპერაციების მოწყობას, ზრდიდა მოულოდნელობის პრინციპის გამოყენების შესაძლებლობას, რუსთა ჯარს ურთულებდა მანევრირებას, ძალთა კონცენტრირებას, საარტილერიო საშუალებების გადაადგილებასა და ეფექტურად გამოყენებას.

1812 წელს 31 იანვარს აჯანყებამ სოფელ ახმეტაში იფეთქა. ახმეტელებს მეზობელი სოფლებიდან გლეხებიც აჰყენენ და შეერთებული ძალით საეგზეკუციო რაზმი განდევნეს.

აჯანყების მეორე დღეს, 1 თებერვალს, მაზრის უფროსმა, კრუპიანსკიმ, დრაგუნებისა და ეგერებისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა ახმეტისაკენ და ცოტა ხანში თვითონაც უკან მიჰყვა. თორმეტიოდე ვერსის (1366 მ) გავლის შემდეგ მან შეიტყო, რომ რაზმს ახმეტელები დაესხნენ თავს ფშავ-ხევსურებთან და თიანეთელებთან ერთად. ახმეტის ფაქტი ჩქარა გახმაურდა მეზობელ სოფლებსა და მხარეებში, რაც წინასწარ მომზადებულობას ადასტურებს.

განსაკუთრებული მღელვარება შეინიშნებოდა თიანეთში. სავარაუდოა, რომ ახმეტელთა და თიანეთელთა ერთდროული გამოსვლა წინაწარ იყო დაგეგმილი, რაც ერთსულოვნებით გამყარდა. რაც შეეხება პირველივე შეტაკებას, იქ 150 რუსი ჯარისკაცი მოკლეს. აჯანყებამ იმთავითვე ორგანიზებული ხასიათი მიიღო

კრუპიანსკიმ, რომელიც მიხვდა, რომ ეს არ იყო ხალხის უბრალო სოციალური შინაარსის გამოსვლა, მომხდარის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინა საგარეჯოში მდგარ კახეთის სამხედრო ოლქის უფროსს, გენერალ-მაიორ პორტნიაგინს და დახმარება სთხოვა.

ამასობაში აჯანყებულებმა სიმონ ბებურიშვილისა და ივანე მაყაშვილის ხელმძღვანელობით თელავში ჩააღწიეს და ციხეში შეხიზნულ რუსების გარნიზონს ალყა შემოარტყეს. ამ დროიდან აჯანყების ერთ-ერთ მთავარ მეთაურად გამოიკვეთა ერეკლეს მდივანყოფილი ოთარ ქობულაშვილი.

2 თებერვალს გომბორზე მდგარი ჯარი მაიორ ვრონსკის მეთაურობით თელავისკენ დაიძრა. აქეთ გამოემართა დრაგუნებისაგან (ცხენზე ამხედრებული ქვეითი) შემდგარი რაზმიც, რომელსაც მაიორი ოსიპოვი ხელმძღვანელობდა. მალე მის დასახმარებლად წასული ჯარი თვითონ გახდა საშველი. 4 თებერვალს მათ საგრძნობი დანაკარგით, დიდი გაჭირვებით შეაღწიეს ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში, სადაც 50 რუსი მეციხოვნე ძლიესღა იცავდა თავს. ამ ბრძოლაში რუსებმა 150 კაცი დაკარგეს.

მსხვერპლი იყო აჯანყებულთა მხრიდანაც. ორმხრივი სროლების დროს დაიღუპა აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პაატა ჯანდიერი.

აჯანყების მსვლელობამ ცხადყო, რომ მას გამოცდილი ხელმძღვანელები ჰყავდა. ერთდროული თავდასხმებით მეამბოხეებმა მეფის მთავრობის მცირე რაზმებს გაერთიანების საშუალება არ მისცეს, ისინი ცალ-ცალკე დაამარცხეს.

ძმები სიმონ და ადამ ბებურიშვილები, ივანე მაყაშვილი სწრაფად და შეუცდომლად მოქმედებდნენ. გონივრული და კარგად გათვლილი მანევრების შედეგად მათ წარმატებებს მიაღწიეს. 5 თებერვალს ისინი უკვე თელავიდან 70 კმ-ით დაშორებულ მეორე სამაზრო ქალაქს, სიღნაღს მიადგნენ. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ქიზიყელები აჯანყებისათვის დიდი ხნით ადრე ემზადებოდნენ და მოძრაობის ხელმძღვანელი ბირთვიც არსებობდა, რომელსაც მაზრის უფროსი ივანე (ნინია) ანდრონიკაშვილი და ამ გვარის სხვა თავადები თავკაცობდნენ.

ქიზიყელებმა სამი მიმართულებით განავითარეს შეტევები. 5 თებერვალს მათ იერიში მიიტანეს ქოდალოს ციხეზე, სადაც 50 რუსი იყო გამაგრებული. ქოდალოს შემდეგ აჯანყებულებმა სიღნაღს შეუტიეს, აჯანყება კარგად იყო ორგანიზებული და სწრაფადაც დასრულდა. ამ დროს სიღნაღში, 70-კაციანი გარნიზონის გარდა, იმყოფებოდა ყარაღაჯში მდგარი ნიჟეგოროდის ესკადრონიდან ამოსული საეგზეკუციო რაზმი 4 უნტერ ოფიცრისა და 43 ჯარისკაცის შემადგენლობით. 6 თებერვალს კახელებმა სიღნაღზე ძლიერი იერიში მიიტანეს. სამხედრო პირთაგან ზოგმა გაქცევით უშველა თავს, ზოგი ქალაქის ეკლესიაში ჩაიკეტა.

სიღნაღში, ეკლესიის გვერდით, რომელიც ოდესღაც გალავანს შიგნით მდებარეობდა, დღესაც ჩანს ყორღანი, რომელიც ჟამთა სვლისგან ჩამოშლილია. ეს იმ რუსების სამარეა, რომლებიც დახოცეს კახეთის აჯანყების დროს.

შემდეგი იერიში კახელებმა სოფელ ბოდბისხევში დაბანაკებულ ყაბარდოს პოლკზე მიიტანეს. 6 თებერვალს თავად ოთარ ქობულაშვილის მეთაურობით და იქაურ მცხოვრებთა დახმარებით, უძლიერესი დარტყმა მიაყენეს ლეგენდარული პოლკის მთავარ ბანაკს. ბრძოლა ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. ყაბარდოელებმა სრული კრახი განიცადეს. გარდა იმისა, რომ 212 ჯარისკაცი დაკარგეს, მთელი მათი ქონება და ამუნიცია აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელში. მათ შორის იყო პოლკის კანცელარია და რესკრიპტები, რომლებიც მათ პავლე პირველმა გადასცა 1801 წელს ავარიის ხანზე გამარჯვებისათვის. აჯანყებულებს დარჩათ შეიარაღებაც – 407 თოფი და 54 ათასი ვაზნა. პოდპოლკოვნიკი სტეპანოვი გადარჩენილ 4 უნტერ ოფიცერსა და 43 ჯარისკაცთან ერთად ყარაღაჯის ციხისაკენ გაიქცა. აქ თავს აფარებდნენ სხვა დამარცხებული რუსი ჯარისკაცებიც.

ყარაღაჯის გასანადგურებლად მეშბოხეებმა მთელი ძალები აამოქმედეს და ჭარელებსა და სხვა ლეკებსაც სთხოვეს დახმარება. ციხის კედლებისაკენ მიმართეს სიღნაღში ნაალაფარი ზარბაზნებიც.

არავინ იცის, როგორ წარიმართებოდა ყარაღაჯში შეეუჟულ რუს სამხედროთა ბედი, რომ არა რუსების მხარეზე მყოფ თავად ყაფლან ყაფლანიშვილის გამოჩენა, რომელსაც, დავით ბატონიშვილის ცნობით, 1000-მდე მეომარი ჰყოლია. მათ მიეხმარა ციხიდან გამოჭრილი რაზმი პოდპოლკოვნიკ სტეპანოვის მეთაურობით. მართალია, მეამბოხეებმა ყარაღაჯის ციხე ვერ აიღეს, მაგრამ სრულ ბლოკადაში მოაქციეს. ის, ვისაც ეკალებოდა მდგომარეობის განმუხტვა, კერძოდ კი, გენერალი პორტნიაგინი, კვლავაც მხოლოდ თავისი რეზიდენციის, საგარეჯოს გამაგრებასღა ფიქრობდა. პარალელურად მოვლენებს აღნუსხავდა და თბილისში ერთმანეთზე ამაზრზენ და შემაშფოთებელ ცნობებს გადასცემდა. იგი ჯარების სარდლობის შტაბის უფროსს, ბარონ კლოდტს სთხოვდა, სასწრაფოდ მიეშველებინა ორი როტა სამი ზარბაზნით.

7 თებერვალს აჯანყებულებმა დაამარცხეს კახეთის სამხედრო ოლქის უფროსი გენერალი პორტნიაგინი და აიძულეს, თავისი ჯარის ნაშთებთან ერთად თბილისისკენ გაქცეულიყო. 9 თებერვალს ღამით, გადარჩენილი გენერალი პოლკის ნარჩენებით, გრენადერებთან ერთად ფარულად გამოვიდა საგარეჯოდან და ტყის ბილიკებით თბილისისკენ გასწია. აჯანყებულები გაამწარა მრისხანე გენერლისა და მისი მებრძოლების გაპარვამ. მათ გადაწვეს პოლკის ნაგებობები, გაანადგურეს შტაბი, ცეცხლს მისცეს ლაზარეთი და ოფიცერთა ბინები, თუმცა ვერ შესძლეს დენთის საწყობის განადგურება. ადგილობრივი გლეხები მასობრივად გადადიოდნენ აჯანყებულთა მხარეზე.

პორტნიაგინის გზა არ გამოდგა უხიფათო. მან 34 კაცი დაკარგა და 12 თებერვალს ძლივს ჩააღწია დედაქალაქში, სადაც, როგორც ჩინით უფროსმა, ბარონ კლოდტისაგან დროებით გადაიბარა ჯარების უფროსობა, რადგან მარკიზი პაულუჩი ყაბარდოში იყო წასული. ეს აჯანყებულთა დიდი გამარჯვება იყო, რის შედეგადაც კახეთი ფაქტობრივად გაიწმინდა რუსებისგან.

კახეთში დატრიალებული მოვლენები ჩქარა გახმაურდა მთელ საქართველოში. ცნობამ გამარჯვების შესახებ თბილისშიც ჩააღწია, რამაც თბილისის მოსახლეობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. აქ მღელვარება ჯერ კიდევ თებერვლიდან შეინიშნებოდა, რამაც მმართველები ძლიერ შეაშფოთა. მათ თბილისის გარნიზონი დამატებით გააძლიერეს ერთი ბატალიონით. რუსები შეშფოთებით აღნიშნავდნენ, რომ ბევრი აღარ უკლდა კახეთში დაწყებული ბრძოლის საერთო კავკასიურ ომში გადაზრდას. აჯანყება, რომლის ცეცხლიც კახეთში დაინთო, მთელ აღმოსავლეთ საქართველოს არყევდა. მის გავლენას უნდა მიეწეროს ის, რომ ამ დროს დაიწყო აჯანყება და მღელვარება დაღესტანსა და შირვანში. კახეთის აჯანყებას უკვე შეუერთდა 1000 ლეკი, ყაზახის თათრებიც იარაღს ისხამდნენ.

მმართველები მდგომარეობის განეიტრალებას შეეცადნენ და გადაწყვიტეს, ლმობიერებად და კეთილშობილებად სჩვენებოდნენ კახელ გლეხებს. კაპიტან-ისპრავნიკები, ახალი განკარგულებების საფუძველზე, მოსახლეობასთან ურთიერთობაში ზომიერებას იჩენდნენ.

კახეთში მიღწეული პირველი გამარჯვების შემდეგ აჯანყებულებმა მოძრაობის ცენტრი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე გადაიტანეს. 9 თებერვალს თავადმა იოსებ სიდამონიშვილმა ფშავ-ხევსურებისა და თიანეთელებისაგან შემდგარი 1000-კაციანი რაზმით არაგვის ხეობა ამოიარა, დუშეთი და ფასანაურის საგუშაგო აიღო და „საქართველოს გასაღებს", ანანურს შემოარტყა ალყა.

ამბოხებულთა წარმომადგენლები მოედვნენ მთიულეთს, გუდამაყარს, ხევს, თაგაურს და ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდეს. ხალხი მასობრივად გადადიოდა აჯანყებულთა მხარეზე.

რუსეთის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. დიდი იყო შესაძლებლობა იმისა, რომ მეამბოხეთა ხელში ჩავარდნილიყო რუსეთთან დამაკავშირებელი უპირველესი მნიშვნელობის გზა, რაც მათ ფაქტობრივ დამარცხებას ნიშნავდა. ამის თავიდან აცილებას პირველად ანანურის კაპიტან-ისპრავნიკი პონარევსკი შეეცდა, რისთვისაც 200 „მოხალისე" ქართველი და ოსი შეაიარაღა. აჯანყებულებთან მიახლოებისას ჯარი მასობრივად გადავიდა თანამემამულეთა მხარეზე. გაწბილებული და ფეხში დაჭრილი მაზრის უფროსი გორში გაიქცა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში რუსებს ისევ ქართველები დაეხმარნენ. საკუთარი ხალხის წინააღმდეგ თავი „ისახელეს" კონსტანტინე მუხრან-ბატონმა, თორნიკე ერისთავმა და გაბრიელ ყაზბეგმა.

რუსმა მმართველებმა გადაწყვიტეს, მაღალ თანამდებობაზე დაენიშნათ ის „ერთგული" ადამიანები, რომლებიც სათავეში ედგნენ მოძმეთა „დამარცხებას". ამ დამსახურებისათვის ყაზბეგს გადასცეს სუზდალის პოლკის ასეული მაიორ ბარსოვის მეთაურობით. კონსტანტინე მუხრან-ბატონი მოლაპარაკებით შეეცადა აჯანყებულთა დამშვიდებას. ამით რომ ვერაფერი გააწყო, იარაღით გადაწყდა მათი დაშოშმინება, მაგრამ ყოველივე მარცხით დამთავრდა. მუხრან-ბატონი თბილისისაკენ გაეშურა და ჯარი ითხოვა ანანურის გასათავისუფლებლად. მას თხოვნაზე უარი უთხრეს.

მოწინააღმდეგის ძალთა დაქსაქსვისა და გაფანტვის მიზნით აჯანყებულებმა გადაწყვიტეს, ბრძოლები ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე დაეწყოთ. ამ მიზნით და რუსთა იზოლაციისათვის ისინი შეეცადნენ, ქართლთან დამაკავშირებელი გზები გადაეკეტათ, რისთვისაც შიდა ქართლიდან ქვემოთ ჩამოინაცვლეს და სოფ. ავჭალასთან გამოჩნდნენ. აქ თავს დაეცნენ პურის აღალს, რომელიც კახეთიდან ქართლში მიემართებოდა.

პირველად არაგვის ხეობაში ე.წ. ქართული პოლკის ოთხი ასეული ამოვიდა, რომელიც ღართისკარში განლაგდა. 12 თებერვალს კი ბაგრატიონ-მუხრანსკისთვის მიცემული დაპირების მიხედვით, გორიდან დაიძრა და არაგვის ხეობისაკენ ფორსირებული მარშით გამოემართა გრენადერთა ბატალიონი პოლკოვნიკ უშაკოვის მეთაურობით, რომლის რიგებშიც, ბატონიშვილ დავითის გადმოცემით, 1000 მოლაშქრე უნდა ყოფილიყო. პოლკოვნიკმა 50 კაცი მცხეთაში კახეთიდან გადმოსასვლელი გზების დასაცავად დატოვა, თვითონ კი დანარჩენი ხალხითა და ერთი ზარბაზნით მუხრანის გავლით დუშეთისაკენ გასწია.

უხიფათოდ ვერც უშაკოვი გადარჩა. მჭადიჯვრიდან დუშეთისაკენ მიმავალ მის ასეულს 12 თებერვალს უღრანი ტყით დაფარულ მაღლობზე დახვდნენ აჯანყებულები. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მათ უკან დაიხიეს და დუშეთში გამაგრდნენ, სადაც არანაკლებ სასტიკი ბრძოლა გაიმართა.

13 თებერვალს უშაკოვმა გაარღვია დუშეთის რკალი, აიღო ციხე, რომელსაც მთავრობის 500 კაცისა და არტილერიის წინააღმდეგ იცავდა 30 ქართველი, გადაწვა იგი და ანანურისკენ გაემართა, თუმცა მთელი გზა გლეხები მას ტყვიას უშენდნენ. დუშეთიდან დილის 6 საათზე გასული ჯარი ანანურში 17 საათზე ჩავიდა. მეამბოხეები, რომლებსაც მცირე ძალები ჰყავდათ, იძულებული გახდნენ, ანანურის ციხის დაცვა გაეძლიერებინათ და ომში ჩაბმულიყვნენ. 17 თებერვალს რუსთა ჯარებმა ძლიერი დარტყმები მიაყენეს აჯანყებულებს და გაანადგურეს მათი საბრძოლო შტაბი.

ამ დროს კახეთში მიმდინარე სისხლისმღვრელი ბრძოლების მიუხედავად, არაგვის ხეობაში ამოვიდა 1000-კაციანი რაზმი იოსებ სიდამონიშვილის ხელმძღვანელობით. მათვე მოციქულები გაგზავნეს ჭარელებთან და ბრძოლაში დახმარებისათვის თითო ლეკს 20 მანეთსა და 6 კოდ პურს დაპირდნენ.

რუსები კარგად ხედავდნენ, რომ არაგვის ხეობაში ქართველთა წინააღმდეგობის დაძლევა ძალზე გაუჭირდებოდათ და ყოველგვარ უზნეობასა და სისასტიკეზე მიდიოდნენ. 17 თებერვალს ღამით ისინი ჩუმად მიეპარნენ არაგველთა მძინარე რაზმს და უღვთოდ ამოხოცეს ისინი. გადარჩენილი 15 კაცი კი, რომელთა შორის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ანანურის ციხის დანებების თაობაზე მოლაპარაკებათა ერთ-ერთი წარმომადგენელი მღვდელი იოსებ ბურდულიც იყო, სხვების დასაშინებლად, სამაგალითოდ ჩამოახრჩვეს.

ქართლის მოსყიდული თავადები — კონსტანტინე ბაგრატიონი და თორნიკე ერისთავი ლაშქარს კრებდნენ თავიანთ ქვეშევრდომთაგან, მაგრამ მოლაშქრეთა უმრავლესობა არ ისროდა და, როგორც კი ხელსაყრელ მომენტს იპოვიდა, აჯანყებულთა მხარეზე გადადიოდა. მას შემდეგ, რაც მთავრობამ

სამხედრო ძალთა მობილიზაცია მოახდინა და ორგანიზებული ფრონტი შექმნა აჯანყებულთა წინააღმდეგ, ძალთა უთანასწორობა აშკარა გახდა და დაიწყო გარდატეხა აჯანყებულთა საზიანოდ. 13 თებერვალს აიღეს დუშეთი, 17 თებერვალს – ანანური, 20 თებერვალს – ფასანაური. დამარცხებამ გატეხა აჯანყებულთა ენთუზიაზმი და სიმტკიცე, თუმცა ბრძოლები არ ცხრებოდა. თავადი სიდამონიშვილი თავისი ლაშქრით საშაბუროში გამაგრდა და დამხმარე ძალებს უიმედოდ ელოდა. 21 თებერვალს უშაკოვმა მასზე დიდი ძალებით მიიტანა იერიში და დაამარცხა.

ამავე დროს, აჯანყებულთა საზიანოდ კახეთში გარდატეხა დაიწყო. 13 თებერვალს მარტყოფისკენ სალაშქროდ გაემართა ხერსონის გრენადერთა პოლკი 4 ქვემეხით. ლაშქარს თან ახლდა მოსყიდული თავადების ამალა. მარტყოფის დამორჩილების შემდეგ მათ სართიჭალას შეუტიეს და 16 თებერვალს დაიკავეს დაცარიელებული სოფელი. 19-20 თებერვალს მთავრობის ჯარმა აიღო კახეთის სხვა სოფლები. 21 თებერვალს საქართველოს მთავარმართებელი მარკიზი პაულუჩი ყაბარდოდან თბილისში დაბრუნდა და უშუალოდ ჩაუდგა სათავეში აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლას. მან აჯანყებულ ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ხელმწიფე-იმპერატორი განადგურებით ემუქრებოდა ყველას, ვინც იარაღს არ დაყრიდა და არ დაემორჩილებოდა. მთავარმართებელი ხალხს ბრალს სდებდა ხელმწიფის წინაშე ღალატში, რაზეც აჯანყებულები პასუხობდნენ, რომ ღალატი ჩვენ კი არა, თქვენ ჩაიდინეთ თქვენი მტარვალური მოქმედებითო.

მიუხედავად ასეთი მტკიცე პასუხისა, პაულუჩიმ მაინც გაგზავნა დელეგაცია აჯანყებულებთან. იგი ამცნობდა მათ, რომ მთავრობას დიდძალი ჯარი ჰყავდა და განადგურების მუქარას უთვლიდა. აჯანყებულებმა უპასუხეს: „ჩვენ ვიცით, რომ ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არ გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა, მათ გაგვულიტონ. ჩვენ რუსი ხელმწიფის მფარველობას ვეძებდით და ღმერთმა იგი გვიწყალობა; მაგრამ მის მსახურთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ჩვენ ამას დიდხანს ვითმენდით. ახლა უფალმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს – თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან კი პურსა და საკვებს მოითხოვენ. ჩვენ საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს, ხელებს აფათურებენ და სჩხრეკენ ჩვენს ზანდუკებს, მარნებს გვიტეხდნენ, ღვინით ილეშებოდნენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდნენ, ქვევრებში სიბინძურეს გვიყრიდნენ, ბოლოს ჩვენს თვალწინ ცოლებსა და ქალებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ამისთანა შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასიღა ექნება? ჩვენ ძალდატანებამ გვაიძულა და გადავწყვიტეთ, აქვე დავიხოცოთ“.

ძალთა უპირატესობა მთავრობის ჯარების მხარეზე იყო. უპირატესობას უმთავრესად შეიარაღების ხარისხი, განსაკუთრებით კი ქვემეხები განაპირობებდა. ქართველები ხვდებოდნენ, რომ ძალები აშკარად არათანაბარი იყო და თანაც რუსთა მხარე სულ უფრო იკრებდა ძალებს, მაგრამ ცდილობდნენ, არ შეენელებინათ ბრძოლა და ყოველ ღონეს ხმარობდნენ დამხმარე ძალების მოსაზიდად. ამ პროცესის დასაჩქარებლად აჯანყებულებს თავადვე გაუგზავნიათ 40-კაციანი დეპუტ-აცია ერევანში მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილთან სოლომონ ბებურიშვილის, თალა ჩოლოყაშვილისა და გორჯასპი ნათალიშვილის ხელმძღვანელობით და იგი აჯანყების მეთაურად და მეფედ მოუწვევიათ. დელეგაციას მეტი დამაჯერებლობისთვის წარუდგენია თუშების, ფშაველებისა და ხევსურების მიერ ხელმოწერილი უსტარი ერთგული სამსახურისათვის მზადყოფნის შესახებ: „ჩვენ მეფის მეტი არაფერი გვაკლიაო“ - წერდნენ ისინი ბატონიშვილს და სამშობლოში იწვევდნენ.

მაგრამ მეფისწული, რომელიც კვლავ მოთმინებით ელოდა ირანისგან დახმარებას, ჩამოსვლას აგვიანებდა. ასეთ დროს აჯანყებულთათვის დიდი სტიმული იყო მეორე ბატონიშვილის, გრიგოლ იოანის ძის გამოჩენა. ბატონიშვილის ავტორიტეტის გამოყენება აჯანყებულებს, პირველ რიგში, ოდესღაც ბაგრატიონთა სამეფო სახლის ერთგულ გაბრიელ ყაზბეგის გადმოსაბირებლად უცდიათ. თუმცა მთის დიდი თავადი ახლაც შეუვალი აღმოჩნდა. „სახელგატეხილ ქართულ მეფობას რუსის ჩინ-ორდენები არჩია და ერთხელ მიღებული ფიცი ერთგულებისა არ გატეხა“.

ხაშმი და მისი შემოგარენი აჯანყების ცენტრად გადაიქცა. გადამწყვეტი ბრძოლისათვის ორივე მხარე გამალებით ემზადებოდა. აჯანყებულები, რომელნიც ხედავდნენ, რომ ძალები უთანაბრო იყო, მაშველს ეძებდნენ. გრიგოლ ბატონიშვილმა მიმართვის წერილები გააგზავნა ბორჩალოსა და ყაზახის მხარეებში და აქაურ ბეგებს მოუწოდა, სასწრაფოდ წამოსულიყვნენ ხაშმისაკენ და წამოეყვანათ ლეკები.

ცნობამ აჯანყებულთა გეგმებისა და მოლოდინის შესახებ კიდევ უფრო ააჩქარა პაულუჩი. ანთიადისას მან 600 კაცითა და 2 ზარბაზნით შეუტია მეამბოხეებს. ხაშმში პაულუჩიმ საშინელი ხოცვა-ჟლეტა დაატრიალა, შემდეგ საგარეჯოსკენ გაემართა, მაგრამ იგი აჯანყებულთაგან დაცლილი დაუხვდა. პაულუჩის აქ თავადები ეახლნენ და ერთგულებაზე დაიფიცეს. ამის გამო აჯანყებულთა რიცხვი მცირდებოდა. ეს დიდი დარტყმა იყო მათთვის, რადგან ხალხის ნაწილი რუსეთს უჭერდა მხარს.

პაულუჩის ძალებმა 29 თებერვალს უბრძოლველად დაიკავეს სოფელი მაღარო. მან მაიორი ტიხანოვსკი ორი ასეულით ქოდალოს ციხის გასათავისუფლებლად გაგზავნა, სადაც 80 რუსი ჯარისკაცი 23 დღის განმავლობაში იცავდა თავს მოალყეებისაგან. მათ ციხე გაათავისუფლეს და 2 აჯანყებული ტყვე სანიმუშოდ დასაჯეს. 29 თებერვალს კი სიღნაღიც აიღეს, შემდეგ თელავისკენ გაემართნენ. გზად სისხლიანი შეტაკება მოუხდათ ჩუმლაყთან, სადაც 4000-მა მეამბოხემ მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი რაზმები დაამარცხა. ჩუმლაყის ბრძოლაში ქართველთა წარმატების ერთ-ერთი მიზეზი გრიგოლ იოანეს ძის გამოჩენა და მონაწილეობა იყო. პაულუჩიმ კარგად გათვალა — აჯანყებულებს დაჰპირდა პატიებასა და ხელშეუხებლობას, რამაც დადებითად იმოქმედა მათზე. აქ ამოქმედდა მეორე ფაქტორიც — მმართველობას არ აწყობდა არც თავის გამომკვებავი ფენის ხელაღებით დარბევა და არც მათი სარჩოს მწარმოებელი კახელი გლეხკაცების ამოწყვეტა. ამასთან, გრიგოლ იოანეს ძე მოტყუებით შეიპყრეს რუსებმა და გაძლიერებული ბადრაგით პეტერბურგში გააგზავნეს. ამის შემდეგ აჯანყება მინელდა. მარტის დასაწყისისათვის ბრძოლა შეწყდა. 4 მარტს აჯანყებულებმა მოხსნეს ალყა თელავის ციხეს და პაულუჩიც მშვიდობიანად შევიდა ქალაქში.

1812 წლის 20 აპრილს საქართველოს მთავარმართებლად პაულუჩის ნაცვლად გენერალი რტიშჩევი დაინიშნა. რტიშჩევმა კარგად შეამჩნია, რომ კახეთის აჯანყება მხოლოდ მინელებული იყო. ქართველები ახალი შეტევისათვის ემზადებოდნენ. მართლაც, აპრილის ბოლოს აჯანყების ცეცხლი მთელ კახეთს მოედო. აჯანყებულთა რაზმები გააქტიურდნენ არაგვის ხეობაშიც. შეშფოთებულმა რტიშჩევმა კახეთში გააგზავნა გენერალი სტალი დიდძალი ჯარით. მალე კი მის დასახმარებლად გაუშვა გენერალი ორბელიანი რამდენიმე ბატალიონით. საქართველოს მთავარმართებელმა და დამსჯელი ექსპედიციების უფროსებმა ხან ძალით, ხან დაუსჯელობის დაპირებებით, როგორც იქნა გატეხეს აჯანყებულთა ერთიანობა და სიმტკიცე. საქართველოს სხვა კუთხეებიდან დახმარების მიუღებლობის პირობებში კახელი აჯანყებულები დაიშალნენ, მაგრამ ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მთავრობის საქმიანობას, გააგრძელებდა თუ არა იგი დათმობების კურსს.

1812 წლის ზაფხულში საერთაშორისო მდგომარეობა შეიცვალა. ნაპოლეონის არმია რუსეთში შეიჭრა. ქართველმა ოპოზიციონერებმა და მათმა აღიარებულმა ლიდერმა ალექსანდრე ბატონიშვილმა სწორად შეაფასეს შექმნილი სიტუაცია და სცადეს, ყველაფერი თავიანთი სანუკვარი ოცნების — საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის გამოეყენებინათ.

საქართველოს რუსულმა ხელისუფლებამ ვერ მოახერხა კავშირის გაწყვეტა ალექსანდრე ბატონიშვილსა და აჯანყებულებს შორის. ბატონიშვილი წერილებს უგზავნიდა არაგვის ხეობის მცხოვრებლებს და სთხოვდა, გზები გაეფუჭებინათ და გადაეკეტათ, რათა მეფის მთავრობისთვის ხელი შეეშალათ დამატებით ჯარების შემოყვანაში. ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები და მოწოდებები მაორგანიზებელ როლს ასრულებდა. ქართველთა უმრავლესობა იზიარებდა მის აზრს, მხარს უჭერდა ბატონიშვილის მიზანდასახულობას, მზად იყო, სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის კიდევ ბევრი სისხლი დაეღვარა. ამ მოწოდებებმა აჯანყება იდეურად შეამზადა. საკმარისი იყო მეთაურის ბრძოლის ველზე გამოჩენა, რომ აჯანყების ალი ისევ ავარდნილიყო. რუსეთის მთავრობა ამას გრძნობდა და შიშით შეპყურებდა. მათ ვერ მოახერხეს ალექსანდრე ბატონიშვილისთვის გზების შეკვრა და იგი კახეთში ჩამოვიდა. ალექსანდრე ბატონიშვილი კარგად იყო გარკვეული შექმნილ სიტუაციაში და ქართველების განწყობაში. განმათავისუფლებელი ომის დაწყებისათვის იგი უკეთეს დროს ვერ დაელოდებოდა. ნაპოლეონი უკვე მოსკოვში იყო შესული. რუსეთ-ირანის ომი ისევ გრძელდებოდა. შევიწროებული თურქეთიც მეზობლის წინააღმდეგ ილესავდა კბილებს. ალექსანდრე ბატონიშვილს ქართველი ხალხის პატრიოტიზმსა და მისდამი ერთგულებაში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ აფიქრებდა მისი ანტისპარსული განწყობილება.

ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი ლაშქარი რამდენიმე ნაწილად გაჰყო: ერთ ჯგუფს თავადი ჩოლოყაშვილი ჩაუყენა სათავეში და თბილისიდან კახეთისკენ მიმავალი გზის ჩაკეტვა დაავალა, ომან ჩოლოყაშვილის რაზმს კი ქართლიდან თიანეთისკენ მიმავალი გზის დაცვა უბრძანა. გორჯასპი ნათალიშვილისა და პაპია აბელაშვილის რაზმები სამხედრო გზის რაიონში სამოქმედოდ გამოიყო. მათ კავკასიის სამხედრო ხაზიდან საქართველოში რუსთა ჯარები არ უნდა გამოეშვათ. თვით ალექსანდრე ბატონიშვილი აჯანყებულთა მთავარ ძალებს ჩაუდგა სათავეში და კახეთში მდგარ ჯარის ნაწილებს ფიცხელი ომი გაუმართა.

კახეთის რუსთა მეფის მოხელეებისაგან გაწმენდა, ქართლის აჯანყება და სამხედრო გზის ჩაკეტვა იყო ალექსანდრეს უპირველესი ამოცანა. მას უნდა მოჰყოლოდა გარედან დახმარება და საბოლოო მიზანიც — საქართველოს სამეფოს აღდგენა. გამორიცხული არც მშვიდობიანი მორიგება იყო — რუსეთის მთავრობის დათმობაზე წასვლა და ალექსანდრე ბატონიშვილს მეფედ ცნობა.

რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლება შეშფოთდა და სწრაფადაც ამოქმედდა. სპარსეთის წინააღმდეგ მოქმედი არმიიდან ჯარის ნაწილები გამოიწვიეს, ღართისკარი და ბულაჩური გაამაგრეს. სამხედრო გზის გასაწმენდად კავკასიის ხაზიდან სამი ბატალიონი გამოგზავნეს. აჯანყებულთა წინააღმდეგ დაძრეს იმერეთში მდგარი ჯარებიც, რომლებსაც გენერალი სიმონოვიჩი ხელმძღვანელობდა. მთავრობამ სხვა ზომებსაც მიმართა — მთავარმართებელმა რტიშჩევმა 20 000 მანეთი აღუთქვა იმას, ვინც ალექსანდრე ბატონიშვილს მოკლავდა.

ალექსანდრე ბატონიშვილისა და აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის ხელმძღვანელობა გენერალ-ლეიტენანტ დიმიტრი ორბელიანს დაეკვალა. რუსთა ჯარის სხვა გენერლები და ოფიცრები მისი ბრძანებით მოქმედებდნენ.

მთავრობის რეგულარულ არმიას გაწვრთნილობა-შეიარაღებით ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქართან დიდი უპირატესობა ჰქონდა. პირისპირ ომში ასეთი ჯარის დამარცხებაზე აჯანყებულები ვერც კი იოცნებებდნენ. მოწინააღმდეგის ამ უპირატესობებს ნიჭიერმა სარდალმა ალექსანდრე ბატონიშვილმა სახალხო ლაშქრის უპირატესობები დაუპირისპირა. მან მთავრობის ჯარებს პარტიზანული ომი გაუმართა.

ალექსანდრე ბატონიშვილის ლაშქარი ძირითადად ცხენოსნებისაგან შედგებოდა, რომელსაც სწრაფი მოძრაობისა და მანევრირების უნარი ჰქონდა. რუსეთის მთავრობის ჯარი კი უპირატესად ქვეითი იყო. დიმიტრი ორბელიანი ჯარის რაზმებად დაყოფას ერიდებოდა, რადგან აჯანყებულთა ცხენოსან ლაშქარს შეეძლო, დამხმარე ძალის მისვლამდე, განმარტოებულ რაზმს ჭარბი ძალით დასცემოდა და გაენადგურებინა. ამიტომ, გენერალი ორბელიანი მთელი თავისი ჯარით ზოზინით დასდევდა ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ადგილს ხშირად იცვლიდა, მოულოდნელად დაარტყამდა მტერს და უცბადვე გაშორდებოდა.

ალექსანდრემ მოსახლეობის წყალობით მოწინააღმდეგის ყოველი ნაბიჯი იცოდა, ორბელიანს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა აჯანყებულთა ძალების განლაგებაზე და ბატონიშვილის ლაშქარს რამდენიმე დღე უშედეგოდ დაეძებდა.

ბრძოლის სწრაფად და წარმატებით დამთავრებისათვის ორბელიანს საჭიროდ მიაჩნდა: კახეთში მსხვილი სამხედრო ერთეულების გადაყვანა; ხალხისათვის შიშის ზარის დაცემა და მათკენ გადმობირება. მან დამხმარე ჯარის ნაწილები შეიერთა და 9 ოქტომბერს განთიადისას შილდასთან ბრძოლა გაუმართა ბატონიშვილის 6000-იან ლაშქარს. შვიდსაათიანი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულებმა შილდის სათავეებისკენ დაიხიეს. მიხეილ ერისთავი უკანდახეულებს აედევნა. ალექსანდრე ბატონიშვილმა შესანიშნავი მანევრი ჩაატარა, შემობრუნდა და მტერს ალყა შემოარტყა. რუსთა ჯარის მოშველიების შემდეგ, დიდი ზარალის ფასად ერისთავმა ძლივს დააღწია თავი ტყვეობას. მთავრობის ჯარსა და აჯანყებულებს შორის დიდი ბრძოლები გაიმართა 24 და 29 ოქტომბერსაც. ბატონიშვილი თავისი ლაშქრით ხეობაში შეეიდა. გენერალმა ორბელიანმა დადევნება ვერ გაბედა, მან დამხმარე ჯარს დაუწყო ლოდინი.

ნოემბრის დამდეგს კახეთში გაიგზავნა ახალი დიდი ჯარი გენერალ სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით. 21 ნოემბერს სოფ. ხაშმთან მან მძიმე ბრძოლა გადაიტანა, დაამარცხა მეამბოხეები და ორბელიანთან შესახვედრად გაემართა. ჩაილურთან რუსთა ჯარის ნაწილები შეერთდნენ და 26 ნოემბერს გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხეს ალექსანდრე ბატონიშვილი და

მისი თანამებრძოლები. აჯანყებულები დაიფანტნენ. ალ. ბატონიშვილი დაუსხლტდა რუსის ჯარს და თიანეთს შეაფარა თავი. აჯანყება არსებითად დამთავრდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი იმედოვნებდა, რომ იმ დიდი ომის შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა მისი მეთაურობით რუსეთის მთავრობას გაუმართა, შესაძლებელი იქნებოდა მორიგება და რუსეთის მთავრობა აღადგენდა ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს, საქართველოს კი გამოაცხადებდა იმპერიაში შემავალ ავტონომიურ სამეფოდ. ეს იმედი ამაო აღმოჩნდა.

ალექსანდრე ბატონიშვილი ერთხანს მთიულეთს აფარებდა თავს, შემდეგ ირანში დაბრუნდა, სადაც გარდაიცვალა.

ანალიზი: აჯანყებულთა ხელმძღვანელებს გათვალისწინებული ჰქონდათ ის გარემოება, რომ მთავარმართებელი ამ დროისათვის საქართველოში არ იმყოფებოდა, რის გამოც მმართველებში დაბნეულობა შეინიშნებოდა. გათვლილი იყო ისიც, რომ მათ ბრძოლას გაუადვილებდა ეგზეკუციების გამო რუსთა ჯარების დაქსაქსულობა. გათვალისწინებული იყო ზამთრის ფაქტორიც, რამდენადაც თებერვალში რუსებს კავკასიის ხაზიდან თოვლის გამო დამხმარე ჯარების გადმოყვანა გაუძნელ-დებოდათ. აჯანყებულები ძირითად იმედებს პირველ ბრძოლებზე ამყარებდნენ. რაც უფრო დიდი იქნებოდა წარმატება, მეზობელი თემებისა და ხალხების დახმარების იმედიც მეტი ექნებოდათ. აჯანყება უნდა გავრცელებულიყო მთელ საქართველოსა და კავკასიაში.

ქართლში აჯანყებას კახეთზე უნდა მოეხდინა გავლენა, რასაც უდიდესი შედეგის მოტანა შეეძლო. მაგრამ აჯანყებულებს ძალები არ ეყოთ.

გენერალ-მაიორმა სტალმა, რომელიც გორში იმყოფებოდა, წინასწარ მიიღო ზომები ქართლში მოსალოდნელი აჯანყების თავიდან ასაცილებლად. რუს მოხელეს მხარი დაუჭირეს გორის მაზრისა და სამაჩაბლოს თავადებმა, რომელთა მცდელობის შედეგად აქაური აზნაურებისა და გლეხების მღელვარება აჯანყებაში არ გადაზრდილა.

ქართლში აჯანყების გაუვრცელებლობამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მის განვითარებას. ამან რუსებს ძალების კონცენტრაციისა და მათი არაგვის ხეობისკენ მიმართვის საშუალება მისცა.

აჯანყების დამარცხების საშინაო მიზეზები კი ასეთია:

- საბრძოლო მოქმედებათა ფართო მასშტაბით გაუვრცელებლობა და არასათანადო დონეზე გაშლა;
- აჯანყებულთა ორგანიზებული მართვის არარსებობა, რამაც შესაძლებელი გახადა მისი ლოკალიზაცია;
- სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლების მაყურებლის როლში ყოფნა;
- კახეთის გასაჭირს ქართლი ვერ იზიარებდა და ორივესას კი — იმერეთი. საერთო აჯანყების არაორგანიზებულობა და ურთიერთქმედების დაბალი დონე;
- რუსეთმა ისარგებლა აგენტურით და გათიშულობის ძლიერი რუსული მანქანა სრული სიმძლავრით აამოქმედა, რომლის გავლენაც პირველ რიგში თავადებზე გამოვლინდა;
- ნებსით თუ უნებლიეთ ქართველმა თავადებმა აჯანყების ჩაქრობაში რუსულ ხელისუფლებას უდიდესი სამსახური გაუწიეს.

კახეთის აჯანყების დამარცხების მიზეზები ქართველთა არაერთსულოვნებაში, უპრინციპობასა და შინაგან შიშში უნდა ვეძიოთ, „რომელიც თან სდევდა არა მარტო აჯანყების მრავალ მონაწილეს, არამედ მის რამდენიმე ხელმძღვანელსაც“.

ტაქტიკურ მოქმედებათა ელემენტებიდან გამოიკვეთა შემდეგი:

- ხანგრძლივი ბრძოლისთვის ფარული მომზადება;
- მცირე ძალებით თავდაცვითი და შეტევითი ოპერაციების ჩატარება;
- ძალთა გადაჯგუფება და მანევრირება;
- პარტიზანული მოქმედებების ტაქტიკის ნაწილობრივ გამოყენება;
- ადგილმდებარეობისა და კლიმატის თვისებების გამოყენება;
- მოულოდნელობის ფაქტორი, როგორც წარმატებული მოქმედებების საფუძველი;
- საბრძოლო სულისკვეთება, როგორც წარმატების საწინდარი.

შედეგები: უდიდესი იმედგაცრუება იყო აჯანყებული კახელებისათვის დახმარების მიულებლობა, რის იმედსაც ირანი და ოსმალეთი იძლეოდნენ. გადამწყეტ მომენტში მათ ვერ შეძლეს აჯანყებულთათვის დაპირებული სამხედრო დახმარებისა და ასიგნებების მიშველება.

ქართველები რისკზე წავიდნენ, რასაც იმ დროისთვის ორი გამართლება ჰქონდა: პირველი — საჭირო იყო რუსეთის მიერ განხორციელებულ დაპყრობით პოლიტიკასთან დაპირისპირება; მეორე — რუსეთის გარშემო შექმნილი ურთულესი პოლიტიკური მოვლენები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ და წარმატებით გასაშლელად. მაგრამ რუსეთმა თითქმის უშეცდომოდ წარმართა საგარეო პოლიტიკა და სამხედრო მოქმედებები, რითაც მნიშვნელოვანი დანაკარგების ფასად გამარჯვებას მიაღწია.

კახეთის 1812 წლის აჯანყების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი არსებული საგარეო და საშინაო მოვლენებიდან გამომდინარეობდა. კახეთმა მრავალჯერ სძლია მტერს, მაგრამ ღალატმა, რუსთა რეგულარულმა ჯარმა, ქართველთა დაქსაქსულობამ და მრავალმა სხვა მიზეზმა დამარცხება განაპირობა. რუსებმა დიდი მატერიალური და მორალური ზარალი განიცადეს. დიდი იყო ცოცხალი ძალის დანაკარგი ქართველებთან შედარებით. აჯანყების I ეტაპის დასრულებისთანავე მთავარმართებელმა პაულუჩიმ სასწრაფოდ აკრძალა ეგზეკუციები. მან აჯანყების მონაწილეთათვის ამინისტიაც გამოაცხადა და ხალხს სამართლიანობის აღდგენა აღუთქვა. ქართული სამღვდელოება, უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ერის ზნეობისა და სულიერების მეგზურად იქცა და თავის შესაძლებლობებს ხალხის მამულიშვილურ საქმიანობას ახმარდა.

მიუხედავად იმისა, რომ აჯანყება დამარცხდა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი თავისი მასშტაბით, კავშირებით, მოქმედებებითა და ხანგრძლივობით ერთ-ერთი გამორჩეული იყო საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ასეთივე ბედი გაიზიარა 1819-20 წლების იმერეთის აჯანყებამ. ამით ქართველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ დანებებისა და მორჩილებისათვის დაბადებულები არ არიან და ყველაზე დიდი გაჭირვებისა და უბედურების ჟამსაც კი შესწევთ უნარი, იარაღით ხელში დაიცვან ეროვნულობა და სახელმწიფოებრიობა.

§3. ბრძოლა ფოთისთვის (1806-1812 წლები)

„აღმოსავლეთის საკითხი", ანუ შავი ზღვის სანაპიროებზე და მთელ კავკასიაში გავლენის მოპოვება რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა. 1801 წლის მანიფესტით რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო. XIX ს-ის დასაწყისში რუსეთის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში პოლიტიკური ვითარების დაძაბვა მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში. ამ ფაქტს განსაკუთრებით მტრულად ირანისა და ოსმალეთის მმართველი წრეები შეხვდნენ. გართულდა ურთიერთობა საფრანგეთისა და ინგლისის პოლიტიკურ ელიტასთანაც, რომლებმაც ახლო აღმოსავლეთში თავიანთი ინტერესებისათვის ბრძოლა ირანისა და ოსმალეთისთვის აშკარა დახმარებით გამოხატეს, კერძოდ — ფულით, იარაღით, ირანისა და ოსმალეთის ჯარის თანამედროვე ყაიდაზე გაწვრთნით, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. პირველი წინააღმდეგობა რუსეთსა და ირანს შორის გამოვლინდა. 1804 წელს დაიწყო რუსეთ-ირანის ომი.

ამ პერიოდს დაემთხვა ქართლის მთიანეთის აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც ჩაახშეს. დღის წესრიგში რჩებოდა რუსეთის მისწრაფება სამხრეთ კავკასიაში გაბატონების შესახებ.

გამომწვევი მიზეზები: აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრების შემდეგ რუსეთი დასავლეთ საქართველოს შეერთებასაც შეეცადა. ერთმანეთის მიყოლებით რუსეთის ქვეშევრდომობაში იძულებით შევიდნენ აფხაზეთის, სამეგრელოსა და გურიის სამთავროები. ეს სამფლობელოები რუსეთ-ოსმალეთს შორის არსებული დაზავებებით საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის გავლენის სფეროში შედიოდნენ და პორტას კონტროლირებად ტერიტორიად ცხადდებოდნენ. რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულება გააფორმა იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ. ყოველივე ეს ოსმალეთის გაღიზიანებას იწვევდა, რომელსაც ოდითგანვე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. ამიერკავკასიით რუსეთის დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი მუსლიმანურ სამყაროსთან საერთო საზღვარი იყო. ახალციხისა და ახალქალაქის სახანოებიდან გამუდმებული თავდასხმები ეწყობოდა

ქართულ ტერიტორიებზე. თავდამსხმელები იყვნენ როგორც ოსმალეთის ქვეშევრდომები, ისე დაღესტნელი მთიელები. მთელი 1806 წლის განმავლობაში ამიერკავკასიაში ლოკალური ხასიათის ბრძოლები მიმდინარეობდა ოსმალეთსა და რუსეთს შორის. 1806 წლის ივლისს ოსმალეთის საზღვაო ფლოტის ნაწილი ადმირალ იურუკ ბაირახდარის სარდლობით სოხუმს მიადგა. ოსმალები აპირებდნენ აფხაზეთის სამთავროში არსებული შიდა დაპირისპირების გამოყენებას. მათ მანუჩარ შერვაშიძე წააქეზეს მთავრის საწინააღმდეგო მოქმედებაში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ უშედეგოდ. აფხაზები, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე იტანჯებოდნენ ოსმალთა უღელქვეშ, აღუდგნენ მოძალადეს. აფხაზეთის მთავარს დამხმარედ ჩერქეზები ჰყავდა. მათ შეადგინეს 25 000-იანი ლაშქარი და მტერი აიძულეს, უბრძოლველად უკან გაბრუნებულიყო.

1807 წლის 8 თებერვალს ღამით შეტაკება მოხდა რუსეთ-ოსმალეთის ჯარების რაზმებს შორის რედუტ-კალესთვის (დღევანდელი ყულევი), რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომავალში ფოთის ციხესიმაგრეზე წარმატებული საბრძოლო მოქმედებისათვის. 4-საათიანი ბრძოლის შემდეგ ოსმალები დამარცხდნენ. ყულევის შენარჩუნებით რუსებმა ფაქტიურად ერთი ნაბიჯით წაიწიეს ფოთის დასაკავებლად. ფოთის, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორპოსტის (მოწინავე პოზიცია), რუსეთის ხელში გადასვლა დააჩქარებდა შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის დამკვიდრებას.

ოსმალეთის სულთანმა სელიმ III-მ 1806 წლის 18 დეკემბერს რუსეთს ომი გამოუცხადა. რუსეთმა ომისთვის მზადება დაიწყო. ოსმალების ბატონობით საუკუნეების განმავლობაში შეწუხებული ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უმეტესობა რუსებს იმედით შეჰყურებდა და მათ მიმართ „კეთილგანწყობილებას ამჟღავნებდა“.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველოს რუსული ადმინისტრაცია მოსაზღვრედ მდებარე ოსმალეთის ქვეშევრდომების მოსყიდვა-გადმობირებას შეეცადა. ამ პერიოდში მთავარმართებელ გენერალ გუდოვიჩის დავალებით რუსი მოხელეები გამუდმებულ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომ ყარსის, აჭარის, ახალციხისა და ახალქალაქის ფაშებთან და ოსმალების მიერ დაკავებული სხვა ციხესიმაგრეების კომენდანტებთან. მათ რუსეთის მოკავშირეობისა და ოსმალეთის სულთნის ღალატის სანაცვლოდ ფულსა და ძვირფასეულობას სთავაზობდნენ.

რუსეთის ჯარის ნაწილები, რომლებიც XIX საუკუნის დასაწყისში ამიერკავკასიაში იმყოფებოდნენ, მცირერიცხოვანი იყო. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რუსეთის მხარეზე ქართველთა და კავკასიის სხვა ხალხთა მონაწილეობას ირანელ და ოსმალო დამპყრობთა წინააღმდეგ ომებში.

ბრძოლაში საქართველოს მხრიდან დაახლოებით 2000-მდე მეომარი მონაწილეობდა. რუსეთის მხრიდან – 5000-მდე, ოსმალეთს ჰყავდა დაახლოებით 10 000-მდე ასკერი. ორივე მხარე შეიარაღებული იყო ზარბაზნებით, შაშხანებითა და დამბაჩებით, რომელთა რაოდენობა დაკონკრეტებული არ არის. კავკასიის ფრონტი საყურადღებო იყო იმ მხრივაც, რომ აქ წყდებოდა რუსეთთან კავკასიის საბოლოო შეერთებისა თუ ჩამოცილების საკითხი.

ოსმალეთის მთავარ ციტადელებს საქართველოში ახალციხე, ახალქალაქი, ფოთი, სოხუმი, რედუტ-კალე (ყულევი) და ანაკლია წარმოადგენდნენ. ბუნებრივია, რუსების სარდლობას საომარი ოპერაციები ოსმალეთის წინააღმდეგ სწორედ ზემოაღნიშნული სიმაგრეების მიმართულებით უნდა წარემართა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფოთის ციხესიმაგრის აღება.

ბრძოლები ძირითადად დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ტერიტორიებზე წარიმართა, რომლის მეტი ნაწილი ძირითადად ვაკე, ტყე-ჭაობიანი ადგილი იყო, მას საბრძოლო მოქმედებების ჩატარებისთვის გააჩნდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ფოთის ციხესიმაგრის მდებარეობის, იმდროინდელი მდგომარეობისა და რუსეთისთვის მისი უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, საინტერესოა საქართველოში მყოფი გენერლის სიმონოვიჩის მოსაზრება: „ფოთის ციხე მდებარეობს მდინარე რიონის შესართავიდან ერთ ვერსზე და გაბატონებული მდგომარეობა უკავია ამ მდინარეებზე. იგი ემსახურება იმერეთთან და სამეგრელოსთან კომუნიკაციების შენარჩუნებას. ამჟამად ის წარმოადგენს, აგრეთვე, თურქების პირველ მოსაზღვრე ციხეს. მისი მნიშვნელობა განუსაზღვრელი იქნება მშვიდობიანობის დროს თურქებთან ვაჭრობაში“.

სამხედრო კუთხით კი იგი ერთგვარ პლაცდარმს წარმოადგენდა დესანტის გადმოსხმისა და საბრძოლო მოქმედებების განვითარებისათვის.

სიმონოვიჩი ხაზს უსვამდა ფოთის ციხესიმაგრის უარყოფით მხარეებსაც. ეს განსაკუთრებით ეხებოდა გეოგრაფიული და კლიმატური პირობების სირთულეს. თვლიდა, რომ ჭაობიანი ნიადაგი და ნესტიანი ჰაერი უარყოფითად მოქმედებდა ჯარისკაცების ჯანმრთელობაზე და მათ ხშირ სიკვდილიანობას იწვევდა. იგი წერდა: ,,თუ შევადარებთ ფოთის ციხესიმაგრის სარგებლობიანობასა და უარყოფით მხარეებს, დავინახავთ, რომ დადებითი გადაამეტებს უარყოფითს. ის მნიშვნელობა, რომელსაც ფოთის ციხეს ანიჭებს მდინარე რიონი, არის კიდევ ერთი აშკარა დადასტურება იმისა, რომ მისი მოსპობა, დანგრევა არაფრით არ შეიძლება. პირიქით, ის უნდა დავიკაოთ და შევინარჩუნოთ როგორც ადგილი, როგორც სამდინარო და საზღვაო გზა. განსაკუთრებით იმიტომ, რომ დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების პურით გამოსაკვებად სამეგრელოსა და იმერეთზე დაყრდნობა არ შეიძლება''.

1807 წლის მარტში ჩატარდა ფოთის ციხისა და გარნიზონის რეკოგნოსცირება, რის შემდეგაც ისინი დარწმუნდნენ, რომ ციხეს საუცხოო მდებარეობა ჰქონდა. მის შიგნით მყოფი გარნიზონისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა მისი დაცვა. რედუტის (საველე თავდაცვითი გამაგრება, რომელსაც სწორკუთხა, მრავალკუთხა და სხვა ფორმა აქვს; შემოვლებული აქვს თხრილი ან მისაყრელი; ერთგვარი საყრდენი პუნქტი) მხრიდან ფოთის ციხემდე მისვლა მხოლოდ მდინარე რიონის მეორე ნაპირზე გადასვლის შემდეგ იყო შესაძლებელი, რის გამოც ჯარების მასთან მიახლოებისთვის აუცილებელი იყო ნავები. ფოთის ციხესიმაგრე თურქებისგან ძალიან მტკიცედ იყო გამაგრებული. მისი იერიშით აღება საკმაო სიძნელეებს უკავშირდებოდა, რაც აუცილებლად გამოიწვევდა დიდ მსხვერპლს. თანაც, საეჭვო იყო მასზე შეტევა წარმატებით დამთავრებულიყო. ამიტომ რუსეთის სარდლობამ მიზანშეწონილად მიიჩნია მისი ბლოკირება.

რუსებმა კარგად იცოდნენ, რომ ოსმალები ფოთს უბრძოლველად არ დათმობდნენ და გენერალური შეტევისთვის დიდხანს და საგულდაგულოდ ემზადებოდნენ. ამიტომ, დასავლეთ საქართველოში თავს უყრიდნენ სამხედრო შენაერთებისა და იარაღის მნიშვნელოვან მარაგს. 1807 წლის თებერვლის შუა რიცხვებში ქუთაისში გადაისროლეს ეგერთა ბატალიონი. მარტში ყულევში უკვე განლაგებული იყო რუსების 5 ასეული და შეტანილი იყო საჭიროზე მეტი იარაღი.

პორტა სიფრთხილეს იჩენდა და ციხის გარნიზონის მოსამარაგებლად სახმელეთო გზებს არ იყენებდა. ფოთს ზღვიდან, გემების საშუალებით ამარაგებდნენ სურსათით, იარაღითა და საბრძოლო მასალებით. ოსმალები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებინათ აღნიშნული ციხესიმაგრე.

1807 წლის თებერვალში სამეგრელოს სამთავროს დედოფალმა ნინომ ჯარის შეკრების ბრძანება გასცა. თებერვლის დასაწყისში მეგრელთა რაზმი 100 კაცის შემადგენლობით თავად გიორგი მზეიძის ხელმძღვანელობით უკვე ჭალადიდთან იმყოფებოდა, მას უნდა ედარაჯა გადასასვლელისთვის. ამავე დროს ყულევში 100 კაცით გამოცხადდა თავადი დაკით ჩაჩუა, რუხის ციხის დაცვა კი მეგრელთა ჯარს დაევალა. სამეგრელოს მეომრები გამოყენებული იყვნენ ახლომდებარე საზღვრისპირა ციხეების დაცვისთვისაც, რამაც რუსებს საშუალება მისცა, რეგულარული ჯარები ფრონტის წინა ხაზზე გადაესროლათ და უშუალოდ ფოთის ალყაში ჩაებათ.

ფოთისთვის ბრძოლებში აფხაზებიც მონაწილეობდნენ. 1807 წლის მარტში აფხაზები თავად მანუჩარ შერვაშიძის ხელმძღვანელობით მდინარე ხობის მარჯვენა ნაპირზე იდგნენ. ფოთის ციხესიმაგრის ბლოკირებისთვის შეიქმნა მოხალისეთა სამეგრელოს რაზმები ნიკო დადიანის მეთაურობით, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფოთზე მიტანილ იერიშში. მათ შემადგენლობაში დიდებულებთან ერთად უმაღლესი იერარქიის სასულიერო პირებიც შედიოდნენ. სამეგრელოს მოსახლეობის მობილიზაციასა და საბრძოლო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ჭყონდიდის მიტროპოლიტმა ბესარიონმა, ცაიშის მიტროპოლიტმა გრიგოლმა და სხვებმა.

რუსების ჯარი და სამეგრელოს ლაშქარი გენერალ რიკჰოფის სარდლობით 1807 წლის 8 მაისს ფოთის ციხესიმაგრეს მიადგა. მათ ოსმალთა გარნიზონს ციხესიმაგრის ჩაბარება მოსთხოვეს, რაზედაც ოსმალებმა უარით უპასუხეს. ამის შემდეგ ფოთზე იერიშის ბრძანება გაიცა. რუსეთისა და ქართველების მოწინავე რაზმებმა, რომლებსაც პოლკოვნიკი ტარასოვი და თავადი ნიკო დადიანი სარდლობდნენ, მედგარი ბრძოლის შედეგად შეძლეს ქალაქის მისადგომებზე ოსმალების დამარცხება და ქალაქში იერიშით შეჭრა. უკუქცეულმა ოსმალებმა თავი შეაფარეს ციხესიმაგრეს და მოშალეს ციხეში შესასვლელი ყველა ხიდი, რომლებიც გადებული იყო ციხის ირგვლივ შემოვლებულ

წყლით ავსებულ განიერ თხრილზე. მალე მოწინავე რაზმებს შეუერთდა ქართველ და რუს მეომართა დიდი ნაწილი. მათ ბლოკადაში მოაქციეს ფოთის ციხესიმაგრე. ოსმალეთის სარდლობამ განიზრახა, ბათუმიდან გამოეგზავნა ფოთის გარნიზონის მისაშველებლად დიდძალი ჯარი გენერლების — დუჩი ოღლისა და ოსმალ-ოღლის მეთაურობით.

რუსეთის ხელმძღვანელები თვლიდნენ, რომ ფოთი საკმაოდ გამაგრებული იყო, მხოლოდ ბლოკადით მისი აღება გაძნელდებოდა და დროში გაიწელებოდა. ამის გამო გამოთქვეს მოსაზრება, რომ ფოთის ბლოკადიდან იერიშზე გადასულიყვნენ. შედგა გეგმა, რომლის მიხედვითაც ზღვიდან ფოთის ორივე მხარეს უნდა გადაესხათ დესანტი და იერიში მიეტანათ ციხესიმაგრეზე. ფოთი საკმარისად იყო გამაგრებული, მას მაღალი და მაგარი კედლები ჰქონდა, რაც აუცილებლად გამოიწვევდა დიდ მსხვერპლს. ამ პერიოდში გაჩნდა შიდა არეულობის საშიშროებაც. გენერალმა რიკჰოფმა თბილისიდან სარეზერვო ჯარები მოითხოვა. მათ გარეშე რუსებს გაუძნელდებოდათ არა მარტო პოზიციების შენარჩუნება, არამედ საფრთხე თვით ყულევსაც შეექმნებოდა. ჭაობებისა და ნესტისაგან ჯარისკაცებს ციების ნიშნები აღმოაჩნდათ. რუსებმა გადაწყვიტეს 1807 წლის 19 მაისს ფოთისთვის ალყა მოეხსნათ.

რუსების მიერ ფოთის ციხესიმაგრის წარუმატებელი იერიშის შემდეგ ოსმალები შეეცადნენ, თავიანთი ბატონობა აღედგინათ სამეგრელოზე. მათ ამისთვის მზადება 1807 წლის ივნისში დაიწყეს. თურქებმა განიზრახეს, თავს დასხმოდნენ ჭალადიდში არსებულ სადარაჯო საგუშაგოზე განლაგებულ ეგერთა (ქვეითი ცხენოსანი ჯარისკაცი) მე-9 პოლკს. ანტითურქულ მოძრაობას სამეგრელოს მთავრის ოჯახი ხელმძღვანელობდა. სამეგრელოს დედოფალმა თავისი ჯარების ნაწილი განალაგა ჭალადიდში, იმ გზაზე, რომელიც ფოთის ციხესიმაგრეში მიდიოდა.

1807 წლის ივლისის პირველ რიცხვებში ოსმალთა დიდი რაზმი ზღვიდან ნაკეებით მიადგა მდინარე ნაბადას და მის მარჯვენა სანაპიროზე გადმოსხა 700 კაცისგან შემდგარი დესანტი. 6-7 ივლისს რუსეთის ჯარის ნაწილებმა და სამეგრელოს რაზმებმა სასტიკი მარცხი აგემეს მათ. ოსმალები გაიქცნენ, ბრძოლის ველზე დატოვეს დიდძალი საომარი მასალა და მებრძოლთა საკმაო რაოდენობა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

1807 წლის აგვისტოში ვალახიის ქალაქ სლობოდეაში დაიწყო საზავო მოლაპარაკებები რუსეთსა და ოსმალეთს შორის. ამ ზავის პირობები გაცილებით უფრო ხელსაყრელი იყო ოსმალეთისთვის, ვიდრე რუსეთისთვის.

ბრძოლის განახლება: 1809 წლის დამდეგიდან რუსეთის მთავრობის მთელი ყურადღება გამახვილებული იყო შავი ზღვის აუზში მის ხელთ არსებული ფორპოსტების გამაგრებასა და ოსმალეთის სიმაგრეთა დაპყრობაზე. რუსეთის სარდლობას მიღებული ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ დარდანელის სრუტეში მყოფი ინგლისელთა 8 და ოსმალთა 15 ხომალდი, თანმხლები მრავალი მსუბუქი გემით შავი ზღვის აუზში შემოსვლას აპირებდა. მათ უნდა დაებომბათ რუსების ნავსადგურები და იქ 2000-იანი დესანტი გადმოესხათ. ასეთ მომენტში ფოთის აღებას უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ეს მოწინააღმდეგის გემებისთვის მძლავრი დარტყმა იქნებოდა.

როგორც მასალებიდან ირკვევა, გენერალ დიმიტრი ორბელიანს მოკავშირეები ჰყავდა ციხესიმაგრეში. 1809 წლის მაისში მას აფხაზმა მთავარმა ასლან ბეი შერვაშიძემ აცნობა, რომ ოსმალებს განზრახული ჰქონდათ, ფოთიდან თავს დასხმოდნენ ჭალადიდთან მდებარე კუნძულზე მდგარ ქართველთა რაზმს, რომელსაც გარშემო უვლიდა მდ. რიონი. მათი შეპყრობა თურქებს ადვილად შეეძლოთ. ორბელიანმა ისინი გადაიყვანა რიონის ნაპირზე და სამეგრელოს დედოფალს სთხოვა, ამ ადგილის უსაფრთხოებისთვის მიეკლინა 100 მებრძოლი ნიკოლოზ დადიანის ხელმძღვანელობით. 1809 წლის ივნისში ვითარება სამეგრელოსა და აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა. სამეგრელოს დედოფლის შეტყობინების თანახმად, სოხუმის ციხეში მივიდა პატარა გემით თურქეთის წარმომადგენელი, რომელმაც ასლან ბეის აღუთქვა ყველანაირი დახმარება — ფულით, ჯარით, იარაღით. ფოთის კომენდანტმა კი თურქებისგან ითხოვა დახმარება ფოთის გასაძლიერებლად და სამეგრელოზე თავდასასხმელად. ჯარი საკმაო რაოდენობით გროვდებოდა. მათ სურდათ, აფხაზეთის მხრიდან დაეკავებინათ ანაკლია.

1809 წლის 17 ივლისს გენერალმა ორბელიანმა ფოთზე შეტევის ბრძანება მიიღო. მომზადების შემდეგ, 12 აგვისტოს, ჯარი ქუთაისიდან გავიდა. 13-ში ორბელიანი უკვე რიონის

მარჯვენა ნაპირზე იყო, საიდანაც თავისი რაზმის ნაწილი იმავე დღეს გადაიყვანა რიონის მეორე ნაპირზე. ეს რაზმები სამეგრელო-აფხაზთა რაზმების დახმარებით 14 აგვისტოს ორბელიანმა ფოთიდან 4 ვერსით (4200 მ.) დაშორებული ადგილის დასაკავებლად გაგზავნა. თვითონ ორბელიანი დარჩენილი რაზმებითა და იარაღით გაეშურა იმ ადგილამდე, სადაც რიონზე ბორანი იყო, აქედან შეიძლებოდა არტილერიის გადაყვანა. მეგრელები და აფხაზები აქვე მოგროვდნენ.

13 აგვისტოს ვახტანგ და დავით გურიელებს მიეცათ ბრძანება, შესულიყვნენ გურიის მხრიდან და ფოთის შორიახლოს გაჩერებულიყვნენ. იმ შემთხვევაში, თუ მტერი დახმარების აღმოსაჩენად ფოთის შემოგარენში შევიდოდა, მათ უნდა დაერტყათ ზუგდიდიდან და გაენადგურებინათ იგი. ეს დავალება მათ წარმატებით შეასრულეს. მათ განუცხადეს ორბელიანს, რომ დაიკავებდნენ ბათუმიდან მომავალ გზასაც, რაც შეასრულეს კიდეც.

14 აგვისტოს დილით ორბელიანმა ფორშტადტის (საინჟინრო თვალსაზრისით გამაგრებული მეწინავე სადარაჯო-საგუშაგო) ასაღებად გააგზავნა ქართველთა რაზმები პოლკოვნიკ ნიკოლოზ დადიანისა და თავად მანუჩარ შერვაშიძის ხელმძღვანელობით. მათ გასაძლიერებლად მისცა ეგერთა მე-9 პოლკი და მუშკეტერთა პოლკის ერთი ასეული. ამ რაზმების მიერ ფორშტადტის დაკავების დროს ქვემეხებიდან განუწყვეტლად ესროდნენ ციხესიმაგრეს. ამან არ მისცა მტერს საშუალება, რომ დიდი ზიანი მიეყენებინა ფორშტადტის დასაკავებლად წასული რაზმებისთვის. ფორშტადტი დაიკავეს და მტერი მთლიანად გამოდევნეს. ამ ოპერაციას შეეწირა 8 ადამიანი, დაიჭრა 12. მეწინავე პოზიციების აღებაში თავი ისახელეს დადიანებმა, შერვაშიძემ, გურიელებმა. ოპერაციაში მონაწილეობდნენ ჭყონდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტები. ბრძოლაში აქტიურობდნენ სამეგრელოსა და გურიის სახალხო მილიციის რაზმები. მოლაშქრეთა შორის იყვნენ აფხაზებიც და ცაიშის ეპისკოპოსის სამწყსოში შემავალი სამურზაყანოს მოსახლეობაც. ასეთი მანევრისა და ფორშტადტის აღების შემდეგ ორბელიანმა აგვისტოს შუა რიცხვებში ფოთის ციხე-სიმაგრეს ალყა შემოარტყა.

1809 წლის სექტემბერში ორბელიანი ფოთის ალყის გაგრძელების გამო წერდა, რომ ვერასოდეს იფიქრებდა, თუ ფოთი ასეთი გამაგრებული, ზარბაზნებით აღჭურვილი და საბრძოლო მასალით მომარაგებული იქნებოდა: „არ ივარგებს, რომ ციხესიმაგრის ხელში ჩაგდების მიზნით ხოცვა-ულეტა მოვაწყოთ. ციხე იმდენად მაღალია, რომ მისი იერიშის დროს დანაკარგები დიდი იქნება, მე კი ხალხს ყოველთვის ეუფრთხილდები. არ მინდა, რომ ერთი ჯარისკაციც დაეკარგო უსარგებლოდ. ამჟამად, გავიმარჯვებთ რა მთავარ მტერზე, ციხესიმაგრის დამცველები ჩავარდებიან მძიმე მდგომარეობაში, რის შემდეგაც ფოთი ჩაგებარდება ზედმეტი დანაკარგის გარეშე, მე რომელმაც მივიღე მისი ალყის გადაწყვეტილება, მისი ხელში ჩაგდების გარეშე აქედან არსად წავალ“.

გენერალი ორბელიანი ფოთის მეციხოვნეთა რაოდენობის დაზუსტებას შეეცადა. გენერალ ტორმასოვის ცნობით, ფოთის გარნიზონი 400-მდე ჯარისკაცისგან შედგებოდა. სხვა წყაროს მიხედვით კი 1808 წელს ციხესიმაგრეს 1000-მდე ოსმალო ჯარისკაცი იცავდა.

ოსმალეთის ჯარების სარდლობამ გადაწყვიტა, რომ რუსების მხრიდან ფოთზე იერიშის მიტანამდე რუსთა ხანგრძლივ ალყაში მყოფი ფოთისთვის ჯარი მიეშველებინა. 1809 წლის ოქტომბერში მისაშველებლად ბათუმისკენ დაიძრა ტრაპიზონის სერასკირი შერიფ-ფაშა 9000-იანი ჯარით. რუსებმა კი საპასუხოდ გააგზავნეს თბილისიდან ფოთისკენ სიმონოვიჩი, რომელსაც გააყოლეს დავით თარხანოვი – თავად ზურაბ წერეთლის სიძე.

1809 წლის 2 ნოემბერს გენერალ-მაიორ დ. ორბელიანის ხელმძღვანელობით რუსებმა წარმატებით დაასრულეს ოსმალთა დამხმარე ჯარის მოგერიების ოპერაცია. შერიფ-ფაშას დამარცხების შემდეგ ფოთის კომენდანტმა გარედან დახმარების იმედი დაკარგა. მან ისიც იცოდა, რომ რუსებმა ორბელიანის დასახმარებლად გაგზავნა ორი ბატალიონი. შექმნილ ვითარებაში წინააღმდეგობის გაგრძელება უაზროდ მიიჩნია და 15 ნოემბერს დანებებდა.

ამ ბრძოლაში დაწყებით ეტაპზე მოწინააღმდეგეს ძალებისა და საშუალებების შენარჩუნებაში ხელი შეუწყო საინჟინრო თვალსაზრისით კარგად გამაგრებულმა ციხესიმაგრემ. მიუხედავად ამისა, მან ვერ გამოიყენა ძალებისა და საშუალებების უპირატესობა, რადგან სწორად და დროულად ვერ შეძლო ძალთა გადაჯგუფება. ნაკლები ყურადღება მიაქცია ადგილმდებარეობასაც.

ორბელიანმა ეფექტურად გამოიყენა ძალები და საშუალებები, მანევრი, ძალთა გადაჯგუფება. ქართული რაზმების მიერ მნიშვნელოვანი გზების გადაკეტვით მოწინააღმდეგეს დამხმარე ძალების

მიღების საშუალება მოუსპო. მან მეწინავე საგუშაგოების ნეიტრალიზებით შექმნა ალყის ორგანიზებისა და წარმართვის პირობები, რომელიც წარმატებით ჩატარდა.

ოსმალებმა მთელი ბანაკი დათმეს. მათ ბრძოლის ველზე 500 ჯარისკაცი მოუკლეს. ტყვედ ჩავარდა 300 მებრძოლი. უკანდახეულ ოსმალებს დაედევნენ გურულები, აფხაზები, მეგრელები და ზღვის სანაპირომდე მისდიეს. დამარცხებული ოსმალები უწესრიგოდ ჩასხდნენ ნავებში, რომელთაგან ზოგი ზღვაში გასვლისთანავე ჩაიძირა მეზავრთა სიმძიმის გამო. პანიკური უკანდახევისას შავ ზღვაში დაიხრჩო მრავალი თურქი ჯარისკაცი. უკანდახეულ ოსმალებს 24 საბრძოლო დროშა და ერთი ქვემეხი წაართვეს. გარნიზონი ჩაბარდა გენერალ-მაიორ ორბელიანს. მასვე გადასცეს ციხესიმაგრის გასაღები, სადაც ოსმალებმა დატოვეს 34 ქვემეხი, ტყვია-წამალი და სხვადასხვა იარაღი.

1810 წლის 8 ივლისს, რუსთა სამხედრო გემები კაპიტან ოდტის სარდლობით სოხუმს მიადგნენ და ორი დღის დაძაბული ბრძოლების შემდეგ, 11 ივლისს აიღეს იგი. სოხუმში რუსთა გარნიზონი ჩადგა.

იერიში მიიტანეს ახალციხის საფაშოზეც, რომელიც იმ სამხედრო-სტრატეგიულ ბაზას წარმოადგენდა, საიდანაც ოსმალეთი ხელსაყრელ მომენტში მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას ცდილობდა. რუსეთის არმიის ოფიცრის როტიეს ცნობით, ახალციხის ლაშქრობაში 4000-მდე ქართველი მონაწილეობდა. ახალციხის ციხესიმაგრე ძლიერ შეავიწროვა რუს-ქართველთა ჯარმა. 19 ნოემბერს ოსმალებმა სამჯერ სცადეს იერიშზე გადმოსვლა, მაგრამ სამჯერვე დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან. მარტო ერთი დღის მანძილზე მათ 300-მდე ჯარისკაცი დაკარგეს. ოსმალთა გარნიზონმა ბრძოლაში მნიშვნელოვანი მარცხი განიცადა.

ახალციხის ალყის დროს ქართველთა მილიციაში შავი ჭირი გაჩნდა. ხელმძღვანელები იძულებულნი გახდნენ, მოეხსნათ ახალციხისთვის ალყა და უკან გაბრუნებულიყვნენ. ამ ექსპედიციის შედეგად ოსმალთა ტყვეობიდან 1 500-მდე იმერელ და ქართლელ გლეხთა ოჯახი განთავისუფლდა. 1811 წლის 8 დეკემბერს ახალციხის საფაშო აიღეს. 1812 წლის მაისში ბუქარესტში ზავი დაიდო ოსმალეთთან.

ზემოაღნიშნულისა და საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთ-ოსმალეთი საქართველოს მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა. გარდა ამისა, საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრებმა მოსახლეობამ ქრისტიანობა შეინარჩუნა.

§4. ბრძოლა ჩოლოქთან (1854 წელი)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-ოსმალეთის (1853-1856) ყირიმის ომს საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან საბრძოლო ოპერაციები გურია-აჭარის რეგიონში მიმდინარეობდა და საომარი კამპანიის ნაწილს წარმოადგენდა. ერთმანეთს უპირისპირდებოდა ოსმალთა კორპუსი მუშირ სელიმ-ფაშას ხელმძღვანელობით და რუსული რეგულარული ჯარისა და ქართული მილიციის რაზმები გენერალ-ლეიტენანტ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით. ოსმალეთს ამ ბრძოლაში ეკონომიკურად ბრიტანეთი უჭერდა მხარს, რადგან ორივე სახელმწიფოს საერთო სტრატეგიული მიზნები ჰქონდათ სამხრეთ კავკასიაში.

მოწინააღმდეგის ამოცანა: ბათუმში მყოფი კორპუსის ძალებით ოზურგეთი-ქუთაისი-ზესტაფონის მიმართულებაზე საბრძოლო მოქმედებების წარმართვა და შემდეგ სურამი-ხაშურის მიდამოებში ახალციხე-ახალქალაქში მოქმედ კორპუსთან შეერთება.

ქართული საბრძოლო ნაწილების ამოცანა: ბათუმში მყოფი მოწინააღმდეგის საბრძოლო მოქმედებების აღკვეთა და მდინარე ჩოლოქის მიდამოებში თავდაცვითი პოზიციების აღდგენა.

მებრძოლი მხარეების თანაფარდობა: ოსმალეთის (ბათუმის) კორპუსი – 35 000 (ცხენოსანი და ქვეითი) მებრძოლი, საარტილერიო ნაწილები; რუს-ქართველთა საბრძოლო ნაწილები და ქვედანაყოფები – სულ 10 0000. ქვეითი რეგულარული ჯარის 11 ბატალიონი. გურიის 6 ქვეითი რაზმი. იმერეთის მილიციის 6 ქვეითი და 5 ცხენოსანი ასეული. 18 საარტილერიო დანადგარი, მათ შორის 8 მსუბუქი და 10 სამთო ქვემეხი.

ბრძოლის არეალი იყო გურია-ქობულეთის რაიონი, მდინარეების რიონსა და კინტრიშს შორის. რელიეფი — ვაკე-ბორცვიანი, მთა-ბორცვიანი, მცირე და საშუალო სიდიდის ხევებით დაღარული. მცენარეული საფრით მდიდარი.

ადგილმდებარეობა ხელს უწყობდა დაპირისპირებულ მხარეებს ძალთა ფარულ გადაადგილებაში. ზოგიერთი ადგილი მნიშვნელოვნად ზღუდავდა საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას მანევრირების საშუალებას და დიდი ძალების ეფექტურად გამოყენებას.

მოწინააღმდეგის ავანგარდმა (12 000 მებრძოლი) გადალახა მდინარე ჩოლოქი. ბრძოლით აიღო ადგილობრივი მცირე ძალებით გამაგრებული სოფლები (მამაი, აკეთი) და სოფელ ნიგოითთან შეუტია თავად მაჭუტაძეების სასახლეს. 1854 წლის 27 მაისს, (სოფ. ნიგოითთან, სამტრედია-ლანჩხუთის მონაკვეთი) შეტაკება მოხდა მოწინააღმდეგის საავანგარდო ნაწილებსა და ქართული საბრძოლო ნაწილის უსაფრთხოების ქვედანაყოფებთან. სამტრედიისკენ მიმავალ გზას იცავდა პოლკოვნიკი ნ. ერისთავი 2 ბატალიონითა (კავალერია, ქვეითები) და 4 ქვემეხით. ნ. ერისთავი მოულოდნელად თავს დაესხა მტერს და ცეცხლით იერიშის შემდეგ ხელჩართული ბრძოლა გაუმართა მოწინააღმდეგეს. პანიკაში ჩავარდნილმა მტრის ავანგარდმა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოყენა, დიდი დანაკარგების შედეგად უკუიქცა და ოზურგეთში გამაგრდა. ბრძოლაში ოსმალებმა (მოკლული და დაჭრილი) 3 000 მებრძოლი დაკარგეს, ქართველებმა — 600.

სოფელ მარანთან განლაგებულმა გენერალმა ანდრონიკაშვილმა შტაბიდან განკარგულება მიიღო — დაუყოვნებლივ დაეწყო შეტევა ოსმალეთის მთავარ ძალებზე, რომლებიც ოზურგეთში იყვნენ განლაგებულნი.

1854 წლის 29 მაისს რუს-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი სოფელ მარნიდან ოზურგეთისაკენ დაიძრა. მოწინააღმდეგეს შეუმჩნეველი არ დარჩენია საბრძოლო ნაწილების გადაადგილება, რის გამოც სელიმ ფაშამ და მისმა მებრძოლებმა ოზურგეთი სასწრაფოდ დატოვეს და უკან დახევის შემდეგ მდინარე ჩოლოქთან, მარცხენა ნაპირზე, წინასწარ გამაგრებულ პოზიციებზე განლაგდნენ. ქართველთა ლაშქრის მარშზე მყოფი ნაწილებისათვის ზიანის მიყენების მიზნით, ოსმალებმა მეწინავე პოზიციები ჩოლოქის მარჯვენა ნაპირზეც მოაწყეს და საგულდაგულოდ გაამაგრეს.

3 ივნისს, საღამოს, გენერალმა ანდრონიკაშვილმა სამხედრო საბჭო მოიწვია. ვითარების შეფასების შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მეორე დილით, ოზურგეთი-ქობულეთის მიმართულებით ბრძოლა დაეწყოთ. გამთენიისას ქვედანაყოფებმა ოზურგეთი დატოვეს და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით გადაადგილება დაიწყეს. ავანგარდში მოქმედებდა გურიის ქვეითი ლაშქარი და ცხენოსანი რაზმი. მთავარ ძალებში კი რეგულარული ჯარი, საარტილერიო ქვედანაყოფი და ადგილობრივი ლაშქრის დანარჩენი ნაწილები.

ავანგარდის ძალები ორ ნაწილად გაიყო. პირველი ჯგუფის ამოცანას სოფ. ქაქუთის მხრიდან მანევრის ჩატარება და მტრის მეწინავე პოზიციებზე, მარცხენა ფლანგიდან ზურგში იერიშის მიტანა შეადგენდა, მეორე ჯგუფისას კი — პირველი ჯგუფის მოქმედებების შენიღბვის მიზნით, მოწინააღმდეგის მეწინავე ძალებთან ბრძოლაში ჩაბმა. მტრის მეწინავე პოზიციებზე ქართული ლაშქარის საავანგარდო შეტაკებები წარმატებით დასრულდა, რამაც წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით ლაშქრის მთავარი ძალების შეუფერხებელი გაშლა და ბრძოლაში ჩაბმა განაპირობა.

მოწინააღმდეგის ქვედანაყოფები მდ. ჩოლოქის მარცხენა სანაპიროს საკმაოდ ძლიერ და ხელსაყრელ პოზიციებზე — მაღლობებსა და სერებზე განლაგდნენ. ოსმალების პოზიციების მარჯვენა ფლანგი მდინარისკენ დაქანებულ ციცაბო ფერდობს ებჯინებოდა, ხოლო მარცხენა ფრთა — ხშირი ფოთლოვანი ტყით დაფარულ ღრმა ხევს.

ანდრონიკაშვილის ქვედანაყოფებმა მდ. ჩოლოქი კოლონებად გადალახეს. იმავდროულად, არტილერიამ, პოლკოვნიკ მამაცაშვილის მეთაურობით, მტრისგან 400 საჟენზე (840 მეტრი) პოზიციები დაიკავა და ცეცხლი გახსნა. ოსმალებმა ცეცხლითვე უპასუხეს. მამაცაშვილის საარტილერიო გათვლებიდან 60 მებრძოლი და 40 ცხენი გამოვიდა მწყობრიდან. პოლკოვნიკმა მამაცაშვილმა საჩქაროდ წინ წასწია 18 ქვემეხი. მსუბუქი ქვემეხები თურქების არტილერიასთან განაგრძობდნენ დუელს, ხოლო სამთო ქვემეხები პოზიციებზე მტრის ჯარისკაცებს ანადგურებდნენ. გენერალმა ანდრონიკაშვილმა, შენიშნა რა ოსმალების მხრიდან ცეცხლის შენელება, მოწინააღმდეგის პოზიციებისკენ ორივე (პირველი და მეორე) ქვეითი კოლონა ერთდროულად დაძრა.

პირველი კოლონა იერიშზე გადავიდა და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება. ოსმალებმა იერიშს ვერ გაუძლეს და უკუიქცნენ. მოწინააღმდეგის პირველი პოზიცია სწორედ ქართველმა მოლაშქრეებმა აიღეს, მაგრამ პირველი კოლონა მთავარი ძალებისგან მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა. დადგა კრიტიკული მომენტი, როდესაც შესაძლებელი იყო შემტევი ჯარის პირველი კოლონის ალყაში მოქცევა.

მოწინააღმდეგემ შექმნილი ვითარებით ისარგებლა. ოსმალთა რეგულარული ჯარის 8 ბატალიონი და კავალერიის 3 ესკადრონი პირველი კოლონის 2 არასრული ბატალიონის წინააღმდეგ კონტრიერიშზე გადმოვიდა. დანაკარგები დიდძალი იყო. ასეულებში 30-35 მებრძოლამდე დარჩა. ქვედანაყოფებმა უკან დახევა დაიწყეს და არტილერია რომ არა, მათ სრული განადგურება ემუქრებოდათ. ოსმალების ქვეითი ჯარი ძველ პოზიციებზე გამაგრდა. დაძაბულ ვითარებაში გენერალმა ანდრონიკაშვილმა ბრძანება გასცა, რათა მეორე კოლონის ცხენოსანი ჯარის ერთი ნაწილი დაუყოვნებლივ ოსმალთა პოზიციებში შეჭრილიყო პირველი კოლონის დასახმარებლად. ამავე დროს, მან მთელი კავალერია მოწინააღმდეგის მარჯვენა ფლანგისკენ დაძრა და მას საერთო რეზერვიც მიაყოლა. ეს მანევრი თურქებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მათი რიგები პანიკამ მოიცვა. მეორე კოლონამ ერთდროულად ფრონტიდან და მტრის მარჯვენა ფლანგიდან შეუტია. შემდგომ კავალერიამ მოწინააღმდეგეს ზურგიდან დაარტყა. ფრონტალურ იერიშს დიდად უწყობდა ხელს არტილერიის დროული საცეცხლე მხარდაჭერა, ხოლო მარცხენა ფლანგიდან შესრულებულ მანევრს – ადგილმდებარეობა.

ოსმალებმა ორმხრივ იერიშს ვერ გაუძლეს და არაორგანიზებულად უკან დაიხიეს. ნდრონიკ-აშვილი თავისი ჯარით დაედევნა და გზადაგზა დაუნდობლად ჩეხავდა გაქცეულ მოწინააღმდეგეს. სელიმ-ფაშას კორპუსის ნაშთები საბოლოოდ გაიფანტა.

სოფელ ნიგოითთან გამართულ ბრძოლაში ნ. ერისთავის ქვედანაყოფების მიერ მოპოვებულმა წარმატებამ გენერალ ი. ანდრონიკაშვილის ძირითად ძალებს ოზურგეთისკენ უსაფრთხოდ გადაადგილების, გაშლისა და ბრძოლაში დროულად ჩაბმისა საშუალება მისცა. ყოველივემ ამან კი დასახული ამოცანის შესრულება განაპირობა.

საბრძოლო ოპერაციაში გამოყენებული იყო ტაქტიკური მოქმედებების ისეთი შემადგენელი ნაწილები, როგორიცაა:

- ძალთა არათანაბარი განაწილება;
- შეტევის ძირითადი და დამხმარე მიმართულებების სწორად განსაზღვრა;
- უსაფრთხოების ქვედანაყოფების არასტანდარტული და ავანგარდის ქვედანაყოფების ეფექტური მოქმედება;
- მოულოდნელობის ფაქტორი და მებრძოლთა მაღალი საბრძოლო სულისკვეთება.

გაქცეულთაგან მრავალი ტყვედ ჩაბარდა. მოწინააღმდეგემ მნიშვნელოვანი ზარალი (4000 მებრძოლი) განიცადა. ქართველმა რაზმელებმა ხელთ იგდეს ოსმალების მთელი არტილერია, 36 დროშა, 3 ხელუხლებელი ლოგისტიკური ბანაკი (ალაფი, აღჭურვილობა, სასაპალნე ტრანსპორტი, სამხედრო ინვენტარი და ხაზინა 500 000 მანეთზე მეტი ოქროთი). სელიმ-ფაშა პირად დაცვასთან ერთად ქობულეთისკენ გაიქცა. რუს-ქართველთა საბრძოლო ნაწილების დანაკარგი (დაჭრილ-დაღუპული) 1500-ს აღწევდა. ჩოლოქთან ბრძოლაში მეწინავე ძალების დამარცხებამ საფრთხე შეუქმნა სელიმ-ფაშას კორპუსის დარჩენილ ძალებს. გენერალ ანდრონიკაშვილის გამარჯვებამ ადრე დაკარგული თავდაცვითი პოზიციების დაბრუნება უზრუნველყო. ჩოლოქის თავდაცვის ხაზი კვლავ აღდგა.

§5. ქართველები რუსეთ-ოსმალეთის ომის კავკასიის ფრონტზე (1877-1878 წლები)

პოლიტიკური ვითარება: რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის პერიოდში საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. კავკასიაში განლაგებული ჯარების სარდლად ოფიციალურად ითვლებოდა კავკასიის მეფისნაცვალი, იმპერატორის ძმა მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელმაც ფრონტის სარდლობა უშუალოდ კავალერიის გენერალ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვს დააკისრა.

ამ ომის პერიოდში დღის წესრიგში განსაკუთრებული სიმწვავით დადგა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნების საკითხი, რისთვისაც ქართველი პატრიოტები და რუსეთის სამეფო არმიის შემადგენლობაში მყოფი ქართველი სამხედრო მოღვაწეები თავგამოდებით იბრძოდნენ. ჯერ კიდევ 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფ საქართველოს დაუბრუნდა ისტორიული მესხეთის ნაწილი: აბასთუმანი, ახალციხე, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჯავახეთი, ერუშეთი, ფოთი და სხვა ისტორიული მხარეები. მაგრამ, კვლავ ოსმალეთის გავლენის ქვეშ რჩებოდა აჭარა, ქობულეთი, ბათუმი, ტაოს ჩრდილოეთი ნაწილი — ოლთისი.

1876-1877 წლების ზამთარში (ჯერ კიდევ 1875 წელს დაწყებული) ოსმალეთის ჯარის მობილიზაცია რუსეთის მხრიდან არსებული საშიშროების გამო გააქტიურდა. ოსმალეთი უფრო ნაკლებად დამთმობი ხდებოდა. რუსეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ მუქარის პოლიტიკიდან, რომლის წინაშეც ოსმალები უკან არ იხევდნენ, საომარ მოქმედებებზე უნდა გადასულიყო. ამას ხელს უწყობდა რუსეთის სასარგებლოდ შექმნილი საერთაშორისო ვითარება. 1877 წლის 24 აპრილს რუსეთის მთავრობამ ოსმალეთს ომი გამოუცხადა, რომელშიც საქართველოც აღმოჩნდა ჩართული. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში, ორივე ფრონტზე დაახლოებით 30 000-ზე მეტი ქართველი იბრძოდა. ეს ომი დაიწყო რუსეთის იმპერიას, მის მოკავშირე ბალკანეთის სახელმწიფოებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის. ომის მიზეზი იყო ნაციონალური მოძრაობის აღმავლობა ბალკანეთში, რაც გამოიწვია ბალკანეთის ხალხების მიმართ ოსმალეთის აგრესიულმა პოლიტიკამ. კავკასიის ფრონტმა, მიუხედავად მისი მეორეხარისხოვანი დანიშნულებისა, უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის მხრიდან ომის გამარჯვებით დაგვირგვინებაში. ამრიგად, 1877-1878 წლების ომის მიზეზი რუსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება იყო და მისი გაბატონებული ფენების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. სლავი ხალხის განთავისუფლების ლოზუნგი ცარიზმმა მოხერხებულად გამოიყენა ოსმალეთთან დიპლომატიური და სამხედრო დაპირისპირების საბაბად. რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყების წინ სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მღელვარებამ მოიცვა, რომელიც განსაკუთრებული სიმწვავით ბათუმის, ქობულეთისა და მაჭახელას რაიონებში გამოვლინდა. მოსახლეობა წინ აღუდგა ოსმალეთის მთავრობის მცდელობას, გაედიდებინა გადასახადები და სახელმწიფო ხაზინის უშუალო დაქვემდებარებაში გადაეყვანა მთელი მოსახლეობა, განურჩევლად წოდებისა, ასევე ოსმალეთის ჯარში გაეწვია ახალგაზრდები.

ომში მებრძოლ თითოეულ მხარეს საკუთარი სტრატეგიული მიზნები ჰქონდა. ოსმალეთი უარს ამბობდა აქტიურ სამხედრო ოპერაციებზე ევროპაში და მთელი სამხედრო ძალებით კავკასიის ფრონტზე აპირებდა შეტევას. ამ გეგმით, დერვიშ ფაშას კორპუსი ბათუმიდან დაიძრებოდა ქუთაისისკენ, ხოლო ჩრდილო-კავკასიის ხალხებს ერთიანი აჯანყება უნდა მოეწყოთ ზურგში. გეგმის მიხედვით, კავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარი ორ ცეცხლს შორის მოექცეოდა: ერთი მხრივ, ოსმალეთის ჯარი, მეორე მხრივ — კავკასიის ხალხები. ოსმალეთის ფლოტი, რომელიც შავ ზღვაზე ბატონობდა, უნდა შესულიყო აზოვის ზღვაში და კავკასიიდან უკან დასახევი გზა მოეჭრა რუსეთისთვის. რუსეთის სამხედრო წრეების მთავარ ამოცანას შეადგენდა ოსმალეთის მიერ დაკავებული ტერიტორიების ოკუპაცია, სამხედრო პოტენციალის განადგურება და ამით პოლიტიკური მიზნების მიღწევა. რუსული გეგმის მიხედვით, შეტევა ოთხი მიმართულებით უნდა განვითარებულიყო: ოზურგეთიდან ბათუმისაკენ, ახალციხიდან-არტაანისაკენ, ალექსანდროპოლიდან-ყარსისაკენ, ერევნიდან-ბაიაზეთისაკენ. ძირითადი საბრძოლო მოქმედებების ასპარეზი ანატოლია იყო, რამდენადაც ისეთი სტრატეგიული ციხესიმაგრეების აღებას, როგორებიც იყო ყარსი, არტაანი, ბაიაზეთი და არზრუმი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ომის წარმატებით დასრულებისთვის. ოსმალეთის დამარცხებაში არანაკლები როლი ენიჭებოდა კავკასიის შავიზღვისპირეთის დაცვასა და

საბრძოლო მოქმედების განვითარებას ბათუმის მიმართულებით. რუსულ სამხედრო ნაწილებთან ერთად ქართველ მილიციელთა ნაწილებიც (სახალხო ლაშქარი) იბრძოდნენ.

ქართველი ხალხის ბრძოლა დაკარგული ისტორიული ტერიტორიების შემოერთებისთვის სრულიად შეესაბამებოდა ამ ომში რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს.

საბრძოლო ოპერაციები ჩატარდა მთავორიან რელიეფზე, უგზოობისა და რთულ კლიმატურ პირობებში. 1871 წელს ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის დამთავრებამ ხელი შეუწყო ტვირთის სწრაფ გადაზიდვას აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთში და პირიქით. რელიეფის სირთულით გამოირჩეოდა ციხისძირი, რომელიც მიუვალი იყო როგორც ზღვის მხრიდან, ასევე ხმელეთიდან ციცაბო კლდეებით, რომლებიც მას გარს ეკრა. მკაცრი ზამთრისა და უგზოობის გამო გართულებული იყო ლოგისტიკური მომარაგება, გადაადგილება და ტაქტიკური მარშების შესრულება ყველა მიმართულებით. ტყით დაფარული მთავორიანი რაიონები ორივე მხარეს ურთულებდა საბრძოლო ოპერაციის ჩატარებას.

ომის წინ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა რუსეთის არმიაში. რეფორმების შედეგად, რუსეთის ფეოდალური არმია ბურჟუაზიული ტიპის არმიად გადაიქცა. გაიზარდა ჯარის კონტინ-გენტი, გაუმჯობესდა შეიარაღება, შეიცვალა ომის წარმართვის ტაქტიკა, გამოჩნდა კავშირგაბმულობის ახალი საშუალებები. ომის წინ, მოკლე დროში ამიერკავკასიაში 42 000 კაცი იქნა მობილიზებული, რაც კავკასიის არმიის მეოთხედს შეადგენდა. საქართველოში მოლაშქრეთა 37 საბრძოლო რაზმი შეიქმნა (სულ 102 ასეული – 63 ქვეითი და 39 ცხენოსანი), რომელშიც 18 395 კაცი ირიცხებოდა. ეს პროცესი ომის დროსაც გაგრძელდა. მთლიანად 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში 30 000-ზე მეტი ქართველი მონაწილეობდა. სახალხო რაზმელები ეროვნული ტანსაცმლით გამოდიოდნენ. ყოველ ე.წ. დრუჟინაში ეკლესიის მსახურებიც შედიოდნენ. გურიის პირველი ქართული დრუჟინის მღვდელი იყო რომანოზ დარჩია. არმიისათვის საჭირო საბრძოლო მასალები, სურსათი, ფურაჟი და სხვა ნივთები გლეხებს მამაპაპისეული ტრანსპორტით გადაპქონ-დათ. 39 000-დან თბილისის გუბერნიაზე მოდიოდა 8462 ქვეითი და 1812 ცხენოსანი მილიციელი, სულ – 10 274 კაცი. ქუთაისის გუბერნიაზე – 11 000, ელიზავეტპოლისაზე – 3200, დანარჩენი კი კავკასიის სხვა ხალხზე ნაწილდებოდა, ანუ საქართველოზე მოდიოდა კავკასიის მილიციის ნახევარზე მეტი. კავკასიაში განლაგებული ჯარები კავკასიის ცალკეული კორპუსის ნაცვლად კავკასიის არმიად იწოდებოდნენ, რომელსაც ირანთან და ოსმალეთთან ხანგრძლივი ომის დიდი გამოცდილება გააჩნდა. ომის დასაწყისში კავკასიაში მოქმედი არმია 200 000 კაცს ითვლიდა, 400 ქვემეხით. ქართველი სახალხო რაზმელების საბრძოლო მომზადება 1876 წლის დეკემბრის მეორე ნახევარში დაიწყო. მათ ორი კვირის განმავლობაში შესანიშნავად აითვისეს ბრძოლის წესები და მეთოდები, იარაღის გამოყენება და სხვა. რუსეთის არმიის კადრის მაღალი რანგის ოფიცრები და გენერლები აღტაცებულნი იყვნენ ქართველების საბრძოლო მომზადებით. ამიერკავკასიაში რუსეთის არმია 180 000 კაცს ითვლიდა. ის სამ კორპუსად იყოფოდა. პირველი, რომლის სარდალი მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი იყო, უშუალოდ ფრონტის ხაზზე განლაგდა; მეორე – ე.წ. „რიონის რაზმი", რომელიც 30-ზე მეტი ბატალიონისაგან შედგებოდა, გენერალ ი. ოკლობჟიოს მეთაურობით დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ 1876 წელს განალაგეს. მას ევალებოდა გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის დაცვა; მესამე კორპუსი გენერალ ს. ანდრონიკაშვილის სარდლობით კახეთში, ალაზნის პირას დაბანაკდა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის იმპერია ღრმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა მოიცვა. ოსმალეთის მთელი ტერიტორია 7 სამხედრო ოლქად, ანუ კორპუსად იყოფოდა. ოსმალური სამხედრო ერთეული იმავდროულად ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა. მთავარი ძალა რიგითი მებრძოლი და მათი წრიდან გამოსული უმცროს მეთაურთა შემადგენლობა იყო, რომლებსაც დაბალი დონის სამხედრო განათლება ჰქონდათ. შედარებით კარგად გამოიყურებოდა ოსმალეთის ლაშქარი, რომელსაც სამსახური რეგულარულ ჯარში ჰქონდა გავლილი.

ბრძოლისუნარიანობის, მომარაგების ორგანიზაციითა და საბრძოლო სულისკვეთებით რუსეთის არმია მაღალ დონეზე იდგა, ხოლო შეიარაღების მხრივ ჩამოუვარდებოდა ოსმალეთის არმიას. ომის დაწყების წინ ოსმალეთის შეიარაღებული ძალები 450 000 კაცს ითვლიდა. მათგან ევროპაში იყო 338 000 და ანატოლიაში 70 000 კაცი 96 ქვემეხით.

საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე ანატოლიისაკენ სირიის 33 000-იანი კორპუსი დაიძრა. ოსმალეთის არმიის ჯარისკაცები ძირითადად ციხესიმაგრეებში იყვნენ განლაგებულნი. მუხტარ ფაშას საველე არმია 22 000 მეომარს ითვლიდა. მართალია, ოსმალეთი სუსტად იყო მომზადებული ბალკანეთში, მაგრამ კავკასიის ფრონტზე მოწინააღმდეგეს არ ჩამოუვარდებოდა. რაც შეეხება შეიარაღებას, 1870 წლიდან რუსეთის არმიის ქვეით ჯარებში გამოიყენებოდა ამერიკული ბერდენას სისტემის იარაღის საუკეთესო სახეობა. ინგლისში 30 000 სპირალური ბერდენა შეუკვეთეს.

დღის წესრიგში იდგა გადაიარაღება ფოლადის ზარბაზნებით. ოსმალეთის არმიის შეიარაღებაში კი ომის წინ 325 000 სნაიდერის თოფი იყო, 1300 ნაბიჯზე დამიზნების მანძილით. აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ფირმა პიბოდის მიერ დამზადებული თოფები. შესყიდული პიბოდი-მარტინის თოფი 600 000 ცალი იყო. ხარისხით ეს თოფი ბერდენას ოდნავ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მისი დამიზნების მანძილი 1800 ნაბიჯი იყო. ოსმალეთის ქვეითი ჯარების 70%-მა მიიღო საუკეთესო იარაღი. რუსეთთან შედარებით ოსმალეთის არმიას, გადაიარაღების თვალსაზრისით, დიდი უპირატესობა ჰქონდა. ოსმალებმა დიდძალი ფული დახარჯეს სიმაგრეებზე, სახმელეთო და სანაპირო გამაგრებებზე, სადაც ათასამდე ფოლადის ზარბაზანი განალაგეს. შავ ზღვაზე მყარად ბატონობდა ოსმალეთის ფლოტი, რომელიც 17 დაჯავშნული და 14 დაუჯავშნავი გემისგან შედგებოდა. სულ ოსმალეთის ფლოტში მსახურობდა 15 000 მოსამსახურე და გამოყენებული იყო 763 ზარბაზანი.

კავკასიის ფრონტზე რუსეთის შეიარაღებული ძალები ორ ნაწილად იყოფოდნენ: ძირითადი იყო მოქმედი კორპუსი, გენერალ-ლეიტენანტ ლორის-მელიქოვის მეთაურობით, რომელიც 50 000-მდე მებრძოლს ითვლიდა. მის შემადგენლობაში შედიოდა ახალციხის შენაერთი 14 000 მებრძოლითა და 36 ქვემეხით; ერევნის შენაერთი 10 600 მებრძოლითა და ქვემეხითა და ძირითადი ძალები თვით ლორის-მელიქოვის მეთაურობით – 24 000 მებრძოლით, 92 ქვემეხით, რომელიც დისლოცირებული იყო ალექსანდროპოლში. ბრძოლის მეორე დამხმარე ასპარეზს წარმოადგენდა ზღვისპირეთი, ე.წ. რიონის მხარე, რომლის ჯარების მეთაური იყო გენერალ-ლეიტენანტი ოკლობჟიო, მის განკარგულებაში მყოფი 51 600 კაცითა და 20 ქვემეხით. ამ ჯარებიდან უშუალოდ საბრძოლველად გამოიყო ე.წ. ოზურგეთის რაზმი, 25 000 მებრძოლითა და 2 ბატარეით, შემდგომში ქობულეთის რაზმად წოდებული, რომლის შტაბის უფროსად პოლკოვნიკი ყაზბეგი დაინიშნა. კავკასიის არმიის დანარჩენი ნაწილი განლაგებული იყო მთელ კავკასიაში. მცირერიცხოვანი გარნიზონები იდგნენ ფოთში, სოხუმში, ქუთაისსა და შავიზღვისპირეთის ქალაქებსა და სიმაგრეებში.

მოქმედებების გეგმა: რუსული მხარის საბრძოლო გეგმა:

1. შეტევა ბათუმის, არტაანის, ყარსისა და ბაიაზეთის მიმართულებით, მტრის რაც შეიძლება მეტი ტერიტორიის დაკავების მიზნით, მოწინააღმდეგის ძალების შესაბოჭად და ოსმალებისათვის ბალკანეთში ძალების გადასროლის საშუალების მოსასპობად;
2. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ოსმალეთის დესანტის გადასხმისა და ამიერკავკასიაში მისი შემოჭრის აღკვეთა;
3. ჩრდილო კავკასიაში აჯანყების არდაშვება.

ოზურგეთში, ახალციხეში, ალექსანდროპოლსა და იდგირში განლაგებული კავკასიის არმია ბრძოლისათვის ფაქტიურად მზად იყო. დასაწყისშივე დაზუსტდა ომის გეგმა და მთელი სიმძიმე ქობულეთის რაზმს დააწვა. იგი ახალი ძალებით გააძლიერეს.

ოსმალეთის მთავარსარდლობის გეგმა ძირითადად თავდაცვითი იყო, აქტიური მოქმედება მხოლოდ სამხედრო ფლოტს ევალებოდა შავ ზღვაზე, სადაც მას გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. კავკასიის ფრონტზე მუხტარ ფაშამ შემდეგი გეგმა დასახა:

1. აქტიური თავდაცვა ბაღდადიდან (ერაყი) სამხედრო კორპუსის ჩამოსვლამდე და კონტროლირებად ტერიტორიებზე მყარი თავდაცვის მომზადება;
2. რუსეთის წინააღმდეგ ჩრდილო-კავკასიის მოსახლეობის აჯანყება;
3. მაშველი ძალების მიღების შემდეგ ხელსაყრელი ვითარების შექმნისას კონტრშეტევა ბათუმიდან ქუთაისისკენ, ყარსიდან ალექსანდროპოლ-თბილისისკენ;

4. საზღვაო დესანტით აფხაზეთიდან ქუთაისისკენ წინსვლა.

მთავარი მიზანი იყო კავკასია ყოველმხრივი შეტევით მოეწყვიტათ რუსეთისაგან.

1877 წლის 24 აპრილს ოზურგეთში, ახალციხეში, ალექსანდროპოლსა (ლენინაკანი, დღევანდელი გიუმრი) და იგდირში განლაგებული კავკასიის არმიის ნაწილები საზღვარზე გადავიდნენ და მტრის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეტევა დაიწყეს. მოქმედი კორპუსის ძირითადმა ძალებმა მდინარე არფაჩაი გადალახეს. აქ ავანგარდში მოქმედებდა გენერალ-მაიორ ზ. ჭავჭავაძის კავალერია, რომელმაც გადაიტანა პირველი ბრძოლები და 5 დღის ლაშქრობის შემდეგ ყარსის მახლობლად აღმოჩნდა. ოსმალეთის ჯარების მეთაურს მუხტარ ფაშას მოწინააღმდეგის გადაადგილების შესახებ ცნობები არ გააჩნდა და უკან დახევა გადაწყვიტა. ყარსის 8000-იანი გარნიზონის მეთაურად პუსეინ ავნი ფაშა დატოვა, თავად კი 5000 მებრძოლით სოღანლუღის უღელტეხილის გასამაგრებლად დაიძრა. იგი იმდენად სწრაფად იხევდა უკან, რომ გზაზე ტოვებდა ყველაფერს, რაც ჯარის მოძრაობას აფერხებდა. ზურგიდან მას დევნიდა გენერალ-მაიორ ზ. ჭავჭავაძის კავალერია. კორპუსის დანარჩენმა ძალებმა ყარსის ბლოკადა დაიწყეს. მუხტარ ფაშამ ისარგებლა რუსეთის არმიის ნელი მოქმედებით, შეჩერდა სოღანლუღის მთებზე და ენერგიულად შეუდგა ახალი შენაერთების ფორმირებას.

რუსეთის ჯარების სამხედრო საბჭომ პირველ რიგში ახალციხის ძალების გაძლიერება და არტაანის აღება გადაწყვიტა. 1877 წლის 7 მაისს მაიორ იოსელიანის ცხენოსანი დივიზიონის მოხალისეები, რომელთაც იუნკერი ნაკაშიძე მეთაურობდა, მდინარე მტკვარზე გადავიდნენ და იერიში მიიტანეს მტერზე, დაატყვევეს ოსმალო ჯარისკაცები. ნაკაშიძემ უკან გადმოცურა მტკვარი და თან წამოიყვანა ოსმალო ტყვეები თავიანთი იარაღით. ნაკაშიძისა და მისი 20 მოხალისის გმირობა სათანადო ჯილდოთი აღინიშნა. 17 მაისს ბრძოლა დაიწყო არტაანისათვის. მის მთავარ სიმაგრეს — გიულიავერდის სიმაღლეები და ფორტი ემირ-ოღლი შეადგენდა. იგი მტკვრის მარჯვენა მხარეს, არტაანის გზაზე მდებარეობდა. ამ გამაგრებული ადგილების დაკავება თავად პოლკოვნიკ მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირეჯიბს დავალა. არტილერისტების მიერ ცეცხლის გახსნის შემდეგ ქვეითმა ძალებმა შეტევა დაიწყეს. მიუხედავად მტრის ძლიერი ცეცხლისა, ამირეჯიბმა იერიშით აიღო მოწინააღმდეგის სიმაგრეები, მომდევნო იერიშის შემდეგ კი — ემირ-ოღლის სიმაღლეც.

ოპერაციის ბრწყინვალედ შესრულებისთვის მ. ამირეჯიბს წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენი მიანიჭეს. მტერზე საერთო იერიშის დროს თავი გამოიჩინეს პოლკოვნიკების: მაყაშვილის, ერისთავისა და გენერალ-მაიორ ორეუსის რაზმებმა. ბრძოლებში თავი ისახელა ბატარეის მეთაურმა მუსხელიშვილმა, მისი ქვემეხების ცეცხლი ხელს უწყობდა იერიშის წარმატებით დაგვირგვინებას. მტრის სიმაგრეებზე პირველი ი. მიქელაძის ასეული აიჭრა. ზ. ჭავჭავაძისა და კ. სონღულაშვილის ლეგიონების მებრძოლები ასევე პირველნი ეკვეთნენ მოწინააღმდეგის გამაგრებულ წინა ხაზსა და მტერი უკუაგდეს. პირადი მამაცობით ამხნევებდნენ მებრძოლებს ზ. ჭავჭავაძე, ი. ამილახვარი, ა. მიქელაძე და სხვები. 8-საათიანი ბრძოლის შემდეგ, არტაანი კავკასიის არმიის მებრძოლთა ხელში გადავიდა.

ანატოლიის არმიის სარდალმა მუხტარ ფაშამ ვერც კი მოასწრო, გამაგრებულიყო სონღალუღის მთებზე, რადგან ცნობა მიიღო არტაანის დაცემის შესახებ. მიუხედავად ამისა, მუხტარ ფაშა დარწმუნებული იყო, რომ მომავალი ბრძოლები მის სასარგებლოდ წარიმართებოდა. იგი გეგმავდა რუსეთის ჯარის შეტყუებას ანატოლიის სიღრმეში და შემდეგ მის განადგურებას. მაგრამ, როდესაც დაინახა, რომ რუსები ყარსის ბლოკადას შეუდგნენ, მან ზივინის გამაგრება დაიწყო, სადაც თავს იყრიდნენ ძალები მთელი ანატოლიიდან. მოკლე დროში ოსმალეთის მებრძოლთა რიცხვი 35 000-მდე გაიზარდა.

17 მაისს ყარსთან მოწინააღმდეგე ძალებს შორის ძლიერი საკავალერიო ბრძოლა გაიმართა. გენერალ ჭავჭავაძის კავალერიამ მტერს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა. კორპუსის მეთაურობა ხაზს უსვამდა გენერალ ჭავჭავაძის მიერ საბრძოლო ოპერაციების საუკეთესოდ წარმართვის უნარს. საკავალერიო ბრძოლებში მას მეტად თავისებურ და იშვიათ მეთაურად მიიჩნევდნენ, რადგან მტრის მიმართულებით დარტყმა იმდენად სწრაფი და ძლიერი იყო, რომ მტერმა დაჭრილებიც და საბრძოლო ტექნიკაც ბრძოლის ველზე მიატოვა. ამ სამხედრო ოპერაციის შემდეგ, ოსმალეთის არმიის კავალერიამ კარგა ხნით დაკარგა ბრძოლის უნარი. ასეთივე გმირობით აღინიშნა გენერალ-მაიორ ილია ზაალის ძე ჩოლოყაშვილის ფრონტის მარცხენა ფრთაზე შერკინება. მისი ხელმძღვანელობით მაიორ კვინიტაძისა და მაიორ ჭავჭავაძის პოლკები მტერს ეკვეთნენ და დიდი დანაკლისით

უკუაგდეს იგი. გენერალი ჩოლოყაშვილი სასიკვდილოდ დაიჭრა. იგი II მაისს გარდაიცვალა. ყარსთან ბრძოლაში თავი ისახელეს: დაღესტნის ცხენოსანთა II რეგულარული პოლკის შტაბს-კაპიტანმა იოსელიანმა, 133-ე ქვეითი არმიის პოლკის კაპიტანმა ჩიჩუამ, 56-ე ელიზავეტოპოლის პოლკის მაიორმა მაყაშვილმა, პრაპორშჩიკმა ადეიშვილმა და სხვებმა.

ოსმალთა მიერ ძალთა გადაჯგუფებისა და ხანგრძლივი იერიშების შედეგად რუსეთის არმიის მარცხენა ფლანგი იძულებული გახდა, უკან დაეხია ერევნის მიმართულებით გენერალ-მაიორ ი. ამილახვრის მეთაურობით. მთელი სიმძიმე მისმა კავალერიამ გადაიტანა. მან მთელი სამხედრო აღჭურვილობითა და 2500 სომხური ოჯახით ერევნის გუბერნიისკენ დაიხია. ამის შემდეგ მან იხსნა ბაიაზეთის გარნიზონიც, რომელიც 23 დღე მშიერ-მწყურვალი, რიცხობრივად მასზე ათჯერ მეტი ძალების იერიშებს იგერიებდა. ერევნის რაზმის საბრძოლო მოქმედებებში ამილახვარმა უდიდესი როლი შეასრულა. კავკასიის ფრონტზე ბრძოლის პირველი პერიოდი რუსული კორპუსის ზივინთან მარცხით, ყარსზე ალყის მოხსნითა და უკან დახევით დასრულდა.

კავკასიის არმიის მარჯვენა ფლანგზე, ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა ოზურგეთის რაზმი გენერალ-ლეიტენანტ ოკლობჟიოს მეთაურობით, რომელიც სამ ნაწილად იყოფოდა: მარცხენა კოლონა გენერალ-მაიორ დანიბეგაშვილის, შუა გენერალ-მაიორ შერმეტიევისა და მარჯვენა — პოლკოვნიკ აბაშიძის მეთაურობით. ომის გამოცხადების პირველ დღესვე რაზმი გადაკიდა მდინარე ჩოლოქზე და ბრძოლები გააჩაღა ბათუმის მიმართულებით. იმავე პერიოდში ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა მუხაესტატესა და ხუცუბნისათვის, სადაც თავი ისახელა დანიბეგაშვილის რაზმმა, რომელმაც იერიშით აიღო ხუცუბნის ყორღანი, რომელსაც მებრძოლებმა დანიბეგაშვილის ყორღანი შეარქვეს. მედგრად იბრძოდა პოლკოვნიკ ბუჩქიაშვილის 151-ე ქვეითი პიატიგორსკის ლეგიონი. განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიის ლაშქარი, შტაბსკაპიტან გურიელის მეთაურობით. გურიელის მილიციის რაზმი ყოველთვის ავანგარდში მოქმედებდა, რადგან ბრძოლის ასპარეზს კარგად იცნობდა, ის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო. ოზურგეთის რაზმს ამიერიდან ქობულეთის რაზმი ეწოდა. ცუდი ამინდებისა და მტრის ძლიერი წინააღმდეგობის გამო რაზმი ნელა მიიწევდა წინ. გურიის მილიციის გვერდით იბრძოდა პირველი და მეორე ქართული რაზმი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები გაჩაღდა საზღვრის გადალახვის მეორე დღეს, 25 აპრილს. ქობულეთის რაზმი ძლიერი ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა, ოკლობჟიომ უბრძანა გურიის ლაშქრის მეოთხე ასეულის უფროსს, კაპიტან მაყაშვილს, აეღო ის სიმაგრე, სადაც მტერი იყო განლაგებული და იქ დროშა აღემართა. ბრძანება სისრულეში მოიყვანეს, სიმაღლე დაიკავეს. მაყაშვილის თანამებრძოლები იმდენად გაიტაცა ბრძოლამ, რომ მათი შეჩერება შეუძლებელი გახდა. მარცხენა ხელში დაჭრილ ურიადნიკ შარაშენიძეს თოფისთვის ხელი არ გაუშვია და თავდაუზოგავად ანადგურებდა მტერს. ბრძოლის ველზე დაეცა 16 მამაცი ლიხაურელი, რომლებიც მოხალისეებად ჩაეწერენ ასეულში საბრძოლო ოპერაციების დაწყების წინ. გამოჩენილი გმირობისათვის ასეულის მეთაურ მაყაშვილს წმინდა ანას IV ხარისხის ორდენი გადასცეს წარწერით: „მამაცობისთვის", ხოლო შემდგომ რუმინეთის მეფემ დააჯილდოვა „რუმინეთის ვარსკვლავის ორდენით". ასეთი ჯილდო კავკასიის არმიაში ერთადერთი იყო. გურულ მებრძოლთა გმირობაზე საზღვარგარეთის პრესაც ალაპარაკდა. ბრძოლები ბათუმის მიმართულებით იმდენად ნელა წარიმართა, რომ ქობულეთის რაზმი მხოლოდ ივლისის დასაწყისში მივიდა ციხისძირის სიმაგრემდე, რომლის გადალახვა ვერც ერთ ომში ვერ შეძლო რუსეთის არმიამ. მტრის ბანაკიდან რუსეთის მხარეზე გადასული შერიფ ხიმშიაშვილი, რომელმაც კარგად იცოდა ციხისძირის ბუნებრივი მიუვალობა, ამ ბრძოლის წინააღმდეგი იყო. იგი თვლიდა, რომ ჯერ აჭარა-შავშეთი უნდა აეღოთ და შემდეგ ბათუმი, რის შემდეგაც ციხისძირი თავისთავად აღებული იქნებოდა, რაშიც ის სავსებით მართალი იყო. ციხისძირის ოპერაციებში მსხვერპლის გაღებას ხიმშიაშვილი თავიდანვე ამაოდ მიიჩნევდა. ოსმალებმა, ადგილობრივი მილიციის გარდა, ციხისძირთან თავი მოუყარეს 20 ქვეით ბატალიონსა და 25 ქვემეხს, ქობულეთის რაზმი კი 25 ბატალიონსა და 72 ქვემეხს ითვლიდა. 23 ივლისს ციხისძირის იერიში მარცხით დამთავრდა, რადგან იგი კარგად ორგანიზებული არ იყო რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელთა მიერ. შეუსწავლელი იყო მოწინააღმდეგის განლაგება. მეტად რთული რელიეფური პირობები ერთდროული შეტევის საშუალებას არ იძლეოდა. რუსეთის არმიამ ბრძოლაში 1000 მებრძოლი დაკარგა, ოსმალებმაც თითქმის იმდენივე მხოლოდ მეორე დღის კონტრიერიშის შედეგად. უმცროს მეთაურებს ვ.

მაჭუტაძეს, კ. ლორთქიფანიძეს, ნ. ნაკაშიძეს, დ. ვაჩნაძეს, დ. ვაშალომიძეს ოფიცრობა უბოძეს. ამის შემდეგ, ქობულეთის რაზმმა უკან დაიხია მუხაესტატეს სიმაღლეებზე და ოსმალების იერიშებს იგერიებდა. თავდაცვა ძირითადად ადგილობრივ მილიციას დაეკისრა.

რუსეთის რეგულარული არმიის ნაწილი აფხაზეთში, ნაწილი კი ბრძოლის მთავარ ასპარეზზე — ალექსანდრეპოლის (ლენინაკანი, გიუმრი) რაიონში გადაისროლეს. ომის დასაწყისიდანვე რთული მდგომარეობა შეიქმნა აფხაზეთში. ცარიზმის კოლონიური რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ კულმინაციას მიაღწია და იქ აჯანყებამ იფეთქა. ასეთ დაძაბულ ვითარებაში, 29 აპრილს გუდაუთასთან, ოსმალეთის გემებიდან 1500 კაცი გადმოსხეს მუჰაჯირ მამედ მარღანიას მეთაურობით. დესანტი ძირითადად 1866 წელს გადასახლებული აფხაზებისაგან შედგებოდა. როდესაც უკმაყოფილო ნაწილმა დამხმარე ძალა დაინახა, იარაღი აიღო ხელში, ნაწილი კი ოსმალებმა ძალით შეაიარაღეს და ბრძოლაში ჩაბეს. აფხაზების დიდი ნაწილი მაინც მტრულად შეხვდა ოსმალეთის არმიას. მათ შექმნეს ე.წ. სამურზაყანოს მილიცია და აქტიურად იბრძოდნენ ოსმალთა წინააღმდეგ. აფხაზთა მღელვარებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ოსმალეთის დესანტის გამოჩენისთანავე რუსეთის რაზმმა, რომელსაც გენერალი კრავჩენკო მეთაურობდა, სასწრაფოდ უკან დაიხია და ადგილობრივი მოსახლეობა ბედის ანაბარა მიატოვა. ვაჭრებისა და სხვა აგენტების მეშვეობით ოსმალებს საკმაო გავლენა ჰქონდათ აფხაზ მოსახლეობაში. აჯანყება დაემთხვა ოსმალეთის ჯარის გადმოსხმას აფხაზეთში. მაისის დასაწყისში ოსმალებმა დაიკავეს გუდაუთა, სოხუმი და აფხაზეთის თითქმის ერთი მესამედი. რუსეთის რაზმმა უბრძოლველად დატოვა ეს ტერიტორიები და მდინარე კოდორზე გამაგრდა. კრავჩენკო აქ შეუერთდა გენერალ იაკობ ქაიხოსროს ძე ალხაზიშვილის ძალებს, გაერთიანებული რაზმის შტაბი კი მოქვში განლაგდა. აფხაზეთში განლაგებული რუსული ჯარების ერთმა ნაწილმა სოჭისაკენ დაიხია. ოსმალების ეს წარმატება უდიდესი ზეიმით აღინიშნა სტამბულსა და მთელ ოსმალეთში. სულთანს იმედი მიეცა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აამხედრებდა მაჰმადიანურ მოსახლეობას, მაგრამ არტაანის დაცემის გამო ბრძოლის დინამიკა რადიკალურად შეიცვალა და ოსმალების ზეიმიც მალე მწუხარებამ შეცვალა. გარდა ამისა, ოსმალთა წინააღმდეგ თვით აფხაზეთის მოსახლეობის ამხედრებამ არასასურველი გავლენა მოახდინა ოსმალო მოხელეებზე, რომლებიც დიდ მხარდაჭერას ელოდნენ აფხაზეთში, ხოლო სამურზაყანოს მილიციის ბრძოლები გაუგებრობას იწვევდა მათში. ძმები შემაფ და მურზაყან ანჩაბაძეები მოსახლეობას ამხნევებდნენ, რომ რუსეთის უკანდახევა დროებითი იყო. ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლებში თავი ისახელეს სამურზაყანოს ასეულიდან ბათა ემუხვარმა, თავადებმა ალმასხან და ჩიგო მარშანიებმა და სხვებმა. კავკასიის ფრონტზე ომის პირველი ეტაპი ივნისში მდინარე კოდორზე გამაგრებით დამთავრდა. კავკასიის არმია დროებით თავდაცვაზე გადავიდა. შეტევების შედეგად დაკავებული ტერიტორია პირველი ეტაპის ბოლოს მტერმა თითქმის დაიბრუნა. რუსეთის არმიის ხელში მხოლოდ არტაანი დარჩა. პირველი წარმატების შედეგად დაკავებული ტერიტორიები ქობულეთის რაზმმაც დაკარგა. აფხაზეთში ოსმალებმა ხელთ იგდეს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია და მოსახლეობის ნაწილი რუსეთის წინააღმდეგ აამხედრეს. აჯანყება მძვინვარებდა კავკასიის მთებშიც.

ომის მეორე ეტაპზე კავკასიის ფრონტზე თავდაცვითი ოპერაციები გრძელდებოდა. რუსეთის არმიის მოქმედი კორპუსი ამიერკავკასიის საზღვრებს იცავდა, მის გასაძლიერებლად ქობულეთის რაზმიდან 4 ბატალიონი და 8 ქვემეხი გადაისროლეს. მუხტარ-ფაშამ ვერ ისარგებლა შექმნილი ვითარებით და შეტევა ნელი ტემპით დაიწყო. ის განაგრძობდა ავლიარ-ალაჯის სიმაღლეების გამაგრებას. ეს იყო 18 კმ-ის სიგანის მთების სისტემა. მუხტარ-ფაშა ფიქრობდა, რომ რუსების მიერ დაპყრობილ კავკასიის ტერიტორიებს ისევ დაიბრუნებდა. პოზიციას 25 000 ოსმალო მებრძოლი იცავდა 36 ქვემეხით. 18 000 მებრძოლი ყარსში განლაგდა, ხოლო ბაიაზეთის რაიონში დისლოცირებული ისმაილ ფაშას კორპუსი 10 000 კაცს ითვლიდა. ოსმალეთის არმიის წარმატებით გათამამებული მუხტარ ფაშა ფიქრობდა, რომ თბილისში გამოიზამთრებდა.

პარალელურად ქობულეთის რაზმი ბათუმში განლაგებული ოსმალური კორპუსის შეტევებს იგერიებდა. ჩრდილოეთ კავკასიაში კი აჯანყება მძვინვარებდა. აქტიურად იბრძოდნენ ოსმალური დესანტის წინააღმდეგ აფხაზეთში გენერალ ალხაზიშვილის მეთაურობით, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აქტიურობდა და ქუთაისის, სოხუმის, ენგურის, გურიის გაერთიანებულ რაზმს მეთაურობდა. ოსმალების პოზიციები აფხაზეთში შესუსტდა, ახალი შევსება კი არ ჩანდა. ოსმალებმა

აგვისტოს მეორე ნახევარში უკან დახევა დაიწყეს. 20 აგვისტოს ქართული მილიციის რაზმებმა სოხუმი იერიშით აიღეს. ქალაქი გადამწვარი და განადგურებული აღმოჩნდა, მაგრამ ყველაზე მძიმე იყო ადგილობრივი მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლება. გადასახლებულთა რიცხვი 25 000 კაცს აღწევდა. დროთა განმავლობაში მათი ნაწილი უკან დაბრუნდა, ნაწილი – გზაში დაიღუპა, ნაწილი კი სამუდამოდ დარჩა ოსმალეთში. ქართულმა შენაერთმა დააშოშმინეს აფხაზების მღელვარება და აიძულეს ოსმალეთის დესანტი, დაეტოვებინა აფხაზეთი, ასევე კავკასიის შავი ზღვის სანაპირო. ამ დამსახურებისთვის რაზმის მეთაური ალხაზიშვილი წმინდა გიორგის IV ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა, ხოლო მდინარე ღალიძგაზე და ოჩამჩირის ხიდთან გამოჩენილი სიმამაცისა და ხელმძღვანელობისათვის მან წმინდა ანას I ხარისხის ორდენი დაიმსახურა.

პლევნის დაცემა ევროპაში, ხოლო აელიარ-ალაჯის სიმაღლეებზე მუხტარ ფაშას ჯარების განადგურება აზიაში ომის მეორე ეტაპის თავდაცვითი პერიოდის დასასრულს წარმოადგენდა. ომის მეორე ეტაპის ბოლოს, კავკასიის ფრონტზე ოსმალებისათვის კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა: ოსმალეთის საველე არმია განადგურდა ავლიარ-ალაჯის სიმაღლეებზე, დიდი იყო ავადმყოფობით გამოწვეული დანაკარგები, დაეცა ჯარის მორალური სიძლიერე, მასობრივი ხასიათი მიიღო დეზერტირობამ, იშლებოდა რეგულარული არმიის ნაწილები.

დაიწყო მესამე, გადამწყვეტი შეტევის პერიოდი. 27 ოქტომბერს ისმაილ-ფაშასა და მუხტარ-ფაშას ძალები შეერთდნენ და ევე-ბოინის სიმაღლეებზე გამაგრდნენ. ეს იყო არზრუმის უკანასკნელი თავდაცვითი სიმაღლე, სადაც თავი მოუყარეს 40-მდე ბატალიონს, 39 ქვემეხით. ოსმალებმა სიმაღლეზე საფორტიფიკაციო ნაგებობები ააგეს, რომლებიც სანგრებს უკავშირდებოდა.

რუსეთის მხრიდან გენერალ გეიმანის დაქვემდებარებაში იყო 34 ბატალიონი, კავალერიის 43 ასეული და 96 ქვემეხი. გეიმანმა თავისი რაზმი ოთხ ნაწილად დაპყო. მესამე ნაწილს, რომელიც 7 ბატალიონსა და 8 ქვემეხს ითვლიდა, პოლკოვნიკი ამირეჯიბი მეთაურობდა. მისი ამოცანა იყო, აეღო სიმაღლე და იქიდან დაეშინა ცეცხლი მოწინააღმდეგისათვის, ამ დროს რაზმის მთელ დარჩენილ სამ ნაწილს მისთვის მხარი უნდა დაეჭირა და მოწინააღმდეგისათვის არზუმისაკენ უკან დასახევი გზა მოეჭრა. ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ამირეჯიბის რაზმმა მტრის მოწინავე სანგრები დაიკავა და გზა გაუხსნა სხვებს შეტევისათვის. სიმაღლეები ერთიმეორის მიყოლებით გადადიოდა ხელიდან ხელში. ამ დროს შეტევაზე გადავიდა მთელი კორპუსი. მოულოდნელად ოსმალების განლაგების ცენტრში ამირეჯიბის ცხენოსანთა ნაწილები შეიჭრნენ, რამაც მოწინააღ-დეგის რიგებში დაბნეულობა და პანიკა გამოიწვია. ოსმალებმა დატოვეს 46 ქვემეხი და სასწრაფოდ არზრუმისაკენ უკან დაიხიეს. ამ გამარჯვების მთავარი გმირი ამირეჯიბი დაჯილდოვდა წმინდა გიორგის მე-3 ხარისხის ორდენით, ხოლო 8 ნოემბერს მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

ბრძოლაში თავი ისახელეს: 39-ე არტილერიის ბრიგადის შტაბსკაპიტანმა ი. მაკრიაშვილმა, არტილერიის კაპიტნებმა გ. კაჩიკაძემ და გ. ხიმშიაშვილმა, რომლებმაც ჩაახშეს ოსმალური ბატარეის ცეცხლი, რითაც ხელი შეუწყეს ქვეითი ჯარის იერიშს; 135-ე ყუბანის ლეგიონის შტაბსკაპიტანმა დ. მიქელაძემ, რომელმაც მოულოდნელი იერიშით ხელთ იგდო ქვემეხები და ტყვეები. ამ ეტაპზე კავკასიის არმიის დანაკარგი 930 მებრძოლი იყო, ხოლო ოსმალებისა – 3000. ამ გამარჯვების შემდეგ დაუყოვნებლად მიიტანეს იერიში არზუმზე, რათა ესარგებლათ ოსმალების დაბნეულობით და აეღოთ ქალაქი. ოსმალეთის არმიის სარდლებმა უმოკლეს დროში შეკრიბეს 16 000 მებრძოლი და გადაწყვიტეს ქალაქის დაცვა უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ქალაქზე იერიში უშედეგოდ დამთავრდა. ვიდრე არზრუმის ბედი გადაწყდებოდა, 18 ნოემბერს გენერალმა ლაზარევმა ღამის იერიშებით ყარსი აიღო. ყარსის ბრძოლაში თავი ისახელეს პორუჩიკებმა აბაშიძემ, ბაგრატიონ-მუხრანელმა, პოლკოვნიკმა ქავთარაძემ და სხვებმა. ამიერიდან ჯარების ნაწილები მთლიანად არზრუმის ბლოკადაზე გადაისროლეს.

ოსმალეთის სარდლებმა ამ დროისათვის 35 000 მებრძოლს მოუყარეს თავი, მაგრამ გავრცელებული ტიფის ეპიდემია ყოველდღიურად 300-მდე კაცს ასალმებდა სიცოცხლეს. გენერალი გეიმანი ტიფით გარდაიცვალა და მეთაურად გენერალი ზ. ჭავჭავაძე დაინიშნა. არზრუმის სიმაგრის ბლოკადაში დიდი დამსახურება მიუძღვის ამირეჯიბს, რომელიც უკვე სტანისლავის I ხარისხის ორდენითა და ხმლით დაჯილდოვდა. მკაცრმა ზამთარმა ხელი შეუშალა რუსეთის არმიას აქტიური საბრძოლო მოქმედებების დაწყებაში. ჯარს არ ყოფნიდა სურსათი, სამხედრო საჭურველი. გავრცელდა ეპიდემია, დაავადებულთა რაოდენობამ 15 000-ს გადააჭარბა. ასეთ პირობებში მოვიდა

ცნობა ზავის დადების შესახებ. ამრიგად, 1878 წლის თებერვალში კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედებები შეწყდა.

ანალიზი: ომის პირველ ეტაპზე გამომჟღავნდა რუსეთის მთავარსარდლების შეცდომები. მათ სწორად ვერ `განსაზღვრეს საკუთარი ჯარის რიცხობრივი შემადგენლობა. განსაზღვრული კონტინგენტი თავიდან საკმარისი იყო კავკასიის არმიის პირველ წარმატებათა შენარჩუნებისთვის, რასაც ვერ ვიტყვით შემდგომ პერიოდზე. სწორად არ იყო განსაზღვრული ოსმალეთის სამხედრო პოტენციალი და ომის ვადები. ხანგრძლივი ომისათვის რუსეთს სახსრები არ გააჩნდა. კავკასიის ფრონტზე ძალები სწორად არ იყო განაწილებული. გარდა სტრატეგიულისა, რუსეთის შეიარაღების სისუსტეც გამოვლინდა. ოსმალებს შორსმსროლელი იარაღი საშუალებას აძლევდა, მტკიცე თავდაცვა შეექმნათ და დიდი ზიანი მიეყენებინათ მოწინააღმდეგისთვის.

სამხედრო თვალსაზრისით, არტაანის ოპერაცია წარმატებული იყო, რადგან გამარჯვებულ ჯარისკაცებს დარჩათ მტრის 92 ქვემეხი, 6577 ჭურვი და სხვა უამრავი სამხედრო ქონება. რუსულმა რაზმმა დაკარგა 450 კაცი, მაშინ როდესაც ოსმალთა დანაკარგი 2000-ს ჯარისკაცს აღემატებოდა. არტაანის აღებას უდიდესი სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. ბათუმის დერვიშ ფაშას კორპუსსა და მუხტარ ფაშას ძალებს შორის კოორდინაცია შეწყდა. აიღეს ყარსი, რომლითაც ოსმალეთის ამ ორ არმიას ურთიერთდახმარება შეეძლო. არტაანის აღებამ უზრუნველყო ზურგისა და მარჯვენა ფრთის უსაფრთხოება. კავკასიის არმიამ დაატყვევა 20 000 რიგითი მებრძოლი, 1200 ოფიცერი. აფხაზეთში დესანტის განადგურებამ მოწინააღმდეგეს მოუსპო პლაცდარმი, რომელიც ოსმალეთიდან ახალი ძალების მოზიდვასა და კავკასიის არმიის ზურგში დარტყმას უზრუნველ-ყოფდა. კავკასიის ფრონტზე ჩატარდა ურთულესი სამხედრო ოპერაციები: არტაანის აღება; 23 დღის მანძილზე ბაიაზეთის დაცვა უმძიმეს პირობებში; ყარსის აღება ღამის იერიშით, ოსმალეთის მცირე აზიის მთავარი საველე ჯარების განადგურება აელიარ-ალაჯის სიმაღლეებზე, ასევე ზამთრის ურთულეს პირობებში არზრუმის ბლოკადა ბათუმის განთავისუფლების მიზნით; შეტევა ქობულეთ-ციხისძირის ასაღებად, შავშეთისა და იმერხევის მიმართულებით; მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის — დოლისყანის აღება, სადაც თავი ისახელეს პოლკოვნიკებმა ჭავჭავაძემ და იოსელიანმა, რომელთა ნაწილებმაც, ოსმალეთის ჯარებთან ბრძოლაში, უდიდესი მამაცობა და მხნეობა გამოიჩინეს.

აღნიშნულ ომში ფართოდ იყო გამოყენებული ტაქტიკურ მოქმედებათა ელემენტები და სამხედრო ხელოვნების ზოგიერთი პრინციპი: შეტევა და თავდაცვა, სადაც ხშირად იყენებდნენ ავანგარდულ და არიერგარდულ მოქმედებებს — მანევრი, კონტრიერიშები, ძალთა არათანაბარი განაწილება, მთავარი და მეორეხარისხოვანი დარტყმის მიმართულების განსაზღვრა, მოულოდნელ-ობა, ადგილმდებარეობის, მორალური და სხვა ფაქტორების გამოყენება.

მიმდინარეობდა ცხარე დიპლომატიური ბრძოლა ომის საბოლოო შედეგების გასაფორმებლად. ის, რაც ვერ გადაწყვიტა იარაღმა, დიპლომატიური მოლაპარაკებებით უნდა გადაჭრილიყო. სულთნის მთავრობა იძულებული გახდა, მიეღო გამარჯვებულის ნაკარნახევი წინასწარი პირობები. ოსმალებს დაუყოვნებლივ უნდა დაეცალათ არზრუმი და გადაეცათ რუსებისათვის, ჯარები გაეყვანათ ბაიაზეთისა და ვანის სანჯაყებიდან, ციხისძირიდან და ბათუმიდან, უნდა დაეთმოთ აჭარა და შავშეთი.

1878 წლის 25 აგვისტოს ქობულეთის რაზმი მახინჯაურიდან ბათუმისაკენ დაიძრა. 14.00 საათზე საზეიმო ვითარებაში დაიკავეს ბათუმი. 31 აგვისტოს ოსმალთა უკანასკნელმა ნაწილებმა დერვიშ ფაშას მეთაურობით ბათუმი დატოვეს. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის კავკასიის ფრონტის ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. აჭარა, რომელიც თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის უღელქვეშ გმინავდა, საქართველოს დაუბრუნდა. მნიშვნელოვანი იყო ბათუმის ნავსადგურის მიღება. დაიწყო ახალი საზღვრების დადგენა. 1877-1878 წლების ომის შემდეგ, ახალი საზღვრების საერთო სიგრძე 519 კილომეტრი გახდა. ეს საზღვრები ბოლოს 1918 წელს შეიცვალა, როცა ოსმალებმა კვლავ ხელთ იგდეს 1877-1878 წლების ომის დროს დაკარგული ტერიტორიის დიდი ნაწილი. თანამედროვე საზღვარი ოსმალეთთან კი 1921 წელს დადგინდა. რაც მთავარია, საქართველოს დაუბრუნდა აჭარა, თუმცა თითქმის გამაჰმადიანებული, მაგრამ ენით, კულტურით, მთელი თავისი ისტორიული წარსულით მაინც ქართული კუთხე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ტერიტორიების დაბრუნებაში

დიდი როლი ითამაშეს ოსმალების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა, რამაც ფაქტობრივად განაპირობა კავკასიის ფრონტზე ომის წარმატებით დაგვირგვინება. ოსმალთა ბატონობისგან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში მნიშვნელოვანი წელილი შეიტანა შავშეთის მმართველმა ნური ხიმშიაშვილმა. ის ომის დაწყებამდე ქობულეთიდან გურიის სოფელ ბაილეთში 200-მდე კომლით გადმოვიდა. სახალხო რაზმში ჩარიცხულები გმირულად იბრძოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ. გარდა ამისა, აჭარის მკვიდრმა მოსახლეობამ მუსლიმი ქართველების თაკაცებთან, კერძოდ, შერიფ ხიმშიაშვილთან და მის თანამოაზრეებთან ერთად, გადაწყვიტა შეერთებოდა დანარჩენ საქართველოს და იბრძოდა კიდეც ამისათვის. აღნიშნულ ომში ორგანიზებულობითა და დამსახურებით გამოირჩეოდა ქართველ ოფიცერთა შემადგენლობა, მილიცია და ქართველი მხედრები, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე მდგარ ამოცანებს. ქართულმა საზოგადოებამ ზეიმით აღნიშნა აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნება.

§6. საქართველო და პირველი მსოფლიო ომი

პოლიტიკური ვითარება: XX ს-ის დასაწყისში იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის მსოფლიოს ტერიტორიების დანაწილება ძირითადად დამთავრებული იყო. ამ პერიოდისათვის გერმანია ახალ იმპერიალისტურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. აშკარად გამოიკვეთა მისი მცდელობა ევროპაში სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ლიდერობისაკენ. XIX ს-ის 70-იანი წლებიდან კი აქტიურად ჩაება კოლონიების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ის პრეტენზიას აცხადებდა იმ ტერიტორიებზე, რომლებიც დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბელგიის, ნიდერლანდებისა და პორტუგალიის გავლენის სფეროებში იყო. თავის მხრივ, საფრანგეთის მმართველი წრეები ვერ ურიგდებოდნენ საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომში გერმანიისაგან მიყენებულ მარცხსა და ელზასისა და ლოტარინგიის დასაბრუნებლად ემზადებოდნენ. რუსეთის იმპერია ხმელთაშუა ზღვაში თავისუფალ მიმოსვლაზე აცხადებდა პრეტენზიას და მოითხოვდა, მის სასარგებლოდ გადასინჯულიყო ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე კონტროლის რეჟიმი. ბალკანეთში გავლენის მოპოვებისათვის ერთმანეთს ეჯახებოდა რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ინტერესებიც. ახლო აღმოსავლეთში კი, პრაქტიკულად, ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო ცდილობდა ოსმალეთის დასუსტებული იმპერიის დანაწილებასა და მასზე გავლენის მოპოვებას.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში წამოჭრილი ლოკალური ხასიათის სამხედრო კონფლიქტები (ბალკანეთის ომები, იტალია-ოსმალეთის ომი) იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგობებს კიდევ უფრო ამწვავებდა. ევროპის წამყვანი სახელმწიფოების უკმაყოფილებას იწვევდა მსოფლიო საკაჭრო ბაზარზე გერმანული წარმოების იაფი პროდუქციის კონკურენცია. 1914 წლისათვის უკვე შექმნილი იყო ორი ურთიერთდაპირისპირებული ბლოკი: 1. ანტანტა, რომელშიც გაერთიანდნენ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი; 2. სამთა კავშირი — გერმანიის, ავსტრო-უნგრეთისა და იტალიის შემადგენლობით, რომელთაც მოგვიანებით შეუერთდნენ ოსმალეთი და ბულგარეთი.

ომის მიზეზი იყო მსოფლიოს უდიდეს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების გამწვავება. გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და რუსეთი გავლენის სფეროებისთვის იბრძოდნენ.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბად ითვლება 1914 წლის 28 ივნისს სერბი სტუდენტის გავრილა პრინციპის მიერ ავსტრიის ტახტის მემკვიდრის ფრანც ფერდინანდისა და მისი მეუღლის პრინცესა სოფიას მკვლელობა სარაევოში. ავსტრო-უნგრეთმა 28 ივლისს ომი გამოუცხადა სერბიას. სერბიის მხარდასაჭერად, მოკავშირეთა ზემოქმედების შედეგ, რუსეთმა 29 ივლისს ნაწილობრივი, ხოლო 30 ივლისს საერთო მობილიზაცია გამოაცხადა. პასუხად კი გერმანიამ მობილიზაციის შეწყვეტის შესახებ რუსეთს ულტიმატუმი წაუყენა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ომის გამოცხადებით იმუქრებოდა. რუსეთმა უპასუხოდ დატოვა ულტიმატუმი. 1914 წლის 1 აგვისტოს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

საომარი მოქმედებების თეატრი გაიშალა ძირითადად დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე ბალკანეთში, ჩრდილოეთ იტალიაში (1915 წლის მაისიდან), კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში (1914 წლის ნოემბრიდან), ევროპის სახელმწიფოების კოლონიებში — აფრიკაში, ჩინეთში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ომში ოსმალეთის ჩაბმისა და კავკასიის ფრონტის გახსნის

შემდეგ საომარი მოქმედებები საქართველოს ტერიტორიებზე — სამხრეთ დასავლეთ საქართველოშიც წარიმართა.

კავკასიის ფრონტის გახსნა: 1914 წლის 27 ოქტომბერს, სამხედრო წვრთნის მომიზეზებით, ოსმალეთის ფლოტი ზღვაში გავიდა. 29-30 ოქტომბერს კავკასიაში მოქმედება სახმელეთო ჯარებმაც დაიწყეს.

საბრძოლო მოქმედებების აზიის თეატრზე ოსმალეთის იმპერიის ჩართვამ სამი ახალი ფრონტის გახსნა გამოიწვია — კავკასიის, მესოპოტამიისა და სირია-პალესტინის. მათ შორის პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო კავკასიის ფრონტი. იგი გაიხსნა 1914 წლის ნოემბერში და ოფიციალურად არსებობა შეწყვიტა 1918 წლის მარტში. დაპირისპირებული მხარეები იყვნენ ოსმალეთისა და რუსეთის იმპერია. საბრძოლო მოქმედებები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზე გაიშალა.

მხარეთა მიზნები: ოსმალეთს ჰქონდა საომარი მოქმედების სამი ძირითადი მიმართულება: ეგვიპტე, ბალკანეთი და კავკასია. ამიერკავკასიიდან რუსეთის განდევნას მის გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ამასთანავე, გერმანია ოსმალეთის გამოყენებით ბაქოს ნავთობსარეწების ხელში ჩაგდებით ან განადგურებით რუსეთისათვის გადამწყვეტი დარტყმის მიყენებას ვარაუდობდა. ამ მიზნით გერმანიამ ოსმალეთის არმია უზრუნველყო ომისათვის აუცილებელი სამხედრო-ტექნიკური რესურსებით.

ოსმალეთის სტრატეგიული ამოცანა იყო XIX ს-ის 70-იან წლებში დაკარგული ყარსის ციხესიმაგრესა და ბათუმზე კონტროლის აღდგენა, ამიერკავკასიის ტერიტორიების სიღრმეში შეჭრა. დიდი თურქული სახელმწიფოს („თურანი") შექმნის გეგმით შეპყრობილი ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა მთელი კავკასიის დაპყრობას, აქედან შუა აზიასა და ვოლგისპირეთში გაჭრასა და მაჰმადიანებით დასახლებული რეგიონების შეერთებას ვარაუდობდა. ამიტომაც, კავკასიის ფრონტზე წარმატების მოპოვება ოსმალეთისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენდა.

რუსეთისათვის კავკასიის საომარი მოქმედებების თეატრი მეორეხარისხოვანი იყო დასავლეთის ფრონტთან შედარებით. თუმცა, ყარსისა და ბათუმის შენარჩუნება, ამიერკავკასიაში ოსმალეთის ჯარების შემოჭრის აღკვეთა, შავიზღვისპირეთის სრუტეებზე კონტროლის, აგრეთვე, ახლო და შუა აღმოსავლეთში გავლენის მოპოვება, ამ ფრონტზე მის უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენდა.

საბრძოლო მოქმედებების რაიონი: კავკასიის ფრონტი, სადაც ძირითადი ბრძოლები წარიმართა, წარმოადგენს ზეგანს — ზღვის დონიდან სიმაღლით 1800-2500 მეტრი. აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ზეგანს კვეთს ხუთი ძნელად გადასალახი მთათა ჯაჭვი, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 3000 მ-ზე მეტს აღწევს. ეს მთიანი მასივი საკმაოდ ართულებდა, ზოგიერთ ადგილზე კი შეუძლებელს ხდიდა დიდი რაოდენობით ჯარების გადაადგილებას. მათი გადაადგილებისათვის მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი იყო არზრუმის ველი, რომელზედაც გადიოდა გზები ამიერკავკასიიდან ანატოლიაში. ქ. არზრუმი ამ გზებს კეტავდა. აღმოსავლეთიდან ამ რაიონს ბუნებრივად იცავდა სიმაღლეები, რომლებიც დასავლეთის მიმართულებით წინააღმდეგობას ქმნიდნენ. ტყეები მხოლოდ შავიზღვისპირეთსა და დაბა სარიყამიშის სიახლოვეს არსებობდა. კლიმატი მკვეთრად კონტინენტურობით ხასიათდებოდა — ზამთარი 5 თვე გრძელდებოდა და უხვთოვლიანობითა და დაბალი ტემპერატურით გამოირჩეოდა. მთიანი რელიეფის გამო საომარი მოქმედებები მხოლოდ რამდენიმე მიმართულებით იყო შესაძლებელი, ისიც — ერთმანეთისგან იზოლირებულად. მხოლოდ არზრუმის მიმართულება გამოირჩეოდა შედარებით იოლი მისასვლელით. გზები საკმაოდ კეთილმოუწყობელი იყო, რადგან სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით რუსეთი და ოსმალეთი საზღვრისპირა რეგიონში საგანგებოდ აფერხებდა ეკონომიკის განვითარებასა და გზების მშენებლობას. აღნიშნულ ზეგანს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მდებარეობა ჰქონდა. ის ამიერკავკასიას სირია-მესოპოტამიასთან, შავი ზღვის სანაპიროს კი ჩრდილო ირანთან აკავშირებდა. ამიტომ, ზეგნისათვის ბრძოლა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის იყო — არმია, რომელიც აქ გაიმარჯვებდა, ან სირია-მესოპოტამიას ჩაიგდებდა, ან ამიერკავკასიაში აღმოჩნდებოდა.

მხარეთა შემადგენლობა: ოსმალეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების გაწვრთნილობა და ორგანიზებულობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა ანტანტისას. მათი სამხედრო ძალები ომისათვის საკმარისად მომზადებულნი არ იყვნენ, თუმცა სერიოზული რაოდენობის ადამიანურ რესურსს ფლობდნენ. სამხედრო-ტექნიკური საშუალებებით ოსმალეთის არმიის უზრუნველყოფა გერმანიამ იკისრა და არა მარტო, რადგან კავკასიის ფრონტს შეეძლო პოლონეთიდან და გალიციიდან რუსეთის სამხედრო ძალების ჩამოცილება და გერმანიის არმიისათვის, თუნდაც ოტომანთა იმპერიის წაგების ხარჯზე, ბრძოლებში წარმატების მოპოვება.

ომში ჩაბმის მომენტისათვის ოსმალეთს უკვე ჰყავდა 400 000 ჯარისკაცი და 24 000 ოფიცერი, რაც შეადგენდა 38 დივიზიას. აქედან კავკასიის ფრონტზე დააჯგუფეს 150 000-მდე მებრძოლი. ამას ემატებოდა ჟანდარმთა და სასაზღვრო ნაწილები, სარეზერვო პოლკები და ქურთთა საკავალერიო დივიზია.

ამგვარად, რუსეთის წინააღმდეგ ოსმალეთმა აამოქმედა მე-3 არმია. საწყის ეტაპზე მას უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა, ხოლო შტაბის უფროსი გერმანელი გენერალი ფ. ბრონზარტ ფონ შელენდორფი იყო. მე-3 არმია შედგებოდა სამი კორპუსისაგან (მე-9, მე-10, მე-11), რომლებშიც შედიოდა 100 ქვეითთა ბატალიონი, 165 ესკადრონი და ქურთთა ასეული, სასაზღვრო და ჟანდარმერიის ნაწილები, 250-მდე ქვემეხი. სულ ეს შემადგენლობა 180 000-მდე კაცს ითვლიდა. 1914 წლის შუა დეკემბრისათვის ოსმალთა მე-3 არმია უკვე 190 000-მდე ჯარისკაცსა და 300 ქვემეხს ითვლიდა.

რუსეთის სამხედრო ძალებს საომარი მოქმედებების ამ თეატრზე კავკასიის არმია წარმოადგენდა, რომელსაც მეფისნაცვალი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ხელმძღვანელობდა, ხოლო შტაბს — გენერალი იუდენიჩი. მოგვიანებით საკმაოდ ასაკოვანი ვორონცოვ-დაშკოვი ამ პოსტზე შეცვალა ახალმა მეფისნაცვალმა, იმპერატორის ბიძამ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ. ფრონტის საწყის ეტაპზე კავკასიის არმიის შემადგენლობაში იყო: კავკასიის I და თურქესტანის II კორპუსები, აგრეთვე ცალკეული შენაერთები: 66-ე ქვეითთა დივიზია, 2 კაზაკთა დივიზია, 2 ქვეითი ბრიგადა და სხვა ნაწილები. კავკასიის არმია რიცხობრივად შედგებოდა 153 ბატალიონის, 175 ასეულის, 12 მესანგრეთა ასეულის, 350 საველე ქვემეხისა და საფორტიფიკაციო არტილერიის 5 ბატარეისაგან. სულ 170 000-ზე მეტი კაცი.

ოსმალეთის სარდლობამ მე-3 არმიას დაუსახა შემდეგი ამოცანა: სარიყამიშთან რუსების განადგურება; არტაანისა და ბათუმის (მიხეილის ციხესიმაგრის) დაკავება. რუსეთის კავკასიის არმიის იერიშზე გადმოსვლის შემთხვევაში მე-3 არმიას არ უნდა დაეშვა რუსების ოსმალეთის ტერიტორიების სიღრმეში შეღწევა და კონტრშეტევაზე უნდა გადასულიყო. რუსეთის ჯარის არზრუმის მიმართულებით შეჭრის შემთხვევაში, ოსმალებს მოწინააღმდეგე ალყაში უნდა მოექციათ და გაენადგურებინათ.

1914 წლის სექტემბრის დასაწყისში ენვერ ფაშამ მესამე არმიას მისცა შემდეგი დირექტივა: „არმია უნდა კონცენტრირდეს არზრუმის რაიონში... ასეთ შეტევას აქვს წარმატების შესაძლებლობა, თუ მას მიმართულება ექნება ბათუმისა და არტაანისაკენ, ვინაიდან ეს მოგვიტანს ბატონობას შავ ზღვაზე, რაც ჩვენთვის აუცილებელია რუსების მიერ ყარსის ძლიერი გამაგრების გამო“. ამდენად, სამხრეთ კავკასიის დაპყრობის გეგმებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პლაცდარმის როლი ენიჭებოდა.

რუსეთის კავკასიის არმიის წინაშე კი შემდეგი ამოცანა იდგა: ბაქო-ვლადიკავკაზის რკინიგზისა და თბილისი-ვლადიკავკაზის საქართველოს სამხედრო გზის გამაგრება, ბაქოს სამრეწველო ცენტრების დაცვა, კავკასიაში ოსმალეთის სამხედრო ძალების შემოღწევის აღკვეთა. ამ ამოცანის შესასრულებლად რუსების სამხედრო ძალები უნდა შეჭრილიყვნენ არზრუმის მიმართულებით, რადგანაც არზრუმის დაკავებით შესაძლებელი გახდებოდა ერზინჯანით ანატოლიაში შეღწევა. მოქმედებას მთავარ მიმართულებაზე უზრუნველყოფდა ოლთისისა და ყაგიზმანის მიმართულებით რუსეთის სამხედრო ნაწილების იერიში.

ძალთა განლაგება: საომარი მოქმედებების დაწყებამდე კავკასიის არმიას ეკავა ფრონტის ხაზი შავიზღვისპირეთიდან ურმიის ტბამდე 720 კმ-ის მანძილზე. შეიარაღებული ძალები განლაგებულნი იყვნენ მთავარი სამხედრო ოპერაციების შესაბამისი მიმართულებების მიხედვით. ლანდშაფტიდან

გამომდინარე, ჯარებს შეეძლოთ ემოქმედათ მხოლოდ ერთმანეთისგან იზოლირებულ მიმართულებებზე. ამიტომ რუსეთის სამხედრო ძალები გადაჯგუფდნენ ოთხი — ტრაპიზონის, ოლთისის, არზრუმის, ერევნის მიმაროულებით. 6 დივიზია თავმოყრილი იყო ოლთისი-სარიყამიშის რაიონში. ერევნის მიმართულებით (ერევანი-ალაშკერტი) კი, დაახლოებით 2 ქვეითთა და ცხენოსანთა დივიზია კონცენტრირებული იყო იგდირის რაიონში. ფლანგებს იცავდნენ მესაზღვრეთა, კაზაკთა, ლაშქრის ცალკეული დამოუკიდებლად მოქმედი რაზმები. მარჯვენა ფლანგი შავიზღვისპირა სანაპიროს გასწვრივ ბათუმის მიმართულებით გამაგრდა, ხოლო მარცხენა — ქურთებით დასახლებული რაიონებისა და სპარსეთის აზერბაიჯანის მიმართულებით.

ოსმალეთის მე-3 არმიას ეკავა პოზიციები შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან მოსულამდე. მისი ძირითადი ძალები კონცენტრირებულნი იყვნენ არზრუმის რაიონში. გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ არზრუმთან თავი მოუყარა ჯარების დიდ რაოდენობას. იქვე გადაისროლეს თვითმფრინავები, რომლებსაც გერმანელი მფრინავები მართავდნენ. ძალების კონცენტრაცია ხდებოდა ლაზეთშიც. „ერთიანობისა და პროგრესის" პარტიის ტრაპიზონის კომიტეტი შეუდგა არარეგულარული „ჩეთეს" რაზმების ფორმირებას („ჩეთე" — პარტიზანული, აჯანყებულთა მცირე რაზმები, რომლებიც ოსმალეთის რეგულარულ ჯართან ერთად იბრძოდნენ).

საბრძოლო მოქმედებათა დინამიკა: ოსმალებმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებს ზღვიდან შეუტიეს. 1914 წლის 10 დეკემბერს გერმანულმა კრეისერმა „გებენმა", ორი სამხედრო გემის თანხლებით, ცეცხლი გაუხსნა ბათუმსა და მის სიმაგრეებს. სანაპირო არტილერიის ძლიერი საპასუხო ცეცხლის გამო, მოწინააღმდეგის გემებმა მხოლოდ 15 ჭურვის გასროლა მოასწრეს და მიიმალნენ. მოწინააღმდეგის ფლოტმა მოგვიანებითაც სცადა ბათუმზე თავდასხმა. 1914 წლის 24 დეკემბერს ღამით ბათუმს მოადგა კრეისერი „ჰამიდე", მაგრამ სანაპირო დაცვის სიმარჯვის გამო მხოლოდ რამდენიმე გასროლა მოასწრო.

ჭოროხის ხეობით მდ. აჭარისწყლის შესართავთან გაჭრილმა ოსმალებმა მოქმედება ორი მიმართულებით განავითარეს: დასავლეთით ბათუმისაკენ და აღმოსავლეთით — ზემო აჭარისაკენ. ამ უკანასკნელი მიმართულებით შემტევი რაზმი ნოემბრის დამლევს ქედაში შევიდა, ხოლო დეკემბრის დასაწყისში ოსმალთა ათასკაციანმა რაზმმა თითქმის უბრძოლველად დაიკავა ხულო. ზემო აჭარის უბნის ადმინისტრაციამ, მათ შემოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა ეს პუნქტი და ახალციხეში გადავიდა. შემოჭრისთანავე ოსმალებმა პროპაგანდისტები დაგზავნეს სოფლებში, მოსახლეობას მოუწოდეს გაერთიანებულიყვნენ და ებრძოლათ რუსეთის წინააღმდეგ. ამგვარ აგიტაციას მნიშვნელოვანი წარმატება არ მოჰყოლია. მხოლოდ ცალკეული პირები გადადიოდნენ ოსმალთა მხარეს. აჭარაში შავიზღვისპირა ზოლის დამცავი რაზმის თავდაცვითი ბრძოლებიც წარუმატებლად განვითარდა. მოწინააღმდეგემ აიღო გონიო და მდ. ჭოროხის ზღვასთან შესართავს მოადგა. ამის შემდეგ, ოსმალთა სარდლობამ სცადა, მიხეილის სიმაგრის გვერდის ავლით განვითარებინა შეტევა გურიისა და ქუთაისის მიმართულებით. „ჩეთეს" პარტიზანულმა რაზმმა მთის ბილიკებით გააღწია კიდეც სოფ. ჩაქვში, შეეცადა მოსახლეობის ამბოხებასა და ბათუმ-ნატანების რკინიგზის აფეთქებას. გეგმავდნენ ბათუმის სასმელი წყლის სათავის მოშლასაც, მაგრამ ხელისუფლებამ დროზე მიიღო ზომები. გააძლიერა წყალსადენისა და რკინიგზის მაგისტრალის დაცვა და მტრის ჩანაფიქრი ჩაშალა.

ამგვარად, 1914 წლის საომარი მოქმედებების შედეგად კავკასიის ფრონტის ტრაპიზონის მიმართულებით ოსმალებმა წარმატებები მოიპოვეს, შეიჭრნენ აჭარის ტერიტორიაზე, დაემუქრნენ ბათუმს, გადაადგილდნენ ზემო აჭარის ტერიტორიებზე, დაიკავეს ართვინი და არტანუჯი, რითაც ზურგიდან საფრთხე შეუქმნეს ოლთისსა და არტაანს. შეიქმნა სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს შიდა რეგიონებში ოსმალთა ჯარების გადაადგილების საშიშროება.

დასახლებულ პუნქტებს — სარიყამიშსა და კაპრიკეის შორის პოზიციებზე რუსეთის არმიის შეჩერებამ უკარნახა ოსმალთა სარდლობას, ჩაეტარებინა ე. წ. სარიყამიშის ოპერაცია, რომელიც დაიწყო 1914 წლის 22 დეკემბერს და დამთავრდა 1915 წლის 7 იანვარს. ოპერაციის მიზანი იყო რუსთა სარიყამიშის რაზმის ალყაში მოქცევა და განადგურება. წარმატების შემთხვევაში თურქებს გზა ეხსნებოდათ პირდაპირ თბილისისაკენ. ოსმალეთის არმია მთელ ფრონტზე შეტევაზე გადმოვიდა და ოპერაციის პირველ ეტაპზე გარკვეულ წარმატებებს მიაღწია. კერძოდ, 25 დეკემბერს მან

დაიკავა გამაგრებული პუნქტები სარიყამიშის მარჯვენა ფლანგზე. იმავე დღეს აიღეს არტაანი. არტაანის დატოვების შემდეგ რუსეთის ჯარი მძიმე პირობებში აღმოჩნდა, რადგან რიცხობრივად ჭარბი მოწინააღმდეგე ახალქალაქისაკენ მოიწევდა.

ოსმალთა წარმატებით შეშინებულმა რუსეთის კავკასიის არმიის შტაბის უფროსმა გენერალმა მიშლაევსკიმ ფრონტი მიატოვა, სასწრაფოდ თბილისში დაბრუნდა და რუსთა ჯარების კავკასიიდან გაყვანის სამზადისს შეუდგა. ქართველებს კი მოუწოდა, სახლ-კარი დაეწვათ, სანოვაგე გაენადგურებინათ, რომ შემოსეულ მტერს საქართველო დახვედროდა როგორც უდაბნო და თვითონაც გაჰყოლოდნენ რუსის ჯარს. „თბილისსა და სხვა ქართულ ქალაქებზე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ: ისე ავაფეთქებთ, რომ მათგან ოსმალთა თავშესაფრად არაფერი დარჩესო". ქართველი მოსახლეობა არ აჰყვა გენერლის მოწოდებებს. მიშლაევსკი დააპატიმრეს და საველე სასამართლოს გადასცეს. სარიყამიშის დაკარგვა კავკასიის არმიისათვის კატასტროფული შედეგების მომტანი იქნებოდა. ამიტომ არმიის სარდლობამ სასწრაფოდ გადაისროლა იქ დამატებითი ძალები გენერალ ვასილ გაბაშვილის მეთაურობით. 1915 წლის 2 იანვარს მან ჯერ შეაჩერა მტრის შემტევი ნაწილები, ხოლო 3 იანვარს კონტრშეტევაზე გადავიდა და დაატყვევა მოწინააღმდეგის ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი. 3 იანვარსვე ბრძოლით დაიბრუნა ქ. არტაანი, შემდეგ — ოლთისი. გენერალმა გაბაშვილმა შეტევის დროს ალყაში მოაქცია და გაანადგურა ოსმალთა მე-9 კორპუსი, თუმცა მე-10 კორპუსმა დიდი დანაკარგებით მაინც მოახერხა ალყიდან თავის დაღწევა. სარიყამიშის ოპერაცია ოსმალთა სრული განადგურებით დამთავრდა. მათ აქ დაკარგეს 90 000 ჯარისკაცი, რუსთა მხარემ – 26 000.

თავდადებისა და მოვალეობისადმი ერთგულების ნიმუშად გამოდგება ორი ქართველი მოწყალების დის — კაპიტოლინა ნიჟარაძის და ნანა სადრაძის საბრძოლო ბიოგრაფიაც. ისინი სარიყამიშის ჰოსპიტალში მსახურობდნენ, როცა ამ უბანზე ოსმალებმა გენერალური შეტევა წამოიწყეს. ბევრი შეშინებული ყარსისკენ გაიქცა, მაგრამ ქართველი ქალები ადგილზე დარჩნენ და ბოლომდე უვლიდნენ დაჭრილ მეომრებს. მათი ეს თავდადება გიორგის მე-4 ხარისხის მედლებით დაფასდა.

სარიყამიშის ბრძოლაში საარაკო გმირობითა და შეუპოვრობით გამოირჩეოდა კაპიტანი ტარასი ვაშაკიძე („შაითან კაპიტანი"), რომელმაც ერთი ასეულით უმსხვერპლოდ დაატყვევა 2000 ასკერი (თურქი ჯარისკაცი), ასზე მეტი ოფიცერი და მე-9 კორპუსის სარდალი ისხან-ფაშა. ამ ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია. რუსეთის მთავრობამ იგი დააჯილდოვა ოქროს იარაღითა და გიორგის ჯვრით, საფრანგეთის მთავრობამ კი — მედლით.

ქართველთა ასეთ თავდადებას განაპირობებდა ეროვნული მისწრაფებები: საქართველოს ძირძველი მიწების დაცვა-შენარჩუნების ჟინი, აგრეთვე, ჯერ კიდევ ოსმალეთის ხელთ დარჩენილი ისტორიული ტერიტორიების (ლაზეთი და სხვ.) დაბრუნება.

სარიყამიშის ოპერაციაში კავკასიის არმიის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, 1915 წლის კამპანიაში, დაპირისპირებულმა მხარეებმა კავკასიის ფრონტზე შემდეგი ამოცანები დაისახეს მიზნად: ოსმალეთის გეგმებში შედიოდა რუსეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში სპარსეთის ჩაბმა. ასევე, ბაქოს ნავთობით მდიდარი რეგიონის რუსეთისაგან მოწყვეტა; ხოლო რუსეთის ძირითადი ამოცანა იყო ბათუმის ოლქიდან ოსმალების განდევნა, ოსმალეთის მხარდასაჭერად სპარსეთის ომში ჩართვის აღკვეთის მიზნით სპარსეთის აზერბაიჯანზე იერიშის მიტანა, აგრეთვე ქ. არზრუმის დაკავება.

რუსეთმა საომარი მოქმედებები მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადაიტანა. მხოლოდ ართვინისა და ბათუმის ოლქის ტერიტორიები რჩებოდა ოსმალთა მიერ ოკუპირებული. სარიყამიშთან დამარცხების შემდეგ ოსმალეთის სარდლობა ცდილობდა, დასახელებულ ოლქებში შეენარჩუნებინა დაკავებული პოზიციები.

სარიყამიშთან გამარჯვების შემდეგ რუსეთის სარდლობამ ბათუმის გარნიზონი გააძლიერა და შეავსო დამატებითი ძალებით. სანაპირო დაცვის გასაძლიერებლად ბათუმში დაამონტაჟეს ორი 10-დიუმიანი (254 მმ.) შორსმსროლელი ქვემეხი. გაძლიერდა ბათუმის საზღვაო ესკადრაც, რომელიც 1915 წლის ბოლოსათვის ითვლიდა 15-მდე სხვადასხვა სახის სამხედრო გემს: 1 კრეისერს, 2 ქვემეხიან ნავს, 8 ნაღმოსანს, 3 საზღვაო ტრანსპორტს, სამხედრო კატერებს.

1915 წლის საომარ კამპანიაში კავკასიის არმიამ, რომლის თვალსაჩინო ნაწილს ქართველობა შეადგენდა, ოსმალებისაგან გაათავისუფლა აჭარა, ბათუმისა და ართვინის ოლქები, წინ წაიწია შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლში და რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი ჩაიგდო ხელში.

1916 წლის საომარი კამპანიის შედეგად კავკასიის არმიამ შეძლო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არამარტო შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორიების გათავისუფლებაც. კერძოდ, მოკავშირეთა დარდანელის ოპერაციის ჩავარდნამ და მათი ძალების გადასროლამ სალონიკის ფრონტზე გამოათავისუფლა გალიპოლის ნახევარკუნძულზე მყოფი ოსმალთა ძალები. რუსეთის არმიის სარდლობა მოელოდა, რომ ეს ძალები გადმოსროლილი იქნებოდა კავკასიის ფრონტზე მე-3 არმიის გასაძლიერებლად, რომელიც იცავდა ქ. არზრუმს. ეს გარემოება კი უკიდურესად დაამძიმებდა კავკასიის არმიის მდგომარეობას. აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ კავკასიის არმიას დაესწრო და გაენადგურებინა ოსმალთა მე-3 არმია არზრუმთან, სანამ ის გაძლიერდებოდა გალიპოლიდან გადმოსროლილი ძალებით.

აღნიშნული გეგმის შესასრულებლად შეიქმნა საარმიო მოიერიშე დაჯგუფება, რომელშიც შედიდა 24 ქვეითი ბატალიონი, 14 საკავალერიო ასეული და 68 ქვემეხი. დაჯგუფებას იერიში უნდა მიეტანა დასახლებულ პუნქტ კაპრიკეის მიმართულებით, საიდანაც რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების გამო თურქები არ მოელოდნენ მოწინააღმდეგის შეტევას. ე. წ. დამხმარე შეტევებს ავითარებდნენ თურქესტანის მე-2 კორპუსი ოლთისის მიმართულებით და კავკასიის 1 კორპუსი არზრუმის მიმართულებით.

ოპერაცია დაიწყო 1916 წლის 10 იანვარს თურქესტანის მე-2 კორპუსის მოქმედებებით. მოიერიშე დაჯგუფება და კავკასიის 1 კორპუსი შეტევაზე გადავიდნენ 12 იანვარს. რუსეთის არმიის შეტევა სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა თურქებისათვის. მოიერიშე საარმიო დაჯგუფების გასვლამ თურქთა მე-3 არმიის ზურგში კაპრიკეის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. თურქთა ნაწილებმა 16 იანვარს მიიღეს ბრძანება სასწრაფოდ უკან დახევის შესახებ. 17 იანვარს მათ დაიწყეს არაორგანიზებულად უკან დახევა არზრუმისაკენ, თან გზადაგზა ანადგურებდნენ სურსათსა და მატერიალურ ქონებას. 20 იანვრისათვის მოიერიშე დაჯგუფების ქვედანაყოფებმა მიაღწიეს ერთ-ერთ ქედს, რომელიც აღმოსავლეთიდან იცავდა არზრუმს.

კავკასიის არმიის მთავარსარდალმა, დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სასწრაფოდ დაწყებულიყო არზრუმზე იერიში, რათა არ მიეცათ საშუალება თურქთა მე-3 არმიისათვის, გამაგრებულიყო თავდაცვით პოზიციებზე. ქალაქს იცავდა 11 ფორტი და რამდენიმე სიმაგრე.

არზრუმზე იერიში დაიწყო 11 თებერვალს. ჩრდილოეთიდან ქალაქს უტევდა თურქესტანის მე-2 კორპუსი, ხოლო აღმოსავლეთიდან — კავკასიის მე-4 მსროლელი დივიზია და კავკასიის 1 კორპუსი. შეტევა წარმატებით განვითარდა. 12 თებერვალს ქვედანაყოფებმა დაიკავეს 2 ფორტი, რამაც საშუალება მისცათ, ჩრდილოეთიდან გასულიყვნენ თურქთა პოზიციების ზურგში. 16 თებერვალს კავკასიის არმიის ნაწილებმა დაიკავეს ქ. არზრუმი, ხოლო თურქებმა უკან დაიხიეს დასავლეთისკენ 100 კილომეტრით. 25 მარტისათვის შეტევა შეჩერდა ლოგისტიკურ უზრუნველყოფაში არსებული პრობლემების გამო.

არზრუმის ოპერაციის წარმატებით დამთავრებას დიდი მიშვნელობა ჰქონდა კავკასიის არმიის შემდგომი მოქმედებებისათვის ფრონტის ხაზზე. მე-3 არმიამ დაკარგა პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და მთელი არტილერია, ხოლო რუსეთის მხარემ პირადი შემადგენლობის მხოლოდ 10%. ამავე დროს რუსული საკავალერიო საექსპედიციო კორპუსი გენერალ ნიკოლოზ ბარათოვ-ბარათაშვილის მეთაურობით ირანში შევიდა და მოკლე ხანში დაიკავა ირანის მნიშვნელოვანი ტერიტორიები. სწორედ ბარათოვის კორპუსში იყო ჩართული ქართული საკავალერიო პოლკი, რომლის შემადგენლობაშიც იბრძოდა კაპიტანი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, შემდგომში საქართველოს ეროვნული გმირი.

1916 წლის შემოდგომიდან უმძიმეს პირობებში, არაერთ რთულ სამხედრო ოპერაციაში მებრძოლ მხარეებს აღარ ჰქონდათ სერიოზული სამხედრო კამპანიის წარმოების რეზერვები და ისინიც თავდაცვაზე გადავიდნენ. ასე გაგრძელდა 1917 წლის ბოლომდე, ხოლო მომდევნო 1918 წელს რუსეთის ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ ბრესტის საზავო ხელშეკრულებით ფაქტობრივად დათმო ზემოაღნიშნული ტერიტორიები, რითაც ხელი შეუწყო ოსმალეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ხელახალ ექსპანსიას.




ქახეთის ბლეხოა აჯანყება
1812 წელი
31 იანვარი
ახმეტა
1 თებერვალი
4 თებერვალი
ბოდბური
ალაქანი
ბოდბური
3 თებერვალი
5 თებერვალი
ბოდბური
ბოდბური
7 თებერვალი
ბოდბური
6 თებერვალი
ბოდბური
ბოდბური
ეროვნული ნიშნები
ბოდბური
ბოდბური
ბოდბური

პირველი მსოფ



მასშტა

III ომი (1918 წ.)



= 21 000 000

იმპერატორი ნიკოლოზ II და კავკასიის ფრონტის სარდალი, გენერალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი

გერმანული მისიის ხელმძღვანელი გენერალი ოტო ფონ ლოსოვი

ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენცია

ანალიზი: ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე ამერკავკასია, კერძოდ, საქართველო მოწინააღმდეგე მხარეებისათვის რჩებოდა ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად. ომის განმავლობაში სამარი მოქმედებები წარიმართა საქართველოს კუთვნილ და ძირძველ ისტორიულ ტერიტორიებზე, კერძოდ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, აჭარასა და ბათუმის ოლქში, შავშეთში, კლარჯეთში, იმერხევში, კოლა-არტაანსა და ოლთისში.

კავკასიის ფრონტზე მოქმედ არმიაში ქართველებიც მონაწილეობდნენ. ქართველი გენერლებისა და ოფიცრების გამჭრიახობამ, ნიჭმა, მამაცობამ არაერთ საბრძოლო ოპერაციაში იჩინა თავი. მათი თანამონაწილეობით კავკასიის არმიამ შეძლო არა მარტო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შენარჩუნება, არამედ ისტორიული ჭანეთის (ლაზეთის) და სხვა ქართული ტერიტორიების დროებით გათავისუფლებაც. პირველმა მსოფლიო ომმა დაადასტურა ეკონომიკასა და პოლიტიკაზე შეიარაღებული ბრძოლის მზარდი დამოკიდებულება. XX ს-ის 20-30-იან წლებში პირველი მსოფლიო ომის გამოცდილებამ დიდი გავლენა იქონია მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობაზე. საქართველო, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, პირველი მსოფლიო ომის თანამონაწილე გახდა. არსებობს თვალსაზრისი, რომ ამ ომში 320 000 ქართველი მონაწილეობდა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ეს მაჩვენებელი მაშინდელი საქართველოს მოსახლეობის (2, 3 მლნ.) 14%-ს შეადგენდა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობა მაშინდელი მონაცემებით 170 მილიონს ითვლიდა, არმიაში მობილიზებული იყო 12 მილიონი, ანუ მთელი მოსახლეობის 7%. ამდენად, მოსახლეობის რაოდენობის პროცენტული თანაფარდობის მიხედვით ქართველებმა 2-ჯერ მეტი ჯარისკაცი მისცეს პირველი მსოფლიო ომის ფრონტებს, ვიდრე მთელმა რუსეთმა.

ისტორიული მასალების შესწავლის საფუძველზე ამ ფრონტზეც, ისევე როგორც სხვაგან, გამოჩნდა ქართველი მეომრების სიმამაცე. განსაკუთრებულად გამოვლინდა ქართველი გენერლების ვასილ გაბაშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით ნათიშვილისა და სხვათა მხედართმთავრული ნიჭი. აგრეთვე, ქართველი პოლკოვნიკების — გიორგი მაზნიაშვილის, გიორგი კვინიტაძის, ნიკოლაძის, წულუკიძის, კაპიტნების — ტარასი ვაშაკიძის, ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და სხვათა გონიერება და მხედრული შესრულება. გენერალ კვინიტაძის გადმოცემით, 25 ქართველი გენერლიდან 23-მა მიიღო წმინდა გიორგის ჯვარი.

შედეგი: პირველმა მსოფლიო ომმა, რომელიც ანტანტის გამარჯვებით დამთავრდა, კაცობრიობას მანამდე არნახული ნგრევა მოუტანა. ომში დაიღუპა დაახლოებით 10 მილიონი ადამიანი, დაიჭრა და დასახიჩრდა 20 მილიონზე მეტი. ომმა გამოიწვია ეკონომიკური, სამრეწველო რესურსების განადგურება. დაინგრა მრავალი ქალაქი და სოფელი. საერთო ზარალი ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 338 მილიარდი დოლარით განისაზღვრა.

სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით, I მსოფლიო ომში პირველად გამოიყენეს ახალი საბრძოლო საშუალებები: თვითმფრინავები, ტანკები, წყალქვეშა ნავები, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებები. გამოიყენეს ქიმიური იარაღი. ცვლილებები განიცადა არმიის საორგანიზაციო სტრუქტურამ, გაჩნდა ჯარების ახალი სახეობები. დამოუკიდებელ სახეობად გამოიყო სამხედრო ავიაცია, რომელიც დაიყო მზვერავ, გამადგურებელ, ბომბდამშენ და მოიერიშე ნაწილებად. გაჩნდა სატანკო, ქიმიური, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები. გაიზარდა საინჟინრო ჯარების ხვედრითი წილი, შემცირდა კავალერიის მნიშვნელობა. ზღვაზე გაიზარდა წყალქვეშა ნავების, საზღვაო ავიაციის, სატორპედო იარაღის როლი. გაჩნდა ხომალდების ახალი კლასები.

ამ ომის შედეგად ოთხი იმპერია დაემხო: გერმანიის, რუსეთის, ოსმალეთისა და ავსტრო-უნგრეთის. ამასთან გერმანიამ და რუსეთმა დაკარგეს მნიშვნელოვანი ტერიტორიები და ეკონომიკურად დასუსტდნენ, ხოლო ოსმალეთისა და ავსტრო-უნგრეთის იმპერიები დაიშალა და დანაწილდა. დამოუკიდებლობა მოიპოვა უნგრეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, ესტონეთმა, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, ფინეთმა, იუგოსლავიამ და ა.შ. დაარსდა ვაიმარისა და ავსტრიის რესპუბლიკები. პირველ მსოფლიო ომსა და რუსეთში მოხდარ რევოლუციებს უკავშირდება, ჯერ ამერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის გამოცხადება (1918 22 აპრილი — 1918 წლის 26 მაისი), ხოლო მისი დაშლის შემდეგ — ამერკავკასიის ტერიტორიაზე ცალკეული დამოუკიდებელი სახელმწიფოების — საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნა.

II თავი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა

§7. სომხეთ-საქართველოს ომი (18.10.1918 – 17.01.1919)

შესავალი: ათწლეულების განმავლობაში 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს ომის საკითხი თეთრ ლაქას წარმოადგენდა საქართველოს უახლეს ისტორიაში და სამხედრო-ისტორიული თვალსაზრისითაც შეუსწავლელი იყო. ეს ფაქტი შესაბამისი საარქივო მასალების მიუწვდომლობითა და იმ ინტერნაციონალური იდეოლოგიური წნეხის არსებობით შეიძლება აიხსნას, რაც ქართველთა და სომეხთა იძულებითი, სამოცდაათწლიანი პერიოდის ტოტალიტარულ რეჟიმში თანაცხოვრებით იყო გამოწვეული ერთიან, უნიტარულ საბჭოთა იმპერიაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემური თემატიკის შესახებ არ არსებობდა სპეციალური გამოკვლევები არც სამხედრო ისტორიის კუთხით, არც საჯარისო ტაქტიკისა და ოპერატიული ხელოვნების თვალსაზრისით. მით უმეტეს, არ არსებობდა ამ პრობლემებთან დაკავშირებული მეტად მნიშვნელოვანი საკითხების სტრატეგიული ხედვა.

1918-1919 წლების სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული შეიარაღებული დაპირისპირება ზოგან მცირე სახელმწიფოებრივი უთანხმოების, ზოგან საზღვრისპირა კონფლიქტის, უმნიშვნელო შეტაკებისა თუ მიწის ვიწრო ზოლისათვის წარმოქმნილი სახელმწიფოებრივი ინციდენტის სახელებითაა ცნობილი. რეალურად ის სრულმასშტაბიანი ომი იყო სომხეთისა და საქართველოს პირველ რესპუბლიკებს შორის, მისი ყველა პოლიტიკური ასპექტისა და საბრძოლო კომპონენტის ჩათვლით.

1918 წლის ბოლოსათვის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას დიდი საფრთხე დაემუქრა და ამ ომის შედეგად ქართულ სახელმწიფოს თავისი ისტორიული მიწების მნიშვნელოვან ნაწილზე მოუხდა სუვერენული უფლებების დათმობა. მცირე ამონარიდს მოვიყვანთ 1919 წლის ჟურნალ „მხედრიდან“: „ქართული მხედრობა თავისი ერის მომავალს იცავდა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გამარჯვებულ აღა-მაჰმად-ხანზე უფრო საშიშარნი საქართველოსათვის გამარჯვებული დაშნაკცაკანები იყვნენ“.

ა) სანაინ-ალავერდის ბრძოლა (9-16.12. 1918)

პოლიტიკური ვითარება: 1917 წლის ოქტომბრის ავანტიურისტულმა გადატრიალებამ რუსეთში სრულიად შეცვალა I მსოფლიო ომში მონაწილე დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის არსებული ძალთა ბალანსი და არსებითი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიოში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებზე. 1918 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიაში შემოსვლა დაიწყეს გერმანულმა საოკუპაციო ჯარებმა. ამავდროულად კავკასიის ფრონტზე დაიწყო გერმანიის მოკავშირე თურქეთის სამხედრო შენაერთების მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიების ოკუპაცია.

1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის ფედერაცია დაშლილად გამოცხადდა და საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა თურქთა წინააღმდეგ მცირემასშტაბიანი ბრძოლებისა და გერმანელთა მიმართ ლოიალური პოლიტიკის გატარებით მოახერხეს თურქების აგრესიისაგან თავიანთი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაცვა. 1918 წლის ივნისის დასაწყისში ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში, ყოფილი ტფილისის გუბერნიის სამხრეთ საზღვრების გასწვრივ, ისტორიულ ლორე-ტაშირში, სანაინი-ქობერი-წათერი-ქორინჯის ხაზზე გაიხსნა შერეული გერმანულ-ქართული სასაზღვრო საგუშაგოები. ამით დეფაქტოდ დაფიქსირდა ქართული სახელმწიფოს (ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფო) სამხრეთის ისტორიული საზღვარი. შესაბამისად, ყოფილი ერევნის გუბერნიის ჩრდილოეთის სასაზღვრო პერიმეტრი დიკაევს დაშნაკური სომხეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებმა. მათ შორის კი „ომის უფლებით“ ყარა-ქილისა-დილიჯანის ზოლის ოკუპაცია მოახდინეს თურქულმა ქვედანაყოფებმა. ასეთი მდგომარეობა შენარჩუნდა 1918 წლის ივნისი-ოქტომბრის პერიოდში.

კაიზერული გერმანიის I მსოფლიო ომში დამარცხებისა და 11 ნოემბერს ხელმოწერილი საზავო პირობების თანახმად, ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული მმართველობის ზონად გამოცხადდა. გერმანიისა და თურქეთის საოკუპაციო ჯარების კონტინგენტებმა გასვლა დაიწყეს ამიერკავკასიის ტერიტორიებიდან.

ასეთი იყო სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სომხეთ-საქართველოს ომის წინ და გარკვეულწილად განსაზღვრა კიდეც ომის დაწყების, მიმდინარეობისა და დასრულების პროცესი.

ომის გამომწვევი მიზეზები: ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დაწყებამდე სომეხ დაშნაკებსა და ნაციონალისტებს იმედი ჩაესახათ, რომ რუსეთთან მოსალოდნელ ომში ოტომანთა იმპერიის დამარცხების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და სომხებით დასახლებული ოტომანთა იმპერიისა და ამიერკავკასიის ტერიტორიების ხარჯზე სომხური სახელმწიფოსა და მომავალი „დიდი სომხეთის" შექმნა. ამის საბაბს სომეხ პოლიტიკოსებს გარკვეულწილად ქართველი სოციალ-დემოკრატებიც აძლევდნენ, რომლებიც აღიარებდნენ „ერთა თვითგამორკვევის პრინციპსა" და ამიერკავკასიის ტერიტორიების სახელმწიფოებრივ დაყოფა-დანაწილებას ეთნიკური ნიშნით.

სომეხი დაშნაკების საწინააღმდეგოდ, ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი, კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატები, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინაპირობად კაიზერული გერმანიის გამარჯვებას აღიქვამდნენ I მსოფლიო ომში. დელეგაციაც კი გაიგზავნა გერმანიაში, რომლის წევრებიც გრაფ პურტალესს შეხვდნენ ამ საკითხების განსახილველად. შეიქმნა „დამოუკიდებლობის კომიტეტი" და ქართული მხარე მოკავშირეობას შეპირდა გერმანიას, თუ ისინი იარაღით მოამარაგებდნენ „დამკომს".

პირველი ქართული ლეგიონი, რომელიც ამ ეტაპზე ძირითადად ლაზებითა და აჭარლებით იყო დაკომპლექტებული, პოლკოვნიკ გიორგი (ლეო) კერესელიძის მეთაურობით, I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში ჩაება და საწყის ეტაპზე მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებსაც მიაღწია. მათ „საზღვარზე მყოფ რუს კაზაკთა რაზმები გაანადგურეს და აიღეს რამდენიმე სოფელი, ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ქვემეხი და ტყვედ აიყვანეს მრავალი რუსი ჯარისკაცი". ქართული ლეგიონის მიერ მურღულთან და მაჭახელასთან ჩატარებულმა ამ წარმატებულმა ოპერაციამ გზა გაუკაფა გერმანულ-თურქული სადესანტო ნაწილების ელვისებურ წარმატებას ბათუმთან, I მსოფლიო ომის დაწყების პირველსავე ეტაპზე, 1918 წლის ნოემბერში. „ხოფაში გადმოსხეს კონსტანტინოპოლის პირველი საარმიო კორპუსის მე-7 და მე-8 პოლკების საზღვაო დესანტი, გერმანელ მაიორ შტანკეს მეთაურობით, რომლებიც უეცრად შეიჭრნენ მდ. ჭოროხის ხეობაში, ბრძოლებით დაიკავეს არტანუჯი, ართვინი, ბორჩხა და რუსებს მდ. აჭარისწყლამდე დაახევინეს".

რადგან მსოფლიო ომის მსვლელობისას სომეხ მოხალისეთა რაზმები იბრძოდნენ ანტანტის წევრი ქვეყნების მხარეზე, ხოლო გერმანიისადმი ლოიალური დამოკიდებულების გამო საქართველო იმთავითვე პროგერმანულად მოიაზრებოდა, I მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, დამოუკიდებელი სომხეთის დაშნაკურ მთავრობაში გაჩნდა რეალური მოთხოვნა, სომხებით დასახლებული ქართული მიწების ოკუპაციისა და მისი „დიდ სომხეთთან" მიერთების შესახებ.

სომეხთა პოზიცია პათეტიკური იყო. დიდი მოკავშირეების იმედი რომ არ ჰქონოდათ, ისინი ვერასდროს ვერ გაბედავდნენ ქართველების წინააღმდეგ წასვლას. სომხები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბრიტანეთი და საფრანგეთი წინააღმდეგნი არ იქნებოდნენ იმ ხალხის დასჯისა, რომელიც ომის დროს გერმანიასთან თანამშრომლობდა.

ასეთი იყო სომხეთ-საქართველოს ომის ძირითადი გამომწვევი მიზეზი, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ორივე რესპუბლიკის შემდგომ ბედსა და მათ ტერიტორიულ მოწყობაში.

სტრატეგიული ამოცანები: დაშნაკური სომხეთის მთავრობა კომპლექსურად შეუდგა დასახული გეგმის განხორციელებას. ომისათვის მზადების გეგმა მოიცავდა ეროვნული საჯარისო შენაერთების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლებას, სხვადასხვა ქვეყნებსა და საქართველოში მცხოვრები სომხების სამობილიზაციო შეკრებას, მოსახლეობის შეიარაღებას, საბოტაჟს, ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და განხორციელებას, მოქმედებების საერთო კოორდინაციასა და სხვა ღონისძი-

ებების გატარებას. ეს პროცესები 1918 წლის სექტემბრიდან დაიწყო და სომხეთ-საქართველოს შორის ომის მსვლელობისას გაგრძელდა.

ცნობილი ქართველი ეროვნულ-დემოკრატის სპირიდონ კედიას საპარლამენტო გამოსვლა: „აქ მარტო ბორჩალო-ახალქალაქის საკითხი არ არის. აქ ტფილისის საკითხია. მეტიც, რასიული იდეის ბატონობის საკითხია. საქართველოში ერთმბრძანებლობა ვის უნდა ეპყრას შეუცილებლად, საქართველოს იდეას თუ სომხეთის იდეას? ეროვნული არსობისა, ეროვნული ყოფნა-არყოფნის საკითხია, ამიტომ შეუბრალებელი და შეუდრეკელი უნდა იყოს საქართველოს მახვილის მრისხანება".

სომხური მხარის სტრატეგიულ ამოცანას საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიებისა და თბილისის ოკუპაცია, მისი შემდგომი ანექსია და სომხური სახელმწიფოსათვის მიერთება წარმოადგენდა.

რაც შეეხება ქართული მხარის სტრატეგიულ ამოცანებსა და გეგმებს, აქ საქმე მარტივადაა, იმიტომ რომ ამ საკითხთან მიმართებაში ქართულ მხარეს არანაირი გეგმა არ გააჩნდა. ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ აზროვნებას ბოლომდე არ ჰქონდა გაანალიზებული შექმნილი და მოსალოდნელი საგარეო საფრთხეების ხარისხი. შესაბამისად არ არსებობდა ამ საფრთხეების პრევენციის გეგმაც. პირველი ქართული რესპუბლიკა თავის პირველსავე დიდ ომში აბსოლუტურად მოუმზადებელი ჩაება.

სამოქმედო რაიონი: 1918-1919 წლების სომხეთ-საქართველოს საომარ მოქმედებათა თეატრი გეოგრაფიულად საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა — ყოფილი ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის მნიშვნელოვან ნაწილსა და ახალქალაქის მაზრის სამხრეთ ნაწილს (დღევანდელი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფოთა ტერიტორიები). საერთო ჯამში, საომარ მოქმედებათა თეატრის საზღვრები ასეთია: ჩრდილოეთიდან — ახალქალაქი-აღბულახი (ბელიკლიუჩი, თეთრი-წყარო)-ეკატერინენფელდი (ქალაქი ბოლნისი)-რკინიგზის სადგური სანდარი (მარნეული, ბორჩალო); აღმოსავლეთიდან — სადგური სანდარი-სადახლო-სანაინი-ქორინჯი; სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან — ქორინჯი-მდ.კამენკა (მდ. ძორაკეთი)-ტროიცკოე-ახალქალაქი.

რელიეფი ძირითადად მთიანია, აქ უხვადაა ქედები და მთიანი მასივები. ქედები სხვადასხვა მიმართულებით მიემართებიან და ქმნიან ზოგან მაღალ პლატოებს, ზოგან კი შედარებით დაბალ ზეგნებს. ქედების ფერდობები მკვეთრად დახრამული და დანაწევრებულია, ზოგან — კანიონისებურად. ლორეს დაბლობი, ანუ „ქართველთა ველი" შემოსაზღვრულია სამხრეთიდან ბამბაკისა და ბაზუმის ქედებით, ხოლო ჩრდილოეთიდან — სომხითის (ლოქის) ქედით, რომელიც ამავე დროს მდინარეების — კამენკასა და მაშავერას აუზების წყალგამყოფს წარმოადგენს. იგი დმანისიდან სადახლომდე, უფრო ზუსტად კი ტაბაწყურის ტბიდან ფილიჟანამდეა გადაჭიმული. ჰავა ზომიერად კონტინენტურია, ზომიერად თბილი ზაფხულითა და მკაცრი, უხვთოვლიანი ზამთრით. სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები სრული მასშტაბით წელიწადის სწორედ ამ დროს გაიშალა.

ტყეებითა და მწვანე საფრით ლორეს დაბლობი ძალზე ღარიბია. ლოქის ქედის ტყეები კი ჯარების დისლოკაციის ადგილისა და მათი მარშით გადაადგილების შესანიღბავად ხელსაყრელ ბუნებრივ ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ამ გარემოებამ ითამაშა მნიშვნელოვანი როლი ომის ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა სომეხთა მე-5 მსროლელმა პოლკმა და დაშნაკურმა საბრძოლო რაზმებმა შეუმჩნევლად შეძლეს ეკატერინენფელდში სახალხო გვარდიის შენაერთზე მოულოდნელი იერიშის მიტანა 1918 წლის 19 დეკემბრის გამთენიისას. მდინარეებით რეგიონი მეტ-ნაკლებად მდიდარია. მთავარ მდინარეებს წარმოადგენს: დებედა (ბერდუჯი), ხრამი, მაშავერა, კამენკა. ფორსირებისათვის (კავალერიისა და არტილერიის ჩათვლით) მდინარეები ხელსაყრელია, განსაკუთრებით, ზამთრის მცირეწყლიანობის დროს, ხრამისა და დებედას ქვემო წელის გამოკლებით. დებედას კალაპოტი მიხვეულ-მოხვეულია და მისი ხეობა, განსაკუთრებით, სანაინი-ალავერდი-აირუმის უბანზე, კანიონისებურია. ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ ეპიზოდში, როცა მდინარე დებედას ქვემო წელის გაუვალობამ დეკემბრის ბოლოსათვის შეაფერხა ერთ-ერთი ქართული საჯარისო კოლონის შეტევითი ოპერაციის დროული განვითარება ლამბალო-სადახლოს მიმართულებაზე, რამაც დიდი გავლენა იქონია საომარ მოქმედებათა შემდგომ მსვლელობაზე.

საბრძოლო მოქმედებათა რაიონები მაგისტრალური გზებით ცუდად იყო უზრუნველყოფილი. იქ ძირითადად მდინარეები და ხეობები იყო. ერთლიანდაგიანი რკინიგზა მდინარეების დებედასა და ბამბაკის ხეობებს მიუყვებოდა. აირუმი-უზუნლარის რკინიგზის მონაკვეთზე 20–მდე დიდ-პატარა ხიდი და რამდენიმე გვირაბი იყო, რომელთა მწყობრიდან გამოყვანაც დიდი ხნით იწვევდა რეგიონის სრულ სარკინიგზო იზოლაციას.

რეგიონის საავტომობილო გზების ქსელი არ წარმოადგენდა შეტყობინების სტრატეგიულ ინფრასტრუქტურასა და ჯარებისა და არტილერიის ოპერატიული გადაადგილებისათვის ნაკლებად მოსახერხებული იყო. საომარი მოქმედებების შემთხვევაში რთულდებოდა ჯარების სწრაფი გადაჯგუფება და მანევრირების შესაძლებლობა როგორც წმინდა საბრძოლო მოქმედებებისათვის, ისე ლოგისტიკური უზრუნველყოფის მხრივაც.

1918 წლისათვის ლორე უკვე ძირითადად სომხებით იყო დასახლებული, რაც წარმოადგენდა სომეხ დაშნაკთა აგრესიული იდეოლოგიის მძლავრ მხარდამჭერ ფაქტორსა და ანტიქართული პროვოკაციების მოწყობის უტყუარ იარაღს. მცირე იყო რუსი სექტანტებისა და აზერბაიჯანელების რიცხვი.

მებრძოლი მხარეები: 1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ერთდროულად თითოეული რესპუბლიკისათვის დღის წესრიგში საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანაც დადგა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში ფედერაციის დაშლამდე უკვე .არსებობდნენ საქართველოს წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდიის რაზმები და ერთი ქართული დივიზიის ჩანასახი. სწორედ ამ საჯარისო ფორმირებებმა შეადგინეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ძირითადი ბირთვი უკვე დამოუკიდებლობის დეკლარირების შემდეგ.

საერთო ჯამში, ქართული კორპუსი დივიზიურ-პოლკური სტრუქტურით, სამი ქვეითი დივიზიით განისაზღვრა. ქვეითი პოლკის პირადი შემადგენლობა 1200-1800 კაცს შეადგენდა.

ე.წ. „ქართული საარმიო კორპუსი“ 1918 წლისათვის ორი არასრული „დივიზიით“ იყო წარმოდგენილი და მათ დივიზიებიც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ, რადგან არც სტრუქტურით, არც შეიარაღებით და არც პირადი შემადგენლობის რიცხოვნობით აღნიშნულ შენაერთებს არ შეესაბამებოდნენ.

I ქვეითი დივიზიის ნაწილები დასავლეთ საქართველოში იყო დისლოცირებული, დივიზიის შტაბით ქუთაისში, ხოლო II დივიზიისა – აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით თბილისში. 1918 წლისათვის მათ გენერლები მ. არჯევანიძე და გ. მაზნიაშვილი მეთაურობდნენ.

ქართული შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა საქართველოს წითელი, მოგვიანებით კი სახალხო გვარდია, რომელიც მილიციური ტიპისა იყო და მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბრძოლო შენაერთს წარმოადგენდა. იგი არ შედიოდა რეგულარული ჯარის სტრუქტურაში და პირადად მთავრობის თავმჯდომარეს ექვემდებარებოდა. მისი სამეთაურო შემადგენლობაც პარტიის აქტივისტებით იყო დაკომპლექტებული.

გვარდიის უმაღლეს მმართველ ორგანოს მთავარი შტაბი წარმოადგენდა და მას უცვლელად სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი, ვალიკო ჯუღელი ედგა სათავეში, ხოლო გვარდიის საპატიო სარდლის თანამდებობა მთავრობის თავმჯდომარეს – ნოე ჟორდანიას ეკავა. გვარდიის რეგიონალური მართვის სტრუქტურა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს მოიცავდა, სადაც გვარდიის რაიონული შტაბები იყო დაფუძნებული.

სახალხო გვარდიას გააჩნდა ქვეითი, საკავალერიო და საარტილერიო ნაწილები, მის შემადგენლობაში შედიოდა ჯარების ტექნიკური სახეობა – ჯავშანმატარებლების პარკი, რომელსაც სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ოფიცერი, პორუჩიკი ვალოდია გოგუაძე ედგა სათავეში. რეგულარულ ჯარსა და გვარდიას შორის პრივილეგიების კუთხით არსებობდა სხვაობა და ეს ფაქტი ქართული შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ უარყოფით ფაქტორს წარმოადგენდა.

გენერალ გ. კვინიტაძის მონაცემებით, საწყის ეტაპზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი რეგულარული საჯარისო შენაერთი შედგებოდა „ერთი ქვეითი ბატალიონის, გვარდიის ერთი ბატალიონის, ერთი ბატარეის, გვარდიის ერთი ცხენოსანი დივიზიის, ერთი კი გერმანული – ბავარიელ ეგერთა ბატალიონისაგან“. დამატებით – ჯავშანმატარებლების პარკი,

საავიაციო რაზმი და მცირე ფლოტი – ბაზირებით ფოთში. ჯარების იმჟამინდელი საორგანიზაციო-საშტატო გათვლით, ეს საბრძოლო სტრუქტურა ფაქტიურად სრულ გაშლილ ბრიგადას წარმოადგენდა.

სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას იგივე სარჩული დაედო საფუძვლად, რაც ქართულისას, კერძოდ: „სომხური ტერიტორიებისა" და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა.

ჯარების ორგანიზაციის მხრივ სისტემა აქაც რუსული იყო – დივიზიურ-პოლკური სტრუქტურით. ცხადია, ქართულის ანალოგიური. ქართველ მენშევიკთა იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ, სომეხ დაშნაკთა პოლიტიკური ხედვა და მიზნები აბსოლუტურად შეესაბამებოდა თითოეული სომეხის ნაციონალისტურ მისწრაფებებს. ეს ეხებოდა არა მარტო სომხეთსა და თურქეთში მცხოვრებ სომხებს, არამედ რუსეთის არმიაში მოსამსახურე სომეხი ეროვნების თითქმის ყველა გენერალსა და ოფიცერს. საბოლოო ჯამში, სომხებმა, ქართველებთან შედარებით, რიცხობრივად გაცილებით უფრო დიდი არმიის შექმნა შეძლეს.

1917 წლის ბოლოსათვის ფაქტობრივად ჩამოყალიბებული იყო კავკასიის სომეხთა საარმიო კორპუსი გენერალ-ლეიტენანტ თომა ნაზარბეგოვის სარდლობით. მასში შედიოდა: 2 მსროლელი დივიზია, 1 მოხალისეთა დივიზია, 1 ცხენოსანი ბრიგადა, 1 საველე და 1 სამთო საარტილერიო დივიზიონები, სხვა სპეციალური ნაწილები. საერთო ჯამში, სომხური საარმიო კორპუსის პირადი შემადგენლობა 1918 წლის დასაწყისისათვის დაახლოებით 40 000 კაცს შეადგენდა, რომელიც სამ – დასავლეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის დაჯგუფებებად დაიყო.

1918 წელს ქართულ და სომხურ ჯარში იგივე სამხედრო წოდებები იყო, რაც მეფის რუსეთის არმიაში: პოდპორუჩიკი, პორუჩიკი, შტაბის კაპიტანი, კაპიტანი, პოდპოლკოვნიკი, პოლკოვნიკი, გენერალ-მაიორი და გენერალ-ლეიტენანტი. კავალერიაშიც შენარჩუნებული იყო სპეციალური სამხედრო წოდებები – კორნეტი, ვახმისტრი, როტმისტრი. სახალხო გვარდიაში სამხედრო ან სხვა სპეციალური წოდებები არ არსებობდა. სომხებმა პრაქტიკულად შეძლეს ერთი სრული საარმიო კორპუსის სტრუქტურის ჩამოყალიბება. 1918 წლის მონაცემებით, სომხეთის შეიარაღებული ძალები რიცხობრივად რამდენჯერმე აღემატებოდა საბრძოლო მწყობრში მდგომ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას. როგორც საქართველოს, ისე სომხეთის შეიარაღებული ძალების სამეთაურო შემადგენლობა ოფიცერთა გამოცდილი კადრებით იყო დაკომპლექტებული, რომელთაც რუსეთის სამხედრო სკოლა ჰქონდათ გავლილი.

შეიარაღება: საქართველოსა და სომხეთის პირველი რესპუბლიკების სამხედრო ძალებში შეიარაღებით აღჭურვის საქმეში განსხვავებული სურათი იყო. ეს განსხვავება განსაკუთრებით შეიარაღების ტექნიკურ სახეებს შეეხებოდა. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ძირითად სასროლ იარაღად 1918 წლის ბოლოსათვის მიღებული იყო რუსული წარმოების 1891 წლის ნიმუშის მოსინის სისტემის, ე.წ. სამხაზიანი, 7,62მმ. კალიბრის შაშხანა, რომელიც იმ დროისათვის ერთ-ერთი საუკეთესო ბალისტიკური მაჩვენებლებით გამოირჩეოდა. თუმცა წითელი გვარდია ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მოძველებული შვეიცარული შაშხანებით იყო აღჭურვილი. მცირე რაოდენობით იყო ლებელის სისტემის შაშხანა. კავალერიისათვის მიღებული იყო დამოკლებული შაშხანა – კარაბინი, ხოლო ოფიცერთა შემადგენლობისათვის დამატებით – ნაგანის ტიპის რევოლვერი და მცირე რაოდენობით ბრაუნინგის პისტოლეტები. 1917 წლის 12 დეკემბრიდან საგრძნობლად გაუმჯობესდა წითელი გვარდიის პირადი შემადგენლობის იარაღით აღჭურვის საქმე.

სომხეთის არმიის შეირაღებაში ძირითად სასროლ იარაღს რუსული წარმოების სამხაზიანი შაშხანა წარმოადგენდა. ამავე დროს, დიდი რაოდენობით იყო უცხოური წარმოების იარაღი – ბრიტანული, ფრანგული, თურქული, თვით ე.წ. „ბერდანკებიც" კი. ტყვიამფრქვევებიდან ორივე მხარის შეიარაღებაში მიღებული იყო მაქსიმის ტიპის დაზგის ტყვიამფრქვევი მცირე რაოდენობით, ასევე მსუბუქი – ლუისის ტიპის ტყვიამფრქვევი. საარტილერიო სისტემების ტიპების მხრივაც იდენტური მდგომარეობა იყო. ორივე მხარეს შეიარაღებაში ჰქონდა რუსული წარმოების 1909 წლის ნიმუშის სამთო ქვემეხი, 1900 წლის საველე და 1902 წლის ნიმუშის მსუბუქი ქვემეხები. მძიმე საალყო არტილერიით არც ერთი მხარე არ იყო აღჭურვილი, რადგან რუსეთის კავკასიის არმიის შეიარაღებაში არსებული მთელი საალყო არტილერია არზრუმისა და ყარსის სტრატეგიულ სიმაგრეებში იყო თავმოყრილი და იგი თურქებს დარჩათ სამხედრო ალაფად.

სასროლი იარაღის, აღჭურვილობის, არტილერიისა და საბრძოლო მარაგების მხრივ, სომხურ მხარეს ქართულთან შედარებით უპირატესობა გააჩნდა. დიდი განსხვავება იყო საქართველოსა და სომხეთის ეროვნული შეიარაღებული ძალების ბრძოლის ტექნიკური საშუალებებით – ჯავშნოსანი მატარებლებით აღჭურვის საქმეში. საქართველოს წითელი გვარდის ხელმძღვანელობამ და პირადად ვლადიმერ გოგუაძემ ამ მხრივ ჯეროვანი ინიციატივა გამოიჩინა და ქართული შეიარაღებული ძალები შესაბამისად აღჭურვა ჯავშანმატარებლებით. ფაქტიურად რუსეთის კავკასიის არმიის ჯავშანმატარებლების მთელი პარკი საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საკუთრებაში აღმოჩნდა. თბილისშივე ხდებოდა ახალი ჯავშნოსანი მატარებლების აგება და დაზიანებულების შეკეთებაც. ამ მაჩვენებლით ქართული მხარე აბსოლუტურ უპირატესობას ფლობდა სომხებთან შედარებით.

იმ დროისათვის ავიაცია ჯარების ცალკეულ სახეობას არ მიეკუთვნებოდა და სტრუქტურულად საინჟინრო-ტექნიკურ ჯარებში იყო გაერთიანებული. კავკასიის არმიის მთელი საავიაციო პარკიც, ჯავშანმატარებლების მსგავსად, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების საკუთრებაში დარჩა. სომხურ მხარეს ჯავშანმატარებლები და ავიაცია საერთოდ არ გააჩნდა.

ბ) უზუნლარი-სანაინის ბრძოლა

ძალთა განლაგება: 1918 წლის ივნისიდან, ბათუმის საზაეო პირობების შესაბამისად, საქართველო-სომხეთის ფაქტობრივი საზღვარი თბილისი-ალექსანდროპოლისის რკინიგზის უბანზე, სადგურ ყარაქილისასა და შაღალის შუა მდებარე მეორე გვირაბთან დაფიქსირდა. სომეხი ისტორიკოსის რიჩარდ ოვანესიანის მიხედვით: „შერეული ქართულ-გერმანული სასაზღვრო საგუშაგოები განლაგდნენ შემდეგ სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში: ვორონცოვკა, ჰაიდარბეკი, ალექსანდროვკა, წათერი, ქობერი და ქორინჯი. თურქთა მიერ დაკავებული ზოლი, ფაქტობრივად, მდინარე კამენკას მარჯვენა ნაპირს მიჰყვებოდა და მოიცავდა სოფლებს: ნოვო-პოკროვკა, ჯალალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართაბლური, კურტანი და დარაქენდი, შემდეგ კი დასავლეთისკენ სადგური ქობერი და დასახლებები – მარცი და ლორუთი“. ასეთი მდგომარეობა, ცხადია, დროებითი იყო და რაიმე ფორმალური შეთანხმებით არ იყო განმტკიცებული. შექმნილი' სიტუაციიდან ჩანს, რომ ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ, ე.ი. დამოუკიდებელი რესპუბლიკების გამოცხადების მომენტიდან, საქართველოს სომხეთთან უშუალო საზღვარი არ ჰქონდა და იგი სომხეთის ტერიტორიისაგან გამოყოფილი იყო იმ ვიწრო ზოლით, რომელიც თურქთა მიერ იყო ოკუპირებული „ომის უფლებით“.

ასეთი სურათი 1918 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებამდე შენარჩუნდა, სანამ თურქულმა მხარემ საკუთარი სამხედრო ნაწილებისაგან აღნიშნული რაიონის დაცლა არ დაიწყო. სწორედ ამ პროცესმა ითამაშა კატალიზატორის როლი სომხური საჯარისო ნაწილების გააქტიურებაში.

საქართველოს მთავრობისა და სამხედრო უწყების შეცდომა იყო ის ფაქტი, რომ ოქტომბრიდან სომხურმა ნაწილებმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაიკავეს ის ზოლი და დასახლებული პუნქტები, რომელიც ადრე თურქულ სამხედრო ქვედანაყოფებს ეკავათ. ფაქტობრივად, სომხური საჯარისო ნაწილები უშუალოდ მდინარე კამენკას მარჯვენა სანაპიროზე განლაგდნენ, ხოლო მათი მთავარი საველე შტაბი, ქალაქ ყარაქილისაში (ყოფილი კიროვაკანი, დღევანდელი ვანაძორი) მოეწყო. სოფელი ჯალალ-ოღლი, ისტორიული ქართული ლორე, დღევანდელი სტეფანავანი კი, საქართველოს წინააღმდეგ სომეხთა სამხედრო აგრესიის ერთ-ერთ მთავარ საყრდენ პუნქტად იქცა ჩრდილოეთის მიმართულებაზე.

ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე სომეხთა მიერ ქართული მხარის ზურგში შეიქმნა ძლიერი საყრდენი პუნქტები შემდეგ სოფლებში: უზუნლარი, ახპატი, შულავერი.

1918 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ქართული ქვედანაყოფების რიცხოვნობა ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში ცნობილია: ერთი გაშლილი ასეული უზუნლარი-სანაინის უბანზე ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორის; გენერალ-მაიორ წულუკიძის მეთაურობით; ორი სრული ოცეული ვორონცოვკაში, გენერალ-მაიორ ციციშვილის მეთაურობით. ასეთი იყო დაპირისპირებულ მხარეთა ძალების სტრატეგიული გაშლა 1918 წლის ოქტომბრისთვის ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში.

როგორც ვხედავთ, ძალების სტრატეგიული გაშლის კონტექსტში ქართველებს გაცილებით უარესი და, შეიძლება ითქვას, უიმედო მდგომარეობა ჰქონდათ, ვიდრე სომხებს. ქართული საჯარისო ქვედანაყოფები ყოველმხრივ მოკლებული იყვნენ მათ წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანის შესრულების შესაძლებლობას.

ტაქტიკური ამოცანები: სომხური მხარის უპირველეს ამოცანას შეადგენდა დიდი პროვოკაციის მოწყობა — ქართული საჯარისო გარნიზონის პირადი შემადგენლობისა და ადგილობრივი სომხური მოსახლეობის დაპირისპირების გამოწვევა და ესკალაცია, სისხლისღვრის პროვოცირება და მცირერიცხოვანი ქართული გარნიზონის საბრძოლო მოქმედებებში ჩათრევა. მთავარი კი მოულოდნელობის ფაქტორი იყო. სომეხთა ტაქტიკის ძირითად ელემენტებს კი, ყოველივე ამის გათვალისწინებით, შეადგენდა წინასწარ კარგად მომზადებულ პოზიციებზე ჩასაფრება და ქართული სამანევრო კოლონის ალყაში მოქცევა, მასირებული ცეცხლის გახსნა და მისი ლიკვიდაცია. შემდეგ კი ორი ქვეითი პოლკისა და ადგილობრივი შეიარაღებული რაზმების ძალებით უნდა მიეტანათ იერისი სანაინის ქართულ შტაბზე, მომხდარიყო ქართული გარნიზონის ალყაში მოქცევა და მისი სრული განადგურება.

ამავე დროს, სომეხთა შეტევის მარჯვენა ფლანგიდან უნდა შესრულებულიყო სანაინი-ალავერდის რაიონში განლაგებული ქართული ძალების გარშემოვლის ღრმა ფლანგური მანევრი და სომხური ესკადრონის გასვლა აირუმის მიდამოებში, მომხდარიყო გაბატონებული სიმაღლეების დაკავება, რითაც უნდა დასრულებულიყო გადარჩენილი ქართული გარნიზონისა და შეშველებული ქვედანაყოფების ალყაში მოქცევისა და მათი სრული განადგურების ოპერაცია.

ქართული მხარის ტაქტიკას საწყის ეტაპზე ჯავშანმატარებლების დახმარებით თავდაცვითი ბრძოლები და სადგურ სანაინისა და ალავერდის დაცვა წარმოადგენდა. მეორე ეტაპზე, მტრის რაოდენობრივი სიჭარბისა და ტაქტიკური უპირატესობის გამო, დამხმარე ძალების მოსვლამდე ახლადდაკავებული პოზიციების შენარჩუნების მცდელობა.

ძალთა თანაფარდობა: სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების მომენტში, 1918 წლის 9 დეკემბრისათვის, უზუნლარი-სანაინის უბანზე დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა შემდეგი იყო: ერთი ქართული ჯავშანმატარებელი, სანაინის 60-კაციანი რაზმი, მცირერიცხოვანი მესაზღვრეები — დაახლოებით 200 კაცი, რომელთა პირისპირ იდგა ორი სომხური პოლკი და რაიონის მთელი სომხური მოსახლეობა, საერთო რიცხოვნობით სულ მცირე 3000-3500 კაცი (სომხური მხარის თითქმის ოცმაგი უპირატესობა).

14 დეკემბრისათვის ალავერდი-ახპატის უბანზე ძალთა თანაფარდობა ასეთი იყო: სომხების მხრიდან: მე-2 მსროლელი დივიზიის (მეთაური გენერალი მოვსეს სილიკოვი) მე-4 და მე-6 პოლკები; პირველი მსროლელი დივიზიის (მეთაური გენერალი არეშიევი) პირველი პოლკის ბატალიონები; ცხენოსანი ბრიგადის (მეთაური გენერალი გაბრიელ ყორღანოვი) 3 ესკადრონი; ადგილობრივი სომხური მოსახლეობის ე.წ. „ოპოლჩენიის" რაზმები; არტილერია (დაახლოებით 20 ქვემეხი). საერთო რიცხოვნობა — 6000 კაცი.

ქართველების მხრიდან: საგუბერნიო ბატალიონის სანაინის რაზმის 60 კაცი და ერთი ჯავშანმატარებელი №1; ალავერდთან — მე-5 ქვეითი პოლკის 3 ასეული, მე-6 ქვეითი პოლკის ერთი ასეული, საარტილერიო ბატარეა, მორტირების ოცეული და დამატებით ჯავშანმატარებელი №3. საერთო რიცხოვნობა — 550—600 კაცი.

ბრძოლის მსვლელობა: უზუნლარი-სანაინის რაიონში ნოემბერ-დეკემბრის პერიოდი: 19 ნოემბერს იყო ოფიცრისა და სამი ჯარისკაცის განიარაღების მცდელობა, რომლებიც სურსათისათვის იყვნენ იქ გაგზავნილი; 6 დეკემბერს განაიარაღეს ოფიცერი, ხოლო 45 ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს, რომლებსაც დახვრეტას უპირებდნენ, მაგრამ მათ შეძლეს თავის დაღწევა; ამავე დღეს იგივე სოფლის მცხოვრებნი თავს დაესხნენ სასაზღვრო საგუშაგოს. 11 კაცს, რომლებიც სოფელში შევიდნენ, ჩამოართვეს იარაღი, ხელყუმბარები. შემდეგ ტყვედ აიყვანეს. ორმხრივი სროლის დროს დაიჭრა ერთი მესაზღვრე, რომელიც გარდაიცვალა. ერთი ოფიცერი და 10 ჯარისკაცი დაბრუნდა. მეორე ოფიცრის ბედი უცნობი იყო.

გენერალ წულუკიძის გადაწყვეტილებით, 9 დეკემბერს უწესრიგობების აღსაკვეთად შესაბამისი რაზმი გამოიყო. რაზმი ორ კოლონად გაიყო და სათავეში პოლკოვნიკი ა. ჩხეიძე და პოდპოლკ-

ოვნიკი რამაზაშვილი ჩაუდგნენ. რაზმის მიზანს უზუნლარში ჩაბუდებული დაშნაკური ბანდების ლიკვიდაცია და მოსახლეობის განიარაღება წარმოადგენდა.

სომხებმა ჩათვალეს, რომ დაგეგმილმა პროვოკაციებმა კარგად იმუშავა, ფარული თამაშების დრო დამთავრდა და ღია შეიარაღებული აგრესიისათვის საჭირო საბაბიც არსებობდა. შესაბამისად, 1918 წლის 9 დეკემბრისათვის უზუნლარი-სანაინის უბანზე სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები დაიწყო.

9 დეკემბრის 19 საათისათვის უზუნლარის წინააღმდეგ გაგზავნილი რაზმები უკან, სადგურ სანაინში დაბრუნდნენ. ორივე რაზმის მეთაურთა მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ჩხეიძის რაზმის წინააღმდეგ მოქმედებდა დაახლოებით 250 კაცი, რომლებიც მიუვალ კლდეებში ისხდნენ. სროლის გარდა, ისინი მთებიდან უზარმაზარ ქვებს აგორებდნენ, რომლებმაც რამდენიმე ოფიცერი და მხედარი შეიწირა. პოდპოლკოვნიკ რამაზაშვილის რაზმის წინააღმდეგ მოქმედებდა 100-ზე მეტი კარგად შეიარაღებული სომეხი.

ერთადერთ უპირატესობას, რასაც ქართველები ფლობდნენ სომხებთან შედარებით — ჯავშნოსანი მატარებელი იყო, მაგრამ 1918 წლის 9 დეკემბერს გამართული 12-საათიანი ბრძოლის შემდეგ, ქართულმა ჯავშანმატარებელმა უზუნლართან დასახული საბრძოლო ამოცანა ვერ შეასრულა და უკან დაიხია. 9 დეკემბერსვე სანაინის მიმართულებით ოპერატიულად გადაისროლეს მე-5 ქვეითი პოლკის ერთი ასეული 150 კაცის შემადგენლობით, კაპიტან ამაშუკელის მეთაურობით. მაგრამ, შეცვლილი ვითარების გამო, წულუკიძის პირადი ბრძანების საფუძველზე ასეული სადგურ ალავერდში გაჩერდა. აქ კაპიტანმა ამაშუკელმა თავისი ასეულით გაბატონებული სიმაღლეები დაიკავა.

სომხებმა ჯავშანმატარებლების წინააღმდეგ ბრძოლის მარტივ და ძალზე ეფექტურ ტაქტიკურ ხერხს მიაგნეს. ეს ხერხი რკინიგზის ლიანდაგების აყრას, სარკინიგზო ხიდების აფეთქებასა და სხვა მსგავსი სახის დივერსიული აქტების განხორციელებაში გამოიხატებოდა. ბრძოლის ამ ტაქტიკამ შედეგი გამოიღო და სანაინი-ალავერდის რაიონში დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

11 დეკემბრის დილას თბილისიდან სანაინისაკენ დამატებით გაიგზავნა მე-5 ბატალიონის ორი ასეული, ორი საველე ქვემეხის, მორტირების ორი ოცეულისა და ორი ტყვიამფრქვევის შემადგენლობით, კაპიტან კავკასიძისა და შტაბის კაპიტან აკალიანის მეთაურობით. სადგურ ალავერდის ისრის გავლის შემდეგ, კაპიტან კავკასიძის ეშელონს ცეცხლი გაუხსნეს დებედა-ჩაის ორივე ნაპირიდან. ტყვიები ვაგონებს მოხვდა, მაგრამ მსხვერპლი არ ყოფილა. ეშელონმა ცეცხლის ქვეშ დაიწყო გადმოსხდომა, მაშინვე ჩაება ბრძოლაში და იერიში მიიტანა მდინარის ორივე ნაპირზე. მათ პირდაპირ ეშელონიდან მოუწიათ ბრძოლაში ჩაბმა.

11 დეკემბრის შუადღისათვის სომხური ქვედანაყოფები უშუალოდ ალავერდთანაც გამოჩნდნენ. 13 საათსა და 45 წუთზე შეიარაღებულმა სომხებმა დაიკავეს ალავერდის ქარხანასთან მიმდებარე სიმაღლეები და ცეცხლი გაუხსნეს ქარხნის დაცვაში მყოფ ასეულს.

ქართულმა სარდლობამ და შტაბმა სადგური სანაინი დატოვა და ბრძოლებით დაიწყო უკან დახევა, სადგურ ალავერდისაკენ. 11 დეკემბრის საღამოსათვის გენერალმა წულუკიძემ და მისმა შტაბმა სადგურ ალავერდში ჩამოაღწია. მცირერიცხოვანი ქართული რაზმი, პოდპოლკოვნიკ რამაზაშვილისა და კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით, №1 ჯავშანმატარებელთან ერთად სადგურ სანაინში დარჩა მტრის ალყაში, ფაქტობრივად, განწირული.

12 დეკემბერს გენერალ წულუკიძის განკარგულებაში გაგზავნილი მე-5 ქვეითი პოლკის ცალკეული ქვედანაყოფებისაგან შეიქმნა შერეული ბატალიონი, რომლის მეთაურადაც პოდპოლკოვნიკი მიქაბერიძე დაინიშნა.

ალავერდი და მისი სამრეწველო ინფრასტრუქტურა იმდენად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის, რომ მისი დაცვა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გადაწყვიტეს. გენერალ წულუკიძის განკარგულებაში გაგზავნილ ქვედანაყოფებს კი ალავერდის გარშემო მდებარე ტაქტიკურად ხელსაყრელი სიმაღლეების დაკავება და თავდაცვითი ბრძოლების მიღების განკარგულება მიეცა.

მდინარე დებედას მთელ გაყოლებაზე, სანაინიდან აირუმამდე საბრძოლო მოქმედებებს ის ართულებდა, რომ აქ ხეობა ღრმა, კანიონისებურია და ტაქტიკურ უპირატესობას ის მხარე მოიპოვებდა, რომელიც სიმაღლეებზე იქნებოდა თავმოყრილი. ალავერდში, მდინარის მარჯვენა

ნაპირის დაკავების მძიმე ამოცანა სომეხთა განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ შტაბის კაპიტან ავალიანის 60-კაციანი ასეულისა და შტაბის კაპიტან ჩაჩავას მეტყვიამფრქვევეთა ჯგუფის მიერ წარმატებით გადაწყდა. 11 და 12 დეკემბერს განუწყვეტელი იერიშები მიჰქონდათ სომხებს სადგურ სადახლოსა და მის სიმაღლეებზე.

ალყაში მოქცეული რაზმისა და ჯავშანმატარებლის გამოსახსნელად, 13-ში ბატალიონის ძალებითა და ჯავშანმატარებლის გამოყენებით სცადეს სანაინისაკენ გაჭრა. იმის გამო, რომ გზა ჩახერგილი იყო, ხოლო ხიდი ერთ ადგილას აფეთქებული, ეს ამოცანა ვერ შესრულდა.

14 დეკემბრისათვის ალავერდი-ახტალის უბანზე ქართული ქვედანაყოფების ძირითადი ნაწილი გარშემორტყმული აღმოჩნდა მტრის აღმატებული ძალებით და მათი მდგომარეობაც უკიდურესად დამძიმდა. ამავე დღეს თბილისიდან პოლკოვნიკ ვაჩნაძის მეთაურობით გაიგზავნა მებრძოლთა კიდევ ერთი ეშელონი, რომელიც ჩასაფრებულმა სომხებმა ალყაში მოაქციეს. ქართული ეშელონის დიდი ნაწილი გაანადგურეს, ნაწილი – დაატყვევეს. კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, გენერალმა წულუკიძემ მიიღო გადაწყვეტილება, გაერღვია ალყა, დაეტოვებინა სადგური ალავერდი და უკან დაეხია სადგურ სადახლოსაკენ.

15 დეკემბრის დილიდან მე-5 პოლკის ქვედანაყოფები გააფთრებულ ბრძოლებს აწამოებდნენ ახტალასთან, მდინარე დებედა-ჩაის ორივე სანაპიროზე. ყოველი მხრიდან მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, თავისი ქვედანაყოფის საბრძოლო მწყობრის მოხერხებული მანევრირებით, კაპიტანმა კავკასიძემ შეინარჩუნა მდინარის მარჯვენა ნაპირი.

16 დეკემბრის გამთენიისას მე-5 პოლკის ქვედანაყოფებმა კაპიტან ამაშუკელის მეთაურობით სწრაფად დაიკავეს სადგურ ახტალის თავზე მდებარე პლატო მდინარის მარცხენა ნაპირზე. მიუხედავად ყოველმხრივი ძლიერი ცეცხლისა, ივი მთელი დღის განმავლობაში ინარჩუნებდა პოზიციებს და მოწინააღმდეგეს არ აძლევდა საშუალებას, მიახლოებოდა სადგურ ახტალას. თვვიამფრქვევების ზუსტი ცეცხლის, კაპიტან ამაშუკელის, შტაბის კაპიტან ავალიანის, პორუჩიკ ჩაჩავას, პოდპორუჩიკ ჩხენკელისა და პრაპორშჩიკ სანებლიძის მოქმედებებისა და სიმამაცის წყალობით, ორი დღის განმავლობაში პლატო შეინარჩუნეს.

ასეთ პირობებში გამოაღწია ქართული რაზმის ძირითადმა ნაწილმა სადგურ ალავერდიდან სადგურ ახტალაში, იქიდან სადახლოში ჯერ სარკინიგზო ეშელონით, შემდეგ კი – ქვეითი საბრძოლო მწყობრით, სადაც უკვე ჩამოეღწიათ სომხური ძალების ავანგარდებსა და დივერსიულ ჯგუფებს. თავად გენერალმა წულუკიძემ ალავერდიდან სულ სხვა მარშუტით (ალავერდი, შამლული, სადახლო), როტმისტრ დოლიძის რაზმთან ერთად, ქვეითი მწყობრის კოლონით დააღწია თავი ალყას.

საინტერესოა პორუჩიკ გოგუაძისა და მისი ჯავშანმატარებლის მიერ ალყის გარღვევის ტაქტიკური მანევრი, დაწყებული სანაინიდან, სადახლოსაკენ უკან დახევის დროს. ვ. გოგუაძე: „14 დეკემბერს ჩვენ უკან დასახევი გზა უკვე მოჭრილი გვქონდა. დახმარება ჯარითა და სასროლი იარაღით არ მოგვივიდა. 14 დეკემბერს შევკრიბე ჩემი მცირედი მეომრები და მდგომარეობა ავუხსენი. დავადგინეთ სანაინის მიტოვება და იმავე ღამეს უკან წასვლა. ამ საქმის ასრულება მომანდვეს მე. აქ მე მყავდა შეპყრობილი სომხის ხუთი შპიონი, რომელთაც სიკვდილი მოელოდათ. მოვაყვანინე ისინი ჩემთან და მოვაგონე მათ, თუ რა მოელოდათ მათ დანაშაულისათვის. აღვუთქვი პატიება, თუ ისინი ჩემს დავალებას შემისრულებდნენ. ავუხსენი მათ, რომ ამაღამ სანაინს ეტოვებდით და ალავერდის გზით თბილისისაკენ მივდიოდით და ისინი ჩვენ უნდა დაგეხმარებოდნენ მეგზურობაში (აქ საუბარია იმაზე, რომ თითქოს გოგუაძის რაზმს სოფელ ალავერდის გავლით უნდა დაეხია უკან ქვეითი მწყობრით და არა სადგურ ალავერდის გავლით სარკინიგზო ეშელონზე – ა. ჩ.). ჯაშუშები სიხარულით დამთანხმდნენ. მე მათ ფული ვაჩუქე და დიდი ჯილდო აღვუთქვი. დარწმუნებული ვიყავი, როცა მე მათ გავუშვებდი, მიღალატებდნენ და სომხებს აცნობებდნენ ჩემს განზრახვას. მეც ეს მინდოდა. ჩვენ სამზადისს შევუდექით. დახოცილები მიწას მივაბარეთ, დაჭრილები საიმედო სახლებში მოვათავსეთ. ჯაშუშები მართლაც ისე მოიქცნენ, როგორც ვფიქრობდი. მათ სომხის ოფიცრებს აცნობეს, რომ ჩვენ ალავერდის მიმართულებით უკან ვიხევდით. სომხებმა რკინის გზაზე ჯარი მოხსნეს და ალავერდისაკენ წაიყვანეს. ალავერდთან შეყრილ სომეხთა ჯარს შრაპნელი დავუშინე და მას დიდი ზიანი მივაყენე. ღამით ჩავდექი ავანგარდში და უკან დავიხიეთ. სახიფათო ადგილი, ტუნელი და ახტალა მშვიდობით გავიარეთ... მივედით სადახლოში და დავისვენეთ...“.

ანალიზი: სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით, 1918 წლის 9-16 დეკემბრის სანაინი-ალავერდის ბრძოლები ქართული მხარის მხრიდან თავდაცვით ბრძოლას წარმოადგენდა.

დადებითი ფაქტორი, რითაც ქართული ქვედანაყოფების მოქმედებები შეიძლება შეფასდეს, იყო პირადი შემადგენლობის მაღალი საბრძოლო სულისკვეთება, ინდივიდუალური სიმამაცე და დაბალი რანგის ოფიცერთა მხრიდან მართვის სადავეების შენარჩუნება. ტაქტიკური ელემენტებიდან გამოიკვეთა: თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებების წარმართვა სანაინთან, ახტალასთან, ალავერდთან. ლ-ყიდან გამოსვლა დეზინფორმაციის გაერცელებისა და მოწინააღმდეგის შტაბის შეცდომაში შეყვანით.

ქართული მხარის ტაქტიკური თვალსაზრისით სწორად ჩატარებული მანევრი იყო ჯავშანმატარებლის თავგანწირული რეიდი ახტალიდან სადახლომდე და გენერალ წულიკიძისა და მისი შტაბის ალყიდან გამოსვლა ცრუ მარშრუტით. აქ სწორად გაკეთდა გათვლა მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორზე.

ქართულმა სარდლობამ დიდი შეცდომა დაუშვა, როცა გენერალ წულუკიძის მხარდასაჭერად გაგზავნილი პოლკოვნიკ ვაჩნაძის ეშელონი აირუმთან, ყოველგვარი სადაზვერვო მონაცემების გარეშე, სრული სვლით შეიჭრა მდინარე დებედას ვიწრო ხეობაში, რომელსაც 14 დეკემბრისათვის უკვე მთლიანად სომხები აკონტროლებდნენ.

მაღალი იყო შეტევითი მოქმედებების ტემპი (დღე-ღამეში 10-12კმ.) და საერთო ოპერატიული სიღრმე (30-40კმ.). შეტევის პირველივე დღიდან მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო სტრატეგიული ინიციატივა. მაღალი იყო მისი პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთებაც. მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი სომხური მოსახლეობის საბრძოლო რაზმების როლიც საბრძოლო მოქმედებების წარმატებულად დაწყებასა და დასრულებაში.

მიუხედავად იმისა, რომ მცირერიცხოვანმა ქართულმა გარნიზონმა სანაინში და შეშველებულმა ქვედანაყოფებმა ახტალა-ალავერდის უბანზე შეძლეს მოწინააღმდეგის მრავალჯერად აღმატებულ ძალებს 7 დღე-ღამის განმავლობაში გამკლავებოდნენ და მეთოდურად დაეხიათ უკან, ტაქტიკური თვალსაზრისით, ქართველებისათვის ეს ბრძოლა წარუმატებელი იყო. ქართული მხარე დამარცხდა, რადგან:

- თავიდანვე სწორად არ იყო დისლოცირებული ქართული გარნიზონის შტაბი;
- პირადი შემადგენლობისთვის სწორად არ შეირჩა ადგილი;
- მოშლილი იყო დაზვერვა;
- სწორად არ შეფასდა საფრთხეები, მოწინააღმდეგის ძალები და რესურსები;
- პირადი შემადგენლობის სიმცირის გამო ქართული გარნიზონი მოკლებული იყო მის წინაშე დასმული ამოცანის შესრულების შესაძლებლობას;
- არ იყო გათვალისწინებული რელიეფისა და ლანდშაფტის თავისებურებები, რამაც მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა, ზედმეტი ძალისხმევის გარეშე დაეკავებინა გაბატონებული სიმაღლეები;
- ეფექტურად ვერ გამოიყენეს ჯავშანმატარებლების საბრძოლო შესაძლებლობები;
- რკინიგზის საშუალებით შეშველებული ძალების გადასროლა ხდებოდა საბრძოლო მოქმედებათა რაიონის რეკოგნოსცირების გარეშე.

ოპერატიულობის თვალსაზრისით, ცოცხალი ძალითა და მძლავრი საცეცხლე საშუალებებით მხარდაჭერისათვის სწორედ ჯავშანმატარებელი წარმოადგენდა საუკეთესო არჩევანს. მაგრამ ჯავშანმატარებლებისა და არტილერიის მხარდაჭერა მხოლოდ მაშინ იქნებოდა ეფექტური, როცა რკინიგზისა და ქართული ქვედანაყოფების ზურგი საიმედოდ იქნებოდა დაცული, რაც ვერ განხორციელდა.

ძირითადი მიზეზი ქართული მხარის მარცხისა ის გახლდათ, რომ საქართველოს მთავრობისა და სამხედრო სამინისტროს პირველ პირებს პოლიტიკური შეხედულებების გამო არ ჰქონდათ ბოლომდე გათავისებული, რომ სომხეთსა და საქართველოს შორის სრულმასშტაბიანი ომი იყო დაწყებული.

შედეგები: სანაინი-ალავერდის ბრძოლებში, სხვადასხვა მასალებზე დაყრდნობით, დანაკარგები დაახლოებით ასეთი იყო: ქართული მხარე – 600 კაცამდე, სომხური მხარე – 100 კაცამდე.

ამ ბრძოლის შედეგად, სწორად გათვლილი ტაქტიკის, მოულოდნელობის ფაქტორისა და ცოცხალი ძალის დიდი უპირატესობის ხარჯზე სომხურმა ქვედანაყოფებმა ერთკვირიანი შეტევითი

მოქმედებებით მოახერხეს ქართული მიწის 50 კმ-იანი ზოლის დაკავება და მნიშვნელოვანი სამრეწველო ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდება.

გ) საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრაში

სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრაში ამ ომის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია. აღსანიშნავია, რომ ბრძოლები ახალქალაქის მაზრაში საომარ მოქმედებათა მეორეხარისხოვან უბანს წარმოადგენდა და სტრატეგიული თვალაზრისით მათ შედეგებს სომხეთ-საქართველოს ომის საერთო მსვლელობაზე დიდი გავლენა არ ჰქონია.

საერთო ჯამში, 1918 წლის ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, სომხეთის შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილების მიერ ღია საომარი მოქმედებების განახლება საქართველოს წინააღმდეგ დეკემბერში, ახალქალაქის მაზრასთან არის დაკავშირებული. სწორედ ახალქალაქის მაზრის დე ფაქტო ქართული საზღვრები დაარღვიეს პირველად დეკემბრის თვეში სომხურმა საჯარისო ნაწილებმა და მოახდინეს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია.

სომხური მხარის მიერ ახალქალაქის მაზრაში ქართული მიწების ოკუპაცია პირველად 1918 წლის 6 დეკემბერს სცადეს. ამ მიმართულებაზე შეიარაღებულ აგრესიაში მხოლოდ სომხეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ჯარის ნაწილები მონაწილეობდნენ. კერძოდ: სომხეთის პირველი მსროლელი დივიზიის პირველი და მეორე პოლკების საკავალერიო და ქვეითი ქვედანაყოფები. განსხვავებით უზუნლარი-სანაინის მიმართულებისაგან, რეგულარული ჯარის ნაწილების მხარდამხარ აქტიურ საბრძოლო მოქმედებებში თავიდანვე იყო ჩართული რეგიონის სომხური-მოსახლეობაც.

ახალქალაქის მაზრასთან მიმართებით სომხური აგრესიის მიმოხილვითი ხასიათის ფაქტები, რიჩარდ ოვანესიანის მიერ, ძირითადად, ობიექტურად არის გადმოცემული და ისინი მთელ რიგ ქართულ-სომხურ მემუარულ და სომხურ საარქივო მასალებს ეყრდნობა: „როგორც კი გენერალმა მაკაევმა წარმატებული სამხედრო მანევრი დაასრულა (აქ ქართული ნაწილების რეგიონში შესვლაზეა საუბარი – ა. ჩ.), მცირე სომხურმა ნაწილმა წინ წაიწია ახალქალაქის მაზრაში და რუს სექტანტთა სოფლები – ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა და ბოგდანოვკა დაიკავა“.

ძალთა თანაფარდობა: სამცხე-ჯავახეთის საომარ მოქმედებათა თეატრზე, ახალციხე-ახალქალქის რეგიონში, საერთო ჯამში, შემდეგი ქართული საჯარისო ნაწილები და საბრძოლო რაზმები იყო გადასროლილი:

1. პირველი ქვეითი პოლკი – 1850 კაცი;
2. მე-2 ქვეითი პოლკი – 1900 კაცი;
3. მე-3 ქვეითი პოლკი – 1200 კაცი;
4. ქართველ მუსულმანთა ბატალიონი – 500 კაცი;
5. ფხაკაძის რაზმი – 300 კაცი;
6. ახალციხის ცხენოსანი რაზმი – 400 კაცი.

სულ – 6150 კაცი.

ხსენებულ ძალას ორი სომხური ესკადრონი დაუპირისპირდა, პირადი შემადგენლობა – 800-1000 კაცამდე. თუ გავითვალისწინებთ, რომ სომხური ნაწილები არათუ ადგილობრივი რუსი და აზერბაიჯანელი მოსახლეობის მხარადაჭერით არ სარგებლობდნენ, არამედ აშკარად მტრულად იყვნენ განწყობილნი ადგილობრივი სომხებისადმი, მაშინ ნათელი გახდება, რომ საბრძოლო მოქმედებების ესკალაციის შემთხვევაში, ეს სომხური ნაწილები სრული განადგურებისათვის იყვნენ განწირული.

რეალურად 1918 წლის დეკემბერის დასაწყისიდან ახალქალაქის მაზრაში მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა.

თურქული „შეთავაზების“ შესაბამისად, სომხური რეგულარული ჯარის ესკადრონმა 1918 წლის 6 დეკემბრის დილით გადაკვეთა საქართველოს ახალქალაქის მაზრის დე ფაქტო საზღვრები და 8 დეკემბრისათვის უბრძოლველად დაიკავა მაზრის რუსი სექტანტებით დასახლებული სოფლები: ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა და ბოგდანოვკა, ანუ სომხებმა სამი დღე-ღამის განმავლობაში,

ფაქტობრივად უმტკივნეულოდ მოახდინეს ქართული მიწების 30-35 კილომეტრიანი ზოლის ოკუპირება.

„სამხედრო მინისტრს. 14.12.18.

...8 დეკემბერს დაახლოებით 19 საათზე პორუჩიკ მგალობლიშვილის მოხსენებით სოფელი ბოგდანოვკა დაკავებულია სომხური ესკადრონის მიერ, დაახლოებით 130-150 მხედარი. ჩვენი რაზმი ბოგდანოვკამდე მისულია 3 ვერსზე და ელოდება ჩემს განკარგულებას. მიღებული ცნობებით ირკვევა, რომ ესკადრონის გარდა აქეთ მოძრაობს ორი პოლკი მთელი მაზრის დასაკავებლად, თითქოს მაზრა გადაეცა სომხეთს. მე ვუბრძანე ხაშურის გვარდიას, ფხაკაძის ასეულს და საარტილერიო ოცეულს კაპიტან კანდელაკის მეთაურობით გავიდნენ პორუჩიკ მგალობლიშვილის დასახმარებლად. თავიდან აწარმოონ მოლაპარაკებები, და იმ შემთხვევაში თუ ისინი ნებაყოფლობით არ გავლენ ბოგდანოვკიდან, მაშინ იარაღის გამოყენებით აიძულონ ისინი დაცალონ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია. პირადი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, მე დავავალე გ. აბელიანს თან ახლდეს კაპიტან კანდელაკის რაზმს და და დაარწმუნოს სომხური სარდლობა შეწყვიტონ ავანტიურა და დაემორჩილონ ჩემს მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში დავემუქრე, რომ მოვექცევი დაუნდობლად ყველას, ვინც არ დაემორჩილება ჩემს მოთხოვნებს. დანარჩენ ჯარებს ვუბრძანე 9 დეკემბრის 8 საათზე გასვლა მხარდაჭერისათვის. ამავე დროს ახალციხეში გავაგზავნე განკარგულება, რომ გამომიგზავნონ მე-4 პოლკის ბატალიონი მსუბუქი არტილერიის ოცეული და ჯავშნოსანი, თუ იგი უკვე იქაა. და თუ ჯერ კიდევ არაა იქ, სასწრაფოდ იქნას გამოგზავნილი ბორჯომიდან. ცხენოსანი მილიციონერებისა და მარხილების უქონლობის გამო ბატალიონი მხოლოდ 12 საათზე გამოვიდა. რომ მიმეცა მცირე დასვენების საშუალება, მე ვუბრძანე რაზმს ღამით დაესვენა სოფელ ჯიგრაშენში, ხოლო დილის 8 საათზე გასულიყო და შეერთებოდა კაპიტან კანდელაკის რაზმს. 9 დეკემბრის დილით მე თვითონ მინდოდა შეეერთებოდი რაზმს, მაგრამ 12 სააათამდე ვერ შევძელი გადასაზიდი საშუალებების მოპოვება. ბენზინის მარაგი კი მხოლოდ ერთ გზაზე საკმარი მაქვს. ჩავედი რა ბოგდანოვკაში საღამოთი, მე ეუბრძანე რაზმს რომ არ მიეცათ მოწინააღმდეგისათვის გამაგრების საშუალება. მაგრამ ორლოვკის იქით სვლა შეუძლებელი იყო ცხენების გადაღლისა და გაძლიერებული ყინვების გამო, –20 გრადუსი. ორლოვკიდან გორელოვკაში გავაგზავნე პოლკოვნიკი გველესიანი და გ. აბელიანი ესკადრონის მეთაურთან მკაცრი გაფრთხილებით, რომ სასწრაფოდ დაცალონ მაზრის ტერიტორია, წინააღმდეგ შემთხვევაში დილიდან უკვე აღარ მოვითმენ მსგავს ქმედებებს. დაბრუნებულებმა მომახსენეს, რომ სომხური ესკადრონის მეთაური ელოდება დამატებით მითითებებს თავისი სარდლობის მხიდან, მაგრამ როგორც ჩანს თვითონაც გრძნობს თავის უმართებულობას და დამატებითი განკარგულებების გარეშე აპირებს დატოვოს ეს ტერიტორიები. დილით 9 საათზე, როცა ჩვენმა მეწინავე ნაწილებმა დაიწყეს გორელოვკასთან მიახლოება, სომხები ჯაჭვში გაიშალნენ, მაშინ იგივე გააკეთა კაპიტანმა კანდელაკმა. მალე გამოჩნდა პოდპოლკოვნიკი ხერხეულიძე და ამის შემხედვარე სომხური ესკადრონი მოიხსნა და სასწრაფოდ დაიწყო ეფრემოვკისა და ტროიცკოესკენ უკან დახევა. ასე, რომ მე უკვე არც ერთი სომეხი მხედარი ჩვენს ტერიტორიებზე აღარ მინახავს. სოფლელების გადმოცემით, სომხურ რაზმში დიდი აურზაური იყო და ცდილობდნენ სასწრაფოდ დაეტოვებინათ სოფელი. თავისი ავადმყოფების გადასატანად კი სოფლელებს ჩამოართვეს ცხენები და მარხილები. 14 რიცხვისთვის ჩვენს ტერიტორიაზე უკვე არც ერთი სომეხი ჯარისკაცი აღარ იყო. სოფლის ხალხი ძალიან გახარებულია ჩვენი ჯარების მოსვლით და ეს ეხება არა მარტო ქართველებსა და მუსლიმებს, არამე თვით სომხებსაც კი, რომლებიც კარგს არაფერს მოელოდნენ სომხური ჯარის მათთან ყოფნით.

მე ვუბრძანე პოდპოლკოვნიკ ხერხეულიძეს განალაგოს თავისი რაზმი შემდეგი წესით:

ტროიცკოეში – ფხაკაძის რაზმი და ბორჯომის გვარდია;

ეფრემოვკაში – პირველი პოლკის ერთი ასეული;

გორელოვკაში – პირველი პოლკის ორი ასეული;

ბოგდანოვკაში – ბატარეა;

კარაზახში – ფხაკაძის ასეულები;

გარდა ამისა, გავეცი ბრძანება, რომ შეკრიბონ მუსლიმი მოხალისეები, რომლებიც დადგებიან ტროიცკოეში, კარაზახში და ახალქალაქში. მესზღვრეების მოსვლისთანავე კი გადაადგილდეს მთელი

რაზმი ახალქალაქში და დაიკავონ იქ არსებული ყაზარმები, ისე რომ არც ერთი ნაწილი და თუ ეს შესაძლებელი იქნება არც ერთი სახელმწიფო შენობა არ იყოს ცარიელი და დაკავებული იყოს ჩვენი ჯარების მიერ, რათა მაქსიმალურად შევამციროთ შენობათა დაქირავების ხარჯები. ...განწყობა და სულისკვეთება მაღალი არაა, გვარდიის ნაწილებში კი ძლიერაა განვითარებული თვით-გადარჩენის გრძნობები.

გენერალ-მაიორი კნიაზ მაკაევი".

ქართველი სარდლობის, პირადად რეგიონის გენერალ-გუბერნატორის, გენერალ-მაიორ აბელ მაყაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მყის გაატარა ოპერატიული ღონისძიებები სომეხთა აგრესიის საწყის ეტაპზევე აღსაკვეთად. მან სასწრაფოდ მოახდინა პირველი ქვეითი დივიზიის ნაწილების, კერძოდ პირველი და მეორე პოლკების ქვედანაყოფების კონცენტრაცია და სომეხთა მიერ ოკუპირებული ზონისაკენ გაგზავნა. 8 დეკემბრისათვის ქართული ნაწილების მეწინავე ქვედანაყოფებმა სომხებს წაუყენეს ულტიმატუმი საქართველოს ტერიტორიის სასწრაფოდ და უპირობოდ დატოვების შესახებ. გატარებული ღონისძიებების თაობაზე გენერალ მაყაშვილის მიერ საქართველოს სამხედრო მინისტრს 1918 წლის 11 დეკემბერს მოხსენდა:

,,სომხური ესკადრონი გუშინ უკუგდებულ იქნა ალექსანდროპოლის მაზრის საზღვრებში. მათი ბოგდანოვკიდან წასვლის შემდეგ ისინი გორელოვკასა და სპასსკოეში განლაგდნენ. გარშემო მოსახლეობა ძალიან შეშფოთებულია, მათი წარმომადგენლები კი მომმართავენ თხოვნით, თუ სად შეაფარონ თავი. 9 და 10 დეკემბრის ღამე განსაკუთრებით ყინვიანი იყო. გადაადგილება შეუძლებელი იყო. ბოგდანოვკიდან მათთან გავგზავნე სომეხ ლტოლვილთა კომიტეტის რწმუნებული აბელიანი და პოლკოვნიკი გველესიანი, მოთხოვნით, რომ დაეცალათ გორელოვკა, რაზეც სომხური ესკადრონის მეთაურმა უპასუხა, რომ თავისი უფროსობის მიწერილობის თანახმად დავალებული აქვს ახალქალაქის დაკავება და თხოვა მათ, რომ მიეცათ დრო თავის ხელმძღვანელებთან დასაკავშირებლად. მას წაეყენა მოთხოვნა დილისათვის დაეცალა საქართველოს ტერიტორიები, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოყენებული იქნებოდა ძალა.

რაზმმა ღამე ბოგდანოვკაში გაათია, შემდეგ კი გზა გააგრძელა. ჩემთან მოსულმა სოფელ სპასსკოეს მაცხოვრებლებმა მაცნობეს, რომ მოწინააღმდეგე პოზიციებს ამაგრებს და არავის უშვებს იმის იქით. დილით, ჩვენი რაზმი გაემართა გორელოვკისკენ, ხოლო სპასსკოეში დარჩა ასეული. გორელოვკასთან ესკადრონს (სომხურ. ა.ჩ.) პოზიციები ჰქონდა გამაგრებული, მაგრამ ჩვენი ავანგარდის მეთაურის კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად და იმის გამო, რომ მათ ჩვენი ძირითადი ძალების მოახლოება შეიტყვეს, ესკადრონმა 11 დეკემბრისათვის გადაკვეთა მაზრის საზღვრები, ხოლო ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ტროიცკოე, ეფრემოვკა, გორელოვკა. ახალციხიდან გამოძახებული ჯარები უკან იქნენ დაბრუნებულნი.

მთელი მოსახლეობა მიესალმება ქართული ჯარის შესვლას. მათი სურვილი მშვიდი ცხოვრებ-ის დამკვიდრება და ჩემს მიერ იმ ზარალსა და დანაშაულობებზე საჩივრების განხილვაა, რომლებიც მათ მიაყენეს ჯერ სომხებმა, ხოლო შემდეგ თურქებმა. (აქ, 1918 წლის დასაწყისისათვის ნეჯდეს ტერორისტული სადამსჯელო რაზმების აქტივობასა და საქართველოს მშვიდობიანი მუსულმანური მოსახლეობის ელეტაზეა საუბარი. ა.ჩ.)

საეჭვოა, რომ სომხურ ავანტიურას თვითონ ადგილობრივი სომხების მხარდაჭერა ჰქონოდა, ხოლო დუხობორები და მუსულმანები მზად არიან ყოველმხრივ დაუდგნენ მხარში საქართველოს. დროებით პირველ პოლკს ვტოვებ ადგილზე, მცირე ხნის შემდეგ კი მას დავაბრუნებ ახალქალაქში, ხოლო ტროიცკოესა და კარწახში ფხაკაძის ასეულს დავტოვებ, რომელსაც მუსულმანი მოხალისე-ებით გავაძლიერებ... დროებით სამაზრო კომისრად შტაბის როტმისტრ აბაშიძეს ვნიშნავ, ხოლო კომენდანტად კაპიტან მაჭავარიანს. ახლა მივემართები ახალციხისაკენ, ჩასვლისას ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ."

მიუხედავად ზემოთქმულისა, ეს სტრიქონები ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მხოლოდ მოყვანილი ფაქტით ამოიწურა საბრძოლო მოქმედებები ახალქალაქის მაზრაში. რეალურად, მაზრის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებებს რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი და ქართული მხედრობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითოეულ შემთხვევაში, მათ ღირსეულად გაართვეს თავი დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

„გენშტაბიდან გენერალ მაკაევს. 19.12.18. 15 საათი და 20 წუთი. №254.

მთავარსარდალი ბრძანებს უირაღო ტყვეების მიმართ რბილ დამოკიდებულებას, რათა ნათლად დავანახოთ მოწინააღმდეგეს, რომ ქართველები აწარმოებენ ომს არა სომეხი ხალხის, არამედ შეიარაღებული მოწინააღმდეგისა და აჯანყებული შეიარღებული ბანდების წინააღმდეგ.

გენერალი იმნაძე."

დეკემბრის შუა რიცხვებში, სანაინი-ალავერდისა და მოგვიანებით სადახლოს რაიონში მიმდინარე ქართველთათვის უმძიმესი ბრძოლების პარალელურად, სომხურმა ქვედანაყოფებმა ახალქალაქის მაზრაში კიდევ ორჯერ დაარღვიეს საქართველოს საზღვრები და იერიში მიიტანეს აქ განლაგებულ ქართულ ქვედანაყოფებზე. გენერალი მაყაშვილი მოახსენებდა თბილისს:

„16 ქრისტეშობისთვეს, დაახლოებით 17 საათზე, სომხები ორ ესკადრონამდე უცბად თავს დაესხა ჩვენს საველე დარაჯებს ახალქალაქის მაზრის საზღვარზე. მცირე ბრძოლის შემდეგ თავდასხმა მოგერიებულ იქნა. მალე სომხებმა შეტევა განაახლეს, მაგრამ მოსულმა ჩვენმა რაზმმა ხელახლა უკუაგდო იგი. ახალი ძალების მიღების შემდეგ სომხებმა კვლავ განაახლეს შემოტევა საღამოს 8 საათზე და შეავიწროვეს ჩვენი ჯარები სოფელ ტროიცკოესთან. ჩვენმა ნაწილებმა კონტრიერიშით მტერი განდევნეს სოფელ ტროიცკოედან და დადევნების შემდეგ ისინი საზღვრებს იქით უკუაგდეს. ბრძოლის ველზე სომხებს დარჩათ 20 მოკლული და 40 დაჭრილი. ჩვენი ზარალი უმნიშვნელოა...

დეკემბრის 20-ში, დაახლოებით დილის 7 საათზე, ახალქალაქის მაზრაში მტერმა ზარბაზნები დაგვიშინა და ჩვენს პოზიციებს შემოუტია. ბრძოლამ 12 საათამდე გასტანა. ბრძოლა მოწინააღმდეგის სრული დამარცხებით დასრულდა. მტერმა ბრძოლის ველზე დატოვა 3 ოფიცერი და 100-ზე მეტი ჯარისკაცი მოკლული. ტყვედ წამოვიყვანეთ 1 ოფიცერი და 50 ჯარისკაცი. ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის მფრქეველი, მრავალი თოფი და ტყვია. თავი გამოიჩინეს პოდპ. ხერხეულიძემ და კაპიტანმა მაღალაშვილმა."

„ახალციხეში გენერალ მაკაევს. ახალქალაქიდან. №29. 20.12.18. 8 საათი და 50 წუთი.

1918 წლის 20 დეკემბერს 9 საათსა და 30 წუთზე პოზიციებზე მიმდინარეობს ძლიერი ბრძოლები ტყვიამფრქეველებისა და არტილერიის ცეცხლქვეშ. ბევრი სომეხია მოკლული, დაწვრილებით მოგახსენებთ მოგვიანებით. მე ვიმყოფები ეფრემოვკაში.

პოლკოვნიკი ჯაფარიძე."

„საქართველოს რესპუბლიკის ბრძანება №1 ჯარებისადმი.

20.12.18. დღის 12 საათი. ტიფლისი.

ეკატერინენფელდი-სადახლოს ფრონტზე მიმდინარე ბოლო ბრძოლების შემდეგ სომხურმა ნაწილებმა შეწყვიტეს შეტევა. ბორჩალოს მაზრაში ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ მე-4 და მე-5 ქვეითი პოლკები, კავალერიისა და არტილერიის თანხლებით. არის ცნობები სომხური ბატალიონის არსებობის შესახებ კერპილიში. ახალქალაქის მაზრაში რამდენიმე მცდელობის შემდეგ, რომ გადმოსულიყვნენ ჩვენს ტერიტორიებზე, ისინი ისევ უკან არიან დაბრუნებულები. ამ რაიონში ხელთ არსებული ცნობების თანახმად მოქმედებს მცირე რაზმი სამივე გვარების ჯარებით. ყველგან რეგულარულ ნაწილებს უერთდებოდა სომხური მოსახლეობა. თვითონ სომხეთში ყველგან მიმდინარეობს მობილიზაცია. გრძელება ჩვენი მობილიზაციაც. მე გადავწყვიტე მობილიზაციის ხელშეწყობისა და ჯარების კონცენტრაციისათვის დროებით შემოვიფარგლოთ თავდაცვით.

ვბრძანებ:

გენერალ მაკაევის რაზმი;

მე-4 ქვეითი პოლკის 3 ბატალიონი;

პირველი ქვეითი პოლკის 1 ბატალიონი;

ქართული ლეგიონის ნახევარი ასეული;

სახალხო გვარდიის ერთნახევარი ასეული;

I არტბრიგადა — 4 ქვემეხი;

II არტბრიგადა — 4 ქვემეხი;

საარმიო ბრიგადა — 2 ქვემეხი;
ფხაკაძის ასეული — ნახევარი ასეული;
სულ: 4 ბატალიონი, 10 ქვემეხი, 1/2 ასეული.

დაფარონ ახალქალაქისა და ახალციხის მაზრები მოწინააღმდეგის შემოჭრის აღსაკვეთად. დაზვერვა აწარმოეთ საქართველოს საზღვრების მიმართულებით...სასწრაფო მოხსენებები მომეწოდოს დღეში სამჯერ: 9, 13, 19 საათებზე. სატელეფონო სადგურები მოქმედებს სადახლოში, ეკატერინენფელდში, აშაღა სარალში, სანდარში. მე შტაბთან ერთად ვიმყოფები ტიფლისში. ჩემი მოადგილეები არიან — გენერალი მაზნიევი და გენერალი ახმეტელოვი. საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მთავრსარდალი გენერალ-მაიორი გედევანოვი.

შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი იმნაძე.''

„სამხედრო მინისტრს. ასლი არმიის სარდალს. ტიფლისი.

ახალციხიდან №430, ოპერატიული. 18 საათი და 15 წუთი.

ბრძოლა 13 საათვის დასრულდა. კონტრშეტევის შედეგად სომხებმა გაქცევით უშველეს თავს. ქარბუქის გამო დევნა შეწყდა. ალაფის სახით ხელში ჩავიგდეთ 2 ტყვიამფრქვევი, ტელეფონის აპარატი, შაშხანები და ტყვია-წამალი... დათვლა გრძელდება. სომეხთაგან დაჭრილია 50 კაცი, მათგან ერთი ოფიცერია. მოკლულია არანაკლებ ასი კაცისა, მათ შორის 3 ოფიცერი. ჩვენ მხარეს დაჭრილია 2. სომხური რაზმი სამი გვარეობის ჯარისაგან შედგება.

მაკაევი.''

„ტიფლისი, ახალციხიდან. 22.12.1918. №13. 22 საათი და 11 წუთი.

ახალქალქის ფრონტზე სიწყნარეა. დაზვერვას ქარბუქი უშლის ხელს. დალაგებულია 98 სომეხის გვამი. მოკლულთა შორის 4 სომეხი ოფიცერია. 2 პრაპორშიკია, გაბრიელიანცი და ადამიანცი. ორი — უცნობია. კაპიტანი ჭოღოშვილი მიყენებული ჭრილობების გამო ახალქალაქის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. პორუჩიკი ჩიქოვანი თავში მიყენებული მძიმე ჭრილობების გამო წევს ჰოსპიტალში.

პოლკოვნიკი გველესიანი.''

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, მართალია, ახალქალაქის მაზრაში არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი საფრონტო ოპერაციები, მაგრამ საბრძოლო მოქმედებებმა აქ მაინც სერიოზული ხასიათი მიიღო. საბრძოლო მოქმედებებმა და ქართული მხარის დანაკარგებმა ცოცხალ ძალაში, დეკემბრის შუა რიცხვებიდან ისეთ მნიშვნელოვან მასშტაბებს მიაღწია, რომ საქართველოს მთავრობას ახალქალაქის ფრონტის მხარდაჭერისათვის დამატებითი ღონისძიებების გატარება მოუხდა. ეს ღონისძიებები საბრძოლო მოქმედებების ზურგის სამედიცინო უზრუნველყოფის ზომების გაძლიერებაში გამოიხატებოდა. ამ ღონისძიებების მასშტაბები თავისთავად მეტყველებენ ახალქალაქის რეგიონში მომხდარი ბრძოლების მთელ სისასტიკესა და შედეგებზე. საქართველოს სამხედრო მინისტრის ბრძანებებიდან:

„ბრძანება №131. 26.12.1918.

საჭიროების გამო, დაუყოვნელივ მოეწყოს ახალქალაქის მაზრაში ადგილობრივი ლაზარეთი 50 საწოლით.

ბრძანება №132. 26.12.1918.

§1. მოეწყოს დაუყოვნებლივ პირველი ქვეითთა დივიზიისათვის შემხვევი სასანიტარო რაზმი ახალციხის ფრონტისათვის.

§4. შესდგეს სანაინისა და ახალქალაქის ფრონტებისათვის „დაჭრილთა შემხვევი რაზმები“ დადებული შტატებით, პირველ და მეორე დივიზიასთან მიჩემებით.

§6. დაინიშნოს ახალქალაქის ფრონტზე №2 სასანიტარო მატარებელი შესაფერი შტატით.

ბრძანება №134. 28.12.1918

§3. შესდგეს ახალციხისა და ახალქალაქისათვის ორი ადგილობრივი ლაზარეთი 50 საწოლით თითოეული დადებული შტატით.“

ახალქალაქის საბრძოლო მოქმედებათა რაიონში მებრძოლმა პირველი ქვეითი დივიზიის ნაწილებმა და საბრძოლო რაზმებმა, გენერალ მაყაშვილის სარდლობით სრული წარმატებით გაართვეს თავი დასმული ამოცანის გადაწყვეტას. მათ სწრაფად და ეფექტურად აღკვეთეს სომხური ნაწილების მიერ ქართული მიწების ოკუპაციის მცდელობა.

ქართული მხედრობის მოქმედებებისაგან განსხვავებით, სრულიად გაუგებარია საქართველოს მთავრობის ის კურსი და პოლიტიკური გადაწყვეტილებები, რომლებსაც იგი ახალქალაქის მაზრაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ატარებდა. დოკუმენტურად და ისტორიულად დადასტურებული ფაქტია, რომ ქართული სამხედრო ნაწილები სომხური ქვედანაყოფების დევნას მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიმართავდნენ და ერთი მეტრითაც არ გადადიოდნენ ალექსანდროპოლისის მაზრის საზღვრებს. არაადეკვატური იყო მათი დათმობები იმ ოკუპანტთა მიმართ ახალქალაქის მაზრაში, რომლებსაც ბორჩალოს მაზრაში ჰქონდათ უკვე ოკუპირებული ქართული მიწების ნაწილი და ასეულობით ქართველი მეომრის სისხლი დაღვრილი საომარ მოქმედებათა სანაინი-სადახლოს ფრონტზე.

გენერალი გ. კვინიტაძე მიუთითებს: „გენ. მაყაშვილი უფრო წინ წაიწევდა ერევნისაკენ. ასეთი იყო მისი შურისძიების გეგმა რესპუბლიკის მთავრობის საჩქარო ბრძანება რომ არ მიელო: შეჩერდი! წინ ნუღარ წახვალ, ნურც სომეხთა ჯარს გადმოუშვებო!..“

დ) ეკატერინენფელდის (ბოლნისის) ბრძოლა (19.12.1918)

ოპერატიული ვითარება: ეკატერინენფელდის ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიაში. მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც ამ ბრძოლების პირველი ეტაპის შედეგებზე იყო დამოკიდებული იმ კატასტროფული მდგომარეობის გამოსწორება, რომელიც ომის საწყის ეტაპზე შეიქმნა საომარ მოქმედებათა ბორჩალოს თეატრზე სანაინი-ალავერდის ბრძოლების შემდეგ. ხოლო ამ ბრძოლების მეორე ეტაპის შედეგებმა განსაზღვრა ფაქტობრივად სომხეთ-საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო საზღვრის გარკვეული უბნის სიდიდე და მოხაზულობა.

ეკატერინენფელდი მდინარე მაშავერაზე გაშენებული გერმანელთა დასახლება იყო, რომელიც ბორჩალოს მაზრის გერმანული დიასპორის ცენტრს წარმოადგენდა. გერმანელთა გადმოსახლება ტფილისის გუბერნიაში რუსი მხედართმთავრის, ეროვნებით ქართველის, პეტრე ბაგრატიონის თაოსნობით მოხდა XIX საუკუნის დასაწყისიდან. მიზანი — ქართველებისგან და ზოგადად, ქრისტიანული მოსახლეობისაგან დაცლილი მიწების ათვისება, ამ მხარის სოციალურ-ეკონომიკური აყვავება და არსებული დემოგრაფიული ბალანსის შეცვლა.

ეკატერინენფელდი დღევანდელი ბოლნისის რაიონის ადმინისტრაციული ცენტრია. სწორედ გერმანელებით დასახლებული ეკატერინენფელდი იყო რეგიონის ის იდეოლოგიურად საიმედო დასახლება, რომელიც ქართული სახელმწიფოსა და ქართული შეიარაღებული ძალებისათვის ფაქტობრივად ერთადერთ საყრდენ პუნქტს (მოწინავე პოზიციას) წარმოადგენდა ამ დემოგრაფიულად რთულ რაიონში.

1918 წლის 9 დეკემბრიდან, მას შემდეგ, რაც დაშნაკური სომხეთის შეიარაღებული ძალების პოლკებმა და საბრძოლო რაზმებმა სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყეს ბორჩალოს მაზრაში, ქართული საჯარისო ქვედანაყოფები უიმედოდ იხევდნენ უკან. ისინი უზუნლარიდან სადახლოსაკენ და ამ მიმართულებაზე მოქმედი სომხეთის პირველი, მე-4 და მე-6 ქვეითი პოლკებისა და მოხალისეთა რაზმების ჭარბ ძალებთან გააფთრებულ თავდაცვით ბრძოლებში დიდ დანაკლისს განიცდიდნენ. უზუნლარი-სანაინის, შემდეგ კი ალავერდი-ახტალის დატოვებამ სომხური ნაწილების საქართველოს დედაქალაქთან მოახლოება გამოიწვია, რამაც პირდაპირი საშიშროება შეუქმნა თბილისს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ რეგიონის ძირითადი მოსახლეობა სომხური იყო, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ აგრესორებს და მონაწილეობდნენ საომარ მოქმედებებში ქართველთა წინააღმდეგ, მაშინ გასაგები ხდება საშიშროების ხარისხიც.

ქართული სარდლობის ჩანაფიქრი: საქართველოს მთავრობა და შეიარაღებული ძალების სარდლობა სწორად პროგნოზირებდა, რომ ეკატერინენფელდის რაიონი სტრატეგიული თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა სომეხთა მოსალოდნელი წინსვლის თვალსაზ-

რისით და სასწრაფო ზომებიც გატარდა მისი დაცვისათვის. საქართველოს სამხედრო სამინისტროსა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მიერ სწორად განისაზღვრა სომხური ქვედანაყოფების მოსალოდნელი წინსვლის მარშრუტები, რომელთაგან ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას სწორედ ვორონცოვკა, პრიეოლნოე, ლოქის ქედი, მაშავერას ხეობა და ეკატერინენფელდი შეადგენდა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი, რაც ქართველთა წინააღმდეგ მუშაობდა, იყო დრო. არაა საუბარი იმ დროზე, რომელიც მოსალოდნელი თავდაცვის რაიონის საფორტიფიკაციო თუ სხვა სახის უზრუნველყოფისათვის სჭირდებოდა ქართულ მხარეს. აქ საუბარია იმაზე, რომ სახალხო გვარდიის ნაწილებს თვით ეკატერინენფელდში ჩასვლა და იქ მეტ-ნაკლებად ხელსაყრელი საბრძოლო პოზიციების დაკავება უნდა მოესწროთ. ტაქტიკური მზადყოფნის გარდა, ქართული გვარდიის ნაწილების მიერ რაიონის გერმანული და სხვა არასომხური მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოებაც იქნებოდა დაცული სომეხთა ანგარიშსწორებებისა და სისხლიანი დარბევებისაგან.

მობილიზაცია: საქართველოს მთავრობის მიერ საომარი მობილიზაცია დიდი დაგვიანებით, 18 დეკემბერს გამოცხადდა. 18 დეკემბერსვე გამოაცხადა საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარმა შტაბმა სასწრაფო უწყებრივი მობილიზაციაც. გვარდიის პირველმა ნაწილებმა თბილისში თავმოყრა იმ დღესვე დაიწყეს. ქართული შეიარაღებული ძალების სარდლობისა და გვარდიის მთავარი შტაბის გადაწყვეტილებით, სახალხო გვარდიის რაზმებს ეკატერინენფელდის რაიონში ებრძანათ პოზიციების დაკავება. გვარდიის დაჯგუფების სარდლობა პირადად გვარდიის მთავარი შტაბის უფროსმა ვალიკო ჯუღელმა ითავა. მასთან იმყოფებოდნენ მთავარი შტაბის წევრები ალექსანდრე მაისურაძე და ალექსანდრე დგებუაძე.

მებრძოლი მხარეები: 18 დეკემბრის გვიანი ღამისათვის ქვედანაყოფები უკვე ეკატერინენფელდის მიმართულებით გაემგზავრნენ. ძირითადად იყვნენ თბილისის, სამტრედიის, გურიისა და კახეთის გვარდიის ქვედანაყოფები, აგრეთვე, რეგულარული ჯარის ერთი ქვედანაყოფი — სულ 600 კაცი. რაზმის შემადგენლობაში შედიოდა ცხენოსანი ასეული კაპიტან ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის მეთაურობით, ორი საარტილერიო ბატარეა რვა ზარბაზნით. ასეთი მცირერიცხოვანი იყო ქართული შეიარაღებული ძალების ის ავანგარდი, რომელმაც 19 დეკემბრის გამთენიისას ჩააღწია ეკატერინენფელდში.

აგრესორთა მთავარ დამრტყმელ ძალას ამ მიმართულებაზე სომეხთა მე-5 მსროლელი პოლკი წარმოადგენდა პოლკოვნიკ ტერ-ნიკოგოსოვის მეთაურობით. თუ გავითვალისწინებთ ადგილობრივი სომხური სოფლების მოხალისეებსაც, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მტრის საერთო რიცხვი სულ მცირე 2500 კაცს მაინც შეადგენდა.

ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმის მტკიცება, თუ რომელი მხრიდან შემოვიდნენ სომხური ქვედანაყოფები ეკატერინენფელდში, მაგრამ სავარაუდოდ, ლანდშაფტიდან გამომდინარე, სომხები ეკატერინენფელდს სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მოადგნენ.

ბრძოლის მსვლელობა: ვალიკო ჯუღელი: „მტერმა ღამით მოულოდნელად შემოგვარტყა ალყა. გამთენიისას საერთო იერიშზე გადმოვიდა, შემოიჭრა სოფელში, ხელში ჩაიგდო ჩვენი რვავე ქვემეხი და მაღალ შენობებში ტყვიამფრქვევები დააყენა... პირველი სროლების ხმა 6 საათზე გაისმა. ჩვენი შტაბიდან ბევრს ჯერ კიდევ ეძინა... სროლებმა ყველა გაგვაღვიძა, ჩვენ ხელი ვტაცეთ იარაღს და გავიქეცით ჩვენი ბატალიონებისაკენ... არავინ არ იცოდა, თუ რაში იყო საქმე... ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ შემთხვევითი სროლები იყო, მაგრამ მალე ტყვიამფრქვევებიც აკაკანდნენ და ქვემეხებმაც იგრიალეს... ყველაფერი უცებ გაცხადდა... მდგომარეობა მძიმე, საბედისწერო, თითქმის უიმედო იყო... ან სამარცხვინოდ უნდა ჩავბარებოდით მტერს და დიდი სირცხვილისა და ქვეყნის დაღუპვის ფასად გადაგვერჩინა საკუთარი სიცოცხლე, ან თავგანწირულად უნდა ჩავბმულიყავით ბრძოლაში და ასე გადაგვერჩინა საკუთარი თავი და საკუთარი ქვეყანა.“

სწორედ ასე გათენდა ეკატერინენფელდში 1918 წლის 19 დეკემბრის სუსხიანი დილა. ვ. ჯუღელის სიტყვებში კი განცვიფრებას ის იწვევს, რომ „არავინ არ იცოდა, თუ რაში იყო საქმე.“ მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ რაზმებისა და ქვედანაყოფების მეთაურები თავთავიანთ ერთეულებთან არ იმყოფებოდნენ და ყველანი შტაბში იყვნენ თავმოყრილნი. ეს კი დიდი შეცდომა იყო.

ზემოხსენებული ორი არჩევანიდან ქართველებმა მეორე აირჩიეს. გააფთრებულმა ხელჩართულმა ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. აღსანიშნავია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრების – ალექსანდრე მაისურაძისა და ალექსანდრე დგებუაძის, განსაკუთრებით კი ვალიკო ჯუღელის ვაჟკაცობისა და თავგანწირვის ფაქტები, რომლებიც ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებოდნენ და პირადად იძლეოდნენ ნამდვილი გმირობის მაგალითს. ქართველ გვარდიელთა მთავარ ამოცანას ტყვიამფრქვევთა წერტილების გაუვნებელყოფა და მტრის მიერ დაკავებული ქვემეხების უკან დაბრუნება შეადგენდა.

ქართული მხარე თითქოს შედრკა კიდეც. მცირე ძალებით, ქალაქში ბრძოლის სათანადო გამოცდილების გარეშე გვარდიელებისათვის ძალიან რთული იყო სახლებსა და სხვენებში გამაგრებული მოწინააღმდეგის ჭარბი ძალებისა თუ საცეცხლე წერტილების გაუვნებელყოფა და მტრის ლიკვიდაცია.

ბრძოლის მსვლელობაზე გადამწყვეტი როლი ვალიკო ჯუღელის თავგანწირვამ ითამაშა. მოწოდებითა და პირადი მაგალითით მან შეძლო გვარდიელთა ორგანიზება, შეტევის განვითარება, ინიციატივის ხელში ჩაგდება და პრაქტიკულად განწირული ბრძოლის გადარჩენა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი მეთაურის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ შეასრულა.

გვარდიელთა ურყევმა რწმენამ და თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. მალე გამოიკვეთა, რომ სომხები დაკავებულ პოზიციებს ვერ შეინარჩუნებდნენ. მათ ჯგუფებად დაიწყეს უკან დახევა, რაც მალე გადაიზარდა კიდეც გაქცევაში. ,,ჩვენ გავანთავისუფლეთ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული სახლები და იქ რამდენიმე ოფიცერი და მრავალი ჯარისკაცი დავატყვევეთ. და როცა ვაშას ძახილით ჩვენს ბატარეებს მივადექით, იქ უკვე იმყოფებოდნენ ალექსანდრე და ქრისტეფორე, რომლებიც მიბრჯნით ურტყამდნენ მტერს. ჩვენს ქვემეხებთან დახოცილი არტილერისტები იწვნენ... მათ პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე".

დღის ბოლოსათვის სომხები საბოლოოდ უკუიქცნენ და უწესრიგოდ დაიწყეს ბრძოლის ველის მიტოვება. აქ კი, საბრძოლო ტაქტიკის შესაბამისად, გვარდიის კავალერია ჩაერთო საქმეში. გაქცეულ მტერს კაპიტან ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის პირველი ცხენოსანი ასეული დაედევნა... ეკატერინენფელდი, რეგიონის ეს უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტი, სომეხთა ოკუპაციას გადაურჩა, მოწინააღმდეგე უკუაგდეს.

გენშტაბიდან ახალციხეში. გენერალ მაკაევს. 19.12.18. №248.

დღეს, 19 დეკემბერს ეკატერინენფელდთან ბრძოლაში, გენერალმა ახმეტელოვმა წითელ გვარდიასთან ერთად გაანადგურა სომხური კოლონა. აყვანილნი არიან ტყვეები, მათ შორის ბატალიონის მეთაური. დაწვრილებით მოგახსენებთ მოგვიანებით.

პოლკოვნიკი ნაცვალოვი.

შედეგები: 600-კაციანი რაზმიდან ჩვენ 30 კაცი დავკარგეთ, დაიჭრა 70-ზე მეტი. მოწინააღმ-დეგის დანაკარგები: მოკლული 100-ზე მეტი, ტყვე 100-ზე მეტი. ქართულმა მხარემ ალაფიც ჩაიგდო ხელში – 300 თოფი, 11 ტყვიამფრქვევი და საველე ტელეფონი.

მასშტაბებითა და საბრძოლო დანაკარგებით ეკატერინენფელდის ბრძოლა უმნიშვნელო ბრძოლა იყო. მაგრამ, სწორედ მასშია ბრძოლის ისტორიული ღირებულება. ამ ბძოლაში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა ქართველი მეომრის უტეხმა სულმა. პირადი სიმამაცისა და თავგანწირვის ნამდვილი მაგალითი აჩვენა გვარდიის დაჯგუფების მთელმა პირადმა შემადგენლობამ გვარდიის სარდლისა და მთავარი შტაბის წევრებიდან მოყოლებული, უკანასკნელი მეომრის ჩათვლით.

ანალიზი: ტაქტიკის თვალსაზრისით ეკატერინენფელდის ბრძოლა თავდაცვითი იყო, რომელიც მალე გადაიზარდა წარმატებულ შეტევაში. ხელჩართულ ბრძოლაში ინდივიდუალური სიმამაცისა და მომზადების მხრივ ქართული მხარის აშკარა უპირატესობა გამოიკვეთა და დასახული საბრძოლო ამოცანაც შესრულდა. სომეხების მიერ ეკატერინენფელდის ოკუპაციის მცდელობა აღიკვეთა.

ქართული დაჯგუფების მარში, ოპერატიულობის თვალსაზრისით, მართლაც მაღალ დონეზე ჩატარდა. ერთი ღამის განმავლობაში, კავალერიისა და საარტილერიო ბატარეების ჩათვლით, მოხერხდა მთელი დაჯგუფების თბილისიდან ეკატერინენფელდში გადასროლა.

აღსანიშნავია ქართული მხარის მიერ დაშვებული შეცდომების მთელი რიგიც: ა) პირველი დიდი შეცდომა ჯარების საბრძოლო განლაგებას შეეხება, გვარდიის ქვედანაყოფების მიერ

თავდაცვითი პოზიციების დაკავება არ მომხდარა. თავდაცვითი ზღუდეების მოწყობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო; ბ) მთელი პირადი შემადგენლობა ეკატერინენფელდში ადგილობრივ მცხოვრებთა სახლებში დასახლდა და არა სამალავში. მათ ძილს მისცეს თავი; გ) უფრო დიდი შეცდომა იყო, რომ გვარდიის საველე შტაბის გადაწყვეტილებით (სხვანაირად ეს არც იქნებოდა) ბატარეები არა რაზმის დისლოკაციის ზურგსა და შესაბამის პოზიციებზე, არამედ ავანგარდში განალაგეს; დ) ყველაზე გამოგნებული ის იყო, რომ საარტილერიო ბატარეებისა და მთლიანად ბანაკის დასაცავად გამოყოფილი არ იყო უსაფრთხოების ელემენტი; ე) ბრძოლის დამამთავრებელ ფაზაში ქართული მხარის მიერ დადევნების საკავალერიო მანევრიც არ იყო სრულფასოვნად ჩატარებული და ბოლომდე მიყვანილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სომხური მხარის დანაკარგები, როგორც დახოცილთა, ისე დატყვევებულთა სახით უფრო მეტი იქნებოდა.

სომეხთა მე-5 მსროლელი პოლკისა და მოხალისეთა საბრძოლო რაზმის ძალები ოთხჯერ აღემატებოდნენ ქართული გვარდიის ძალებს. ქართული მხარე აბსოლუტურად მოუმზადებელი ჩაება ბრძოლაში და პრაქტიკულად ის უპირატესობაც დაკარგა, რაც თავდაცვაში მყოფ მხარეს გააჩნია შემტევ მხარესთან შედარებით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ, ფაქტობრივად, ბრძოლის დაწყებამდე სომხებს უკვე დაკავებული ჰქონდათ ტაქტიკურად ხელსაყრელი პოზიციები და ქართული არტილერიაც მათ ხელში იყო, საბრძოლო ხელოვნების ყველა დებულებით, ქართულ მხარეს გამანადგურებელი მარცხი უნდა ეწვნია. მაგრამ მოხდა საპირისპირო. ცნობილმა ტაქტიკურმა შეფარდებამ 1/3-თან არ იმუშავა და თავდაყირა დააყენა საბრძოლო თეორიის ყველა ცნობილი დებულება. მოწინააღმდეგის ჭარბ ძალებთან გამართული ხელჩართული ბრძოლა ქართული მხარის მიერ გარკვეული ტაქტიკური სქემით წარიმართა. ახლო ბრძოლის ეს ტაქტიკა მოწინააღმდეგის ცალკეულ მცირე ჯგუფებად დანაწევრებას, მათ იზოლირებასა და შემდგომში თანმიმდევრულ ლიკვიდაციას, ან ბრძოლიდან უკანდახევით მათ გასვლას გულისხმობს. ეს კი ლოკალური რიცხობრივი უპირატესობის მოპოვების ხარჯზე მიიღწევა. ბრძოლის ეს მეთოდი ჯერ კიდევ ანტიკური ხანის სამხედრო ხელოვნებაში გამოიყენებოდა და ტაქტიკის იმ ელემენტს წარმოადგენდა, რომელსაც არასდროს არ დაუკარგავს ეფექტი და აქტუალობა.

ეკატერინენფელდის ბრძოლის მთავარი ღირებულება ისაა, რომ სომხეთ-საქართველოს ომში ეს იყო ქართული მხარის პირველი გამარჯვება ბორჩალოს მაზრაში, რამაც კიდევ უფრო გაზარდა პირადი შემადგენლობის საბრძოლო სულისკვეთება. ამ დიდ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი სახალხო გვარდიის პირადი შემადგენლობის იდეისადმი რწმენამ და მხედრულმა შემართებამ ითამაშა. ეკატერინენფელდის ბრძოლა ამავე დროს იმის მაგალითია, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს პირადი შემადგენლობისათვის მეთაურის გამბედაობა, ინიციატივის ხელში აღება და მაღალი საბრძოლო სულისკვეთება ერთი შეხედვით განწირულ ბრძოლაშიც კი. ამ თვალსაზრისით ის საქართველოს ომების ისტორიის კიდევ ერთ თვალსაჩინო ფურცელს წარმოადგენს.

ე) შულავერის ბრძოლა (25-27.12.1918)

ოპერატიული ვითარება: შულავერის ბრძოლა და მისი აღების ოპერაცია სომხეთ-საქართველოს ომის მთავარ ბრძოლას წარმოადგენს, იგი სანაინი-ალავერდის ბრძოლების ორგანული გაგრძელებაა. სწორედ შულავერის ბრძოლასთანაა დაკავშირებული სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობაში ძირეული გარდატეხის შეტანაც და ქართული შეიარაღებული ძალების ძლევამოსილი შეტევითი ოპერაციის გაშლაც.

1918 წლის 22 დეკემბერს სომეხთა ძირითადმა ნაწილმა შემოვლითი მანევრით გვერდი აუარა სადახლოს პოზიციებზე უკან დახეულ და გამაგრებულ გენერალ წულუკიძის რაზმის ნარჩენებს, დაუბრკოლებლად გააგრძელა წინსვლა რკინიგზის ხაზისა და მდინარე დებედას გასწვრივ ჩრდილოეთის მიმართულებით და უბრძოლველად, მარშით შევიდა შულავერში. სომხებმა დაიკავეს სოფლები ლამბალო, შულავერი, მამაი, ლალვარი, ოფრეთი, დამია-გიაურარხი, აშაღი-სარალი და მდინარე ხრამის პოზიციებზე გავიდნენ. 22 დეკემბრისათვის სომხურმა საჯარისო ნაწილებმა მთავარ სტრატეგიულ ზღუდეს, მდინარე ხრამს მიაღწიეს. ვორონცოვკა-ეკატერინენფელდის რაიონში კი მათ

შეძლეს მდინარე ხრამამდე ზონის ოკუპაცია, ეკატერინინფელდის გამოკლებით. შევიდნენ მდინა
ხრამის ჩრდილოეთით მდებარე აღბულახ – დაღეთ-ხაჩინი – სამშვილდის სომხებით დასახლებულ
რაიონში. ამ მომენტისათვის მხოლოდ სადახლო წარმოადგენდა სომეხთაგან არაოკუპირებულ
ერთადერთ წერტილს, რომელიც 23 დეკემბრისათვის დაეცა. ეს იყო სომხური ნაწილებისა და
საბრძოლო რაზმების ყველაზე უფრო ფართომასშტაბიანი შემოჭრა საქართველოს ტერიტორიებზე
სომხეთ-საქართველოს ომის მთელი მსვლელობის პერიოდში. სომეხთა ავანგარდული ნაწილები
საქართველოს დედაქალაქს, თბილისს 40კმ-ზე მიუახლოვდნენ.

მობილიზაცია: მხოლოდ 18 დეკემბერს მისცა საქართველოს მთავრობამ შექმნილ სიტუაციას
შესაბამისი სამართლებრივი შეფასება და საომარი მობილიზაცია გამოაცხადა. დაიწყო საქართველოს
რეგულარული ჯარის ქვედანაყოფების, სახალხო გვარდიისა და მოხალისეთა რაზმების ფორმირება
და ფრონტისაკენ გადასროლა. შეიქმნა შულავერის ფრონტი და საველე შტაბი. მიმართულების
სარდლად მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი დაინიშნა, მის
მოადგილედ – გენერალ-მაიორი დავით სუმბათაშვილი. მთავარსარდლის თანამდებობა გენერალური
შტაბის გენერალ-მაიორმა ალექსანდრე გედევანიშვილმა დაიკავა, მთავარი საველე შტაბის უფროსად
კი გენერალი ვლადიმერ იმნაძე დაინიშნა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მთავარსარდალი, გენერალი
კვინიტაძე, მთავრობის ძალისხმევით რამდენიმე თვის წინ იძულებით თადარიგში გასული, საკუთარი
სურვილით გამოცხადდა სამობილიზაციო პუნქტში მოხალისე ოფიცერთა პოლკში ჩასაწერად, რათა
ასეთი გზით მაინც მიეღო საომარ მოქმედებებში მონაწილეობა. გენერალ კვინიტაძის რიგით
ოფიცრად გაწვევა შეუფერებლად ჩათვალეს და იგი გენერალ მაზნიაშვილის დაჯგუფების შტაბის
უფროსად დაინიშნა.

მოხალისეთა რიგებში დიდი იყო საქართველოს არაქართული, კერძოდ, აზერბაიჯანული
მოსახლეობის წილიც. გაზეთი „საქართველო" წერს – „გენერალ ლენკო მაღალაშვილის
მოხალისეთა ჯარი საათობით იზრდება. ბორჩალოელმა თათრებმა რომ გაიგეს მაღალაშვილი ჯარებს
აგროვებს წუწკი მტრის საწინააღმდეგოდ, ერთ დღეს მხოლოდ სამი სოფლიდან 300 მებრძოლი
გამოვიდა, იარაღი მიიღეს და სათანადოდ მათი უფროსი ოფიცრების მეთაურობით ჩვენს ჯარს
შეუერთდნენ. თათრები ამბობენ: ერთ დღეს დაკიხოცებით და მაგ წუწკებს ჩვენზე არ
გაკაბატონებთო". საერთო ჯამში, გენერალ მაღალაშვილის დაქვემდებარებაში ბორჩალოელ
აზერბაიჯანელ მოხალისეთა 500-კაციანი რაზმი გაერთიანდა.

დანიშვნის პირველსავე დღეს სწორედ გენერალ მაზნიაშვილის მიერ მიღებულმა ენერგიულმა
ზომებმა შეარბილა ქართველთათვის არსებული ის კატასტროფული მდგომარეობა, რაც შექმნილი
იყო ზოგადად საომარ მოქმედებათა ფრონტებზე და, განსაკუთრებით, შულავერი-სადახლოს
მიმართულებაზე.

ქართული მხარის ტაქტიკური წარმატება პირველ რიგში რკინიგზის სადგურ აშაღა-სარალის
დაკავებაში გამოიხატებოდა, რითაც უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი შეიქმნა შემდგომი აქტიური
მოქმედებებისათვის. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ერთი მუჭა ქართველების
წინააღმდეგ ბრძოლაში სომხური ნაწილები აშკარად დაფრთხნენ და უკან დაიხიეს ქალაქ
შულავერისაკენ, რითაც იმ ძვირფასი დროის მოგება გახდა შესაძლებელი, ასე რომ სჭირდებოდა
ქართულ მხარეს სამობილიზაციოდ.

მდინარე ხრამის მისადგომებთან გენერალ სუმბათაშვილის უშუალო მეთაურობით გამართული
ბრძოლა სწორედ სომხეთ-საქართველოს ომში ძირეული გარდატეხის დასაწყისად იქცა. სწორედ ამ
თავზეხელაღებული და მეტად სარისკო ტაქტიკური მანევრის წყალობით ქართულმა ქვედანაყოფებმა
მოწინააღმდეგის ავანგარდი შეაჩერეს და უკან გააქციეს.

ქართველთათვის კრიტიკული მდგომარეობის გამოსწორება 24 დეკემბრიდან დაიწყო. ამ დღეს
შულავერის ფრონტს რკინიგზით პირველი სამხედრო ნაწილები და საბრძოლო რაზმები მოადგნენ:
მე-5 ქვეითი პოლკის მე-3 და მე-4 ბატალიონები 1040 კაცის საერთო რიცხოვნობით, მეთაური –
პოლკის მეთაურის მოადგილე პოლკოვნიკი ბოლღაშვილი.

ამ ეტაპისათვის სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და საბრძოლო რაზმების
შეუჩერებელი წინსვლის პროცესი დასრულდა, სომხებმა დაკარგეს სტრატეგიული ინიციატივა. 25
დეკემბრიდან ბორჩალოს საომარ მოქმედებათა თეატრზე ქართველთათვის საერთო ოპერატიული

მდგომარეობა დასტაბილურდა. დღის წესრიგშიც ქართული მხარის მიერ შეტევითი ოპერაციის ჩატარების ამოცანა დადგა.

ძალთა განლაგება: შულავერის მიმართულებაზე სტრატეგიული მნიშვნელობის რელიეფურ ობიექტებს ორი პუნქტი — აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლეები — 246,9 და 557 წარმოადგენდნენ. ეს სიმაღლეები კეტავდნენ მთლიანად შულავერსა და მის მიდამოებს. შესაბამისად, მათ აღებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მასზე გამაგრებულ მხარეს სრულად ეძლეოდა მთელი საბრძოლო უბნის კონტროლის საშუალება.

ბრძოლის დაწყებამდე სომხური მხარის მთავარი ძალები ქალაქ შულავერში გამაგრდნენ. მათ ხელთ იყო სტრატეგიული სიმაღლეები 246,9 და 557, რომელთა ფერდობებზე განლაგებული ეშელონირებული პოზიციები შესაბამისად იყო მომზადებული საინჟინრო თვალსაზრისით ხანგრძლივი პოზიციური და თავდაცვითი ბრძოლებისთვის.

ქართველთა ძირითადი ძალები შულავერისა და მისი სტრატეგიული სიმაღლეების ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით განლაგდნენ. ქართველები აკონტროლებდნენ რკინიგზის ხაზის ნავთლული-აშაღა-სარალის უბანს და რკინიგზის სადგურსაც, სადაც მობილიზებული ქართული ეშელონები ჩამოდიოდნენ თბილისიდან. სანდარში კი მოწყობილი იყო შეიარაღების მეწინავე საწყობი.

ოპერატიული თვალსაზრისით სომხები დიდ უპირატესობას ფლობდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტაქტიკურად ხელსაყრელი და კარგად მომზადებული პოზიციები ეკავათ, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მხარის მიერ ამ მიმართულებაზე შეუძლებელი იყო შეტევისა და მძლავრი ცეცხლის გახსნა, ასევე, ჯავშანმატარებლების გამოყენება.

ოპერატიული გეგმა: ქართული სარდლობის წინაშე პირველხარისხოვან ამოცანად ქალაქ შულავერის განთავისუფლების საკითხი დაისვა, სადაც მტრის ძირითადი ძალები იყო გამაგრებული. ამ ძალების განადგურებით უნდა გადაწყვეტილიყო რეგიონის დაშნაკი აგრესორებისაგან განთავისუფლებისა და სომხეთ-საქართველოს ომის ბედიც. მტკიცე გადაწყვეტილება მიიღეს ერევანში შესვლის შესახებაც.

მიმართულების სარდალმა, გენერალმა მაზნიაშვილმა დანიშვნისთანავე დაიწყო ფრონტის ოპერატიულ მართვაზე მუშაობა. საველე შტაბის უფროსმა გენერალმა კვინიტაძემ კი ოპერაციის საინტერესო გეგმა შეიმუშავა.

იმის გამო, რომ სადახლოს 18-23 დეკემბრის ბრძოლების შემდეგ სომხურმა დაჯგუფებამ ალავერდი-ნავთლულის სარკინიგზო მაგისტრალიდან გადაუხვია და შულავერში გამაგრდა, სომეხთა მიერ აშაღი-სარალი — სადახლოს რკინიგზის მონაკვეთი და თავად სადახლო ნაკლებად დაცული აღმოჩნდა. ეს მდგომარეობა კი სათუოს ხდიდა სომხური შენაერთის მიერ მოპოვებული პოზიციების შენარჩუნებას. სწორედ ეს მომენტი იყო გათვალისწინებული გენერალ კვინიტაძის საბრძოლო ჩანაფიქრში, სადაც სომეხთა დაჯგუფების პოზიციური განლაგების სუსტ მხარეებზე გაკეთდა აქცენტი.

გეგმის თანახმად, გენერალ სუმბათაშვილის შენაერთის შულავერზე დაწყებული ფრონტალური შეტევის პარალელურად (რითაც სომეხთა შულავერის დაჯგუფება დაკავდებოდა), გენერალ წულუკიძის ნაწილებს სომეხთა პოზიციების ღრმა ფლანგური მანევრი და სადგურ სადახლოს დაკავება უნდა მოეხერხებინათ, რასაც ქალაქ შულავერში [illegible]ავრებული სომეხთა მთავარი ძალების ბლოკირება და ზურგის იზოლაცია უნდა მოჰყოლოდა შედეგად. იმავდროულად შულავერისთვის სომეხთა თავდაცვის მარცხენა ფრთიდან გენერალ ჩხეტიანის გვარდიის შენაერთს უნდა მიეყენებინა დარტყმა.

ოპერაციის შემდეგი ეტაპი — სომეხთა დაჯგუფებისათვის ალყის შემორტყმა და მისი სრული განადგურება კი ტაქტიკურად სწორად დაგეგმილ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა. ამ ეტაპზე გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა ქართული ნაწილების მასირებულ ფრონტალურ შეტევას ხელთ არსებული ყველა საშუალებით. ამით ფაქტობრივად უნდა დასრულებულიყო სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების არსებობაც. ოპერაციის მესამე ეტაპი — ქართული შენაერთების ერევანში შესვლა მხოლოდ საბრძოლო მარშის შესრულების ტემპებზე იქნებოდა დამოკიდებული, რაც მაქსიმუმ სამ-ოთხ დღე-ღამეში იყო შესაძლებელი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა არავითარ სარეზერვო ნაწილებსა და ქვედანაყოფებზე გათვლების გაკეთება. იმ შემთხვევაში, თუ ზურგს მოწყვეტილი სომხური

შენაერთი შეძლებდა ალყის გარღვევას ფრონტალური მიმართულებით, რაც ნაკლებად სავარაუდო, მაგრამ პრინციპში შესაძლებელი იყო ქართველთა სიმცირის გამო, ქართული მხარე უაღრესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდებოდა. რეზერვისა და მაშველი ძალების არარსებობის მიზეზით, სომხური შენაერთის წინსვლის შეჩერება ჩრდილოეთის მიმართულებით, თბილისზე, ხელსაყრელი თავდაცვითი პოზიციების მოუმზადებლობის გამო მეტად გაჭირდებოდა. სწორედ ეს გაითვალისწინა ფრონტის სარდალმა, გენერალმა მაზნიაშვილმა და საერთო პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შტაბის მიერ შეთავაზებულ ოპერატიულ გეგმაზე უარი თქვა.

მიიღეს გადაწყვეტილება გენერალ მაზნიაშვილის მიერ ფრონტის სათანადოდ მომზადებისა და შულავერზე ფორსირებული შეტევის დაწყების შესახებ. ამ მეთოდური გეგმის მიხედვით მეტი შანსი იყო, რომ ქართულ შენაერთებს შედარებით ნაკლები დანაკარგებით აეღოთ შულავერი. მაგრამ ამ შემთხვევაში სომხურ ნაწილებს საშუალება მიეცემოდათ, შეუფერხებლად დაეხიათ უკან, გარკვეულწილად შეენარჩუნებინათ ბრძოლისუნარიანობა და ადვილად გადასულიყვნენ მეტ-ნაკლებად ხელსაყრელ ახალ პოზიციებზე. ეს კი ახალი საბრძოლო მოქმედებების დაწყებას, ახალ მსხვერპლსა და დროის გაწელვას მოასწავებდა.

სომეხთა ოპერატიულ გეგმას კი ამ ეტაპზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, შულავერისა და ახლომდებარე სომხური სოფლებიდან მოსახლეობის დამატებითი მობილიზაცია, ახალი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა და ხრამის პოზიციების დაფიქსირება შეადგენდა.

ძალთა თანაფარდობა: 25 დეკემბერს გენერალ კვინიტაძის მიხედვით შულავერის მიმართულებაზე ქართული დაჯგუფების ძალთა ოპერატიული გადანაწილება ასეთი იყო: „მარცხენა ფროთას მეთაურობდა გენერალი ჩხეტიანი. შედიოდნენ: სამტრედიის გვარდიის 500 კაცი, მე-5 პოლკის წინწაწეული ბატალიონი, მე-4 საარტილერიო ბატარეა, სადაზვერვო ესკადრონი; ცენტრი გენერალი სუმბათაშვილი: სხვადასხვა დასახელების 12 ერთეული, მათ შორის მე-6 პოლკის 2 როტა და ოფიცერთა ასეული, აგრეთვე, ბრძოლაში სრულიად უუნარო წულუკიძის ყოფილი რაზმის მესაზღვრეთა როტა; დანარჩენი მოხალისეები".

სომხური მხრიდან კი: „ჩვენს შტაბს ცნობები მოსდის, რომ შულავერის რაზმი საათობით იზრდება. მზვერავები ადასტურებენ აქ მე-4, მე-6 და ყაზახის პოლკის ნაწილებს. მათ ემატებათ მოხალისეთა ასეულები და ათასი შეიარაღებული შულავერელი. ასე, რომ შულავერის სომხური რაზმი ბოლოს 4000 კაცს აღწევს. ამავე დროს სომეხთა ნაწილები ჩნდება ბაბაქიარის ქედზე და იჭერენ იუხარი-სერალის სტრატეგიულ პუნქტს."

როგორც ვხედავთ, აქაც, შულავერის მისადგომებთან, სომეხთა რიცხობრივი უპირატესობა სახეზეა.

ბრძოლის დინამიკა: გენერალ მაზნიაშვილის გეგმის მიხედვით ჩატარებული შულავერის აღების ოპერაცია, ოპერატიული თვალსაზრისით, ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს — მოსამზადებელი ბრძოლები და უშუალოდ შულავერის შტურმი.

შულავერის ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეები სომხური ქვედანაყოფებს ეკავა. ამ მიმართულებაზე მთავარ სტრატეგიულ სიმაღლეებს 246,9 და 557 წარმოადგენდნენ. სწორედ ამ სიმაღლეების ფლობა გადაწყვეტდა საბოლოოდ შულავერის ოპერაციის ბედს. ქართული სარდლობის მხრიდანაც უპირველეს ამოცანად სწორედ სიმაღლე 246,9-ის დაუფლება დაისახა.

შულავერის მისადგომებზე გენერალური შეტევის დასაწყისად 1918 წლის 25 დეკემბრის 15 საათი გამოცხადდა. იმჟამინდელი საბრძოლო ტაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად, ქვეითთა შეტევის დაწყებამდე სომეხთა გამაგრებული პოზიციების საარტილერიო დამუშავება დაიწყო: „8 ვერსის (8.5კმ.) მანძილზე გაიშალა 14 ზარბაზანი და დეკემბრის 25 ნაშუადღევს სამი საათიდან საშინელი ცეცხლი შეუკიდეს მტერს."

საყურადღებოა, რომ შულავერის მისადგომებთან ბრძოლებში დოკუმენტურად დასტურდება ქართული მხრიდან ავიაციის გამოყენების პირველი ფაქტი. შულავერის მიმართულებაზე შეუძლებელი იყო ჯავშანმატარებლების გამოყენება, ამიტომ ქართულმა სარდლობამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ქვეითთა შეტევის მოსამზადებელ ეტაპზე, საბრძოლო მოქმედებებში არტილერიასთან ერთად, საჰაერო ბომბდამშენებიც ჩართო.

შემდგომი მოვლენები კი ასე განვითარდა: „25-ში ჩხეტიანმა შემოუარა სომხების ფლანგს და შულავერის თავზე აიღო უმნიშვნელოვანესი მაღლობები.... აღებული მაღლობები გენერალ ჩხეტიანის სამტრედიის გვარდიამ დატოვა ღამით... 26-ში გვარდიამ ისევ აიღო მაღლობები და 2 ტყვიამფრქვევიც მოიპოვა, მაგრამ ღამით ისევ დატოვა პოზიციები."

სამტრედიის გვარდიის მიერ შულავერის გაბატონებული სტრატეგიული სიმაღლეების აღება ურთულესი და საპასუხისმგებლო საბრძოლო ამოცანა იყო, რაც გვარდიელებმა დიდი წარმატებით გადაწყვიტეს პირველივე შეტევის შემდეგ. მაგრამ მძიმე ბრძოლებით აღებული მაღლობები ღამის დადგომისთანავე დატოვეს, ისინი სომხებმა მალევე დაიკავეს.

მეორე დღეს ქართველ გვარდიელებს ხელმეორედ მოუხდათ მისი აღება. დაღამებისას კი ისევ დატოვეს (?!) გვარდიელთა მიერ სტრატეგიული მაღლობების დატოვების მიზეზები მართლაც გამოგნებლად პროზაულია – ღამის სიცივისთვის თავის არიდება და რაზმის დისლოკაციის ადგილზე, სოფელ სარაჩლოში ჩამოსვლა ჩაის დასალევად (?!) „გვარდიელებს ომისათვის თავისი საკუთარი წესები ჰქონდათ შემუშავებული" – აღნიშნავდა გენერალი მაზნიაშვილი. გვარდიელთა ამ საქციელმა არა მარტო დიდი მსხვერპლი და ძვირფასი დროის დაკარგვა, არამედ სხვა ქართული საჯარისო ნაწილების შეტევითი მოქმედებების შეფერხებაც გამოიწვია.

27 დეკემბერს გენერალმა მაზნიაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, პირადად გაძღოლოდა მე-5 პოლკის ქვედანაყოფებს, გაერღვია სომხური პოზიციების ფლანგი და ხელახლა დაეკავებინა გვარდიელთა დატოვებული სიმაღლეები. მაგრამ ქართული მხარის ამ შეტევას შედეგი არ მოუტანია. ასე დასრულდა შულავერის აღების სტრატეგიული ოპერაციის პირველი ეტაპი – მოსამზადებელი ბრძოლები.

ანალიზი: ქართულმა მხარემ 25-27 დეკემბრის ბრძოლებში ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება. მაგრამ, გამოიკვეთა, რომ სომხური საჯარისო შენაერთისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების მასირებული შეტევითი მოქმედებები უკვე საბოლოოდ აღიკვეთა. მათ ხელიდან ჰქონდათ გაშვებული სტრატეგიული ინიციატივა, დაკარგული იყო მოულოდნელობის ფაქტორით განპირობებული უპირატესობა. 1918 წლის 25 დეკემბრიდან ისინი ღრმად ეშელონირებულ დაცვაში ჩადგნენ. ქართველთა მიერ რკინიგზის ხაზის ნავთლულისა და აშაღა-სარალის მონაკვეთის, ასევე, სადგურ აშღა-სარალის დაკავებამ სომეხთა შენაერთის ძირითადი ნაწილის ბლოკირება და იზოლაცია მოახდინა შულავერსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

შულავერის ოპერაციის მოსამზადებელი ბრძოლები იმითაა საინტერესო, რომ აქ ქართული მხრიდან სახმელეთო ჯარების სამივე სახეობის ძალები (ქვეითი, არტილერია, კავალერია) მონაწილეობდნენ. რაც მთავარია, პირველი რესპუბლიკის რეალობაში საველე (ფრონტის) შტაბიდან პირველად განხორციელდა ჯარების ოპერატიული მართვა. პირველად გამოიყენეს ქართული ავიაციაც.

აუცილებლად ცალკე უნდა გამოვყოთ გენერალ სუმბათაშვილის ქვედანაყოფების მიერ ხრამის მისადგომებთან გამართული ბრძოლის ტაქტიკური შეფასება. მართებულად შესრულდა ტაქტიკური მანევრის სახე – ცრუ შეტევა შულავერზე, ასევე, ორი ცხენოსანი ასეულის ძალებით ერთ-ერთი ტაქტიკური სიმაღლის აღება. ამ თავგანწირულმა შეტევამ მხოლოდ ერთი ესკადრონისა და ერთი ჯავშანმატარებლის ძალებით სომხები დააფრთხო, შეაჩერა მათი წინსვლა და მთავარი დარტყმის მიმართულებაც შეაცვლევინა. სომხურმა ავანგარდმა შულავერის დაკარგვის შიშით შულავერისაკენ დაიხია და მდინარე ხრამის ფორსირება გადაიფიქრა. სომხური სარდლობა მოტყუდა. სუმბათაშვილის თავზეხელაღებული შემტევი მოქმედებების გამო მათ ჩათვალეს, რომ ფრონტზე გადმოსროლილი ქართველთა ძირითადი ძალები ჩაებნენ ბრძოლაში. ქართული მხარის ეს ტაქტიკური მანევრი – მეთაურის ჩანაფიქრი, ასევე, მისი შესრულების სიღრმე და ტემპი მხოლოდ დადებით შეფასებას იმსახურებს.

ვ) შულავერის აღების ოპერაცია (28-29.12.1918)

ოპერატიული ვითარება: 1918 წლის 25-27 დეკემბრის ბრძოლების შედეგებმა ქართულ სარდლობას შემდგომი მოქმედებების ტაქტიკა შეაცვლევინა. მართალია, ოპერატიული თვალსაზრისით საბრძოლო ჩანაფიქრი უცვლელი დარჩა, მაგრამ ტაქტიკურ დონეზე საერთო წარმატების განმსაზღვრელი სტრატეგიული სიმაღლეების აღების პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიის

ნაცვლად რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებს დაეკისრათ. შეტევის მთავარ მიმართულებაზე ქართული ავანგარდის შემტევ და გამრღვევ ჯგუფებად მე-5 და მე-6 ქვეითი პოლკების ქვედანაყოფები დასახელდა. განსხვავებულად დაიგეგმა ქართული მხარის შეტევითი ოპერაციის საერთო სტრატეგიაც.

როდესაც ქართული ჯარების თავმოყრის საწყის რაიონში უკვე კონცენტრირებული იყო ცოცხალი ძალა და არტილერია, გადაწყდა, დაწყებულიყო ფრონტალური შეტევითი ოპერაცია უშუალოდ შულავერზე, ასევე, პარალელურად განხორციელებულიყო ზემოხსენებული ღრმა ფლანგური მანევრი სადახლოს მიმართულებით. შემოვლითი მანევრისათვის გენერალ წულუკიძის რაზმი შეირჩა.

ძალთა თანაფარდობა: 28 დეკემბრისათვის შულავერი-სადახლოს ფრონტზე ფაქტიურად კომბინირებული სრულმასშტაბიანი შეტევითი ოპერაციის დაწყება დაიგეგმა, რასაც გენერალ კვინიტაძის მიერ პირველ ეტაპზე შემუშავებული გეგმა ითვალისწინებდა. ამ ეტაპზე გენერალმა მაზნიაშვილმა შტაბის მიერ შეთავაზებული გეგმა მიიღო.

მოყვანილი მონაცემების საერთო ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შულავერის ოპერაციის წინ დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა ასეთი იყო: სომხეთის შეიარაღებული ძალების შულავერის დაჯგუფება სულ მცირე 6000-6500 კაცს შეადგენდა, ქართული კი მხოლოდ 3500-ს (აქაც სომხური მხარის ორმაგი უპირატესობა). თავდაცვაში ყოფნა კი სომეხთა ტაქტიკურ უპირატესობას კიდევ უფრო ზრდიდა.

ბრძოლის მსვლელობა: შულავერის სიმაღლეების აღების მძიმე და საპასუხისმგებლო ამოცანა რეგულარული ჯარის მე-2 ქვეითი დივიზიის მე-5 და მე-6 პოლკების ქვედანაყოფებს დაეკისრა.

შეტევის დაწყებისათვის ქართულმა სარდლობამ შესაბამისი დრო შეარჩია. ეს სარდლობის ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო. წელიწადის ამ დროს დღის ხანგრძლივობა ძალიან მოკლეა. არსებული პრაქტიკით დიდი შეტევითი ოპერაციები, როგორც წესი, გამთენიისას იწყებოდა, ამიტომ ქართულმა მხარემ, მოწინააღმდეგის მოდუნებისა და შეცდომაში შეყვანის მიზნით, საარტილერიო მომზადება დღის 12 საათზე დაიწყო. ქვეითთა შეტევაც ნაშუადღევს უნდა დაწყებულიყო, რათა დაბინდებამდე აეღოთ გაბატონებული სიმაღლეები და მასზე გამაგრებულიყვნენ. ადრე დამდგარი ბინდი კი სომხურ მხარეს ხელს შეუშლიდა ქართველთა მიერ დაკავებული პოზიციების მიმართულებით ზუსტი საარტილერიო ცეცხლის გახსნაში.

1918 წლის 28 დეკემბრის 12 საათზე ქალაქ შულავერის აღების ოპერაცია დაიწყო. მტრის პოზიციების საარტილერიო დამუშავება ორ საათს გაგრძელდა. ნაშუადღევს კი ქართულმა ნაწილებმა მასირებული შეტევა განავითარეს 10 კმ-იანი გაშლილი ფრონტით. საღამოს კი ფრონტით დაიწყო ქვეითთა იერიში. მარცხენა ფლანგზე უტევდნენ შემდეგი ერთეულები: მე-6 პოლკის ოთხი ასეული პოლკოვნიკ კონჭოშვილისა და პოდპოლკოვნიკ მაჭავარიანის მეთაურობით; პოლკოვნიკ კერესელიძის მოხალისე ოფიცერთა პოლკი და კაპიტან უთნელავას საბრძოლო რაზმი; ცენტრს უშუალოდ გენერალი სუმბათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სუმბათაშვილის შეტევა ცენტრში წარმატებით დაგვირგვინდა. პოდპოლკოვნიკ მაჭავარიანის ქვედანაყოფებმაც, საველე არტილერიისა და ჰაუბიცების დახმარებით, 246.9 და 557 სიმაღლეები აიღეს. ბრძოლა არსებითად მოგებული იყო.

შულავერის 28 დეკემბრის ბრძოლა ქართული სარდლობის ტაქტიკური ჩანაფიქრის შესაბამისად და ქართველთათვის დიდი წარმატებით დასრულდა. აღსანიშნავია არტილერისტების პროფესიული მომზადების დონე და საარტილერიო დაზიანების მაღალი მაჩვენებელი. ამ წარმატებული შეტევით საბოლოოდ გამოიკვეთა ქართველთა საერთო პოზიციური უპირატესობა.

წარმატებული გამოდგა სხვა ქართული ქვედანაყოფების მოქმედებები საბრძოლო უბნის მარჯვენა ფლანგზე. აქ მე-5 ქვეითი პოლკის ასეულები აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე და გააფთრებული ბრძოლების შემდეგ „დალიქტაშის“ სიმაღლის აღება შეძლეს.

28 დეკემბრის შეტევებმა დაანახვა მოწინააღმდეგეს, რომ ვერ შეინარჩუნებდა შულავერის სიმაღლეებს და ღამით გამაგრებული პოზიციები დატოვეს. ამ ბრძოლების გმირი მე-9 ასეულის მეთაური, შტაბის კაპიტანი მუჩაიძე იყო, რომლის თავგანწირვამაც განსაზღვრა მთელი ასეულის წარმატება.

საერთო სტრატეგიული გეგმის მიხედვით, შემდეგი ეტაპისათვის „გადამწყვეტ როლს ითამაშებდა ენერგიული ქმედება და პოლკოვნიკ წულუკიძის სწრაფი სვლა სადახლოსაკენ სომხების ზურგში გასაჭრელად. ამას თუ მივაღწევდით, სრული გამარჯვება მიღწეული იყო და უეჭველად ერევნამდე ისე გავიდოდით, რომ აღარავინ გაგვიწევდა წინააღმდეგობას.“ სწორედ ამას ითვალისწინებდა სტრატეგიული ოპერაციის ბოლო, მესამე ეტაპი.

შულავერის აღების პარალელურად ლამბალო-სადახლოს მიმართულებაზე მოვლენები ასე განვითარდა: „გენერალ წულუკიძის სექტორზე, ერთმა ესკადრონმა, რომელიც ქვეითთა და ცხენოსანთაგან შესდგებოდა, იერიში მიიტანა 29 დეკემბერს დილით იუხარი-სერალზე. ჩვენი შტაბის უფროსმა გენ. კვინიტაძემ „შესანიშნავი იერიში“ უწოდა ამ იერიშს. ჩვენს რაზმს ერთი თოფიც არ დაუცლია, ისე მიაწყდა მტრის პოზიციას, რომელსაც ერთი ბატალიონი იცავდა ორის ზარბაზნით. მან ასამდე მოპირდაპირე ააგო ხიშტებზე, თვით კი ერთადერთი კაცი დაჰკარგა. რაზმმა ხელთ იგდო 2 ზარბაზანი და 2 ტყვიის მფრქეველი. იერიში იმდენად სწრაფი იყო, რომ სომხის არტილერიამ 3 ყუმბარის მეტი ვერ მოასწრო გაესროლა.“

შედეგები: 29 დეკემბრის დილას ქართულმა ქვედანაყოფებმა შულავერი დაიკავეს. ჯარების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებისა და ქართველთა მხრიდან ადეკვატური შურისძიების თავიდან აცილების მიზნით, გენერალ მაზნიაშვილის ბრძანებით შულავერში ქართული ჯარის მთავარი ძალები არ შესულან. აქ მხოლოდ მცირე გარნიზონი ჩადგა. ქალაქის კომენდანტად პოლკოვნიკი კონჭოშვილი დაინიშნა. გენერალი მაზნიაშვილი, როგორც ნამდვილი სამხედრო და პროფესიონალი, ღირსეულად მოიქცა.

შულავერისა და იუხარი-სარალის ბრძოლაში სომხური შენაერთის 300-ზე მეტი ჯარისკაცი მოკვდა, ტყვედ კი ამდენივე ჯარისკაცი და ოცამდე ოფიცერი ჩავარდა. ალაფის სახით მოიპოვეს: 6 ქვემეხი, ოცამდე ტყვიამფრქვევი, საარტილერიო საზიდრები, საველე სამზარეულო, დიდი რაოდენობით საარტილერიო ჭურვი და სხვა საბრძოლო მასალა.

ქართული მხარის დანაკარგები შულავერის აღების ოპერაციაში გაცილებით მცირე იყო – რამდენიმე ათეული მოკლული და დაჭრილი. ზარალი უფრო ნაკლებიც იქნებოდა, რომ არა გვარდიის თვითნებობა და მოქმედებები შულავერის სტრატეგიულ სიმაღლეებზე გამართულ ბრძოლებში, რასაც დამატებით მსხვერპლი და დროის გაწელვა მოჰყვა.

ანალიზი: მდინარე ხრამის მისადგომებთან სომხური შენაერთის ავანგარდთან გენერალ სუმბათაშვილის უშუალო მეთაურობით გამართული ბრძოლა იქცა სწორედ სომხეთ-საქართველოს ომში ძირეული გარდატეხის დასაწყისად. ამ თავზეხელაღებული და სარისკო ტაქტიკური მანევრის წყალობით ქართულმა ქვედანაყოფებმა რკინიგზის სადგური აშაღა-სარალი დაიკავეს, რამაც ქართველთათვის მოხერხებული პლაცდარმის შექმნა განაპირობა.

ტაქტიკური თვალსაზრისით, 1918 წლის 28 დეკემბერს დაწყებული შულავერის გენერალური ბრძოლა ქართული მხარის წარმატებული იერიში იყო, რომელიც 25-27 დეკემბრის ბრძოლების დამაგვირგვინებელ ნაწილს წარმოადგენდა. ტაქტიკურად სწორად დაიგეგმა საარტილერიო მომზადებისა და ქვეითთა შტურმის დაწყების დრო, მართებულად შეირჩა მთავარი და მეორეხარისხოვანი დარტყმის მიმართულებები, მოიერიშე და გარღვევის ქვედანაყოფები, საარტილერიო ცეცხლი. შედარებით მცირე დანაკარგების ხარჯზე ქართულმა მხარემ შეძლო მიცემული ამოცანის შესრულება – შულავერის გაბატონებული სიმაღლეების დაკავება. შრულყოფილი დაგეგმვითა და იერიშის მიტანის ტემპებით შულავერის აღება წარმატებული შეტევითი ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს.

აღნიშნულ ბრძოლაში გამოყენებული იყო ტაქტიკურ მოქმედებათა ელემენტები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი წარმატებას:

- მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა, მისი ყურადღების მოდუნება და დროის მოგება ქართველთა სასარგებლოდ, რაც საარტილერიო მომზადების გვიან (12.00 სთ.) დაწყებაში გამოიხატა;
- მხარდამჭერი საცეცხლე საშუალების (არტილერიის) ეფექტურად გამოყენება, რამაც მე-6 პოლკის ქვეითებს სტრატეგიული სიმაღლეების აღების საშუალება მისცა;
- მოწინააღმდეგის დაძაბუნება და მისი საბრძოლო სულისკვეთების მოშლა მე-5 პოლკის მიერ სამჯერ მიტანილი იერიშით;

— მოულოდნელობის ფაქტორი. სადახლოს მიმართულებაზე გენერალ წულუკიძის მიერ ტაქტიკური მარშის ჩატარება, მტრის პოზიციებზე ელვისებური იერიშის მიტანა, უმცირესი დანაკარგებით იუხარი-სარალის ბრძოლაში მოწინააღმდეგის სრული განადგურება და მისი ქვემეხების ხელში ჩაგდება.

შულავერის შტურმისას შეტევის ფრონტი 10კმ. იყო, საერთო ოპერატიული სიღრმე კი — 15კმ. ქართული სარდლობის ჩანაფიქრი — სადახლოს დაკავება, შულავერში თავმოყრილი სომხეთის შეიარაღებული ძალების ნაწილებისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების ბლოკირება, ალყაში მოქცევა და განადგურება ვერ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ გენერალმა წულუკიძემ იუხარი-სარალიზე საარაკო შეტაკება მოიგო, მან ვერ შეძლო სადგურ სადახლოს დროულად დაკავება და შულავერში გამაგრებული სომხების ძირითადი საჯარისო დაჯგუფების იზოლირება, რასაც მისი სრული განადგურება უნდა მოჰყოლოდა. სომხებმა დროზე დატოვეს შულავერის პოზიციები, ისარგებლეს ღამის სიბნელით და მალულად დაიხიეს უკან, აირუმისაკენ. შესაბამისად, სომხური მხარის დანაკარგები ცოცხალი ძალის მხრივ შედარებით მცირე იყო და შენაერთმა საბრძოლო მზადყოფნის დონე შეინარჩუნა.

ზ) სადახლოს შტურმი (30-31.12. 1918)

ოპერატიული ვითარება: 1918 წლის 17 ნოემბერს გენერალ-მაიორ უილიამ ტომსონის სარდლობით ირანიდან (ქ. ენზელი) ბაქოში გემით შემოვიდნენ ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების პირველი ქვედანაყოფები, ხოლო 13 დეკემბრიდან ბრიტანელთა ჯარის სრული კონტინგენტი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განთავსდა.

დეკემბრის შუა რიცხვებში ბაქოდან თბილისში გამოგზავნეს ბრიტანელი ემისრები, რომლებიც საქართველოს მთავრობისაგან ითხოვდენ ცეცხლის შეწყვეტასა და სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას. იგივე წინადადება წაუყენეს სომხურ მხარესაც. სომხეთის მთავრობა, წარმატებული საომარი მოქმედებების ფონზე, ამ წინადადებას არ დაეთანხმა, მაგრამ დაუყოვნებლივ ჩააყენა საქმის კურსში სარდლობა და საველე მეთაურები ბრიტანელთა ინიციატივების შესახებ. თუმცა, დეკემბრის ბოლოს, შულავერის ბრძოლების შემდეგ, სომხეთის მთავრობა ცეცხლის შეწყვეტასა და სამშვიდობო კონფერენციის მოწვევას დათანხმდა. ამ დროს უკვე ცხადი გახდა, რომ ახლო მომავალში სომხეთის შეიარაღებული ძალები აუცილებლად განადგურდებოდნენ და დაშნაკური სომხეთი დამარცხდებოდა. სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველოს მთავრობამ და პირადად, მთავრობის თავმჯდომარემ, ზღვარგადასული დემოკრატიული და ჰუმანისტური პრინციპებიდან გამომდინარე, თავიდანვე განაცხადა მზადყოფნა საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეჩერებისა და სამშვიდობო კონფერენციის გამართვისთვის.

წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე ფრონტებზე ცეცხლის შეწყვეტის თარიღად 1918 წლის 31 დეკემბრის ზუსტად 24.00 საათი დასახელდა.

მიუხედავად ამ მოვლენების პოლიტიკური მნიშვნელობისა, საქართველოს მთავრობამ არც საწყის ეტაპზე და არც დეკემბრის ბოლოს წინასწარი მოლაპარაკებების შესახებ საქმის კურსში არ ჩააყენა ქართული სარდლობა.

სამხედრო-ოპერატიული თვალსაზრისით კი ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ამ „სამშვიდობო ინიციატივებმა" და ქართული სარდლობის არაინფორმირებულობამ ქართული მხარის შემდგომი შეტევითი მოქმედებების ოპერატიულ დაგეგმვასა და შესრულებაზე იქონია გადამწყვეტი გავლენა. ამან სულ მალე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ქართული შემტეევი ავანგარდები და სასწორზე შეაგდო შემდგომი ბრძოლების შედეგები.

ძალთა თანაფარდობა: აღსანიშნავია, რომ საომარი მოქმედებების ამ ეტაპისათვის მობილიზებული ქართული ნაწილები და საბრძოლო რაზმები უკვე ძალიან სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. მისი პირადი შემადგენლობა 1918 წლის 30 დეკემბრის ბოლოდან შულავერი-სადახლოს ფრონტზე 10 000 კაცს შეადგენდა, ხოლო საომარ მოქმედებათა ყველა თეატრზე — 15 000-ზე მეტს.

30 დეკემბერს, გენერალი დრასთამატ კანაიანის დაჟინებული მოთხოვნით, სომხურმა მხარემ ერთ პოლკამდე (1500-1800 კაცი) შეკვეთა მიიღო.

სადახლოს ბრძოლის წინ დაპირისპირებული მხარეების ძალთა თანაფარდობა დაახლოებით თანაბარი იყო, თუმცა ჯარების განლაგებითა და გარღვევის უბანზე კონცენტრაციის მაჩვენებლით სომხური მხარე უპირატესობას ფლობდა. ქართული შენაერთის მთავარი ძალები არტილერიის ჩათვლით სამარშო კოლონაში სადახლოდან ჩრდილოეთით იმყოფებოდა, ხოლო სომხური შენაერთის ძირითადი ძალა სადახლოდან სამხრეთით, აირუმის მიდამოებში იყო კონცენტრირებული.

ოპერატიული გეგმა: ქართული სარდლობის ოპერატიული გეგმის მიხედვით, შულავერის აღებისთანავე დაუყოვნებლივ დადგა დღის წესრიგში სტრატეგიული დასახლებული პუნქტისა და სადგურ სადახლოს განთავისუფლების საკითხი, რომელიც ალავერდი-სანაინისა და პრიეოლნოეს მიმართულებებზე შემდგომი შეტევითი მოქმედებების საბაზისო პლაცდარმად უნდა ქცეულიყო.

სწორედ პოდპოლკოვნიკ მიქაბერიძის შერეული ბატალიონის ქვედანაყოფები შეადგენდნენ გენერალ წულუკიძის შემტევი ავანგარდის მოიერიშე და გამრღვევ ჯგუფებს, რომლებმაც 1918 წლის 30 დეკემბერს დილით, მართლაც ელვისებური შტურმით ერთდროულად დაიკავეს მდინარე დებედას მოპირდაპირე ნაპირებზე მდებარე სოფლები სადახლო, ლამბალო (დღევანდელი ბაგრატაშენი) და სადგური სადახლო. სულ მალე კი საბრძოლო მხარდაჭერისათვის მათ მე-6 პოლკის ბატალიონიც შეუერთდა პოდპოლკოვნიკ ჯაფარიძის მეთაურობით. გააფთრებული წინააღმდეგობისა და რამდენიმე ძლიერი კონტრშეტევის მიუხედავად, სომეხთა ძალისხმევას შედეგი არ მოჰყოლია. ქართველთა მძლავრ იერიშს მათ ვერაფერი დაუპირისპირეს. ქართულმა ქვედანაყოფებმა მყარად შეინარჩუნეს მოპოვებული პოზიციები.

ქართული სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრის მიხედვით, სოფლების — ლამბალოს, სადახლოსა და სადგურ სადახლოს აღების შემდეგ ღრმა ფლანგური მანევრის ჩატარება დაიგეგმა. კერძოდ, ლოქის ქედის გადავლით ვორონცოვკა-პრიეოლნოეს მიმართულებაზე, სანაინისა და ალავერდის ერთდროული დაკავება, რასაც აირუმის რაიონში თავმოყრილი სომხური შენაერთის ალყაში მოქცევა და მისი სრული განადგურება უნდა მოჰყოლოდა. ამავე დროს განვითარდებოდა ძლიერი ფრონტალური შეტევა სადახლოდან აირუმის მიმართულებაზე, მდინარე დებედას ხეობისა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ.

ამ მიზნით გადაწყდა ქართული მხარის ძირითადი ძალების კონცენტრაცია შეტევის მარჯვენა ფლანგზე, სიონ-ოფრეთის მიმართულებაზე. ქართული ძალების სრული გადაჯგუფება და შეტევის საწყის ზღუდეზე გასვლა 31 დეკემბრისათვის უნდა დასრულებულიყო. 1919 წლის 1 იანვარს, გამთენიას კი ორ კოლონად უნდა დაწყებულიყო სრულმასშტაბიანი შეტევითი ოპერაცია სანაინი-ალავერდისა და აირუმის ერთდროულად დასაკავებლად.

ბრძოლის მსვლელობა: ქართული მხარის სტრატეგიული ჩანაფიქრის შესაბამისად, სადახლოს დაკავების შემდეგ, გენერალ წულუკიძის შემტევმა რაზმმა, რომელიც ამავე დროს მთავარი ძალების მარცხენა ფლანგის ავანგარდს წარმოადგენდა, სადახლოდან დასავლეთით გადაუხვია და ამ მიმართულებით განაგრძო ბრძოლებით წინსვლა. ამ მომენტისათვის სადგურ სადახლოში ქართული მხარის საკმარისი ძალები ჯერ კიდევ არ იყო თავმოყრილი. უმოკლეს დროში აიღეს სადახლოს დასავლეთით მდებარე სოფლები და 30 დეკემბრის საღამოსათვის შეტევის საწყის ზღუდეზე გაიდნენ.

შულავერთან დისლოცირებული ქართული შენაერთის მარჯვენა ფლანგის ავანგარდს 30 დეკემბრის გამთენიისას ებრძანა შეტევითი მოქმედებების განვითარება სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. აქაც მე-5 პოლკის ქვედანაყოფებმა წაიწიეს წინ.

ქართული სარდლობა 31 დეკემბერსაც კი არ იყო ინფორმირებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკებების თაობაზე. ხოლო სომხური მხარისათვის ეს ფაქტი დიდი ხნით ადრე გახდა ცნობილი. შესაბამისად, გენერალ წულუკიძის მიერ შეტევითი მოქმედებების დასავლეთის მიმართულებით გადატანა და სადახლოს სტრატეგიულ რაიონში ძალების დაქსაქსვა დიდი ტაქტიკური შეცდომა იყო. ეს კი სულ მალე გადაიზარდა ოპერატიულშიც. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გაუმართლებელი იყო დებედას მარჯვენა ნაპირის უყურადღებოდ დატოვება და შეტევის მარცხენა ფლანგის მოშიშვლება. საქმე იმაშია, რომ შულავერის ბრძოლების შემდეგ უკანდახევულმა სომხურმა ნაწილებმა 30 დეკემბრისთვის აირუმის რაიონში დაიწყეს თავმოყრა. აშკარა იყო, რომ

სომეხთა კონტრშეტევის შემთხვევაში სწორედ ქართველთა შეტევის მარცხენა ფრთა მოექცეოდა უეჭველი დარტყმის ქვეშ.

ამ მომენტისათვის ქართული დაჯგუფების მთავარი ძალები, არტილერია და რეზერვი, ჯერ კიდევ სოფელ მამაისთან იყო თავმოყრილი, სადახლოდან 5-6 კილომეტრზე ჩრდილოეთით.

ზემოხსენებული გარემოების გათვალისწინებით, უდიდესი ძალისხმევის ფასად, სომხური შენაერთის სარდლობამ მოახერხა ძალების კონცენტრაცია და 31 დეკემბერს არტილერიისა და კავალერიის მხარდაჭერით ლამბალო-სადახლოს მიმართულებით ძლიერი კონტრშეტევა წამოიწყო. კონტრშეტევის პირველ ტაქტიკურ ზღუდეს სოფელ ლამბალოს აღმოსავლეთით მდებარე ლალვარის ქედის სიმაღლეების დაპყრობა წარმოადგენდა, რაც ხელსაყრელ პლაცდარმს შექმნიდა სოფელ ლამბალოსა და სადგურ სადახლოზე შეტევისთვის. საარტილერიო მომზადების შემდეგ სომხურმა ნაწილებმა და რაზმებმა შეძლეს შესუსტებული ქართული პოზიციების იერიშით გარღვევა, რასაც სადახლოს და თვით სოფელ ლამბალოს დაკავება მოჰყვა. მეორე კოლონამ კი უშუალოდ სადგურ სადახლოს შეუტია.

გააფთრებული კონტრშეტევითი ბრძოლების შედეგად, შეშველებული ქართული ნაწილების დახმარებით (პოლკოვნიკი ნესტორ გარდაფხაძე) სადახლოსთან ფრონტის გარღვეული უბანი აღდგა, თუმცა სომხური ნაწილების სრულად განდევნა სოფელ ლამბალოსა და ლალვარის ქედის სიმაღლეებიდან 31 დეკემბრის 24.00 საათისათვის ვეღარ მოესწრო.

1918 წლის 31 დეკემბერი სომხეთ-საქართველოს ომის აქტიური საბრძოლო მოქმედებების უკანასკნელი დღე აღმოჩნდა. ამ დღეს, ზუსტად 24.00 საათზე, სამმხრივი ბრიტანულ-ქართულ-სომხური მოლაპარაკებების საფუძველზე საომარი მოქმედებები შეწერდა.

ანალიზი: საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებამ 31 დეკემბრის 24.00 საათისათვის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ქართული სარდლობის სტრატეგიული ჩანაფიქრი ჩაშალა. ამიტომ, 1919 წლის 1 იანვრისათვის ალაევერდი-სანაინის დაკავებისა და სომხური შენაერთის ალყაში მოქცევა ვერ მოხერხდა. უფრო მეტიც, ქართული საჯარისო ნაწილების სადახლოდან დასავლეთის მიმართულებით გადაჯგუფებამ უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტისა და სადგურ სადახლოს შენარჩუნების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ხაზგასასმელია საქართველოს მთავრობის დანაშაულებრივი უყურადღებობა სამხედრო უწყებისა და ქართული საველე სარდლობისადმი. იგი მოვალე იყო, სარდლობა თავის დროზე ჩაეყენებინა საქმის კურსში მიმდინარე მოლაპარაკებებისა და ცეცხლის შეწყვეტის თარიღისა და ზუსტი დროის შესახებ. ამ შემთხვევაში სხვანაირად დაიგეგმებოდა ქართული მხარის შეტევითი ოპერაცია, შეიცვლებოდა ძალთა თავმოყრის რაიონები, მიახლოების მარშრუტები, მთავარი და მეორეხარისხოვანი დარტყმის მიმართულებები, შეტევის დაწყების დრო, განისაზღვრებოდა შემტევი და მხარდამჭერი ძალები და ა.შ.

თუ დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური რუკის სომხეთ-საქართველოს საზღვრის უბანს გადავავლებთ თვალს, ნათლად დავინახავთ, რომ სწორედ სადახლო-ლამბალოს რაიონში გამავალი სასაზღვრო ხაზი წარმოადგენს სომხეთ-საქართველოს სასაზღვრო პერიმეტრის ყველაზე უსწორმასწორი და თითქოს არაბუნებრივ უბანს. ეს უბანი სასაზღვრო ხაზის ყველაზე ადვილად შესამჩნევი მონაკვეთია. სომხეთ-საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო საზღვარი ზუსტად იმეორებს დაპირისპირებული ძალების დისპოზიციას და არსებული ფრონტის რეალურ მოხაზულობას 1918 წლის 31 დეკემბრის 24.00 საათის მდგომარეობით.

1918 წლის 30-31 დეკემბრის სადახლოს ბრძოლების ცალსახა ტაქტიკური შეფასება არაა მარტივი. ამ ბატალიების წარმოდგენა მხოლოდ საბრძოლო მოქმედებათა მიხედვით შეუძლებელია. გარკვეული მონაკვეთების მიხედვით ქართული მხარისათვის იგი იყო წარმატებული შეტევითი, თავდაცვითი და შემხვედრი ბრძოლების თანამიმდევრულობა, სომხური მხარისათვის კი — თავდაცვითი, კონტრშეტევითი, შემხვედრი და ისევ თავდაცვითი ბრძოლების სერია. სომხურისაგან განსხვავებით, ამ ბრძოლებში ქართული შეიარაღებული ძალების მხოლოდ რეგულარული ჯარის ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. სომეხთა მხრიდან კი სრულად იყო კონცენტრირებული მათ ხელთ არსებული მთელი ცოცხალი ძალა, სარეზერვო ქვედანაყოფები და საბრძოლო მხარდაჭერის ყველა საშუალება.

საერთო ჯამში, საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით, 1918 წლის 30-31 დეკემბრის სადახლოს საბრძოლო მოქმედებები დაპირისპირებულ მხარეთა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე ბრძოლების სერიად შეიძლება შეფასდეს.

ომის შედეგები: შეიძლება არაორდინარულად ჟღერდეს, მაგრამ ფაქტია, რომ სომხეთ-საქართველოს ომი ნამდვილ სამამულო ომად იქცა საქართველოსათვის. 1919 წლის 9-17 იანვარს თბილისში ჩატარებული სამმხრივი კონფერენციის გადაწყვეტილებით შეიქმნა ე.წ. „ლორეს ნეიტრალური ზონა" ბრიტანული ადმინისტრაციით, რომელიც ალავერდის სპილენძით მდიდარ საბადოებს, 43 სოფელსა და სადახლო-შაღალის 50 კილომეტრი სიგრძის რკინიგზის ხაზს მოიცავდა ექვსი სადგურით. 1919 წლის 27 იანვრიდან ბრიტანელთა მიერ იგი სამ ერთეულად – უზუნლარის, ეორონცოეკისა და ალავერდის ადმინისტრაციულ რაიონებად დაიყო. ე.წ. „ნეიტრალურ ზონის" მთავარ სამხედრო ინსპექტორად კი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების ოფიცერი, კაპიტანი არჩიბალდ დუგლასი დაინიშნა, რომლის შტაბიც ალავერდში იყო მე-4 მსროლელი ბატალიონის ერთ ასეულთან ერთად. საერთო ჯამში, ქართულმა სახელმწიფომ თავისი ისტორიული ტერიტორიების 3 800 კმ^2 ფართობის მიწა დაკარგა.

ქართული მხარის დანაკარგების ზუსტი ციფრის დადგენა შეუძლებელია. არსებულ მასალებზე დაყრდნობით, დაღუპულთა რაოდენობა დაახლოებით 700-800 კაცი უნდა ყოფილიყო, დატყვევებულ მეომართა რაოდენობა კი – 350-400 მებრძოლი, ჯამში – 1200 კაცი, დაჭრილთა რიცხვი 1800-ს აღწევდა. ე.ი. ქართული მხარის საერთო დანაკარგი მოკლულების, დაჭრილების, ავადმყოფებისა და დატყვევებულთა სახით 3000 კაცს შეადგენდა. მხოლოდ სამკვირიან აქტიურ საომარ მოქმედებებში (9-31 დეკემბერი) 3000-კაციანი დანაკარგი ძალიან შთამბეჭდავი რიცხვია.

ქართული მხარის მატერიალური ზარალიც დიდი იყო. საქართველოს შეიარაღებული ძალების კუთვნილი 6 ჯავშანმატარებლიდან 2 სომხებმა ჩაიგდეს ხელში.

ახლა კი პასუხი მთავარ კითხვაზე: ვინ მოიგო ომი? – ღია საომარი მოქმედებების შეწყვეტის მომენტისათვის, ე.ი. 1918 წლის 31 დეკემბრის 24.00 საათისათვის არსებული მდგომარეობით, მიუხედავად ოპერატიული წარმატებისა და სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისა, ქართულმა მხარემ პოლიტიკურ შედეგებს ვერ მიაღწია. ყველაზე მთავარი სომხეთ-საქართველოს ომის შეფასებისას ის არის, რომ ქართულმა სახელმწიფომ ანტანტის ქვეყნების ზეწოლით თავისი ტერიტორიების მნიშვნელოვან ნაწილზე – ისტორიულ ლორე-ბამბაკზე სუვერენული უფლებები დათმო. ქართველთა პოლიტიკური წარუმატებლობის მიზეზი ამიერკავკასიაში შექმნილი ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და, რაც მთავარია, საქართველოს მთავრობის არასწორი სამხედრო-პოლიტიკური კურსი იყო. 1918 წლის ბოლოდან ქართველ ჯარისკაცს ლორე-ბამბაკის ტერიტორიაზე ფეხი აღარ დაუდგამს, თუ არ ჩავთვლით 1920-1921 წლების რაღაც ორთვენახევარს, დეკემბერ-თებერვლის პერიოდს, როცა საქართველომ, სომხეთის გასაბჭოების გამო, დროებით შეძლო ამ ტერიტორიებზე თავისი „დე იურე" და „დე ფაქტო" იურისდიქციის აღდგენა. ლორე-ტაშირის დათმობა და საკუთარი ტერიტორიების დაკარგვაა სწორედ ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი ფაქტორი სომხეთ-საქართველოს ომის საერთო შედეგების შეფასებაში.

შესაძლებელია თუ არა ქართველთათვის სომხეთ-საქართველოს ომის დადებით შედეგებზე საუბარი? ერთადერთი, რაც ამ კონტექსტში შეიძლება გამოიყოს, არის ის, რომ 1919 წლიდან საქართველოს დედაქალაქი თბილისი, პოლიტიკურად და ადმინისტრაციულად ისევ ქართულ ქალაქად იქცა და ეთნოკულტურული თვალსაზრისითაც თანდათან თავისი ეროვნული სახის დაბრუნება დაიწყო.

§8. ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში I მსოფლიო ომი და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" კონცეფცია

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკის სეპარატისტულ ზავს შედეგად რუსეთის I მსოფლიო ომიდან გამოთიშვა მოჰყვა. ამ მდგომარეობამ ლენინსა და მის თანამებრძოლებს „დიდი ოქტომბრის მონაპოვრების" განმტკიცებისა და განვრცობისათვის ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა მისცა. რუსეთი და მისი მოსახლეობა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის ღრმა წყვდიადისათვის გაიწირა,

თუმცა, „ოქტომბრის მონაპოვრების“ განმტკიცებისათვის ბრძოლა არც ამ აქტის ხელმოწერით დაწყებულა და არც მისით დასრულებულა.

I მსოფლიო ომის დაწყებამ ერთი ხელის მოსმით დაამსხვრია მარქსისტული მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დებულება კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის მშვიდობიანი გზის შესახებ. კაცობრიობამ შეძლო, თავი დაეღწია „მატერიალისტური წუმპისათვის“, როგორც ამას თავის დროზე დიდი პრუსიელი მოაზროვნე და სამხედრო სტრატეგოსი, ფელდმარშალი ჰელმუტ ფონ მოლტკე წინასწარმეტყველებდა და მსოფლიოშიც „ახალი წესრიგი“ დამყარდა. დაიწყო I მსოფლიო ომი, რომლისკენაც განვითარებული ევროპა და მთელი მსოფლიო წლების განმავლობაში დაჟინებით და მეთოდურად მიიწევდა. სწორედ ფონ მოლტკე გახდა XIX საუკუნის მე-2 ნახევრიდან I მსოფლიო ომის თეორიული და სტრატეგიული აზრის მთავარი აპოლოგეტი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სტრატეგიული გარშემორტყმისა და გამანადგურებელი ომის თეორიულ კონცეფციებს. ამავე დროს ის კაცთა მოდგმის ზნეობრივი ღირებულებების პრიმატს უსვამდა ხაზს: „ომი ღმერთისგან მართული სამყაროს წესრიგის განუყოფელი ნაწილია. ომში ადამიანის კეთილშობილური საწყისები წარმოჩნდებიან პირველ პლანზე – სიმამაცე და თავგანწირვა, მოვალეობისადმი ერთგულება და მსხვერპლის გაღებისათვის მზადყოფნა... ომის გარეშე მსოფლიო მატერიალისტურ წუმპედ გადაიქცევა“.

I მსოფლიო ომში „ადამიანის კეთილშობილური საწყისების წარმოჩენისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგის დამყარების გზა კი ნამდვილად შეიცვალა. ამ ცვლილებების პიონერებად რუსეთი და რუსი ბოლშევიკები იქცნენ. ევროპაში კი ნაციონალური სიამაყის გრძნობამ ჩაანაცვლა მარქსისტული ინტერნაციონალიზმის იდეები, რომლისადმი ერთგულების შენარჩუნებაც რადიკალურად განწყობილი სოციალისტების მხოლოდ მცირე ჯგუფმა შეძლო. ევროპის მუშათა მოძრაობა კი II ინტერნაციონალის დაარსებიდან ყველაზე დიდი განხეთქილების ფაზაში შევიდა. II ინტერნაციონალი I მსოფლიო ომის დაწყებასთან ერთად დაიშალა, როდესაც მასში გაერთიანებულმა ყველა წამყვანმა პარტიამ, ბოლშევიკების გამოკლებით, მხარი თავიანთი ქვეყნების მთავრობებს დაუჭირა.

I მსოფლიო ომთან დამოკიდებულებისა და რუსული სოციალ-დემოკრატიის სტრატეგიის შემუშავება ლენინმა და მისმა თანამებრძოლებმა ჯერ კიდევ ომის საწყის ეტაპზე დაიწყეს. რევოლუციური მარქსიზმი ბოლშევიკებს საერთაშორისო პრინციპებისადმი ერთგულებას ავალდებულებდა. რუსმა ბოლშევიკებმა, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, ომში მონაწილე ყველა ქვეყნის „მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანების“ იდეა წამოაყენეს, რაც პირველ ეტაპზე მსოფლო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევას გულისხმობდა. მსოფლიო ომში საკუთარი ქვეყნის მთავრობების დამარცხება კი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების წინაპირობად დაისახა.

I მსოფლიო ომის დასაწყისში, 1914 წლის სექტემბერში, ბერნში გამართულ ბოლშევიკთა შეხვედრაზე, შემდეგ კი ცეკას ისტორიულ მანიფესტში – „ომი და რუსული სოციალ-დემოკრატია“, რომელსაც საფუძვლად დაედო ლენინის ცნობილი „თეზისები ომის შესახებ“, ბოლშევიკებმა ნათლად ჩამოაყალიბეს თავიანთი პოზიციები და მოქმედების ტაქტიკა ომთან, მშვიდობასთან და რევოლუციასთან მიმართებაში:

1. იმპერიალისტური ომის გადაქცევა სამოქალაქო ომად და საკუთარი ქვეყნის მთავრობის დამხობა;
2. მუშათა ინტერნაციონალური გაერთიანება, შოვინიზმის ნებისმიერი სახის წინააღმდეგ გადამწყვეტი და დაუნდობელი ბრძოლის გამოცხადება, იმპერიალისტური ჩაგვრისაგან კოლონიების ხალხების გათავისუფლება;
3. ევროპის რესპუბლიკური შეერთებული შტატების შექმნა და მისი ერთ-ერთი უახლესი ლოზუნგის – „გერმანული, პოლონური, რუსული და ა.შ. რესპუბლიკების“ პროპაგანდა. ამასთან ერთად, ევროპის თითოეული სახელმწიფოს გადაქცევა ევროპის რესპუბლიკურ შეერთებულ შტატებად“.

უკვე 1915 წელს, I მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, ლენინმა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და სტრატეგიული ინტერესების არეალიც გააფართოვა. ამჯერად მის სამიზნეში არ მხოლოდ ევროპა, არამედ მთელი მსოფლიო აღმოჩნდა – „მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენს ერების სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თავისუფლების იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმთან ვაკავშირებთ, სანამ კომუნიზმის სრული

გამარჯვება არ მიგვიყვანს ყოველგვარი სახის, მათ შორის დემოკრატიული სახელმწიფოს გაქრობამდე. როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, ლოზუნგი „მსოფლიოს შეერთებული შტატები" მართალია იქნება იმიტომ, რომ პირველ რიგში ის სოციალიზმს ერწყმის; მეორე კი ისაა, რომ მან შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ამ ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ სხვა დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებაში."

უმძიმესი და დამღლელი, გამანადგურებელი ომის მესამე წელს რუსი ჯარისკაცისათვის ომიდან რევოლუციური გამოსვლის პერსპექტივა რეალობად იქცა. ომის დამამთავრებელ ეტაპზე კი, ისარგებლა რა მემარცხენეთა გამოსვლებით, ლენინმა III ინტენაციონალის, კომუნისტური ინტერნაციონალის, ანუ „კომინტერნის" შექმნა დაისახა მიზნად, რომლის ამოცანაც მსოფლიოს ყველა სოციალისტური პარტიის გაერთიანება და რევოლუციური მოძრაობის გავრცელება იყო.

„რევოლუციური მოძრაობის გავრცელებისთვის" ბოლშევიკებმა, რუსეთში არსებული საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ოდიოზური და ანტიხალხური ლოზუნგი: „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!"

„კლასთა ბრძოლის", „პროლეტარიატის დიქტატურის", „კომუნისტური ინტერნაციონალიზმისა" და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" თეორიებით შეიარაღებული რუსეთის ბოლშევიკური მთავრობისა და მისი მეთაურის – ლენინის მოწოდებით, 1917 წლის ბოლოს დაიწყო I მსოფლიო ომის თეატრებზე მოქმედი რუსეთის სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ფრონტებიდან მასობრივად მოხსნა და მათი პირადი შემადგენლობის რევოლუციურ რელსებზე გადაყვანა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოწოდებას სამხედრო მეთაურთა ნაწილი არ დაემორჩილა და ბოლშევიკურ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა.

ბოლშევიკური აგრესიის დასაწყისი

კავკასიის ფრონტზე, ისევე როგორც I მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტზე, ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებამ უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო სულისკვეთებასა და მორალურ მდგომარეობაზე. რუსულ ფრონტებზე შეუქცევადი პროცესები წარიმართა – ე.წ. „ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოების" ჩამოყალიბება, გაუთავებელი მიტინგები დ შეკრებები, პირად შემადგენლობაში რევოლუციური პროპაგანდა და ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელება, მასობრივი დაუმორჩილებლობა, ჯარისკაცთა დიდი ნაწილის მიერ ბრძანებების შეუსრულებლობა და საწესდებო ურთიერთობების მოშლა, დეზერტირობა, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ძარცვა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. კავკასიის ფრონტმა დაშლა დაიწყო. მთელი რუსეთი და ამიერკავკასია ქაოსმა მოიცვა.

რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცები მასობრივად, ასობით და ათასობით იხსნებოდნენ ფრონტებიდან და ყველანაირი გზებითა და საშუალებებით ცდილობდნენ რუსეთში დაბრუნებას რევოლუციური მონაპოვრების დაცვის საბაბით. სწორედ ეს ჯარისკაცები წარმოადგენდნენ ბოლშევიკური წითელი გვარდიის ძირითად ბირთვს. ისინი იძულებით, სისხლიანი ბრძოლებით დაადგნენ ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების გზას ქვეყნის ამა თუ იმ ნაწილში.

ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე, საბჭოთა ხელისუფლება „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის" განხორციელების გზაზე შეიარაღებული დაადგა რუსეთის იმპერიის ყოფილი ტერიტორიებისა და ხალხების გასაბჭოების ხანგრძლივ და სისხლიან პროცესს. 1917 წლის ბოლოდან საბჭოთა ხელისუფლება შეიარაღებული გზით სპონტანურად მყარდებოდა ყოფილი იმპერიის სხვადასხვა ნაწილში. ამ პროცესებმა განსაკუთრებული სიმწვავით იმპერიის განაპირა მხარეებში იჩინა თავი, სადაც XX საუკუნიდან დაწყებულმა იდეოლოგიურმა, პოლიტიკურმა, ნაციონალურმა და სოციალურმა დაძაბულობამ სწორედ ამ დროისათვის პიკს მიაღწია. ასე ჩამოყალიბდა ჩრდილოეთ კავკასიაში ყუბანის საბჭოთა რესპუბლიკა დედაქალაქით ეკატერინოდარი (დღევანდელი კრასნოდარი, 1918 წლის 13 აპრილი – 30 მაისი), ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში – შავი ზღვის საბჭოთა რესპუბლიკა. შემდგომში, მათი შეერთებით შეიქმნა ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკა. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ამიერკავკასიაში 1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკურ-დაშნაკური ე.წ. „ბაქოს კომუნის", ხოლო 1919 წლის დასაწყისში ე.წ. „მუღანის" ან „ლენქორანის საბჭოთა რესპუბლიკის" შექმნა. საერთო ჯამში,

ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე 200-მდე ასეთი ფსევდოსახელმწიფოებრივი საბჭოთა წარმონაქმნი გაჩნდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსული არმიების პირადი შემადგენლობისა და კაზაკთა ერთი ნაწილისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ბოლშევიკური იდეოლოგია, კლასთა ბრძოლის თეორია და პროლეტარული რევოლუციის არსი. რუსეთისა და რუსული საზოგადოების ამ ნაწილმა შეურიგებელი ბრძოლა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მთელი რუსეთი, განსაკუთრებით, მისი განაპირა მხარეები, სამოქალაქო ომისა და ქაოსის ღრმა წყვდიადში ჩაიძირა.

საბჭოთა სამხედრო ისტორიოგრაფია – „საბრძოლო მოქმედებების ორგანიზაციისა და წარმართვის პირველი გამოცდილება საბჭოთა რესპუბლიკამ ანტისაბჭოთა გამოსვლებისა და კონტრრევოლუციის კერების ლიკვიდაციის დროს, 1917 წლის დასასრულსა და 1918 წლის დასაწყისში მიიღო. სამხედრო აჯანყებების ჩაქრობა მოკლე დროში ხორციელდებოდა წითელგვარდიელთა რაზმების ენერგიული შეტევებით, აგრეთვე აჯანყებულებში ბოლშევიკი აგიტატორების შეგზავნით, რომლებიც რეაქციონერების მიერ მოტყუებულ ჯარისკაცებს და მშრომელ კაზაკობას უხსნიდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჭეშმარიტ მიზნებსა და ამოცანებს“.

ოქტომბრის რევოლუციიდან სულ მალე ლენინმა ძველი არმიის დემობილიზაციისა და მუშათა და გლეხთა ახალი, წითელი არმიის შექმნის ბრძანება გასცა, რომელიც მოკლე ხანში ეფექტურ სამხედრო მანქანად იქცა. მოგვიანებით ლენინი, ტროცკის, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისრის შესახებ აღნიშნავდა: „მაჩვენეთ მეორე კაცი, ვინც რეალურად შეძლებდა ერთ წელიწადში შეექმნა ისეთი არმიის მოდელი, რომელიც ახალი არმიის პირადი შემადგენლობისა და ამავე დროს, ძველი სამხედრო სპეციალისტების პატივისცემას მოიპოვებდა“.

ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ მცირე ხანში, მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდიის შემდეგ, ბოლშევიკები აქტიურ მოქმედებებზე გადავიდნენ. 1918 წლის 7 მარტს რკპ(ბ) VII საგანგებო ყრილობაზე გამოსვლისას ლენინი ცეკას მიერ ჩატარებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ პოლიტიკური ანგარიშით წარსდგა: „რადგან ჩვენი რევოლუცია მოხდა ამ ბედნიერ მომენტში, როდესაც მტაცებელთა გიგანტურმა ჯგუფებმა ვერ შეძლეს ვერც დაუყოვნებლივ დასხმოდნენ ერთმანეთს თავს და ვერც ჩვენს წინააღმდეგ მოახერხეს გაერთიანება. მხოლოდ ამ საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური მომენტით შეეძლო ესარგებლა, და ისარგებლა კიდეც, ჩვენმა რევოლუციამ რათა განეხორციელებინა თავისი ბრწყინვალე ტრიუმფალური სვლა ევროპულ რუსეთში, გავრცელებულიყო ფინეთში. დაიწყოს რუმინეთის, კავკასიის დაპყრობა.“

რუსეთის იმპერიის ყოფილი შემადგენელი ნაწილი – სოხუმის ოკრუგი და აფხაზეთი, და ზოგადად, საქართველო, ერთ-ერთი პირველი რეგიონთაგანი იყო ამიერკავკასიაში, რომელმაც კრემლის მესვეურებსა და „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ იდეოლოგებს თავიდანვე აღუძრა გაზრდილი მადა. აფხაზეთი, როგორც ფრონტისპირა რეგიონი, უმალ აღმოჩნდა ბოლშევიკური დარტყმის ქვეშ.

საბჭოთა და რუსულ ისტორიოგრაფიაში აფხაზეთის რეგიონისა და ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიის შესახებ დამკვიდრებული იდეოლოგიურ-პოლიტიკური შეფასება, 1918-1921 წლებში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური პროცესები და ამ საკითხთან საქართველოს მიმართება დაახლოებით ასეთი სქემით არის წარმოდგენილი:

„მიუხედავად იმისა, რომ ქართული რესპუბლიკის „მამები“ – ნოე ჟორდანია, გიორგაძე, გეგეჭკორი, რამიშვილი მუდმივად ლაპარაკობდნენ რუსული კოლონიური უღლიდან საქართველოს გათავისუფლების შესახებ, თვითონ საქართველო 1918-1921 წლებში, არა ეროვნული სახელმწიფო, არამედ მინი-იმპერია იყო, რომელმაც დაიპყრო და ცდილობდა შეენარჩუნებინა ის ოლქები, სადაც ეთნიკური ქართველები ძალიან მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ. ძირძველი მოსახლეობა კი სურვილს გამოთქვამდა ყოფილიყო რუსეთთან, სომხეთთან და თურქეთთან.

საქართველომ თავისი უფლებები განაცხადა ადლერსა და სოჭზე და, ისარგებლა რა 1918 წლის ქაოსით, მოახდინა შავიზღვისპირეთის გუბერნიის მთელი სამხრეთი ნაწილის ოკუპაცია, სადაც არც მანამდე და არც შემდეგ, არავითარი ქართული მოსახლეობა არ ცხოვრობდა (ჩერქეზებისა და აბაზგების ეს მშობლიური მხარე, მათი თურქეთში წასვლის შემდეგ დასახლებულ იქნა რუსებითა და სომხებით). როდესაც 1919 წლის იანვარში, ქართველთაგან ჩაგვრის გამო,

აღსდგა სოჭის სომხური მოსახლეობა, მოხალისეთა ნაწილებმა დაიკავეს ოლქი და გავიდნენ შავიზღვისპირეთის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის საზღვარზე — მდინარე ბზიფამდე.“

ამ სტრიქონების ავტორი რუსი მეცნიერი ანდრეი ზუბოვია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი. როგორც ვხედავთ, პროფესორი ანდრეი ზუბოვი, თავისი დიდი სეხნიის, ცნობილი საბჭოთა დისიდენტის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის „ნაცმენური“ იდეოლოგიის ერთგული გამგრძელებელია, რომელმაც ამ სამიოდე ათწლეულის უკან პირველად ამცნო კაცობრიობას, რომ საქართველო „მცირე იმპერიაა“. ავტორი, ცხადია, არაფერს ამბობს აფხაზეთსა და ზოგადად, ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მუჰაჯირობის პროცესზე, მიზეზებსა და შედეგებზე. არაფერს ამბობს ის აღნიშნული რეგიონის არც მუჰაჯირობამდელ ისტორიაზე და არც ბოლშევიკურ აგრესიაზე, ე.წ. „მოხალისეთა არმიის“ მიერ აფხაზეთის ნაწილის ოკუპაციამდელ ამბებზე. ხოლო რუსეთის იმპერიის მიერ XIX საუკუნის განმაელობაში კავკასიაში ჩატარებული სისხლიანი დაპყრობითი ომებისა და კავკასიელი ხალხების წინააღმდეგ მოწყობილი გენოციდის შედეგად თურქეთში მათ გადასახლებას — ე.წ. „მუჰაჯირობას“, იგი მეტად მოხერხებული ფრაზით — „თურქეთში მათი გასვლით“ — ნიღბავს.

ისტორიის ამ ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, ცხადია, მოცემულ ფორმატში მეცნიერული დისკუსიის გამართვას არ ვაპირებთ, რადგან ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტებისა და სხვა უტყუარი მასალების წარმოდგენით თავისთავად გავშლით თემას და ნათლად დავხატავთ რეგიონში მიმდინარე რეალურ სამხედრო-პოლიტიკურ სურათს.

1918 წლის 16 თებერვლისათვის, ისარგებლა რა ამიერკავკასიის სამხრეთში ოსმალური შენაერთების შემოჭრით, საერთო ქაოსითა და ამიერკავკასიის მთავრობის შეიარაღებული ძალების სისუსტით, რუსი ბოლშევიკების სამხედრო დახმარებით აფხაზეთის ბოლშევიკთა ე.წ. „სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა“ ეფრემ ეშბას ხელმძღვანელობით სოხუმში ხელისუფლების სადავეები იგდო ხელთ. „რევკომის“ სამხედრო ძალა — შავი ზღვის ფლოტის რევოლუციურად განწყობილი მეზღვაურები კრეისერ „დაკიიდან“ და სატორპედო კატარღა „დერზკიდან“ თავიანთი მხეცობებით შიშსა და ტერორს თესავდნენ აფხაზეთის მოსახლეობაში.

ამავე პერიოდში იწყება რუს ბოლშევიკთა მიერ პროვოცირებული და მხარდაჭერილი ანტისამთავრობო შეიარაღებული გამოსვლები სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. მოგვიანებით იგივე პროცესები ცხინვალის რეგიონსა და დუშეთის მაზრაშიც დაიწყო. მაგრამ 4-9 მარტს სოხუმში გამართულ გლეხთა II ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარების საფუძველზე სოხუმის ოლქსა და აფხაზეთში ბოლშევიკთა თარეშის აღკვეთა და მდგომარეობის დასტაბილურება დროებით მოხერხდა.

ამიერკავკასიასა და საქართველოში პოლიტიკური სტაბილიზაციის შენარჩუნება კრემლის გეგმებში არ შედიოდა. გაზაფხულზე ბოლშევიკებმა მორიგი ამბოხის პროვოცირება კვლავ შეძლეს. 1918 წლის 8 აპრილს ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილმა აფხაზმა ბოლშევიკებმა ადგილობრივი გლეხების ნაწილი ამიერკავკასიის სეიმის წინააღმდეგ აიჯანყეს (ამიერკავკასიის, და არა საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ!). სოხუმში საბჭოთა ხელისუფლება ისევ გამოცხადდა.

ამ ვითარებაში აფხაზეთის ეროვნული საბჭოსა და ქალაქ სოხუმის მმართველობის წარმომადგენლობითმა დელეგაციამ ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართული შენაერთის მეთაურს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დახმარება სთხოვა. გენერალი მაზნიაშვილი: „აპრილის შუა რიცხვებში, როდესაც რაზმის შტაბი ჯერ კიდევ ნატანებში იყო, ჩემთან მოვიდა დეპუტაცია სოხუმიდან: დეპუტაციაში შედიოდა ქალაქის მოურავი და აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სამი წევრი. დეპუტაციამ თხოვნით მომმართა, გამეწმინდა ბოლშევიკებისაგან როგორც სოხუმი, ისე მთელი აფხაზეთი.“

იგივე თხოვნის საფუძველზე, ამიერკავკასიის სეიმის საგანგებო სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, აფხაზეთის მიმართულებაზე „სოხუმის ოლქში წესრიგის აღდგენის“ მიზნით გაგზავნილიყო სეიმის სამხედრო ძალა — წითელი (მოგვიანებით სახალხო) გვარდია. ანარქიის მოსპობის, წესრიგის დამყარებისა და სტაბილიზაციის ოპერაციაზე პასუხისმგებლობა წითელი

გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს, ვლადიმერ (ვალიკო) ჯუღელს დაევალა, რომელიც გვარდიის რაზმებთან ერთად სასწრაფოდ დაიძრა სოხუმისაკენ.

სამოქმედო რაიონი: საბრძოლო ოპერაციის რაიონში შედიოდა აფხაზეთის რეგიონი და ეკატერინოდარის (კრასნოდარი) მხარის შავიზღვისპირა ზოლი. რელიეფი ზღვის სანაპირო ზოლში მდ. ენგურიდან სოხუმამდე, ეაკე და ვაკე-ბორცეიანია, შემდგომ, ტუაფსემდე — მაღალმთიანი. ჩრდილოეთით მრავლადაა მთა-გორიანი და მაღალმთიანი რელიეფი უღელტეხილებითა და გადასასვლელებით. რეგიონი მდიდარია მცენარეული საფრით. ჰაეა რბილი, სუბტროპიკულია, ნალექების რაოდენობა დიდია. რეგიონი მდიდარია მდინარეებით, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედიდან იწყება, მთლიანად კეეთს აფხაზეთს და შავ ზღვაში ჩაედინება. მნიშვნელოვანი მდინარეებია ღალიძგა, კოდორი, კელასური, გუმისთა, ბზიფი, ფსოუ, მზიმთა, რომლებიც გაზაფხულის წყალუხვობით გამოირჩევიან. დინების სიჩქარე, განსაკუთრებით, მდინარეების ზემოწელში, დიდია. განსაკუთრებით წყალუხვი მდინარეებია კოდორი და ბზიფი. ეს ართულებს მათი ფორსირების პროცესს და ზღუდავს ჯარების (განსაკუთრებით, არტილერიისა და კავალერიის) მანევრირების შესაძლებლობას.

ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის რელიეფი და ლანდშაფტი ჯარების დიდი მასების, არტილერიისა და კავალერიის გადაადგილებას ზღუდავს. რთულია ქვედანაყოფების მოქმედების სამანევრო სივრცე და ფართო მასშტაბით მათი გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ ხელსაყრელია მცირე რაზმებითა და ჯგუფებით ფარულად გადაადგილება, მოულოდნელობის ეფექტი სარეიდო და ჩასაფრების ოპერაციების ჩატარებისას. საკომუნიკაციო ხაზები შეზღუდულია, რაც მთიან რეგიონში ლოსისტიკურ მომარაგებას ნაწილობრივ ართულებს. შესაძლებელია საზღვაო დესანტის გადასხმა.

ამიერკავკასიის წითელი გვარდია და საბრძოლო მოქმედებები

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა შეიქმნა. 16 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციის წითელი გვარდიის რაზმები მდინარე კოდორს მიადგნენ. ვალიკო ჯუღელმა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი რუსი ბოლშევიკებისაგან მხარდაჭერილ აფხაზ ბოლშევიკებს ულტიმატუმი წაუყენა იარაღის დაყრისა და დანებების შესახებ, რაზეც აფხაზმა ბოლშევიკებმა საარტილერიო ცეცხლით უპასუხეს.

გვარდიელებმა მძაფრი და ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ კოდორის ხიდი დაიკავეს და მოწინააღმდეგე უკუაქციეს.

ვალიკო ჯუღელი: „ბოლშევიკებს ჩვენს ფრონტზე დიდი ძალები ჰყავთ თავმოყრილი. მათ დაახლოებით 10 ქვემეხი, უამრავი ტყვიამფრქვევი და 2000-კაცამდე ჰყავთ. მაგრამ მათი არ გვეშინია: ჩვენი მცირე რაზმი გააცამტვერებს ამ მეომარ ბანდას. 17 მაისი... ჩვენ უკვე ადგილზე ვართ, გადავირბინეთ ხიდი და შევუტიეთ მოწინააღმდეგის სანგრებს. ისინი თითქმის მთლიანად დაცლილია. დარჩენილ მებრძოლებს საცოდავი, შეშინებული სახეები აქვთ. ჩვენები მათ ანიარაღებენ და თავზე აბიჯებენ, მაგრამ მათზე არ ძალადობენ. ენერგიულად ვდევთ მოწინააღმდეგეს. ვიყენთ ტყვეებს. ხელში ჩავიგდეთ ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და სასურსათო საწყობები. დიდი წარმატებაა. ჩვენ მხოლოდ 7 მსუბუქად დაჭრილი გვყავს“.

გვარდიელებმა, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, მათთვის დასახულ საბრძოლო ამოცანას წარმატებით გაართვეს თავი — უმცირესი საბრძოლო დანაკარგებით მდ. კოდორის ფორსირების შემდეგ ტყვეები აიყვანეს და დიდძალი საბრძოლო ალაფიც მოინადავლეს. შეტევითი მოქმედებების ტემპი და სიღრმე ძალიან მაღალი იყო.

1918 წლის 17 მაისს გვარდიელებმა სოხუმიც გაათავისუფლეს და მოწინააღმდეგის დევნა გააგრძელეს. სწრაფად განვითარებული შეტევის წყალობით გვარდიის ნაწილები ახალ ათონსა და გუდაუთაში შევიდნენ. მოეწყო თავდაცვითი პოზიციები. წითლებმა ადგილზე დატოვეს 11 ზარბაზანი, 21 ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობის ტყვია-წამალი. გუდაუთასთან დააკავეს წითლების ხომალდი.

ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება

1918 წლის მაისის ბოლოს ამიერკავკასიის სამხედრო-პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში მიმდინარე ოსმალური სამხედრო ოკუპაციის ფონზე, 1918 წლის 26 მაისს საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა

და ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკა დაიშალა. საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და გერმანული პროტექტორატით აღიჭურვა. ივნისის დასაწყისიდან აქ გერმანულმა ქვედანაყოფებმა დაიწყეს შემოსვლა. აფხაზეთის რეგიონსა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულმა არასტაბილურმა სამხედრო-პოლიტიკურმა ვითარებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აიძულა, დამატებითი ღონისძიებები გაეტარებინა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აფხაზეთში ლეგიტიმური ხელისუფლების დასამყარებლად.

„შეტყობინება სოხუმიდან, 1918 წლის 2 ივნისი. ათონის კომისართა საბჭომ, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, გამოაცხადა სოხუმის ოკრუგი დამოუკიდებელ ერთეულად. აფხაზური საბჭო მხარს უჭერს საქართველოს რეპუბლიკის მთავრობას.

დაადგინეს: დატოვებულ იქნას რაზმი სოხუმში და აფხაზთა ეროვნულ საბჭოსთან კონტაქტში გაგრძელდეს მუშაობა.“

1918 წლის 11 ივნისს ოფიციალურად მოეწერა ხელი ხელშეკრულებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და „აფხაზთა ეროვნულ საბჭოს“ შორის, რომლის თანახმადაც საქართველოს მთავრობისადმი აფხაზთა სახალხო საბჭოს წარდგინებით აფხაზეთის საქმეთა მინისტრი დაინიშნებოდა, ხოლო ცენტრალური ხელისუფლება, ანუ საქართველოს მთავრობა ვალდებულებას აიღებდა, „აფხაზთა სახალხო საბჭოს“ მიერ ჩამოსაყალიბებელი ინტერნაციონალური რაზმისათვის საჭირო აღჭურვილობა და ფული გამოეყო.

11 ივნისის ხელშეკრულებას არ შეიძლება კრემლის მესვეურთა გაღიზიანება და პოლიტიკური სიტუაციის მორიგი გამწვავება არ გამოეწვია. კვლავ გაჩნდა ბოლშევიკური რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ოკუპაციის საფრთხე. ასეთ ვითარებაში „აფხაზთა სახალხო საბჭომ“ თხოვნით მიმართა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წითელ გვარდიას, აფხაზეთისთვის დახმარება აღმოეჩინა. წითელი გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე შესაბამისი დადგენილება გამოიტანეს. გვარდიის მთავარი შტაბის დადგენილებითა და რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის, გრიგოლ გიორგაძის ბრძანებით, აფხაზეთის რეგიონში რეგულარული ნაწილების გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს.

ამონაწერი გვარდიის მთავარი შტაბის 16 ივნისის სხდომის ოქმიდან: „მოისმინეს საქმეთა ვითარება სოხუმის ოკრუგში. მდგომარეობა რთულდება. მიმდინარეობს პროვოკაციები. მოწინააღმდეგის ძალები იზრდება. ჩვენი ძალები 200 კაცია, რომელთა შეცვლაც აუცილებელია. რაც შეეხება აფხაზთა ცხენოსან ასეულს, ისინი ბოლომდე სანდონი არ არიან. საჭიროა იქ გაიგზავნოს სამხედრო ნაწილი წითელგვარდიელთა შესაცვლელად. საჭირო არის ფული.

დაადგინეს: შეტყობინებულ იქნას სამხედრო მინისტრს სოხუმის ოკრუგში მდგომარეობის შესახებ. მოხსენების შედგენა დაევალოთ ამხ. შათირიშვილსა და ხარაშს. მიეცეს წინადადება სამხედრო მინისტრს, წითელგვარდიელთა მაგივრად გაგზავნილ იქნას საჯარისო ნაწილები.“

საბრძოლო მოქმედებების შემდგომი ესკალაცია: თავის მხრივ, აფხაზმა ბოლშევიკებმა დახმარებისთვის კვლავ ჩრდილოეთ კავკასიის საბჭოთა ხელისუფლებას მიმართეს და მიიღეს კიდეც კარგად შეიარაღებული 2000-კაციანი შევსება ავტომანქანებით. ამ დროისათვის გვარდიის ძირითადი ნაწილები ბოლშევიკური აჯანყების ჩასაქრობად დუშეთში იყო გადასროლილი და გუდაუთაში მხოლოდ 150-კაციანი გარნიზონი იდგა.

16 ივნისს ბოლშევიკებმა გვარდიის რაზმს ალყა შემოარტყეს და სროლა აუტეხეს. ორი დღის ბრძოლების შემდეგ გვარდიელები იძულებული გახდნენ, ალყა გაერღვიათ და უკან დაეხიათ. ნაწილი ტყვედ ჩავარდა. სოხუმს საშიშროება შეექმნა. საჭირო გახდა რადიკალური ზომების გატარება.

წითელი გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმი, 1918 წლის 17 ივნისი:

„ესწრებოდნენ: ამხ. ნ. ჟორდანია, წერეთელი, გიორგაძე და გ. მახარაძე;

თავმჯდომარე: მაისურაძე;

მდივანი: აუშტროვი;

მოისმინეს: სოხუმიდან შეტყობინება — მიმდინარეობს ბრძოლები გუდაუთაში. ჩვენი რაზმი ალყაშია მოქცეული. ბოლშევიკები დიდი ძალებით გვიტევენ. მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკული და მძიმეა. გადაუდებელია დაუყოვნებლივი დახმარება, როგორც ხალხით, ასევე აღჭურვილობით.

დაადგინეს: მიეცეს წინადადება სამხედრო მინისტრს უბრძანოს გენერალ მაზნიევს ორგანიზება გაუკეთოს სამხედრო ექსპედიციას სოხუმის ოკრუგში იქ არსებული ანარქიის საბოლოო ლიკვიდაციისათვის. გაიგზავნოს სოხუმში თბილისიდან 100 წითელგვარდიელი".

1918 წლის 18 ივნისს საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მაზნიაშვილი აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავიზღვისპირეთის ჯარების სარდლად დაინიშნა. გ. მაზნიაშვილი: „16 ივნისს კვლავ მოვიდნენ ჩემთან აფხაზეთის ეროვნული საბჭოს დელეგატები (დელეგატთა შორის ქალაქის მოურავი აღარ იყო) და მთხოვეს მეშველა მათთვის, რადგან ბოლშევიკები მეორედ შემოიჭრნენ აფხაზეთში. დელეგატები კვლავ მთავრობასთან გავაგზავნე. ორი დღის შემდეგ, 18 ივნისს სამხედრო მინისტრისაგან მივიღე დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მე ვინიშნები აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად და შავი ზღვის ნაპირების ჯარის უფროსად".

20 ივნისიდან მაზნიაშვილის სარდლობით ახლად ფორმირებული ქართული რეგულარული ჯარის ნაწილები აფხაზურ კავალერიასთან ერთად შეტევაზე გადავიდნენ და ბოლშევიკებისგან გაათავისუფლეს ახალი ათონი, 22 ივნისს — გუდაუთა, 28 ივნისს — გაგრა.

სახმელეთო ოპერაციებთან ერთად საბრძოლო მოქმედებებში მცურავი საშუალებებიც ჩაერთო — 3 კატარღა და ქვემეზებით აღჭურვილი სატრანსპორტო გემი „წმინდა მიხეილი". „წმინდა მიხეილი" სოხუმთან მოულოდნელად გამოჩნდა და საარტილერიო ცეცხლით მწყობრიდან გამოიყვანა წითლების ქვემეხი, ააფეთქა ჭურვების საწყობი, რითაც დიდი პანიკა გამოიწვია მოწინააღმდეგის ბანაკში. ქართული სამხედრო ფლოტის ხომალდებმა დავალებას კარგად გაართვეს თავი და აფხაზეთზე ბოლშევიკური თავდასხმის მოგერიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. დასახული ამოცანა — ზღვიდან სახმელეთო ქვედანაყოფებისთვის საარტილერიო ცეცხლით მხარდაჭერა — წარმატებით შესრულდა.

ახალ ათონთან გამართულ ბრძოლებში ქართული ხომალდები ისევე კარგად გამოიყენებოდა როგორც სადესანტო, სადაზვერვო და მხარდამჭერი ოპერაციების ჩასატარებლად, ისე საბრძოლო მასალებისა და სურსათის გადასატანად, ფრონტზე შემცვლელი ნაწილების ჩასაყვანად და სხვა.

მიუხედავად წარმატებული სამხედრო ოპერაციისა, აფხაზეთში საერთო მდგომარეობა და სოციალურ-ეკონომიკური ფონი ძალიან მძიმე იყო. ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ ბოლშევიკებს შავიზღვისპირეთის რეგიონი ფაქტობრივად ბლოკირებული ჰქონდათ, რის გამოც მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში იყო. სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, 1918 წლის 24 ივნისს აფხაზთა ეროვნულმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს არსებული პრობლემის გადაჭრაში დახმარებოდნენ.

„აფხაზთა სახალხო საბჭოს დადგენილება სოჭისა და ტუაფსეს ოლქების დაკავების შესახებ. 1918 წლის 24 ივნისი.

აფხაზთა ეროვნულმა საბჭომ, შეაფასა რა შექმნილი პოლიტიკური მომენტი და მხედველობაში მიიღო ის, რომ ბოლშევიკური ანარქია, რომელიც უკვე სამი თვეა რაც ფლეთს აფხაზეთს, საზრდოობს სოჭისა და ტუაფსეს ოლქებიდან. ბოლშევიკური განწყობები შეიქმნა და მხარდაჭერილია სასურსათო კრიზისის ნიადაგზე, რაც გამოწვეულია ბოლშევიკთა მიერ ტუაფსეს დაკავებით, რითაც გაწყვეტილ იქნა კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთან და აღარ ხდება სასურსათო ტვირთების გამოტარება ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთსა და საქართველოსაკენ. სრული წესრიგის აღდგენისათვის, როგორ აფხაზეთში, ასევე საქართველოში და სასურსათო კრიზისის აღმოფხვრის მიზნით, გადაუდებლად ჩაითვალოს სოჭისა და ტუაფსეს ოლქების დაკავება ტუაფსეს პორტის ჩათვლით. დადგენილების შესახებ ეცნობოს საქართველოს დემოკრატიული რესპულიკის მთავრობას და ქართული მხარის სარდალს, გენერალ-მაიორ მაზნიევს.

აფხაზთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. შერვაშიძე".

აღნიშნული რეგიონი ოდითგანვე წარმოადგენდა ამა თუ იმ ფორმით არსებული ქართული სახელმწიფოს ისტორიულ ნაწილს. მაგრამ მცდარია ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული მოსაზრება, რომ ქართული შეიარაღებული ძალების მიერ საბრძოლო აქტივობის გადატანა სოჭი-ტუაფსეს მიმართულებაზე მხოლოდ ამ ტერიტორიებზე მოსახლე ქართველების დაცვის მიზნით მოხდა და იგი ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთის საქართველოსთან

ერთიანობის მხოლოდ ისტორიული, მემკვიდრეობითი და ეთნოკულტურული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. ასეთი გადაწყვეტილების მყარ საფუძველს აფხაზთა ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული დადგენილება და საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი თხოვნა წარმოადგენდა ქართული ქვედანაყოფების მიერ სოჭი-ტუაფსეს ოლქის დაკავებისა და ბოლშევიკთა მიერ ორგანიზებული სასურსათო-ეკონომიკური ბლოკადის ლიკვიდაციის შესახებ და არა მხოლოდ სოჭი-ტუაფსეს ოლქის ტერიტორიების საქართველოსთვის ისტორიული კუთვნილების ფაქტი.

აფხაზთა ეროვნული საბჭოს თხოვნისა და თბილისიდან მიღებული ბრძანების შესაბამისად, ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, გენერალ მაზნიაშვილს შავიზღვისპირეთზე შეტევა და სოჭის აღება დაევალა. მიუხედავად ქართული ჯარის სიმცირისა, „ძლიერი შეტევითი ხასიათი" სოჭის მიმართულებით წამოწყებულ ბრძოლებს აღარ ჰქონია. მასში ძირითადად სახმელეთო ნაწილების მეწინავე ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ. ამიტომ ქვედანაყოფების „გადაჯგუფება-გადმოჯგუფების" აუცილებლობა არ ყოფილა.

ამ პროცესების მიმდინარეობის ფონზე საქართველოს შავიზღვისპირეთში შექმნილი საერთო სამხედრო-პოლიტიკური ქაოსით ოსმალურმა მხარემ ისარგებლა და ოსმალური ფაქტორის გასაძლიერებლად ოჩამჩირისა და გუდაუთის ზონაში დესანტი გადმოსხა, მაგრამ მათი შემდგომი მოქმედებები წარუმატებელი აღმოჩნდა. სანაპირო ზოლში პატრულირებისას „წმინდა მიხეილს" ოჩამჩირესთან და გუდაუთასთან თურქების დესანტი აღმოუჩენია და ხელთ უგდია ერთ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების შაშხანები და ვაზნები. საქართველოს მთავრობამ ბრძოლებში მოპოვებული წარმატებებისათვის პირადი შემადგენლობა წაახალისა, ოფიცრებს კი სამხედრო წოდებები მოუმატა.

28 ივნისს ქართულმა ქვედანაყოფებმა ბრძოლებით აიღეს გაგრა, გადალახეს მდინარე მეხადირი, შევიდნენ პილენკოვოში (დღევანდელი განთიადი) და მდინარე ფსოუს მიადგნენ. 3 ივლისს ქართულმა ქვედანაყოფებმა ადლერი გაათავისუფლეს, სადაც მოწინააღმდეგემ 400 მებრძოლი დაკარგა, ხოლო 5 ივლისს – დასახლებული პუნქტი ხოსტა. მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგემ ხოსტასთან ძალების გადაჯგუფება მოახერხა და ახალ ძალებს მოუყარა თავი, გენერალმა მაზნიაშვილმა სოჭზე შეტეევა 6000-იანი შენაერთით მაინც გადაწყვიტა.

ქართულმა კატარღებმა დაზვერვითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ სოჭის მისადგომებთან მოწინააღმდეგეს ცეცხლი გაუხსნეს. სატრანსპორტო გემმა „წმინდა მიხეილმა" „დერზკის" თანხლებით მოწინააღმდეგის ფლანგს შემოუარა და წითლების ხუთი შორსმსროლელი ქვემეხისგან შემდგარ ბატარეასთან ბრძოლაში ჩაება. „წმინდა მიხეილმა" რამდენიმე ქვემეხი მწყობრიდან გამოიყვანა და მოწინააღმდეგის რიგებში დიდი პანიკა გამოიწვია. ამის შემდეგ ქართული ჯარის ნაწილებმა წარმატებას უკვე ადვილად მიაღწიეს და 6 ივლისს სოჭში შევიდნენ.

სოჭის აღების შემდეგ შეტევითი ოპერაცია ტუაფსეს მიმართულებით დაიწყო და, მიუხედავად ხმელეთიდან ბოლშევიკთა ინტენსიური საარტილერიო ცეცხლისა, მაზნიაშვილის მხარდამჭერი ადგილობრივი და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული კაზაკებისაგან შემდგარი რაზმის დესანტირება, ქალაქის კომუნიკაციების ბლოკირებისა და ხიდების მწყობრიდან გამოყვანის მიზნით, წარმატებით შესრულდა. დამატებით, არხიპოოსიპოვკასთან გამოიყენეს ქართული დესანტის გადასხმის იმიტაციაც. ამით ტუაფსესთან გამაგრებული წითლების რაზმის ნაწილი მიიზიდეს. ღამით სატრანსპორტო გემი „წმინდა მიხეილი" უხმაუროდ მიადგა ნაპირზე განლაგებულ მოწინააღმდეგის ქვემეხებს და ცეცხლი გაუხსნა მათ, შემდეგ კი ნოვოროსიისკის შუქურასთან მოწყობილი წითლების ბატარეა დაბომბა.

მომქანცველი ბრძოლების შემდეგ, 1918 წლის 26 ივლისს ქართული ქვედანაყოფები ტუაფსეში შევიდნენ. ქალაქის გენერალ-გუბერნატორად გაგრის ფრონტის სარდალი, გენერალი ტარას ვაშაკიძე დაინიშნა. ქართულმა ჯარმა წითლებს ტუაფსეს ნავსადგურიც დაატოვებინა, სადაც სხვადასხვა სახეობის 28 ხომალდი იდგა. ისინი ფოთის სავაჭრო ნავსადგურსა და სამხედრო ფლოტში გადანაწილდნენ. 27 ივლისს, გენერალმა მაზნიაშვილმა რესპუბლიკის სამხედრო მინისტრს, გრიგოლ გიორგაძეს შემდეგი შინაარსის ტელეგრამა გაუგზავნა:

„გატყობინებთ, რომ 12-საათიანი მძიმე ბრძოლების შემდეგ, 26 ივლისის 20 საათზე ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარები ტუაფსეში შევიდნენ. მიწინააღმდეგე გაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. თითოეული სიმაღლის აღება ბრძოლებით გვიხდებოდა. ავიყვანეთ მრავალი ტყვე, 4

ქვემეხი, 12 ტყვიამფრქვევი, საბრძოლო მასალების დიდი რაოდენობა, სხვადასხვა ტიპის ხომალდი, ავტომობილები, 5 ორთქლმავალი ვაგონებით და დიდი საინტენდანტო ქონება".

ტუაფსესთან გამართული ბრძოლების შემდეგ ფლოტი სახალხო გვარდიასაც დაეხმარა ოჩამჩირის რაიონში მოთარეშე წითლების რაზმის განადგურებაშიც. აქ ვითარება იმდენად საგანგაში იყო, რომ აფხაზთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ვარლამ შარვაშიძე იძულებული გახდა, საქართველოს სამხედრო მინისტრისათვის ოფიციალური თხოვნით მიემართა: „სამურზაყანოს უბანზე არსებული ანარქიის გამო აფხაზთა ეროვნული საბჭო თხოვნით მიმართავს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რათა დახმარებისა და სამურზაყანოში წესრიგის აღსადგენად გამოგზავნილ იქნას რაზმი." აფხაზთა ეროვნული საბჭოს იმავე შინაარსის თხოვნა გენერალ მაზნიაშვილსაც გაეგზავნა.

ერთი კვირის შემდეგ სამხედრო მინისტრმა გრიგოლ გიორგაძემ გენერალ მაზნიაშვილისაგან მეორე ტელეგრამაც მიიღო: „მტრისათვის წინმსწრები დარტყმის მიყენების მიზნით, რომელიც სადგურ ბელორეჩენსკაიასთან იყო თავმოყრილი, ჩემდამი დაქვემდებარებული ჯარები 4 აგვისტოს 13 საათზე შეტევაზე გადავიდნენ და გაფანტეს მტრის მეწინავე რაზმები, რომლებიც ტუაფსედან 6 ვერსზე იყვნენ გამაგრებულნი. შეტევის მსვლელობისას ჩვენი ჯარები მტრის ძირითად ძალებს შეხვდნენ — მიხეილისა და მაიკოპის პოლკებს, საერთო რიცხვით 4 ათასი კაცი, ანტონოვის მეთაურობით. ამ ჯარებს ჰქონდათ სამი ზარბაზანი, ჯავშანმატარებელი დასახელებით „თავისუფლებისათვის მებრძოლი №2" და მრავალი ტყვიამფრქვევი. ბრძოლა სოფ. გრეშესკოდან ოთხ ვერსზე დაიწყო. ექვსსაათიანი გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ანტონოვის ჯარებმა მარცხი განიცადეს და დაიფანტნენ. ბოლშევიკებმა ასეულობით მებრძოლი დაკარგეს მოკლულებისა და დაჭრილების სახით. ჯავშანმატარებელი განადგურებულია, ორთქლმავალი — დამწვარი. მატარებლის მთელი პირადი შემადგენლობა დაკავებულია, მოპოვებულია ოცი ზარბაზანი, 30 ტყვიამფრქვევი, ვაზნების დიდი რაოდენობა, ყუმბარები და შაშხანები. ხელში ჩავიგდეთ გამართული საველე სამზარეულო, მატარებლის მთელი შემადგენლობა, თხრილების ამოსათხრელი მანქანები, ფქვილი, კონსერვები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ცხვრის ფარა, მატარებლების ოთხი შემადგენლობა. მტრის საბოლოო განადგურების მიზნით დადევნებულებმა 4 აგვისტოს 20 საათზე ავიღეთ სადგური კრივენკოვსკაია, 5 კილომეტრზე წავიწიეთ წინ და მოცემულ მომენტში იქა ვართ გამაგრებულები."

ტაქტიკური ანალიზი: სოხუმი-სოჭი-ტუაფსეს ბოლშევიკთაგან გაწმენდის ოპერაცია დიდი წარმატებით შესრულდა. ქართულმა მხარემ საბრძოლო მოქმედებათა წარმართვის კარგი გამოცდილება მიიღო. შეტევითი ოპერაციის ტემპები და სიღრმე ძალიან მაღალი იყო, ჯარების მართვა — ეფექტური. მოწინააღმდეგე მხარის საბრძოლო დანაკარგები, როგორც ცოცხალ ძალაში, ასევე საბრძოლო მასალებსა და სხვა საშუალებებში დიდი იყო. ქართული მხარისა — მინიმალური.

ქართული მხარის მიერ შეტევითი ოპერაციის დაგეგმვისა და აღსრულების საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღვაო ფლოტის გამოყენება და სახმელეთო ძალებთან მათი ორგანიზებული ურთიერთქმედება. ამ მხრივ ცალკე გამოყოფის ღირსია მცირე დესანტირების ოპერაციის წარმატებით ჩატარება, ასევე ოსმალური სადესანტოო რაზმის გაუვნებელყოფა.

კატარღებისა და სატრანსპორტო გემის — „წმინდა მიხეილი" — ეფექტურმა გამოყენებამ, ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მოწინააღმდეგის მოქმედებების სამანევრო სივრცე შეზღუდა, დიდი ზარალი მიაყენა მის სანაპირო არტილერიასა და საცეცხლე მხარდაჭერით ქართული ქვედანაყოფების წინსვლა უზრუნველყო.

გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით კარგად დაგეგმილი და წარმატებით ჩატარებული შეტევითი ოპერაციის შედეგად ბოლშეიკური აგრესიის საფრთხე აღიკვეთა, ქართულმა სახელმწიფომ კი თავისი ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი დაიბრუნა, სადაც მისი დე ფაქტო იურისდიქცია აღსდგა. „ოქროს ხანის" პერიოდის შემდეგ საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსათვის ეს იყო ყველაზე დიდი ტერიტორიული შენაძენი.

გენერალი დენიკინი და „მოხალისეთა არმია"

ქართული ჯარების შეტევას სოჭი-ტუაფსეს მიმართულებით ე.წ. „ყუბანის თეთრი მთავრობა" მიესალმა. მისი წარმომადგენელი ლაპინი პირადად ეახლა გენერალ მაზნიაშვილსა და საქართველოს მთავრობის რწმუნებულს სოჭში, გ. ანჯაფარიძეს. ლაპინის მეშვეობით „ყუბანის მთავრობამ" ქართუ-

ლი ჯარის სარდლობას თხოვნით მიმართა, დახმარებოდა მოსალოდნელ ბოლშევიკური აგრესიის აღკვეთაში, საპასუხოდ კი ტუაფსე-მაიკოპის ხაზის დაკავებასა და ამით მაიკოპში დაგროვილი დიდი რაოდენობით მარცვლეულისა და პურის გასატანად პირობების შექმნას სთავაზობდა.

მიუხედავად იმისა, რომ შავიზღვისპირეთში განვითარებული მოვლენების პარალელურად, რუს ბოლშევიკთა მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული გამოსვლები ცხინვალის რეგიონშიც მიმდინარეობდა, იმ ეტაპზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფისთვის პირველხარისხოვან ფრონტად შავიზღვისპირეთი ჩაითვალა. თავისთავად ცხადია, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფორმირების პროცესში მყოფი მცირერიცხოვანი ქართული შეიარაღებული ძალებისათვის ორ განსხვავებულ მიმართულებაზე სრულმასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების წამოწყება ძალების დაქსაქსვასა და მათი წარმატებით შესრულების შესაძლებლობას ეჭვქვეშ დააყენებდა.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, უნომრო. 1918 წლის 24 აგვისტო.

„მონაწილეობდნენ:

ჯუღელი, დგებუაძე, მაისურაძე, საღირაშვილი, აუშტროვი.

მოისმინეს: მომავალი ოპერაციების შესახებ ოსეთსა და შავიზღვისპირეთის მიმართულებაზე.

დაადგინეს: ჩაითვალოს შეუძლებლად ორ მიმართულებაზე ოპერაციების ერთდროული წარმოება, ამიტომ მთელი ძალები გაიგზავნოს შავიზღვისპირეთში. ოსეთთან მიმართებაში ჯერჯერობით აქტიური მოქმედებები არ იქნას წარმოებული და შემოვიფარგლოთ შემდეგით:

შევთავაზოთ მთავრობას ცხინვალში შეყვანილ იქნას 50-60 გერმანელი. შევთავაზოთ გორის შტაბს მოახდინოს 100 სახალხო გვარდიელის მობილიზაცია, რომლებიც დაყენებულნი იქნებიან ცხინვალში. შევთავაზოთ ფრაქციას, პასუხისმგებელი მუშაკის სახით ცხინვალში გაიგზავნოს მ. კლიმიაშვილი.

შავიზღვისპირეთში რაზმებთან ერთად პასუხისმგებელი ხელმძღვანელების სახით გაიგზავნონ ჯუღელი, დგებუაძე, მაისურაძე."

გენერალი მაზნიაშვილი კი ჩრდილოეთ კავკასიაში გალაშქრებას ზედმეტად თვლიდა. მისი აზრით, საკმარისი იყო მდინარე შახზე ძლიერი გამაგრებული თავდაცვითი ხაზის მოწყობა, რითაც მოსალოდნელი ბოლშევიკური აგრესიისაგან სოჭის მიმართულება სრულად იქნებოდა დაცული. ეს მოსაზრება სხვა სიტუაციაში მისაღები შეიძლება ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება — საქართველოში ნავთობისა და პურის ნაკლებობა იყო, მაიკოპის რკინიგზის სადგურში კი ნავთობით დატვირთული ეშელონები იდგა. გარდა ამისა, ე.წ. „ყუბანის მთავრობა" მზად იყო, საქართველოსათვის პური ხელსაყრელ ფასად მიეწოდებინა, თუ მისი შეიარაღებული ძალები წითლებისაგან მაიკოპის განთავისუფლებაში დაეხმარებოდნენ.

მალე თბილისიდანაც მიიღეს ბრძანება, რომ ქართულ ქვედანაყოფებს ხელში აეღოთ ტუაფსე-მაიკოპის რკინიგზის ხაზის კონტროლი და თავისი მოქმედებებით კოორდინაცია მოეხდინათ ყუბანის „თეთრ მთავრობასა" და „მოხალისეთა არმიასთან", რომელიც ამ დროისათვის სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა რუსეთის სამხრეთში მოქმედ წითელი არმიის შენაერთებთან. ტუაფსედან ქართული ნაწილები კავკასიის ქედის გადაღმა, მთის უღელტეხილის გავლით გაემართნენ, რკინიგზისა და გზატკეცილის გასწვრივ.

რა სამხედრო შენაერთი იყო, რას წარმოადგენდა და რა მიზნებს ისახავდა ყუბანი-ეკატერინოდარის რაიონში მოქმედი ე.წ. „მოხალისეთა არმია"?

1917 წლის ზაფხულის ბოლოს რუსეთის არმიის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი, ინფანტერიის გენერალი მიხაილ ალექსეევი დროებითი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებას შეუდგა. მეფის რუსეთის გენერალიტეტის ელიტამ კი, გენერლებმა — კორნილოვმა, ლუკომსკიმ, დენიკინმა, მარკოვმა და სხვებმა, რომლებიც ცარიზმის დამხობის შემდეგ პატიმრობაში იყვნენ, დროებითი მთავრობის რეჟიმის ლოიალურობით ისარგებლეს და თავს გაქცევით უშველეს. ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ისინი, როგორც ბოლშევიკებთან შეურიგებელნი, ანტიბოლშევიკური წინააღმდეგობის ორგანიზებისათვის რუსეთის სამხრეთში, დონი-ყუბანის რაიონში გადავიდნენ. აქვე მოხდა რუსეთის სხვადასხვა რეგიონებიდან და I მსოფლიო ომის მოშლილი რუსული ფრონტებიდან დაბრუნებული ოფიცრების გარკვეული მასის ორგანიზებული თავმოყრაც.

სწორედ აქ, სამხრეთ რუსეთში შეიქმნა გარკვეული იდეოლოგიური და სამხედრო პლაცდარმი ბოლშევიკებთან და „ანარქიასთან“ საბრძოლველად. „იგეგმებოდა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ორგანიზებული ძალით... შეძლებდა აღდგომოდა არსებულ ანარქიასა და გერმანულ-ბოლშევიკურ შემოსევას“.

რუსეთში პირველი ანტიბოლშევიკური მოხალისეების შენაერთის ფორმირება სწორედ გენერლების ალექსეევისა და კორნილოვის ხელმძღვანელობით დაიწყო. 1917 წლის ნოემბერ-დეკემბერში ე.წ. „მოხალისეთა არმია“ შეიქმნა. მოხალისეთა არმიის (ე.წ. „დობროარმია“) პირველი შენაერთის პირადი შემადგენლობა მეფის არმიის ყოფილი ოფიცრების, კადეტების, სტუდენტებისა და კაზაკებისაგან დაკომპლექტდა. პირველი 3000 მოხალისიდან მხოლოდ 12 იყო ჯარისკაცი, დანარჩენები — ოფიცრები.

1917 წლის 27 დეკემბერს ნოეოჩერკასკში მოხალისეთა არმიის შექმნა ოფიციალურად გამოცხადდა. გენერალი მიხაილ ალექსეევი ამ სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების საერთო ლიდერი გახდა, გენერალი ლავრ კორნილოვი — უმაღლესი მთავარსარდალი, გენერალი ალექსანდრ ლუკომსკი — შტაბის უფროსი, გენერალი ანტონ დენიკინი — პირველი დივიზიის მეთაური, გენერალი სერგეი მარკოვი — ოფიცერთა პირველი პოლკის მეთაური. შეიქმნა სპეციალური საბჭოც, სადაც ჩაერთნენ რუსეთის ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები — პეტერ სტრუვე, პაველ მილიუკოვი, მიხაილ როძიენკო, სერგეი საზონოვი, ბორის სავენკოვი.

ბოლშევიკთა მიერ „კონტრრევოლუციად“ მონათლული „თეთრი მოძრაობა“ და „დობროარმია“, რომლის პირადი შემადგენლობაც საწყის ეტაპზე 4000 კაცს შეადგენდა, ბოლშევიკებთან და წითელ არმიასთან დაუნდობელ ბრძოლებში შექმისთანავე ჩაება. 1918 წლის განმავლობაში „დობროარმია“ გაძლიერდა სამხრეთ რუსეთში მოქმედი კაზაკური რაზმებით, სხვადასხვა ნაწილებითა და შენაერთებით. 1918 წლის ივლის-აგვისტოსათვის წითელი არმიის მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში კატასტროფული გახდა. ატამან კრასნოვის დონის კაზაკთა არმიის მხარდაჭერით 9000-იანმა „მოხალისეთა არმიამ“ გამანადგურებელი დამარცხებების სერია აგემა თითქმის 100 000-იან წითელ არმიას. თეთრები დაეუფლნენ სტანიცა ტიხორეცკს (14 ივლისს), სტავროპოლსა (21 ივლისს) და ეკატერინოდარს (17 აგვისტოს). წითელი არმიის გადარჩენილმა ძალებმა დიდი დანაკარგებით არმავირისკენ დაიხიეს.

1918 წლის სექტემბრისთვის „მოხალისეთა არმიის“ პირადმა შემადგენლობამ 30-35 ათასს მიაღწია (ძირითადად, ყუბანის კაზაკთა რაზმების შეერთებითა და ჩრდილოეთ კავკასიაში ბოლშევიზმს გამოქცეული მოსახლეობის ხარჯზე).

1918 წლის ზაფხულში წითელი არმიის ახლად ფორმირებული შენაერთი, ე.წ. „ტამანის არმია“, რომელიც გელენჯიკში ჩამოყალიბდა, საბრძოლო მოქმედებებში ჩაერთო „დობროარმიასა“ და ყირიმიდან წინ მომავალ გერმანულ ქვედანაყოფებთან. იმ ეტაპზე წითლების ამოცანას შეადგენდა ტამანის ნახევარკუნძულიდან აღმოსავლეთით, ტუაფსეს გავლით დონდუკოვსკაიამდე ბრძოლებით გაღწევა და არმავირში მოქმედი წითელი არმიის მთავარ ძალებთან შეერთება, რომლებსაც ალექსეევის „დობროარმიის“ ზეწოლით 1918 წლის 16 აგვისტოსათვის ეკატერინოდარის დატოვება და უკან დახევა მოუწიათ.

1918 წლის 27 აგვისტოსათვის ტამანის წითელი არმია არჩეული მეთაურის, ი. მატვეევის ხელმძღვანელობით, რომელიც ნოვოროსიისკიდან მოიწევდა და ნოვოროსიისკის მუშებისა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებისაგან შედგებოდა, სამ კოლონად იყო დაწყობილი. არმიის პირადი შემადგენლობა 30 000 კაცს ითვლიდა. დამატებით მას 25 000 დევნილი შეუერთდა.

„ტამანის არმიის“ ავანგარდი 1 სექტემბერს ტუაფსეს ქართულ გარნიზონთან ბრძოლაში ჩაება, მას დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა, უკან დაახევინა და კავკასიონის ქედის გადასასვლელებით ხოდიჟენსკაიასკენ სვლა გააგრძელა. 8 სექტემბერს კი ტუაფსეს „ტამანის არმიის“ მდევარი „დობროარმიის“ მეწინავე ნაწილები მოადგნენ. სწორედ ტუაფსესთან შედგა ქართული ქვედანაყოფებისა და „დობროარმიის“ მეწინავე ნაწილების პირველი კონტაქტი.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმი. 1918 წლის 10 სექტემბერი.

„ესწრებოდნენ: მაისურაძე, საღირაშვილი, აუშტროვი, შენგელია, ორაგველიძე, გლახოიანი, ქარციკაძე, რაიონული წარმომადგენლებიდან: სადგური, ერთობის-უბანი, ვერა, რკინიგზა, ორთაჭალა, მუსლიმთა ბიურო და ავლაბარი.

მოისმინეს: ამხ. მაისურაძის მოხსენება სამეგრელოსა და სოხუმის ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ. ჩვენმა ჩასელამ დიდი მორალური ზეგავლენა იქონია მეგრელ მოსახლეობაზე. მოსახლეობამ სრული მორჩილება გამოგვიცხადა და დაიწყო იარაღის ჩაბარება. ოპერაციის დასაწყისში ჩვენ მივიღეთ მთავრობის განკარგულება, დაუყოვნებლივ დავძრულიყავით მაზნიევის დასახმარებლად სოხუმისა და ტუაფსეს მიმართულებით მთავარი ძალებით. საველე შტაბმა, იმსჯელა რა შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ბრძანების შესრულების მიზნით დაადგინა, დამატებით მოხდეს 300-400 სახალხო გვარდიელის მობილიზება და დავიძრათ სოხუმის ფრონტზე."

შექმნილი ვითარების შეფასების, მდგომარეობის გართულებისა და მოსალოდნელი სისხლის-ღვრის თავიდან აცილების მიზნით, გენერალმა მაზნიაშვილმა, ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომ-დინარე, პოზიციები დათმო და ჯარები უკან, სადგურ ლოოსაკენ დასწია.

გენერალი მაზნიაშვილი: „ამგვარად გადავიდა ტუაფსე „დობროარმიის" ხელში. ჩვენმა ჯარებმა დაიჭირეს პოზიციები გოლოვინსკიდან მდინარე შახის ნაპირებზე. ჩვენს პირდაპირ დაბინავდნენ „დობროვოლცების" ჯარები. მტრული განწყობილება ჯარებს შორის არ იყო. ჩვენი შტაბები სოჭსა და ტუაფსეში შეერთებული იყო ტელეფონით."

სოჭის ოლქში კი, შექმნილი დაძაბულობისა და გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, თეთრგვარდიელთა მხრიდან მოსახლეობაზე ძალმომრეობის აღსაკვეთად, 1918 წლის 20 სექტემბერს, სოჭის მოქალაქეთა საერთო კრებამ, რომელიც მოიწვიეს სოციალისტური პარტიების გაერთიან-ებული საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოების, მუშათა კავშირისა და ქალაქის სათათბიროს წევრების ინიციატივით, მიიღო გადაწყვეტილება სოჭის ოკრუგის საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დროებით მიერთების შესახებ. ეს აქტი იყო „დროებითი ზომა" სოჭისა და მისი რაიონის მოსახლეობის ბოლშევიკებისა და თეთრგვარდიელების აგრესიისაგან დასაცავად. ამ ქმედებამ „დობროარმიის" სარდლობის მწვავე პროტესტი გამოიწვია. მათ ქართული ჯარებისაგან სოჭისა და სოხუმის ოლქების დაცლა მოითხოვეს.

თავდაპირველად საქართველოს მთავრობა და ქართული სარდლობა დენიკინელებს ბოლშევიკ-ების წინააღმდეგ მებრძოლ ძალად და თავის ბუნებრივ მოკავშირეებად განიხილავდა, თუმცა ძალიან მალე გაცხადდა „დობროარმიელთა" ნამდვილი პოლიტიკური მიზნები და სტრატეგია ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოფილ გუბერნიებთან და, რასაკვირველია, საქართველოსთან მიმართებაშიც. „დობროარმიის" ხელმძღვანელობისათვის ქართული სახელმწიფოს მომავალი თავიდანვე „ერთიანი და განუყოფელი" დიდი რუსეთის შემადგენლობაში მოიაზრებოდა.

საქართველოს მთავრობასა და მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით, 1918 წლის 25-26 სექტემბერს ეკატერინოდარში ორრაუნდიანი შეხვედრა შედგა, ერთი მხრივ, საქართველოს დელეგაციასა (ე. გეგეჭკორი, გ. მაზნიაშვილი) და, მეორე მხრივ, „მოხალისეთა არმიის" (მ. ალექსეევი, ა. დენიკინი და სხვა) ასევე ე.წ. „ყუბანის მთავრობის" (ნ. ვორობიოვი, ნ. ბიჩი) წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. მხარეებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი „მოხალისეთა არმიისათვის", შედგომოდა „ქართველი დამპყრობლებისაგან" აფხაზეთის „განთავისუფლების" გეგმის რეალიზაციას.

გენერალი დენიკინი: „ქართველთა მიერ ძალით მიტაცებულ სოჭისა და სოხუმის ოლქებში, აბორიგენთა და რუსული ელემენტის უუფლებო მდგომარეობა, ქართული ხელისუფლების მიერ მათი ჩაგვრა, უკიდურესი „გრუზინიზაცია" და გამაკოტრებელი ეკონომიკური პოლიტიკა, ქმნიდნენ უკმაყოფილებასა და მღელვარებებს, რაც ყოველ წამს შეიძლება გადაზრდილიყო აჯანყებაში.

ქართველთა მიერ მიტაცებულის პრინციპულად არაღიარების ფონზე, მოხალისეთა ხელისუფლება არ შეიძლება გულგრილი დარჩენილიყო იმ ანგარიშსწორებების მიმართ, რასაც რუსული, სომხური, აფხაზური მოსახლეობა განიცდიდა. გულგრილი ვერ დავრჩებოდით იმ მუდმივი საჩივრებისა და მოწოდებების მიმართ, რაც იქიდან ისმოდა. არ შეგვეძლო დავპირისპირებოდით რუსეთის ერთიანობის იდეას და იმ ელემენტების დაცვის ტრადიციას, რომლებიც რუსეთისაკენ ლტოლვას განიცდიდნენ. ამ დაპირისპირებაში ჩვენ უნებურად და გარდაუვლად ვერთვებოდით არა მხოლოდ სახელმწიფოებრივი მოსაზრებებით, არამედ ამ საკითხის გარშემო არსებული ერთიანი საზოგადოებრივი აზრიდან გამომდინარე".

დიახ, არა ერები და ხალხები, არა ეროვნებები და ადამიანები, არამედ უბრალოდ — ელემენტები. დიახ, ასე ნათლავდნენ და ასე აღიქვამდნენ გენერალი დენიკინი და სხვა რუსი

სამხედრო თუ სამოქალაქო მოხელეები ყოფილი მეფის რუსეთის იმპერიის ტერიტორიებზე მცხოვრებ რუსთაგან განსხვავებულ ეთნოსებს, ე.წ. „ნაციონალურ უმცირესობებს უკვე მაშინ, XX საუკუნის დასაწყისში.

„დობროარმიის" ხელმძღვანელთა მთავარი თეზა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიასთან მიმართებაში კი იყო შემდეგი: „მთელი ამიერკავკასია ცნობილი უნდა იქნას 1914 წლის საზღვრებში, როგორც რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილი... სოჭის ოლქის გაწმენდისა და მათი მდ. ბზიფს იქით ჯარების გადაყვანამდე, ყველა სხვა ურთიერთობა, გარდა საომარი მოქმედებებისათვის მზადყოფნისა, რუსეთის სახელმწიფოს ერთიანობის დარღვევისათვის, შეუძლებლად გვეჩვენება." აქ ყველაფერი ნათელია და კითხვებიც არ იბადება. მაგრამ გენერალმა დენიკინმა საქართველოს ხელისუფალთა წინააღმდეგ ისეთი ხასიათის ბრალდებებიც წამოაყენა, რომელთა წარმოდგენაც უდავოდ საღი აზროვნების ფარგლებს სცილდება. თავის მემუარებში — „ნარკვევები რუსული ამბოხის შესახებ" დენიკინი ქართველ სოციალ-დემოკრატებსა და რუს ბოლშევიკებს შორის დამყარებულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსსა და „დობროარმიელთა" წინააღმდეგ მოქმედებების ერთიან სტრატეგიაზე მიუთითებს:

„მოსკოვში განთავსებული იყო, მართალია, ოფიციალურად არცნობილი, მაგრამ საკონსულო ვალდებულებების მქონე ქართული დიპლომატიური მისია. მოსკოვსა და თბილისს შორის რაღაც საეჭვო შინაარსის რადიოგრამების გაცვლას ქონდა ადგილი. ჩრდილოეთ კავკასიიდან გაქცეული კომისრები თბილისში სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ... 1919 წლის შემოდგომაზე, ბოლშევიკურ გამოსვლებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა მინისტრმა რამიშვილმა (აქ ავტორი არასწორად მიუთითებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გვარს. უნდა იყოს — გეგეჭკორი. ა.ჩ.) დამფუძნებელ კრებას მოახსენა ყველასათვის კარგად ცნობილი ჭეშმარიტება: კავკასიის ბოლშევიკების საოლქო კომიტეტი მოსკოვის დირექტივების შესაბამისად მოქმედებდა და, პირველ რიგში, მოსკოვის მთავრობის სტრატეგიულ დავალებებს ასრულებდა. საქართველოში ბოლშევიკური გამოსვლების ორგანიზაციისათვის 12 მილიონი რუბლი დაიხარჯა.

ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ ბოლშევიზმის კულტივირება არა შიდა მოხმარებისთვის, არამედ ექსპორტისათვის იყო გათვალისწინებული: ჩვენს ღრმა ზურგში ბოლშევიზმის ფორპოსტი წარმოიქმნა, რომელსაც თბილისში ჰქონდა თავისი ბეჭდური ორგანო, მუშაობდა პროპაგანდით, ფულით, აგიტატორებსა და ინტერნირებულ წითელარმიელებს გზავნიდა შავიზღვისპირეთში, სამხრეთ ოსეთში, (შიც!) და საერთოდ ყველგან მტრობას თესავდა მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. მართალია, ეს საქართველოსათვის რამდენადმე სახიფათო, მაგრამ, სამაგიეროდ, სასარგებლო საქმე იყო. და საქართველოს მთავრობაც არ იყო წინააღმდეგი, გაეფართოებინა ანტიმოხალისური ფრონტი თავისი გავლენის ორბიტაში რუსული ბოლშევიზმის მეორე ძლიერი ცენტრის — ბაქოს მუშათა კონფერენციის ჩართვით".

გენერალ დენიკინის ამ ნააზრევზე კომენტარების გაკეთება შეუძლებლად გვეჩვენება, იმდენად წარმოუდგენელი ლოგიკა და „შეთქმულების თეორიების" წარმოუდგენელი ლაბირინთებია ჩახლართული... როგორც იტყვიან, ქაღალდი ყველაფერს იტანს...

რეალობა და ფაქტი კი ის იყო, რომ ქართულ სახელმწიფოს, მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ახალი დიდი საფრთხე დაემუქრა.

აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში მიმდინარე რთული სამხედრო-პოლიტიკური პროცესების პარალელურად, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისათვის ახალმა და მოულოდნელმა საფრთხემ საქართველოს სულ სხვა კუთხეში, ქვემო ქართლში, ბორჩალოს მაზრის ქვემო ზონაშიც იჩინა თავი.

1918 წლის ბოლოს დაშნაკური სომხეთის საჯარისო ნაწილებმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დე ფაქტო" საზღვრები ომის გამოუცხადებლად დაარღვიეს და საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს. სწორედ ამ ისტორიულ ფაქტში მდგომარეობდა დაშნაკურ-დენიკინური სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის შეთანხმებული მოქმედებების საერთო სტრატეგია საქართველოსთან მიმართებაში. გენერალი დენიკინი: „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა სრულიად უთანაგრძნობს სომეხი ერის სწრაფვას თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებში გაერთიანების შესახებ, თვლის რა სომხობას თავიანთი ძირეული ეკონომიკური ინტერესებით დაკავშირებულს ერთიან განუყოფელ რუსეთთან..."

„პოლკოვნიკ ვლასოვის აზრით, დახმარება, რაზეც შეიძლება დაშნაკელებს გაეკეთებინათ მოხალისეთა არმიაზე ანგარიში მენშევიკურ საქართველოსთან საბრძოლველად, შემდეგში მდგომარეობდა:

ა) საბრძოლო რაზმების ჩამოყალიბება და მათი გაგზავნა ბათუმის გავლით სომხეთში, რომლებიც შეძლებდნენ დამოუკიდებელი ამოცანების გადაჭრას.

ბ) საბრძოლო მასალებისა და სურსათის გაგზავნა.

გ) სოჭის დაკავება და ამით საქართველოზე ზეწოლის განხორციელება სოხუმის შემდგომი დაკავების მუქარით.

დ) გერმანიიდან და ავსტრიიდან წამოსული ტყვეების შეიარაღება და მათი გაგზავნა სომხეთში სომხური ნაციონალური ნაწილების შესავსებად.“

სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ქართული საჯარისო კონტინგენტის დიდი ნაწილი აფხაზეთიდან თბილისში გამოიწვიეს. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი შულავერის ფრონტის სარდლად დაინიშნა, სომხეთთან ომის დასრულების შემდეგ, 1919 წლის დასაწყისში კი, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონში დისლოცირებული ქართული ჯარების სარდლად. სოჭის ფრონტზე იგი გენერალმა ალექსანდრე კონიევმა (ქონიაშვილმა) შეცვალა.

ამ პერიოდისათვის დიდი ცვლილებები მოხდა „დობროარმიის“ სამეთაურო შემადგენლობასა და თვით საარმიო შენაერთის სტრუქტურაში. გენერალი კორნილოვი წითელარმიელებთან ბრძოლაში დაიღუპა, გენერალი ალექსეევი 1918 წლის ბოლოს გულის შეტევით გარდაიცვალა. „დობროარმიას“ გენერალი ანტონ დენიკინი ჩაუდგა სათავეში.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა წითელი არმიის შენაერთების ძალთა სტრუქტურასა და ორგანიზაციაშიც. ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ყველა წითელი სამხედრო ნაწილისა და სხვადასხვა რაზმის გაერთიანებით ბოლშევიკთა სამხრეთის ფრონტის სამხედრო რევოლუციური საბჭოს დირექტივის საფუძველზე პირველი ფორმირების მე-11 წითელი არმია შეიქმნა. იგი სულ 3 ფორმირების იყო. შექმნისას მე-11 არმია მოიცავდა: 14 240 ხიშტს, 3250 ხმალს, 325 ტყვიამფრქვევს, 28 მსუბუქ ტყვიამფრქვევს, 2 მძიმე ქვემეხს, 4 ჰაუბიცას, 2 ჯავშანმატარებელს, 2 ჯავშანმანქანას, 7 თვითმფრინავს. პირადი შემადგენლობა 34360, ცხენი — 8000. ამას ემატებოდა ზურგში შექმნილი ძალები და ფორმირებები — 3750 ხიშტი, 450 ხმალი, 55 ტყვიამფრქვევი, 10 ქვემეხი, 7 თვითმფრინავი.

1918 წლის 8 დეკემბერს მე-11 წითელი არმია კასპიისპირეთი-კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შეიყვანეს, მაგრამ თეთრგვარდიელებთან წარუმატებელი სამხედრო მოქმედებების გამო აუნაზღაურებელი საბრძოლო დანაკლისი განიცადა და მალევე, 1919 წლის დასაწყისისთვის დაიშალა. მე-11 არმიის პირველი ფორირება თეთრგვარდიელთა მიერ ფაქტობრივად განადგურდა, რასაც სრულად ასახავს მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის, გრიგოლ (სერგო) ორჯონიკიძის იმ ტელეგრამის შინაარსი, რომელიც მან 1919 წლის 24 იანვარს კრემლში გაგზავნა:

„მოსკოვი, კრემლი, ვ. ი. ლენინს. ვლადიკავკაზიდან, 1919 წლის 24 იანვარი.

მე-11 არმია აღარ არსებობს. იგი საბოლოოდ გაიხრწნა. მოწინააღმდეგე ქალაქებსა და სტანიცებს თითქმის ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იკავებს... ჩვენ ამას პოლიტიკურ დეზერტირობად ვთვლით...

ორჯონიკიძე“.

1919 წლის დასაწყისიდან დენიკინმა ბოლშევიკური წინააღმდეგობა ჩრდილოეთ კავკასიაში სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად საბოლოოდ ჩაახშო, „დობროარმია“ შეურთდა დონისა და კავკასიის კაზაკთა არმიებს, თურქესტანის არმიასა და შავი ზღვის ფლოტს. ახალი საარმიო გაერთიანება „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებად“ გარდაიქმნა, გენერალი ანტონ დენიკინი კი „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს უმაღლეს მმართველად“ გამოცხადდა. მან შტაბი ეკატერინოდარიდან „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოს“ ახალ „დედაქალაქში“ — ტაგანროგში გადაიტანა.

I მსოფლიო ომის დასრულება და ბრიტანული ფაქტორი

მსოფლიო ომის დასრულებისათანავე ამიერკავკასია ბრიტანელთა ერთპიროვნული მანდატის ზონად გამოცხადდა, სადაც შემოსვლა ბრიტანულმა საოკუპაციო ჯარებმა დაიწყეს. ბრიტანელები ტრიუმფატორებად შემოვიდნენ ამიერკავკასიაში, შესაბამისად, მათი შემდგომი მოქმედებების სტრატეგიას ომში გამარჯვებულის სტატუსი განაპირობებდა. ეს სტატუსი კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ახალი კოლონიური პოლიტიკის გატარება იქ, სადაც გერმანელთა და თურქთა აღმოსავლური პრეტენზიები უკვე აღკვეთილი იყო. ბრიტანული სტრატეგიის მთავარ ამოსავალს ამიერკავკასიაში ბაქოს ნავთობისა და რეგიონის სხვა ბუნებრივი სიმდიდრეების ფლობა, აგრეთვე მათი ტრანსპორტირების უსაფრთხოდ უზრუნველყოფა წარმოადგენდა დასავლეთისაკენ, ბათუმის პორტის გავლით. სწორედ ამიტომ, 17 ნოემბერს ბრიტანულმა ქვედანაყოფებმა გენერალ-მაიორ უილიამ ტომსონის მეთაურობით და ბრიგადის გენერალ გ. ტ. ფორესტიე-უოკერის ძალებით ჯერ ბაქოს, ხოლო მოგვიანებით ბათუმის ოკუპაცია მოახდინეს.

ბრიტანელთათვის „სამხრეთ რუსეთის მთავრობა" და მისი შეიარაღებული ძალები, როგორც ბოლშევიკებთან მებრძოლი ძალა, თავიდანვე მოკავშირედ იყო აღქმული. საქართველოსთან მიმართებაში კი ეს დამოკიდებულება მეგობრული ნამდვილად არ იყო, ალბათ, უფრო პირიქით. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიებზე გერმანული ქვედანაყოფები შექმნისთანავე შემოიყვანეს. საქართველოს მთავრობა პროგერმანულ კურსს ატარებდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით სწორად აღნიშნავს რ. ცუხიშვილი, რომ „ბოლშევიკებთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა ე.წ. მოხალისეთა არმია, რომელიც ინგლისური გირვანქა სტერლინგითა და ბრიტანელების ძალისხმევით ჩამოყალიბდა. ამასთან, ინგლისის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საქართველოს ანტიბოლშევიკურ ფრონტში ჩართვა წარმოადგენდა. ცხადია, ამ თვალსაზრისით საჭირო იყო საქართველოსა და მოხალისეთა შორის მტკიცე კავშირის უზრუნველყოფა". მაგრამ ნამდვილად ვერ დავეთანხმებით ავტორის შემდეგ მოსაზრებას, რომ „საქართველოს მთავრობასა და მოხალისეთა სამხედრო-პოლიტიკურ ძალას შორის იმთავითვე მტრული ურთიერთობა სუფევდა." ზემოთ უკვე აღნიშნეთ, რომ საწყის ეტაპზე, საქართველოს მთავრობა დენიკინელებს, როგორც ბოლშევიკებთან მებრძოლ ძალს, თავის ბუნებრივ მოკავშირედ განიხილავდა, თუმცა ყველაფერს ძალიან მალე მოეფინა ნათელი. რუსულ იმპერიულ ზრახვები ძალიან მალე გამომჟღავნდა.

ბრიტანული კონტიგენტის ამიერკავკასიაში შემოსვლისთანავე, „სამხრეთ რუსეთის მთავრობამ" და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელიც ბრიტანელთათვის ანტანტის ყოფილი წევრის, ცარისტული რუსეთის მემკვიდრედ და ბოლშევიკებთან მებრძოლ ძალად მოიაზრებოდა, დიდი ფინანსური დახმარება მიიღო. შავი ზღვის პორტებიდან იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სამხედრო აღჭურვილობის შემოტანა დაიწყო. ბრიტანელთა მიერ „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს" მძიმე შეიარაღებაც – ტანკები და თვითმფრინავებიც მიეწოდებოდათ. მოქმედებების სრული კოორდინაციისათვის დენიკინის მთავრობაში ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობის წარმომადგენელი გენერალიც დანიშნა.

დენიკინის არმიას, პირველ რიგში, კავკასიის ფრონტის კუთვნილი ქონება გადაეცა, რომელიც ბათუმის ოლქისა და ბრიტანელთა მიერ კონტროლირებად ამიერკავკასიის სხვა ტერიტორიებზე იყო თავმოყრილი. ბათუმში საქართველოს მთავრობის სამხედრო წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი (გენერლების, ალექსანდრე და იოსებ გედევანიშვილების ძმა) 1919 წლის 11 იანვრით დათარიღებულ ტელეგრამაში იტყობინებოდა: „გუშინ სარწმუნო წყაროებიდან მაცნობეს, რომ ბათუმში დარჩენილი სამხედრო ქონება და საბრძოლო მასალა ინგლისელებმა მიიღეს თურქეთისაგან და გადასცემენ დენიკინს. ამ ქონების მისაღებად ბათუმში ჩავიდა გენერალი ოგანოვსკი, რამდენიმე ოფიცერთან ერთად. ამ ქონების დატვირთვა გემზე უკვე დაიწყო."

ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობასა და დენიკინელებს შორის მჭიდრო სამოკავშირეო ურთიერთობები ბრიტანელთა მხრიდან მხოლოდ დიდი მატერიალურ-ტექნიკური, ფინანსური და სამხედრო დახმრებების გაწევით არ ამოიწურებოდა. ფაქტობრივად, ეს იყო ორი თანასწორუფლებიანი პარტნიორის ფართოსპექტრიანი პოლიტიკური და სამხედრო კოალიცია.

გენერალი დენიკინი: „ინგლისის მისიის ახალი ხელმძღვანელი, გენერალი ბრიგსი, რომელიც ამ თანამდებობაზე 3 თებერვალს დაინიშნა, ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთის ნამდვილი და

კეთილშობილი მეგობარი აღმოჩნდა. იჩენდა რა განსაკუთრებულ მზრუნველობას რუსული არმიის მომარაგების საქმეში, გულწრფელად იზიარებდა ჩვენს საჭიროებებს და ამასთან ერთად დიდ მორალურ დახმარებას უწევდა როგორც ჩვენს სარდლობას, ასევე რუსულ იდეას. ყველგან, სადაც კი მას გამოსვლამ მოუწია, დონზე, ყუბანში, ჩეჩნეთში, მისგან მხოლოდ ღირსეული მოწოდებები გვესმოდა ერთიანობისაკენ, რუსული სახელმწიფოებრიობის მხარდაჭერისაკენ. ის კეთილი ინგლისელი და შემსრულებელი ქვეშევრდომი იყო. ყოველთვის, როცა მას ლონდონიდან მოსდიოდა ჩვენთვის არასასურველი გადაწყვეტილებების აღსრულების განკარგულება, ის ყოველთვის აგზავნიდა ლონდონში თავის პირად საფუძვლიან პროტესტს (ეს ჩემთვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი)...“

ბრიტანელთა მიერ ოკუპირებულ ქართულ მიწებზე კი დენიკინელები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც საკუთარ სახელმწიფოში. ეს მდგომარეობა განსაკუთრებული სიმწვავით ბათუმსა და ბათუმის ოლქში შეინიშნებოდა, რომელიც დენიკინელთა ძალების თავმოყრისა და განაწილების ფაქტობრივ პუნქტს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში.

შავი ზღვის სასაზღვრო რაზმის უფროსის 1919 წლის 15 მარტის საიდუმლო №102 პატაკის ასლი სასაზღვრო დაცვის უფროსს:

„ჩოლოქის ხიდზე ნატანების უბანზე ოფიცრის მეთაურობით განლაგებულნი არიან ინდუსები – 20 კაცი. საზღვრის გასწვრივ სხვა ჯარები არ არის. ბათუმში მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია, განსაკუთრებით 10 მარტს განხორციელებული სამგზავრო მატარებლის გაძარცვის შემდეგ ქობულეთის სადგურთან ახლოს. რუსები და ინგლისელები ქართველებს ძალიან უხეშად ეპყრობიან. ბათუმიდან ჩვენ ტერიტორიაზე რუსები არაფერს არ ატარებენ, დააფუძნეს საბაჟო. დადის ხმები რომ ბათუმში რუსების მიერ ფორმირდება სასაზღვრო დაცვა და მალე ინგლისელების ნაცვლად საზღვარზე რუსები დადგებიან. ჩოლოქის ხიდზე მდგარი ინგლისელები კარგად არიან ჩაცმულები და ნაკვებნი. ლაპარაკობენ ცოტას, იმდენად, რამდენადაც მათი ენა ჩვენ არ გვესმის.

რაზმის უფროსის მ/შ პოდპოლკოვნიკი მშველიძე“.

ბათუმთან ერთად, დენიკინელთა ძლიერი მხარდამჭერი თბილისში მცხოვრები ყოფილი ცარისტი გენერალიტეტი და რუს ოფიცერთა კორპუსიც იყო. მათ მოხალისეთა არმიის საქართველოსთან მოახლოებისთანავე გააქტიურეს თავიანთი მოქმედებები.

„შიფროგრამა №59.

1919 წლის 18 იანვარი. საიდუმლო.

ნატანებიდან. სამხედრო მინისტრს.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი გედევანოვი.

„ტფილისიდან ბათუმში ჩამოვიდა გენერალი ლევანდოვსკი, რომელმაც კერძო საუბარში გენერალ ოდიშელიძესთან განაცხადა, რომ ბათუმში თავისი პირადი საქმის გამო ჩამოვიდა, კერძოდ მოძებნოს აქ ადგილი, თავისი და თავისი ოჯახისათვის საცხოვრებლად. მაგრამ, ამასთან ერთად დადგენილია, რომ მის ჩამოსვლას აქვს პოლიტიკური ხასიათი. იგი გამოვიდა რუსთა ერვნული საბჭოს ადგილობრივ კრებაზე და განაცხადა, რომ რუსების მთავარ მტერს ამ ფრონტზე (როგორც ჩანს მხედველობაში ჰქონდა კავკასია) – ქართველები წარმოადგენენ, რომელთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ. როგორც ჩანს, ტფილისში დაბრუნებისას იგი იქაურ რუსთა ეროვნულ საბჭოს მოახსენებს მდგომარეობას ბათუმში. ამგვარად, იკვეთება მოქმედებების ერთიანი ხაზი. დელეგაცია გამოემგზავრა.

ხელმოწერა – გედევანოვი.

გაშიფრა – კაპიტანი გეორგაძე.“

დენიკინელებისაგან მომავალი მოსალოდნელი საფრთხის სიმწვავე როგორც საქართველოს საზღვრებთან, ასევე ქვეყნის შიგნით, ქართველ ხელისუფალთა მიერ სრულად იყო გაანალიზებული.

მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას გამოსვლიდან (სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი, 1919 წლის 2 თებერვალი): „...ადრე ორი ფრონტი გვქონდა, ბოლშევიკური და მუსულმანური. უკანასკნელის დამარცხებით დამარცხდა პირველიც. ახლა ჩვენზე მოდის ახალი შავი ძალა, ის, რომელიც დაამხო თებერვლის რევოლუციამ. ეს დენიკინის არმიაა. ეს რეაქცია ჩვენსკენ მოიწევს არა მხოლოდ სოჭიდან, არამედ მან თავი წამოწია აგრეთვე ქვეყნის შიგნით, და მთავარია, რომ თბილისშიც, ძველი ჩინოვნიკების, თავადების და უმეტესი ოფიცრების სახით. მათ კარგად იციან,

რომ დენიკინის მოსვლით, ყველა დაკარგულ უფლებებს დაიბრუნებენ. და რაც მთავარია მათ დაუბრუნდებათ ჩამორთმეული მიწები. დენიკინელებს ორი ორგანიზაცია აქვთ: ნამდვილი, დობროარმიის სახით და სახელმწიფოს შიგნით. ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და მივიღოთ ყველა ზომები. თბილისში მზად უნდა ვიყოთ ყველა მოულოდნელობისათვის. საჭიროა ტფილისის გვარდია ფეხზე დავაყენოთ... თუ ჩვენ არ გავძლიერდებით, მაშინ გველოდება მარცხი, რასაც მოყვება ინგლისელთა განცხადება, რომ ჩვენთან ანარქიაა და მასთან გამკლავება არ შეგვიძლია, ამიტომ ისინი იღებენ ხელისუფლების სადავეებს ხელში ისევე, როგორც ეს გააკეთეს ბაქოში".

საქართველოსა და მოხალისეებს შორის მტრული დამოკიდებულების ატმოსფეროში ინგლის-საქართველოს თანამშრომლობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოხალისეთა ხელმძღვანელობა საქართველოს წინააღმდეგ აქტიური სამხედრო ოპერაციებისთვის ემზადებოდა. ამდენად, საქართველოში ინგლისელების შემოსვლის პერიოდში სოჭის ოლქის საკითხი საქართველოსა და მოხალისეთა ურთიერთობის სფეროს გასცდა და ინგლისის პოლიტიკის მწვავე პრობლემად გადაიქცა.

საბრძოლო მოქმედებების დაწყება 1918 წლის შემოდგომიდან ქართულ მხარესთან მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების" შენაერთებს შავი ზღვის სანაპიროზე სოფელი ლაზარევსკოე ეკავათ. სადგურ ლოოში კი ქართული სახალხო გვარდიის მცირერიცხოვანი რაზმები იდგნენ გენერალ ქონიაშვილის სარდლობით.

26 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ევგენი გეგეჭკორმა ბრიტანელთა მისიის წარმომადგენელს, პოლკოვნიკ ჯორდანს, ნოტით აცნობა, რომ დენიკინელებმა ტუაფსეს ზონაში ძალების კონცენტრაცია დაიწყეს. 28 დეკემბერს პოლკოვნიკი ჯორდანი და გეგეჭკორი შეთანხმდნენ სოჭი-ტუაფსეს დემილიტარიზაციაზე ოლქში ქართული ადმინისტრაციის შენარჩუნების პირობით. 29 დეკემბერს ევაკუაციის ბრძანება გაიცა და ქართულმა მხარემ ტუაფსესა და სოჭიდან თავისი ქვედანაყოფების გამოყვანა დაიწყო. ამ მოქმედებების საპასუხოდ კი იქ დენიკინელებმა დაიწყეს შესვლა. ფაქტია, რომ სოჭი-ტუაფსეს ზონის დემილიტარიზაციის პროცესი მხოლოდ ქართულმა მხარემ დაიწყო. დენიკინელებმა პირიქით — ძალები თავმოყრა დაიწყეს.

დენიკინელთა ამ ქმედებებზე გეგეჭკორის საპროტესტო ნოტას შემდეგი სახე ჰქონდა: „თანახმად ჩვენი ზეპირი შეთანხმებისა, ჩვენმა ჯარებმა დაიწყეს ევაკუაცია აღნიშნული რაიონებიდან, მაშინ როდესაც, მიღებული ცნობების მიხედვით, მოხალისეთა არმიის ჯარები შემოვიდნენ ჩვენი ჯარების გამოსვლის კვალდაკვალ სოჭის დაკავების მიზნით, ...გთხოვთ, ჩააყენოთ საქმის კურსში მოხალისეთა არმიის მეთაურები ჩვენი შეთანხმების პირობებთან დაკავშირებით. თუ ეს არ იყო გაკეთებული აქამდე, იმისათვის რათა მიღებულ იქნეს ზომები დასახლებული არმიის წინსვლის აღსაკვეთად."

ბრიტანელებმა კი საპასუხოდ განაცხადეს, რომ მოხალისეთა არმიის მხრიდან სამხედრო კონფრონტაციას ქართულ მხარესთან არ დაუშვებდნენ და დემილიტარიზაციის მოთხოვნებს დენიკინელებიც შეასრულებდნენ. ბრიტანელი წარმომადგენლების მტკიცებით, ეს საკითხი შეთანხმებული იყო ანატოლიისა და ამიკავკასიის რეგიონის ბრიტანული საოკუპაციო ჯარების სარდალ გენერალ მილნთან, კონსტანტინოპოლში და იგი უსათუოდ შესრულდებოდა. მაგრამ ბრიტანული მხარის ყველა დაპირება მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა. ფაქტია, რომ ჯარების გამოყვანის შემდეგ მცირერიცხოვანი ქართული გარნიზონი უძლური იქნებოდა მის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. აქ არა მხოლოდ ჯარების რაოდენობაზე, არამედ ქართული გარნიზონის განლაგების პოზიციურ ხარვეზებზეცაა საუბარი.

შავიზღვისპირეთის ჯარების გარნიზონის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ წერეთლის №13 შიფროგრამა სოჭიდან. 1919 წლის 18 იანვარი. სამხედრო მინისტრს. საიდუმლო.

„მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მოხალისეთა ჯარი, რომლითაც ისინი აპირებენ შემოტევას, უდრის არანაკლებ ათას ხიშტს. ჩვენ რო ვიდგეთ უწინდელ პოზიციებზე, რომელიც ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო ჩვენთვის და რაც რომ განსაკუთრებულ ღირსებას წარმოადგენდა იმ პოზიციებისა, ფლანგებიდან ვიყავით უზრუნველყოფილი, ჩვენ თამამად შეგვეძლო იმ ძალებით რომელიც ახლა გვყავს, მოგვეგერიებინა ეს შემოტევა. ახლა კი ჩვენ გვიჭირავს პოზიცია სრულებით უვარგისი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგეს სრულებით უნებლად შეუძლია შემოგვიაროს მარჯვნივ.

განწყობილება კი ოლქში ისეთია, რომ მოხალისეებმა თუ ცოტა მაინც გაიმარჯვეს, ჩვენს ზურგს უკან იფეთქებს ადჟანყება, რომელსაც ხელს შეუწყობენ რუსები, სომხები და აფხაზები. ყველა ამის თავიდან ასაცდენად ჩემის აზრით და რწმენით აუცილებლად საჭიროა ქალაქ სოჩაში რეზერვი არანაკლებ ხუთასი ხიშტიდან შემდგარი.

ამ რეზერვით მე შემიძლია ერთი მხრივ ვეწინააღმდეგო მოწინააღმდეგის შემოვლის დაპირებას და ადჟანყება მოვსპო დაწყებისთანავე. მესამე რაზმის გუნდების შემადგენლობა ძლიერ ნაკლებია. ორი გუნდი, რომლებიც ფოთიდან მოდის, დარწმუნებული ვარ, არ აღემატება 150, 200 ხიშტს ჩვენ განკარგულებაში.

თქვენ უკვე მოგახსენებდათ გენ. კონიევი ვინაიდან ცოტანი ვართ და ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ვეწევით მეტის მეტ ფხიზელ დარაჯობას, ეშინიან რომ ჯარისკაცები დაიღლებიან რადგანაც არ მაქვს საშუალება გამოვცვალო სხვა ნაწილებით.

თუ საკმარისი ძალა მეყოლება თანახმად ჩემი თხოვნისა, და თუ თქვენი ბრძანებაც იქნება, იმედი მაქვს არამც თუ მივიღებთ იმათ შემოტევას, არამედ კონტრ შეტევაზეც გადავიდე და ძველი პოზიციები დავიბრუნო.

პოლკოვნიკი წერეთელი.''

დენიკინელთა ძალების კონცენტრაცია ლოოს პოზიციებზე ისევ გრძელდებოდა. 29 დეკემბერს გეგეჭკორმა ისევ გაუგზავნა საპროტესტო ნოტა ბრიტანულ მისიას: „მივიღეთ ცნობა სოჭში მოხალისეთა არმიის ძალების კონცენტრაციის შესახებ და რომ ზემოთ ხსენებული არმიის ჯარისკაცები იჩენენ ძალადობას ქართველი მოქალაქეების მიმართ''. ბრიტანელთა სამხედრო მისიის ახალი ხელმძღვანელის, გენერალ ფორესტიე-უოკერის 31 იანვრით დათარიღებულ საპასუხო ტელეგრამაში ნათქვამი იყო: „ბრიტანეთის მთავრობამ გააფრთხილა გენერალი დენიკინი, რომ მან უნდა დაიცვას საქართველოს მთავრობის ხელუხლებლობა და თავი შეიკავოს მის საშინაო საქმეში ჩარევისაგან''.

ის მდგომარეობა, რომ არსებული „სტატუს კვო'' დიდხანს არ შენარჩუნდებოდა, კარგად ჰქონდა გააზრებული ქართულ სარდლობას, რომელიც მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვდა სოჭში ახალი ძალების შემოყვანასა და გარნიზონის გაძლიერებას, თუმცა უშედეგოდ. სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე ქართულ სახელმწიფოებრიობასა და ტერიტორიულ მთლიანობას დიდი საფრთხე დაემუქრა ახლა უკვე საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სადაც მთავრობამ სამხედრო ნაწილებისა და გვარდიის რაზმების შეყვანის გადაწყვეტილება მიიღო. საქმე ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის'' („ყარსის რესპუბლიკის'') შექმნასა და პანისლამისტურ სამხედრო აგრესიას ეხებოდა, ახლა უკვე ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში.

მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალების არსებობის პირობებში კი ყველა მიმართულებიდან მოსალოდნელი სამხედრო აგრესიის თავიდან ასაცილებლად ძალების თავმოყრა ურთულესი ამოცანა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ 1918 წლის ბოლო და 1919 წლის დასაწყისი ახალგაზრდა ქართული რესპუბლიკისათვის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უმძიმესი პერიოდი იყო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამი სხვადასხვა მიმართულებიდან — სომხეთი, დენიკინის ე.წ. „სამხრეთ რუსეთი'' და პანისლამისტთა ე.წ. „ყარსის რესპუბლიკა'' შეიარაღებულ სამხედრო აგრესიას თითქმის ერთდროულად განიცდიდა.

სოჭის ოლქში კი სამხედრო-პოლიტიკური პროცესები შემდეგნაირად ვითარდებოდა: შავიზღვისპირეთის ქართული გარნიზონის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ წერეთლის პირდაპირ ხაზზე საუბრის სტენოგრამა, 1919 წლის 21 იანვარი: „გუშინ გემით მოვიდა ტუაპსიდან მოხალისეთა ჯარის ოფიცერი ტატიშვილი და შეგვატყობინა, რომ ამ მოკლე ხანში, როგორც დადგება ახალი მთვარე, მოხალისე ოფიცრები შემოტევას აპირებენ და სოჩის კომენდანტად უკვე დაიშნული ჰყოლიათ პოლკოვნიკი ეფრემოვი. მოხალისეთა ჯარი თავს იგროვებს გოლოვინკაში, აქვე შეგროვილია 1000-მდე კაცი. ეს ცნობები ადასტურებენ უკვე მიღებულ ჩვენს მიერ ცნობებს იმის შესახებ, რომ მოხალისენი გროვდებიან გოლოვინკაში. მე და მუზრანი (საქართველოს მთავრობის რწმუნებული მუხრან ხოჭოლავა. ა.ჩ.) გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდით. იმ ძალებით, რომელნიც ჩვენ ხელთ არიან, წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელია. ამიტომ, თუ ჩვენ დანამდვილებით გვაქვს გადაწყვეტილი ჯერ მაინც სოჩის ოლქის დარჩენა, საჭიროდ ვცნობთ ახლა

დაუყოვნებლივ გავაძლიეროთ ჩვენი ფრონტი ახალი ძალების მომატებით. ყველა ჩვენი ძალები არ არის საკმარისი არამცთუ გარეშე შემოსევის საწინააღმდეგოდ, არამედ თვით შიგნით ექსცესებისათვის არ არიან საკმარისი და ასეთი ექსცესები რომ მოსალოდნელია, ამაში ეჭვი ჩვენ არ გვეპარება. ამას უმზადებენ ნიადაგს ის ოფიცრები, რომელნიც მუდამ დღე გადმოდიან სოჩის ოლქში და შინაამრევათ ხდიან საქმის მდგომარეობას."

ოლქში არსებულ პოლიტიკურ და სამხედრო-ოპერატიულ მდგომარეობაზე სრულ სურათს იძლევა სასაზღვრო ჯარების უფროსის მიერ რესპუბლიკის სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილი 1919 წლის 25 იანვრით დათარიღებული №51 პატაკი:

„შავი ზღვის სასაზღვრო რაზმის დაზვერვის მიერ დადგენილია, რომ ფრონტზე ლაზარევკასთან იმყოფება: 4 ქვემეხი, მათგან ერთი გაფუჭებული, 300-მდე ქვეითი და ცხენოსანი. სურსათი და ფურაჟი საკმაო რაოდენობითა აქვთ. ვაზნები და ჭურვები ცოტაა. კარგად არიან ჩაცმულნი. მათ შორის კაზაკები ცოტანი არიან, უმეტესობა ოფიცერი და იუნკერია. ლაზარევკასთან რაზმი დგას: ქვეითები ბინებში, ხოლო კავალერია ბინებსა და ბანაკებში. ლაზარევკის წინ, პოზიციებზე იმყოფება მზვერავთა რაზმი.

სომხეთთან ომის დაწყებამდე ჯარისკაცებსა და ტუაფსე-ლაზარევკის მოსახლეობაში განწყობები მშვიდი იყო. ომის გამოცხადებისთანავე ტუაფსეში ჯარებმა დაიწყეს თავმოყრა. მცხოვრებლებს შორის ავრცელებდნენ ხმებს ქართველების მძიმე მდგომარეობის შესახებ, ანარქიაზე, სომხების გამარჯვებებზე, წერეთელისა და გეგეჭკორის მკელლობის ამბავს და ა.შ., რათა დაერწმუნებინათ მოსახლეობა საქართველოს გამოუვალი მდგომარეობაში, ხელსაყრელი მდგომარეობის დადგომისთანავე შეტევაზე გადმოსვლისა და სოჭის დაკავების მიზნით. 29 დეკემბერს ჯარების სარდალმა ბრძანება გასცა სამხედრო ქონების ევაკუაციის თაობაზე. ბარჟებზე ქონების დატვირთვა მოხდა სწრაფად და მშვიდად. 30-ში ღიად გამოცხადდა ქართული ჯარების მიერ სოჭის ოლქის დატოვება. ქ. სოჭისა და მისი გარეუბნების მთელი დემოკრატია ძალიან შეშფოთდა, არ უნდოდათ ქართველებთან განშორება, გრძნობდნენ თავისუფალი რესპუბლიკის შემდეგ მოსალოდნელი ცხოვრების მთელ სიმძიმეს. იმართებოდა მიტინგები, სადაც გამოტანილ იქნა რეზოლუციები: დაეცვათ სოჭი მოხალისეთა არმიის შემოჭრისაგან. სოჭის ყველა მუშა — დაახლოებით 600 კაცი ჩაეწერა ჩვენს ჯარში. ამრიგად, ჩვენი წასვლის ამბავი სოჭის ოლქის მთელი დემოკრატიისათვის მძიმე დარტყმა იყო. 31-ში მდგომარეობა შეიცვალა: მიღებულ იქნა ცნობები ოლქიდან ევაკუაციის შეწყვეტის შესახებ. 1-ლი იანვრისათვის უკვე საბოლოოდ იყო ცნობილი, რომ მთელი ადმინისტრაცია ადგილზე რჩებოდა. ოლქში ასევე რჩებიან: მე-2 პოლკის ასეული, მე-3 პოლკის ასეულები, 1-ლი პოლკის ესკადრონი, სახალხო გვარდიის ბატარეა, მეტყვიამფრქვევთა რაზმი, ხოლო ბათუმის პარტიზანული რაზმი მიემგზავრება სომხეთის ფრონტზე. ოლქის მუშებმა და გლეხებმა ეს ცნობა დიდი სიხარულითა და აღტაცებით მიიღეს.

პარტიზანული რაზმი ჩატვირთულ იქნა ბარჟებზე და გაგზავნილ იქნა ფოთში. დარჩენილმა რაზმებმა დაიკავეს პოზიციები ლოოსთან, სადაც მოვიდნენ მოხალისეთა არმიის ჯარები.

მთელი ამ ხნის განმავლობაში აქ მაცხოვრებელ ყველა ნაციონალობასთან იყო სანიმუშო დამოკიდებულება, რითაც დავიმსახურეთ მოსახლეობის დიდი სიყვარული და პატივისცემა."

1919 წლის 6 თებერვალს დაპირისპირებულ მხარეთა შორის მოლოდინის ფაზა დასრულდა და „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების" შენაერთები შეტევაზე გადავიდნენ. გენერალი დენიკინი: „რუსული ნაწილების მდგომარეობა სამხედრო თვალსაზრისით არანორმალური იყო („არც ომი, არც მშვიდობა"), ხოლო მორალურ-პოლიტიკური კუთხით — ძალიან მძიმე. 1918 წლის 9 დეკემბერს, სომხეთ-საქართველოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით, ჩვენდა მოულოდნელად სოჭის ოლქიდან ქართული ჯარების ევაკუაცია დაიწყო. მე ვუბრძანე ჯარებს წინსვლა და მათ მიერ დატოვებული შავი ზღვის ოლქის ტერიტორიების დაკავება... 24 იანვარს (ახალი სტილით 6 თებერვალს. 1918 წლის 26 იანვარს რუსეთში სახალხო კომისართა საბჭოს („სოვნარკომის") დეკრეტით გრიგორიანული კალენდარი შემოიღეს, რომლის მიხედვითაც 1918 წლის 31 იანვრის შემდეგ პირდაპირ 14 თებერვალი დადგებოდა. ა.ჩ.). ჩემი ჯარები ბრძოლით გადავიდნენ მდინარე ლოოზე და დაიკავეს სოჭი, რასაც მოსახლეობა დიდი სიხარულით შეხვდა. ოთხი დღის განმავლობაში მოხალისეებმა ქართველებისაგან გაწმინდეს სოჭის ოლქი"...

სოჭის დაკავებაში დენიკინელებს დიდი დახმარება გაუწიეს სოჭის ოლქის სომხებმა და საბრძოლო რაზმებმა — მათ ზურგიდან დაარტყეს ქართულ გარნიზონს. დაიწყო რეპრესიები, ქართველების დაპატიმრება და ძარცვა. დენიკინელებმა დაიკავეს ადლერი, ვესიოლოე, პილენკოვო, გაგრა და 10 თებერვლისათვის მდინარე ბზიფთან გაჩერდნენ. შემტევი დივიზიის მეთაურმა, გენერალმა ჩერეპოვმა, რომელმაც მდინარე ბზიფს მიაღწია და საომარი მოქმედებების შეწყვეტის მაუწყებელი ტელეგრამა გაუგზავნა ქართულ სარდლობას, რამდენადაც მის წინაშე დასმული საბრძოლო ამოცანა უკვე შესრულებული იყო.

მიუხედავად ქართული მხარის ცალკეული მცდელობებისა, დეზორგანიზებულმა ქვედანაყოფებმა მოწინააღმდეგის აღმატებულ ძალებთან ბრძოლაში არსებული პოზიციების შენარჩუნება ვერ შეძლეს.

„სოხუმის გარნიზონის უფროსი, პოლკოვნიკი საყვარელიძე:

შიფროგრამა. №110. საიდუმლო.

სამხედრო მინისტრს. სოხუმიდან. 1919 წლის 9 თებერვალი.

პოლკოვნიკი ნიკურაძე მოგვახსენებს: „7 თებერვალს კაპიტან ფაღავასთან ავტომობილით მოვიდა ორი ოფიცერი — ერთი მტრის და ერთი ჩვენი პრაპორშიკი აბაშიძე, რომლებმაც მოგვცეს წინადადება ცეცხლის შეწყვეტაზე სოჭში მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით. პრაპორშიკმა აბაშიძემ საიდუმლოდ შეატყობინა კაპიტან ფაღავას, რომ ჩვენი ნაწილები არ არიან დანებებულნი და ფრონტის შტაბი იმყოფება სასტურო „რივიერაში". გენერალმა კონიევმა გადაწყვიტა არ დანებდეს და ძალით გაარღვიოს ხაზი. პოლკოვნიკი ნიკურაძე გადმოგვცემს ცნობებს, რომელიც მიიღო კაცისაგან, რომელიც გამოიქცა სოჭიდან 6 თებერვალს.

ათი საათის შემდეგ ქალაქში სხვადასხვა მხრიდან შემოიჭრა დაახლოებით 120 კაცი და სროლებით დაიკავეს ფოსტა. მათ ქალაქში შემოჰყვნენ სომხური შეიარაღებული ძალები, რომლებიც კაზაკების ფორმაში იყვნენ ჩაცმულნი, კაზაკთა მცირე რაზმთან ერთად. მათ გზა გადაუჭრეს ჩვენს ნაწილებს ქალაქის მხრიდან. მესაზღვრეები 25 კაცის შემადგენლობით თავს დაესხა ფოსტას, გადაცხრილეს ბოროტმოქმედნი და დაიკავეს ფოსტა. ამის შემდეგ რა მოხდა, უცნობია. ჩვენმა ჯარებმა გაძლიერეს ფრონტი ტუაფსესა და შემოვლითი ძალების მხრიდან. ისინი მამაცურად დგანან. ჩვენს მოწინააღმდეგეს ქვემეხები არა აქვთ. აქვთ მხოლოდ ხელყუმბარები, ტვიამფრქვევები და შაშხანები.

ქალაქ სოხუმის გარნიზონის უფროსი: პოლკოვნიკი საყვარელიძე.

გაშიფრა — კაპიტანი გეორგაძე."

გენერალი დენიკინი: „გენერალი კონიევი და მისი შტაბის უფროსი (წერეთელი) ტყვედ ავიყვანეთ. სოჭში ინტერნირებულნი იქნენ 43 ოფიცერი და 700 ჯარისკაცი, ამასთან ოფიცრებს დავუტოვეთ იარაღი, ჯარისკაცები კი განვაიარაღეთ. ყველა სამხედრო მოსამსახურე ზღვით იყვნენ გადაგზავნილნი საქართველოში."

კიდევ ერთხელ შეცდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ქვეყნისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში, კიდევ ერთი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა მან, როცა ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის წარმომადგენლებს ენდო. მსგავსი პაციფისტური გადაწყვეტილება მან სომხეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობისასაც მიიღო, როცა სადახლოს ფრონტზე ქართული შენაერთების წარმატებული შეტევითი ოპერაცია შეაჩერა. ამას კი შედეგად ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში საქართველოს ძირძველი ისტორიული მიწების დაკარგვა მოჰყვა. 1919 წლის 17 იანვარს ეს ტერიტორია „ნეიტრალურ ზონად" გამოცხადდა, ქართულმა სახელმწიფომ აქ „დე ფაქტო" იურისდიქცია დაკარგა. სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში საქართველომ თავისი ისტორიული ტერიტორიების დიდი ნაწილი დათმო.

სრულიად ვეთანხმებით ბატონ ცუხიშვილის დასკვნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების შეფასებაში: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა ენდო ინგლისის მთავარსარდლობის დაპირებებს, ნ. ჟორდანიას ხელისუფლების მოქმედებებს არავითარი გამართლება არ მოეპოვება და გულუბრყვილობად შეიძლება ჩაითვალოს. თავის მხრივ ინგლისელებმა აშკარად მოატყუეს ქართული მხარე."

ბატონ ნოე ჟორდანიას ამ გადაწყვეტილებებში კიდევ ერთხელ ჩანს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმი, გადამეტებული ინტერნაციონალიზმი, ქართველ მენშევიკთა გამოუსწორებელი „დემოკრატობა" და მათ მიერ რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური

რეალობების არაადეკვატური აღქმა, რამაც საბოლოო ჯამში კატასტროფამდე მიიყვანა პირველი ქართული რესპუბლიკა.

სოჭის ფრონტზე ქართული გარნიზონის წარუმატებლობაში არანაკლები როლი ითამაშა გვარდიელთა უდისციპლინობამ და არაორგანიზებულობამ. ეს მოვლენა დეტალურად გაანალიზდა გვარდიის მთავარი შტაბის გაფართოებულ სხდომაზე (მომხსენებელი ვალიკო ჯუღელი). ფრონტზე არსებული კრიტიკული მდგომარეობის გამო იგი პირადად გაიგზავნა სოჭში გვარდიის რაზმთან ერთად ქართული გარნიზონის დასახმარებლად. მაგრამ მისი დაგვიანებული მცდელობები უშედეგო აღმოჩნდა. ამ მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო დოკუმენტს სრულად მოვიყვანთ, რადგან იგი კარგად ასახავს იმ სავალალო ვითარებას, რაც გვარდიის რიგებში პირველი რესპუბლიკის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში სუფევდა. გარკვეული პარალელების გავლება მესამე ქართული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში არსებულ რეალობასთანაც შეიძლება.

„სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გაერთიანებული სხდომა (თარიღის გარეშე. ა.ჩ.)

ოქმი №83.

თავმჯდომარე: დ. საღირაშვილი;

მდივანი: რ. აუშტროვი;

მონაწილეობდნენ — მთავარი შტაბის წევრები: საღირაშვილი, აუშტროვი, ქარცივაძე, კახიანი, გლახოიანი, გოგიშვილი, ვარდოიანი, ვ. ჯუღელი. რაიონული შტაბების წარმომადგენლები: 1-ლი რაიონი — ძაძამია და ძამანაშვილი, სადგურის — ვასაძე და არველაძე, რკინიგზა — არველაძე, ავლაბარი — ალიხანოვი და ბედენაშვილი, ნავთლუღი — კვერნაძე და სურგულაძე, ვერა — კანდელაკი, მუსულმანები — ტაგი ზადე, ორთაჭალა — ნაკაშიძე, ალიხანოვი, ერთობის-უბანი — ნიკოლოზ უსტიაშვილი, გიორგი ახალბედაშვილი, კალანდაძე იოსები და პლატონ გაჩეჩილაძე.

მოისმინეს: ჯუღელის მოხსენება სოჭის ფრონტზე მდგომარეობის შესახებ.

— ზოგიერთმა ამხანაგმა გამოიჩინა დანაშაულებრივი გულგრილობა. ჩვენ გვაფრთხილებდნენ კონიევი, ხოჭოლავა და ამხანაგი სომხები სოჭიდან საგანგაშო მდგომარეობის შესახებ. სომეხი დაშნაკები მოხალისეთა არმიის დიდი ზეგავლების ქვეშ არიან. 6 თებერვალს მოხალისეთა არმია გავიდა ჩვენი ნაწილების ზურგში, რომლებიც სოჭის ფრონტზე იმყოფებოდნენ. მეთაურთა შორის არავინ ადგილზე არ აღმოჩნდა. ყველა წასულები იყვნენ ქორწილში. ადგილზე იყო მხოლოდ ხოჭოლავა, რომელმაც დიდი ინიციატივა გამოიჩინა. გამოძახებაზე გამოემგზავრნენ კონიევი და წერეთელი, რომლებიც გზაში დააკავეს დობროარმიელებმა. ხოჭოლავამ გასცა ბრძანება გაეხსნათ ცეცხლი ქვემეხებიდან და მოითხოვა კონიევისა და წერეთლის განთავისუფლება. მოხალისეებმა მოითხოვეს იარაღის დაყრა. მოხდა კონიევისა და წერეთლის დალაპარაკება პირდაპირ ხაზზე ჟორდანიასთან, გეგეჭკორთან და სხვებთან. კონიევი იტყობინებოდა, რომ ისინი ალყაში არიან მოქცეულები, ზღვიდან შემოვიდა ნაღმოსანი, ალყის გარღვევა შეუძლებელია.

ჟორდანიამ უბრძანა არ დანებებულიყვნენ და გაერღვიათ ალყა. მეთაურებიდან ღირსეულად მოქმედებდნენ ხოჭოლავა და ადლერში მყოფი ასეულის მეთაური ფაღავა. სოჭში ჩვენები იმყოფებოდნენ 400 კაცამდე და 12 ტყვიამფრქვევი. და მათ რომ კავშირში ემოქმედათ ფაღავას ადლერის ასეულთან ერთად, მაშინ ჩვენები შეძლებდნენ ალყის გარღვევას. საუბედუროდ ფაღავამ ვერავისაგან ვერ მიიღო მითითება. მასთან გააგზავნეს სურსათის გამგე ხოფერია, რომელმაც უთხრა, რომ ყველაფერი დამთავრებულია, აზრი არა აქვს ბრძოლას. ფაღავამ კავშირი დაკარგა მეთაურებთან და დაიწყო უკან დახევა. ნიკურაძემ დაიკავა სოჭის გასასვლელი. ჩვენი არტილერია მოქმედებდა ცუდად, მაგრამ მათ შეძლეს გამოსვლა, ფაღავა კი თავისი ხალხის ნარჩენებით ავიდა მთაში. ნიკურაძე მოქმედებდა ცუდად და ჩავარდა ტყვედ. ჩვენ რომ არ დავერწმუნებინეთ, მოხალისეებს ნაღმოსანი აქვთო, ჩვენ გემით მივუსწრებდით და დავიკავებდით გაგრას. სახალხო გვარდიელებმა თავსხმა წვიმაში 3-4 დღეში გაიარეს 200 ვერსი. სოხუმსა და გუდაუთაში სრული დაბნეულობა იყო და რომ არა ეს, შეიძლებოდა გაგრის გასასვლელების დროულად დაკავება და მოხალისეთა შეჩერება. ჩვენ თითქმის შეხებაში მოვედით მოხალისეებთან მდინარე ბზიფთან და გადავწყვიტეთ საერთო შეტევაზე გადასვლა, მაგრამ გამოჩნდა ინგლისელი ოფიცერი უაითი, რომელმაც მოგვცა წინადადება არ გადავსულიყავით საერთო შეტევაზე, იმდენად რამდენადაც ინგლისელების წინადადებით მოხალისეებს უნდა დაეცალათ სოჭის ოლქი. ასეთ შემთხვევაში არ შეგვეძლო შეტევის წარმოება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, დავუპირისპირდებოდით ინგლისელებს.

სახალხო გვარდიელებს შორის არსებული განწყობა სერიოზული და ამაღლებულია. სამურზაყანოს რაიონმა, რომელიც ადრე მტრულად იყო ჩვენდამი განწყობილი, ახლა მობილიზაციით 2000 კაცი მოგვცა; ჩვენი ძალები სოჭის ფრონტზე საკმარისია. ინგლისელების თქმით, მოხალისეები არათუ არ ტოვებენ სოჭის ოლქს, არამედ აძლიერებენ კიდეც აქ თავის ძალებს. საველე შტაბმა გამომგზავნა აქ მოხსენებისა და შესაბამისი ზომების მისაღებად."

ძნელია ამ მოხსენების გულგრილად წაკითხვა, იმდენად ნაცნობი სურათია აღწერილი. თავისთავად ასოცირდება ის მდგომარეობა აფხაზეთში მიმდინარე რუსეთ-საქართველოს 1992-1993 წლების ომთან, რომელიც 73 წლის შემდეგ იმავე გაგრის რაიონში დატრიალდა.

დენიკინელთა წარმატებული საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაპირისპირებულ მხარეთა შორის ახალი გამყოფი ხაზი მდინარე ბზიფზე დაფიქსირდა.

პარიზის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენცია: ამ მომენტისათვის მსოფლიოს სახელმწიფოებსა და მთავრობებს პარიზის სამშვიდობო კონფერენციის გამაფრთხილებელი მიმართვა გაეგზავნათ ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.

განცდილი მარცხის მიუხედავად, ბუნებრივია, ქართული სახელმწიფო და მისი შეიარაღებული ძალები ქართული ტერიტორიების დაკარგვას არ შეურიგდებოდნენ და ყველანირად ეცდებოდნენ მის დაბრუნებას. ამისათვის კი გარკვეული დრო, მომზადება და შესაბამისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა იყო საჭირო. მართლაც, სომხეთ-საქართველოს ომის დასრულებისთანავე, 1919 წლის იანვრის ბოლოდან დაიწყო ქართული საჯარისო კონტინგენტის გადასროლა და პოზიციების გამაგრება მდინარე ბზიფის ხაზზე.

შავიზღვისპირეთის სახალხო გვარდიისა და საჯარისო ქვედანაყოფების სარდლად გენერალ ქონიაშვილის ნაცვლად გენერალი იოსებ გედევანიშვილი დაინიშნა. მაგრამ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ მიღებული გაფრთხილების შესაბამისად იმ ეტაპზე აქტიური საბრძოლო მოქმედებები შეწყდა და ორივე მხრიდან ახალი მოლოდინისა და მზადების ფაზაში გადავიდა.

გამოიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა (მოადგილის) და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის (გენერალ იოსებ გედევანიშვილის ძმა. ა.ჩ.) შესაბამისი ბრძანებაც.

1919 წლის 15 თებერვალს ჟორდანიამ ბათუმში დისლოცირებულ ბრიტანელთა 27-ე დივიზიის მეთაურს, გენერალ ფორესტიე-უოკერს წერილი გაუგზავნა, იგი დენიკინელთა მიერ გაგრის რაიონის დაცლას მოთხოვდა, მაგრამ უშედეგოდ. საპასუხო ტელეგრამაში გენერალი ფორესტიე-უოკერი იტყობინებოდა, რომ ბრიტანელებმა თითქოს მოსთხოვეს დენიკინს არა მარტო გაგრის, არამედ სოჭის დატოვებაც და თითქოს ამ საქმის კურსში იყო კონსტანტინოპოლში მყოფი ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების მთავარი სარდლობაც. ამავე დროს, გენერალი ფორესტიე-უოკერი ქართულ მხარეს აფრთხილებდა, რომ ქართული ქვედანაყოფები მდინარე ბზიფის გამყოფ ხაზზე არავითარ შემთხვევაში არ გადასულიყვნენ და სამხედრო მოქმედებები არ განეახლებინათ. გენერალი ფორესტიე-უოკერი აცხადებდა, რომ მას მხოლოდ ერთი რამ შეეძლო — კონსტანტინოპოლში საქართველოზე მოხალისეთა თავდასხმის შესახებ ეცნობებინა, ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში კი გაგრაში ან სოხუმში ბრიტანელთა რაზმი გაეგზავნა. ჟორდანია ბრიტანელ გენერალს არწმუნებდა, რომ ამით დენიკინის შეტევას ვერ შეაჩერებდნენ. „გენერალი როგორც ჩანს არ იცნობს რუსებს, ჩვენ ისინი ძალიან კარგად შევისწავლეთ" — აცხადებდა მთავრობის მეთაური.

როგორც ვხედავთ, ამიერკავკასიაში დისლოცირებული ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობამ მოხალისეების მიერ სამხედრო ოპერაციების ჩატარების შემდეგ ხელები დაიბანა. შემდგომი ინსტანცია — კონსტანტინოპოლის სარდლობა კი საეჭვო პასიურობას იჩენდა, ამიერკავკასიის სარდლობის მეშვეობით ცრუ იმედებს აძლევდა საქართველოს ხელისუფლებას და სინამდვილეში კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების საქმეს აჭიანურებდა. თუმცა ამაში გასაკვირიც არაფერი არ იყო. ქართული მხარე მოტყუებული და იმედგაცრუებული აღმოჩნდა.

ქართული მხარის საბრძოლო მოქმედებებისათვის მზადება: ბრიტანელთა გარანტიების მიუხედავად, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მკვეთრად შეილახა. სოჭის ოლქისა და სოხუმის ოლქის გაგრის რაიონის მოსახლეობა საშინელ დღეში აღმოჩნდა. მოხალისეებმა მცხოვრებლების ძარცვა-დარბევა და აწიოკება დაიწყეს, თავს დაატეხეს საშინელი რეპრესიები. ისტორიულ წყაროებში მოხალისეთა სისასტიკის არაერთი მაგალითია

შემონახული. თბილისი ბრიტანელთა სარდლობისაგან სასწრაფო და რადიკალური ზომების მიღებას მოელოდა.

19 თებერვალს გენერალმა ფორესტიე-უოკერმა გეგეჭკორს აცნობა, რომ ბრიტანეთის მთავრობამ დენიკინს უბრძანა სოჭიდან თავისი სამხედრო ნაწილების გამოყვანა. ამავე დროს იგი მიუთითებდა საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს არ უნდა წაეწიათ წინ. მაგრამ ბრიტანელთა ეს დაპირებაც მორიგი სიცრუე აღმოჩნდა.

ქართველებისა და ბრიტანელების სამხედრო თუ დიპლომატიური ფლირტი დიდხანს არ გაგრძელებულა. მთავრობისა და ქართული სარდლობისათვის ცხადი გახდა, რომ ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების წარმომადგენელთა კეთილი ნების იმედად ყოფნა უშედეგო იყო და არ შეიძლებოდა. თუმცა, ისიც ცხადი იყო, რომ ბრიტანელებთან ღია კონფრონტაციაც არ დაიშვებოდა. ისტორიული ქართული მიწები მოხალისეთა არმიის მიერ იყო ოკუპირებული. ეს რეალობა ბრიტანელთა ანტიბოლშევიკური სტრატეგიის პოლიტიკურ სცენარში სრულად ჯდებოდა. ამ კონტექსტში დენიკინელები როგორც ბოლშევიკებთან მებრძოლი ძალა, ბრიტანელთა მოკავშირეებს წარმოადგენდნენ. ბოლშევიკთა მესაფლავეებად ბრიტანელები დენიკინელებს მოიაზრებოდნენ, ბოლშევიკური რუსეთის სამხრეთისაკენ ექსპანსიის შემაკავებელ ფაქტორად ისინი უნდა ქცეულიყვნენ. ამირკავკასიის ახლადშექმნილი რესპუბლიკები კი, საქართველო და აზერბაიჯანი, ბრიტანელთათვის სასურველ, მაგრამ არასაიმედო პარტნიორებს წარმოადგენდნენ და სულაც არ იყო გასაკვირი, რომ საქართველოსთან მიმართებაში ბრიტანული სარდლობა ორაზროვანი თამაშებისა და დროის გაყვანის ტაქტიკას ატარებდა. ეს თამაშები მანამ გაგრძელდებოდა, სანამ პოლიტიკურ დაფაზე წარმოდგენილი ფიგურების ფასი და წონა უფრო ნათლად არ გამოიკვეთებოდა.

ბრიტანელებთან დიპლომატიური მიმოწერის პარალელურად, ქართული მხარე აქტიურ მზადებაზე გადავიდა და ბზიფის ხაზზე ქართული გვარდიული რაზმების შეყვანა და პოზიციების გამაგრება დაიწყო. თებერვლის ბოლოსათვის ბზიფის პოზიციებზე კონცენტრირებულმა გვარდიის პირადმა შემადგენლობამ 3000 კაცს გადააჭარბა. ვალიკო ჯუღელი წერს: „ახლა ჩვენ საკმარისი ძალები გვყავს: 3000-ზე მეტი ხიშტი, 14 ქვემეხი და 100-ზე მეტი ტყვიამფრქვეები. ჩვენ თავისუფლად და ყოველგვარი სირთულეების გარეშე განვდევნით მოწინააღმდეგეს“.

ვალიკო ჯუღელის აზრით, ბზიფზე თავმოყრილი გვარდიის რაზმები წარმატებული შეტევის დასაწყებად საკმარისი იყო. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ფრონტზე სხვა მიმართულებებიდან დამატებითი კონტინგენტის გადმოსროლა მაინც გრძელდებოდა. საქართველოს მთავრობასა და ქართულ სარდლობას რთული გადაწყვეტილების მიღება მოუხდა – ახალციხის ფრონტის არტაანის (არდაგანის) მიმართულებიდან გენერალ კვინიტაძის დაქვემდებარებაში მყოფი ყველა გვარდიული ქვედანაყოფი მოიხნა და ბზიფის რაზმს შეუერთდა. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე ჩაითვალა, რომ იმ ეტაპზე საომარი მოქმედებების პირველხარისხოვან მიმართულებას სწორედ აფხაზეთი და ბზიფის ფრონტი წარმოადგენდა. ამ გადაწყვეტილების მიღებაში საქართველოს შეიარაღებული ძალების სინამდვილეში არსებულმა იმ მანკიერმა პრაქტიკამაც ითამაშა როლი, რაც რეგულარულ ჯარსა და სახალხო გვარდიას შორის არსებული დაპირისპირებით გამოიხატებოდა.

„სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის №90 ოქმის ამონაწერი, 1919 წლის 15 მარტი:

დაესწრნენ: ჯუღელი, საღირაშვილი, კახინი, ჭიაბეროვი, აუშტროვი, ქარცივაძე.

ჟურულის მოხსენება ახალციხის ფრონტის შესახებ: გენერალ კვინიტაძის დამოკიდებულება ჩვენს მიმართ არც თუ ისე კარგია. მან არ ისურვა საველე შტაბის შექმნა, რაც ჩვენთანაა მიღებული. იგი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს.

დაადგინეს: ახალციხის ფრონტზე დარჩნენ ვლ. ჯიბლაძე და სხვა ამხანაგები. იქ სახალხო გვარდიელები აღარ გაიგზავნონ. ყველა ჩვენი მობილიზებული ძალები გაიგზავნოს სოჭის ფრონტზე“.

არსებული განხეთქილების გამო და დენიკინელების წინააღმდეგ ძალების თავმოყრის მიზნით, 1919 წლის 22 მარტს გვარდიის ნაწილებმა ახალციხის ფრონტი დატოვეს. ახალციხის მაზრაში კონცენტრირებული და გენერალ კვინიტაძის განკარგულებაში მყოფი ჯარების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა.

აქ იკვეთება ერთი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფენომენი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში არსებული სტრუქტურა — ე.წ. „საველე შტაბის" ცნება. აღსანიშნავია, რომ პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში, ომებისა და საომარი კამპანიების დროს ფორმირდებოდა ჯარების მართვის განსაკუთრებული ორგანო — ე.წ. „საველე შტაბი". მაგრამ აქ არაა საუბარი შენაერთის შტაბის კლასიკურ გაგებაზე, სამხედრო შტაბზე, ანუ „არმიის ტვინზე", ორგანოზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ჯარების ოპერატიულ მართვაზე, ოპერაციების დაგეგმვასა და შესრულებაზე. აქ საუბარია ე.წ. „დემოკრატიული ჯარის" (ქართველი სოციალ-დემოკრატების საყვარელი გამოთქმა) დირექტიულ იდეოლოგიურ მანქანაზე ანუ იმ ორგანოზე, სადაც თავდადებული სოციალ-დემოკრატები, ასევე მმართველი პარტიისა და გვარდიის მთავარი შტაბის წევრები იმ მიზნით ინიშნებოდნენ, რომ ყოფილი „ცარისტი ოფიცრებისა" და რეგულარული ჯარის პირადი შემადგენლობის იდეოლოგიური საიმედოობა გაეკონტროლებინათ. ძალიან მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, არსებული „საველე შტაბები" და მათი წევრები ბოლშევიკური „სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა" და წითელი კომისრების ანალოგს წარმოადგენდნენ პირველი ქართული რესპუბლიკისა და ქართული შეიარაღებული ძალების სინამდვილეში. სამწუხაროდ, ქართველი სოციალ-დემოკრატი მენშევიკების ხედვები ამ საკითხთან დაკავშირებით რუსი სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკების ხედვებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. საკითხის ამოწურვისათვის კი ავღნიშნავთ, რომ იმდროინდელი მსოფლიო პოლიტიკის რეალობაში მხოლოდ საქართველო და რუსეთი წარმოადგენდნენ იმ ქვეყნებს, სადაც სამხედრო მინისტრების თანამდებობები მმართველი პარტიების ერთგულ შვილებს, იდეოლოგიურად სანდო სამოქალაქო პირებს ეკავათ და არა პროფესიონალ სამხედროებს. რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობაში მას სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარი ერქვა, საქართველოს მენშევიკურ მთავრობაში — სამხედრო მინისტრი. საქართველოს შეიარაღებული ძალების სამსახურში ჩამდგარი ქართველი ე.წ. „ცარისტი ოფიცრები" კი იგნორირებულნი იყვნენ. ბედის ირონიაა, მაგრამ ფაქტია, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა მიერ ქართველი გენერალიტეტისა და ოფიცერთა კორპუსის დიდი ნაწილი არასაიმედო ელემენტებად, ყოფილ „ცარისტებად" და „კლასობრივ მტრებად" მოიაზრებოდნენ. თავად „სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის" ცნებაც იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა და იგი საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სინამდვილეში ფრონტების „საველე შტაბების" ანალოგიურ მთავარ პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენდა. იგი გვარდიული რაზმებისა და რეგულარული ჯარის ნაწილების იდეოლოგიურ-პოლიტიკური მართვის ცენტრალური დირექტიული ორგანო იყო. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის „პრეზიდიუმის" წინაშე ხშირად ანგარიშებითა და მოხსენებებით თვით საქართველოს მთავრობის წევრებიც კი გამოდიოდნენ. ჩვენს მიერ გაკეთებულ ამ დასკვნას სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ქვემოთ მოყვანილი №117 სხდომის ოქმიც ადასტურებს.

ახლა უკვე გასაგებია, რომ რეგულარული ჯარის სამეთაურო შემადგენლობასა და საველე შტაბის წევრებს ორთოდოქს ქართველ მარქსისტებთან პერმანენტული და მწვავე დაპირისპირება ჰქონდათ. თავისთავად ცხადია, რომ გენერალი კვინიტაძე, რომელიც უმაღლესი რანგის სარდალი, პროფესიონალი საშტაბო ოფიცერი და თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, ვერ აიტანდა საომარი მოქმედებების დროს ჯარების პოლიტიზირებას, სამოქალაქო პირების მიერ ჯარების მართვის პროცესში ჩართვასა და ქაოსს, არაპროფესიონალიზმს, დისციპლინისა და საბრძოლო სულისკვეთების მოშლას. ამიტომ, სულაც არაა გასაკვირი, რომ 1919 წლის 1 მარტს გამართული გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე სწორედ გვარდიისა და გენერალ კვინიტაძის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი განიხილებოდა. კერძოდ, „მოისმინეს ამხ. ორაგველიძის მოხსენება ახალციხის ფრონტის სარდლად კვინიტაძის დანიშვნის შესახებ, რომელიც მთელი არსებით ვერ იტანს გვარდიას. უნდა ვიყოთ ზედმიწევნით ფრთხილები, რამეთუ კვინიტაძემ შესაძლოა უღალატოს გვარდიას მისი დისკრედიტაციის მიზნით." აქ ალბათ კომენტარების გაკეთებაც კი უხერხულია, იმდენად აბსურდულია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომაზე გამოტანილი დასკვნის არსი. და კიდევ უფრო აბსურდულია მთავარი შტაბის პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

მდ. ბზიფის პოზიციებზე სახალხო გვარდიის ნაწილების კონცენტრაცია მთელი გაზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა. მარტის ბოლოსათვის გვარდიის რაზმების პირადი შემადგენლობის რაოდენობამ 5 000-ს მიაღწია. შემოიყვანეს არტილერია — 20 ერთეული, ხოლო მდ. ბზიფის ზემო

წელში ახალი ხიდი აიგო. ქართული მხარე მისთვის მიცემული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად მზად იყო.

ძალებისა და საშუალებების საკმარისი კონცენტრაციის მიუხედავად ქართულმა მხარემ აპრილამდე შეტევა ვერ მოახერხა. ქართული მხარის შემაკავებელ ფაქტორს ბრიტანული საოკუპაციო ჯარების სარდლობის პოზიცია წრმოადგენდა.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმი №117. 1919 წლის 11 აპრილი.

„ესწრებოდნენ: საღირაშვილი, ვარდოიანი, ჯიბლაძე, აუშტროვი, კაზიანი, ქარცივაძე, ჭიაბეროვი, შენგელია, გოგიშვილი.

მოწვეული პირები: გეგეჭკორი, ლომთათიძე, ფელიცინი, რამიშვილი, არსენიძე, ჩხიკვიშვილი.

თავმჯდომარე: საღირაშვილი;

მდივანი: აუშტროვი.

მოისმინეს ევგ. გეგეჭკორის მოხსენება შავი ზღვის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

უკვე კვირაზე მეტია, რაც ვცდილობ მივიღო საბოლოო გადაწყვეტილი პასუხი ინგლისელებისაგან დენიკინის უკან დახევის შესახებ, მაგრამ აქამდე დადებითი პასუხის მიღებას ვერ ვეღირსე. გვაქვს ზუსტი მონაცემები, რომ ინგლისელებმა მოსთხოვეს დენიკინს უკან დაწევა, მაგრამ ეს უკანასკნელი ამას არ ასრულებს. გვაქვს იმის ცნობებიც, რომ ინგლისელთა დამოკიდებულება დენიკინის მიმართ ცუდისაკენ შეიცვალა. დენიკინელთა მომარაგება ინგლისელების მხრიდან ისე ინტენსიურად აღარ მიმდინარეობს. საველე შტაბი ითხოვს კატეგორიულ პასუხს და მათ სურთ შეტევაზე გადასვლა. მთავრობა შეტევაზე გადასვლის წინააღმდეგია, რადგან შეტევის წარმატებით განხორციელების შემთხვევაშიც, შედეგები უმნიშვნელო იქნება. სამხედრო მდგომარეობა არ გაუქმდება და გვარდიის დემობილიზცია არ გამოცხადდება. საჭიროა მათი მზადყოფნის დონის შენარჩუნება. ბლოკადა არ შემცირდება, პირიქით — გაძლიერდება.

ყველა, აუშტროვის გარდა, გამოვიდა შეტევის დაწყების წინააღმდეგი.

დაადგინეს: არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოს შეტევითი მოქმედებები განაკუთრებულ მითითებამდე. მიღებულია ერთხმად, აუშტროვის ერთი ხმის წინააღმდეგ.“

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ დენიკინელთა მიერ სოჭისა და ადლერის ოკუპაციას ადგილობრივი ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ცხოვრების პირობების მნიშვნელოვანი გაუარესება მოჰყვა. განუკითხაობა და ძარცვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. არ შეიძლება ამას მოსახლეობის პროტესტი და საპასუხო ქმედებები არ მოჰყოლოდა. მოსახლეობაში „მწვანე მოძრაობა“ აგორდა. დაიწყო ანტიდენიკინური მცირე პარტიზანული რაზმების, ე.წ. „მწვანეების“ ორგანიზება და მოქმედება, რაც ძლიერ მხარდამჭერ ფაქტორად იქცა მდ. ბზიფთან კონცენტრირებული სახალხო გვარდიის ქვედანაყოფებისათვის სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების დასაწყებად.

საბრძოლო მოქმედებების განახლება და აფხაზეთის დაბრუნება: გენერალი დენიკინი — „1919 წლის გაზაფხული სამხრეთის არმიისათვის მძიმე საბრძოლო გამოცდების პერიოდი იყო. ფრანგების მიერ ოდესის დატოვება, დონის ფრონტის კრიტიკული მდგომარეობა და ცარიცინის მხრიდან ტიხორეცკზე მომდინარე საშიშროება, ჩემს ხელთ არსებული მთელი ძალების აღნიშნულ მიმართულებებზე თავმოყრას მოითხოვდა. გენერალ ბრიგსისაგან მიღებული წერილობითი შეტყობინებინებიდან გამომდინარე, სადაც იგი ბრიტანელთა ჯარების მიერ მდ. ბზიფის ხაზის დაკავების გამო, ქართული მხრიდან მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ ყოველგვარი საბრძოლო მოქმედებების დაწყებას გამორიცხავდა, მე მნიშვნელოვნად შევასუსტე სოჭის ფრონტი... საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის მთავრობებს შორის ოფიციალური ურთიერთობები არ არსებობდა. საზღვარი ჩაკეტილი იყო, ორი არმია კი ერთმანეთის პირისპირ იდგა მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში, რაც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გადაზრდილიყო ღია საომარ დაპირისპირებაში.“

9 აპრილს ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდალმა გენერალმა მილნმა გენერალ დენიკინს განუცხადა, რომ ქართველებს მან მდ. ბზიფის ხაზს იქით დაწევა მოსთხოვა. მაგრამ როგორც ჩანს, ბრიტანელთა ავტორიტეტი საკმარისი აღარ იყო იმისათვის, რომ შეტაკების საფრთხე თავიდან აეცილებინათ.

რ. ცუხიშვილი: „ხანგრძლივი, სამთვიანი ლოდინისა და იმედგაცრუებების შემდეგ, თბილისის მოთმინების ფიალა აივსო. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები მას აქტიური გადაუდებელი

მოქმედებებისაკენ უბიძგებდა. ჟორდანიას მთავრობამ, სავსებით სამართლიანად, გადაწყვიტა უარეყო ინგლისის მოთხოვნები, წარმოეწყო შეტევა გაგრის რაიონში მდ. მეხადირის მიმართულებით, რათა დემორალიზაციისაგან გადაერჩინა მდ. ბზიფზე სამ თვეზე მეტხანს უმოქმედოდ მდგარი ქართული ჯარის ნაწილები, გაეთავისუფლებინა დენიკინელთა მიერ თვითნებურად დაკავებული საქართველოს ტერიტორიები და ამით აღედგინა ისტორიული სამართლიანობა სოხუმის ოლქში."

რა თქმა უნდა, ბატონ ცუხიშვილის ნაშრომის ამ ამონარიდს ვეთანხმებით, მაგრამ აუცილებლად უნდა აღნიშნოს, რომ ქართული მხარის მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყებას კიდევ ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტორმა შეუწყო ხელი. საუბარი ე.წ. „მწვანეებს" ეხება. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დენიკინელები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველ და სხვა ეროვნების მოსახლეობაზე დაუნდობლად ძალმომრეობდნენ, რომელსაც არ შეიძლებოდა მოსახლეობის შესაბამისი რეაქცია არ მოჰყოლოდა. ამიტომ, სოჭისა და ადლერის რაიონში მცირე პარტიზანული რაზმებისა და წინააღმდეგობის ჯგუფების, ე.წ. „მწვანეების" ორგანიზება და საერთო აჯანყების მოსაწყობად მზადება დაიწყო.

1919 წლის 12 აპრილს დენიკინის არმიის ქვედანაყოფებმა სოჭსა და ადლერში აჯანყებული მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაცია წამოიწყეს, რასაც ქართული მხარის ადეკვატური და დაუყოვნებლივი რეაქცია მოჰყვა. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის გადაწყვეტილებით გამოცხადდა გვარდიის პირადი შემადგენლობის სრული მობილიზაცია და რაიონული ორგანიზაციების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა.

„სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის №120 სხდომის ოქმი.

1919 წლის 12 აპრილი.

დაესწრნენ: საღირაშვილი, ჯიბლაძე, აუშტროვი, ქარცივაძე, მახარაძე, კახიანი, გოგიშვილი, გენერალი კონიევი და გენერალი ახმეტელოვი;

თავმჯდომარე: საღირაშვილი;

მდივანი: აუშტროვი.

მიღებულია ცნობები, რომ სოჭის ოლქის ადლერის რაიონში მოხდა რუსების, ლიტველების, ქართველებისა და სომხების აჯანყება. ამასთან დაკავშირებით მთავრობამ ჩათვალა გადაუდებლად შეტევაზე გადასვლა. დენიკინმა უკვე გაგზავნა 1500 კაცი აჯანყების ჩასაქრობად. აჯანყების ჩაქრობა შეიძლება გადაიქცეს ქართველებისა და ასევე სხვა დემოკრატიულად განწყობილი ელემენტების მასობრივ განადგურებად. საქართველოს მთავრობას ამის ყურება მოქმედებების გარეშე არ შეუძლია.

დაადგინეს: გამოცხადდეს სახალხო გვარდიის საერთო მობილიზაცია."

13 აპრილს დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების სარდლობის ახალმა წარმომადგენელმა, გენერალმა ტომსონმა, (ამ პოსტზე მან გენერალი ფორესტიე-უოკერი შეცვალა), საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილეს, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილს შეტყობინება გაუგზავნა, რომ: გენერალ დენიკინს მიეცა უკიდურესი ვადა 48 საათის განმავლობაში დაკავებული ტერიტორიების გასაწმენდად. გენერალ დენიკინსა და მის საველე მეთაურებს ბრიტანელთა ულტიმატუმის შესრულება არც უფიქრიათ.

ულტიმატუმის ამოწურვისთანავე, 1919 წლის 16 აპრილს სახალხო გვარდიის შენაერთებმა მდინარე ბზიფის ფორსირებით შეტევა დაიწყეს. ვალიკო ჯუღელი წერს: „ჩვენ სამი კოლონით ვუტევთ მოწინააღმდეგეს: მარჯვენა კოლონის უფროსად პოლკოვნიკი კარგარეთელია დანიშნული, მარცხენასი — ბრწყინვალე ხიმშიევი. უკიდურეს მარჯვენა ფლანგზე კი შემოვლის ღრმა მანევრს ახორციელებს ჩვენი სახელოვანი სპეცდანიშნულების ბატალიონი სიმონ ხუხუნაშვილის მეთაურობით.

17 აპრილი. დღის 1 საათზე გიორგი ლომთათიძის მე-3 ბატალიონი იკავებს გაგრას. ავიყვანეთ მრავალი ტყვე, ხელში ჩავიგდეთ რამდენიმე ტყვიამფრქვევი და დიდი სამხედრო ალაფი. მოწინააღმდეგე სრულადაა დამარცხებული და გარბის. დანაკარგები თითქმის არა გვაქვს. ტყვედ ავიყვანეთ 500 კაცი და ტიფით დაავადებულთა მთელი ლაზარეთი. ეს, მოხალისეთა მძიმე მემკვიდრეობაა! ავადმყოფთა შორის უმეტესობა ოფიცერია."

გენერალი დენიკინი თავისი ნაწილების გამანადგურებელ მარცხს პირადი შემადგენლობის სიმცირითა და „მწვანეთა" მოქმედებებით ხსნიდა: „გამთენიისას, უმტკივნეულოდ გადალახეს რა

მდინარე ბზიფი, ქართველებმა ჩვენს მეწინავე ნაწილს, გენერალ უშაკის კავკასიის ოფიცერთა სუსტ პოლკს დაარტყეს. უშაკმა მოიგერია დარტყმა, მაგრამ მალე აღმოაჩინა, რომ მთელი რიგი სიმაღლეები ზურგში დაკავებულია „მწვანეებით“ და მათ მდინარე მზიმთას აქეთ გადასვლამ მოუწიათ, განიცადეს რა დიდი დანაკრგები. სახმელეთო შეტყობინება სოჭთან მოჭრილ იქნა.“

საკუთარი წარუმატებლობის ასახსნელად გენერალ დენიკინს ისეთი წარმოუდგენელი არგუმ-ენტი მოჰყავს, რომელიც საღ აზრს ეწინააღმდეგება – თითქოს ქართულმა მხარემ ინტერნირებული ბოლშევიკები შეაიარაღა და დენიკინელთა წინააღმდეგ საბრძოლველად სოხუმის ფრონტზე გააგზავნა. კომენტარების გაკეთება აქაც ზედმეტია.

გვარდიის მთავარი შტაბისა და გაგრის ფრონტის „საველე შტაბის“ წევრის ვლადიმერ ჯიბლაძის მოხსენებას ოპერაციის შესახებ შემდეგი სახე ჰქონდა:

„...დენიკინელები სრულებით არ ელოდნენ ჩვენს შეტევას. ისინი სამარცხვინოდ გაიქცნენ. ჩვენმა ოფიცერმა ჩაჩიბაიამ 5 ჯარისკაცთან ერთად ტყვედ აიყვანა 50 ოფიცერი და ჯარისკაცი. ავჯანყებულთაგან მოდიოდნენ ჩვენთან წარმომადგენლები, რომლებიც გვთხოვდნენ, რომ დაგვეკავებინა მათი სოფლები, რადგან მოხალისეები აჩანაგებენ, ძარცავენ და ხოცავენ მათ. ამაზე ინგლისელები არავითარ ზომებს არ იღებდნენ. გვარდიელთა განწყობა საბრძოლოა და ისინი მზად არიან გააგრძელონ შეტევითი მოქმედებები, მაგრამ საველე შტაბი მაინცდამაინც არ უჭერს ამას მხარს.

მოხალისეები საბრძოლო ძალას არ წარმოადგენენ. ისინი განიცდიან სურსათისა და ტანსაც-მლის საჭიროებას. ტყვედ აყვანილია დაახლოებით 50 ოფიცერი, 200 ჯარისკაცი და 300-ზე მეტი ავადმყოფი. ტყვეთა გამომეტყველება საცოდავია.“

ბრიტანულმა სარდლობამ ქართველების მხრიდან საბრძოლო მოქმედებების განახლება სასტიკად დაგმო, რასაც როგორც გენერალ ტომსონის, ასევე გენერალ მილნის მწვავე რეაქციები მოჰყვა. საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების შელახვის მიუხედავად, ინგლისის სარდლობა თბილისისაგან თებერვლის „სტატუს კვოს“-ს მკაცრად დაცვას პირდაპირ და მიზანმიმართულად მოითხოვდა.

მდგომარეობის შემდგომი გართულების თავიდან აცილების მიზნითა და ბრიტანელების ჩარევით ქართული ქვედანაყოფების წარმატებული წინსვლა ადლერისა და სოჭისაკენ მდინარე ფსოუსთან შეჩერდა. იქ ბრიტანული სამხედრო გარნიზონი ჩადგა. ბრიტანული კონტინგენტის სარდალი კავკასიაში, გენერალი მილნი თვლიდა, რომ „ქართველთა მოქმედებები, ბრიტანელთა მიერ წაყენებული განკარგულებების პირდაპირი დარღვევა იყო.“

1919 წლის 21 მაისს საქართველოს მთავრობასა და „სამხრეთ რუსეთის მთავრობებს“ შორის მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო, რომელიც რამდენიმე დღე გაგრძელდა. მეტად ნიშანდობლივია, რომ გენერალ დენიკინის „მთავრობის“ სახელით ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა ბრიტანელთა სამხედრო წარმომადგენელი „დენიკინის მთავრობაში“ – გენერალი ბრიგსი. ცხადია, იგი აშკარად პროდენიკინურ პოზიციებზე იდგა და ქართული მხარისაგან გაგრის დაცლასა და ჯარების მდ. ბზიფის პოზიციებზე დაწევას მოითხოვდა.

საბოლოოდ, „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოსა“ და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სადემარკაციო ხაზი და „დე ფაქტო“ საზღვარი მდინარე ფსოუზე დაფიქსირდა. სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და „სამხრეთ რუსეთის მთავრობებს“ შორის ამით ამოიწურა.

მალე დენიკინმა თავისი პოლიტიკური და სამხედრო აქტივობა ჩრდილოეთისაკენ გადაიტანა და ბოლშევიკებთან სრულმასშტაბიან ბრძოლაში ჩაება. 1920 წლის დასაწყისისათვის კი „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა“ ბოლშევიკებთან ბრძოლაში სრული კრახი განიცადეს. მალე რუსეთში სამოქალაქო ომი დასრულდა. გენერალი ანტონ დენიკინი, მისი მემკვიდრე, გენერალი პეტრე ვრანგელი, „თეთრი მოძრაობის“ პოლიტიკური ლიდერები და ოფიცერთა კორპუსის დიდი ნაწილი ემიგრაციაში გადაიხვეწნენ.

1920 წლის გაზაფხულზე წითელი არმიის მეწინავე ნაწილები და შენაერთები მდინარე ფსოუსთან გამოჩნდნენ. 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მე-3 მუხლის I პუნქტის თანახმად ორ სახელმწიფოს შორის საზღვარი მდინარე ფსოუზე, ახახჩასა და აგანეთას მთებზე გავიდა.

1920 წლის 16 ნოემბერს საქართველოს მთავრობის სხდომამ დაადგინა: „...გაგრა და ბიჭვინთა მდინარე რიაპშამდე გამოიყოს გუდაუთის მაზრიდან და დაარსდეს გაგრა-ბიჭვინთა-ფსოუს სამხედრო რაიონი, რომელიც პირდაპირ დაექვემდებარება მთავრობას. ამ რაიონში დაინიშნოს მთავრობის საგანგებო კომისარი."

პოლიტიკური შედეგები: საქართველოს რეგულარული ქვედანაყოფებისა და გვარდიის რაზმების მიერ 1918.02-1919.04 პერიოდში აფხაზეთსა და შავიზღვისპირეთში ჩატარებული ბრძოლების შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში სტაბილიზაციას მიაღწია. აფხაზეთი, საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, კვლავ ქართულ სახელმწიფოს შემოუერთდა და რეგიონში საქართველოს პირველი რესპუბლიკის იურისდიქცია გავრცელდა.

ოფიციალური საზღვრის დაფიქსირება მდინარე ფსოუზე ე.წ. „სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოსა" და საქართველოს დემოკრატიულ რესუბლიკას შორის არსებული სოჭი-ტუაფსეს სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის მთავარი შედეგი იყო. ეს საზღვარი საბჭოთა რუსეთმა 1920 წლის 7 მაისს ოფიციალურად ცნო, მოგვიანებით კი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობასთან ერთად, – რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომაც.

სამხედრო-პოლიტიკური ანალიზი: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის თეთრი მოძრაობის ლიდერების – ალექსეევისა და დენიკინის „დობროარმია" უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენდა, ვიდრე ლენინისა და ტროცკის წითელი არმია. გენერალი დენიკინი ახლომხედველი პოლიტიკოსი აღმოჩნდა, როცა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობა დაასამარა და თავისი ცარისტულ-დერჟავული სტრატეგიით ნიკოლოზ II-ის პერიოდის რუსეთის იმპერიის აღდგენა 1914 წლის საზღვრებში განიზრახა.

„იმის მაგივრად, რომ ბოლშევიზმის სხვა მოწინააღმდეგეებთან (რუმინეთი, პოლონეთი, ბალტიისპირეთი და კავკასიის სახელმწიფოები, პილსუდსკი, მახნო, პეტლიურა და ყველა დანარჩენი) გამოენახა საერთო ენა, მან არა თუ ვერ მიიღო მათგან დახმარება, არამედ თავისი პროვოკაციული მოქმედებებით აშკარა მტრულ დამოკიდებულებაში შევიდა თავის პოტენციურ მოკავშირეებთან" – გენერალ დენიკინისა და მისი პოლიტიკის ეს შეფასება ცნობილ ბრიტანელ პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწეს, დოქტორ სერ ჰარი ლუკს ეკუთვნის, რომელიც 1920 წელს ბრიტანული მისიის უმაღლეს კომისარს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში.

სამხედრო თვალსაზრისით, 1919 წლის აპრილში ქართული მხარის მიერ დენიკინელთა წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლები ოპერაციის კარგად დაგეგმვით, მომზადებითა და აღსრულებით გამოირჩეოდა. ტაქტიკური თვალსაზრისით კი ეს იყო ქართული მხარის შეტევითი მოქმედება ფრონტალური და ფლანგური იერიშებით, მოწინააღმდეგის ძალებზე ღრმა ფლანგური მანევრის ჩატარებით. აღსანიშნავია ქართული მხარის მიერ მდინარე ბზიფის ზემოწელში ახალი ხიდის აგება, რამაც დააჩქარა მდინარეს ფორსირების ტემპები, გადაყვანილი ჯარების რაოდენობა, გაზარდა ჯარების სამანევრო სივრცე და შეტევის სიღრმე. ყოველივემ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართული მხარის წარმატება.

აღსანიშნავია ადგილობრივი, მათ შორის, არაქართული მოსახლეობის, ე.წ „მწვანეების" როლი დენიკინელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინეს შემტევ ქართულ ქვედანაყოფებს დაზვერვისა და ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით, დენიკინელთა ზურგში მოქმედებებითა და საკომუნიკაციო ხაზების პარალიზებით. ამ მხრივ, ადგილობრივი „მწვანეებისა" და ქართული საჯარისო ქვედანაყოფების შეთანხმებული სამხედრო მოქმედებები დენიკინელთა წინააღმდეგ კომბინირებული ომის თვალსაჩინო მაგალითებად შეგვიძლია განვიხილოთ პირველი ქართული რესპუბლიკის სინამდვილეში.

საერთო ჯამში, 1919 წლის აპრილის შეტევით მოქმედებებში სახალხო გვარდიისა და რეგულარული ჯარის ქვედანაყოფებმა ადგილობრივი „მწვანე" პარტიზანული რაზმების მხარდაჭერით დენიკინელთა აგრესია სწრაფად და ეფექტურად აღკვეთეს და აფხაზეთში ქართული სახელმწიფოს დე ფაქტო ხელისუფლება აღადგინეს.

§9. ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებები თურქული და ისლამური შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ 1918-1919 წლებში

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება: ძნელია უფრო მნიშვნელოვანი თარიღის დასახელება მსოფლიო ისტორიის სფეროდან, ვიდრე 1918 წელი იყო. ამ პერიოდში გლობალური სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა, რომ კაცობრიობის დიდი ნაწილისათვის უკიდურესად რთული აღმოჩნდა ამ მოვლენების ადეკვატურად აღქმა, მასში სრულყოფილად გარკვევა და შედეგების ობიექტურად შეფასება. მხოლოდ ამ ერთი წლის განმავლობაში ამიერკავკასიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სახე რამდენჯერმე შეიცვალა. რუსეთის იმპერიის ამ ყოფილ ნაწილში ათწლეულობით დაგროვილმა ნაციონალურმა, ეკონომიკურმა, სოციალურმა, იდეოლოგიურმა, ტერიტორიულმა და ყველა სხვა სახის გადაუჭრელმა პრობლემამ სწორედ ამ წელს იფეთქა განსაკუთრებული ძალით, რაც ამიერკავკასიის ხალხთა სისხლიან დაპირისპირებებში გამოიხატა. კალეიდოსკოპური სისწრაფით ჩნდებოდნენ სახელმწიფოები და მთავრობები, გამალებით იქმნებოდნენ ეროვნული შეიარაღებული ძალები, მყარდებოდა და უმალ ირღვეოდა სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები და კავშირები, ღია თუ ფარული ალიანსები. რეგიონის გადაუჭრელი ეთნო-ტერიტორიული და იდეოლოგიური პრობლემები კი მრავალი ლოკალური დაპირისპირებისა და ომის მიზეზად იქცა.

I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის პოლიტიკური, სამხედრო-პოლიტიკური, ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრებისა და მიზეზების კვლევას უამრავი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა, სადაც რუსეთ-თურქეთის ისტორიული დაპირისპირების ფონზე საფუძვლიანადაა გაშუქებული ყველა დასახელებული პუნქტი. ამ რაკურსში ვიტყვით მხოლოდ ერთს – მეფის (ცარისტული) რუსეთისა და ოსმალეთის (ოტომანთა) იმპერიების საუკუნეობრივმა მტრულმა დამოკიდებულებამ I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისით პიკს მიაღწია.

ოსმალთა იმპერიის სამხედრო-სამთავრობო ტრიუმვირატმა (სამხედრო მინისტრი – ისმაილ ენვერ ფაშა, სამხედრო-საზღვაო მინისტრი – აჰმედ ჯემალ ფაშა, შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი – მეჰმედ თალაათ ფაშა) და მისმა მთავარმა მოკავშირემ, კაიზერის გერმანიის სამხედრო სარდლობამ (გენერალი ლიმან ფონ სანდერსი) კავკასიის ფრონტის საომარი ოპერაციების სტრატეგიული დაგეგმვის, ჯარების საბრძოლო მზადყოფნისა და ოპერაციების აღსრულების თვალსაზრისით რუსეთის კავკასიის არმიის სარდლობასთან პაექრობა აშკარად წააგო (ფრონტის სარდალი – მეფისნაცვალი ამიერკავკასიაში, გენერალ-ადიუტანტი, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი, ფრონტის შტაბის უფროსი – გენერალი ნიკოლოზ იუდენიჩი).

სწორად დაგეგმილი საბრძოლო ოპერაციების შედეგად რუსეთის კავკასიის ფრონტის შენაერთებმა 1915-1917 წლებში ოტომანთა იმპერიის უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტები – არზრუმი, ტრაპიზონი, ერზინჯანი და ბაიბურთი დაიკავეს. გავიდნენ მუშთან, ბითლისთან და სტრატეგიული პლაცდარმი შექმნეს ცენტრალური ანატოლიის ზეგანზე გასასვლელად. ამავე დროს, ფაქტობრივად, ზურგში მოექცნენ მესოპოტამიის ფრონტზე მოქმედ თურქეთის მე-6 არმიას (სარდალი გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი) და მისი შენაერთები იზოლაციისა და გარშემორტყმის საშიშროების წინაშე დააყენეს. რუსეთ-თურქეთს შორის ისტორიული დაპირისპირების ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეს იყო რუსული სამხედრო შენაერთების ყველაზე უფრო ღრმა შეჭრა (250კმ-დე) ოსმალთა იმპერიის ტერიტორიაზე. მაგრამ პეტერბურგში მომხდარმა ბოლშევიკურ-ავანტიურისტულმა გადატრიალებამ სულ სხვა მიმართულება მისცა I მსოფლიო ომის შემდგომ მსვლელობას.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბოლშევიკებმა საერთო უბედურებისა და ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსის ფონზე წამოაყენეს კაცობრიობის ისტორიაში, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ოდიოზური და ანტიხალხური ლოზუნგი: „გადავაქციოთ მსოფლიო ომი სამოქალაქო ომად!“

„კლასთა ბრძოლის“, „პროლეტარიატის დიქტატურის“, „კომუნისტური ინტერნაციონალიზმისა“ და „მსოფლიო პროლეტერული რევოლუციის“ თეორიებით შეიარაღებული რუსეთის ბოლშევიკური მთავრობისა და მისი მეთაურის – ვლადიმერ ულიანოვ-ლენინის მოწოდებით 1917 წლის ბოლოდან დაიწყო I მსოფლიო ომის თეატრებზე მოქმედი რუსული სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების ფრონტებიდან მასობრივად მოხსნა და მათი პირადი შემადგენლობის რევოლუციურ

რელსებზე გადაყვანა. თუმცა ამ მოწოდებას სამხედრო მეთაურთა ნაწილი არ დაემორჩილა და ბოლშევიკურ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა.

1917 წლის 9 დეკემბერს ბრესტ-ლიტოვსკში, ერთი მხრივ, საბჭოთა რუსეთის, მეორე მხრივ კი გერმანიის, ავსტრო-უნგრეთის, თურქეთისა და ბულგარეთის მონაწილეობით დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები საბჭოთა რუსეთის ომიდან გამოსვლის თაობაზე. საბჭოთა მხარეს ა. იოფე ხელმძღვანელობდა. 15 დეკემბერს მოლაპარაკებები შეწყდა, მაგრამ მალევე განახლდა. ამჯერად საბჭოთა დელეგაციას რუსეთის საგარეო საქმეთა (მოგვიანებით — სამხედრო საქმეთა) სახალხო კომისარი ლევ ბრონშტეინ-ტროცკი ჩაუდგა სათავეში. ტროცკიმ უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე. შედეგი — „არც ომი, არც მშვიდობა".

1918 წლის 3 მარტს რუსეთის დელეგაციამ, ამჯერად გ. სოკოლნიკოვის ხელმძღვანელობით, ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის რუსეთისათვის სამარცხვინო, კაპიტულანტურ, ამიერკავკასიისათვის კი აბსოლუტურად მიუღებელ შეთანხმებას, რომლის ძალითაც, იგნორირება გაუკეთა რა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეროვნულ ინტერესებს, საბჭოთა რუსეთმა იურიდიულად აღიარა ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ტერიტორიების თურქეთისათვის გადაცემის ფაქტი. ჩვენთვის საინტერესო პუნქტებს კი ასეთი სახე ჰქონდა:

„პრეამბულა:

გერმანია, ავსტრო-უნგრეთი, ბულგარეთი და თურქეთი ერთი მხრივ, ხოლო რუსეთი მეორე მხრივ ვაცხადებთ, რომ საომარი მოქმედებების საგანი ჩვენს შორის ამოწურულია. აქედან გამომდინარე, ვიღებთ გადაწყვეტილებას ამ მომენტიდან ვიცხოვროთ მშვიდობასა და ურთიერთპატივისცემაში.

მუხლი IV

§2. რუსეთი ვალდებულია აღმოსავლეთ ანატოლიიდან დაუყოვნებლივ გამოიყვანოს ჯარები და დაუბრუნოს იგი მის კანონიერ მფლობელს — თურქეთს.

§3. არდაგანის, ყარსის, არზრუმის რაიონები და ბათუმი, ასევე, დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს რუსული ჯარებისაგან. რუსეთი არ უნდა ჩაერიოს აღნიშნული რაიონების ეროვნულ და საერთაშორისო ურთიერთობებში, რაც ადგილობრივი მოსახლეობის პრეროგატივაა. რეორგანიზაციები ამ რეგიონში უნდა გააგრძელონ მეზობელმა ქვეყნებმა და განსაკუთრებით თურქეთმა.

მუხლი XIV

წარმოდგენილი მოლაპარაკება რატიფიცირებულ უნდა იქნას შეძლებისდაგვარად სწრაფად ბერლინში წარსადგენად. რუსეთი იღებს ვალდებულებას, სამთა კავშირის ერთ-ერთი წევრის მოთხოვნისთანავე, ორი კვირის განმავლობაში მოახდინოს დოკუმენტის რატიფიცირება. მოლაპარაკება ძალაში შედის რატიფიცირებისთანავე".

ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბჭოთა რუსეთმა დროებით, მცირე ხნით და დიდი დანაკარგების ფასად, მაგრამ მაინც მოაგვარა საგარეო პრობლემები. ამით მას შესაძლებლობა მიეცა, გაეგრძელებინა ბრძოლა „ოქტომბრის მონაპოვრების" განმტკიცებისა და განვრცობისათვის.

ცარიზმის დამხობის შემდეგ ამიერკავკასიასთან მიმართებაში შეიქმნა ხელისუფლების ორგანოები — 1917 წლის 9 მარტს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი („ოზაკომი") რუსეთის სათათბიროს წევრის ა. ხარლამოვის თავმჯდომარეობით. 1917 წლის 11 ნოემბერს, ბოლშევიკთა მიერ რუსეთში ხელისუფლების მოპოვების შემდეგ, თბილისში ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის კომისარიატი (სეიმი) ნიკოლოზ ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

კავკასიის ფრონტზე, ისევე როგორც I მსოფლიო ომში აღმოსავლეთის ფრონტზე, ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელებამ უაღრესად უარყოფითად იმოქმედა ჯარების საბრძოლო და მორალურ მდგომარეობაზე. დაიწყო უმართავი პროცესები: ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შექმნა, გაუთავებელი მიტინგები, ბოლშევიკური აგიტაცია, ოფიცრებსა და ჯარისკაცებს შორის საწესდებო ურთიერთობების მოშლა, მასობრივი დაუმორჩილებლობა, დეზერტირობა, ოკუპირებული ტერიტორიებისა და მოსახლეობის ძარცვა-გლეჯა, სისხლიანი ანგარიშსწორებები. ასობით და

ათასობით ჯარისკაცმა მასობრივად დაიწყო ფრონტების მიტოვება და რუსეთში დაბრუნება რევოლუციური მონაპოვრების დაცვის საბაბით.

კავკასიის ფრონტმაც დაშლა დაიწყო. მთელი რუსეთი და ამიერკავკასია ქაოსმა მოიცვა.

1917 წლიდან კავკასიის ფრონტის სარდლის თანამდებობა ნომინალურად ეროვნებით რუს გენერლებს, ჯერ პრჟევალსკის, შემდეგ კი ლებედინსკის ეკავათ, მაგრამ რეალური ძალაუფლება ამიერკავკასიის მთავრობის მიერ ქართველ გენერალს, ილია ოდიშელიძეს ჰქონდა მინიჭებული.

ფრონტის ხაზის შენარჩუნებისათვის კავკასიის ფრონტის სარდლობის წინაშე ეროვნულ პრინციპზე აგებული შეიარაღებული ძალების შექმნის ამოცანაც დადგა. კავკასიის არმიის სარდლობა საბოლოოდ იმ აზრამდე მივიდა, რომ მხოლოდ მოტივირებულ ნაციონალურ შენაერთებს შეეძლოთ შექმნილი სიტუაციის გადარჩენა.

ქართული ეროვნული შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების პროცესიც კავკასიის ფრონტზე და მთლიანად რეგიონში განვითარებული პროცესების პარალელურად ვითარდებოდა. საერთო ქაოსთან საბრძოლველად და წესრიგის უზრუნველსაყოფად, 1917 წლის ბოლოს შეიქმნა „საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისია", რომლის მთავარ დანიშნულებას კავკასიის ფრონტიდან დაძრული რევოლუციურად განწყობილი ჯარისკაცთა მასებისაგან თბილისის დაცვა წარმოადგენდა. მოგვიანებით მას წითელი, შემდეგ სახალხო გვარდია ეწოდა. იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის საბრძოლო შენაერთს წარმოადგენდა და მისი სამეთაურო შემადგენლობაც ამ პარტიის აქტივისტებით იყო დაკომპლექტებული.

გვარდიის უმაღლეს მმართველ ორგანოს მთავარი შტაბი წარმოადგენდა, რომელსაც უცვლელად სოციალ-დემოკრატთა ერთ-ერთი ლიდერი ვალიკო ჯუღელი ედგა სათავეში. გვარდია პოლიტიზირებული, ფაქტობრივად, ერთპარტიულობის პრინციპზე აგებული პრეტორიანული შენაერთი იყო და მისი პირადი შემადგენლობის იდეოლოგიაც, როგორც რიგითი, ისე სამეთაურო შემადგენლობისა, გასაგები მიზეზების გამო სოციალისტური და ინტერნაციონალისტური უფრო იყო, ვიდრე ეროვნული. გვარდიას გააჩნდა რეგიონალური შტაბები, მუდმივი ნაწილები და დროებითი მობილიზაციის რაზმები.

ქართული რეგულარული ჯარის ჩამოყალიბების პროცესი რთულად მიმდინარეობდა. გენერალი გიორგი მაზნიაშვილი: „ქართული საარმიო კორპუსის ბირთვი 1917 წლის ბოლოს ფრონტიდან დაბრუნებული ორი ქართული პოლკი (ერთი ქვეითი, ერთი საკავალერიო) და ქუთაისში შემდგარი ერთი სათადარიგო ბატალიონი (ათასეული) უნდა გამხდარიყო".

საერთო ჯამში, ორგანიზაციულად, ქართული კორპუსი დივიზიურ-პოლკური სტრუქტურით, სამი ქვეითი დივიზიით განისაზღვრა. ქვეითი პოლკების პირადი შემადგენლობა 1200-1500 კაცს შეადგენდა. ქართული კორპუსის სარდლად თავდაპირველად სახელოვანი გენერალი, ვასილ გაბაშვილი დაინიშნა.

I ქვეითი დივიზიის ნაწილები დასავლეთ საქართველოში იყო დისლოცირებული, დივიზიის შტაბით ქუთაისში, ხოლო II დივიზიისა – აღმოსავლეთ საქართველოში, შტაბით თბილისში. 1918 წლისათვის მათ, შესაბამისად, გენერლები, გ. არჯევანიძე და გ. მაზნიაშვილი მეთაურობდნენ.

ოსმალთა სამხედრო აგრესიის დასაწყისი

I მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტზე თურქებს მე-3 არმია ჰყავდათ გაშლილი. 1916-1917 წლებში არმიამ რეორგანიზაცია განიცადა. მას სათავეში გენერალი მეჰმედ ვეჰიფ ფაშა ჩაუდგა. შემადგენლობა:

პირველი კავკასიური კორპუსი (მე-9, მე-10, 36-ე დივიზიები);

მე-2 კავკასიური კორპუსი (მე-5, მე-11, 37-ე დივიზიები);

პირადი შემადგენლობა – 45 000 კაცი. არტილერია – 160 ქვემეხი.

1917 წლის 17 ნოემბერს გენერალმა პრჟევალსკიმ ვეჰიბ ფაშასაგან მიიღო წინადადება სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და დროებითი ზავის დადების შესახებ. ვეჰიბ ფაშას ეს წინადადება ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე განიხილა და დაადგინა, მიეღო ოსმალთა წინადადება. დროებითი ზავის დადების მიზნით მოსალაპარაკებლად ერზინჯანში ამიერკავკასიის წარმომადგენლობითი დელეგაცია გაეგზავნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერკავკასია იწყებდა რუსეთისაგან დამოუკიდებელ დიპლომატიურ ურთიერთობას თურქეთთან და

იქმნებოდა პრეცედენტი საერთაშორისო არენაზე ახალი პოლიტიკური სუბიექტის გამოჩენისა. ამ მხრივ ოსმალებისთვის ხელსაყრელი მდგომარეობა იქმნებოდა. ოსმალეთის მოპირისპირედ აღმოჩნდა სამხედრო თვალსაზრისით სუსტი და პოლიტიკურად არამყარი ძალა. 1917 წლის 5 დეკემბერს ერზინჯანში ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება დაიდო.

ოსმალეთის პოლიტიკის სტრატეგიული ჩანაფიქრი ამიერკავკასიისათვის „დამოუკიდებლობის" ფარდის შექმნას ითვალისწინებდა, რათა ამ ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ სუბიექტთან მოლაპარაკება საერთაშორისო სამართლის ნორმებით „კანონიერი" ყოფილიყო. ასეთ ვითარებაში ოსმალეთი იმედოვნებდა, რომ შეძლებდა მოლაპარაკების დაწყებასა და საბოლოო შეთანხმებებისთვის მისთვის მისაღები პირობებით მიღწევას, ვინაიდან წინააღმდეგობის გამწევი რეალური პოლიტიკური ძალა მას არ ეგულებოდა. მოვლენების განვითარებამ ოსმალთა ეს სტრატეგიული ვარაუდი დაადასტურა. 1918 წლის 1 იანვარს გენერალმა ილია ოდიშელიძემ მიიღო ვეჰიბ ფაშას წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ოსმალეთი ამიერკავკასიას განიხილავდა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ენვერ ფაშას სახელით ითხოვდა, განემარტათ, თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება ამიერკავკასიის მთავრობასთან.

1917 წლის ბოლოდან კავკასიის ფრონტი ფაქტობრივად დაშლილი იყო და ნომინალურად სომხური და ქართული კორპუსებისაგან შედგებოდა. სომხურ კორპუსს ეკავა ძალიან გაწელილი ფრონტის ხაზი ვანის ტბა-ერზინჯანი-ტრაპიზონის დასავლეთით, ხოლო ქართველებს — ლაზეთის შავიზღვისპირეთის უბანი.

გასაკვირი იქნებოდა, რომ ენვერ ფაშას „ახალგაზრდა თურქთა" მთავრობას არ ესარგებლა რუსეთის რევოლუციით და არ გამოეყენებინა ეს შანსი პან-თურანული იდეის ფრთაშესხმისათვის კავკასიასთან მიმართებაში.

კავკასიის ფრონტის სარდლობა არ იყო მზად და უნარიც აღარ შესწევდა, ეფექტურად წინ აღდგომოდა თურქული შენაერთების გარდაუვალ წინსვლას. აღმოსავლეთისაკენ სვლა და თურქული ექსპანსია კი ოტომანთა იმპერიისათვის გარკვეული კომპენსაცია უნდა ყოფილიყო მესოპოტამიის ფრონტზე არაბული მიწების დაკარგვის სანაცვლოდ.

ოტომანთა მხრიდან აღმოსავლეთის მიმართულებაზე შეტევითი მოქმედებების დაწყების საბაბად კი თურქეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არზრუმსა და ერზინჯანში, სომხური კორპუსის ქვედანაყოფებისა და პარტიზანული რაზმების მოქმედებები იქცა, კერძოდ: ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის მასობრივი ძარცვა, ანგარიშსწორებები, დაუნდობელი ხოცვა-ჟლეტა.

ვეჰიფ ფაშამ რამდენჯერმე გააპროტესტა სომხური ქვედანაყოფებისა და შეიარაღებული ბანდების მიერ ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის სისხლიანი დარბევები და 1918 წლის 5 თებერვალს დაიწყო მე-3 არმიის შენაერთების შეტევითი ბრძოლები აღმოსავლეთის მიმართულებაზე. მე-5 და 36-ე დივიზიებმა სწრაფად შეძლეს ერზინჯანის ოკუპაცია, მალე კი სომხური კორპუსის ნაწილებმა ბაიბურთი და არზრუმი დატოვეს.

17 თებერვალს მეჰმედ ფაშამ შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა გენერალ ოდიშელიძეს: საფრონტო გზავნილი №15251, 17 თებერვალი, 1918 წელი. გენერალ ოდიშელიძეს.

კავკასიის არმიისა და ჩემი სახელით ვაცხადებ, რომ ჩემს მოვალეობად ვთვლი წინ აღვუდგე უდანაშაულო მუსლიმანი მოსახლეობის განადგურებას.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა.

მისი ბრწყინვალება გენერალი ვეჰიფ ფაშა, ოტომანთა კავკასიის არმიის სარდალი.

საომარი მოქმედებების შეჩერებაზე მოლაპარაკებები ამიერკავკასიის მთავრობასა და ოსმალთა წარმომადგენლებს შორის ტრაპიზონში დაიწყო, რომელიც მალე ჩიხში შევიდა. ოტომანთა არმიის მე-2 კორპუსმა თებერვლის ბოლოს ტრაპიზონიც აიღო, რომელსაც დემორალიზებული ქართული კორპუსის ქვედანაყოფები იცავდნენ.

ძალთა გადაადგილება, განლაგება, შეიარაღება: ოსმალთა წარმატებული სვლა გრძელდებოდა. ტრაპიზონის აღების შემდეგ შეტევითი მოქმედებები ორი, ბათუმისა და ალექსანდროპოლისის მიმართულებებზე განვითარდა. ვეჰიბ ფაშა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებასა და ყარსის, არდაგანისა (არტაანი) და ბათუმის დაცლას მოითხოვდა. ოსმალთა ჯარის შემოტევის პარალელურად აქტიურად ამოქმედდა სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობა — დაიწყო მოხალისეთა ე.წ. „ჩეთეს" რაზმების ჩამოყალიბება. მათ იარაღითა და

ოფიცრებით ოსმალეთი ეხმარებოდა. ოსმალები სწრაფად მიიწევდნენ წინ. მოწინააღმდეგის შეტევის ძირითადი მიმართულება ბათუმი იყო, რომელსაც 4000-მდე ოსმალო და 2000-მდე მოლაშქრე უტევდა „ჩეთეს" რაზმებიდან. ფრონტის ამ მიმართულებაზე ოსმალების პირისპირ განთავსებული იყო ქართული სამხედრო ფორმირებები. ბათუმის ციხესიმაგრე თავისი ფორტებით: „ანარია", „სამება", „კახაბერი", „ერგე", „ბარცხანა", „ბურუნთაბიე", „სტეფანოეკა" და სხვა. მთელი ეს სისტემა ერთიან გამაგრებულ რაიონს წარმოადგენდა. ციხესიმაგრის ფორტებზე 70-მდე ქვემეხი იყო განლაგებული.

1918 წლის მარტის დამლევს ბათუმის მისადგომებს იცავდნენ არასრულად დაკომპლექტებული სამხედრო ნაწილები – მესამე ცხენოსანი პოლკის ერთი ასეული; მეოთხე ქვეითი პოლკის სამი ასეული; გვარდიული რაზმი აფხაზავას მეთაურობით; 250-კაციანი ოფიცერთა რაზმი პოდპოლკოვნიკ დევიძის მეთაურობით; ბათუმის პოლკის ორი არასრული ასეული – სულ 80 კაცი; მეხუთე ქვეითი პოლკის ორი არასრული ასეული ოთხი ტყვიამფრქვევით პოლკოვნიკ შერვაშიძის მეთაურობით ზღვიდან იცავდა ბათუმს. 1918 წლის მარტისთვის ბათუმის ნავსადგურში რეიდზე იდგა ყოფილი რუსეთის იმპერიის სამხედრო სანაოსნო საშუალებები, რომლებიც ამიერკავკასიის მთავრობის კუთვნილებად გამოცხადდა. ესენი იყვნენ: დამხმარე კრეისერი „კაროლ-კარლი", ოთხი სადარაჯო კატარღა, ოთხი ერთეული მძიმე ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ჰიდროთვითმფრინავი (მათი საბრძოლო გამოყენება ვერ მოხერხდა ძრავების მოუწესრიგებლობის გამო).

ამ ძალების გარდა, დაწყებული მობილიზაციის საფუძველზე ყალიბდებოდა პირველი ქვეითი პოლკი გენერალ დავით ართმელაძის მეთაურობით, ქართველ ოფიცერთა ლეგიონი კაპიტან ლორთ-ქიფანიძის მეთაურობით, მესამე ცხენოსანთა პოლკის მეორე ასეული და სამთო-ცხენოსანი ბატარეა.

არსებული ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, ბათუმის თავდაცვის შტაბის ხელმძღვანელი გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი მიიჩნევდა, რომ პირადი შემადგენლობა სახალხო ლაშქართან ერთად, სულ 12000 კაცი, საკმარისი იქნებოდა ბათუმის შენარჩუნებისათვის. ამასთანავე, სამხედრო ხელმძღვანელობა მიიჩნევდა, რომ რეზერვის თავმოყრა აუცილებლად ჩაქვის რაიონში უნდა მომხდა-რიყო, რომ გარედან შემოვლის შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ბათუმის ალყაში მოქცევა ვერ მოეხერხებინა. მტრის ზემოაღნიშნული რაოდენობა ვერ ჩაითვლებოდა ქალაქის გარნიზონისათვის სერიოზულ მოწინააღმდეგედ, მაგრამ სამოქალაქო ხელმძღვანელობის თვითნებობა და სამხედრო ოპერაციების მართვაში უხეში ჩარევა (ნ. რამიშვილი, ა. ჩხენკელი, ე. გეგეჭკორი და სხვა) აშკარა დაუდევრობაში გადაიზარდა.

გენერალი გ. კვინიტაძე წერს: „ოფიცრები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ჯარისკაცებ-ისათვის აეხსნათ თუ რა სერიოზული საკითხი იდგა ქართველების წინაშე, მაგრამ ყურს არაკინ იბერტყავდა. ამგვარად, ქართველს დაავიწყდა გამბედაობა და ვაჟკაცობა წინაპრებისა, რომლებიც ათეული საუკუნეობით სიცოცხლეს წირავდნენ და გააფთრებულად იცავდნენ სამშობლოს საზღვრებს.

მთავრობის წევრნი მოდიოდნენ ბათუმში პოზიციების დასათვალიერებლად, მაგრამ იმის მაგივრად რომ აეხსნათ ჯარისკაცებისათვის რა ხიფათი მოელოდა საქართველოს, შეიარაღებული მტრის თვალწინ მართავდნენ განუწყვეტელ მიტინგებს და ელაპარაკებოდნენ რევოლუციის მონაპოვრებზე. ეს თემა ჯარისკაცებს უკვე მობეზრებული ჰქონდათ, მთავრობის წევრთა გაუთავებელი სიტყვები მათზე აღარავითარ შთაბეჭდილებას აღარ ახდენდა.

ცხადი იყო ერთი, რომ ჯარისკაცს დავიწყებული ჰქონდა დისციპლინა, მოვალეობა და მხოლოდ თავისთავის გადარჩენაზე ფიქრობდა".

ქართული ქვედანაყოფების მასობრივი დემორალიზაციისა და საბრძოლო სულისკვეთების მოშლის ფონზე, ოსმალებმა თითქმის უბრძოლველად დაიკავეს მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირი, აგრეთვე ქართული საარმიო ნაწილების მიერ მიტოვებული ერგეს მთა. მუსლიმან მოხალისეთა „ჩეთეს" რაზმებმა ჩაქვის მთიანი ზოლიდან შემოვლით დაიკავეს სოფელი ხალთა, მალე დაეცა „ერგეს" ფორტიც, გადაიკეტა სამტრედიისაკენ მიმავალი სატრანსპორტო მაგისტრალები და სარკინიგზო ხაზი, მხოლოდ ზღვის მონაკვეთი იყო საიმედოდ ჩაკეტილი. 10 აპრილს ვეჰიბ ფაშას მიერ გამოგზავნილმა ოფიცერმა ბათუმის კომენდანტს, გენერალ ზაქარია მდივანს ულტიმატუმი გადასცა, რომელიც 48 საათის განმავლობაში ქალაქის დაცლასა და საქართველოს ჯარების გაყვანას 1877 წლის საზღვრებში მოითხოვდა. ამავე დღეს მეამბოხე გაბოლშევიკებული მეზღ-ვაურების გავლენით კრეისერი „კაროლ-კარლი" და სამხედრო-სანაოსნო საშუალებების დიდი

ნაწილი საზღვაო რეიდიდან თვითნებურად მოიხსნენ, ბათუმის აკვატორია დატოვეს და ზღვაში გავიდნენ. პარალელურად, აჭარისწყლის მაღლობები და ბორჩხა-მარადიდის მიმართულება ოსმალთა მომხრე „ჩეთეს" რაზმებმა მთლიანად გადაკეტეს. ბათუმი ზღვიდან მთლიანად დაუცველი აღმოჩნდა. მიუხედავად შექმნილი მძიმე ოპერატიული და ტაქტიკური ვითარებისა, ბათუმის დაცვის ხელმძღვანელობამ ულტიმატუმის პირობების მიღებაზე უარი განაცხადა.

13 აპრილს ოსმალებმა ბათუმზე შეტევა განაახლეს და ბათუმის სიმაგრის მესამე დაცვით ხაზს სამი მხრიდან შეუტიეს: სოფელ ერგედან კახაბრის ფორტს, ჭოროხის პირიდან ზღვის სანაპიროს გასწვრივ და სოფელ ფერიადან ანარიის ფორტს. თუმცა ოსმალთა პირველი შეტევის მოგერიება მოხერხდა. ქართველმა სამხედრო ხელმძღვანელებმა ძალების გადაჯგუფება და კონტრშეტევის დაწყება შეძლეს. ზღვის სანაპიროსა და ანარიის ფორტის უბნებზე ოსმალებმა უკან დაიწიეს. 14 აპრილს ვითარება შეიცვალა. ბათუმის მთელ გარნიზონში გავრცელდა დეზინფორმაცია მხარეთა შორის დაზავებისა და საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. შედეგად, ბათუმის გორაკების კალთებიდან, ასევე ჭოროხის ნაპირებიდან ქართული სამხედრო დანაყოფები მოიხსნნენ და ქალაქისაკენ უსისტემოდ დაიძრნენ. მხოლოდ ანარიის ფორტის მებრძოლთა ასეული კაპიტან შავგულიძის მეთაურობით იცავდა პოზიციებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. მეთაურთან ერთად გმირულად დაეცნენ კაპიტანი დოლიძე, პრაპორშჩიკები ხარაიძე, ვანიძე და სხვები.

ფრონტის ხაზმა რკინიგზის საბარგო სადგურთან გადმოინაცვლა. ბათუმის ევაკუაცია სტიქიურად ჩატარდა, ამის გამო ქალაქიდან რამდენიმე სამხედრო ნაწილი ვერ გაიყვანეს და ისინი ტყვედ ჩავარდნენ. ტყვედ ჩავარდნენ, აგრეთვე, გენერლები ალექსანდრე გედევანიშვილი და გენერალი ზაქარია მდივანი.

დარჩენილმა ქართულმა ქვედანაყოფებმა უკან დაიხიეს მუხაესტატეს პოზიციებზე, იქ სადაც ყირიმისა და 1877-1878 წლების ომში წარმატებით იბრძოდნენ ქობულეთსა და ოზურგეთს შორის. ამასობაში ზღვის დაუცველ მონაკვეთზე ოსმალებმა ბათუმის აკვატორიაში დესანტი გადასხეს — ჰალიპოლისის დივიზიის ქვედანაყოფები. აშკარად ჩანდა, რომ ოსმალები საქართველოს სიღრმეში შემოჭრისათვის საფუძვლიანად ემზადებოდნენ.

ტაქტიკური ანალიზი: ბათუმის დაცვისას გამოყენებული იყო პასიური თავდაცვის სისტემა, კარგა ხნის მოძველებული „საკორდონო სტრატეგია", რაც ითვალისწინებდა საფორტიფიკაციო საინჟინრო ნაგებობების დახმარებით მტრის შემოტევის შესაძლო მიმართულებების გადაკეტვას. არ იყო ორგანიზებული აქტიური თავდაცვა. ტექნიკური გაუმართაობის გამო ვერ გამოიყენეს 4 ჰიდროთვითმფრინავი. ტაქტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უარყოფითად იმოქმედა საბრძოლო ხომალდების მიერ ბათუმის აკვატორიის თვითნებურად დატოვებამ და ბრძოლაგამოვლილ ჯარისკაცებში დისციპლინის დაბალმა დონემ. ყოველივემ ამან კი ბათუმის დაკარგვა განაპირობა.

საერთო ჯამში, ქართული მხარის წარუმატებლობა და ბათუმის დაცემა რამდენიმე ფაქტორმა გამოიწვია:

— პირადი შემადგენლობის რევოლუციურმა განწყობამ და უდისციპლინობამ;
— არაკომპეტენტური სამოქალაქო ხელისუფლების სამხედრო საქმეში ჩარევამ (ოპერაციის მართვა) და მათ მიერ გადაწყვეტილებების მიღებამ;
— თავდაცვის მოძველებულმა. სისტემამ, ე.წ. „საკორდონო სტრატეგიამ" (მტრის შემოტევის შესაძლო მიმართულებების გადაკეტვა);
— ქართული მხარის არაკოორდინირებულმა მოქმედებებმა;
— ადგილობრივი მოსახლეობის, ე.წ. „ჩეთეს" რაზმების მოქმედებებმა;
— საბრძოლო საშუალებების (ჰიდროთვითმფრინავები) გაუმართაობამ;
— ბათუმის აკვატორიიდან კრეისერ „კაროლ კარლის" თვითნებურმა მოხსნამ.

სამოქმედო რაიონი: 1918 წლის 11 მაისიდან სამშვიდობო კონფერენციამ ტრაპიზონიდან ბათუმში გადაინაცვლა. წარმატებული სამხედრო მოქმედებების ფონზე თურქული დელეგაციის ხელმძღვანელმა რაუფ ორბეიმ და გენერალმა ვეჰიბ ფაშამ განაცხადეს, რომ თურქთათვის ძველი პირობები მისაღები აღარაა. ამიერკავკასიის დელეგაციას მათ ახალი მოთხოვნები წაუყენეს:

— თურქთა მიერ ახალციხის, ახალქალაქისა და ალექსანდროპოლისის ოკუპაცია;
— ალექსანდროპოლისი-ეჩმიაძინი-ნახიჭევანი-ჯულფას რკინიგზის ხაზზე კონტროლის დამყარება თურქული ქვედანაყოფების ჩრდილოეთ ირანში გადაყვანის მიზნით;

— ამიერკავკასიის მთელი რკინიგზის ხაზის კონტროლი ბრიტანელებთან ომის დასრულებამდე;

მესხეთის ქედის დასავლეთით რელიეფი ძირითადად მთიანია, აქ უხვადაა ქედები და მთიანი მასივები. ქედები სხვადასხვა მიმართულებით მიემართება და ზოგან მაღალ პლატოებს, ზოგან კი შედარებით დაბალ ზეგნებს ქმნის. რეგიონში მრავლადაა მდინარეები: ჭოროხი, ჩაქისწყალი, კინტრიში, ჩოლოქი, ნატბეური და სხვა, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინება. ფორსირებისათვის (კავალერიისა და არტილერიის ჩათვლით) ზოგიერთი მათგანი ხელსაყრელი იყო მცირეწყლიანობის დროს, ნატბეურისა და სუფსას გამოკლებით, რომელთა კალაპოტი მიხვეულ-მოხვეულია და ფართო. რელიეფი მდიდარია ტყეებითა და მწვანე საფრით. მრავლადაა დაჭაობებული ადგილებიც.

საბრძოლო მოქმედებათა რაიონი მაგისტრალური გზებით ცუდად იყო უზრუნველყოფილი. ერთლიანდაგიანი რკინიგზა კი მიუყვებოდა შავი ზღვის სანაპიროს ბათუმი-ფოთისა და ბათუმი-სამტრედიის მიმართულებით. რეგიონი საავტომობილო გზების ქსელით ღარიბი იყო, ჯარებისა და არტილერიის ოპერატიულად გადაადგილებისათვის ნაკლებად მოსახერხებული. ყოველივე აღნიშნული საომარი მოქმედებების შემთხვევაში ჯარების სწრაფად გადაჯგუფებას ართულებდა და მანევრირების შესაძლებლობასაც მნიშვნელოვნად ზღუდავდა, როგორც საბრძოლო მოქმედებების, ისე მათი ლოგისტიკური უზრუნველყოფის მხრივ. აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილმდებარეობა ხელსაყრელი იყო სარეიდო რაზმების გამოყენებისა და ჩასაფრებებისთვის.

შემდგომი ვითარება: ქართული მხარის ამოცანა იყო ოსმალეთის ჯარების წინსვლის შეჩერება, რათა მათ მდინარე ჩოლოქი არ გადმოელახათ. ბათუმის დაკარგვით საქართველომ მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი დაკარგა — ერთადერთი ნავსადგური, ევროპაში გასასვლელი კარიბჭე. ჩოლოქის გადალახვის შემდეგ ოსმალებს შეტევის ორი მიმართულებით დაწყების შესაძლებლობა ეძლეოდათ: ბათუმი-ფოთი, ბათუმი-ოზურგეთი, რომლის შეჩერებაც მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვდა.

სამხედრო ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მდინარე ჩოლოქისა და ნატანების ნაპირებზე წმინდა ნიკოლოზის ფორტიდან სოფელ შემოქმედამდე გამაგრებული თავდაცვითი რაიონი მოეწყოთ. ამ უბანზე ფრონტის სიგრძე 24 კმ-ს შეადგენდა. ფრონტის ხელმძღვანელობა მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაურს, გენერალ გიორგი მაზნიაშვილს დაევალა. სივრცე ჩოლოქსა და ნატანებს შორის გაშლილი და რელიეფურად დაუცველი იყო. პირადი შემადგენლობის სიმცირის გამო, პრაქტიკულად გამორიცხული იყო წინ წაწევა და კინტრიშის პოზიციაზე გამაგრება.

ჩოლოქი-ნატანების პოზიციას მხოლოდ ერთი უპირატესობა ჰქონდა: ზღვის სანაპირო ზოლიდან ოზურგეთამდე, მდინარე ჩოლოქისა და მდინარე ნატანების ნაპირები ჭაობიანი იყო და არტილერიისა და კავალერიისათვის თითქმის გაუვალი. ფრონტის მარჯვენა მხარე გრძელდებოდა და ემიჯნებოდა შავ ზღვას, რომლის მაღალი კონტინენტური შელფი მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო საშუალებებს ნაპირთან მიახლოების შესაძლებლობას არ აძლევდა. ფრონტის მარცხენა ფრთას აჭარის მთების სიმაღლეებამდე თავისუფალი გასასვლელი მხოლოდ ორი მიმართულებით ჰქონდა: ჩოლოქისა და ნატანების ხიდებით და მარცხენა მხარეს ლიხაურის ხეობით ქალაქ ოზურგეთამდე. სავარაუდოდ, სწორედ ამ მიმართულებებზე მიიტანდნენ იერიშს ოსმალები.

15 აპრილის მდგომარეობით, გ. მაზნიაშვილის განკარგულებაში სამტრედიიდან 3 ეშელონით ფრონტის ხაზზე გადაიყვანეს დამატებითი ძალები. კერძოდ: პარტიზანული რაზმი შეიარაღებული შაშხანებითა და 4 ტყვიამფრქვევით, მეთაური ა. ფურცელაძე; შორაპნის მუშათა რაზმი — 84 კაცი (ძირითად ავანგარდს შეადგენდა); 1 საარტილერიო ბატარეა 6 ზარბაზნით კაპიტან კარგარეთელის მეთაურობით ორ პოზიციაზე განლაგდა სადგურ ნატანების უკან მარჯვნივ და მდინარე ნატანების ხიდთან; გენერალ მაზნიაშვილის განკარგულებაში გადავიდა 1 ჯავშანმატარებელი ვალოდია გუგუაძის მეთაურობით.

ბრძოლის მსვლელობა: ოსმალები ბათუმიდან გამოსვლას არ ჩქარობდნენ. ამან საშუალება მისცა გენერალ მაზნიაშვილს, მისდამი დაქვემდებარებული სამხედრო დანაყოფები ხელსაყრელ პოზიციებზე განლაგებინა. მდინარე ჩოლოქის მარჯვნივ, ზღვის ნაპირამდე განლაგდა შორაპნის მუშათა რაზმი. ჩოლოქის ხიდის მარცხენა მხარეს პოზიცია დაიკავა ე.წ. პარტიზანულმა რაზმმა ფურცელაძის მეთაურობით. ორივე რაზმს მიეცა ბრძანება, დაუყოვნებლივ დაეწყოთ სანგრების გათხრა და დამცავი ღობურების მომზადება. სააგიტაციო მუშაობა ჩატარდა ადგილობრივ მოსახლეობასთან, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საბრძოლო

პოზიციებზე გამოვიდოდა ყველა, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო. ამ მომენტიდან დაიწყო პარტიზანული რაზმების ფორმირება და ფრონტის მთელ პერიმეტრზე სანგრების მომზადება.

2 აპრილის დილისთვის გენერალი გ. მაზნიაშვილი უკვე აკონტროლებდა პოზიციებს თითქმის 16 ვერსის (17 კმ.) მანძილზე სადგურ ნატანებიდან სოფელ ვაშლარამდე.

გენერალი მაზნიაშვილი წერს: „2 აპრილს დილით მე უკვე დაჭერილი მქონდა ყველა პოზიციები სოფელ ვაშნარამდე, რომელიც მდებარეობს სადგ. ნატანებიდან 16 ვერსის მანძილზე. მართალია, პოზიციებს შორის ზოგიერთი ადგილი გაუმაგრებელი იყო, მაგრამ ყოველ წუთას ველოდი ტფილისიდან დამხმარე ჯარებს.

მე კარგად მქონდა შესწავლილი ფსიხოლოგია ქართველი მეომრისა, კარგად ვიცოდი, რომ თუ გავუძლებდით მტრის პირველ იერიშს, ჩემი ჯარები იბრძოლებდნენ ბოლომდე, მაგრამ თუ პირველი შეტაკებისთანავე შედრკებოდნენ, მაშინ გამეორდებოდა ბათუმის ისტორია და იძულებული გავხდებოდი დამეხია სამტრედიისაკენ და იქ კლავ მეწყო შეგროვება გაფანტული ჯარებისა, რომელიც ასეთი სიძნელით იქნა შეგროვილი ასეთ მოკლე ხანაში“.

სადგურ სამტრედიაში საინტენდანტო და სანიტარული ნაწილები განთავსდა. გენერალმა ვ. გაბაშვილმა კორპუსის შემადგენლობიდან მიავლინა რამდენიმე კადრის ოფიცერი გენერალ გ. მაზნიაშვილთან შტაბის დაკომპლექტების, მოლაშქრე რაზმებისა და პარტიზანული მოქმედებების ხელმძღვანელობისათვის. პოლკოვნიკ ს. ყარალაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი მეორე პოლკის მებრძოლები სადგურ ლანჩხუთში შევსებისა და რეზერვში მომზადებისათვის გადაიყვანეს.

გენერალმა მაზნიაშვილმა ხორცი შეასხა მოულოდნელობის პრინციპზე დაფუძნებულ ტაქტიკურ ჩანაფიქრს. მისი ბრძანებით, ჩოლოქის ხიდიდან ტყიან მასივში რკინიგზის ხაზის მოკლე განშტოება ერთ დღე-ღამეში აიგო, სადაც ჯავშანმატარებელი ფარულად შეიყვანეს.

15 აპრილს ჩოლოქის პოზიციებს 1300-კაციანი მოხალისეთა რაზმი დაემატა ხაშურიდან. 5 აპრილს კიდევ ერთმა დანაყოფმა, ცხენოსანთა ბატარეამ პორუჩიკ ყარაევის მეთაურობით ბათუმიდან ბრძოლით გამოაღწია და სადგურ სუფსასთან დაიკავა პოზიცია. გენერალ გ. მაზნიაშვილის ბრძანებით ეს ბატარეა ოზურგეთში პოლკოვნიკ ს. წერეთლის განკარგულებაში გადაიყვანეს.

16 აპრილს, გამთენიისას, 3 საათზე ოსმალები ოჩხამურის ხიდთან გამოჩნდნენ. ბრძოლაში ქართული არტილერია ჩაერთო. სანგრებში მყოფ მებრძოლებს ბრძანება მიეცათ, არ ესროლათ, სანამ მტერი ველზე ტყიან მასივსა და მდინარე ჩოლოქს შუა არ გაიშლებოდა. ოსმალები ბრძოლას გაერიდნენ და ოჩხამურისა და მდინარე ჩოლოქს შორის მდებარე ტყის მასივს შეეფარნენ, რაც ჯავშანმატარებლის პოზიციისთვის ხელსაყრელი იყო. საბრძოლო ასპარეზზე ჯავშანმატარებლის გამოჩენა მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ოსმალებმა ეშმაკობა იხმარეს: მატარებლის საწინააღმდეგოდ მძიმე დრეზინა (რკინიგზაზე ტექ. დარღვევის გამოსავლენი მოწყობილობა) გაუშვეს, იგი მატარებლის წინ მიმავალ პლატფორმას შეეჯახა და პლატფორმასა და ლიანდაგს შორის ჩაიხერგა. სანგარში მყოფი ჯარისკაცები ბრძანების შესაბამისად დუმდნენ. დუმდა ჯავშანმატარებელიც. ეს ერთგვარი ცრუ მანევრი იყო. ოსმალებმა იფიქრეს, ქართულმა ჯარის ნაწილებმა სანგრები მიატოვეს და გაიქცნენო. მათ გადაწყვიტეს, უმოქმედოდ მყოფი ჯავშანმატარებლისთვის ალყა შემოერტყათ. როდესაც ველზე ოსმალო ასკერები (თურქი ჯარის-კაცი) გამოეფინნენ, ჯავშანმატარებლიდან მათ ყველა საბრძოლო საშუალებიდან მოულოდნელი ცეცხლი გაუხსნეს. ბრძოლაში სანგრებში განლაგებული სამხედრო დანაყოფებიც ჩაებნენ. ოსმალებმა უკან დახევა დიდძალი დანაკარგით დაიწყეს. ქართველი მებრძოლები კონტრიერიშზე ორგანიზებ-ულად გადავიდნენ. ტყვიამფრქვევებისა და ჯავშანმატარებლის საშტატო საბრძოლო იარაღის მხარდაჭერით კონტრიერიში ოჩხამურამდე გაგრძელდა.

ქართულ მხარეს 4 ჯარისკაცი მოუკლეს, დაიჭრა 30 მებრძოლი. ოსმალთა საბრძოლო დანაკარგები კი ძალიან დიდი იყო – 1000-ზე მეტი მოკლული. დაზვერვის მონაცემებით, 16 აპრილს ქობულეთიდან ბათუმის საველე ჰოსპიტალში 600-ზე მეტი დაჭრილი ოსმალო გადაიყვანეს. ოჩხამურ-ნატანების ოპერაციაში ოსმალებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. ქართველების ეს მნიშვნელოვანი გამარჯვება ბათუმისა და მისი მიმდებარე ტერიტორიებისთვის წარუმატებელი ბრძოლის პირველი ეტაპის რეანში იყო.

ტაქტიკური ანალიზი: ოჩხამურ-ნატანების ბრძოლის დროს გენერალმა გ. მაზნიაშვილმა გონივ-რულად მოაწყო თავდაცვითი პოზიციები და ეფექტურად გამოიყენა თავდაცვის შემადგენელი

ელემენტი — კონტრიერიში. თავდაცვისას მდგრადობის გაზრდის მიზნით ჯარებმა ჩასანგრება დაიწყეს. საინჟინრო დაბრკოლებების (მავთულხლართები) გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა მოწინააღმდეგის ძალთა სამანევრო სივრცე და გადაადგილების ტემპი.

ჩოლოქის ბრძოლაში ქართული მხარის წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები:

— თავდაცვითი პოზიციების სწორად შერჩევა;
— პოზიციების მომზადება (ინდივიდუალური და ჯგუფური სანგრები, ბლინდაჟები, გადამღობი ღობურები);
— ძალებისა და საშუალებების სწორად განაწილება;
— მოწინააღმდეგისათვის სამანევრო სივრცის შეზღუდვა;
— ჯავშანმატარებლის შენიღბვა და მისი ცრუ მანევრი;
— ჯავშანმატარებლის საბრძოლო საშუალებების ეფექტურად გამოყენება;
— ქართული ქვედანაყოფების კონტრშეტევაზე გადასვლა;

ოზურგეთისა და ახალციხის მიმართულება: ოჩხამურ-ნატანების წარმატებული ოპერაციის პარალელურად, ქართული მხარისათვის დრამატულად განვითარდა მოვლენები ფრონტის მარცხენა (ოზურგეთის) უბანზე, რომელსაც პოლკოვნიკი ს. წერეთელი ხელმძღვანელობა. მის დაქვემდებარებულ ძალებს ძირითადად მე-4 ქვეითი პოლკის ქვედანაყოფები შეადგენდნენ. პოზიციები განალგებული იყო სოფელ ლიხაურთან, შემოქმედთან და ვაშნარის გზის გასწვრივ. მაგრამ ღამით მათ ზურგიდან მოუარეს მუსლიმანთა „ჩეთეს" რაზმებმა, ხოლო გამთენიისას სილაურ-ლიხაურის გზით შემოუტიეს ოსმალთა რეგულარულმა ნაწილებმა. მე-4 პოლკის ქვედანაყოფებმა თითქმის უბრძოლველად მიატოვეს პოზიციები და პოლკოვნიკ ს. წერეთლის ბრძანებით ნასაკირალისაკენ დაიხიეს. მათვე გაჰყა მოსახლეობა. 19 აპრილს ოსმალებმა უბრძოლველად დაიკავეს მიტოვებული ოზურგეთი.

ოზურგეთის დაკარგვით სტრატეგიულად ურთულესი ვითარება შეიქმნა. ოსმალებს უკეთესი პოზიციები ჰქონდათ. მათ შეეძლოთ ნასაკირალის უღელტეხილის გვერდის აკლით და შემოქმედი-ხიდისთავი-ჩოხატაურის გავლით სამტრედიასა და საჯავახოში შეჭრილიყვნენ და ოჩხამურ-ნატანების რაიონში მოქმედი გენერალ გ. მაზნიაშვილის ნაწილები ალყაში მოექციათ, შემდეგ კი საჯავახოს მხრიდან მდინარე რიონის ვაკე რელიეფის გამოყენებით ქუთაისის მიმართულებით შეტევა დაეწყოთ. მაგრამ მდინარე ჩოლოქთან განცდილი მარცხით შეყოვნებულმა ოსმალებმა ვითარების სრულად გარკვევამდე თავისი ჯარების წინსვლა ოზურგეთში შეაჩერეს. გენერალ გ. მაზნიაშვილს ამით საპასუხო ზომების მიღების საშუალება მიეცა. კერძოდ, პოლკოვნიკი ს. წერეთელი პირველ მსოფლიო ომში მებრძოლი სახელგანთქმული გენერლით გრიგოლ სუმბათაშვილით შეცვალა და მეორე ქვეითი პოლკის ბატალიონებით ნასაკირალის მიმართულებით სწრაფი მარში განავითარა, რომელსაც პოლკოვნიკი ს. ყარალაშვილი მეთაურობდა. ნაგომარის უღელტეხილი კი ახალციხის ფრონტიდან გადმოყვანილმა ე.წ. „ფედერალისტთა" რაზმმა გაამაგრა.

24 აპრილს დილით ქართულმა საჯარისო ნაწილებმა გენერალ გ. მაზნიაშვილის მეთაურობით ოზურგეთის მიმართულებით კონტრშეტევა დაიწყეს. ოსმალები თანდათან ყოველი მხრიდან შევიწროვდნენ, ისინი ოზურგეთის დატოვებას აპირებდნენ, მაგრამ მოვლენების განვითარებაზე ზეგავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებამ მოახდინა. გენერალ მაზნიაშვილს მთავრობის ბრძანება მოუვიდა, რომლითაც სამხედრო მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას სთხოვდნენ, ვინაიდან გერმანელების პოლიტიკური ზეწოლის გამო ოსმალები დროებით ზავზე და ტრაპიზონში შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკების ბათუმში განახლებაზე დათანხმდნენ.

ქართული მხარისათვის მძიმე შედეგებით დასრულდა ოსმალური ნაწილების შემოტევა ახალციხის მიმართულებაზეც. მაისის შუა რიცხვებისათვის თურქული ნაწილები სამცხე-ჯავახეთში შევიდნენ და, მცირე ბრძოლების შემდეგ, 16-18 მაისს ახალციხე-აბასთუმნისა და ბოგდანოვკა-ახალქალაქის ოკუპაცია შეძლეს. ახალციხეში თურქულმა ავანგარდმა ჩრდილოეთისაკენ წაიწია და მდინარე მტკვრის გასწვრივ აწყურს მიაღწია, ახალქალაქში აღმოსავლეთის მიმართულებაზე კი — ტაბაწყურის ტბას. 1918 წლის მაისის ბოლოსათვის ქართული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი თურქებს ჰქონდათ ოკუპირებული.

გერმანელები ამიერკავკასიაში: თურქთა სამხედრო წარმატებები კავკასიაში შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მათ დიდ მოკავშირეებს — გერმანელებს. ისინი ინდიფერენტულნი არ დარჩენილან თურქთა ექსპანსიის მიმართ. 1918 წლის აპრილისათვის გერმანელებს უკვე ოკუპირებული ჰქონდათ

უკრაინა და შავი ზღვის ჩრდილოეთ რეგიონი. 20 აპრილისათვის კი მათ ხარკოვს მიაღწიეს და მალე სევასტოპოლსა და როსტოვშიც შეეიდნენ. კავკასიასა და საქართველოსთან მიმართებაში მათ კონკრეტული მიზნები ამოძრავებდათ — ნავთობი, მანგანუმი, ქვანახშირი, სხვა ნედლეული. და ყველაზე მთავარი — გერმანელებისათვის მიულებელი აღმოჩნდა ის, რომ ოსმალური შენაერთების ამიერკავკასიაში შეყვანით, მნიშვნელოვნად შესუსტდა გერმანული პოზიციები პალესტინის ფრონტზე. ამას ხაზგასმით აღნიშნავდა გერმანიის საიმპერატორო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი, ფელდმარშალი ერიხ ლუდენდორფი.

ბათუმის სამშვიდობო კონფერენციაში აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის დელეგაცია გენერალ ოტო ფონ ლოსოვის ხელმძღვანელობით. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა აკაკი ჩხენკელმა ფონ ლოსოვს თურქთა აგრესიის აღკვეთაში დახმარება თხოვა. ეს საკითხი დადებითად გადაწყდა. ამ გადაწყვეტილების მიღებაში იმ ქართულ-გერმანულმა ურთიერთობებმაც ითამაშეს როლი, რომელიც I მსოფლიო ომის დაწყებამდე ჩაისახა, როდესაც ქართველმა ეროვნულ-დემოკრატებმა მკვეთრად პროგერმანული პოზიცია დაიკავეს. ისინი რუსეთის იმპერიისაგან თავის დაღწევისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის ერთადერთ რეალურ გზად მომავალ ომში გერმანიის გამარჯვებას თვლიდნენ. ამ მიზნის მისაღწევად მზად იყვნენ, იარაღის მოწოდების შემთხვევაში 50 000-იანი ქართული შენაერთი რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გასულიყო.

გერმანული დელეგაციის რჩევითა და მოთხოვნით, საქართველოს ტერიტორიებზე თურქთა ექსპანსიის აღსაკვეთად საჭირო იყო სახელმწიფოების დონეზე თანასწორუფლებიანი გერმანულ-ქართული ურთიერთობების გაფორმება. რჩებოდა ერთადერთი გზა — ქართველთა ეროვნულ საბჭოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა.

ბათუმიდან ეროვნული საბჭოსადმი გაგზავნილ 25 მაისის წერილში ა. ჩხენკელი იუწყებოდა: „გადაეცით საქართველოს ეროვნულ საბჭოს შემდეგი: დამოუკიდებლობის გამოცხადების შეგვიანება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგებს. გერმანიის შუამდგომლობის ცდამ უშედეგოდ ჩაიარა. რჩება ერთი — დავუპირისპიროთ თურქების შემოსევას გერმანიისაგან ზურგგამაგრებული დამოუკიდებელი საქართველო... უკვე მომზადებულია ხელმოსაწერად გერმანიასთან დროებითი შეთანხმება“.

გერმანელთა მხარდაჭერის იმედით, 1918 წლის 26 მაისს, 17.10 საათზე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის სეიმის საგანგებო სხდომაზე ქართველთა ეროვნული საბჭოს წევრებმა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარედ ნოე რამიშვილი აირჩიეს. ახლადშექმნილი რესპუბლიკა გერმანელთა პროტექტორატით აღიჭურვა. გენერალმა ფონ ლოსოვმა ოფიციალურად განაცხადა ამის შესახებ თბილისის მთავრობის სასახლის ფანჯრიდან. 2 დღის შემდეგ, 28 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს სომხეთმა და აზერბაიჯანმა. ამიერკავკასიის ფედერაცია დაიშალა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მეორე დღესვე, 1918 წლის 27 მაისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის №1 ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად ამიერკავკასიის არმიის ყოფილი სარდალი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან 2 დღეში, 1918 წლის 28 მაისს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ფოთში, „SS მინა ჰორნის“ ბორტზე ფრიდრიხ ვერნერ ფონ შულენბურგის მხარდაჭერით ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გერმანიის სარდლობის წარმომადგენლებთან, რომლითაც აღიარებული იყო გერმანიის პროტექტორატი ოტომანთა სამხედრო წინსვლის აღსაკვეთად. ხელშეკრულების პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდა:

— გერმანელების მხრიდან საქართველოს რკინიგზითა და პორტებით შეუზღუდავი სარგებლობა;
— გერმანიის საექსპედიციო ძალების მიერ საქართველოს სტრატეგიული ობიექტების ოკუპაცია;
— გერმანული ვალუტის თავისუფალი მიმოქცევა;
— ერთობლივი სამთო-მომპოვებელი კორპორაციის დაარსება;
— დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლების გაცვლა;
— საერთაშორისო აღიარებაში დახმარების გაწევა;
— საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა;

გერმანიის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა გენერალმა ოტო ფონ ლოსოვმა, ქართული მხრიდან კი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე რამიშვილმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა აკაკი ჩხენკელმა.

1918 წლის 3 ივნისს ფოთში პირველი გერმანული სამხედრო გემი შემოვიდა. გერმანიის საექსპედიციო ძალები თითქმის მთლიანად ბავარიელებისაგან შედგებოდა — ბავარიის მე-7 საკავალერიო ბრიგადა, გაძლიერებული 29-ე ქვეითი პოლკით, მე-10 მოიერიშე ბატალიონი, მეტყვია-მფრქვეველთა ქვედანაყოფი და 176-ე ნაღმმტყორცნელთა ასეული, ცოცხალი ძალა 3000 კაცი. ერმანული სამხედრო-პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელად საქართველოში გენერალი ფრიდრიხ ფრაიერ კრეს ფონ კრეზენშტაინი დაინიშნა.

ექსპედიციის ზედამხედველობასა და ორგანიზებაში მონაწილეობდა გენერალი ერიხ ლუდენდორფი. მოგვიანებით იგი პერსონალურად შეხვდა საქართველოს წარმომადგენლებს (ზურაბ ავალიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე) ბერლინში კაიზერ ვილჰელმ II-თან ვიზიტის მოსაწყობად.

გერმანიის საექსპედიციო ძალებს მალე შეუერთდნენ კავკასიაში მყოფი გერმანელი ტყვეები, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები გერმანელი ეროვნების მოქალაქეები. გერმანულ კონტინგენტში ჩართული იყო გერმანიის საიმპერატორო არმიის „ქართული ლეგიონი". მათ შორის მრავალი გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი იყო „ქართული ლეგიონის თამარის ორდენის" კავალერი. გაერთიანებული ქართულ-გერმანული საჯარისო გარნიზონები ფოთში, ოჩამჩირეში, ქუთაისსა და ბორჩალოში განლაგდნენ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, შერეულმა ქართულ-გერმანულმა ქვედანაყოფებმა ამიერკავკასიის რკინიგზაც დაიკავეს. ყველა სადგურზე ქართულ-გერმანული დროშა აფრიალდა.

ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაციასა და თურქეთის წარმომადგენელებს შორის 1918 წლის 21 მაისს ბათუმში დაწყებული მოლაპარაკებები 4 ივნისს დასრულდა. ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის საზავო ხელშეკრულებას, ერთი მხრივ, ოტომანთა იმპერიასა და, მეორე მხრივ, სომხეთისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობებს შორის. ახალმა ხელშეკრულებამ განსაზღვრა თურქეთსა და ახლადშექმნილ სახელმწიფოებს შორის გამავალი ახალი სასაზღვრო ხაზიც, რომლის ძალითაც სომხეთმაც და საქართველომაც თავისი ისტორიული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგეს.

„ქვემოთ მოყვანილი სასაზღვრო ხაზი გამოყოფს ერთმანეთისაგან ოტომანთა იმპერიასა და საქართველოს, სომხეთს და აზერბაიჯანს. საზღვარი იწყება იქ, სადაც მდინარე ჩოლოქი უერთდება შავ ზღვას და ემთხვევა ოტომანთა იმპერიასა და რუსეთს შორის 1877 წლამდე არსებულ ძველ საზღვარს. შემდეგ იგი აღწევს შავნაბადას მთამდე და მთების მწვერვალების გავლით მიემართება ხალხამასა და მეფისწყაროს მთებამდე (1856 წლის საზღვრებით).

ამის შემდეგ იგი უხვევს სამხრეთისაკენ, გადის ფარსადაღის მთის წვერზე აბასთუმნიდან სამხრეთით ორ კილომეტრზე, უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და აღწევს კარხულდაღის მთას. აქედან ჯერ 5 კილომეტრზე მიემართება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ, შემდეგ სამხრეთ—აღმოსავლეთით აღწევს გორკელს, აწყურიდან სამხრეთით 2 კილომეტრზე კვეთს მდინარე მტკვარს და ქაიბაშის, ორთათავის, ქარაიას მთის წვერების გავლით აღწევს ტაპისხორსკას (ტაბაწყური. ა.ჩ.) ტბას და იქიდან სამხრეთით გრძელდება მოლითის მონასტრამდე. საზღვარი ისე კვეთს ამ ტბას, რომ მოლითის მონასტრიდან უშუალოდ გავლებული სწორი ხაზის სამხრეთით მდებარე ტერიტორიები, რომლებიც ერთნახევარი კილომეტრით ჩამორჩება ტბის უკიდურეს ჩრდილოეთ წერტილს, რჩება ოტომანთა იმპერიის ტერიტორიაზე. შემდეგ კი მიდის თავკოთელიის მთამდე. აქ იგი უხვევს სამხრეთით და შავნაბადას, ყარაკუხუს, სამსარის მთიანი მასივის მწვერვალებზე გავლით, უხვევს აღმოსავლეთისაკენ და დეევექერანის მთების წვერებზე გადის. შემდეგ მიემართება სამხრეთისაკენ და აჩრიკარის, ბაშრირანისა და ნურახმანის მწვერვალებზე გადის. ნურახმანის მთიდან მთის წვერებზე გავლით იგი გრძელდება სამხრეთისაკენ და ტფილისი-ალექსანდროპოლისის რკინიგზის ხაზს კვეთს სოფელ აღბულახიდან ხუთ კილომეტრზე.

აქედან სწორი ხაზით მიემართება ხანვალისაკენ, სადაც თითქმის სწორი ხაზით აღწევს ყველაზე მაღალ წერტილს ალაგეზს და ისევ სწორი ხაზით კვეთს ეჩმიაძინ-სარდარაბადის შოსეს, ეჩმიაძინიდან დასავლეთით 7 კილომეტრზე. შემდეგ იგი 7 კილომეტრზე გარს უვლის ამ ქალაქს და

ალექსანდროპოლის-ჯულფას რკინიგზის ხაზის პარალელურად მიემართება რკინიგზის ხაზიდან 10 კილომეტრის დაშორებით და 16 კილომეტრში სამხრეთით ბაშკიარანთან კვეთს გზას, რომელიც აქედან რკინიგზისაკენ მიემართება. შემდეგ იგი უხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, 1 კილომეტრზე უვლის გვერდს სოფელ აშაღი-ყარაბაღლარს. შაბაღლუს, ყარაქაჩისა და აშაღი-ჩენაქიჯის გავლით აღწევს ელფინჩაის, რომელსაც მიყვება იგი არფამდე. დაწყებული აქედან იგი ემთხვევა მდინარე არფაჩაის კალაპოტს, მიდის ქაიალუმდე და მდინარე ქაის გასწვრივ აღწევს აღტაბანის მწვერვალს. შემდეგ იგი გრძელდება ყარათურნას, არაჯის, ყარაქლისის მთის წვერებზე, აღწევს ბელიონჩაის წყალგამყოფამდე, მიყვება მდინარის კალაპოტს, აღწევს სამხრეთით არაზას, რომელიც რუსეთ-სპარსეთის ყოფილი საზღვრის ხაზზე მდებარეობს.

სასაზღვრო ხაზის საბოლოო დაზუსტება განხორციელდება ადგილზე, ორივე მხარის წარმომადგენლებისაგან შემდგარი კომისიის მიერ".

ოსმალთა შემდგომი ექსპანსია ამიერკავკასიაში

„თურქთა შენაერთის მეთაურმა ვეჰიფ ფაშამ 10 ივნისს ალექსანდროპოლისის რეგიონში განლაგებულ თურქეთის მე-9 ქვეით დივიზიას საბრძოლო ბრძანება მისცა შეტევითი ოპერაციის დასაწყებად თბილისის მიმართულებაზე. თურქული მეწინავე ნაწილები საომარ მოქმედებებში ჩაერთვნენ ქართულ-გერმანულ ნაწილებთან ვორონცოვკასთან და ბორჩალოსკენ მიმავალი რკინიგზის ხაზის გასწვრივ. გერმანელთა ორი ასეული და კრესის მოხალისეები ქართველ გვარდიელებთან ერთად წინ აღუდგნენ თურქთა შეტევას".

ბერლინმა სასწრაფო ოფიციალური მოთხოვნა წაუყენა თურქეთის მმართველ ტრიუმვირატს. გერმანელებმა აგრესიული მოქმედებებისა და 4 ივნისის საზავო ხელშეკრულების დარღვევის გამო ვეჰიფ ფაშას, როგორც უმართავი და არაპროგნოზირებადი გენერლის, გადაყენება მოითხოვეს. გერმანულმა სარდლობამ არ აპატია თურქ გენერალს გერმანელთა იგნორირება და ბათუმის კონფერენციის საზავო პირობების დარღვევა. შედეგად გენერალი ვეჰიფ ფაშა სასწრაფოდ გაიწვიეს კონსტანტინოპოლში. იგი დროებით გენერალმა იაყუბ შევქი ფაშამ შეცვალა.

წითელ ხიდთან და ალავერდთან, ბორჩალოს მაზრის ქვედა ზონაში გამართული ბრძოლების შედეგად ქართულ-გერმანულმა საჯარისო ფორმირებებმა წარმატებით აღკვეთეს თურქული ნაწილების წინსვლა და მოახერხეს სამხრეთისაკენ მათი გადასროლა.

პორუჩიკი ვ. გოგუაძე წერს: „თათრებს გაეძარცვათ ალავერდის ქარხანა და რამდენიმე მილიონი მანეთის საქონელი მზადა ჰქონდათ წასაღებად. ყველა ნადავლი უკანა ჯავშნიანს ჩავაბარე და მე სანაინზე გავილაშქრე. სანაინზე 200 კაცი ტყვედ აეიყვანეთ და ეშელონს გავეკიდეთ. მათ ორთქლმავალი გაფუჭებოდათ და ამის შედეგად მათ სადგურ კობერთან დავეწიეთ. მე ბრძანება არ მქონდა კობერს იქით წავსულიყავი. ეშელონს ზარბაზანი ვესროლეთ და დავამტვრიეთ. ოსმალოს ჯარისკაცების ნაწილი ტყვედ წამოვიყვანეთ.

სანაინში ხელთ ვიგდეთ სურსათი და ცხენის ჯოგი. აქვე ვიშოვნეთ სარიკამიშიდან ჩამოტანილი ტელეფონისა და ტელეგრაფის აპარატები. ყოველივე ეს თბილისს გავაგზავნე ტყვეებთან ერთად. საღამოს ექვს საათზე სანაინში მოვიდა ჩვენი ჯარი. ჯავშნოსანმა სხვების დაუხმარებლად დაიცვა ოცდაათი ვერსის მანძილი... ბორჩალოს მცხოვრებნი, ბერძნები და სომხები, გამარჯვების გვილოცავდნენ და იარაღითაც გვეხმარებოდნენ მტერთან ბრძოლაში".

სანაინი-წითელი ხიდის რაიონში გამართულ ამ ბრძოლაში გერმანელი ჯარისკაცებიც დაიღუპნენ, რომლებიც მხედრული პატივით მიაბარეს ქართულ მიწას.

ისტორიული ფაქტია, რომ სწორედ ამ მარცხის გამო თურქულმა ნაწილებმა უკან დაიხიეს და საბოლოო ჯამში მდინარე კამენკას მარჯვენა სანაპიროს ტერიტორიები დაიკავეს. სახელდობრ, სოფლები: ნოვო-პოკროვკა, ჯალალ-ოღლი, ნიკოლაევკა, გერგერი, ვართანლური, კურტანი, დარა-ქენდი, ალექსანდროპოლისის რკინიგზის 117-ე ვერსი ქობერსა და ქოლაგერანს შორის, სოფელ მარცამდე და ლორუთამდე. ამ ხაზის ჩრდილოეთით მდებარე მიწებზე თურქთა აგრესია აღიკვეთა და შესაბამისად იგი ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა დაიკავეს, რომლებიც შემდეგ პუნქტებში განლაგდნენ: ვორონცოვკა, ალექსანდროვკა, აიდარბეკი, მღართი, ქობერის ასაქცევი, წათერი და ქორინჯი. ამ ქართული საჯარისო ქვედანაყოფების საერთო მეთაურად პოლკოვნიკი ალექსანდრე

ჩხეიძე დაინიშნა, ხოლო ქართველ მესაზღვრეთა რაზმის უფროსად – პოდპოლკოვნიკი რამაზაშვილი.

გერმანიის საიმპერატორო ჯარების სარდლობამ და მთლიანად გერმანულმა სამხედრო კონტინგენტმა, უკანასკნელი ჯარისკაცის ჩათვლით, მთელი 1918 წლის განმავლობაში დადებითი როლი ითამაშა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაში, აღკვეთა რა თურქთა აგრესია. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ მთელი 1918 წლის განმავლობაში გერმანელებმა თავიანთი მოღვაწეობის ყველა ასპექტში ნათელი კვალი დატოვეს საქართველოში.

პანთურანული იდეების ხორცშესხმისათვის ენვერ ფაშამ მოქმედებების ტაქტიკა შეცვალა. სომხეთის დიდი ნაწილის ოკუპაციისა და ალაევერდთან განცდილი მარცხის შემდეგ თურქული ქვედანაყოფები დილიჟანის გავლით განჯაში შევიდნენ, სადაც 1918 წლის 28 მაისიდან აზერბაიჯანული დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იყო დაფუძნებული. ადგილობრივი აზერბაიჯანული ნაწილების შეერთებით შეიქმნა ე.წ. „კავკასიის ისლამის არმია", რომელიც ეთნიკურად მთლიანად თურქულ-აზერბაიჯანული იყო, სამხედრო შტაბების ჩათვლით. „ისლამის არმიის" ბირთვს თურქთა მე-5 დივიზია შეადგენდა. არმიას სათავეში ენვერ ფაშას უმცროსი ძმა, გენერალი ნური ფაშა ჩაუდგა. ამრიგად „ისლამის არმია" შედგა თურქთა 5000-იანი რეგულარული ჯარისა და 10-12 ათასი აზერბაიჯანელი მოხალისისაგან. 1918 წლის 15-16 სექტემბერს კი „ისლამის არმია" ბაქოში ბრძოლებით შევიდა და დაამხო გენერალ დანსტერვილის ბრიტანული საოკუპაციო ჯარების მიერ ზურგგამაგრებული ესერულ-დაშნაკური ე.წ. „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა". თურანული იდეის ფრთაშესხმისათვის გადადგმული პირველი დიდი ნაბიჯი პანთურქისტებისათვის წარმატებული გამოდგა.

მუდროსის ზავი და I მსოფლიო ომის დასასრული

1918 წლის შემოდგომიდან I მსოფლიო ომის საომარ მოქმედებათა თეატრებზე ოთხთა კავშირისათვის მდგომარეობა გაუარესდა. დასავლეთის ფრონტზე გერმანელები ბრძოლებში მარცხდებოდნენ. სექტემბერში ბულგარეთმა საომარი მოქმედებები შეწყვიტა და ზავი ითხოვა. სირია-პალესტინის ფრონტზე კი ბრიტანელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს. მათ გაარღვიეს ოსმალთა ფრონტი და იერუსალიმი დაიკავეს. ბრიტანული შენაერთები მესოპოტამიის ფრონტზეც წარმატებით იბრძოდნენ. მისმა შენაერთებმა ბაღდადის ოკუპაცია შეძლეს. 27 ოქტომბერს ფრონტებზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, თურქეთმა საომარი მოქმედებები შეწყვიტა და ზავი ითხოვა. საზავო მოლაპარაკებები კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში გაიმართა, ამიტომ ისტორიაშიც მუდროსის ზავის სახელით შევიდა. მოლაპარაკებები ბრიტანულ სამხედრო ხომალდ „ორსითის" ბორტზე დაიწყო და „აგამემნონზე" გაგრძელდა. თურქეთის მხრიდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა დოქტორი მუსტაფა რაუბ ორბეი – თურქეთის იმჟამინდელი საზღვაო მინისტრი, ხოლო დიდი ბრიტანეთის მხარეს – ადმირალი ს. ა. კელთორფი (ჩალტჰორპე).

მუდროსის ზავის ძირითადი პუნქტები შემდეგი სახით იყო წარმოდგენილი:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები გაიხსნება და მოკავშირეთა ქვეყნების გემებს თავისუფალი მიმოსვლის საშუალება მიეცემა;
2. დაუყოვნებლივ დაიშლება თურქეთის შეიარაღებული ძალები. დაიშვება მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და შიდა წესრიგის დაცვისთვის საჭირო ძალების არსებობა;
3. დაუყოვნებლივ გამოიყვანენ კავკასიისა და ირანის ტერიტორიებიდან თურქების საოკუპაციო ჯარებს;
4. ანტანტის წევრი ქვეყნები სრულ კონტროლს აიღებენ თურქეთის რადიოზე, ტელეგრაფზე, კომუნიკაციებზე, რკინიგზაზე, საზღვაო პორტებზე, სამხედრო გარნიზონებზე;
5. აუცილებლობის შემთხვევაში ანტანტის წევრი ქვეყნები იტოვებენ თურქეთის ამა თუ იმ პროვინციის ოკუპირების უფლებას;
6. საომარი მოქმედებები ოტომანთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის შეწყდეს 1918 წლის 31 ოქტომბრის 24^{00} საათზე ადგილობრივი დროით.

ზავის მოთხოვნათა შესაბამისად, თურქეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინათ ახალციხე, ბათუმი, ყარსი, განჯა, ბაქო და, საერთოდ, ამიერკავკასიის ის ტერიტორიები, რომელთა ოკუპაციაც მათ

ბრესტ-ლიტოვსკის ზავის დადების შემდეგ შეძლეს. შესაბამისად, გერმანიისა და თურქეთის ჯარებს აქ ბრიტანელები უნდა ჩანაცვლებოდნენ. გარდა ამისა, ბრიტანელებმა დამატებით შეძლეს ურფის, მარაშის, ანტეპის ოკუპაცია, სამსუნი, ბაღდადი და სირია კი უკვე დაკავებული ჰქონდათ. ფრანგებმა დაიკავეს ადანა, იტალიელებმა – ანტალია და კონია. ანტანტის წევრი ქვეყნების შეთანხმებით, მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა, სადაც სამივე რესპუბლიკის დედაქალაქში ბრიტანელთა საოკუპაციო შენაერთები უნდა შესულიყვნენ. ამ ჯარების საერთო ხელმძღვანელი, სპარსეთში დისლოცირებული ბრიტანელთა საჯარისო კონტინგენტის სარდალი, გენერალ-მაიორი უილიამ მონტგომერ ტომსონი, ენზელიდან ნოემბრის პირველ რიცხვებში ბაქოში გამოგზავნილ ტელეგრამაში მკაცრად მოითხოვდა, რომ თურქულ ნაწილებს 2 კვირაში დაეცალათ ბაქო, ხოლო ერთ თვეში – მთელი ამიერკავკასია. ბრიტანელთა მიერ წაყენებული ულტიმატუმის საფუძველზე, თურქულმა საჯარისო შენაერთებმა იძულების წესით დაიწყეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიების დაცლა.

სამცხე-ჯავახეთთან მიმართებაში კი საქართველოს მთავრობამ ჯერ კიდევ სექტემბერში მიიღო გადაწყვეტილება ქართული ჯარებით მისი დაკავების შესახებ.

„ტელეგრამა №4142(34). 04.09.1918. 9 საათი და 47 წუთი. 1-ლი დივიზიის მეთაურს (გენერალ მაკაევს).

ვუბრძანებ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ ჯარებს სასწარაფოდ დაიკავონ აწყური-ახასთუმნის ხაზი.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე“.

1918 წლის ნოემბრიდან საქართველოს მთავრობამ მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება და დაიწყო გადაუდებელი ზომების გატარება სამცხე-ჯავახეთის ქართული ჯარებით დასაკავებლად. მთავრობამ მიმართულების სარდლად და მხარის გენერალ-გუბერნატორად გენერალ-მაიორი აბელ (ბალო) მაყაშვილი დანიშნა. 1918 წლის 5 დეკემბერს ახალციხესა და ახალქალაქში საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი ქვეითი დივიზიის ორი პოლკი და სხვა საბრძოლო რაზმები შევიდნენ. მაზრებში საქართველოს დე ფაქტო იურისდიქცია აღდგა. რეგიონის საზღვრად ყოფილი ტფილისის გუბერნიის საზღვრები ჩაითვალა.

მუდროსის ზავის პირობების შესაბამისად კი, 1918 წლის ბოლოდან ბათუმსა და ბათუმის ოლქში ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარებმა, 27-ე დივიზიის ნაწილებმა დაიწყეს შემოსვლა გენერალ-მაიორ გ. ფორესტიე-უოკერის სარდლობით.

პანისლამიზმი და „ყარსის რესპუბლიკა“

მუდროსის ზავის დადებისა და თურქული ნაწილების ამიერკავკასიიდან გასვლისთანავე, პანთურქისტები დაუყოვნებივ ამუშავდნენ ამიერკავკასიის მუსლიმანებით დასახლებულ ტერიტორიებზე. მათ ახალი ტიპის ადგილობრივი მმართველობის დროებითი ორგანოების ჩამოყალიბება დაიწყეს, რომლებსაც თურქთა მიერ ყოფილ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და მოსახლეობაზე ოსმალური კონტროლი უნდა შეენარჩუნებინათ. თურანული იდეის საბოლოო მიზანს კავკასიის მუსლიმანი მოსახლეობის კონსოლიდაცია, ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფოს ჩამოყალიბება და მისი ისევ თურქეთთან შეერთება წარმოადგენდა. პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მიერ ოფიციალურად იყო წარდგენილი მოთხოვნა ერთიანი აზერბაიჯანის შექმნის შესახებ.

„ეროვნული ისლამური საბჭოები“ დაფუძნდა ყარსის ოლქის მთავარ დასახლებულ პუნქტებში – ოლთისი, ყაგიზმანი, იგდირი, სარიყამიში, არდაგანი და თავად ყარსი. ასევე საქართველოს თურქულენოვანი და მუსლიმანი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიებზე – ახალქალაქი, ახალციხე, ბათუმი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „ყარსის საბჭო“, რომელიც 1918 წლის 5 ნოემბერს შეიქმნა. დეკემბერში მას სახელი შეეცვალა და „ეროვნული საბჭო“ ეწოდა. 1919 წლის იანვარში ის „ყარსის ეროვნული საბჭო“ გახდა. საბოლოოდ, 1919 წლის მარტში მას „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დროებითი ეროვნული მთავრობა“ დაერქვა. 1919 წლის 25 მარტს მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით სახელწოდებიდან ამოიღეს სიტყვა „დროებითი“ და მას „სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის რესპუბლიკა“ ეწოდა. მთავრობის მეთაურს პრეზიდენტის ტიტული მიენიჭა. „რესპუბლიკის“ პრეზიდენტად ყარსის მკვიდრი ჯიჰანგიროღლუ იბრაჰიმ აიდინ ბეგი

აირჩიეს. ამ „სახელმწიფოს“ შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, სურმალის, ალექსანდროპოლისისა და ეჩმიაძინის მაზრების მნიშვნელოვანი ნაწილი. შემუშავდა ამ ე.წ. „სახელმწიფოს“ სიმბოლოც — ორფეროვანი წითელ-მწვანე დროშა ვარსკვლავითა და ნახევამთვარით. სახელმწიფო ენა — თურქული. გამოქვეყნდა ახლადშექმნილი „რესპუბლიკის“ პარლამენტის მოწოდებებიც.

მოწოდება კავკასიის მუსლიმანებს

ყოვლისშემძლის დახმარებით ჩვენ დავაფუძნეთ და გავხსენით ყარსში პარლამენტი, შემდგარი კავკასიის სამხრეთ-დასავლეთის მუსლიმანებისაგან, რომლებიც 1919 (1335) წლის 18 იანვარს შეიკრიბნენ ყარსში. დავადგინეთ, რომ მომავალში პარლამენტში მიიღებიან არამუსლიმანებიც და ერთხმად გადავწყვიტეთ, გამოვაქვეყნოთ ქვემოთ მოყვანილი განცხადება.

ყარსის დროებითი მთავრობა და პარლამენტი მუსლიმების აზრთა, სურვილთა და ბედის გაერთიანებისათვის, სამხრეთ-დასავლეთის მუსლიმთა ყურადღებას მიაპყრობს შემდეგზე: ამ ოლქების თავისუფლება და კეთილდღეობა მდგომარეობს მხოლოდ ერთიანობაში. წერილი და ცალკეული ორგანიზაციები, რომლებიც მიმოფანტულნი არიან, უეჭველად წარმოადგენენ თავისი მუზობლების დამპყრობლური ზრახვებისა და დასჯის საგანს და საბოლოოდ მათ მოელით დაქუცმაცება, ჩაყლაპვა, დახრჩობა და სიკვდილი.

ყარსის ინგლისელმა სამხედრო გუბერნატორმა განაცხადა, რომ ის ძალებს არ დაიშურებს ჩვენს დროებით მთავრობასთან მუშაობაში და შესაბამის დახმარებას გაუწევს მას. მოცემულ მომენტში, სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მუსლიმთათვის, რომლებიც შეადგენენ 1 350 000 სულს, ერთადერთი გზა კეთილდღეობისა და პროგრესისაკენ შემდეგია: გაერთიანდნენ ერთიანი რწმენითა და ერთიანი სინდისით. მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი შეინარჩუნოთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი არსებობა და სიწმინდეები. მხოლოდ ასეა შესაძლებელი დავიცვათ ჩვენი შვილები ამ ეპოქის ძალმომრეობისაგან და ვუზრუნველვყოთ ისინი ცოდნისა და კეთილდღეობის სხივებით...

ჩვენი ერთიანობა — ჩვენი ძალაა, რომელსაც ვერაფერი შეარყევს. უფალი ღმერთია ჩვენი მფარველი... გაუმარჯოს სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მთავრობას! გაუმარჯოს მუსლიმთა ერთიანობას! გაუმარჯოს პარლამენტს!

მოწოდება ბათუმის ვილაიეთის მცხოვრებლებს

1919 წლის (1335) 18 იანვარს ჩვენი ვილაიეთის საუბნო წარმომადგენლები შეეიკრიბეთ ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედის გადასაწყვეტად და საბოლოოდ დავადგინეთ შემდეგი: არსაიდან და არავისგან დახმარების მომლოდინე, ჩვენ ვკრებთ მთელ მუსლიმ მოსახლეობას, ქალაქისა და სოფლისას, მთელი სამხეთ-დასავლეთ კავკასიისას და ვამტკიცებთ, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა თვითმმართველობის, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მივაღწევთ ავტონომიას.

ამ საფუძველზე ჩვენ ვიწვევთ ბათუმის ვილაიეთის მოსახლეობას, რომ შეუერთდნენ ჩვენ ძმებს ყარსიდან, არდაგანიდან და სხვა მუსლიმური ოლქებიდან, რათა ერთ გზას მივმართოთ ხელიხელჩაკიდებულებმა ჩვენი დეპუტატების არჩევისათვის, რომლებიც უნდა გავამგზავროთ ყარსში, სადაც ჩვენ გავხსენით პარლამენტი, რათა სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ყველა მუსლიმს შეეძლოს საქვეყნოდ აცნობოს თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

ვაცნობებთ პატივცემულ მოსახლეობას, რომ ჩვენ, სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის მუსლიმებმა ყარსში მუსლიმთა ეროვნული საბჭო დავაარსეთ, სადაც ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და ინტერესების გასატარებლად. ჩვენი თავები ნაციონალური საბჭოს დაქვემდებარების ქვეშ დავაყენეთ და არც ეხლა და არც მომავალში არ ვაღიარებთ სხვა რომელიმე ხელისუფლებას. და ეს ყველაფერი ჩვენი ხალხის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის კეთდება, როგორც ეს ზემოთ იქნა წარმოდგენილი. ზოგიერთ საკითხში ჩვენ აუცილებლად უნდა დავამყაროთ ურთიერთობები ინგლისელთა სარდლობასთან.

მოყვანილია წარმომადგენელთა ხელმოწერები: არტანუჯის — თევფიკ ეფენდი ეფენდი ზადე; შავშეთის — ალი აღა ემინ აღა ოღლი; ქვემო აჭარის — ხუსული აღა აბდა აზა ზადე; ზემო აჭარის — ალი რიზა ეფენდი და რაშიდ აღა არიფ ემინ ოღლი; გონიოს — ალი ეფენდი აბდი ეფენდი ზადე; ართვინის — აქიბ ბეი ათა ბეი ზადე; ბათუმის — ჰუსეინ ბეი ბიდენ ზადე;

დამატება: ჩვენ, ბათუმის უბნის არჩეულმა დეპუტატებმა ყარსის წარმომადგენელ სურუბ ბამ ათა ბეისთან ერთად 20 იანვარს მივმართეთ ინგლისელ კომენდანტს და გავმართეთ მოლაპარაკებები ჩვენი საქმეების შესახებ. მისგან კეთილგანწყობილი პასუხი მივიღეთ. გენერალმა თქვა: „მე მუსლიმთა ინტერესების შესაბამისად ვიმოქმედებ". ალი' ეფენდი აბდი ალი ზადე; ალი რიზა ეფენდი."

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ისლამური საბჭოებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ე.წ. „ახალციხის ისლამური საბჭო" იყო, რომელიც მალე „ახალციხის ეროვნულ საბჭოდ" და შემდეგ ე.წ. „ახალციხის ეროვნულ მთავრობად" გარდაიქმნა. გარდა ახალციხელი რენეგატი ბეგებისა, ქართული ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიოდნენ ახალქალაქელი და ხერთვისელი ბეგები, რომელთაც ე.წ. „ყარსის მთავრობა" აფინანსებდა. მთავრობის შემადგენლობა:

— მინისტრი-პრეზიდენტი ომარ ფაიქ ნემანზადე (ყიფიანი);
— სამხედრო მინისტრი სერვერ ბეგ ათაბაგი (ჯაყელი);
— მიწათმოქმედების მინისტრი ზია ბეგ ავალიშვილი;
— შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრი მურზა მუსაკიევი.

„ყარსის მთავრობის" ერთ-ერთი სულისჩამდგმელი სერვერ ბეგ ქვაბლიანელი — Принц Коблианский (ჯაყელი), სამცხე-საათაბაგოს ათაბაგთა უკანასკნელი შთამომავალი, ქვაბლიანის პრინცი იყო. მათ სამკვიდრო სოფელს ბენარა წარმოადგენდა. დაიბადა 1886 წლის 8 აგვისტოს ახალციხეში, გარდაიცვალა 1962 წელს ქ. იზმირში. ჯაყელთა შტოს ეს გადაგვარებული შთამომავალი ძალაუფლების დაკარგვის შიშით ყოველგვარ ავანტიურაზე თანახმა იყო და საქართველოს მტრად იქცა. ამის საბაბი საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული მიწის რეფორმაც გახდა, რაც მისთვის ადგილ-მამულებისა და სახლების ჩამორთმევაში გამოიხატებოდა ახალციხესა და აბასთუმანში.

პოლიტიკური თვალსაზრისით და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, „ყარსის რესპუბლიკის" გამოცხადება უკანონო აქტი იყო. ის შეიქმნა საქართველოსა და ნაწილობრივ სომხეთის ტერიტორიებზე.

„ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალები

ამიერკავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების პარალელურად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა „ახლად შექმნილი რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების ჩამოსაყალიბებლად. და მართლაც, კავკასიაში გაშლილი ოსმალთა მე-9 არმიის მე-3 დივიზიის მეთაური, პოლკოვნიკი ჰალიდ ბეი ამ მოვლენების აქტიურ მხარდამჭერად და ორგანიზატორად მოგვევლინა. „ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებულ ძალებში მე-3 დივიზიის ბევრი ოფიცერი ჩაერთო. დეოკუპაციის შემდეგ ამ ტერიტორიებზე დარჩენილი ოსმალური ქვედანაყოფებიც დაუყოვნებლივ ჩაებნენ „ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში. „რესპუბლიკა" პროფესიონალი სამხედრო კადრების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდიდა. თუმცა, რეალურად „ყარსის რესპუბლიკის" შეიარაღებული ძალები მხოლოდ ყარსის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიებს აკონტროლებდნენ. სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მას დაშნაკური სომხეთის სამხედრო ნაწილები და საბრძოლო რაზმები დაუპირისპირდნენ.

ე.წ. „ახალციხის მთავრობის" მეთაურის, რენეგატი ბეგის ომარ ფაიქ ნემანზადეს (ყიფიანი) მიმართვა მე-9 არმიის მე-3 დივიზიის მეთაურის — ჰალიდ ბეგისადმი:

„I. თუ შესაძლებელი იქნება, მე-3 დივიზია ნუ დატოვებს დისლოკაციის ადგილს;

II. ჰალიდ ბეგმა შუამდგომლობა გაუწიოს მე-9 არმიის სარდალ იაყუბ შეიქი ფაშასთან, რათა ამ უკანასკნელმა „ახალციხის დროებითი მთავრობის" არსებობის გარანტია უზრუნველყოს."

თურქეთის მე-9 არმიის სარდალი იაყუბ შეიქი ფაშა ჰალიდ ბეგს: „გავეცანი „ახალციხის დროებითი მთავრობის" ხელმძღვანელის ომარ ფაიქ ბეის მოთხოვნას მე-3 დივიზიის ახალციხეში დატოვებასთან დაკავშირებით. ეს რომ შესაძლებელი ყოფილიყო, მათი თხოვნა აღარ იქნებოდა საჭირო, მაგრამ ოსმალეთის მთავრობის მდგომარეობიდან და პოლიტიკიდან გამომდინარე, ჩვენი ჯარი იძულებულია, დატოვოს დაკავებული ტერიტორია. ახალციხისა და ახალქალაქის მოსახლეობას ნურაფრის ნუ შეეშინდებათ. თავიანთი ორგანიზაციების შექმნითა და მმართველობით წყნარად

და მშეიდად დაელოდონ მსოფლიოში მოვლენების განვითარებას. მსოფლიო პოლიტიკაში ცვლილებები ყოველდღე ხდება, არავინ იცის თუ რა შეიძლება მოხდეს სულ მოკლე ხანში.

მე შევხვდი ახალციხიდან და ახალქალაქიდან მოსულ წარმომადგენლებს. გავუზიარე ჩემი შეხედულებანი და მიღებული ინფორმაცია. ჩემს მიერ მითითებული პირობებით ყველა პიროვნების მუშაობას დამაკმაყოფილებლად ვთვლი".

ყარსის კონგრესზე გადაწყდა, შექმნილიყო რესპუბლიკის 8000-იანი ჯარი, რომელსაც დახმარებას ოსმალეთის არმია გაუწევდა. კონგრესზეევ გაცხადდა ამ ჯარის დანიშნულებაც:

— წინააღმდეგობა გაუწიოს სომხებს მდინარე არაქსის გასწვრივ, ხოლო მდინარე მტკვრის გასწვრივ და აჭარაში — ქართველებს.

1918 წლის თებერვლის მონაცემებით, „ყარსის მთავრობის" ხელმძღვანელობა თავისი 8000-კაციანი ჯარისათვის ოსმალეთის მთავრობისაგან მოითხოვდა: 7 მილიონ ლირას სესხად; 4 ბატარეის სრულ შეიარაღებასა და სწრაფმსროლელ საველე ქვემეხებს; 30 000 ყუთ სხვადასხვა საბრძოლო მასალას; ერთი შტაბის ოფიცერს; 30 000 ხელ ტანსაცმელსა და საცვალს; 20 ექიმსა და საკმარისი რაოდენობის წამალს.

სამხედრო მოქმედებების დასაწყისი: პირველი შემოტევა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკის" სამხედრო ქვედანაყოფებმა და ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობისაგან შემდგარმა რაზმებმა 1919 წლის 17 იანვარს სოფელ ბადელიასთან დაიწყეს. მცირერიცხოვანმა ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა მოწინააღმდეგის შეტევა ვერ მოიგერიეს. საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის ოპერატიული შეტყობინება ახალციხიდან:

„თბილისი, სასახლე, ვალიკო ჯუღელს. ბორჯომიდან. 17.01.1919

დღეს დილით არდაგანის საზღვარზე სოფელ ბადელიასთან მაჰმადიანებმა გადმოლახეს საზღვარი და წაიყვანეს ჩვენი სანაპირო ჯარისკაცები. მთელი დღე სროლები იყო. ახალციხის გარნიზონი უმნიშვნელოა, რომელიც ქალაქიდან არ შეიძლება რომ მოვაშოროთ. წამოველ ბორჯომში და მიმყამს აქაური გვარდიელები, გამოვიწვიეთ ხაშურიდანაც. საჭიროა საგრძნობი ძალა, რომ სისუსტე არ დაინახონ. საქმე იმაშია, რომ ომარ ეფენდის (ომარ ფაიკ ნემანზადე ყიფიანი. ა.ჩ.) და მისი ამხანაგების კაცები აგენტები ცხარე აგიტაციას ეწევიან. მთავრობის დეკრეტი ავტონომიის შესახებ რეაქციონერული მიზნებისათვის გამოიყენეს. მე ბევრი ვეხვეწე მთავრობას დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ მეტეხიდან განთავისუფლებული ბეგები. მაგრამ ისინი დღესაც თბილისში დაბრძანდებიან და მაქედან საქმეს გვიფუჭებენ აქეთ (საუბარია ბინალი ბეგ ვაჩნაძესა და ომარ ფაიკ ნემანზადე ყიფიანზე — ა.ჩ.). საჭიროა არა იმდენად ჯარი, რამდენადაც გვარდია, რომელიც მოიკლის მთელს მაზრას და გასწმენდს რეაქციონერებისაგან, თორემ ეხლა ზურგშიც კი მტრები გვყამს. ჩვენი ორგანიზაცია გთხოვთ სახალხო გვარდიის შტაბს მიაქციოთ ამ გარემოებას ყურადღება და დაუყოვნებლივ გამოგვიგზავნოთ ნაწილი მაინც თქვენი შეიარაღებული ძალისა".

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, საქმეში ქართული საჯარისო ქვედანაყოფებიც ჩაერთდნენ. გენერალმა მაყაშვილმა აჯანყების მოთავეებს ულტიმატუმი წაუყენა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ეს გამოსვლები „ორი-სამი მოთავის ორგანიზებული ავანტიურა" იყო, ლოკალურ ხასიათს ატარებდა და მდგომარეობის მოგვარება ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოხერხდებოდა. რეალობა კი გაცილებით მძიმე და სერიოზული იყო. „ეს ავანტიურა" ნამდვილი სამხედრო მოქმედებების დასაწყისი იყო, რომლის მიზანსაც ძირძველი ქართული მიწების ე.წ. „ყარსის რესპუბლიკასთან" მიერთება წარმოადგენდა. მთელი ეს სამხედრო-პოლიტიკური პროცესები კი თავის დროზე ოსმალთა გენშტაბის მიერ შემუშავებული ერთიანი გეგმის მიხედვით ვითარდებოდა.

გენერალ მაყაშვილის მიერ მხოლოდ რეალური სამხედრო მოქმედებების დაწყების შემდეგ გახდა შესაძლებელი არსებული სიტუაციის ადეკვატურად შეფასება. მან მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილისაგან დახმარება და რეგიონში დამატებითი ქართული ქვედანაყოფების შეყვანა მოითხოვა. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, რესპუბლიკის მთავრობისა და სამხედრო უწყების მიერ დროულად ვერ მოხერხდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში შესაბამისი რაოდენობის ძალების თავმოყრა. საქმე იმაში იყო, რომ ამავე პერიოდში, აფხაზეთის რეგიონში, გენერალ დენიკინის „დობროარმიის" აგრესიის აღსაკვეთად, ქართული შეიარაღებული ძალების გარკვეული ნაწილის, ძირითადად, სახალხო გვარდიის რაზმების კონცენტრაცია დაიწყო.

არა იმდენად წარუმატებელი სამხედრო ხელმძღვანელობის, არამედ პირველ რიგში იდეოლოგიური არათავსებადობის გამო, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარისა და სამხედრო მინისტრის გადაწყვეტილებით გენერალი მაყაშვილი დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა. ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და რეგიონის ქართული საჯარისო გარნიზონის სარდლად 1919 წლის 3 თებერვალს ჩოლოქის ბრძოლისა და სომხეთ-საქართველოს ომის გმირი, მე-2 ქვეითი დივიზიის მეთაური, გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა. მაგრამ, საქმეს ამანაც ვერ უშველა. მცირერიცხოვანმა და დემორალიზებულმა ქართულმა გარნიზონმა მოწინააღმდეგის სამხედრო აგრესის აღკვეთა ვერ შეძლო. ისლამისტთა შეიარაღებულმა ძალებმა შექმნილი მდგომარეობით ისარგებლეს, შეტევითი მოქმედებები განაგითარეს და ტაქტიკური წარმატება ოპერატიულში გადაზარდეს. ქართულმა ქვედანაყოფებმა ფოცხოვი, ახალციხე და ახალქალაქი დატოვეს და უკან, ბორჯომისაკენ დაიხიეს.

„ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებს. №1.
12.02.19. ქ. თფილისი. სრულიად საიდუმლო.

1. გენერალ მაზნიევის ახალციხის რაზმის მრავალდღიანი ბრძოლების შემდეგ, რაც გაიმართა ზურგში აჯანყებითა და თურქი ასკერების გამოჩენის შედეგად, რაზმი იძულებული იყო 11 თებერვლის საღამოსათვის უკან დაეხია ქვემო აწყურის მიდამოებისაკენ... ინგლისის მისიის წარმომადგენელმა თხოვა ჩვენს მთავრობას, რომ გაუგებრობების თავიდან აცილებისათვის, თავი შეეიკავოთ აქტიური მოქმედებებისაგან. აქედან გამომდინარე, ებრძანებ:
2. გენერალ მაზნიევს:
   ა. ამოარჩიოს, მყარად დაიმკვიდროს და გამაგრდეს იმ ხაზზე, რაც მას ეხლა უკავია გურკელი-საკუნეთი-ბლორძა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საარტილერიო თავდაცვას.
   ბ. უწყვეტად აწარმოოს დაზვერვა მოწინააღმდეგის ძალებისა და განლაგების გამოსარკვევად.
   გ. მოემზადოს შეტევაზე გადსვლისათვის ახალციხის ასაღებად, როგორც კი ამისათვის საკმარისი ძალები მოიყრიან თავს.
   დ. ახალქალქის რაზმთან ეჭიროს უწყვეტი კავშირი.
   ე. თავისი შტაბი განალაგოს აწყურში.
   სასწრაფო მოხსენებები მოწოდებულ იქნას 9 და 19 საათზე ყოველდღიურად.

ჩემი მოადგილეები არიან: გენერალ-მაიორი ანდრონიკოვი და გენერალ-მაიორი იმნაძე. სამხედრო მინისტრის თანაშემწე — გედევანოვი. გენშტაბის უფროსი — ანდრონიკოვი. ოპერატიული სექციის უფროსი — ზაქარიაძე.''

წარუმატებელი ხელმძღვანელობისათვის თანამდებობიდან გენერალი მაზნიაშვილიც გადააყენეს, მის მაგივრად ახალციხე-ახალქალქის მაზრების გენერალ-გუბერნატორად და გარნიზონის სარდლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დაინიშნა.

შეტევითი მოქმედებებისათვის მზადება: გენერალი კვინიტაძე შეტევითი ოპერაციის მომზადებისათვის ზრუნვას დანიშვნისთანავე შეუდგა. ქართული მხარის მიერ ბორჯომში შესაბამისი ძალებისა და საშუალებების თავმოყრა დაიწყო. შეტევითი ოპერაციის სრულყოფილად მომზადებისათვის ქართული სარდლობის მხრიდან საჯარისო დაზვერვისა და აგენტურული მონაცემების მოპოვების კუთხით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა.

„ახალციხის ჯარების სარდალს ვალეს რაზმის მეთაურისაგან
პატაკი №27.
06.02.19. ვალე.

„...ექიმმა ჯაყსუდან მნიშვნელოვანი ცნობები მოიტანა: მთელი მოსახლეობა, დაწყებული 30 წლიდან შეიარაღებულია; თავად ექიმმა ნახა რეგულარული თურქული ჯარი — დაახლოებით 200 კაცი, კავალერისტები და ქვეითები;

იგი ესაუბრა თურქ ოფიცრებს და თავისი თვალით ნახა მათ შორის სამი რუსი ოფიცერი, ერთ-ერთი მათგანი გიორგის ჯვრის კავალერი, რომელმაც განაცხადა, რომ რუსი ოფიცერი აქ დაახლოებით ათი კაცია. სხვათა შორის ერთი მათგანი მონაწილეობას იღებდა უდეში გამართულ ბრძოლებში. მეორე რუსმა ოფიცერმა განაცხადა, რომ მიუხედავად უდეში გამართული დიდი

ბრძოლებისა, მათი დანაკარგები მცირეა. მესამემ კი განაცხადა, რომ დღეს მათ ძლივს შეაკავეს ფოცხოველები, რომ არ წამოსულიყვნენ აჯანყებულთა დასახმარებლად. მათ მოუწიათ რამდენიმეს დაპატიმრება და ორი მათგანი დაჭრეს კიდეც...

ახლა უკვე ცხადია, რომ ყველაფერი ეს ძალიან სერიოზულია და არ წარმოადგენს წვრილმანს, როგორც ეს ადრე გვეგონა".

გარკვეული რაოდენობის რეგულარული ნაწილებისა და გვარდიის რაზმების თავმოყრის შემდეგ ახალციხის მიმართულებით შეტევის დაწყება მარტის პირველ რიცხვებში გადაწყდა. გენერალი კვინიტაძე წერს: „პირველ ყოვლისა, უნდა გაგვენადგურებინა აჯანყების ბირთვი და აგვეღო ახალციხე. მერე მაზრის ყოველი უბნის, ყოველი სოფლის წინააღმდეგ მოგვიწევდა ბრძოლა. ეს ჩემი ძალების დაფანტვას გამოიწვევდა, ნაწილობრივ წარუმატებლობაც გველოდა და ზურგიც განუწყვეტელ საფრთხეში იქნებოდა. ამგვარი მოქმედებები ბევრ დროს წაიღებდა და რაც მთავარია უეჭველად დიდი მსხვერპლი მოჰყვებოდა. ამიტომ გადავწყვიტე ბირთვი აღებისთანავე დაუყოვნებლივ და სწრაფად გამეელო ახალციხის რაიონი ადიგენისა და ფოცხოვის მიმართულებით... ამგვარ ვითარებაში სწრაფი და გადამწყვეტი წარმატება – საუკეთესო გამოსავალია".

ოპერაციის დაგეგმვის პროცესში უთანხმოება წარმოიშვა გვარდიისა და საჯარისო ნაწილის მეთაურებს შორის. უთანხმოების მიზეზი შეტევის დაწყების თარიღი და პოზიციების დაკავების საკითხი იყო. ქართული შენაერთები განლაგებული იყვნენ ტყიან მასივში. შეტევის დაუყოვნებლივ დაწყებას გვარდიის მთავარი შტაბის წარმომადგენლები, გენერალი ფელიცინი და ჯიბლაძე მოითხოვდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ აწყურის დაუყოვნებლივი დაკავებით უკეთეს პოზიციაზე გავიდოდნენ. გენერალი კვინიტაძე და მისი შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი ნაადრევად მიიჩნევდნენ შეტევის დაწყებას და ძალთა შემდგომი თავმოყრის მომხრენი იყვნენ, რასაც შემდეგნაირად ასაბუთებდნენ: ქართული შენაერთების ტყიან მასივში ჩაყენება მოწინააღმდეგეს ხელს შეუშლიდა თვალთვალში. მას ქართული საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის ადგილისა და მოძრაობის შემჩნევა გაუჭირდებოდა. აწყურში შესვლის შემთხვევაში კი მოწინააღმდეგე მოშიჯნავე მთაგორიან (თრიალეთის ქედის) პოზიციებზე დაიხევდა და ქართული სამხედრო ნაწილების ზემოთ მოექცეოდა, რითაც სტრატეგიული თვალსაზრისით კარგ პოზიციებზე აღმოჩნდებოდა.

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაეგრძელებინათ სამხედრო და გვარდიული დანაყოფების შევსება სრულ დაკომპლექტებამდე. ქართული შეიარაღებული ფორმირებები განლაგდნენ შემდეგნაირად: მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ბორჯომ-ახალციხის გზატკეცილის გასწვრივ – გვარდიული ნაწილები, გვარდიის პასუხისმგებლობის ზონად განისაზღვრა პოზიციები სლესის ციხიდან მარცხნივ, დასავლეთით; საჯარისო ნაწილები ჩადგნენ მთიანი რელიეფით გამოკვეთილ მასივზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გადაადგილება ხდებოდა მთის ბილიკებით, ვინაიდან დაბლობზე ნიადაგი დაჭაობებული იყო და თოვლის ინტენსიური დნობა გზების შეკეთების საშუალებას არ იძლეოდა.

ამ დროისათვის აწყურ-ახალციხის მიმართულებაზე პოზიციები 3000 გვარდიელსა და 5000-იან რეგულარულ ჯარს ეკავა. გვარდიის შენაერთის საერთო მეთაურად გენერალი ალექსანდრე ახმეტელაშვილი (ახმეტელი) დაინიშნა. შეტევას ისიც აყოვნებდა, რომ გვარდიულ და საარმიო შენაერთებს მტკვრის ორივე ნაპირი დაკავებული ჰქონდათ. შეტევის დროს ორივე შენაერთის ტყვიაწამლის უწყვეტი მომარაგების უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა ხიდის აგება, რაც საინჟინრო ქვედანაყოფებმა უმოკლეს დროში მოახერხეს.

საბრძოლო მოქმედებების დაწყება: 1919 წლის 5 მარტს ქართული მხარის შეტევითი ოპერაცია დაიწყო. აწყურზე შეტევა გვარდიისა და არმიის ორ კოლონად, დიდი წარმატებით განვითარდა. აწყურის აღებას ერთი საათიც არ დასჭირვებია, მოწინააღმდეგემ არაორგანიზებულად დაიხია უკან. ტყვედ ჩავარდა მოწინააღმდეგის 20 მებრძოლი და ერთი მეთაური. მტერი უსისტემოდ დაიქსაქსა, ნაწილი ახალციხისკენ წავიდა, ნაწილი მარჯვნივ და მარცხნივ მთებს შეეფარა. მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგე ბრძოლას არ წყვეტდა. შეტევა 6 მარტსაც გაგრძელდა. გენერალ დ. ართმელიძის უბანზე საარმიო დანაყოფები შეტევაზე გამთენიისას გადავიდნენ. რელიეფის სირთულე, მთაგორიანი და ტყე-ბორცვიანი მასივი ჯარის მოძრაობას აფერხებდა. ქართული შენაერთები საბრძოლო ტაქტიკის მოთხოვნების სრული დაცვით მოქმედებდნენ. განუწყვეტლივ უტევდნენ მოწინააღმდეგეს მხარდამჭერი და სარეზერვო ქვედანაყოფები. მტრის პოზიციებს

ქართული არტილერია ბომბავდა. მოწინააღმდეგემ ყველა მიმართულებით უკან დახევა დაიწყო. 7 მარტს შეტევის საერთო ხაზი რეზერვით გაძლიერდა. გადაიკეტა ახალციხისაკენ მიმავალი მთავარი საავტომობილო გზა. მეწინავე პოზიციებზე გამოიყვანეს 2 ჯავშანმატარებელი, რომლებიც ტყვიამფრქვევების უწყვეტი ცეცხლით განაგრძობდნენ წინსვლას. ისინი ქვეითი მხარდამჭერი ასეულის თანხლებით 7 მარტს ახალციხეში შეეიდნენ. ქალაქის კომენდანტად გენერალი დ. რატიშვილი დაინიშნა.

მოწინააღმდეგემ უკან, ფოცხოვისკენ დაიხია და იქ გამაგრდა. 13 მარტს ქართულმა საჯარისო ნაწილებმა ფოცხოვს ალყა შემოარტყეს. მოწინააღმდეგემ დაზავება ითხოვა და სრული მორჩილება გამოაცხადა, რასაც იარაღის ჩაბარება მოჰყვა. ამოიღეს 4000 თურქული შაშხანა, მაგრამ საქმეში ინგლისის სარდლობა ჩაერია და კატეგორიულად მოითხოვა, ქართულ სამხედრო შენაერთებს ფოცხოვის ტერიტორია დაეტოვებინათ. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ ბრიტანელი პოლკოვნიკები, სტიუარტი და რიდი. ინგლისის მხარე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ქართული სამხედრო შენაერთები არდაგანის ტერიტორიაზე არ შესულიყვნენ.

შემდგომი შეტევის ობიექტად ახალქალაქი დაისახა, რომელიც ქართულმა ქვედანაყოფებმა 19 მარტს გაათავისუფლეს. 22 მარტს გენერალ კვინიტაძის მიერ ოპერაციის პირველი ეტაპის წარმატებით დასრულება პატაკით ეცნობა არმიის სარდალს, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილს.

„ტიფლისი, კომანდარმს. ასლი შინაგან საქმეთა მინისტრს.
№748.
1919 წლის 22 მარტი, 11 საათი 15 წუთი,
ახალციხიდან.

„...19 მარტს პოდპოლკოვნიკ კუჭუხიძის რაზმი 1-ლი პოლკიდან 40 ხიშტის შემადგენლობით და 100 მესაზღვრე შევიდენ ახალქალაქში. ქართული ჯარის არყოფნის პერიოდში ახალქალაქის ადმინისტრაციაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი მმართველობა სომხებისა და მუსულმანების შემადგენლობით იასინ ბეგ ფალავანდოვის თავმჯდომარეობით, რომელსაც კავშირები აქვს სერვერ ბეგთან. ინგლისის წარმომადგენლის განცხადებით, რომელიც მან პოდპოლკოვნიკ კუჭუხიძესა და ხერხეულიძეს წარუდგინა, მათ არა აქვთ უფლება, დაუპატიმრონ თვითმმართველობაში შესული პირები.

სიიმედო თარჯიმნის უქონლობის გამო, ძალიან გაჭირვებულია ინგლისის წარმომადგენლთან ურთიერთობა. იქ არსებული სომეხი თარჯიმანი კი, როგორც ჩანს სარგებლობს თავისი მდგომარეობით და ბოროტად იყენებს მას. მისი საშუალებით სომხები აწვდიან ინფორმაციას ინგლისელებს და ღია პროპაგანდას ეწევიან იმის შესახებ, თითქოს ქართველები იქ დროებით არიან მაზრაში და იქ მალე მოვა სომხური ჯარი.

ინგლისელები ცდილობენ ისეთი ტონით ილაპარაკონ თითქოს ისინი არიან იქ განკარგულების გამცემნი. ჩვენი ჯარის გასვლის შემდეგ სომეხთა მიერ გაძარცვულია ადგილობრივი ლაზარეთის ცეიხჰაუზი.

ქალაქის მაცხოვრებელი ქართველები ძალიან შეეიწოებულნი არიან სომეხთა მიერ. მაზრაში ამოხოცილი, გაძარცვული და პატივაყრილია ბევრი ქართველი. სოფლელთა განცხადებით ეს ძალადობები სომეხთა მიერ იქნა პროვოცირებული“.

არდაგანის ოპერაცია: ქართული მხარის შეტევითი ოპერაციის მეორე ფაზას არდაგანის აღება წარმოადგენდა, რადგან არდაგანი კვლავ პრობლემად რჩებოდა. აქ თავმოყრილი იყო მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი ძალები და ოსმალთა ემისრები. გენერალ კვინიტაძეს კარგად ესმოდა, რომ „სიმშვიდე ახალციხესა და ახალქალაქში იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, თუ ვის ხელში იქნებოდა არდაგანი. არდაგანიდან ჩვენთან შემოჭრა მტერს, ორი — ახალციხისა და ახალქალაქის მიმართულებიდან შეეძლო. ახალაქალაქის მიმართულებიდან შემოჭრის შემთხვევაში, იგი თბილისსაც დაემუქრებოდა. ვითარება არდაგანზე იერიშის მიტანას გვკარნახობდა, უნდა მოგვესპო იმ მხრიდან მოსალოდნელი საშიშროება და საბოლოოდ დაგვემშვიდებინა ჩვენი სასაზღვრო ოლქები“.

არდაგანზე შეტევა 2 მიმართულებიდან დაიგეგმა — ზონიორის უღელტეხილის გადავლით ახალციხისა, ხოლო კარწახის გავლით ახალქალაქის მიმართულებებიდან. ოპერაციის სრულყოფილად მომზადებისათვის, კერძოდ სრულყოფილი სადაზვერვო მონაცემების მოპოვების მიზნით, ქართული მხარის მიერ საქმეში ავიაციაც ჩაერთო:

„მოხსენება №821

საჰაერო დაზვერვით გამოკვლეულია ფოცხოვის რაიონი. ხალხის მნიშვნელოვანი თავმოყრა შემჩნეულია სოფლების ჯაყსუსა და დიგურის რაიონებში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელში. შემჩნეულია გაკეალული ბილიკები დიგურიდან ხონიორისაკენ, კახიჯვრის ქედის გადავლით... ზენდარის რაიონში შემჩნეულია რამდენიმე კოცონი. აპარატს ცეცხლი გაუხსნეს ზენდარის, დიგურის და ბადელიას რაიონში.''

სრულ მზადყოფნაში იქნა მოყვანილი 3000 კაციანი სამხედრო ნაწილი, რომელიც ორ კოლონად გაიყო. პირველ კოლონას, გენერალ ართმელაძის მეთაურობით ხონიორის უღელტეხილით უნდა დაეწყო მოძრაობა არდაგანისაკენ. მეორე კოლონას კი, გენერალ სუმბათაშვილის მეთაურობით — ახალქალაქის მხრიდან. ოპერაციის საერთო ხელმძღვანელს გენერალი კვინიტაძე წარმოადგენდა. 18 აპრილს თოვლის საფარის შემცირებასთან ერთად ქართული ნაწილები უღელტეხილზე გადავიდნენ. 19 აპრილს გენერალ ართმელაძის შენაერთს ხანმოკლე ბრძოლა მოუწია არდაგანის მისადგომებთან, 20 აპრილს კი, არდაგანი აღებულ იქნა. გენერალი სუმბათაშვილი ახალქალაქი-არდაგანის გზატკეცილით თითქმის უბრძოლველად მიიწევდა წინ. აჯანყების მოთავე სერვერ ბეგ ათაბაგი ჯაყელი თურქეთში გაიქცა... ამრიგად, მოწინააღმდეგე აღარ არსებობდა, საბრძოლო ოპერაციები შეწყდა.

„ყარსის რესპუბლიკის მთავრობასთან“ მიმართებაში ბრიტანელებმა დამოკიდებულება თანდათანობით შეიცვალეს, მათი თურქოფილური განწყობები გაქრა. 1919 წლის 20 აპრილს, მას შემდეგ, რაც ქართულმა საჯარისო ფორმირებებმა არდაგანი აიღეს, ყარსის ახალმა გუბერნატორმა, გენერალმა ასერმა და დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლებამ გავლენის შენარჩუნების მიზნით ჯარები ქალაქ ყარსში შეიყვანეს. ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის“ ლიკვიდაცია ამით დასრულდა. ბრიტანელებმა „ყარსის მთავრობის“ 12 წევრი დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. ხელისუფლება პირადად ბრიტანელი გუბერნატორისა და მის მიერ ჩამოყალიბებული საბჭოს ხელში გადავიდა.

გენერალი კვინიტაძე წერს: „არდაგანის აღების შემდეგ ჩვენმა ჯარმა გაქცეული მოწინააღმდეგის ნაწილებს მტკვრის სათავეებამდე მისდია. იმის იქით წინსვლის უფლება აღარ დავრთე. ჩვენი მზვერავები ინგლისელებს გადაეყარნენ. თურმე ჩვენს მიერ არდაგანის აღების დღეს ინგლისელებს ყარსში ჯარი ჩამოუყვანიათ და ე.წ. სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის ტერიტორიის ყარსის მთავრობა დაუპატიმრებიათ. ჩვენ ის შევარყიეთ — ინგლისელებმა კი ბოლო მოუღეს...“. ოსმალთაგან ზურგგამაგრებული ისლამური აგრესია აღიკვეთა. საზღვარზე მდებარე სოფლები ქართულმა საჯარისო ქვედანაყოფებმა დაიკავეს. მათ საერთო მეთაურად პოლკოვნიკი ალექსანდრე ჩხეიძე დაინიშნა, ხოლო ქართველ მესაზღვრეთა რაზმის უფროსად — პოლკოვნიკი რამაზაშვილი.

1919 წლის 27 მაისს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სამხედრო მდგომარეობის გაუქმებასთან დაკავშირებით გენერალმა კვინიტაძემ გენერალ-გუბერნატორისა და ჯარების სარდლის თანამდებობა დატოვა. გარნიზონის პირად შემადგენლობასთან გამომშვიდობების მიზნით მან №57 ბრძანება გამოსცა. ძნელია, მას გულგრილად გაეცნოს მკითხველი:

„ ბრძანება ახალციხის რაზმისადმი №57. 27.05.19 ახალციხე

ძვირფასო თანამებრძოლებო, ოფიცრებო და ჯარისკაცებო, მე თქვენ გშორდებით. მთლიანად გამსჭვალული ვარ ღრმა აღფრთოვანებით თქვენი სიმამაცით ამ ველზე და ყველგან ჩვენს უძველეს მესხეთში, ჩვენი სამშობლოს ძვირფას აკვანში. თქვენ აიძულეთ ყველა, რომ ისევ გახსენებოდათ ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც ამავე ბრძოლის ველზე თავიანთ სისხლს ღვრიდნენ ჩვენი სამშობლოს გულისათვის.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი ხანა, ეს ჩემი ყოფნაა აქ, თქვენთან, ახალციხის ფრონტზე. მე ბედნიერი ვარ, რომ ბედმა მარგუნა ისეთი ყოჩაღი ხალხის სარდლობა, რომლებიც თქვენა ხართ. ქება და დიდება თქვენ.

დაე ეს იყოს ჩვენი პატარა სამშობლოსათვის მანათობელი ვარსკვლავი ჩვენს შემდგომ ცხოვრებაში.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიქნებით უკანასკნელი სისხლის წვეთი გავიღოთ ჩვენი სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ქება და დიდება თქვენ, ახალციხისა და ახალქალაქის გმირებო.

მშვიდობით, დაე თქვენთან იყოს მუდამ გამარჯვება, გიყვარდეთ სამშობლო.

ახალციხის რაზმის სარდალი, გენერალური შტაბის გენერალ-მაიორი კვინიტაძე".

ტაქტიკური ანალიზი: ახალციხე-არდაგანის შეტევისას მოპოვებული გამარჯვება გენერალ გ. კვინიტაძისა და იმ გენერლებისა თუ ოფიცრების დამსახურებაა, რომლებმაც გონივრულად დაგეგმეს ოპერაცია და კოორდინირებული მოქმედებებით შეტევის ყველა ეტაპზე წარმატებას მიაღწიეს. ქართულმა სარდლობამ შესანიშნავად მოახერხა შესაბამისი ძალების თავმოყრა, პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპლინისა და დაკარგული საბრძოლო სულისკვეთების აღდგენა.

ქართული მხარის მიერ ოპერაციის მომზადებისას კარგად დაიგეგმა აგენტურული მუშაობა, სწორად იყო რეალიზებული ოპერატიული და საჯარისო დაზვერვის მონაცემები. ფოცხოვისა და არდაგანის მიმართულებაზე შეტევითი ოპერაციის დაგეგმვისას განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ავიაციის გამოყენება.

ქართულმა მხარემ ტექნიკურ და საბრძოლო საშულებებში იმ უპირატესობის რეალიზაცია შეძლო, რაც მას დაპირისპირებულ მხარესთან შედარებით გააჩნდა. საუბარია ქართული არტილერიისა და ჯავშანმატარებლების ეფექტურ გამოყენებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ოპერაციის მეორე ფაზაში, არტაანზე შეტევის წინ, გვარდიის ნაწილების აფხაზეთის ფრონტზე გადაგზავნის გამო ქართული საჯარისო ნაწილების პირადი შემადგენლობის როდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ქართულმა მხარემ მაინც დიდი წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე დასმულ საბრძოლო ამოცანას.

შეტევითი ოპერაციის ტემპი და სიღრმე ფოცხოვისა და არდაგანის მიმართულებაზე მაღალი იყო, ქართული მხარის საბრძოლო დანაკარგები კი — მინიმალური. სწორად დაგეგმილი და აღსრულებული ოპერაციის შედეგად ქართულმა მხარემ ისლამისტთა სამხედრო აგრესია დროულად აღკვეთა. 1919 წლის აპრილის ბოლოს ისლამური ფსევდოსახელმწიფო — „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის რესპუბლიკა" ლიკვიდირებულად გამოცხადდა, ქართული მეწინავე ნაწილები არდაგანში შევიდნენ, ყარსი კი ბრიტანულმა ქვედანაყოფებმა დაიკავეს. საქართველოს დემოკრატიულმა რეპუბლიკამ ძირძველ ქართულ მიწებზე — სამცხე-ჯავახეთსა და ტაო-კლარჯეთის ნაწილზე დე ფაქტო იურისდიქცია აღიდგინა. ახალციხე-ახლაქალაქის მაზრები და არდაგანის ოლქის ჩრდილოეთი ნაწილი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

§10. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი (საქართველოს ოკუპაცია)

პოლიტიკური ვითარება: 1920 წელს აზერბაიჯანსა და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ამას ანტიდასაელური პოზიციების გამო რუსეთის ფედერაციისა და თურქეთის დაახლოება დაემატა. დასავლეთის ქვეყნებიდან რეალური დახმარების მიღების შანსი არ არსებობდა. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც საქართველო ერთა ლიგაში არ მიიღეს. ცხადი იყო, რომ უახლოეს პერიოდში საბჭოთა რუსეთი საქართველოს დაპყრობას შეეცდებოდა.

მოწინააღმდეგე ძალები: ქართული შეიარაღებული ძალები რეგულარული არმიისა და სახალხო გვარდიისაგან შედგებოდა. ეს უკანასკნელი „იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ ევალებოდათ ყაზარმებში ცხოვრება. გვარდიელები უმეტეს დროს თავიანთ სახლებში და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწყობრში დგებოდნენ მხოლოდ წვრთვნისა და ომის დროს". გვარდია ფაქტობრივად არმიის პარალელური სამხედრო სტრუქტურა იყო. მისი სარდლობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას ემორჩილებოდა. გვარდია „პარტიული ჯარი" იყო. მისი შექმნის მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ქართველ გენერლებსა და ოფიცრებს არ ენდობოდა. გვარდიას არმიასთან შედარებით პრივილეგირებული მდგომარეობა ეკავა, მას უკეთესი მომარაგება ჰქონდა. მაშინ როდესაც ჯარში ჯარისკაცს თვეში 150-250 მანეთი, ხოლო ოფიცერს 3-6 ათასი მანეთი ეძლეოდა, რიგითი გვარდიელი თვეში 3-6 ათას მანეთს იღებდა. ქართული შეიარაღებული ძალების

1918-1920 წლების ბრძოლების დროს გამოჩნდა, რომ გვარდია (ცხადია, იყო გამონაკლისებიც) არმიას ბრძოლისუნარიანობითაც და დისციპლინითაც მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ თბილისთან ბრძოლის დროს გვარდიამ საოცარი თავდადება და ბრძოლისუნარიანობა გამოაჟღინა (თუმცა, აქაც იყო სამწუხარო გამონაკლისები).

გვარდია მუდმივ და სარეზერვო ნაწილებად იყოფოდა. მუდმივი ნაწილები იყო: ერთი, სრული შემადგენლობის საგანგებო ბატალიონი; მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონი; მესანგრეთა ერთეული; საარტილერიო ბრიგადა (6 ბატარეა); ჯავშანავტომობილებისა და საბარგო ავტომობილების რაზმი; ცხენოსანი პოლკი (6 ესკადრონი). სარეზერვო ნაწილი შედგებოდა 20 (ზოგი მონაცემით 23) კადრირებული ბატალიონისაგან. გვარდიის მობილიზაციას 1-2 დღე სჭირდებოდა. გვარდიის ცხენოსანი ნაწილი ერთ-ერთი საუკეთესო ქართული სამხედრო შენაერთი იყო რესპუბლიკაში. მასში, რუსეთის იმპერიის საუკეთესო საკავალერიო ნაწილების, ნიჟეგოროდისა და ტვერის დრაგუნთა პოლკების ყოფილი ქართველი ოფიცრები მსახურობდნენ. გვარდიას სათავეში შტაბი ედგა, რომელსაც უცვლელად მეთაურობდა ვალიკო ჯუღელი.

1919 წლის შემოდგომაზე დამტკიცდა ქართული ჯარის შემადგენლობა, რომლის მიხედვითაც არმიაში 4 ბრიგადა უნდა ყოფილიყო. ბრიგადა შედგებოდა 4 ათასეულისა და 1 საარტილერიო დივიზიონისაგან. თავის მხრივ, ათასეულის შემადგენლობაში ქვეითთა 5 ასეული, მეტყვიამფრქვევეთა ასეული, მეკავშირეთა, მზვერავთა, მესანგრეთა რაზმები და შტაბის შემადგენლობა შედიოდა. ცალკე არსებობდა სანაპირო დაცვის, ანუ მესაზღვრეთა ათასეული. მასში ქვეითთა 6 ასეული შედიოდა.

არმიის შემადგენლობაში შედიოდა 3 საარტილერიო დივიზიონი, ცხენოსანთა რაზმი, მესანგრეთა ათასეული, რადიო-ტელეგრაფის ნაწილი, საავიაციო გუნდი, ჯავშანმანქანების ნაწილი, ავტომობილების სატრანსპორტო კოლონა და 4 ჯავშანმატარებელი.

საომარი მდგომარეობის დროს ინიშნებოდა მთავარსარდალი, რომელსაც ემორჩილებოდა არმია და სახალხო გვარდია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური `შტაბის მონაცემებით, 1920 წლის 25 აგვისტოსთვის ქართულ არმიაში (სამხედრო სკოლისა და სამნეო ნაწილის გამოკლებით) სიით 37 667 კაცი ირიცხებოდა, თუმცა რეალურად სახეზე 25 891 იყო.

თბილისის დაცვაში მონაწილეობდნენ გვარდიის საგანგებო, თბილისის სამი, დუშეთის, გორის, ხაშურის, ახალციხის, იმერეთის მე-2 და მე-3, სენაკის, ზუგდიდის, ბათუმის ბატალიონები და არმიის პირველი, მე-4, მე-5 (აღდგენილი), მე-7, მე-9, მე-10 ათასეულები. ასევე სადარაჯო და საყარაულო ათასეულების ნაწილები, სამხედრო სკოლა, მოხალისეები, გვარდიისა და არმიის საკავალერიო ნაწილები. გვარდიის ბატალიონებში 800-1000 კაცი ირიცხებოდა, თუმცა ზოგიერთ მათგანში უფრო ნაკლები მებრძოლი იყო. მაგალითად, ზუგდიდის ბატალიონი 500 მეომრისაგან შედგებოდა. რამდენად სრული იყო არმიის ათასეულების კომპლექტაცია, ძნელი სათქმელია, მაგრამ წესით თითოეულ მათგანში გვარდიის ბატალიონებზე ნაკლები მეომარი არ უნდა ყოფილიყო.

საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემადგენლობა და შეიარაღება იყო: 40 200 ქვეითი და ცხენოსანი, 196 ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშნოსანი მატარებელი, 8 ტანკი, ჯავშანმანქანების რაზმი და 50 თვითმფრინავი. მე-11 არმიის ნაწილებს ეხმარებოდნენ საბჭოთა სომხეთის ერთი საკავალერიო და მე-5 და მე-6 ქვეითი პოლკები. მე-11 არმიის ძირითადი შეტევა წითელი ხიდიდან თბილისის მიმართულებით იყო დაგეგმილი. მის შემადგენლობაში შედიოდა მე-9, მე-20 და 32-ე ქვეითი და მე-12 საკავალერიო დივიზიები. მე-11 არმიის მეორე ჯგუფს ზაქათალიდან კახეთის გაავლით, თბილისის გვერდის ავლით, მცხეთისაკენ უნდა ემოძრავა და ქართული ნაწილებისათვის თბილისიდან უკანდასახევი გზა მოეჭრა. ამ შენაერთს კურიშკო მეთაურობდა და მას 2 ქვეითი პოლკი და მე-18 საკავალერიო დივიზია ექვემდებარებოდა. მე-11 არმიის გარდა, საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებდა მოწინააღმდეგის შემდეგი სამხედრო შენაერთები: მე-9 არმიის 31-ე დივიზია, 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადა და რუსეთის შეიარაღებული ძალების ერთი ნაწილი, რომელიც დარიალის ხეობიდან მოიწევდა.

ძალთა განლაგება: ამ დროისათვის საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე შემდეგი ქართული შენაერთები იდგა:

1. ვორონცოვკაში (კალინინო, ტაშირი) — პოლკოვნიკ რემუალდ ჩხეიძის მეთაურობით, გვარდიის იმერეთის პირველი და კახეთის ბატალიონები, ცხენოსანი ჯარის 2 ესკადრონი, 2 საარტილერიო ბატარეა, 2 ჯავშანმანქანა;
2. ჯალალ-ოღლიში (ლორე, სტეფანავანი) — პოლკოვნიკ მიხეილ იმნაძის განკარგულებაში მყოფი გვარდიის ბორჯომისა და მანგლისის ბატალიონები, ცხენოსანი ჯარის ნახევარი ესკადრონი;
3. ბამბაკის ხეობაში, სანაინი-შაგალის მიმართულებაზე — გენერალ სუმბათაშვილის დაქვემდებარებაში მყოფი II საარმიო ბრიგადის მე-5 და მე-8 ათასეულები, 2 ესკადრონი და 2 ბატარეა;
4. ბობკიარის მთის მიმართულებით — პოლკოვნიკ გოგი ხიმშიაშვილის 2 ბატალიონი;
5. წითელ ხიდთან — გვარდიის გურიის ბატალიონი მაიორ ხომერიკის მეთაურობით, რომლის ზურგშიც თბილისის პირველი (სოფელ სარვანში) და მე-3 ბატალიონები (სოფელ ობელიანოვკაში) იყვნენ განლაგებულნი;
6. ფოილოს ხიდის მიმართულებას იცავდა გვარდიის იმერეთის მე-2 და ზუგდიდის ბატალიონები, ერთი ესკადრონი, მესანგრეთა ასეული, სანაპირო დაცვის ასეული, ერთი ბატარეა და №4 ჯავშანმატარებელი. ამ დაჯგუფებას პოლკოვნიკი კოდუა სარდლობდა;
7. რეზერვს, რომელსაც გენერალი ჯიჯიხია მეთაურობდა, შეადგენდა გვარდიის 6 ბატალიონი, 3 ბატარეა და 2 ესკადრონი.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებაზე დისლოცირებულ, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ნაწილებს გენერალი იოსებ (სოსო) გედევანიშვილი სარდლობდა. მისი შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ძაგანია იყო. პირობითი გამოთვლით, იოსებ გედევანიშვილის დაქვემდებარებაში 10-11 ათასი მეომარი იმყოფებოდა.

საბრძოლო მოქმედებები: 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს ე.წ. „ლორეს ნეიტრალურ ზონაში" განლაგებულ ქართულ შენაერთებზე თავდასხმით დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი.

11-12 თებერვლის ღამეს მოწინააღმდეგემ იერიში მიიტანა ვორონცოვკის, ჯალალ-ოღლისა და სანაინის მიმართულებით.

სანაინის მიმართულებაზე ჯარი სრულიად მოუმზადებელი იყო შემოტევისათვის და მტერმა თითქმის სადახლომდე დაიკავა ბამბაკის ხეობა. მე-5 და მე-8 ათასეულები თითქმის მთლიანად განადგურდა (დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა).

ჯალალ-ოღლისა და ვორონცოვკის მიმართულებებზე იმნაძისა და ჩხეიძის შენაერთები ბრძოლაში ჩაებნენ. პოლკოვნიკმა იმნაძემ, გაიგო რა, რომ რუსები სოფელ ჩიბუხლოსკენ (ნოვოპოკროვკა) მიემართებოდნენ, კაპიტან ოქროცვარიძის ასეული სოფლის დასაცავად გაგზავნა. ქართველებს სოფელში უკვე რუსები დახვდნენ და გვარდიელებს ბრძოლით მოუწიათ სოფლის დაკავება. ამასობაში მოწინააღმდეგემ სოფელ გულეკირში მყოფ კახეთის ბატალიონის მეომრებს შეუტია და კაპიტანი ოქროცვარიძე ორი ასეულით მათ დასახმარებლად გაემართა.

პოლკოვნიკმა ჩხეიძემ კი თავის შენაერთებს ვორონცოვკის დატოვება, უკან დახევა და მდინარე კამენკის (ძეგამი) ნაპირზე არსებული სიმაღლეების დაკავება უბრძანა. საინტერესოა, რომ 2 დღით ადრე ა. ჩხეიძეს ხელში ჩაუვარდა მოწინააღმდეგის 4 მზვერავი და მათგან შეიტყო მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. არსებობს ინფორმაცია, რომ მან ამის შესახებ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების სარდლობას აცნობა, თუმცა იქ სათანადო ღონისძიებები არ დაგეგმეს. მტრის დიდი რიცხობრივი უპირატესობის გამო იმნაძემ გადაწყვიტა, თავადაც მდ. ძორაგეთისაკენ (სომხეთი) დაეხია და ა. ჩხეიძეს შეერთებოდა.

13 თებერვალს მოწინააღმდეგე მთელი დღე ქვემეხებიდან ესროდა მდ. ძორაგეთის ნაპირზე გამაგრებულ ქართულ ნაწილებს. იმავე დღეს გენერალმა ი. გედევანიშვილმა სადახლო-სანაინის მიმართულებაზე კონტრშეტევის დაწყება გადაწყვიტა. გენერალ სუმბათაშვილის ქვედანაყოფის გადარჩენილ მეომრებს არმიის პირველი ათასეული, სადარაჯო ათასეულის 2 ასეული და გვარდიის საგანგებო ბატალიონი მიაშველეს და სანაინზე შეტევა დაავალეს. ამავე დროს გენერალ ა. ჯიჯიხიას შენაერთს აირუმზე იერიშის მიტანა უბრძანეს, არმიის ცხენოსანი რაზმი კი „მგლის ჭიშკრის" გავლით ლორეს მიმართულებით გაუშვეს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალ ჯიჯიხიას დაჯგუფებამ წარმატებას მიაღწია და კიზილკაის სიმაღლეებიც დაიკავა, რეალურად საერთო შეტევა მაინც ვერ განავითარეს. გარდა იმისა, რომ გენერალ სუმბათაშვილის შენაერთს პირადი

შემადგენლობის 2/3 დაკარგული ჰყავდა, გადარჩენილი მებრძოლები მორალურ-ფსიქოლოგიურად ძალიან გატეხილნი იყვნენ. შეტევაზე, ფაქტობრივად, მხოლოდ საგანგებო ბატალიონი გადავიდა, მაგრამ ვერაფრის გაკეთება ვერ შეძლო. 14 თებერვალს მდინარე ხრამსა და სადახლოს მიდამოებში ბრძოლები ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. 15 თებერვალს ლენინმა ოფიციალურად მისცა მითითება ჰეკერს, რომ მე-11 არმიას საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაეწყო. ამავე დღის 24 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, მთავარსარდალი გენერალი ილია ოდიშელიძე, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, გვარდიის შტაბის უფროსი ვალიკო ჯუღელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი, გენერალი გიორგი კვინიტაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვა. შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთეს გენერლებმა ოდიშელიძემ და ზაქარიაძემ. მათი ინფორმაცია საკმაოდ ზოგადი იყო. არ იცოდნენ არც შენაერთების ზუსტი ადგილსამყოფელი, არც მათი მდგომარეობა. თათბირისას მრავალ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიკვეთა. სხდომაზე კენჭისყრის შედეგად გადაწყდა, რომ ე.წ. ფოილოს ჯგუფის უფროსად გენერალი გ. კვინიტაძე დანიშნათ, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი წინააღმდეგი იყო ნოე რამიშვილის გეგმისა. თუმცა ფოილოს ჯგუფის შექმნა არც არავის უცდია. 16 თებერვალს დღის პირველ ნახევარში ილია ოდიშელიძე გადააყენეს და მთავარსარდლად გენერალი კვინიტაძე დანიშნეს. ახალმა მთავარსარდალმა თბილისში გამოიძახა არმიის მე-4 და მე-10 ათასეულები (მე-9 ასეული ჯერ კიდევ ოდიშელიძემ გამოიძახა) და გვარდიის გორისა და ხაშურის ბატალიონები. ცოტა მოგვიანებით ახალქალაქიდან და არდაგანიდან გამოიძახეს არმიის მე-11 და მე-12 ათასეულები.

16 თებერვალს წითელი და ფოილოს ხიდების მიმართულებაზე შეტევა დაიწყეს მე-11 არმიის ნაწილებმა. წითელ ხიდთან მდგომმა მცირერიცხოვანმა ქართველმა მებრძოლებმა, რომელთა ნაწილი ბრძოლაში განადგურდა, უკან დაიხიეს და წითელი ხიდი დატოვეს. წითელი ხიდის დაკარგვამ უმძიმეს ვითარებაში ჩააგდო მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე გამაგრებული სუმბათაშვილისა და ჯიჯიხიას შენაერთები. მტერი მათ მარცხენა ფლანგსა და ზურგში მოექცა. გენერალმა სოსო გედევანიშვილმა ნაწილები მიატოვა, სარდლობა გენერალ სუმბათაშვილს გადააბარა, თავად კი თბილისში წამოვიდა. მდ. ხრამზე მდგომი ნაწილები იძულებულები გახდნენ, სარდარისკენ დაეხიათ.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფოილოს სარკინიგზო ხიდს. რუსები ცდილობდნენ, ხიდი დაეკავებინათ და ქართველებისთვის მისი აფეთქების საშუალება არ მიეცათ. ხიდის დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდა მე-11 არმიის ხუთი ჯავშანმატარებელი (№7, 94, 5, 77, 61). რუსებმა ორჯერ სცადეს სოფელ კრაგესმანთან ფონის გადმოლახვა, მაგრამ ორივეჯერ უკუაქციეს. მათმა კავალერიამ ვერც სოფელ შიხალოდან შეძლო ფონზე გადასვლა და იერიშის მიტანა. აქ მათ ზუგდიდის ბატალიონმა გადაუკეტა გზა. მთელი დღის მანძილზე რუსების მცდელობას, მდინარე გადმოელახათ, წარმატება არ მოჰყოლია (ფოილოს ხიდთან ბრძოლაში მონაწილეობდა მე-9 დივიზიის 74-ე პოლკის მე-2 ბატალიონის პოლიტკომი ნიკიტა ხრუშჩოვი). 22 საათზე ფოილოს ხიდთან მდგომმა ნაწილებმა თბილისისაკენ უკან დახევის შესახებ მთავარსარდლის ბრძანება მიიღეს და პოზიციები დატოვეს.

16 თებერვალსვე დაიწყო შემოტევა ზაქათალის მხრიდან. კახეთში დისლოცირებული მე-6 ათასეულის შენაერთები პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი, ამიტომ მტერს სერიოზული წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და ეკატერინენფელდს მიაღწიეს მდ. ძორაგეტიდან. აქ არ დახვდათ არც ბრძანება და არანაირი სახის ინფორმაცია. მათ კვალდაკვალ წითელი კავალერია მისდევდა, ამიტომ გადაწყდა, ნაწილებს სარდარის მიმართულებით დაეხიათ უკან. მხოლოდ ნაწილმა გადაწყვიტა ტაბახმელასკენ წასვლა. ფაქტობრივად, იმნაძისა და ჩხეიძის ქვედანაყოფებს ალყის გარღვევა მოუხდათ, რათა უკან დაეხიათ. დემორალიზებულმა ქართულმა ნაწილებმა ერთი ბატარეა დაკარგეს. 17 თებერვალს ჩხეიძისა და იმნაძის შენაერთებმა სანდარას მიაღწიეს, სადაც ჯერ კიდევ იდგა სადახლოდან უკან დახეული ჯარის (გენერალ სუმბათაშვილის დაჯგუფება) ნარჩენები. მათ თბილისისკენ ერთად დაიხიეს.

გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაცია იუწყებოდა, რომ „17 თებერვლის განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა ტფილისის დაცვის შესახებ ძლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ. მტრის შემოტევა შეჩერებულია. ლაგოდეხში და შირაქის ველზე ბრძოლა სწარმოებს“.

გენერალმა კვინიტაძემ მდ. ხრამთან მიმდინარე ბრძოლების შესახებ პირველივე ცნობების მიღების შემდეგ მე-9 ათასეულის ერთი ასეული საყარაულას მთისკენ გაგზავნა, რათა უკანდახეულ ქართულ ნაწილებს დახმარებოდა.

ახალმა მთავარსარდალმა თბილისის დასაცავად სამი ფრონტი შექმნა: 1 — სოღანლუღის, სარდალი გენერალი გიორგი მაზნიაშვილი; 2 — ორხევის, სარდალი გენერალი არტემ ჯიჯიხია; 3 — კოჯრის, სარდალი გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი.

გ. მაზნიაშვილმა თავისი ნაწილები, არტილერია და ჯავშანმატარებელი საჭიროებისამებრ განალაგა. კერძოდ, ჯავშანმატარებელი აკონტროლებდა ტერიტორიას სადგურ სოღანლუღიდან სადგურ კუმისამდე. ჯავშანმანქანები სადგურ სოღანლუღთან 4 კმ-ით იყო წინ წაწეული. მაზნიაშვილის დაქვემდებარებაში იყო თბილისის მეტყვიამფრქვევეთა ათასეულიც. მაზნიაშვილის რეზერვს მისთვის მოგვიანებით გადაცემული გვარდიის სამეგრელოს ორი ბატალიონი და პირველი ქვეითი ლეგიონი შეადგენდა.

ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებით თბილისის დაცვა ძირითადად იუნკერთა სკოლას დაევალა. პოლკოვნიკი ა. ჩხეიძე 1921 წლის თებერვალში სამხედრო სკოლის უფროსის, გენერალ ანდრონიკაშვილის თანაშემწე იყო. იგი წერს, რომ სკოლამ 17 თებერვალს დილის 5 საათზე მიიღო ბრძანება ტაბახმელაზე პოზიციების დაკავების შესახებ.

12 საათზე სკოლა დაიძრა და 17 საათზე ტაბახმელაში იყო. სამხედრო სკოლამ გზაში კოჯრისაკენ მიმავალ მე-4 ათასეულის ნაწილებს გაასწრო. იმავე 17 თებერვალს ა. ჩხეიძე დაინიშნა სკოლის უფროსად, რადგან გენერალი ანდრონიკაშვილი მარჯვენა ფრთის ფრონტის სარდალი გახდა. ეს ფრონტი თელეთის ქედზე მდებარე ტრიგონომეტრიულ პუნქტ №430,2-დან იწყებოდა და კოჯორში თავდებოდა. სკოლის შემადგენლობა და შეიარაღება შემდეგი იყო: 136 იუნკერი, 15 არტილერისტი, 10 საინჟინრო დარგის სპეციალისტი, 5 ცხენოსანი, 350 ნაცვალი (ჯარისკაცი, რომლიც უნტერ-ოფიცერი უნდა გამხდარიყო — მ.ბ.), ორ-ორი სამთო და საველე ზარბაზანი, ტყვიამფრქვევები. საინტერესოა, რომ ტაბახმელაზე პოლკოვნიკ ჩხეიძესთან, 12-16 თებერვლის ბრძოლების დროს განადგურებული მე-2 ბრიგადის მე-8 ათასეულის ოფიცრები უფროსი ლეიტენანტი ბარამიძე, ლეიტენანტები ქავთარაძე, ერისთავი, სულუხია, თავზარაძე მივიდნენ და სამხედრო სკოლასთან ერთად ბრძოლის ნებართვა ითხოვეს. „სკოლას არ ჰქონდა სალაშქრო ნივთები. არც თბილი ტანსაცმელი, არც თბილი წინდები. იუნკრები იყვნენ თხელ ფარაჯებში და ჯარისკაცები ნაბდის ფარაჯებში". ღამით ყინვა 8-9 გრადუსს აღწევდა. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში იქნებოდნენ მებრძოლები. ამუნიციის სიმცირე ქართული ჯარის ყველა ნაწილში იგრძნობოდა. მაგალითად, მე-12 ათასეულის მანგლისში დისლოცირებულ ნაწილებს არც ფეხსაცმელი ჰქონდათ და არც ტანსაცმელი. გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაცია იუწყებოდა, რომ „17 თებერვლის განმავლობაში ჩვენი მდგომარეობა ტფილისის დაცვის შესახებ ძლიერ შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ. მტრის შემოტევა შეჩერებულია".

რეალურად 17-ში უშუალოდ თბილისზე იერიში არ მიუტანიათ. თბილისისკენ მხოლოდ მტრის ცხენოსანი რაზმი მოძრაობდა გზატკეცილის გაყოლებით. ისინი საყარაულას მთის ძირში ლელო ჯაფარიძის მეთაურობით განლაგებულმა ქართველ მესანგრეთა ჯგუფმა შენიშნა და ცეცხლი გაუხსნა. მტერი უკან გაბრუნდა.

18 თებერვალს ქართულ შეიარაღებულ ძალებს შემდეგი პოზიციები ეკავათ: მარჯვენა ფლანგზე — კოჯორ-მანგლისის გზატკეცილზე, თეთრი დუქნიდან აზეულას (ქოროღლის) ციხემდე მე-4 ათასეულის ორი ასეული იდგა, პოლკოვნიკ პლატონ ჩიქოვანის მეთაურობით. ამ ათასეულის დანარჩენი ნაწილები ადგილზე 19 თებერვალს მივიდნენ. ტაბახმელას მონაკვეთი სამხედრო სკოლას ეკავა. ამ ფრთას გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი მეთაურობდა, ცენტრში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დაქვემდებარებული ნაწილები იყო დისლოცირებული. შავნაბადას სიმაღლეები მე-9 ათასეულს ეკავა, სოღანლუღის სიმაღლეები — პოლკოვნიკ დავით ვაჩნაძის სადარაჯო ათასეულსა და მეტყვიამფრქვევეთა ბატალიონს. მათგან მარჯვნივ, რკინიგზის ხაზთან სანაპირო ათასეულის ერთი რაზმი იყო განლაგებული ორი ზარბაზნით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე რკინიგზის ხაზამდე — გვარდიის გორისა და ხაშურის ბატალიონები. მარცხენა ფლანგზე — გვარდიის აღდგენილი ნაწილები იდგნენ გენერალ არტემ ჯიჯიხიას მეთაურობით. კერძოდ, იმერეთის მე-2, ზუგდიდისა და დუშეთის ბატალიონები და თითო-თითო საველე და სამთო საარტილერიო

ბატარეები. სოფელ ლილოსთან იდგა გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი. აქეთკენვე გაიგზავნა არმიის საკავალერიო რაზმი, რომელიც მანამდე ოდიშელიძის ბრძანებით ვორონცოვკისაკენ (საბჭოთა ეპოქის კალინინო, დღევანდელი ტაშირი სომხეთის რესპუბლიკაში. მ.ბ.) იყო გაგზავნილი, მაგრამ ვიწრო ხეობაში მტერს გადააწყდა და, საერთო ვითარების გათვალისწინებით, უკან დაბრუნდა. გენერალ კვინიტაძის ინფორმაციის თანახმად, ცხენები არაქათგამოცლილნი და დასუსტებულნი იყვნენ.

მე-11 არმიის ველიკანოვის დაჯგუფებას თბილისისთვის ორი – კოჯრისა და სოღანლუღის გზით შეეძლო შეეტია. პირველი გზა მთა-გორიან რელიეფს მიუყვებოდა და საკმაოდ მიხვეულ-მოხვეული იყო. ეს, ჯარის მანევრირების გარდა, არტილერიის ტრანსპორტირებასა და ჯავშანმანქანების გამოყენებასაც უშლიდა ხელს. მეორე გზა ვაკე რელიეფს მიუყვებოდა. მოწინააღმდეგემ სწორედ მეორე გზა აირჩია.

გენერალმა გ. კვინიტაძემ ბოლშევიკების გეგმა გამოიცნო, ამიტომაც იგი უპირველეს მნიშვნელობას სოღანლუღის მონაკვეთს ანიჭებდა, ვინაიდან მტერი უშუალოდ მას ემუქრებოდა.

18 თებერვალს 20-21 საათზე ქართველმა სადაზვერვო რაზმებმა მოწინააღმდეგის მოძრაობა დააფიქსირეს. 22 საათისათვის მოწინააღმდეგემ იაღლუჯის ქედს მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან შემოუარა და გენერალ მაზნიაშვილის პოზიციებისაკენ დაიძრა. დაზვერვაზე წასულმა გორის გვარდიისა და სადარაჯო ათასეულის რაზმებმა მტრის ავანგარდთან მცირე შეტაკების შემდეგ უკან დაიხიეს. მათ დახმარებას ჯავშანმანქანების რაზმი უწევდა. სწორედ ჯავშანმანქანების რაზმიდან შეატყობინეს გენერალ გ. მაზნიაშვილს, რომ მტერი სოღანლუღისაკენ მოიწევდა. მე-9 ათასეულის უფროსი პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე კი იტყობინებოდა, რომ მასთან მოწინააღმდეგე არ ჩანდა. იგივე ინფორმაციას აწვდიდა მაზნიაშვილს ჯავშანმატარებლის მეთაური, ვალოდია გოგუაძე. (ვლადიმერ გოგუაძე ჯავშანმატარებლების ლეგენდარული უფროსი იყო. მონაწილეობდა 1918-1921 წლების ყველა მნიშვნელოვან ბრძოლაში, გამოირჩეოდა ვაჟკაცობითა და საოცარი სიმამაცით. საქართველო-რუსეთის ომში მძიმედ დაიჭრა, მკურნალობდა სტამბულში. შემდეგ მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა). კუმისის სადგურიდან გენერალმა ძლივს მოასწრო ბატალიონის უფროსის მოხსენების მოსმენა, რომ შეტევა დაიწყო. დაახლოებით 13.30 საათი იყო. მოწინააღმდეგის იერიშის დაწყებიდან სულ მალე ჯავშანმატარებელი სოღანლუღის ხიდთან მივიდა და ბრძოლაში ჩაება. მე-11 არმიის ნაწილებმა შეტევის ფრონტი გაშალეს და ბრძოლაში უკვე საყარაულო რაზმი და სადარაჯო ათასეულიც ჩაერთო. ათასეულთან პირდაპირი კავშირი არ იყო და მაზნიაშვილს ინფორმაციას მეზობელ პოზიციაზე განლაგებული მე-9 ათასეულის მეთაური პოლკოვნიკი ნიკოლოზ ვაჩნაძე აწვდიდა. ამ ინფორმაციის თანახმად, სადარაჯო ათასეული მტკიცედ იცავდა თავის პოზიციებს. სამაგიეროდ, სასტიკ ბრძოლაში ჩართულმა სანაპირო ათასეულის რაზმმა, რომელსაც ქართველი არტილერისტებიც ეხმარებოდნენ, მტრის შემოტევას ვერ გაუძლო და უკან დაიხია. მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო ორი ზარბაზანი და ძალიან მიუახლოვდა სოღანლუღის სადგურს. ქართულმა ჯავშანმატარებელმა თავისი ცეცხლით მოწინააღმდეგეს სადგურის დაკავების საშუალება არ მისცა.

19 თებერვლის 2-დან 3 საათამდე პერიოდში მტერმა სადარაჯო ათასეულის მიმართულებით შეტევა შეწყვიტა, სამაგიეროდ, მთელი ძალებით შეუტია გვარდიის გორის ბატალიონის პოზიციებს. სადარაჯო ათასეული სანგრებიდან სროლით ცდილობდა გორის ბატალიონის დახმარებას. გვარდიელებმა ყველა შეტევა მოიგერიეს. კვინიტაძის ბრძანებით, ამ დროისათვის ბრძოლაში გვარდიის სარეზერვო ბატალიონი ჩაერთო, ვალიკო ჯუღელის მიერ მოყვანილი ჯავშანმანქანების მხარდაჭერით. მათ სოღანლუღის სადგურიდან უკუაგდეს მტერი. ამ ხნის მანძილზე შედარებით მცირე მასშტაბის იერიში მიიტანეს მე-9 ათასეულის პოზიციებზე. დაახლოებით 3-დან 4-ის ნახევრამდე პერიოდში გენერალი მაზნიაშვილი სადარაჯო ათასეულის განლაგებაში გადავიდა და იქიდან განაგრძო ბრძოლის ხელმძღვანელობა. გამთენიისას, მოწინააღმდეგის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ სადარაჯო ათასეული იერიშზე გადავიდა. მას გორის ბატალიონმაც მიბაძა, სანგრებიდან ამოვიდა და მოწინააღმდეგეს შეუტია. მათ მხარი სარეზერვო ბატალიონმაც დაუჭირა. დაიკავეს საყარაულო ათასეულის რაზმის მიერ დატოვებული თავდაპირველი პოზიციები. მტერმა უკან დაიხია იაღლუჯის მიმართულებით. ტყვედ ჩავარდა 1600 წითელარმიელი.

მოწინააღმდეგეს ვერ დაედევნენ დასვენებული რეზერვისა და ცხენოსანი ჯარის უქონლობის გამო. თანაც მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგის ახალ ნაწილებთან შეჯახება. თბილისის დაცვის

ამ პირველი ბრძოლის დროს მოხდა სამწუხარო შემთხვევაც. სროლის დაწყებისთანავე გვარდიის ხაშურის ათასეულმა შესანიშნავად მოწყობილი და გამაგრებული პოზიციები მიატოვა და თბილისისაკენ გაიქცა. ამას გენერალური შტაბის ოფიციალური ინფორმაციაც ადასტურებდა.

თბილისთან დაწყებული ბრძოლების პირველივე დღიდან ქალაქში 40 წლამდე მამაკაცთა მობილიზაცია დაიწყო. ისინი ვალდებული იყვნენ, 22 თებერვლის 18 საათამდე გამოცხადებ-ულიყვნენ. პარალელურად მიმდინარეობდა მოხალისეთა ჩაწერა. ღამით ქალაქში წესრიგს მოხალისე მცველები იცავდნენ.

19 თებერვალს დილით მთავარსარდალი სოღანლუღის ფრონტზე მივიდა. კვინიტაძე წერს: „მაზნიაშვილს შევხვდი, ერთმანეთს გადავეხვიეთ, ხმას ვერ ვიღებდით. მოგვარებული საქმე სიტყვებზე მჭერმეტყველი იყო... მაზნიაშვილს თავისი მოხსენება ჯერ არ დაესრულებინა, როდესაც შტაბიდან გენერალმა ზაქარიაძემ აპარატთან მიხმო. მდგომარეობა ძალიან შეიცვალა და არა ჩვენს სასარგებლოდ. კოჯრის მასივი მოწინააღმდეგის ხელში აღმოჩნდა. ახლახან მიღწეული წარმატება კოჯრის დაკარგვასთან შედარებით არაფერი არ იყო. კოჯრის დაკარგვა თბილისის დაღუპვას ნიშნავდა“. კოჯრის დაკარგვამ მთავარსარდლის გეგმა ჩაშალა, რომელიც კონტრშეტევის დაწყებასა და საყარაულას მასიის დაკავებას გულისხმობდა. ამ დროს კი ქალაქი გამარჯვებას ზეიმობდა.

გენერალმა კვინიტაძემ კოჯრის დაკარგვის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე ტაბახმელას მიმართულებით გაგზავნა მე-5 ათასეული, გვარდიის იმერეთისა და ბათუმის ბატალიონები. ამავე დროს ერევანსკის (დღევანდელი თავისუფლების — მ.ბ.) მოედანზე უნდა მისულიყო და ბრძანებებს დალოდებოდა გვარდიის თბილისის ორი ბატალიონი.

ამ დროს პოლკოვნიკმა ჩხეიძემ მაიორ ბახუტაშვილს არტილერიის მობრუნება და მტრისთვის ცეცხლის გახსნა უბრძანა. სარდლობა დროებით ნესტორ გარდაფხაძეს გადააბარა და თავად გენერალ ანდრონიკაშვილთან შტაბში ჩავიდა. გადაწყდა არსებული ძალებით კონტრშეტევის დაწყება და მტრის შეჩერება. იუნკრები, კაპიტან თოიძისა და მე-10 ათასეულის მებრძოლთა ნაწილი კაპიტან ქარუმიძის მეთაურობით შეტევაზე გადავიდნენ: „იერიში დაიძრა! ნახევარი გუნდი (მე-10 ათასეულის ნაწილი — მ.ბ.) წავიდა მარჯვნივ, იუნკრები მარცხნივ. ნახევარი გუნდის იერიში რამდენადმე დაფარული იყო ბორცვებით, იუნკრები კი უტევდნენ სუფთა თოვლით დაფენილ ღია ადგილზე. დიდებული და ლამაზი სურათი იყო! არც ერთხელ არ დაწოლილან ისე გაიარეს ცეცხლის ქვეშ 1 და 1/2 ვერსი (1067 მ-დე). ეს მორალური დარტყმა ბოლშევიკებისთვის ცეცხლზე ძლიერი იყო! მიუახლოვდნენ 100-120 ნაბიჯზე და გახსნეს ცეცხლი, მაგრამ უბედურება არ გვტოვებდა ჩვენ! მე-10 ათასეულის ნახევარ გუნდში მოკლულ იქნა კაპიტანი ქარუმიძე; იუნკრების მწყობრში მოჰკლეს კაპიტანი თოიძე. ნახევარმა გუნდმა დაიხია უკან, მაგრამ შემდეგ გასწორდა და შეჩერდა. ბოლშევიკები გადმოვიდნენ ხიშტით იერიშზე ერთ-მუჭა იუნკრების წინააღმდეგ (სულ იყო 23 იუნკერი). იუნკრებმა დაიხიეს უკან, მოიმარჯვეს ადგილი და შეეგებნენ ცეცხლით! ჩვენმა ზარბაზნებმა გაახშირეს სროლა. ბოლშევიკები გაიქცნენ უკან თავიანთ თოვლის სანგრებში. ჩვენი არტილერიის მარჯვე ცეცხლმა (პირდაპირი დამიზნებით) და გმირულ კონტრიერიშის მორალურმა დარტყმამ მტერი ადგილზე მიაჭედა! ჩვენ უკვე გადარჩენილი ვიყავით!“

პირველი ამოცანა გადაჭრილი იყო, მტრის შეტევა შეჩერდა. ახლა საჭირო იყო კოჯრის დაბრუნება. ეს კი ძნელი იყო. 20 თებერვალს დილით ადრე კოჯრის გათავისუფლებისთვის იერიში დაიწყო. ქართველთა შეტევის შეჩერების მიზნით, მოწინააღმდეგემ ტაბახმელის პოზიციებს შემოუტია. გენერალმა ანდრონიკაშვილმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს სასწრაფოდ სკოლის პოზიციებზე დაბრუნება უბრძანა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. №2 და №3 სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის იერიშს ვერ გაუძლეს და უკან დახევა დაიწყეს. სწორედ ამ დროს კაპიტანი შავდია იუნკრებს შეტევაზე წაუძღვა. სანგრების დაბრუნება მოხერხდა. მოწინააღმდეგემ კიდევ ორჯერ მიიტანა იერიში ტაბახმელაზე, მაგრამ ქართველი მეომრები მტკიცედ იცავდნენ პოზიციებს. მე-11 არმიის სარდლობამ ქართველი იუნკრების წინააღმდეგ ბრძოლაში ბაქოს „წითელი“ კურსანტები ჩაბა (მათ გვერდით, საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ იბრძოდა ბორის ძნელაძეც), მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწია. იმ დილით სკოლამ მოწინააღმდეგის სამი იერიში მოიგერია.

ამასობაში მძიმე ბრძოლა მიმდინარეობდა კოჯრის გასათავისუფლებლად. 14 საათზე კოჯრიდან ჩამოსულმა ვალიკო ჯუღელმა პოლკოვნიკ ჩხეიძეს აცნობა, რომ კოჯორი დაბრუნებულია და

ქართული შენაერთები აზეულას (ქოროღლის) ცხეს უტევდნენ. მალე ეს იერიშიც წარმატებით დამთავრდა.

ქართულმა ჯარმა ხელთ იგდო მტრის ოთხი ზარბაზანი, ათზე მეტი ტყვიამფრქვევი, ერთი პატარა ჯავშნოსანი და ტყვეები. გვარდიის იმერეთის მე-2 ბატალიონის მებრძოლთა ერთი ჯგუფი სოფელ ვაშლოვანში შეევიდა, იქ მდგარი ბოლშევიკების აღალი გაანადგურა და თავის პოზიციებზე დაბრუნდა. კოჯრის გათავისუფლების ოპერაციის დამთავრების შემდეგ პირველი ათასეული კვლავ გენერალ მაზნიაშვილს დაუბრუნდა, მასვე გადაეცა მე-7 ათასეული. იმავე დღეს გენერალმა კვინიტაძემ ტაბახმელა-კოჯრის პოზიციები დაათვალიერა.

20 თებერვალს მოწინააღმდეგე მთელი ღამე კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებაზე უშედეგო შეტევას განაგრძობდა და მხოლოდ 21 თებერვალს დილით დაიწყო უკან დახევა. 21 თებერვლის დილის 10 საათზე ჩვენი ძალების მიწოლის შემდეგ მტერმა უკან დახევა დაიწყო. მტრის უკანდახევის შემდეგ კონტრიერიშზე გადასვლის საშუალება გაჩნდა. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ გენერალ კვინიტაძეს სწორედ ამ წინადადებით მიმართა, მაგრამ კონტშეტევის განვითარებისთვის საჭირო დასვენებული და თავისუფალი შენაერთები არ არსებობდა. მთავარსარდალი ახალციხიდან მომავალ მე-11 და მე-12 ათასეულებს ელოდა და მხოლოდ ამის შემდეგ თვლიდა შესაძლებლად იერიშის დაწყებას. ტაბახმელას პოზიციების გასამაგრებლად ამ უბანზე გაიგზავნა მაიორ ჩრდილელის მთელი ბატარეა და მაიორ მახარაძის ბატარეის ნაწილი, ლეიტენანტ გოგი მესხიშვილის მეთაურობით.

21 თებერვალს ძირითადი მოვლენები გენერალ ჯიჯიხიას სექტორში განვითარდა. მოწინააღმდეგემ თბილისის დამცველთა მარცხენა ფლანგის შემოვლა განიზრახა, მაგრამ გვარდიის ბატალიონები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ჯიჯიხიას დაქვემდებარებული ძალები კვინიტაძემ წინასწარ დამატებითი ბატალიონებით (ერთ-ერთი ახალციხის იყო) გააძლიერა. სოფელ ლილოდან ხუთმა გვარდიულმა ბატალიონმა, ქართველ კავალერისტთა მხარდაჭერით, მოწინააღმდეგეს ფლანგზე დაარტყა. ამავე დროს ორხევში მდგომმა, ასევე ორმა გვარდიულმა ბატალიონმა ფრონტალური შეტევით მტერზე ძლიერი იერიში მიიტანა. მე-11 არმიის ნაწილებმა უკან დახევა დაიწყეს. მათი დევნა დაღამებამდე გაგრძელდა. ქართულმა შენაერთებმა მტერს 10 კილომეტრზე მეტით დაახევინეს უკან. მიღწეული წარმატება დიდად განაპირობა კაპიტან ედიგარაშვილის ბორჩალოს მოხალისეთა საკავალერიო ასეულით გაძლიერებული, გვარდიის ცხენოსანი დანაყოფების სწრაფმა და ეფექტურმა მოქმედებამ.

22 თებერვალს, რადგან თბილისის პირდაპირი იერიშით აღება ვერ მოხერხდა, მე-11 არმიის სარდლობამ ქალაქის დამცველთა ფლანგებიდან შემოვლა განიზრახა და ძალების გადაჯგუფება დაიწყო. შეიქმნა 2 დაჯგუფება. ერთს ველიკანოვი მეთაურობდა, მეორეს კი — კუიბიშევი. ამ უკანასკნელმა, დედოფლისწყაროსთან ქართულ ნაწილებთან ბრძოლის დროს მოკლული კურიშკო შეცვალა. კუიბიშევის დაჯგუფება მე-9 ქვეითი და მე-12 საკავალერიო დივიზიებით გაძლიერდა. მას თბილისზე აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შეტევა დაევალა. ველიკანოვს დასავლეთიდან უნდა მიეტანა იერიში.

იმავე დღეს მოწინააღმდეგის ცხენოსანმა რაზმმა მანგლისი დაიკავა და მანგლისი-კოჯრის გზატკეცილის გასწვრივ იერიში წამოიწყო, თუმცა მარცხი იწვნია. აშკარა იყო, რომ მე-11 არმიის სარდლობა, იყენებდა რა თავის უპირატესობას ცოცხალი ძალის მხრივ, ფრონტის „დაგრძელებას" ცდილობდა. საპასუხოდ მთავარსარდალი კვინიტაძე იძულებული გახდა, თავდაცვის დამატებითი მიმართულებები გაეხსნა და ისედაც მცირე ძალები კიდევ უფრო დაექსაქსა. მანგლისის მხრიდან შესაძლო შემოტევის მოსაგერიებლად წყნეთში გვარდიის თბილისის ერთ-ერთი ბატალიონი გაიგზავნა. მანგლისიდან მოწინააღმდეგეს ნახშირმთის (ნახშირგორის) მიმართულებითაც შეეძლო შეტევის წამოწყება და აქედან შემდეგ დიღომში გადასვლა, რაც უმძიმეს მდგომარეობას შექმნიდა. ნახშირმთის მიმართულებით ხევსურთა ასკაციანი რაზმი გაიგზავნა, დამფუძნებელი კრების წევრ შალვა ქარუმიძის მეთაურობით.

შედარებითი სიმშვიდე იყო ტაბახმელა-კოჯრის მიმართულებაზე, თუმცა ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრნენ ლეიტენანტები ერისთავი და ანდრონიკაშვილი. პოლკოვნიკი ჩხეიძე გენერალ ანდრონიკაშვილთან გამოცხადდა და ამ უკანასკნელს მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო ნაწილების დაწყობასა და გადაჯგუფებაში დაეხმარა. „გენერალ ანდრონიკაშვილს მართლაც უძნელეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. დუქანში, სადაც ის იდგა, მოთავსებული იყო ტელეფონის შვიდი

სადგური, ყოველ წუთს მას ტელეფონთან იხმობდნენ, არა ჰყავდა არც ერთი თანაშემწე!" ჩხეიძემ ტაბახმელაში, სანგრებში ერთმანეთში არეულად მდგომი სამხედრო სკოლის, პირველი, მე-5, მე-10 ათასეულებისა და გვარდიის ერთი ბატალიონის მებრძოლების შეძლებისდაგვარად მოწესრიგება მოახერხა. საღამოს პოზიციებზე კაპიტანი ყიფიანი ამოვიდა და თან რეზერვიდან მობილიზებული 50-60 ჯარისკაცი მოიყვანა. პოლკოვნიკმა ჩხეიძემ ისინი გვარდიელების მიერ თვითნებურად მიტოვებული სანგრის დასაკავებლად გაგზავნა.

22 თებერვალს თბილისის მიდამოებში დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. მხოლოდ საღამოს შენიშნეს მტრის მცირე რაზმის წინსვლა ყარაიაზისა და საგარეჯოს მხრიდან. 23 თებერვალს მოწინააღმდეგემ თავისი მარჯვენა ფლანგის გაძლიერება დაიწყო. ამ მიმართულებით მე-11 არმიის ცხენოსანი ნაწილები, მე-12 და მე-18 საკავალერიო დივიზიები გამოჩნდენ. მტერმა ძლიერი იერიში მოიტანა ქართულ ნაწილებზე. ამის გამო გენერალ ჯიჯიხიას დაქვემდებარებაში მყოფმა ქართულმა შენაერთებმა უკან დაიხიეს და თავიანთი ძველი, 21 თებერვლამდელი პოზიციები დაიკავეს.

ქართულმა სარდლობამ მარცხენა ფლანგიდან გადაწყვეტა კონტრშეტევის დაწყება. წარმატების მიღწევის შემთხვევაში, შენაერთების დიდი ნაწილი სასწრაფოდ მარჯვენა ფლანგზე იქნებოდა გადასროლილი და შემდეგ იქ დაიწყებოდა შეტევა.

23 თებერვალს 14 საათზე მოწინააღმდეგემ ქართველების მიერ უკან დახევის დროს აფეთქებული ფოილოს სარკინიგზო ხიდი აღადგინა. ამან მას დამატებითი ძალების (მათ შორის, ტანკების) სწრაფი გადაადგილების და, რაც ყველაზე მთავარია, ჯავშანმატარებლების გამოყენების საშუალება მისცა. იმავე საღამოს ამ ჯავშანმატარებლებმა ქართულ პოზიციებთან მიახლოება სცადეს, მაგრამ ქართველ არტილერისტთა ზუსტი ცეცხლის გამო იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. საღამოს მოწინააღმდეგემ ტაბახმელას პოზიციებზე მიიტანა იერიში, რომელიც რამდენჯერმე მოიგერიეს. ბრძოლის ერთ მომენტში კაპიტან ყიფიანის დაქვემდებარებაში მყოფმა მეომრებმა პოზიცია მიატოვეს. ჯარისკაცების მიერ მიტოვებულმა კაპიტანმა რევოლვერი დაიხალა. გაქცეულთა ადგილი იუნკრებმა სასწრაფოდ დაიკავეს, მოწინააღმდეგე მოიგერიეს, დაჭრილი ყიფიანი კი სამედიცინო პუნქტში გადაიყვანეს.

24 თებერვლისთვის ქართულმა შენაერთებმა მარცხენა ფლანგზე გადაჯგუფება ვერ მოასწრეს (პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა გენერალ კვინიტაძეს აცნობა, რომ 14 საათამდე შეტევის დაწყებას ვერ შეძლებდა) და კონტრშეტევის დაწყება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, მოწინააღმდეგემ ყველა მიმართულებით შეუტია ჩვენს ნაწილებს. მარჯვენა ფლანგზე მტერმა დილიდანვე დაუშინა ჩვენს პოზიციებს საარტილერიო ცეცხლი, შემდეგ შეტევაზე გადმოვიდა. იუნკერთა შემადგენლობიდან 85-90 კაცი იყო დარჩენილი. დიდი იყო დანაკლისი ნაცვალთა შორისაც. მიუხედავად მრავალგზის შეტევისა, მოწინააღმდეგე ქართული პოზიციების გარღვევას ვერ ახერხებდა. რამდენჯერმე ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგეს დიდი რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, რამაც თავის გაიტანა და ნაშუადღევს მტერმა №4 სანგარი დაიკავა. ამის შემდეგ ისინი პირდაპირ ლეიტენანტ გოგი მესხიშვილის ბატარეის წინ აღმოჩნდნენ და ქართველ არტილერისტებზე ხიშტებით წამოვიდნენ. ლეიტენანტმა მესხიშვილმა ხმალი იშიშვლა და თავისთან მყოფ იუნკრებთან ერთად მოწინააღმდეგეს ეკვეთა. მათ ოფიცრების შავდიას, ხოშტარიასა და ჩოჩუას წინამძღოლობით სხვა იუნკრებიც წამოშველნენ და მტერს უკან დაახევინეს. მოწინააღმდეგე მარჯვნივ და მარცხნივ გაიფანტა და უკან მყოფ თავის მეტყვიამფრქვევებს 100-120 ნაბიჯის მანძილიდან იუნკრებისათვის ცეცხლის გახსნის საშუალება მისცა. სხვა გამოსავალი აღარ იყო, იუნკრების ნაწილმა კაპიტან ჩოჩუას მეთაურობით მეტყვიამფრქვევებს შეუტია. მტრის რიგებამდე პირველმა იუნკერმა შალვა ერისთავმა მიირბინა და მემიზნე ოფიცერი ხიშტით მოკლა, თუმცა თავადაც სასიკვდილოდ დაიჭრა. ბრძოლაში დაიღუპნენ იუნკრები ოთარ ლორთქიფანიძე და იოსებ ჯანდიერი, 15-მდე მებრძოლი კი დაიჭრა. დაიჭრნენ კაპიტნები ჩოჩუა, შავდია და ხოშტარია. იერიშები დაღამებამდე გაგრძელდა, მაგრამ ბოლშევიკებმა ნაბიჯითაც ვერ წაიწიეს წინ. დაბნელებისთანავე მათ იერიშები შეწყვიტეს და უკან დაიხიეს.

არანაკლებ მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობდა სოღანლუღ-შავნაბადას მიმართულებაზე. ამ სექტორში მოწინააღმდეგემ მთავარი დარტყმა გზატკეცილისა და რკინიგზის ხაზის გასწვრივ განავითარა. ამ მიმართულებით მოწინააღმდეგის მოგერიება მოხერხდა, მაგრამ კრიტიკული ვითარება მას შემდეგ შეიქმნა, როცა მტერი თელეთიდან გადმოვიდა შეტევაზე, ფრონტი

გაარღვია და 18 საათისათვის სოღანლულის ქედზე მდებარე №3.150 ტრიგონომეტრიული სიმაღლე დაიკავა. შეიქმნა საშიშროება, რომ მოწინააღმდეგე წარმატებას შეძლებდა, უფრო ღრმად შემოიჭრებოდა და საშუალება მიეცემოდა, ზურგში მოქცეოდა არა მარტო გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებს, არამედ გენერალ ანდრონიკაშვილის შენაერთებსაც. საჭირო იყო სიმაღლის სასწრაფოდ დაბრუნება.

მაზნიაშვილი წერს: „1-ლი ქვეითი ლეგიონი, რომელიც მე რეზერვად მყავდა, დილით გაიგზავნა გენერალ ანდრონიკაშვილის განკარგულებაში, ისე, რომ რეზერვში მე ერთი კაციც აღარ მყავდა. ტელეფონით ვთხოვე გენერალ ანდრონიკაშვილს, დაებრუნებინა 1-ლი ლეგიონის ერთი ასეული მაინც გარღვეული პოზიციის აღსადგენად. გენერალმა ანდრონიკაშვილმა დაუყოვნებლივ გამოგზავნა ორი ასეული და პოლკოვნიკმა ვაჩნაძემ საღამოს 6 საათსა და 40 წუთზე აღადგინა მდგომარეობა, ე.ი. მოწინააღმდეგე განდევნა და პუნქტი კვლავ დაიკავა. როგორც პოზიციის გარღვევისა, ისე მისი ლიკვიდაციის შესახებ თავის დროზე ვაცნობე მთავარ შტაბს“.

25 თებერვალს დილით მოწინააღმდეგემ კოჯრის მხრიდან თბილისისაკენ მოძრაობა მოღალატე შალვა ელიავას მეთაურობით დაიწყო. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ქართულმა ნაწილებმა უკანდახევის ბრძანება მიიღეს და პოზიციები დატოვეს. ქართველმა მეომრებმა მოახერხეს სიმაღლის დაბრუნება. ამდენად მოწინააღმდეგემ ვერც ცენტრალურ ფრონტზე შეძლო რაიმე წარმატების მიღწევა.

უმძიმესი ბრძოლა მიმდინარეობდა მარცხენა ფრთაზე. დილის 7 საათზე მოწინააღმდეგის ქვეითი ნაწილები შეტევაზე გადმოვიდნენ. ქართული პოზიციებისკენ დაიძრა მოწინააღმდეგის ოთხი ჯავშანმატარებელიც (№7; 94; 5 და 61). მეხუთე ჯავშანმატარებელი ბოლშევიკებმა აღსტაფაში დატოვეს ზურგის დასაცავად. როდესაც მტერი ყარაჯალარის გადასარბენს მოუახლოვდა, ქართველმა არტილერისტებმა ჯავშანმატარებლებს ცეცხლი გაუხსნეს. ამავე დროს მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი ტყვიამფრქვევების ძლიერი ცეცხლის ქვეშ მოექცა და იძულებული გახდა, შეტევა შეეჩერებინა და დაწოლილიყო. მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენის გავლა სცადა, მაგრამ, ოთხი ქართული ბატარეის საარტილერიო ცეცხლის ქვეშ მოქცეული, იძულებული გახდა, უკან დაეხია. ჯავშანმატარებლების შეტევა სამჯერ განმეორდა. 11 საათისთვის, მიუხედავად ძლიერი საარტილერიო ცეცხლისა, მოწინააღმდეგემ ყარაჯალარის გადასარბენი გაიარა, თუმცა მისმა ჯავშანმატარებლებმა სერიოზული დაზიანებები მიიღეს.

14 საათზე ქართული პოზიციებიდან კვლავ განახლდა საარტილერიო და ტყვიამფრქვევების ცეცხლი. 16 საათისათვის დაიწყო თოვა, ჩამოწვა ბურუსი, ძალიან აცივდა. სწორედ ამ დროს ოთხმა ქართულმა თვითმფრინავმა იერიში მიიტანა მტრის ჯავშანმატარებლებზე და ოცდაათამდე ბომბი ჩამოყარა. ბრძოლაში ქართული ჯავშანმატარებელიც ჩაერთო, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალიან დიდი უპირატესობის გამო ნავთლუღის მიმართულებით დაიხია. ნავთლუღის მიდამოები კი მოწინააღმდეგის ავიაციამ დაბომბა. ორხევის სანგრებში მყოფმა გვარდიელებმა მოწინააღმდეგის არაერთი იერიში მოიგერიეს, მაგრამ, როდესაც დაახლოებით 17 საათისათვის სანგრებთან მტრის სამი ტანკი გამოჩნდა, იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ. გენერალმა ჯიჯიხიამ იმერეთის მე-2 ბატალიონს კონტრშეტევის დაწყება დაავალა, რაც წარმატებით შესრულდა. ამ ბატალიონს შეუერთდნენ მეგრელები, ისინი სანგრების უკან, პატარა გორაკზე იყვნენ ჩასაფრებულნი. იმერლები და მეგრელები ყიჟინით შევარდნენ სანგრებში, ამორეკეს იქიდან რუსები და დაედევნენ. ამ დროს რუსების ერთი ტანკი ხრამში გადავარდა და მწობრიდან გამოვიდა. სანამ ორხევის მიმართულებაზე მძიმე ბრძოლები მიმდინარეობდა, მოწინააღმდეგემ თავისი კავალერიით ჩვენი ჯარების მარცხენა ფრთის შემოვლა განიზრახა და სოფელ ლილოსთან გამოჩნდა. მთავარსარდალი იძულებული გახდა, ამ მიმართულებით დაცვის კიდევ ერთი სექტორი გაეხსნა და მის უფროსად გენერალური შტაბის ოპერატიული სამსახურის უფროსი, პოლკოვნიკი ნიკოლოზ გედევანიშვილი დანიშნა. მას დაექვემდებარა გვარდიის სამი ბატალიონი, მოხალისეები, არმიისა და გვარდიის ცხენოსანი რაზმები. წითელმა კავალერიამ სოფელ დიდ ლილოს შემოუარა და ავჭალის მიმართულებით დაიძრა. ნ. გედევანიშვილმა დაკისრებულ მოვალეობას თავი ვერ გაართვა და თბილისში დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, ქართულმა ნაწილებმა შეძლეს ავჭალაში მტრის მოგერიება და უკუაქციეს იგი.

24 თებერვალს მთავარსარდალმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ. გენერალი გ. კვინიტაძე იგონებს – თადარიგში ერთი კაციც აღარ მყავდა... თბილისის ქუჩებში ბრძოლების გამართვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ქალაქი ტაფობში მდებარეობს და მთებითაა გარშემორტყმული. ეს ხაფანგი იყო, საიდანაც ვერაფერ ვერ გააღწევდა და ჯარი

იძულებული გახდებოდა, დანებებულიყო. ჯარის გაყვანა და თბილისიდან 12-13 ვერსის მანძილზე გამაგრება გადავწყვიტე. თბილისის დასაცავი ყველა ძალა და საშუალება ამოიწურა, წინააღმდეგობის გაწევა აღარ შეგვეძლო. ქვეყნის დასაცავად თბილისი უნდა დაგვეტოვებინა, თუ არა ჯარისა და მმართველობის გარდაუვალი დაღუპვა გველოდა. ჩემი ეს გადაწყვეტილება მთავრობის თავმჯდომარეს ვაცნობე. თბილისზე გავლით ბრძოლით უკან დახვევა წარმატებას არ გვიქადდა. საუკეთესო საშუალება ღამის სიბნელეში უკანდახვევა იყო... საღამოს 5-6 საათისათვის მთავრობის თავმჯდომარეს მოვახსენე ჩემი გადაწყვეტილება უკანდახვევის შესახებ. ბრძოლის ყველა საშუალება ამოვწურეთ და ალყაში მოქცევა გვემუქრებოდა. 9 საათისათვის ეს ბრძანება გადაეცა ჯარს, რომელსაც უკანდახვევა ღამის 12 საათზე უნდა დაეწყო".

თავისთავად, მთავარსარდლის არგუმენტაცია მისაღები და გასაგებია. ისიც სიმართლეა, რომ დედაქალაქის დატოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ომის წაგებას. თბილისში ალყაში მოქცეული ჯარის განადგურება კი სრული კატასტროფა და დამარცხება იქნებოდა.

გ. კვინიტაძის გადაწყვეტილებით თბილისის დატოვებისა და ჯარის უკანდახვევის შესახებ გაოცებული დარჩა მთავრობის თავჯდომარე ნ. ჟორდანია. თვით გენერალი თავის გადაწყვეტილებას ასე ასაბუთებდა: „კახეთიდან მოყოლებული ვიდრე მანგლისამდე ფრონტი 90 კილომეტრით გამიგრძელდა. არამც თუ რეზერვები არ მყავს დაქანცულ-დაზიანებული ჯარის შესავსებათ — პირიქით. მთელი რიგი „პუსტიე პროსტრანსტვა"... ამავე დროს მტრის ცხენოსანი ჯარი დაეშვა დილომით და გამოჩნდა ზურგში. კოჯორით საბურთალოსაკენ მიემართება. ამავე დროს ვაზიანიდანაც გარს მივლიან. ადვილი შესაძლებელია მტერმა ავჭალა დიკავოს და უკან დასახევი გზა მოგვიჭრას. უკან დახევით და მცხეთის ხეობის დაკავებით ფრონტს შევამოკლებ ორი კილომეტრით. აქ შევძლებ ჯარის გადაჯგუფებას და სათანადო რეზერვის შექმნას. აქვე დავამარცხებ მტერს, კვლავ დავიკავებ თბილისს, რის შემდეგ საშუალება მომეცემა დამარცხებული მტრის დევნისა და სავსებით განადგურებისა. ათი საათი სრულდებოდა. თქვენ განკარგულებაშია ბატონო თავმჯდომარე ორი საათი. მე ვიწყებ უკან დახევას ღამის 12 საათზე."

რა თქმა უნდა, გენერალ კვინიტაძეს სრული უფლება ჰქონდა, ერთპიროვნული გადაწყვეტილება მიეღო, ის მთავარსარდალი იყო. თუმცა, თბილისის დატოვება იმდენად სერიოზული საკითხი იყო, რომ მთავარსარდალი უნდა მოთათბირებდა ფრონტების სარდლებს. სხვა რომ არაფერი, ზუსტ ინფორმაციას მიიღებდა არსებული მდგომარეობის შესახებ.

თბილისის დატოვების გადაწყვეტილებამდე, 20 თებერვალს, 31-ე დივიზიამ ადლერის მხრიდან დაიწყო შემოჭრა. მართალია, 23 თებერვალს გაგრა დაიკავა, მაგრამ 28 თებერვალს ქართულმა შენაერთებმა, გენერალ დავით ართმელიძის მეთაურობით, მტერი დამარცხეს და განდევნეს. რუსებმა გაგრა ხელმეორედ 1 მარტს აიღეს. 22 თებერვალს დაიწყო შემოტევა დარიალის მხრიდან, თუმცა ქართველმა მეომრებმა მოწინააღმდეგის პირველი იერიში მოიგერიეს. 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადამ მამისონის უღელტეხილი 25 თებერვალს გადმოლახა.

ანალიზი: 1921 წლის თებერვალში რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ შეტევა ხუთი მიმართულებიდან წარმართა: წითელი ხიდის, ფოილოს ხიდისა და ზაქათალის მხრიდან მე-11 არმია შემოჭრა, შავი ზღვის გაყოლებით, გაგრიდან მე-9 არმიის 31-ე დივიზია მოდიოდა, მამისონის უღელტეხილის მხრიდან 33-ე დივიზიის 98-ე ბრიგადა უტევდა. ჩამოთვლილი ნაწილები, მე-11 არმიის გარდა, მეორეხარისხოვანი, დამხმარე დარტყმების მისაყენებლად იყო გამიზნული.

გ. კვინიტაძე მართებულად ფიქრობდა, რომ ჯერ მე-11 არმია დაემარცხებინა და შემდეგ, გამოთავისუფლებული ძალებით, დანარჩენ მიმართულებებზე დაემარცხებინა მტერი.

გასათვალისწინებელი იყო, რომ თბილისის დაცვაში მონაწილე შენაერთების ნაწილი, პირველი, მე-5, მე-7 ათასეულები და გვარდიის იმერეთის მე-2, ზუგდიდის, თბილისის ბატალიონები და ზოგიერთი სხვა ქვედანაყოფიც 12-17 თებერვალს ბრძოლაში იყო ჩართული და ცხადია, მებრძოლთა ნაწილს დაკარგავდა — ზოგი დაიჭრებოდა, ზოგი დაიღუპებოდა. მაგალითად, გენერალ გ. კვინიტაძის ინფორმაციით, პირველი ათასეულიდან მხოლოდ სამასმა მეომარმა შეძლო თბილისისკენ ორგანიზებულად უკან დახევა. ჩვენი აზრით, თბილისს დაახლოებით 12-15 ათასი კაცი იცავდა.

თბილისის დატოვების დროს ზოგადი ვითარება რუსეთის ჯარების შემოჭრის თვალსაზრისით სხვა მიმართულებებზე არ იყო კატასტროფული. ყველაფერს კი თბილისისათვის ბრძოლა განაპირობებდა. დედაქალაქთან მოწინააღმდეგის დამარცხების შემთხვევაში, სხვა მიმართულებებზე შემოჭრი-

ლი მტრის წინააღმდეგ ბრძოლა სირთულეს არ წარმოადგენდა. ქართული შეიარაღებული ძალების მარცხი გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით:

1. მთავრობამ და სამხედრო ხელმძღვანელობამ სათანადო ყურადღება არ მიაქციეს ინფორმაციებს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედებების დაწყების შესახებ. შესაბამისად, ქვეყანა არ იყო მზად ომისათვის;
2. საქართველო რუსეთის მრავალრიცხოვანი ძალების წინააღმდეგ იზოლირებული აღმოჩნდა. იგი მოკავშირეების გარეშე იბრძოდა უთანასწორო ომში, არ გააჩნდა სათანადო ძალები და საშუალებები;
3. შეცდომა იყო საზღვართან მდგარი შენაერთების ბრძოლაში ნაწილ-ნაწილ შეყვანა;
4. საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე არ მოხდა ჯარების მობილიზაცია ქვეყნის შიდა რაიონებიდან. ამიტომ ბრძოლაში ჩააბეს აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს მყოფი შენაერთები (გენერალ ჯიჯიხიას დაჯგუფების გაგზავნა აირუმის მიმართულებით), რამაც წითელ ხიდთან პოზიციების მნიშვნელოვანი შესუსტება გამოიწვია და ეს მიმართულება ფაქტობრივად დაუცველი დატოვა;
5. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ქართველი გენერლებისა და ოფიცრების მოთხოვნებს (ცხენოსანი ჯარის ნაწილების გაზრდა, რაც ძალთა მანევრირებას, სხვადასხვა ტაქტიკური ამოცანების დროულად შესრულებას განაპირობებდა) არ იზიარებდა უნდობლობის გამო;
6. ცუდად იყო ორგანიზებული ურთიერთქმედება. ქართული შეიარაღებული ძალები პატარ-პატარა რაზმებად იყო დაშლილი, ისინი ცალკეულ პუნქტებში, ერთმანეთისაგან საკმაოდ მოშორებით იდგნენ. მაგ, უშუალოდ წითელ ხიდთან იდგა გურიის ბატალიონის მხოლოდ ერთი ასეული. ეორე შენაერთი 7კმ-ის დაშორებით, მდ. ხრამის შესართავთან იყო. მესამე ასეული უფრო შორს, მდ. ალგეთის შესართავთან დააყენეს. თბილისის ბატალიონებს გურიის ბატალიონისაგან 25 კმ. აშორებდა. სამხედრო ნაწილებს ერთმანეთის დახმარება, ფაქტობრივად, არ შეეძლოთ. ყოველივე ეს დაიგეგმა სოსო გედევანიშვილის ბრძანებით და, რაც ყველაზე საინტერესოა, მთავარსარდლის გენერალ ილია ოდიშელიძის თანხმობის გარეშე.

სიტუაციას ისიც ართულებდა, რომ ჯარში დაბალ დონეზე იდგა დისციპლინა და ლოგისტიკური მომარაგების საკითხები. ცუდად იყო ორგანიზებული ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის სისტემა.

აღსანიშნავია, რომ ომის მსვლელობაში გამოყენებული იყო იმდროინდელი ტანკები, ჯავშანავტომობილები, ჯავშანმატარებლები, აეროპლანების მცირე რაოდენობა, არტილერია. ამასთან, თბილისის წარმატებულ თავდაცვას (18-24 თებერვალი) განაპირობებდა:

- ოფიცერთა და მებრძოლთა ინდივიდუალური საბრძოლო მომზადება, პირველ მსოფლიო ომში მიღებული გამოცდილება;
- ადგილმდებარეობისა და საბრძოლო საშუალებების გონივრული გამოყენება;
- რეიდების, ჩასაფრებებისა და კონტრიერიშების მიზანმიმართულად და დროულად დაწყება;
- მაღალი საბრძოლო სულისკვეთება.

შედეგები: საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ, მრავალი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოახერხა თბილისისა და მიმდებარე ტერიტორიების შენარჩუნება. მოელენათა განვითარებამ აჩვენა, რომ გამართლდა გენერალ ილია ოდიშელიძის შიში. დედაქალაქის დატოვებამ ჯარისა და ხალხის საბრძოლო სულისკვეთება დასცა. უმრავლესობამ გამარჯვების იმედი დაკარგა. თბილისის დატოვება აღიქვეს, როგორც საბოლოო მარცხი. ქალაქის დატოვების შემდეგ ქართულ შეიარაღებულ ნაწილებს მოწინააღმდეგისათვის სერიოზული წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ. სიაურთან იყო მცდელობა კონტრშეტევაზე გადასვლისა, მაგრამ გვარდიის მიერ პოზიციების მიტოვებისა და ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმის გამო, ეს მცდელობა მცდელობადვე დარჩა.

3 მარტს რუსეთის მე-9 არმიის ნაწილებმა დაიკავეს ახალი ათონი, ხოლო 4 მარტს — სოხუმი. 5 მარტს მე-11 არმიის შენაერთებმა დაიკავეს ცხინვალი, გორი და ლიხის ქედს მიადგნენ. 9 მარტს მტერმა აიღო ზუგდიდი, 10 მარტს — ქუთაისი, 14 მარტს — ფოთი.

საბჭოთა რუსეთმა შეძლო საქართველოს სრული ოკუპაცია. მთავრობა ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო.

III თავი

საქართველო და საბჭოთა კავშირი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა

§11. ბრძოლები ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ (1921-1924 წლები)

წინაპირობები: 1918 წლის 26 მაისს აღსდგა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფო, შეიქმნა დემოკრატიული რესპუბლიკა. მართალია, პოლიტიკურ პარტიებად და დასებად დაყოფილ ქვეყანაში ურთიერთშეუთანხმებლობა და კამათიც არ იყო უცხო, მაგრამ გარეშე მტრის წინააღმდეგ ყველა ერთსულოვნად იბრძოდა. იმდროინდელ მრავალპარტიულ სპექტრში აღმოჩნდა ერთი პარტია, განსაკუთრებით რეაქციული, საქართველოს დამოუკიდებლობისადმი შეურიგებელი და ინტერნაციონალური სულისკვეთებით გამორჩეული. ეს იყო ბოლშევიკური პარტია, რომლის იდეოლოგიაც მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებებს.

სწორედ ქართველი ბოლშევიკები გამოიყენა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს ხელახლა დასაპყრობად. რუსეთის მე-11 არმიამ, რომლის იდეური ხელმძღვანელი სერგო ორჯონიკიძე იყო, ჯერ აზერბაიჯანი დაიპყრო – 1920 წლის აპრილში, შემდეგ სომხეთი – 1920 წლის ნოემბერში, რამდენიმე თვის შემდეგ კი, 1921 წლის თებერვალში, საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. ქართველი ერისთვის მძიმე იყო ეს დარტყმა, ძნელად შესაგუებელი.

საქართველოში შემოსულმა საბჭოთა ხელისუფლებამ დევნა დაუწყო დამოუკიდებლობის მომხრე საუკეთესო მამულიშვილებს. ბევრი გადაასახლეს, ბევრი დახვრიტეს, ქვეყანა ააწიოკეს, ეკლესია-შონასტრები დაარბიეს და შებილწეს. იმდენად თვალსაჩინო გახდა ეროვნული იდეებისა და ფასეულობების შეურაცხყოფა, რომ დაიწყო წინააღმდეგობის ძალთა შეკრება-მობილიზება და ბრძოლისათვის მზადება. საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ დაპირისპირების საუკეთესო ფორმად ამ მძიმე დროს პარტიზანული ბრძოლების ტაქტიკა ჩაითვალა. ამით შეიძლებოდა მტრის ბანაკში არევ-დარევის შეტანა, ხალხის გამხნევება და ერთიანი სახალხო ფრონტის გაშლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ.

აღმოსავლეთ საქართველოში ბრძოლის ლიდერად იქცა ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი. იგი პირდაპირი შთამომავალია კახეთის 1659 წლის „ბახტრიონის აჯანყების" მთავარი გმირის – ბიძინა ჩოლოყაშვილისა. მას მხარი დაუჭირა გენერალმა დავით ჭავჭავაძემ, რუსეთში ქართველ ცხენოსანთა ათასეულის პირველმა ჩამომყალიბებელმა, რომელიც შემდგომში ქაქუცა ჩოლოყაშვილის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ჯარში დაბრუნდნენ ქართველი სამხედროები, ოფიცრები, რომლებმაც I მსოფლიო ომში არაერთი წარმატებით გაუთქვეს სახელი ქართულ მხედრულ ნიჭს. როგორც I მსოფლიო ომის მონაწილე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი იბრძოდა ცნობილი ქართველი გენერლების – გიორგი მაზნიაშვილის, გიორგი კვინიტაძის, დავით ჭავჭავაძის, ვარდენ წულუკიძისა და სხვათა გვერდით.

ევროპის ქვეყნები მხოლოდ მორალურად აღმოჩნდნენ საქართველოს გვერდით. 1920 წლის იანვარში მათ „დე ფაქტოდ" აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ერთი წლის შემდეგ კი – „დე იურედ" მისი ისტორიული საზღვრებიც დაადგინეს. საქართველო თავისი ჯარით ამ საზღვრებს რეალურადაც აკონტროლებდა, მაგრამ მცირე ძალებით არ შეეძლო იმ მტრული გარემოცვის გარღვევა, რაც მას მეზობლებმა – რუსეთმა და თურქეთმა შეუქმნეს. ომგადატანილი ევროპა არ აპირებდა საქართველოსთვის ახალ ომში ჩაბმას რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ ქართველ პოლიტიკოსებს ერთა ლიგაში ჩვენი ქვეყნის მიღებაზე უარი უთხრეს.

რუსეთმა დაარღვია საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ცნობდა მის დამოუკიდებლობას, არ შეასრულა ბევრი დაპირება, მათ შორის, ისიც, რომელიც გამორიცხავდა ქართველ ხალხთან იარაღით დაპირისპირებას.

1921 წლის თებერვალში, საბჭოთა ინტერვენციის დაწყებისას, პოლკოვნიკი ქაქუცა ჩოლოყაშვილი და გენერალი დავით ჭავჭავაძე საქართველოს მთავრობამ სამეგრელოში გააგზავნა, ამ რეგიონში ცხენოსანი ნაწილების ჩამოსაყალიბებლად. მათ რამდენიმე ოფიცერიც ახლდათ. იქ ასიოდე

გენერალი გიორგი კვინიტაძე

გენერალი გიორგი მაზნიაშვილი

გენერალი ილია ოდიშელიძე

პოლკოვნიკი ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი

საქართველოს დამოუკიდებელ


ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ნინოწმინდა
ბაღდათი
ვანი
ზესტაფონი
ქუთაისი
ბოლნისი
ბოლნისი
ბაზალეთი
ბაკურიანი
ბორჯომი
ბაღდათი
ვანი
ზესტაფონი
ქუთაისი
ბათუმი
ბალეთი
ბალეთი
ბალეთ

რესპუბლიკა 1918-1921 წლებში


მასშტაბი 1 : 2 500 000
ბელორეჩენსკი
28.07. 1918
ნოვოროსიისკი
ბიეუინთა
გუდაუთა
სოხუმი
გულრიფში
ბაკურიანი
ბაქო
ბელაქანი
ზაქათალა
ყაბალა
ბაზარ-დიუზი
ალიაბადი
ბაბა-ბ. გომელი
ალიაბადი
ბაირამალი
სტეფანაკერტი
ბ. ალიბეკლი
ბ. ალიბეკლი
ბ. ალიბეკლ


სანაინი-ალავერდის ბრძოლა
1918 წლის 9–16 დეკემბერი
14.12.1918
16.12.1918
09.12.1918
ალავერდი
სანაინი
ბაბანლი
ეზენლარი
ქარბუნი
ქარბუნი
ალიბეკი
ბაბანლი
ალიბეკი
ალიბეკი
ალიბეკ




ბრძოლითი ნიშნები
ბრძოლა
1918 წლის 30–31 დეკემბერი
ბრძოლითი ნიშნები
ბრძოლა
ბრძოლის ადგილი
ქარაფული ქედანაფიანი
ქარაფული ჯაჭვშამტარებელი
ქარაფული არტილერია
ქარაფულია შეტევის მიმართულება
ბრძოლა უკანდახვის მარშრუტი
ქარაფულია შეტევის ხტრატეგიული მიმართულება
ბრძოლი ქედანაფიანის განაგურება
ხრამი
ალგეთი
246.9
557
29.12.1918
30.12.1918
31.12.1918
ბაზალეთი
ბოლნისი
ბოლნისი
ბოლნის


გ. მაზნიაშვილის მიერ ჩატარებული
საბრძოლო ოპერაციები აფხაზეთში
1918 წელი
ქრასნოდარის მხარე
26. 07
ტუაფსე
06. 07
ხოლი
05. 07
ხოსტა
29. 06
ადლერი
28. 06
გაგრა
22. 06
გუდაუთა
20. 06
ახალი ათონი
17. 05
ხოხური
28. 07
ოჩამჩირე
16. 05
ს ა ბ ჭ ო თ ა
რ უ ს ე თ ი
შ ა ვ ი
ზ ღ ვ ა
ჩ
ს
პირობითი ნიშნები
საზღვრები
მოზიანაელმდებელთა შეტაკებები
კონტროლირებადი ზონა
მემი
..წმ. მიხეილი ..
საბრძოლო ქატარლები
მტრის ხომალდები
საზღვაო დარტყმები
დატყვევებული ხომალდები
კოდორის ხეობა
მდ. კოდორი
გ. მაზნიაშვილის
საარ. ნაწილები


იუნკერთა ბრძოლა XI არმიის ნაწილებთან
1921 წლის 19 თებერვალი
მდ. ტბილისი
ჩ
ს
ბაკისი
ქიზიერი
X კორპუსის
2 ოგურული
რეზერვი
1 ოგურული
ვინდოსი
საბჭოთა-რო კუნძული
ტბილისი
ტბილისი
№ 1
№ 2
№ 3
№ 4
№ 5
№ 6
ბერეზინი
ბაკურიანი
ქვეითი
XI არმია
პირობითი ნიშნები
პოზიციები
რუსთა საარ. ნაწილები
შეტევები
საბჭოლი საარტილერია
შეტაკების ადგილები


ა. ჩხეიძის მიერ შექმნილი 1921 წლის 24 თებერვლის
პითარეთის ამსახველი სქემა
ბიზონა
ავჯალა
ცხენოსანი დივიზია
ნორიო
დილეთი
ა. ლილო
ცხენოსანი დივიზია
ლიხი
ტბილისი
ნახშირგორი
ორხევი
წყნეთი
კოჯორი
ტაბახველა
თილეთი
ვაშლოვანი
წალაწყარი
ქუთისი
ამ. ბატალიონი
პირობითი ნიშნები
ძარითადი
რუსული
რკინიგზა
გზა


საქართველოს ოკუპაცია
საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს
პირობითი ნიშნები
17. 03. 1921
XI არმია

ქართველი გენერლები და მთავრობის წევრები



გენერალი გიორგი კვინიტაძე ჯარისკაცებთან

ცხენოსნის შეგროვებაც ვერ მოასწრეს, რომ მთავრობამ თბილისი დატოვა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. საჯავახოს (სამტრედია) სადგურზე შეხვდნენ ერთმანეთს უკანდახეული ქართული ჯარის ნაწილები და დავით ჭავჭავაძე, ქაქუცასთან და თავის ცხენოსნებთან ერთად.

საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ, ჩოლოყაშვილი ახლად შექმნილ ცხენოსან დივიზიასთან ერთად ბათუმიდან ქუთაისში დაბრუნდა, იქიდან თბილისში, ჯარით გაჩერდა ნავთლუღის ყაზარმებში, საიდანაც მოკლე ხანში გადავიდა ბორჩალოში — ეკატერინენფელდში. აქ მან თავის თანამებრძოლებს გაუმჟღავნა გადაწყვეტილება პარტიზანული ბრძოლების დაწყების შესახებ, რაშიც მაშინვე აუბეს მხარი სხვა ოფიცრებმაც. ჩოლოყაშვილი საიდუმლოდ შეხვდა გენერალ კოტე აბხაზს, ილია ჭავჭავაძის უმცროსი დის, ნინოს ვაჟიშვილს, რომელიც დამოუკიდებლობამდე აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა მარშალი იყო, დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ კი სათავეში ჩაუდგა ე.წ. პარიტეტულ კომიტეტთან შექმნილ სამხედრო ცენტრს, რომელსაც შეიარაღებული ავჯანყების მომზადება დაევალა. პარტიზანული მოძრაობის გააქტიურებას ხელი შეუწყვეს იმ საშინელმა რეპრესიებმაც, რომლებიც საქართველოში დაიწყო საბჭოთა რუსეთის მიერ. ქაქუცა მოელაპარაკა კოტე აბხაზს მომავალი მოქმედებების თაობაზე. გადაწყდა პარტიზანული ბრძოლების გამართვა მთელ საქართველოში, რომელიც ბოლოს ერთიანი ავჯანყებით უნდა დასრულებულიყო.

1921 წლის ივლისში ქაქუცა ჩოლოყაშვილი თანამოაზრეებთან ერთად კახეთში გადავიდა, საიდანაც პარტიზანული მოძრაობა უნდა დაწყებულიყო. კახეთიდან იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გზავნიდა სანდო პირებს და ქმნიდა ფარულ ორგანიზაციებს ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. პირველად ასეთი ორგანიზაციები დუშეთსა და გორის მაზრაში შეიქმნა. მათი შექმნა ევალებოდა პატარა ბირთვს, რომელშიც სანდო პირები შედიოდნენ. ბირთვის საქმიანობა და შემადგენლობა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. მებრძოლებს იარაღით „პარიტეტული კომიტეტი“ ამარაგებდათ.

ჩოლოყაშვილი ამავე დროს ცხენოსან ათასეულშიც ირიცხებოდა, რომელიც საბჭოთა საქართველოს ოფიციალური სამხედრო ნაწილი იყო. საიდუმლო რაზმები და ორგანიზაციები მკაცრი კონსპირაციულობით დგებოდა. ჯარში მოღვაწეობდნენ ბოლშევიკთა მომხრე ოფიცრები, რომლებიც შინაგანად ქაქუცას მოძრაობის მხარეს იდგნენ. ისინი ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას ამჟღავნებდნენ თავიანთ სიმპათიას და ქაქუცას რაზმელებს ეხმარებოდნენ.

1922 წელს დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი), რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს სოციალ-დემოკრატი გოგიტა ფაღავა. აირჩიეს ასევე სამხედრო ცენტრი გენერალ კოტე აბხაზის, ალექსანდრე ანდრონიკაშვილის, ვარდენ წულუკიძის, გიორგი ხიმშიაშვილისა და როსტომ მუსხელიშვილის შემადგენლობით. ცენტრი ხელმძღვანელობდა გამოსვლებს კახეთსა და ხევსურეთში.

მებრძოლი ბირთვის წევრები ხვდებოდნენ გავლენიან პირებს და ყოფილ მეომრებს, უზიარებდნენ მათ თავიანთ გეგმებს, ისინი კი ხალხს ამზადებდნენ. კახეთის სოფლებში მათ ბევრი ფარული ორგანიზაცია შექმნეს, ჩამოაყალიბეს საბრძოლო რაზმები, რომელთაც სათავეში სანდო და მამაცი მეთაურები ჩაუყენეს. როდესაც ცხენოსანი ათასეული თბილისში გადმოიყვანეს, ქაქუცამ დატოვა ჯარი და ისევ კახეთში წავიდა. იგი მთლიანად პარტიზანულ მუშაობასა და არალეგალური ორგანიზაციების ჩამოყალიბებაზე გადავიდა. იშვიათად ჩამოდიოდა თბილისში, უმეტესად, თელავის, სიღნაღისა და დუშეთის მაზრებში იყო. მასზე უკვე ეჭვი ჰქონდათ აღებული და თბილისში ჩამოსვლასაც ამიტომ ერიდებოდა.

შეტაკებების მსვლელობა: პირველი შეტაკება მთავრობის წითელ რაზმებთან ქაქუცასა და მის შეფიცულ მეგობრებს სიღნაღთან მოუხდათ, 1922 წლის ივნისში. ამის გამო ქაქუცა დააპატიმრეს. ეს იმ დროს მოხდა, როდესაც სიღნაღის რევკომში ჩეკას საიდუმლო ბრძანება ჰქონდათ მიღებული ჩოლოყაშვილის დაპატიმრებისა და თბილისში გაგზავნის შესახებ. სიღნაღის რევკომში მუშაობდა ცხენოსანთა ათასეულის ყოფილი ოფიცერი, კაპიტანი დათა გომელაური, რომელიც თანაუგრძნობდა ჩოლოყაშვილს და მის მოძრაობას. მან ქაქუცას მეგობრებს სასწრაფოდ შეატყობინა მისი დატუსაღების ამბავი. იმავე ღამეს რევკომს თავს დაესხა 6 კაცი. მათ იარაღი აჰყარეს მილიციელებს და ჩოლოყაშვილი გაათავისუფლეს. ქაქუცა, თავის შეფიცულებთან ერთად, ალვანის ტყეში დაბანაკდა. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყეს საიმედო ბაზის მოძებნა. საამისოდ პანკისის ხეობა აირჩიეს. ქისტები მათ დიდ მხარდაჭერას უცხადებდნენ. ადგილი დაცული იყო, აქედან გადადიოდა

გზები კავკასიონის ქედისა და თუშების საზაფხულო იალაღებისაკენ. პანკისის ბაზაში ხალხი მოდიოდა ქაქუცას რაზმთან შესაერთებლად.

შეფიცულთა რაზმი ხშირად იცვლიდა ადგილს და ძირითადად კახეთში მოძრაობდა. შეფიცულებს პერმანენტული შეტაკებები უხდებოდათ ჩეკას რაზმებთან. ერთ-ერთი ასეთი იყო შეტაკება დედოფლისწყაროსთან, სადაც ჩოლოყაშვილი ჩაუსაფრდა და გაანადგურა კომუნისტი აქტივისტების დიდი რაზმი.

ალყა მაღაროსკართან: ქაქუცა ჩოლოყაშვილის საბრძოლო ისტორიაში გამორჩეულია 1922 წლის ზაფხულში ხევსურეთში მოწყობილი ანტისამთავრობო ამბოხება. ხევსურეთში ქაქუცას რაზმი დუშეთიდან ავიდა. აჯანყება პირველ აგვისტომდე უნდა მომხდარიყო. ამბოხებამდე ერთი კვირით ადრე დაიძრნენ რაზმის წევრები ხევსურეთისაკენ. არაგვის ხეობაში მოსახლეობა არც იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, ამიტომ დღისით მოძრაობდნენ. გზად პატარა სოფელი — ორთვალი გაიარეს, სადაც ქართველ ჩეკისტებს გადააწყდნენ. პირველი ბრძოლაც მათთან გამართეს. ბრძოლაში ერთი ჩეკისტი მოკვდა, რამდენიმე დაიჭრა, ზოგიც გაექცათ. აქ აღარ გაჩერებულან და მაღაროსკარისაკენ გასწიეს. დაბინავდნენ ვაჟა-ფშაველას მიერ დაარსებულ სკოლაში, რომელსაც ირგვლივ ტყე ერტყა. მათ ფეხდაფეხ დადევნებულმა მილიციამ ერთი ფშაველი, მაღაროსკარელი ახალგაზრდა გამოტეხა. მდევარი 3 მხრიდან წამოვიდა მაღაროსკარისაკენ: ერთი პირდაპირი გზით, საიდანაც თავად რაზმი ამოვიდა; მეორემ ზურგიდან დაუარა, მესამემ კი — სკოლის გაღმიდან, საიდანაც ასევე ხელისგულივით ჩანდა შეფიცულების ბინა. მილიციელთა თავდასხმისას რაზმში ადგილზე მხოლოდ 12 კაცი იმყოფებოდა, დანარჩენები ტყეში იყვნენ გასული. რაზმელები ტაქტიკურად არახელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან სკოლის ღია ეზოში იდგნენ, მაშინ, როდესაც მდევარს ტყის საფარის გამოყენება შეეძლო. მოწინააღმდეგე სულ ახლოს მივიდა სკოლის ყორესთან, გზის პირას და სროლა დაიწყო. სანამ ტყეში მიმოფანტული რაზმელები სროლის ხმას გაიგონებდნენ, ბრძოლის სიმძიმე ქაქუცასა და მის თორმეტიოდე მებრძოლს დააწვა. ქაქუცა სკოლის გვერდით მდებარე ეკლესიის ნანგრევებთან გამაგრდა. მან იქვე ჩამომავალი ბილიკისაკენ ელიზბარ ვაჩნაძე გააგზავნა 3 კაცით. ამ ბილიკზე ჩამოდიოდა ავლაბრის კომისარი მილიციელთა რაზმით. შეფიცულები მათ შეებრძოლნენ, მოკლეს კომისარი და 2 მილიციელი, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ქაქუცამ კიდევ 3 მებრძოლი მიაშველა ელიზბარს და 6 კაცით ის სიმაღლე დაიკავა, რომელიც არაგვზე გადებულ ხიდს გაჰყურებდა. აქედან დაუწყეს სროლა უკანდახეულ მტერს და ბევრიც იმსხვერპლეს. ბრძოლა თანდათან გაძლიერდა, ყველა შეფიცული იბრძოდა. ქაქუცამ მტერი ალყაში მოიმწყვდია, ზოგი დახოცეს, ზოგიც ტყვედ ჩაიგდეს. არაგვის ნაპირას გასულმა რაზმელებმა იქ კიდევ 6 მილიციელი აიყვანეს. ამ ბრძოლაში ქაქუცას 60-მდე რაზმელი მონაწილეობდა. ტყვეთა გადმოცემით, მოწინააღმდეგე 250 კაცამდე იქნებოდა.

ამბოხების მომზადება ხევსურეთში: მაღაროსკარის ბრძოლის შემდეგ ქაქუცა დაუბრკოლებლად ავიდა ხევსურეთში და ბარისახოში დაბანაკდა. ხევსურეთის აჯანყებას ჩოლოყაშვილი დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. შეფიცულთა მონაცემებით, საბჭოთა რუსეთის სულ 10 000-მდე ჯარისკაცი იყო საქართველოში დისლოცირებული. ისინი ფიქრობდნენ, რომ ხევსურეთში შეიტყუებდნენ ჯარს და ვიწრო ხეობებში ადვილად გაანადგურებდნენ. მოსალოდნელი იყო, რომ ფშავ-ხევსურეთსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ მეომართა გარდა, ხევსურეთში იბრძოლებდნენ ჩეჩნებიც. ქაქუცა მათთან მოლაპარაკებას აპირებდა. ქართულ არმიაში ქაქუცას თავისი ხალხიც ჰყავდა. იმედი ჰქონდა, რომ კრიტიკულ მომენტში ამ ჯარს გაანეიტრალებდა. კერძოდ, შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი მუსხელიშვილი ყოველთვის აწვდიდა სანდო ცნობებს შეფიცულების რაზმს. შეფიცულებს იმედი ჰქონდათ, რომ ხევსურეთში აჯანყების დაწყებისთანავე იგივე დაიწყებოდა თბილისში და სხვა ქალაქებშიც, მაგრამ ვერც პარიტეტულმა კომიტეტმა და ვერც სამხედრო ცენტრმა ვერ მოახერხეს ეროვნული მოძრაობის უფრო გაბედულად აზვირთება და ამ ტალღის სათავეში ჩადგომა. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდ ქალაქებში რეპრესიები დაიწყო.

ხევსურეთში შერჩენილი ჩოლოყაშვილის რაზმელები ვარაუდობდნენ, რომ მთავრობის შენაერთები მათ წინააღმდეგაც დაიწყებდნენ მოქმედებას. ქაქუცამ მიმართა ხევსურ მეთაურებს, შუამავლობა ეკისრათ და ჩეჩნებისათვის დახმარება ეთხოვათ. ხევსურებმა უარი თქვეს — ჩვენ მტრობა გვაქვს ჩეჩნებთან, პირაქეთელებს არ დაგვეხმარებიანო. ასეთ ვითარებაში ძნელი იყო მოკავშირეებად ჩეჩნების დაგულება. მაგრამ, ქაქუცამ არ დაიშალა. ის ხევსურებს შეჰპირდა, რომ

ჩეჩნებთან სანდო კაცს გააყოლებდა, რათა მისულები მტრებად არ მიეღოთ. ხევსურებს უნდა დაერწმუნებინათ ჩეჩნები, დროებით გადაედოთ ერთმანეთის შუღლი და გაერთიანებულიყვნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. გამყოლებად ქისტები და პირიქითა ხევსურები უნდა აერჩიათ, რადგან ჩეჩნები მათთან მეგობრობდნენ. მართლაც ქართველები შატილიდან გადავიდნენ ქისტების სოფელ ჯარეგაში და შეხვდნენ იქაურ თავკაცებს, დაარწმუნეს ისინი ქაქუცას შემონათვლის სიმართლეში და დაითანხმეს.

ჩეჩნები ჩამოვიდნენ კიდეც შატილში, მაგრამ ხევსურებთან არსებული უთანხმოების გამო მალევე უკან გაბრუნდნენ. გარკვეული დროის შემდეგ, დაინახა რა ბრძოლის გაგრძელების უაზრობა, ჩოლოყაშვილმა დაშალა რაზმი, დატოვა ხევსურეთი და კვლავ კახეთში გადავიდა.

1923 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ დააპატიმრა პარიტეტული კომიტეტი და სამხედრო ცენტრი. ამის შესახებ დოკუმენტური მასალა იმავე წელს გამოაქვეყნა „ქართველ მხედართა კავშირის" დამფუძნებელმა საინიციატიეო ჯგუფმა სტამბულში. მასში შეტანილია ის განაჩენიც, რაც „ძიების" შემდეგ დაიწერა და რომლის საფუძველზეც ქართველი პატრიოტი სამხედროები დახვრიტეს. კონსტანტინოპოლში მყოფი, სამშობლოდან დევნილი ქართული სარდლობა საზოგადოებას აუწყებდა, რომ რუსეთის საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლების განკარგულებით, ეს ადამიანები უსამართლოდ დახვრიტეს. 1923 წლის 20 მაისისთვის დახვრეტილ ოფიცერთა და სახელმწიფო მოხელეთა შორის 4 გენერალი, 6 პოლკოვნიკი, 3 ლეიტენანტი, 7 როტმისტრი (ასეულის მეთაური), კაპიტნები, უნტერ-ოფიცრები (უმცროსი ოფიცერი) და იუნკრები იყვნენ.

ხევსურეთის აჯანყების შემდეგ ქაქუცა ჩოლოყაშვილი მცირე რაზმით ისევ კახეთსა და ქართლში მოძრაობდა. მას უფროსი ძმა, ზაქარია მიუგზავნეს, რომელიც მანამდე დატუსაღებული ჰყავდათ, ასევე ახლო ნათესავი ბიძინა მაყაშვილი. მთავრობამ მას საზღვარგარეთ წასვლა შესთავაზა, მაგრამ ჩოლოყაშვილმა უარით უპასუხა ამ წინადადებას.

ქაქუცას ავტორიტეტმა შეარიგა ხევსურები და ჩეჩნები, შეწყდა ურთიერთთავდასხმები, პირუტყვისა და ადამიანების გატაცებები. შეფიცულთა რაზმის თავგანწირულმა ბრძოლებმა ნაყოფი გამოიღო: შეიქმნა კავკასიის მთიელთა შეკავშირების შესაძლებლობა, რისიც ეშინოდათ კრემლის ხელისუფალთ. ჩოლოყაშვილის მოწოდებას ჩეჩნები კვლავ გამოეხმაურნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ალი მიტაევისა და ათაბეის მხარდაჭერა, რომლებსაც ქაქუცამ საჩუქრად მილიციისათვის წართმეული 30 ცხენი გაუგზავნა. მოსალაპარაკებლად და ბრძოლების ორგანიზებისათვის თვითონ ჩოლოყაშვილი გადავიდა ჩეჩნეთში და შეხვდა მათ. როცა რუსებმა გაიგეს, რომ ქართველები ჩეჩნებთან ამყარებდნენ კავშირს, ჯაშუშები აამოქმედეს. დიდძალი ფული შესთავაზეს რამდენიმე ჩეჩენს, რომ ქართველი შეფიცულები და მათი ბელადი მოეკლათ, მაგრამ ჩეჩნებმა არ უღალატეს ჩოლოყაშვილს.

ქაქუცასა და მიტაევს შორის დადებული შეთანხმებით, თბილისიდან ჩეჩნეთში საჭირო რაოდენობით უნდა გაეგზავნათ ოფიცრობა, რადგან ჩეჩნებს არ ჰყავდათ საკმარისი სამხედროები.

გეგმის მიხედვით, ანტისაბჭოთა ამბოხება ერთდროულად უნდა დაწყებულიყო ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში, რუსეთიდან არ უნდა გამოეშვათ ჯარები, უნდა აეყარათ რკინიგზის ლიანდაგები, თავს დასხმოდნენ ჩრდილოეთში განლაგებულ რუსულ ნაწილებს. გროზნო 1918-1921 წლებში რუსეთისთვის სამხედრო შტაბს წარმოადგენდა. სწორედ ამ ზურგის მოშლას ცდილობდა ჩოლოყაშვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ განახორციელა, რადგან ეს გეგმა ცნობილი გახდა რეჟიმისათვის. ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები მიიღო – ორივე მხრიდან კავკასიონზე გადასასვლელები გადაიკეტა. ამით სამხედრო ნაწილებმა მოახერხეს ჩეჩენთა შედარებით მცირერიცხოვანი რაზმების იზოლირება და განადგურება. ჩოლოყაშვილი საქართველოში დაბრუნდა.

საერთო აჯანყების სამზადისი და მსვლელობა: 1924 წლის გამოსვლები საყოველთაო შეიარაღებულ აჯანყებად იყო ჩაფიქრებული. ის უნდა გაერცელებულიყო არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაში. მასში უნდა ჩაბმულიყო ჩეჩნეთი და აზერბაიჯანი. 1923 წლის ბოლოს პარიზიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდნენ: გვარდიის ყოფილი სარდალი ვალიკო ჯუღელი, თბილისის ყოფილი ქალაქისთავი ბენია ჩხიკვიშვილი, ყოფილი მიწათმოქმედების მინისტრი ნოე ხომერიკი. ისინი აჯანყების მეთაურებს ამხნევებდნენ და საერთაშორისო მხარდაჭერის იმედს უნერგავდნენ. ასეთი მხარდაჭერა კი მაშინ არ არსებობდა, რის გამოც არც ნოე ჟორდანია, არც ირაკლი წერეთელი და ემიგრანტული მთავრობის სხვა წევრები აჯანყებას მხარს

არ უჭერდნენ. ამასთან, აჯანყების მომხრე იყო ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი. 1924 წლის ივლისის შუა რიცხვებში მოიწვიეს განახლებული დამკომის გაფართოებული კრება. სამხედრო ცენტრის ახალმა სარდალმა, გენერალმა სპირიდონ ჭავჭავაძემ ჩაიბარა ანგარიში საბრძოლო რაზმების მზადყოფნის შესახებ. მან საკმარისად მიიჩნია არსებული სამხედრო ძალები და ჩატარებული ტექნიკური სამუშაოები. აჯანყების დასაწყებად დაინიშნა დრო — 17 აგვისტო. აჯანყების სარდლობა სპირიდონ ჭავჭავაძეს უნდა გაეწია. გეგმის მიხედვით, პირველად თბილისი უნდა გამოსულიყო. ამიტომ, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თავისი რაზმებით, თბილისიდან 20 კილო-მეტრში, სოფელ ნახშირგორასთან დაბანაკდა. იქ მოიყარეს თავი მიხეილ ლაშქარაშვილისა და ნაცვლიშვილის, დუშეთისა და დიღმის, კაპიტან ვაჩნაძის, ბორჩალოსა და მანგლისის რაზმებმა.

ამ დროს ვაზიანში დაბანაკებული იყო რუსული საარტილერიო ქვედანაყოფი. საჭირო იყო ამ ძალის ხელში ჩაგდება, რაც პოლკოვნიკ ი. ცაგურიას რაზმს უნდა მოეხერხებინა და რუსებისათვის ჩამორთმეული ზარბაზნებით თბილისს ნავთლუღის მხრიდან მისდგომოდნენ. აჯანყების დაწყება ჩრდილო კავკასიელებისათვის უნდა ეცნობებინათ.

ბოლშევიკებმა ყველაფერი გააკეთეს აჯანყების ჩაშლისა და კრახით დასრულებისათვის. მათ მიაგნეს შეთქმულების მეთაურთა კვალს და დააპატიმრეს გიორგი წინამძღვრიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი ფაღავა, გიორგი ჯინორია, ვალიკო ჯუღელი და ბენია ჩხიკვიშვილი. საპატიმროდან წინამძღვრიშვილმა და ჯუღელმა მიწერეს დამკომს — ხელი აეღოთ აჯანყებაზე. ხელისუფლებამ თბილისის გამაგრება, გზების შეკვრა, ღამის საათებში პატრულირება და საეჭვო სამხედროების დაპატიმრება დაიწყო. ბათუმში დააპატიმრეს გენერალი ფურცელაძე, რომელსაც აჯანყებაში აჭარის ჩართვა ევალებოდა, გურიაში გენერალი ყარალაშვილი აიყვანეს. ამან მთავარსარდალზე ცუდად იმოქმედა. მას გამარჯვების იმედი გაუქრა და დამკომს განუცხადა, რომ ამ პირობებში გამოსვლა შეუძლებელი იყო. დამკომის თავმჯდომარე იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით ითხოვდა აჯანყებას, რომელიც, მისი აზრით, დაწყებული იყო და ახლა შეჩერება მეტ მსხვერპლს გამოიწვევედა. მან მოითხოვა მთავარსარდლის გადაყენება და სპირიდონ ჭავჭავაძის ადგილზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანიშვნა, რაზედაც თანხმობა ვერ მიიღო.

დამკომმა უარი თქვა აჯანყების ცენტრად თბილისის არჩევაზე, რადგან დედაქალაქი მთავრობის მიერ საიმედოდ იყო გამაგრებული. ჩრდილო კავკასიაში გაიგზავნა ექიმი მიხეილ იშხნელი, რომელიც თავიდანვე აჯანყებას ემხრობოდა. იშხნელმა ინახულა ალი მიტაევი და მისგან გაიგო, რომ მთა მზად იყო აჯანყებისათვის. ამ ცნობით დაბრუნდა იშხნელი თბილისში. კოტე ანდრონიკაშვილმა და იასონ ჯავახიშვილმა პირადად მოინახულეს პასუხისმგებელი ოფიცრები, ქალაქებიდან და მაზრებიდან მოწვეული რაზმების მეთაურები და გააფრთხილეს, მზად ყოფილიყვნენ აჯანყებისათვის. აზერბაიჯანთან კავშირის დამყარება ვეღარ მოხერხდა, რადგან ამ საქმეისთვის შერჩეული გოგიტა ფაღავა დაიჭირეს. ამიტომ გეგმად დარჩა საერთო აჯანყება საქართველო-ჩეჩნეთის მონაწილეობით. მაგრამ ჩეჩნეთთან კავშირი მალე გაწყდა. იქ გაგზავნეს ვანო ავალიშვილი. მას კი ალი მიტაევი დაჭერილი დახვდა.

დამკომმა მთავარსარდლად ისევ სპირიდონ ჭავჭავაძე დატოვა, მაგრამ გეგმა შეცვალა — აჯანყება 29 აგვისტოსთვის გადადო. ამ ამბის შესატყობინებლად ქაქუცასთან სოლომონ ზალდას-ტანიშვილი გაიგზავნა. მას ინსტრუქცია მიეცა, მოლაპარაკება ისე წარემართა, რომ ქაქუცასაც. აგვისტოს ბოლოს დაგეგმილი გამოსვლისთვის დაეჭირა მხარი. ქაქუცამ თავდაპირველად უარი განაცხადა, რადგან ხალხი უკვე შეკრებილი იყო. შორი მანძილიდან მოსულთა და საბრძოლველად მომზადებულთა დაშლა, სახლებში გაგზავნა და მერე ხელახლა შეკრება გაძნელდებოდა, ხოლო იმ ადგილებში, სადაც იმჟამად იმყოფებოდნენ, ქაქუცა ორი კვირა მებრძოლებს ვეღარ შეინახავდა. თუ გადადება აუცილებელი იყო, ქაქუცა თანახმა იყო, აჯანყება ოქტომბრის მეორე ნახევარში დაწყებულიყო, როდესაც გლეხები უფრო თავისუფალნი იყვნენ და შეკრებასაც უკეთ შეძლებდნენ. დამკომი მის წინადადებას არ დაეთანხმა. აჯანყების თარიღად 29 აგვისტო გადაწყდა. ამასობაში ცუდი ამბები მოდიოდა: რაზმელები იფანტებოდნენ, ჩოლოყაშვილს 600 კაციდან 60 შემორჩა. პარტიებიც ვერ თანხმდებოდნენ, ზოგი აჯანყებას უჭერდა მხარს, ზოგი — არა. 27 აგვისტოს ქაქუცას რაზმში მივიდა დამკომის მთელი შემადგენლობა კოტე ანდრონიკაშვილის მეთაურობით. ქაქუცამ მხოლოდ სპირიდონ ჭავჭავაძე და შალვა ამირეჯიბი დაიტოვა, დანარჩენები უსაფრთხოების მიზნით ქვათახევის მონასტერის ბერებს ჩაბარა.

29 აგვისტოს დილით ქაქუცას რაზმში მაცნე მივიდა, რომელმაც მიიტანა ამბავი, რომ ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს გამოსვლა მოხდა ჭიათურაში. ეს იყო ნაჩქარევი ნაბიჯი, რადგან გამოსვლა 29 აგვისტოს შუაღამის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო.

აზრთა სხვადასხვაობა იყო დამკომის წარმომადგენლებშიც. ძველი კომიტეტის პარალელურად ახალი განყოფილება შეიქმნა, რაზედაც იასონ ჯავახიშვილს ზალდასტანიშვილმა და იშხნელმა პროტესტი განუცხადეს. დამკომის ახლადარჩეული თბილისის განყოფილება და მისი წევრები საქმის ვითარებას კარგად არ იცნობდნენ, ამიტომ აჯანყებისადმი მათი მიდგომა ზერელე იყო. არადა, ამ განყოფილებას შემდეგი დავალებები უნდა შეესრულებინა: აეღო და დაეკავებინა მთავრობის, ფოსტა-ტელეგრაფის, ჯავშნოსანი -ავტომობილების, კურსანტების, ჯავშნოსანი მატარებლებისა და საავიაციო ბაზის შენობები. ამ ამოცანების შესასრულებლად რაზმები მზად იყვნენ და განკარგულებას ელოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში გაიგზავნა 7 ოფიცერი მაიორ ბერიძის მეთაურობით. იქაც 29 აგვისტოს, შუაღამის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო გამოსვლა. ოფიცრობა აღარაფერს ერიდებოდა, ყველა ქაქუცასთან გაგზავნას ან რომელიმე რაზმში ჩაწერას ითხოვდა. 28-ში ჭიათურის გამოსვლით კი ერთიანი აჯანყების გეგმა ჩაიფუშა. ინიციატივა კვლავ ბოლშევიკებმა აიღეს ხელში. გამაგრდა ყველა ადგილი, რომელიც აჯანყებულებს უნდა დაეკავებინათ. 29 აგვისტოს ღამით დაიჭირეს კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელები და დახვრიტეს. ერთადერთ იმედად ისღა დარჩა, რომ ქაქუცას თავისი რაზმით მანგლისის მხრიდან და პოლკოვნიკ ცაგურიას ვაზიანის მხრიდან შეეტიათ თბილისისთვის და აქ მყოფი რაზმებიც მათ შეერთებოდნენ. მაგრამ დედაქალაქში არავითარი ცნობა არ მოდიოდა. პოლკოვნიკი ცაგურია თბილისში მხოლოდ 31 აგვისტოს გამოჩნდა, ქალაქში შეიპარა, დამკომის წევრებს შეხვდა და თავისი მდგომარეობა აუხსნა: როგორ ჩაუშალა ვაზიანზე შეტევა, რადგან არ გამოცხადნენ მებრძოლები და როგორ გაანადგურა კომუნისტურმა მილიციამ მისი რაზმის ნაშთები სოფელ პატარძეულთან.

ჩოლოყაშვილმა კი მანგლისზე გალაშქრება გადაწყვიტა, სადაც კურსანტების ყაზარმები იყო. 70-კაციანი რაზმით ქაქუცამ ყაზარმებს შეუტია. მეთაურმა სამად გაანაწილა ძალები: მარჯვენა ფრთაზე სულხანიშვილი დააყენა 15 ბორჩალოელი თათრით, მარცხენა ფრთაზე ელიზბარ ვაჩნაძე გაგზავნა 20 კაცით, შუაში კი ჩააყენა მიშა ნაცვლიშვილი და რაფო ერისთავი დანარჩენი ძალებით. ერთ-ერთ შეფიცულს ყაზარმაში ბომბი უნდა შეეგდო, რის შემდეგაც დაიწყებდნენ ბრძოლას. ბომბი არ გასკდა, არადა, ერთის მეტი არ ჰქონდათ. დაიწყო სროლა. კურსანტებმა ფანჯრიდან ტყვიამფრქვევი გადმოდგეს და ცეცხლი გახსნეს. ნახევარსაათიანი ბრძოლის შემდეგ აჯანყებულები იძულებულნი გახდნენ, დუშეთისაკენ დაეხიათ. მანგლისის ბრძოლაში გამოჩნდა, რომ ხალხი ორგანიზებული არ იყო, აჯანყებულებს მებრძოლები არ ემატებოდნენ. ქაქუცა მარტო დარჩა რამდენიმე ათეული კაცით. იგი მიხვდა, რომ აჯანყებას წარმატება აღარ ელოდა.

ჩოლოყაშვილის ამ პერიოდის ბრძოლებიდან აღსანიშნავია თავდასხმა სვიმონიანთხევში დაბანაკებულ ცხენოსანი ჯარის ნაწილზე. ეს სოფელი ვაკე ადგილზეა, მხოლოდ ჩრდილოეთიდან აკრავს მაღალი გორა. აღმოსავლეთით პატარა ხევი ჩაუდის მდინარით. ჩოლოყაშვილის რაზმი სოფელს შუაღამისას მიუახლოვდა. ქაქუცამ კვლავაც 3 ნაწილად გაყო თავისი რაზმი და სხვადასხვა მხარეს გაგზავნა. თავად გორაკის დასაკავებლად წავიდა — სხვებს თუ გაუჭირდებოდათ, იქიდან უკეთ დაინახავდა და ადვილად დაეხმარებოდა. მეომრები გარიჟრაჟამდე იბრძოდნენ. ზოგი მოწინააღმდეგე ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი შეფიცულებს ჩაუვარდათ ხელთ. შეფიცულებს მილიციის 160 ცხენი დარჩათ. მაგრამ მალე გაიგეს დამკომის პროკლამაციის შესახებაც, რომელმაც აჯანყება დამთავრებულად გამოაცხადა. ასეთი მარცხის შემდეგ, ერთ-ერთი ჩეკისტი, გვარად მიასნიკოვი, თბილისში მოწყობილ საჯარო ლექციაზე ამბობდა, ჩოლოყაშვილი ისეთ პარტიზანულ ტაქტიკას მიმართავს, რომ მასთან რეგულარული ჯარის ბრძოლა უშედეგოაო.

აგვისტოს ერთიანი აჯანყების გეგმა ვერ განხორციელდა, მაგრამ ეროვნული ძალები მთელ საქართველოში თავგანწირვით იბრძოდნენ. დასავლეთ საქართველოს რაიონებში ამბოხებულებმა სტრატეგიული პუნქტები დაიკავეს, ხელისუფლების წარმომადგენლებიც დაატუსაღეს, მაგრამ ბრძოლის გაღრმავება ვერ მოახერხეს.

გურიაში აჯანყებულთა ხელში იყო ხიდისთავი, ნაგომარი, საჯავახო და სხვა სოფლები. გენერალ ყარალაშვილის დაჭერის შემდეგ ბრძოლებს მეთაურობდნენ: ს. მათითაშვილი, თ. მუხარაშვილი და პ. ჭანუყვაძე. 31 აგვისტოს გურულებმა ოზურგეთზე მიიტანეს იერიში. იგი

გამაგრებული დახვდათ ბათუმიდან და სამტრედიიდან ჩამოსული რუსეთის ჯარით. უთანასწორო ბრძოლაში აჯანყებულებმა იძულებით დაიხიეს უკან. 2 სექტემბერს ისინი მტრის ალყაში მოექცნენ. მეამბოხეებმა ალყა გაარღვიეს და ტყესა და მთებში გავიდნენ. ბევრი თურქეთში გადავიდა, საიდანაც უცხოეთში გაიფანტნენ.

სამეგრელოში მოძრაობას გენერალ თოფურიას დაჭერის შემდეგ ასმეთაური, კაპიტანი დაეით მხეიძე მეთაურობდა. 29 აგვისტოს აჯანყებულებმა სენაკი დაიკავეს, იქაური ჩეკა განაიარაღეს, ციხიდან პატიმრები გამოუშვეს და იარაღი დაურიგეს. მთავრობის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ რამდენიმე წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ როდესაც მეთაური ბრძოლაში დაიჭრა და ხელისუფლებამ დამატებითი ძალებიც გაგზავნა, მეომრებმა უკან დაიხიეს — ზოგი მთებში მიიმალა, ზოგი კი სვანეთის აჯანყებულებს შეუერთდა.

სვანეთის აჯანყება საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ განსაკუთრებით გამოირჩეოდა. სვანები საოკუპაციო რეჟიმს უკვე 1921 წლის თებერვლიდან არ დამორჩილებიან. მათი გამოსვლა ნაწილი იყო იმ პარტიზანული ომისა, რომელიც საქართველოში 1921-1924 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის გაიშალა.

მთავარი პოლიტიკური ლოზუნგი, რომელიც აჯანყებულმა სვანებმა წამოაყენეს, იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი ტერიტორიიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის გაყვანა. სვანეთისკენ რეგულარული წითელი არმიის ნაწილები დაიძრნენ, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. დაიწყო მოსახლეობის მობილიზაცია და პარტიზანული რაზმების ფორმირება. სვანეთში მოქმედ პარტიზანულ რაზმებს მეთაურობდნენ: ეგნატე გაბლიანი, ბიძინა პირველი, პორფირე გვიშიანი, სამსონ ქალდანი, ივანე ბურჯალიანი და სხვები.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა აჯანყებულ სვანთა მისაშველებლად 250-მდე მებრძოლი გაგზავნეს. სვანეთის შეიარაღებულმა მოსახლეობამ წითელი არმიის ნაწილებს გზა გადაუღობა და სვანეთში არ შეუშვა. პირველი შეტაკება ჯარსა და მებრძოლებს შორის 1922 წლის 28 ოქტომბერს მოხდა. აჯანყებულებმა მტერი უკუაქციეს, დატყვევებულებს იარაღი აჰყარეს და საბჭოთა ხელისუფლება დამხობილად გამოაცხადეს. იბრძოდა 1600-ზე მეტი კაცი, მათ მხარეზე გადავიდა სვანეთის მილიციაც. მათ განკარგულებაში იყო 2 ზარბაზანიც. სვანეთის აჯანყების ხელმძღვანელობამ, ისევე როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის მებრძოლებმა, კავშირი დაამყარა ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან. აჯანყება დაკავშირებული იყო მთელ ენგურის ხეობასთან. მათ დაიკავეს ქვემო სვანეთი, დააპირეს ლეჩხუმსა და იმერეთში გადასვლა. მართლაც, მათ გადალახეს უღელტეხილი და გადავიდნენ ქვემო სვანეთში, ერთდროულად დაეცნენ ლენტეხს, ჩოლურისა და ლაშხეთის საგუშაგოებს, განაიარაღეს და დაატყვევეს კომუნისტი წითელარმიელები, შემდეგ გააგრძელეს წინსვლა და შეუტიეს ცაგერს. ლეჩხუმში მოქმედებდა აჯანყებული პარტიზანული რაზმი რუბენ ყიფიანის ხელმძღვანელობით, თუმცა ამ ორი ძალის შეერთება ვერ მოხერხდა. ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ გააგზავნა: 3 მსროლელი პოლკი, 135-კაციანი განსაკუთრებული რაზმის ასეული, კავკასიის ცალკეული ბრიგადა და 3 სამთო ზარბაზანი.

ამჯერად ხელისუფლებამ შეძლო აჯანყებულთა წინააღმდეგობის გატეხა და მათი გაფანტ-ვა. ამას მოჰყვა მთავარი ძალების ზემო სვანეთში გადასვლა და იქ გამაგრება. ეს აჯანყების დამარცხებას არ ნიშნავდა, ბრძოლამ პოზიციური ხასიათი მიიღო. ზამთრის გამო კი ის შეწყდა. ზემო სვანეთი მთლიანად აჯანყებულთა ხელში დარჩა და მთავრობაც იძულებული გახდა, ამ ფაქტს შერიგებოდა. ეროვნულმა პარტიებმა იქ მთელი ზამთარი იმუშავეს, ჩამოაყალიბეს არალეგალური ორგანიზაციები და ხალხს მორალურად ამხნევებდნენ.

გაზაფხულზე ბოლშევიკებმა ზემო სვანეთს მთელი ძალით შეუტიეს. იქ რეგულარული არმიის შენაერთები გაიგზავნა. ჩრდილო კავკასიიდან მე-9 არმიის 210-კაციანი რაზმი შევიდა, აჯანყებული სვანეთი ალყაში აღმოჩნდა. აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად სამთავრობო დელეგაცია გაიგზავნა. მათ ხალხს იარაღის დაყრა და ჩაბარება ურჩიეს, მაგრამ უარი მიიღეს. 1924 წლის 30 აგვისტოს სვანეთიდან დაძრულმა 500-მა მებრძოლმა ქუთაისს შეუტია, მაგრამ ქალაქი ხელისუფლებას კარგად ჰქონდა გამაგრებული და რაზმი იძულებული გახდა, უკან, სვანეთისაკენ დაეხია. 3 კვირის შემდეგ სვანეთი დანებდა.

ჩოლოყაშვილის მიერ ბრძოლის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა და მან გადაწყვეტილება მიიღო: სამშობლო დაეტოვებინა და შეფიცულებთან ერთად საზღვარგარეთ წასულიყო. 1930 წელს ის მძიმედ დაავადებული საფრანგეთში გარდაიცვალა.

ანალიზი: ამბოხების ჩაშლის მთავარი მიზეზი შეუთანხმებლობა, პარტიული დაქსაქსულობა და არაერთსულოვნება იყო. ბევრს აჯანყება ნაადრევად მიაჩნდა. ზოგი უკეთესი დროის დადგომას ელოდებოდა. ერთი პარტია მეორეს არ ეთანხმებოდა. იყვნენ გამცემებიც, რომლებიც საბჭოთა მილიციასა და უშიშროებას ეროვნული მოძრაობის მონაწილეთა საბრძოლო გეგმების შესახებ ატყობინებდნენ. ხევსურეთის ამბოხების გეგმა შტაბის უფროსთან შეთანხმდა. ის იმ საუკეთესო ქართველი გენერლების მიერ დამუშავდა, რომლებიც ქართულ ჯარში კომუნისტების შემოსვლის შემდეგაც მუშაობდნენ, მაგრამ საოკუპაციო რეჟიმს არ ეგუებოდნენ და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას სასტიკად განიცდიდნენ, ამიტომ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და მისი შეფიცულების მხარეს იდგნენ.

აღსანიშნავია შეფიცულთა რაზმისა და დახვრეტილ სამხედრო მოსამსახურეთა ერთგულება საქართველოს ერთიანობის, შელახული ღირსების აღდგენისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისადმი, რაც მათ მიერ ჩატარებულ ოპერაციებში გამოვლინდა. უთანასწორო ბრძოლებში ბევრი მათგანი დაიღუპა. ხევსურეთის ამბოხებაში ჩეჩნების ვაჟკაცობა ისევე დასაფასებელია, როგორც ქართველი შეფიცულების. XX საუკუნეში ქაქუცა იყო პირველი ადამიანი, რომელმაც საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენთა მოკავშირეობა აირჩია.

ზემოაღნიშნულს სამხედრო კუთხით თუ შევაფასებთ, გამოიკვეთება დადებითი და უარყოფითი მხარეები.

უარყოფითი: საბრძოლო ძალთა არაეფექტური კოორდინაცია; ვითარების არასათანადო შეფასება; გადაწყვეტილების ნაჩქარევად მიღება; აჯანყების დაწყების უკონტროლობა; სამხედრო ცენტრისა და პარტიების შეხედულებების სხვადასხვაობა; სააგიტაციო მუშაობის არაეფექტურად წარმართვა; ლოგისტიკური მომარაგების დაბალი დონე.

დადებითი: ძალთა მანევრირებისათვის ადგილმდებარეობის ეფექტური გამოყენება; მეთაურთა განადგურებით მართვის მოშლა; დედოფლისწყაროსთან ჩასაფრებებისა და რეიდების მოწყობა; მაღაროსკართან ალყიდან გამოსვლა; ჩეჩნებთან მოლაპარაკებით სამხედრო ალიანსის ჩამოყალიბება ; მაღალი საბრძოლო სულისკვეთება.

შედეგი: წითლებმა დამოუკიდებლობის მომხრე საუკეთესო მამულიშვილებს საქართველოს თითქმის ყველა მხარეში დევნა დაუწყეს. ბევრი გადაასახლეს, ბევრი დახვრიტეს, ქვეყანა ააწიოკეს, ეკლესია-მონასტრები დაკეტეს. ჭიათურაში აჯანყებულები ხელისუფლებამ სასტიკად დასაჯა. ისინი მატარებელში შეყარეს და დაბა ყვირილაში დახვრიტეს. ზემოაღნიშნულ ბრძოლას ბევრი გმირი ჰყავდა, ჰქონდა დიდი მორალური ზეგავლენაც, რადგან მომავალი თაობებისთვის ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთებისა და სიმამაცის საუკეთესო მაგალითი იყო.

1921-1924 წლების პარტიზანული მოძრაობისა და ქაქუცა ჩოლოყაშვილის ბრძოლების ისტორია გვასწავლის, რა არის საჭირო ჩვენი ერის ძლიერებისა და დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არსებობისთვის. ამ ამოცანის შესრულება, პირველ რიგში, ქართველი ხალხის ეროვნულ-პოლიტიკურ გაერთიანებას მოითხოვს. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეა უნდა გახდეს ქართველისა და საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის უპირველესი. ის უნდა აღემატებოდეს პარტიულ, კუთხურ, წოდებრივ თუ სხვა ინტერესს.

§12. საქართველო და II მსოფლიო ომი

ქართველი ერისთვის II მსოფლიო ომი, რომელიც 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის პოლონეთზე თავდასხმით დაიწყო და 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის კაპიტულაციით დასრულდა, დიდი გამოწვევა იყო. საქართველო, როგორც საბჭოთა იმპერიის შემადგენელი ნაწილი, ამ ომში ჩართული აღმოჩნდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც 1941 წლის ივნისში ნაცისტური გერმანიის ჯარები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავეს.

გერმანიის წინააღმდეგ ომი სტალინმა საბჭოთა ხალხების დიდ სამამულო ომად გამოაცხადა და თითოეულ მათგანს ერთიანი სამშობლოს დაცვისაკენ მოუწოდა. აქედან მოყოლებული, ომს

გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დიდ სამამულო ომად მოიხსენიებენ. სინამდვილეში, ქართველი ხალხის ერთადერთი სამშობლო, მამული, მიწა-წყალი იყო და არის საქართველო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა სსრ კავშირი. არარუსი ხალხები, მათ შორის, ქართველები, ამ კავშირში იძულებით შეიყვანეს. ამიტომაც, საქართველოს მოსახლეობის ნაწილი, რომელიც აცნობიერებდა, რომ საქართველო რუსთაგან დაპყრობილი და ეროვნულ სახელმიფო-ებრიობას მოკლებული ქვეყანა იყო, საბჭოთა იმპერიას თავის მამულად არ მიიჩნევდა. ასეთი იყო ქართული ემიგრაციის განწყობაც.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დაწყებისას ჰიტლერი დარწმუნებული იყო, რომ ეს უზარმაზარი „ეთნიკური კონგლომერატი" გერმანელთა დარტყმას ვერ გაუძლებდა და ცალკე ნაციონალურ ერთეულებად დაიშლებოდა. ამ მხრივ ომს საბჭოთა იმპერიისათვის სერიოზული გართულება არ მოჰყოლია. თუმცა ხელისუფლებამ დაზღვევის მიზნით მაინც ჩაატარა პრევენციული ღონისძიებები. ომის დაწყებისთანავე საქართველოდან პირწმინდად გაასახლეს გერმანელი კოლონისტები. 1944 წელს მათი ბედი სამცხე-ჯავახეთისა და სხვა საზღვრისპირა რაიონებში მცხოვრებმა მაჰმადიანმა მოსახლეობამაც გაიზიარა. 70 000-მდე თურქი, ქურთი, ქართველი და ჰემშინი (სომეხი მუსლიმი) დეპორტირდა ყაზახეთსა და შუა აზიის მხარეში. ტრაგიკული ხვედრი ხვდათ ე.წ. მცირე ერებსაც (ყალმუხები, ყარაჩაელები, ჩეჩნები, ინგუშები და სხვა).

ომის დროს სტალინისა და კომუნისტ ხელისუფალთა მოწოდებებსა და მიმართვებს მკაცრი ბრძანების ხასიათი ჰქონდათ. კრემლის დირექტივებიდან ოდნავი გადახვევაც კი სასტიკად ისჯებოდა. სახელმწიფო ულმობლად ებრძოდა დეზერტირებს, პანიკიორებს, განსხვავებულად მოაზროვნეებს. საბრძოლო ნაწილების ზურგში მოქმედებდნენ საგანგებო გადამღობი რაზმები, რომელთაც ევალებოდათ, ადგილზე დაეხვრიტათ ყველა, ვინც ბრძანების გარეშე უკან დაიხევდა. საბჭოთა მეომრებს ეკძალებოდათ ტყვედ დანებება და სხვა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგიტაცია-პროპაგანდას, სსრ კავშირის გმირის წოდების დაწესებას. მხედრული მამაცობისა თუ შრომითი აქტივობის მორალურ სტიმულირებას აშკარად გააჩნდათ ადამიანებზე ზემოქმედების ძალა, მაგრამ, ამასთან ერთად, ხალხის დიდ ნაწილში არსებობდა ენთუზიაზმი და ბელადის — სტალინის რწმენაც. საქართველოში სულაც არ იყო მეორეხარისხოვანი სტალინის ეროვნული წარმომავლობაც, მისი ქართველობა. ამითაც აიხსნება, რომ ტოტალური მობილიზაციის პარალელურად, ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, მათ შორის, საქართველოდანაც, ფრონტზე მოხალისედ წავიდა.

მართალია, ბრძოლის ქარცეცხლი უშუალოდ საქართველოს არ შეხებია და მთელი ომის განმავლობაში იგი ზურგის რეგიონად დარჩა, მაგრამ მტერზე გამარჯვებისათვის საქართველომ მაინც უდიდესი მსხვერპლი გაიღო. სამ მილიონნახევრიანმა რესპუბლიკამ ფრონტის ხაზზე 700 000-მდე მებრძოლი გაგზავნა, რომელთა თითქმის ნახევარი შინ ვეღარ დაბრუნდა. ამასთან, ქვეყანამ წარმატებით გაართვა თავი ომის საჭიროებისათვის მის წინაშე დასახულ ყველა ამოცანას.

ომის დაწყებისთანავე, ხელისუფლების ძალისხმევით, სსრ კავშირი ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად გადაიქცა. სახალხო მეურნეობა სამხედრო წესზე გადაეწყო. უმკაცრესი დისციპლინა დამყარდა არმიაშიც, ფრონტზეც და ზურგშიც. საქართველოს უმნიშვნელოვანეს ქარხნებს პროფილი შეუცვალეს და სახალხო მეურნეობის პროდუქციის წარმოების ნაცვლად პისტოლეტების, ტყვიამფრქვევების, ნაღმსატყორცნების, ვაზნების, საარტილერიო ჭურვების, ტანკების სათადარიგო ნაწილებისა და სხვათა დამზადება დაიწყეს.

თბილისის საავიაციო ქარხანა ავიაგამანადგურებლებს — „იაკ-1" და „იაკ-3" ტიპის თვითმფრინავებს უშვებდა. სამხედრო შეკვეთებს ასრულებდნენ ფოთის, ბათუმის, სოხუმის გემთშემკეთებელი საწარმოები და კასპის ცემენტის, ქუთაისის ლითოფონის ქარხნები. მძიმე ინდუსტრიის პარალელურად მთელი დატვირთვით მუშაობდნენ საფეიქრო, მსუბუქი თუ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, რომლებშიც უმთავრესად ქალთა კონტინგენტი იყო დასაქმებული.

ომის პირველსავე წელს საქართველომ ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული უკრაინისა თუ ცენტრალური რუსეთის რაიონებიდან ევაკუირებული ფაბრიკა-ქარხნები, მათი მუშა-მოსამსახ-ურენი და მრავალრიცხოვანი ლტოლვილი მოსახლეობა მიიღო. შეიკედლა ფრონტისპირა ზონიდან

ევაკუირებული მრავალი საბავშვო სახლი. ქართულმა ოჯახებმა იშვილეს უპატრონოდ დარჩენილი რუსი, უკრაინელი, ბელორუსი თუ სხვა ეროვნების ასეულობით მოზარდი.

საქართველოში გადმოიტანეს რამდენიმე უმაღლესი და ტექნიკური სასწავლებელი, მოეწყო არაერთი სამხედრო ჰოსპიტალი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა შეისახლა კიევისა და ხარკოვის საოპერო თეატრები, თბილისის კინოსტუდიამ — იალტის კინოსაწარმო და სხვა. მოსახლეობა იკლებდა ყველაფერს, იტანდა შიმშილსა და გაჭირვებას, მაგრამ თავდაცვით ფონდებში ფული, სახელმწიფო სესხის ობლიგაცია და ძვირფასეულობა მაინც შეჰქონდა. მეომრებს ეგზავნებოდათ თბილი ტანსაცმელი, თეთრეული, სურსათი. გროვდებოდა შემოწირულობები სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებისათვის. ქართველი ხალხის მარტო შრომითმა შენატანებმა 1941-1945 წლებში 3 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

საქართველოს მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით აიგო თავდაცვითი ზღუდე შავი ზღვის ნავსადგურების დასაცავად, გამაგრდა კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების — დარიალის, ჯვრისა და მამისონის მისადგომები. სტრატეგიული დანიშნულებით გაიყვანეს შავი ზღვის რკინიგზის მაგისტრალი. შეკეთდა საქართველოს სამხედრო გზა, მიმდინარეობდა ახალი გზატკეცილების მშენებლობა.

ომმა რთული მდგომარეობა შეუქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობას. შრომისუნარიანი მოსახლეობის მასობრივმა სამხედრო გაწვევამ სოფელი მოხუცების, ქალებისა და მოზარდების ამარა დატოვა. ფრონტს გადაეცა სოფლად არსებული მანქანა-ტრაქტორების დიდი ნაწილი, იქ გაიგზავნა ცოცხალი ძალაც, რამაც ხვნა-თესვა და სხვა სამუშაოები გააძნელა. მიუხედავად ამისა, ქართულმა სოფელმა ომის სიძნელეთათვის თავის გართმევა შეძლო.

ომის განმავლობაში არ დარჩენილა არც ერთი მნიშვნელოვანი საბრძოლო ოპერაცია, რომელშიც ქართველ მეომრებს მონაწილეობა არ მიეღოთ. ისინი იბრძოდნენ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ნაწილებში, პარტიზანული რაზმების შემადგენლობაში.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ქართულმა დივიზიებმა. ომის წინა პერიოდში კრემლმა ამგვარი სამხედრო ნაწილები გააუქმა, მაგრამ 1942 წლიდან ეროვნული საჯარისო შენაერთების ფორმირება კვლავ განახლდა. საქართველოში ჩამოყალიბდა 9 ქართული დივიზია. მათგან 3 თურქეთ-სსრ კავშირის საზღვარს იცავდა, დანარჩენები კი შექმნისთანავე ფრონტის წინა ხაზზე გაიგზავნენ. კავკასიის დაცვაში ეროვნულ დივიზიებსა თუ სხვა საჯარისო ნაწილებში გაერთიანებული 200 000-ზე მეტი ქართველი მონაწილეობდა.

ქართველი ჯარისკაცები და ოფიცრები თავდადებით იბრძოდნენ მოსკოვის მისადგომებთან და ლენინგრადისათვის ბრძოლაში, სტალინგრადთან თუ ორიოლ-კურსკის რკალზე, ბელორუსიის, უკრაინის, მოლდაველთის გასათავისუფლებლად, ბალტიის ქვეყნებიდან გერმანელ ფაშისტთა განსადევნად. ომის დასკვნით ეტაპზე ათასობით ქართველი მონაწილეობდა ბერლინზე შეტევაში. რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აღმართვის პატივი რუს მ. ეგოროვთან ერთად წილად ხვდა ქართველ მზვერავს მელიტონ ქანთარიას. 8000-მდე ქართველი მებრძოლი შედიოდა იაპონიის წინააღმდეგ მოქმედ საბჭოთა არმიის რიგებში.

საქართველოდან ომში წარგზავნილ 165 კაცს შორის, რომელთაც სსრ კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ, იყვნენ მფრინავი ჭიჭიკო ბენდელიანი, წყალქვეშა ნავის კაპიტანი იაროსლავ იოსელიანი, პარტიზანი ზოია რუხაძე, არმიის სარდალი კონსტანტინე ლესელიძე, დივიზიის მეთაური ვლადიმერ ჯანჯღავა და მრავალი სხვა.

მრავალმა ქართველმა ისახელა თავი გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაშლილ პარტიზანულ მოძრაობაში. გერმანიის ტყვეთა ბანაკებიდან გაქცეული ასეულობით ქართველი მებრძოლი შეუერთდა ალბანეთში, იუგოსლავიაში, პოლონეთში, იტალიასა თუ საფრანგეთში გაშლილ პარტიზანულ მოძრაობას და მონაწილეობა მიიღო ფაშისტ დამპყრობთაგან ამ ქვეყნების განთავისუფლებაში.

ქართველები იბრძოდნენ პოლონეთის შეიარაღებული ძალების — „არმია კრაიოვას“ შემადგენლობაშიც. 1921 წელს პოლონეთის მთავრობამ შეიკედლა საქართველოდან გახიზნული რამდენიმე ოფიცერი და ასამდე იუნკერი. ისინი დარჩნენ ვარშავაში, შევიდნენ სამხედრო სამსახურში და ეკავათ მაღალი სამეთაურო პოსტებიც. ასეთთა შორის იყვნენ გენერლები — შ. ბაქრაძე, ა. ზაქარიაძე, ა. კონიაშვილი, პოლკოვნიკი ვ. თევზაძე და სხვები. პოლონეთის განმათავისუფლებელ

ძალებთან თანამშრომლობისათვის გერმანელებმა დააპატიმრეს ცნობილი ქართველი მეცნიერი თეოლოგი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე, რომელიც 1942 წელს ფაშისტურ სატუსაღოში გარდაიცვალა. მოგვიანებით გრიგოლ ფერაძე ქართულმა და პოლონეთის მართლმადიდებელმა ეკლესიებმა წმინდანად შერაცხეს.

ბევრი ქართველი ემიგრანტი თუ ყოფილი ტყვე ირიცხებოდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში. საომარ მოქმედებებში ჩრდილოეთ აფრიკაში თავი ისახელა ქართველმა ემიგრანტმა დიმიტრი (ბაზორკა) ამილახვარმა. იგი გმირულად დაიღუპა 1942 წელს ელ-ალამეინის ცნობილ ბრძოლაში. პოლკოვნიკი ამილახვარი, რომელსაც შარლ დე გოლი „საარაკო სიმამაცის მეთაურს" უწოდებდა, საფრანგეთის ეროვნული გმირია. მისი სახელი მიეკუთვნა ამ ქვეყნის სახელგანთქმულ სენ-სირის სამხედრო სასწავლებლის 1956 წლის 143-ე გამოშვებას.

ქართველი მეომრები თავდადებით ებრძოდნენ გერმანელ ფაშისტებს აპენინის ნახევარკუნძულზეც. იტალიაში მოქმედ პარტიზანულ შენაერთებს შორის გამოირჩეოდნენ ქართველთა რაზმები, რომელთა შემადგენლობაში 400-ზე მეტი მებრძოლი იყო გაერთიანებული. სამარადისოდ უკვდავყვეს თავიანთი სახელები იტალიის სახალხო გმირმა ფორე მოსულიშვილმა, გიორგი ეარაზაშვილმა („კაპიტანი მონტი") და სხვებმა.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს I რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ ემიგრაციაში წასული ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი გერმანიასთან თანამშრომლობდა. მათ პოზიციას განსაზღვრავდა პრინციპი: „ჩვენი მტრის მტერი ჩვენი მეგობარია". საბჭოთა იმპერიის დამარცხება გერმანიასთან ომში საქართველოს განთავისუფლების წინაპირობა უნდა გამხდარიყო. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ისევე როგორც 1918 წელს, ახლაც ომში გერმანიის გამარჯვებით შესაძლებელი გახდებოდა ბოლშევიკური იმპერიისაგან თავის დაღწევა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

1942 წელს ბერლინში, აღმოსავლეთის სამინისტროს ეგიდით, ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული კომიტეტი მიხაკო წერეთლის თავმჯდომარეობით. მალე ჰიტლერმა აკრძალა კომიტეტის საქმიანობა და ნება დართო, შექმნილიყო მხოლოდ ტექნიკური დამხმარე ქართული საკავშირო შტაბი. ახალ ორგანოს, რომელსაც სათავეში მიხეილ კედია ჩაუყენეს, დავალებული ჰქონდა, გაეადვილებინა გერმანელთათვის ქართველი ტყვეების ომში გამოყენება. მართალია, ომში ტყვეთა გამოყენებას ჟენევის საერთაშორისო კონვენცია კრძალავდა, მაგრამ გერმანელები ამას ანგარიშს არ უწევდნენ. რაც შეეხება ქართული შტაბის მესვეურებს, მათი მოტივაცია სხვა იყო. საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი ტყვეები განწირულნი იყვნენ დასაღუპად. გერმანულ სამხედრო ფორმირებაში ჩართვით კი ათასობით თანამემამულეს ფიზიკური გადარჩენის შანსი ეძლეოდა. ამასთან, გერმანიასთან დაკავშირებულ ქართველ ემიგრანტებს არ ტოვებდათ საქართველოს გათავისუფლების იმედი. მათი მოსაზრებით, თუ გერმანელები საქართველოს მიწა-წყალზე შეეიდოდნენ, ქართველებს დაუყოვნებლივ უნდა გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა და დროებითი მთავრობა შეექმნათ. ფაშისტები ფაქტის წინაშე აღმოჩნდებოდნენ და თითქოს მის გაუქმებას მოერიდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში ქართველ ტყვეთა საჯარისო ნაწილი შეიძლებოდა ეროვნული არმიის ბირთვი გამხდარიყო. შტაბის ძალისხმევით სიცოცხლე შეუნარჩუნდა უამრავ ქართველ ტყვეს და მათთან ერთად მრავალ ებრაელსაც, რომლებსაც შტაბის წევრები ქართველებად ასაღებდნენ. ამ სამუშაოებს საქართველოს I რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, ვერმახტის გენერალი შალვა მაღლაკელიძე ხელმძღვანელობდა.

ემიგრანტი ქართველებით იყო დაკომპლექტებული ქართული სადესანტო სპეცრაზმი სახელწოდებით „თამარ I". 1942 წელს ქართველი ტყვეებისგან შეადგინეს კიდევ ერთი ასეთი რაზმი — „თამარ II". ქართველთა მონაწილეობით შეიქმნა, აგრეთვე, სამხედრო ფორმირება „ბერგმანი", რამდენიმე ქართული ბატალიონი და სხვა. ზოგიერთი მათგანი კავკასიის ფრონტზეც გადაისროლეს, მაგრამ აქ განცდილმა მარცხმა გერმანელთა და ქართველ ემიგრანტთა გეგმები ჩაშალა.

გერმანიის სარდლობამ ქართულ შენაერთთაგან ზოგი იტალიაში გადაიყვანა, ზოგიც დანიაში, საფრანგეთსა და ჰოლანდიაში გაამწესა. ჰოლანდიის კუნძულ ტექსელზე განლაგებულმა ქართულმა ბატალიონმა, ადგილობრივ პარტიზანებთან კავშირში, 1945 წლის აპრილში გერმანელთა წინააღმდეგ აჯანყება მოაწყო. წარუმატებელ აჯანყებას 500-ზე მეტი ქართველისა და კუნძულის მრავალი მცხოვრების სიცოცხლე შეეწირა.

მეორე მსოფლიო ომმა იმედები აღუძრა ქართულ ეროვნულ ძალებს საქართველოშიც. ქართველი ინტელიგენციის ვიწრო წრეში, ისევე როგორც I მსოფლიო ომის დროს, იხილებოდა მოქმედების გეგმა იმ შემთხვევისთვის, თუკი გერმანიის ჯარები კავკასიის საზღვრებს გადმოლახავდნენ. უფრო მეტი აქტივობა შეიმჩნეოდა სტუდენტი ახალგაზრდობის წიაღში. მწერალ ლევან გოთუას თაოსნობით თბილისში შეიქმნა არალეგალური კომიტეტი. შეთქმულთა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა კოტე ხიმშიაშვილმა. თუშეთში ადამ ბობღიაშვილის ხელმძღვანელობით აღმოცენდა გაერთიანება „სამანი" (საქართველოს აყვავებისთვის მებრძოლი ნაციონალისტები) და სხვა. არც ერთ დასახელებულ ჯგუფს მუშაობის გაშლა არ დასცალდა, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა ყველა მათგანი ჩანასახშივე გაანადგურეს.

§13. ქართული დივიზიები კავკასიისათვის ბრძოლებში (1942-1943 წლები)

სამხედრო სტრატეგიული ვითარება: კავკასიისათვის ბრძოლები, თავისი მასშტაბითა და ხანგრძლივობით, უმნიშვნელოვანესია II მსოფლიო ომში შესრულებულ სამხედრო-სტრატეგიულ ოპერაციათა შორის. კავკასიისათვის ბრძოლები 1942 წლის 25 ივლისიდან 1943 წლის 9 ოქტომბრამდე – 14,5 თვის განმავლობაში შავ და კასპიის ზღვებს შორის მიმდინარეობდა.

სტალინგრადისა და კავკასიისათვის ბრძოლების დაწყებას წინ უძღოდა საბჭოთა ჯარების სასტიკი მარცხი ყირიმისა და ხარკოვის რაიონებში, ასევე, გერმანელების მიერ როსტოვის დაკავება, რამაც მკვეთრად გააუარესა საბჭოთა ჯარების მდგომარეობა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. შექმნილი მდგომარეობის გამო საბჭოთა სარდლობა იძულებული გახდა, დროებით უარი ეთქვა შეტევით გეგმებზე და თავდაცვაზე გადასულიყო, რათა მოწინააღმდეგე მოგერიებით ბრძოლებში დაესუსტებინა და ამით თავის სასარგებლოდ შეეცვალა ფრონტზე ძალთა შეფარდება და საერთო ვითარება.

1942 წლის ზაფხულის შეტევის დაგეგმვის დროს ჰიტლერი ცდილობდა ვოლგაზე გასვლას „დიდი მოსახვევის რაიონში" და კავკასიის ხელში ჩაგდებას.

1942 წლის 23 ივლისის №45 დირექტივაში კავკასიის დაპყრობის გეგმა დაიდო, რომლის პირობითი სახელწოდება „ედელვაისი" (ალპური ზონის მთის ყვავილი) იყო. გერმანულ დივიზიებს ალყაში უნდა მოექციათ და გაენადგურებინათ როსტოვის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მყოფი საბჭოთა ჯარები და დაუფლებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიას. შემდეგ კავკასიის მთავარი ქედის დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან შემოვლას ვარაუდობდნენ. იმავდროულად უნდა გადაელახათ მისი უღელტეხილები. ამიერკავკასიაში შეჭრით მოწინააღმდეგე იმედოვნებდა შავი ზღვის ფლოტის ბაზების პარალიზებასა და უშუალო კავშირის დამყარებას თურქეთის არმიასთან, რომლის 26 დივიზია დისლოცირებული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვართან. გარდა ამისა, პირობების შექმნას ახლო და შუა აღმოსავლეთში შეჭრისათვის. აქ აუცილებელია აღინიშნოს ნავთობის საკითხიც – მესამე რაიხისათვის სასიცოცხლო ინტერესს მაიკოპის, გროზნოსა და ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება წარმოადგენდა.

არმიათა „სამხრეთის" ჯგუფის თათბირზე, რომელიც 1942 წლის 1 ივნისს შედგა, ჰიტლერმა განაცხადა: „ჩემი ძირითადი აზრია, დავიკავოთ კავკასიის ოლქები, რაც შეიძლება საფუძვლიანად გავტეხოთ რუსეთის ძალები... თუ მე ვერ მივიღებ მაიკოპისა და გროზნოს ნავთობს, მაშინ უნდა შევწყვიტო ომი".

სამოქმედო რაიონი: კავკასიის ჩრდილოეთ საზღვრიდან სამხრეთ საზღვრამდე მანძილი დაახლოებით 1000 კილომეტრია. კავკასიის სახმელეთო საზღვარი თურქეთთან და ირანთან 1382 კმ-ზეა გადაჭიმული. აქედან სსრკ-ირანის საზღვარი შეადგენდა 780 კმ-ს, ხოლო სსრკ-თურქეთისა – 602 კმ-ს. მრავალფეროვანმა ბუნებრივ-კლიმატურმა პირობებმა კავკასია საბრძოლო მოქმედებათა განსაკუთრებულ რაიონად აქცია. ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ჯარების საბრძოლო გამოყენების ხასიათს განსაზღვრავდნენ, იყო ადგილმდებარეობის რელიეფი, კლიმატური პირობები და ზღვები.

კავკასიას დიდი ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. ამ მნიშვნელობას განსაზღვრავდა რეგიონის ამოუწურავი ბუნებრივი სიმდიდრენი, სასარგებლო წიაღისეული, ნავთობის საბადოები. კავკასიის მნიშვნელობა განპირობებული იყო მისი განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობითაც. იგი

მდებარეობს მსოფლიოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ რაიონში. მასზე გადის სავაჭრო გზები, რომლებიც ერთმანეთთან აკავშირებს ევროპის, აზიის, ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს.

მხარეთა შემადგენლობა: კავკასიის დაპყრობის ამოცანის შესრულებისათვის განკუთვნილი იყო არმიათა ჯგუფი „ა" (სარდალი ფელდმარშალი ვ. ლისტი), რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა პირველი და მე-4 სატანკო არმიები, რუმინელთა მე-3 არმია და მე-4 საჰაერო არმიის ძალების ნაწილი (სულ: 167 000 კაცი, 1130 ტანკი, 4540 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1000-მდე თვითმფრინავი).

გერმანელთა დაჯგუფების პირისპირ იდგნენ სამხრეთის ფრონტისა (სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი რ. მალინოვსკი) და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის (სარდალი, მარშალი ს. ბუდიონი) ძალების ნაწილები 51-ე, 37-ე, მე-12, მე-18, 56-ე არმიებისა და მე-4 საჰაერო არმიების შემადგენლობით (სულ 112 000 კაცი, 121 ტანკი, 2160 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 130 თვითმფრინავი). საბჭოთა ჯარების ამოცანა იყო მტრის მოქანცვა თავდაცვით ბრძოლებში და პირობების მომზადება შეტევაზე გადასასვლელად.

წინაპირობები: 1942 წლის 25 ივლისს გერმანიის ჯარების სარდლობა კავკასიის დაპყრობის „ედელვაისის" გეგმის განხორციელებას შეუდგა. გერმანელებმა დაიკავეს მდინარე დონის ქვემო წელი, აიღეს როსტოვი და შექმნეს ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ძალებით შეჭრის საშიშროება. დაპყრობის საფრთხე დამუქრა მთელ ამიერკავკასიას. შეტევითი ოპერაციები ჰიტლერელებმა 3 მიმართულებით გაშალეს:

1. შეტევა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მიზნად ისახავდა გროზნოს დაკავებას, კასპიის ზღვის სანაპიროზე გასვლას და 1942 წლის სექტემბრის ბოლოს აზერბაიჯანის დედაქალაქის — ბაქოს აღებას;
2. შეტევა შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბათუმის მიმართულებით;
3. შეტევა ჩერკესკის რაიონიდან კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების გავლით სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და თბილისის მიმართულებით.

ჩრდილო-კავკასიის ფრონტის 37-ე და მე-12 არმიებმა დავალება მიიღეს, დაეცვათ სტავროპოლის მიმართულება, ხოლო მე-18, 56-ე და 47-ე არმიებს კრასნოდარის მიმართულების დაცვა დაევალათ. 46-ე არმიას დასავლეთ კავკასიონის დაცვა ევალებოდა.

1942 წლის 25 ივლისს გერმანელებმა დონის ქვემო წელის პლაცდარმებიდან შეტევა დაიწყეს კრასნოდარისა და სტავროპოლის მიმართულებით. სამხრეთის ფრონტის ჯარები იძულებულნი იყვნენ, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით დაეხიათ. მოწინააღმდეგის ტანკებისა და მოტორიზებული ჯარების გაჭრამ დონს გაღმა, სტავროპოლისა და კრასნოდარის სტეპების სივრცეში, სერიოზული საფრთხე შეუქმნა ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ქვედანაყოფებს. 1942 წლის 28 ივლისს მთავარსარდლობამ ჩრდილოეთ კავკასიისა და სამხრეთის ფრონტის ჯარებისაგან შექმნა ერთი — ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტი, მარშალ ს. ბუდიონის სარდლობით, რომლის ოპერატიულ დაქვემდებარებაშიც გადავიდა შავი ზღვის ფლოტი (სარდალი, ვიცე-ადმირალი თ. ოკტიაბრსკი) და აზოვის სამხედრო ფლოტილია (სარდალი, ვიცე-ადმირალი ს. გორშკოვი). ფლოტს მიეცა დავალება — აღედგინა მდგომარეობა დონის სამხრეთ სანაპიროზე. ამიერკავკასიის ფრონტის სარდალს, არმიის გენერალ ი. ტიულენევს ებრძანა თავდაცვის მომზადების დამთავრება და თავდაცვითი ზღუდეების დაკავება მდინარეებზე თერგსა და ურუხზე, კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილებზე, აგრეთვე, თავდაცვის მოწყობა გროზნოსა და მახაჩყალის მიმართულებით. ამ მიმართულებებზე მოქმედი მე-9 და 44-ე არმიები გაერთიანდნენ ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფში (სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ი. მასლენიკოვი).

1942 წლის ივლისის ბოლოს ვერმახტი იძულებული გახდა, მე-4 სატანკო არმია სტალინგრადის მიმართულებით შემოებრუნებინა, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა მისი დაჯგუფება ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგრამ უპირატესობა ძალებში მაინც მის მხარეზე რჩებოდა. 9 სექტემბრისათვის, უკუაგდეს რა კავკასიონის ზღუდეებიდან 46-ე არმია, მოწინააღმდეგის ჯარები დაეუფლნენ კავკასიონის ჩრდილო კალთებს. მთების დაცვის საქმე აშკარად არაორგანიზებული იყო. ფრონტის სარდლობა მეტისმეტად აზვიადებდა მათ მიუვალობას. 1942 წლის 20 აგვისტოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ უღელტეხილების დაცვის მიზნით შესაბამისი დირექტივა გამოსცა. სექტემბრის შუა რიცხვებში თბილისში მოავლინეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ლ. ბერია, სახელმწიფო უშიშროებისა და გენერალური შტაბის მაღალი რანგის ოფიცრების ჯგუფთან ერთად. მათ, ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობასთან ერთად, უმკაცრესი ზომები მიიღეს კავკასიონის ქედის დაცვის ორგანიზებაში დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. ადგილებზე, ქვედანაყოფებსა და შენაერთებში შეიცვალა ხელმძღვანელობა — ფრონტის ხაზზე სამეთაურო და საშტაბო თანამდებობებზე ძირითადად ქართველი ოფიცრები დაინიშნენ. ამიერკავკასიის ფრონტის ხაზზე საერთო ოპერატიული ვითარება გამოსწორდა.

ა) 351-ე ქართული მსროლელი დივიზია მამისონის უღელტეხილებისათვის ბრძოლებში

დივიზიის შექმნა: 1942 წლის 30 ივნისს ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე ვლადიკავკაზის რაიონის სტანიცა არხონსკში მთავარსარდლობის დირექტივითა და ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებით 351-ე ქართული მსროლელი დივიზიის ჩამოყალიბება დაიწყო. ეს პროცესი შემდეგ ოზურგეთში გაგრძელდა და იმავე წლის სექტემბერში ქუთაისში დასრულდა.

ამიერკავკასიის ფრონტის მოქმედი არმიის შემადგენლობაში 351-ე მსროლელი დივიზია 1942 წლის 12 სექტემბრიდან იმყოფებოდა. დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდა: 1157-ე, 1159-ე და 1161-ე მსროლელი პოლკები; 904-ე საარტილერიო პოლკი; მსროლელთა ცალკეული სასწავლო ბატალიონი; მეტყვიამფრქვევთა ცალკეული ბატალიონი; 621-ე მესანგრეთა ცალკეული ბატალიონი; 403-ე მზვერავთა ცალკეული ასეული; 103-ე და 104-ე ცალკეული მსროლელი რაზმები; შინსახკომის ნაკრები პოლკი; 452-ე მეკავშირეთა ცალკე ასეული; 419-ე ქიმიური დაცვის ცალკეული ასეული; ნაღმმტყორცნელთა მე-20 ცალკეული ბატალიონი.

351-ე მსროლელი დივიზია წარმოადგენდა მამისონის უღელტეხილის თავდაცვითი სისტემის განსაკუთრებულ, საგანგებო დაჯგუფებას. თუ 351-ე მსროლელ დივიზიაში საშტატო ერთეული შეადგენდა 10 500 კაცს, დაქვემდებარებულ ნაწილებთან ერთად მის რიგებში იმყოფებოდა 20 500 კაცი.

1942 წლის აგვისტოში 351-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი ვ. სერგაკოვი, სამხედრო კომისრად — ჯერ პოლკოვნიკი ო. მუსერიძე, შემდეგ პოლკოვნიკი კ. სოხაძე. დივიზიის ამოცანას შეადგენდა კავკასიონის მთავარი ქედის მისადგომების მტკიცედ დაცვა. დივიზიას არ უნდა დაეშვა მამისონის უღელტეხილის თავდაცვითი სისტემის გარღვევა და გერმანელთა ჯარების საქართველოში შემოჭრა. მეზობლად მოქმედებდა მარცხენა ფლანგზე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია და მარჯვენაზე — 276-ე ქართული მსროლელი დივიზია.

ამიერკავკასიის მოსახლეობა ყველაფერს აკეთებდა დივიზიის მებრძოლთა შემადგენლობის უზრუნველყოფისათვის. ფრონტზე შეუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა ყუმბარებითა და სხვა საომარი საჭურვლით დატვირთული მანქანები. მაღალმთიან ადგილებში საომარი საჭურველისა და სურსათ-სანოვაგის ატანა ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში მეტისმეტად ძნელი იყო. დიდი როლი ითამაშა საქართველოს მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობამ, ისინი მეომრებს საჭაპანო ტრანსპორტით ეხმარებდნენ.

ბრძოლა უღელტეხილებზე საყოველთაო-სახალხო საქმედ იყო გადაქცეული, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრს, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ა.საჯაიას, რომელიც სამხედრო ამოცანის შესრულების დროს ქალაქ ორჯონიკიძის მახლობლად დაიღუპა.

საბრძოლო მოქმედებები: 1942 წლის 5 ოქტომბერს გერმანელებმა მდინარე თერგი გადალახეს და საბჭოთა ჯარების თავდაცვაში პლანოვსკოესა და ელხოტოვოს მიმართულებით შეიჭრნენ. ისინი კავკასიონის ქედის მთისწინეთის დაკავებას ცდილობდნენ. შემდეგ შეტევა გააგრძელეს და ახსარისარს, ალაგირსა და ძუარიკაუს დაეუფლნენ. 1942 წლის 3 ნოემბრისათვის მჭიდროდ მიუახლოვდნენ 351-ე მსროლელი დივიზიის თავდაცვით ზოლს. დივიზია 37-ე არმიის 1344-ე მსროლელი პოლკით გაძლიერდა.

1942 წლის 3 ნოემბერს გერმანელებმა რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელი დივიზიით, გერმანული პოლკის „ბრანდენბურგის" მე-13 და 23-ე სატანკო დივიზიის ნაწილებით დაიწყეს შეტევა. მოწინააღმდეგე ცდილობდა დიგორსკის, ალაგირისა და კურტატინსკის ხეობებში შეჭრას,

შემდეგ კი ოსეთისა და საქართველოს სამხედრო გზებზე გასვლას. რთული ადგილმდებარეობის პირობებში 351-ე მსროლელი დივიზია 150 კმ-ის სიგრძის ფრონტზე აკავებდა მტრის წინსვლას.

1942 წლის 5 დეკემბერს ბრძოლა მამისონის უღელტეხილსა და მიმდებარე ტერიტორიებზე გაჩაღდა. 351-ე მსროლელი დივიზიის 1159-ე და 725-ე მსროლელმა პოლკებმა შეუპოვარი თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ ალაგირის მიმართულებით მთლიანად გაანადგურეს რუმინელთა მე-2 სამთო-მსროლელი დივიზიის მე-10 და მე-16 ბატალიონები, რომელთა საშტატო სტრუქტურა პოლკებს უტოლდებოდა. დაიკავეს ფაშისტთა ძლიერად გამაგრებული წინააღმდეგობის კვანძი, სიმაღლე – 930,3, სადაც მრავალი კონტრიერიში მოიგერიეს და ალაგირზე შეტევისათვის მზადებას შეუდგნენ.

ჯერ კიდევ 1942 წლის 1 დეკემბერს კურტატინსკის ხეობაში გუსარსკის მიმართულებით 351-ე მსროლელი დივიზიის 1161-ე და 1344-ე პოლკებმა მტრის მრავალრიცხოვანი კონტრიერიშები მოიგერიეს, შეტევაზე გადავიდნენ და მიგვარე-ბარუზინის მთისა და 1911,3 სიმაღლის დასაკავებლად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში დანაღმული ადგილებისა და სხვა წინააღდეგობების გავლით 45-გრადუსიანი აღმართი გადალახეს გერმანელთა არტილერიის, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ. აღსანიშნავია, რომ შენაერთი სასმელი წყლისა და სასურსათო პროდუქტების მწვავე ნაკლებობას განიცდიდა. მიუხედავად ამისა, დივიზიის ნაწილებმა შეძლეს, იერიშით აეღოთ მიგვარე-ბარუზონის მთა და № 1011,3 სიმაღლე. ალაგირის მისადგომებთან და № 930,0- სიმაღლისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს 1159-ე პოლკის მეთაურმა მაიორმა გაბარაევმა და პოლკის სამხედრო კომისარმა ა. კაკაბაძემ. ბრძოლის დაწყების წინ ა. კაკაბაძემ ასეთი სიტყვებით მიმართა თავის მებრძოლებს: „ძმებო! კარზე მოგვადგა მტერი... ჩვენს უკან საქართველოა“.

351-ე დივიზიის ნაწილებთან ერთად აქტიური ბრძოლები მოუხდათ მის შემადგენლობაში მყოფ სპეციალურ ნაწილებს – სადაზვერვო-დივერსიულ ქვედანაყოფებს. დივიზიის თავდაცვის უბანზე ჩამოყალიბდა 2 სპეციალური ასეული, რომელთა ამოცანაც იყო, დაეზუსტებინა მტრის განლაგება, ხელთ ეგდო მოწინააღმდეგის მოენები, სისტემატურად შეჭრილიყო მტრის ზურგში, მოეტანა ცნობები მის გეგმებზე, მოეშალა გერმანელთა კომუნიკაციები, აეფეთქებინა საომარი მასალის საწყობები და სხვა.

მათ წინაშე დასმული ამოცანები ამ სპეციალურმა დანაყოფებმა წარმატებით შეასრულეს. დანაყოფებმა, რომლებსაც მეთაურობდნენ ლეიტენანტები ვალიკო ჩხეიძე და გიორგი ქოქოსაშვილი, ააფეთქეს მტრის 2 საბრძოლო იარაღის საწყობი, ზუსტი ცნობები მოჰქონდათ მტრის განლაგებაზე, მის შეიარაღებაზე, საცეცხლე წერტებზე. ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს, 1942 წლის 14 ნოემბერს, დაიღუპა საინჟინრო სამსახურის ლეიტენანტი ნემსაძე, ხოლო მტერთან უთანასწორო ბრძოლაში, 17 ნოემბერს, დაიღუპა ერთ-ერთი სადივერსიო ჯგუფის მეთაური ხოსიტაშვილი.

1942 წლის 23 დეკემბრიდან, მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ, 351-ე ქართული მსროლელი დივიზია წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად შეტევაზე გადავიდა, თავდაცვის ძირითადი ზღუდიდან უკუაგდო მოწინააღმდეგე და დაიკავა ძუარიკაუ, ხატალდონი, სუადაგი, ბირაგზანტი, ახსარისარი, დურ-დური და მიუახლოვდა სურხ-დიგორასა და ჩიკოლას დასახლებულ პუნქტებს. აღნიშნულ ზღუდეზე გერმანელები გააფთრებით იცავდნენ თავს და ტანკების მხარდაჭერით კონტრშეტევებზეც გადმოდიოდნენ. სოფელი სურხ-დიგორა ორჯერ გადავიდა ხელიდან ხელში.

1942 წლის 31 დეკემბერს ქართულმა დივიზიამ ძალები გადააჯგუფა და 1943 წლის 1 იანვარს საღამოს მესამედ აიღო სოფელი სურხ-დიგორა, დაედევნა უკანდახეულ მოწინააღმდეგეს და იმავე დღეს დაიკავა სოფელი ჩიკოლა. 7 იანვარს გერმანელთა წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ 351-ე მსროლელი დივიზიის ნაწილები მიუახლოვდნენ მდინარე ბაქსანს და სოფელ ბაქსანისათვის ბრძოლაში ჩაებნენ. გერმანელებმა ბაქსანზე ხიდი ააფეთქეს. დივიზიის ნაწილებმა ფორსირებით გადალახეს გაყინული მდინარე და სოფელ ბაქსანში შეიჭრნენ, რომელსაც 4-საათიანი ბრძოლის შემდეგ დაეუფლნენ. შეტევები განვითარდა ჩრდილო კავკასიის სხვა ქალაქების მიმართულებით, სადაც ქართველებმა გამარჯვებები მოიპოვეს. ბევრი მათგანი თავდადებისათვის სხვადასხვა ხარისხის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

ანალიზი: მამისონის უღელტეხილის თავდაცვითი სისტემის მოწინააღმდეგის გარღვევისაგან საიმედოდ დაცვა და საბრძოლო მოქმედებების წარმატებით ჩატარება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- მამისონის უღელტეხილისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების თავდაცვისთვის საფუძვლიანად მომზადებამ;
- მეზობლებთან ურთიერთქმედებამ. ფაშისტთა წინააღმდეგ თავდაცვითმა ბრძოლებმა მტერს საშუალება არ მისცა, მამისონის მიმართულებით დამატებითი ძალები და საშუალებები გადაესროლა;
- შენაერთის შემადგენლობაში მყოფი ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურების უნარიანმა მოქმედებამ;
- პირადი შემადგენლობის თავდადებამ;
- სპეციალური ქვედანაყოფების სადაზვერვო და სადივერსიო მოქმედებებმა.

შედეგი: მამისონის უღელტეხილის მისადგომებთან თავდაცვით და შეტევით ბრძოლებში, 1942 წლის 9 ნოემბრიდან 15 დეკემბრის ჩათვლით, ქართულმა მსროლელმა დივიზიამ გაანადგურა 7 750 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელის 40 და დაზგის 36 ტყვიამფრქვევი, 81 ნაღმსატყორცნი და 2 ქვემეხი. ამასთან ერთად, შენაერთის მებრძოლებმა ხელთ იგდეს 689 შაშხანა, ხელის 79 და დაზგის 33 ტყვიამფრქვევი, 18 ნაღმსატყორცნი, 8 ქვემეხი და 2 ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი.

ბრძოლებში სიმამაცის მაგალითებს იძლეოდნენ ოფიცრები: ი. თოფურიძე, გ. ლობჟანიძე, დ. სართანია, გ. ჩხენკელი, ა. გოგობერიშვილი, ვ. ცაგარელი, ი. ქირია, ი. მორჩილაძე; სერჟანტები და რიგითები: ვ. ბერაძე, გ. კვარაცხელია, ს. კალაძე, ვ. აფციაური, პ. ჩაჩანიძე, ი. აბრამიშვილი, ა. ქურციკიძე, ფ. კოპაძე, მ. გამგონეიშვილი, ს. გაბინაზაშვილი, კ. სულაძე, ბ. ბაგაშვილი, მ. ხინთაძე, ი. რობაქიძე, პ. ნატროშვილი და მრავალი სხვა.

ჩამოყალიბების დღიდან 1943 წლის დასაწყისამდე, დივიზიის პირადი შემადგენლობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ. მამისონის უღელტეხილისთვის მძიმე ბრძოლებში მრავალი მათგანი დაიღუპა, დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა. ამიტომ ქართველობამ იკლო, ხოლო 1943 წლის 1 აპრილისათვის ქართველთა ხვედრითი წილი მინიმუმამდე დავიდა. ამის შემდეგ, 351-ე მსროლელი დივიზია ქართულ ეროვნულ შენაერთს აღარ წარმოადგენდა.

ბ) 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზია სვანეთის უღელტეხილებისთვის ბრძოლებში

დივიზიის შექმნა: 1942 წლის 29 აგვისტოს ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებისადმი გაცემული ბრძანებით პოლკოვნიკ გ. ყურაშვილს (შემდგომში გენერალ-მაიორი) 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის შექმნა დაევალა. მისი ჩამოყალიბება უმოკლეს დროში, 1942 წლის 1 სექტემბრისათვის უნდა დამთავრებულიყო. დივიზიის დაკომპლექტებისათვის მთავარი ყურადღება ექცეოდა მებრძოლების ჯანმრთელობას, რაც მაღალმთიან პირობებში მომავალ საბრძოლო მოქმედებასთან იყო დაკავშირებული. დივიზიის განლაგების ადგილად ზუგდიდი შეირჩა.

242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის პირადი შემადგენლობით დაკომპლექტება ძირითადად ამავე დივიზიის ნაწილების მე-3 სამთო-მსროლელი პოლკის, 370-ე საარტილერიო პოლკისა და 283-ე მსროლელი ბრიგადის ბაზაზე მიმდინარეობდა.

1942 წლის 4 სექტემბრიდან 242-ე სამთო-მსროლელი დივიზია ამიერკავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შევიდა და 10 სექტემბერს 63-ე საკავალერიო დივიზიისაგან კავკასიონის მთავარ ქედზე თავდაცვის მონაკვეთი ჩაიბარა. იმ დროისათვის დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ: 890-ე, 897-ე, მე-900, 903-ე სამთო-მსროლელი პოლკები; 769-ე საარტილერიო პოლკი; 45 მმ-იანი ქვემეხების ცალკეული ბატარეა; 193-ე ცალკეული საზენიტო საარტილერიო დივიზიონი; 410-ე მესანგრეთა ცალკეული ბატალიონი; 275-ე ცალკეული სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი; 321-ე ცალკეული საკავალერიო ესკადრონი და 222-ე ავტოსეული. დივიზიას სვანეთის უღელტეხილების დაცვის მეტად მნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანა ჰქონდა დავალებული, ამიტომ მის განკარგულებაში 3 ალპური რაზმი გაიგზავნა. მსროლელთა პოლკებში მიღებული კონტინგენტის 70%-ს ქართველები შეადგენდნენ.

ზემო სვანეთში ადგილობრივ მცხოვრებთაგან შეიქმნა შინსახკომის 300-კაციანი განსაკუთრებული რაზმი. იქვე იმყოფებოდა ალპინისტთა 600-კაციანი რაზმი, მენაღმეთა ბატალიონი, არმიის მესანგრეთა ასეული. დივიზიის ამოცანას შეადგენდა ხაზის გამაგრება ნაუმ-კუამისა და გვანდრის მთებზე, რათა მოეწყო მტკიცე თავდაცვა და არ დაეშვა სვანეთის უღელტეხილებისაკენ მოწინააღმდეგის გაჭრა. ფრონტის სიგრძე 120 კმ-ს შეადგენდა. მარჯვნივ იმყოფებოდა 351-ე მსროლელი დივიზია, ხოლო მარცხნივ — 394-ე დივიზია. მის წინააღმდეგ მოქმედებდნენ გერმანელთა 99-ე სამთო-მსროლელი, ეგერთა პირველი და მე-2 ბატალიონები არტილერიით, ნაღმსატყორცნებითა და დაზგის ტყვიამფრქვევებით.

დონღუზ-ორუნ-ბაშისა და ბასას მთებზე ქვემეხების ატანა ძალზე ძნელი იყო. დივიზიის არტილერიის უფროსის მაიორ ყანჩაველის გადაწყვეტილებით ქვემეხები ხელმარხილების გამოყენებით აიტანეს. შენაერთის ხელმძღვანელობამ დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ გ. ყურაშვილის მეთაურობით გადაწყვიტა, მთავარი დარტყმა გერმანელებზე ბასას მიმართულებით მიეყენებინა. ამ გადაწყვეტილებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ჭუბერისა და ბეჩოს მიმართულება საიმედოდ იყო დაცული და ამ რაიონებიდან საფრთხე ნაკლებად იყო მოსალოდნელი.

საბრძოლო მოქმედებები: ბასაზე შეტევა ღამით უნდა დაწყებულიყო. როგორც კი დაბნელდა, მებრძოლები მტრის თავდაცვის ზღუდისაკენ დაიძრნენ. იერიში წარმატებით განვითარდა. გამთენიისას ქვედანაყოფებმა ხელჩართული ბრძოლებით დაიკავეს მთა ბასას მწვერვალები. ბასადან ქვემეხების ცეცხლმა გერმანელები. დააბნია. დივიზიის მეომრები მტერს ფეხდაფეხ მისდევდნენ და ანადგურებდნენ. ბრძოლა წუთითაც არ წყდებოდა. არტილერისტებმა საცეცხლე პოზიციები ბასას გადმოღმა კალთებზე გადმოიტანეს და ისე მოაწყვეს, რომ მტრის ავიაციას ვერ აღმოეჩინა. ჩატარებული ოპერაცია 242-ე მსროლელი დივიზიისათვის პირველი საბრძოლო ნათლობა იყო, რომელიც შენაერთის გამარჯვებით დამთავრდა. ბასას მთის განთავისუფლების შემდეგ 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზიის წინაშე დადგა ამოცანა — რაც შეიძლება ჩქარა განედევნათ გერმანელები დონღუზ-ორუნ-ბაშის მთის გადაღმა კალთებიდან და ბაქსანის ხეობაში გაენადგურებინათ მტერი. ამით საქართველო ბასასა და დონღუზ-ორუნ-ბაშის მხრიდან დაცული იქნებოდა. შემდეგ მთელი ძალებით ხიდას მთაზე უნდა მიეტანათ იერიში. გათენებამდე 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილებმა და დანაყოფებმა მათთვის მიჩენილი ადგილები დაიკავეს. საცეცხლე პოზიციები შეირჩა მძიმე ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნებისათვის. ბრძანების გაცემისთანავე გაიხსნა ცეცხლი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. მტერი იძულებული გახდა, სანგრებში ჩამალულიყო. ქვემეხების, ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების ეფექტური ცეცხლი ადგილიდან დაძვრის საშუალებას არ აძლევდა გერმანელებს, რომლებიც თავიანთი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობდნენ. დღის ბოლოს მათ განადგურების საფრთხე შეექმნათ, ამიტომ უკან დახევა დაიწყეს. გერმანელებმა დონღუზ-ორუნ-ბაშის გადაღმა დაწოლას ვეღარ გაუძლეს და იძულებული გახდნენ, 9 კილომეტრით უკან, ახალი ზღუდეებისაკენ დაეხიათ. მოწინააღმდეგე ცდილობდა, გამუდმებული იერიშისთვის თავი დაეღწია და ბაქსანისაკენ წასულიყო. ეს გარემოება დივიზიის სარდლობამ წინასწარ გაითვალისწინა და შეტევის სიმძიმე მარჯვენა ფლანგზე გადაიტანა. იალბუზის მთის ძირიდან ბაქსანისაკენ მიმავალი გზა ქართველი მეომრების ცეცხლით იცხრილებოდა, რის გამოც გერმანელები ბაქსანისაკენ ვეღარ გარბოდნენ. რეზერვიც ამ მიმართულებით ამოქმედდა. შენაერთის ზოგიერთი დანაყოფი ბაქსანის ხეობაში, იალბუზის მთის ძირში გაიჭრა და მტერს ბაქსანისაკენ გზა გადაუღობა. გერმანელები ალყაში მოექცნენ. ქართული დივიზიამ მთლიანად გაანადგურა მოწინააღმდეგე.

მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დივიზიის სარდლობამ ხიდას მთაზე იერიშის დაწყება გადაწყვიტა. 1942 წლის 7 სექტემბერს დილით ადრე დივიზიის ნაწილებმა საარტილერიო მომზადება დაიწყეს. ქვეითებმა არტილერიასთან ურთიერთქმედებით გერმანელთა სამი ტრანშეა აიღეს. ხელჩართული ბრძოლების შედეგად, საღამოს, ხიდას მთა დივიზიის ქვედანაყოფებმა დაიკავეს. მტრის გადარჩენილმა ნაშთებმა თავი ჩიპერის მთას შეაფარეს.

1942 წლის სექტემბრის ბოლო დღეებში გერმანელთა I სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილები ჯერ კიდევ ებღაუჭებოდნენ ჩიპერის მთას, ისინი ცდილობდნენ ხაიშისაკენ გაჭრას, რათა გადაეჭრათ ლოგისტიკური მომარაგების გზები 242-ე დივიზიისათვის და ამით გზა გაეხსნათ ზუგდიდისაკენ. მალე ზემო სვანეთის გარნიზონის ნაწილები მესტიიდან, ბეჩოდან, ხაიშიდან და სხვა

პუნქტებიდან ჩიპერისკენ დაიძრნენ. მთავარი დარტყმა, მართალია, ბასას მიმართულებით უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მტრის გადმოსხმა იალბუზის მხრიდანაც იყო მოსალოდნელი. ამიტომ, ამ ოპერაციის დაწყებას წინ სერიოზული სამზადისი უსწრებდა.

როდესაც იერიშისათვის ყველაფერი მზად იყო, დილით ადრე მტრის განლაგების ორივე ფრთაზე საშინელი სიძლიერის აფეთქებებმა მთელი ზემო სვანეთი შეძრა. საარტილერიო მომზადებამ დივიზიას საშუალება მისცა, წინა ხაზზე გერმანელთა საცეცხლე პოზიციები მოესპო და იერიში შედარებით ნაკლები მსხვერპლით დაეწყო. გერმანელთა გააფთრებული წინააღმდეგობა მათი თავდაცვის წინა ხაზზე შეწყდა. იერიშის დაწყების შემდეგ არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლი კვლავ მტრის განლაგების სიღრმეში გადაიტანეს.

ორი დღე-ღამის დაძაბული ბრძოლების შემდეგ გერმანელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ დაიძლია. ჩიპერის მთა ქართულმა დივიზიამ დაიკავა.

1942 წლის ნოემბერში ზემო სვანეთის ყველა უღელტეხილი გერმანელებისაგან გაიწმინდა. მართალია, ქვედა და ზედა ბაქსანში საბჭოთა ჯარი იდგა, მაგრამ გერმანელთა ძირითად ბუდეს მდინარე ბაქსანთან დაკავშირებული უამრავი ხეობა, უმთავრესად კი თერსკოლის, ირიკისა და იუზენგოს ხეობები წარმოადგენდნენ, ამიტომ დივიზიამ სწრაფად დაიწყო მოქმედება. ზედა ბაქსანზე ყველა ხეობა დაინაღმა და ყველა გზა ჩაიკეტა. 14 ნოემბერს 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის ნაწილებმა ერთდროულად დაიწყეს მოქმედება. გერმანელები დაიბნენ და ხეობისკენ დაეშვნენ, მაგრამ იქ წინასწარ დაგებულ მახეში გაებნენ. ვინც ქვეითთა ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს გადაურჩა, ისინი ტყვიამფრქვეევების ცეცხლმა მოცელა. გერმანელები ალყაში მოექცნენ, მათი წინააღმდეგობა დაიძლია და 15 ნოემბერს ბაქსანის ხეობა ზედა ბაქსანამდე საბოლოოდ გაიწმინდა მოწინააღმდეგისაგან.

ანალიზი: სვანეთის უღელტეხილებისთვის 242-ე სამთო-მსროლელი დივიზიის წარმატებული საბრძოლო მოქმედებების მიზეზები:

- დივიზია იმ დროს ჩაება ბრძოლაში, როდესაც ამიერკავკასიის ფრონტის სარდლობას სათანადო ზომები ჰქონდა მიღებული კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილების დასაცავად;
- დივიზია ქართული შენაერთებიდან ერთადერთი იყო სამთო პროფილით, რაც მაღალმთიანი ადგილმდებარეობის პირობებში წარმატების მიღწევის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენდა;
- დივიზიის შემადგენლობაში მყოფი განსაკუთრებული დანიშნულების სვანთა რაზმის მოქმედების ერთ-ერთ თავისებურებას ის წარმოადგენდა, რომ მისი ოცეულები და ცალკეული რაზმები დივიზიის ნაწილებს მიემაგრა, რომლებიც სამთო ტაქტიკის გამოყენებით სხვადასხვა სახის ოპერაციებს ატარებდნენ;
- დივიზიამ ოპტიმალურად გამოიყენა ადგილობრივი სვანი მოსახლეობის უზარმაზარი მხარდაჭერა და დახმარება;
- დივიზიის სარდლობამ სწორად შეარჩია მთავარი დარტყმის მიმართულებები;
- მოულოდნელობის ფაქტორი (ღამით ბასას აღება, ხიდას მთაზე გარიჟრაჟზე შეტევა);
- არტილერიის მოქმედების მაღალეფექტურობა მაღალმთიანი ადგილმდებარეობის პირობებში;
- საჭაპანო ტრანსპორტის გამოყენება ლოგისტიკური მომარაგებისთვის;
- საბრძოლო ოპერაციების გონივრული დაგეგმვა;
- მაღალი საბრძოლო სულისკვეთება.

შედეგი: 1942-1943 წლების ზამთრის მკაცრ პირობებში სვანთა რაზმმა შეძლო უღელტეხილებზე (ბასა, დონღუზ-ორუნ-ბაში, ტვიბერი, წანერე) ჯარის ნაწილების მიყვანა. მონაწილეობა მიიღო მათ განლაგებასა და თავდაცვითი ზღუდეების შექმნაში. მოახერხა დიდ სიმაღლეებზე დაბანაკებული სამხედრო ნაწილების იარაღ-საჭურვლით, სათბობით, სურსათით მომარაგება.

1942 წლის 1 სექტემბრიდან 1943 წლის 26 ივნისამდე 242-ე სამთო-მსროლელ დივიზიას დაეღუპა 878 კაცი, დაიჭრა და კონტუზია მიიღო 272-მა, ავადმყოფობის გამო ჰოსპიტალში ევაკუირებული იყო 2012, გაყინვის გამო ჰოსპიტლებში გაიგზავნა 526, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 225, სხვადასხვა მიზეზის გამო შენაერთს გამოაკლდა 146 კაცი. მოწინააღმდეგეს დაეღუპა 1751 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაკარგა დაზგისა და ხელის 65 ტყვიამფრქვეევი, 49-81 მმ-იანი

ნაღმსატყორცნი, სურსათის საწყობები, ტყვია-წამლის 3 საწყობი, ოთხი 75 მმ-იანი ქვემეხი, 6 ტანკი, 718 ცხენი, 22 ჯარისკაცი კი ტყვედ ჩავარდა.

კავკასიისთვის ბრძოლებში დივიზიამ პირადი შემადგენლობის დიდი დანაკარგი განიცადა, რამაც ქართული ეროვნების მებრძოლთა რაოდენობა მინიმუმამდე შეამცირა, ამიტომ 1943 წლის შუა ხნებიდან იგი ქართულ ეროვნულ შენაერთს აღარ წარმოადგენდა. მთავარი ისაა, რომ 242-ე ქართული სამთო-მსროლელი დივიზია უკიდურესი ძნელბედობის ჟამს საქართველოს კარიბჭეს იცავდა. სხვა ქართულ ეროვნულ შენაერთებთან ერთად მან გადამწყვეტი როლი შეასრულა კავკასიის დაცვაში.

გ) 394-ე ქართული მსროლელი დივიზია ქლუხორის, მარუხისა და სანჭაროს უღელტეხილებისთვის ბრძოლებში

დივიზიის შექმნა: 1941 წლის 25 აგვისტოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა 394-ე ქართული მსროლელი დივიზია. ჩამოყალიბების პროცესში დივიზიის შტაბისა და ნაწილების განლაგება ასეთი იყო: დივიზიის შტაბი, 802-ე მსროლელი პოლკი და 674-ე მეკავშირეთა ცალკეული ბატალიონი განლაგებულნი იყვნენ თელავში, 815-ე მსროლელი პოლკი – ლაგოდეხში, 956-ე საარტილერიო პოლკი – მაჩხაანში, ცალკეული საზენიტო-საარტილერიო ბრიგადა და ცალკეული სამედიცინო-სანიტარული ბატალიონი – სოფელ კარდენახში.

დასახელებული ნაწილების გარდა, 394-ე ქართული დივიზიის შემადგენლობაში ირიცხებოდა სპეციალური ქვედანაყოფები. 1941 წლის ნოემბერში 394-ე მსროლელი დივიზია ახალ საშტატო ერთეულზე გადაიყვანეს და მისი პირადი შემადგენლობა 7000 კაცით განისაზღვრა. 1941 წლის 25 აგვისტოდან 394-ე ქართული დივიზიის მეთაური იყო პოლკოვნიკი ვ. ძაბახიძე, მოგვიანებით კი – სხვები. 1941 წლის ოქტომბრისათვის დივიზიის პირად შემადგენლობაში სულ 11 829 კაცი, მათგან 679 ოფიცერი იყო. შემოკლებული საბრძოლო-პოლიტიკური პროგრამის გავლის შემდეგ, 1941 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში, დივიზიის ნაწილები და ქვედანაყოფები შავი ზღვის სანაპიროზე გადაიყვანეს და გუდაუთა-სოხუმი-ოჩამჩირეს რაიონებში განალაგეს.

ბრძოლის მსვლელობა: 1942 წლის ზაფხულში ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, სადგურ ნევინომისკაიასა და ქ. ჩერკესკის რაიონებში თავი მოიყარეს გერმანელ ფაშისტთა 49-ე სამთო-მსროლელი კორპუსის ჯარებმა გენერალ რუდოლფ კონრადის მეთაურობით. კორპუსში გაერთიანებული იყო 4 სამთო-მსროლელი დივიზია, რომელთაგან მე-4 და პირველი სამთო-მსროლელი ეგერთა დივიზიები გერმანიის ჯარების სიამაყედ ითვლებოდნენ. განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა პირველი დივიზია, რომელიც „ედელვაისის" – ალპური ყვავილის სახელწოდებას ატარებდა. ეს დივიზიები ჯერ კიდევ ომამდე ვერმახტის სარდლობამ სპეციალურად ჩამოაყალიბა და მთიან რაიონებში სამოქმედოდ მოამზადა. ამიტომაც ამ დივიზიებს სათანადო პრაქტიკა და წვრთნა ჰქონდათ გავლილი. შეიარაღებულნი იყვნენ მთებში მოქმედებისათვის სპეციალური აღჭურვილობით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით და სხვა.

1942 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში მოწინააღმდეგის 1-მა და მე-4 სამთო-მსროლელმა დივიზიებმა ბრძანება მიიღეს, დაძრულიყვნენ კავკასიის მთავარი ქედისაკენ, ხელთ ეგდოთ მისი უღელტეხილები, გადასულიყვნენ ქედის მთავარ კალთებზე და აქედან გაჭრილიყვნენ შავი ზღვის სანაპიროებზე. ამ ბრძანების შესრულების მიზნით დივიზიებში ცალკე რაზმები შეიქმნა, რომლებსაც მიმართულებები განესაზღვრათ. 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის საბრძოლო უბნისაკენ მათ 4 მიმართულება აირჩიეს: I – მდინარე თებერდის ხეობით მოწინააღმდეგე ადიოდა ქლუხორის, ნახარისა და დომბაი-ულგენის უღელტეხილებზე, II – მდინარე მარუხისა და აქსაუტის ხეობებით – მარუხის უღელტეხილზე, III – მდინარე დიდი ლაბას ხეობით – სანჭაროსა და მის რაიონში მდებარე უღელტეხილებზე, IV – მდინარე დიდი ზელენჩუკით ნაურის უღელტეხილზე. ამ უღელტეხილებიდან მოწინააღმდეგეს შეეძლო, შედარებით ადვილად გადაელახა ქლუხორის უღელტეხილი, რომელიც ზღვის დონიდან 2816 მ-ის სიმაღლეზეა, მარუხი – 3806, სანჭარო კი – 2992 მ-ზე.

კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური ნაწილი მაღალმთიანი რაიონია. იგი მთელი წლის მანძილზე, 175 კმ-ის სიგრძეზე თოვლითა და ყინულით არის დაფარული, მაგრამ მისი სტრატეგიული მომზადება მაინც საჭირო იყო.

ქლუხორისა და ნახარის უღელტეხილების დაცვა 394-ე მსროლელი დივიზიის 815-ე მსროლელ პოლკს დაეკალა, რომელმაც დაიკავა პოზიციები და 1 ასეულით აწარმოებდა სადაზვერვო ოპერაციებს ზემო თებერდას მიმართულებით. სამორიგეო-საგუშაგო პუნქტზე განლაგდა 1 მსროლელი ასეული ტურბაზის რაიონში.

1942 წლის 10 აგვისტოს საბრძოლო მოქმედებები გაჩაღდა ქლუხორის უღელტეხილის მიდამოებში. საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე ქლუხორის, მარუხისა და სანჭაროს უღელტეხილები დამოუკიდებელ მიმართულებებად დაიყო. ამ მიმართულებებზე ოპერაციების საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრათ: ქლუხორის მიმართულებაზე – დივიზიის შტაბს, მარუხის მიმართულებაზე – ჯარების ჯგუფის შტაბს და სანჭაროს მიმართულებაზე –პოლკოვნიკ პიაშევის პოლკის შტაბს.

394-ე ქართული მსროლელი დივიზიის შტაბს ემორჩილებოდა 815-ე მსროლელი პოლკი, მსროლელთა ცალკეული სასწავლო ბატალიონი, მე-9 სამთო-მსროლელი დივიზიის 121-ე პოლკი, 956-ე საარტილერიო პოლკის მე-2 ბატალიონი, 155-ე მსროლელი ბრიგადა და სოხუმის ქვეითთა სამხედრო სასწავლებლის სპეციალური რაზმი. მარუხის მიმართულებით მოქმედი ჯარების შტაბს დაუქვემდებარეს 808-ე და 810-ე მსროლელი პოლკები, 155-ე მსროლელი ბრიგადის მე-3 პოლკი და 956-ე საარტილერიო პოლკის მე-5 ბატარეა.

მოწინააღმდეგის პირველი სამთო-მსროლელი დივიზია „ედელვაისის" ნაწილები მდინარე თებერდის ხეობით მოადგნენ ქლუხორის უღელტეხილს, რომელსაც 815-ე მსროლელი პოლკის I ბატალიონი იცავდა. ამ ბატალიონის ერთი ასეული უშუალოდ უღელტეხილზე იყო განლაგებული, ორი ასეული – სამხრეთ ფერდობზე (ამ პოლკის მე-2 ბატალიონი იმყოფებოდა დაბლა, სოფლების გვანდრასა და აჟარას მიდამოებში), მე-3 ბატალიონი – სოხუმში.

1942 წლის 15 აგვისტოს ქლუხორის უღელტეხილთან მოსულმა მოწინააღმდეგემ ერთი სამთო-მსროლელი პოლკით, არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით რამდენიმე მიმართულებიდან მოულოდნელი იერიში მიიტანა უღელტეხილზე მყოფ 815-ე პოლკის ქვედანაყოფებზე. უთანასწორო ბრძოლებმა ორი დღე გასტანა. პოლკის ქვედანაყოფები თავდადებულად იცავდნენ პოზიციებს, მაგრამ გერმანელთა ძლიერ შეტევას ვერ გაუძლეს და დიდი დანაკლისი განიცადეს. მოწინააღმდეგემ გაანადგურა საცეცხლე საშუალებები უღელტეხილზე და 16-17 აგვისტოს ღამით დაიკავა ქლუხორის უღელტეხილი. 815-ე მსროლელი პოლკის პირველმა ბატალიონმა განსაკუთრებით დიდი დანაკლისი განიცადა. კერძოდ, 17 კაცისაგან შემდგარმა რაზმმა სტიქიურად, ბრძანების გარეშე დაიხია უღელტეხილის სამხრეთ ფერდობზე და 18 აგვისტოს უკვე სამხრეთ პრიუტის (თავშესაფრის) რაიონში იმყოფებოდა. მოწინააღმდეგე პოლკის თავდაცვითი პოზიციების წინააღმდეგ შეტევას 19 აგვისტოსაც აგრძელებდა. სამხრეთ პრიუტთან მისული მოწინააღმდეგე 394-ე დივიზიის ნაწილების თავდაცვის გარღვევას ცდილობდა. ქართული დივიზიის ქვედანაყოფების დასახმარებლად სასწავლო ბატალიონი გაიგზავნა, რომელიც 20-22 აგვისტოს მძიმე თავდაცვით ბრძოლებში ჩაერთო, გერმანელთა შეტევები დიდი დანაკარგების ფასად შეაჩერა და ნელ-ნელა უკან დაიხია. გაიგზავნა, ასევე, სოხუმის სამხედრო სასწავლებლის კურსანტთა რაზმიც. 815-ე პოლკის მე-3 ბატალიონმა და შინსახკომის №6 რაზმმა კი 22 აგვისტოს მოახერხეს ბრძოლის ადგილზე მისვლა. ამ დროისათვის მოწინააღმდეგის ძალები დაახლოებით ერთი ქვეითი პოლკის ოდენობით 10-12 კმ-დე ჩამოვიდნენ კლიჩის ხეობაში და სამხრეთ პრიუტს მიადგნენ. შეიქმნა გერმანელთა შავი ზღვის სანაპიროზე გასვლის საშიშროება. რთული მდგომარეობის გამო საბრძოლო მოქმედებათა ხელმძღვანელობა მე-3 სამთო-მსროლელი კორპუსის მეთაურს გენერალ კ.ლესელიძეს და 46-ე არმიის სამხედრო საბჭოს წევრს ვ.ბაქრაძეს დაეკალა. რეზერვების მოშველიების შემდეგ ქართველმა მეომრებმა მოწინააღმდეგის წინსვლა შეაჩერეს და 26 აგვისტოს შეტევაზე გადავიდნენ.

საერთოდ, 1942 წლის 25 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე, ქლუხორის უღელტეხილის მიდამოებში მოქმედმა 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა აქტიური თავდაცვითა და კონტრშეტევებით ძირითადად გაანადგურეს გერმანელების პირველი სამთო-მსროლელი ეგერთა ალპური დივიზია, რის შედეგადაც მტრის წინააღმდეგობა გატეხეს და შავი ზღვის სანაპიროზე გასვლის შესაძლებლობა არ მისცეს. მართალია, დივიზიამ დიდი დანაკლისი განიცადა, მაგრამ

გერმანელები იძულებულნი გახდნენ, თავდაცვაზე გადასულიყვნენ და ფრონტის გარღვევაზე ქლუხორიდან სოხუმის მიმართულებით დროებით ხელი აეღოთ.

საბრძოლო მოქმედებები მარუხის უღელტეხილზე, ქლუხორის უღელტეხილთან შედარებით, გვიან დაიწყო. იმ დროს, როდესაც ქლუხორის მიმართულებით ჯარები გადამწყვეტ შეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდნენ, მარუხის უღელტეხილზე 810-ე პოლკის ქვედანაყოფები იმყოფებოდნენ. 46-ე არმიის სარდლობამ ხელსაყრელ პირობად ამ უღელტეხილიდან ქლუხორის უღელტეხილის ზურგიდან შემოვლა ჩათვალა. ამ გაბედული ოპერაციის ჩატარებისათვის რაზმის სახელმძღვანელოდ შეიქმნა შტაბი, სახელწოდებით „მთის შტაბი". მაგრამ ეს გეგმა ჩანაფიქრის მიხედვით ვერ განხორციელდა. 29 აგვისტოს, საღამოს 394-ე ქართული დივიზიის ქვედანაყოფებმა ყარა-ყაიას მთის ფერდობს მიაღწიეს, სადაც ირგვლივ საველე ყარაულები განლაგდნენ, რომლებიც ყოველ 20 წუთში იცვლებოდნენ, რათა არ გაყინულიყვნენ, ვინაიდან შავი ზღვის სანაპიროდან საზაფხულო ტანსაცმლით იყვნენ წამოსულნი. დაზვერვის მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგეს მდინარე აქსაუტის მარჯვენა ნაპირას მდებარე სიმაღლეები დაეკავებინა და უღელტეხილისაკენ გზა გადაეკეტა. შექმნილი მდგომარეობის გამო მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მე-7 ასეულს მოწინააღმდეგისთვის ღამით ფარულად უნდა შემოეველო მარცხენა ფრთიდან და იერიში ზურგიდან მიეტანა. ამავე დროს მე-8 ასეული ციცაბოზე ასვლას დაიწყებდა და მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ სიმაღლეზე იერიშს მიიტანდა. ლეიტენანტმა ნ. სხირტლაძემ მე-8 ასეული პატარ-პატარა ჯგუფებად დაჰყო. ასეული თოვლიან ხევში დაეშვა, შემდეგ კი სიმაღლის ძლიერ დაქანებულ ფერდობზე ფოფხვითა და წვალებით აცოცება დაიწყო.

გერმანელებმა ეს ფარული მსვლელობა ვერ შეამჩნიეს. მოწინააღმდეგე არ მოელოდა, რომ ქართველი მებრძოლები ასეთ მამაცობასა და ამტანობას გამოიჩენდნენ და ღამით ამხელა ბუნებრივ დაბრკოლებას გადალახავდნენ. ქვედანაყოფები და ჯგუფები ერთხანს მიყუჩდნენ. როგორც კი ირიჟრაჟა, ნ. სხირტლაძის ჯგუფმა მტერს ხელყუმბარები დაუშინა. დანარჩენმა ჯგუფებმაც არ დააყოვნეს და მოწინააღმდეგეს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. ამავე დროს ლეიტენანტმა შ. არჯანიშვილმა მოწინააღმდეგის მარჯვენა ფრთას ზურგიდან დაარტყა, გ. ბარამიძის ოცეულმა კი გაბატონებულ სიმაღლეზე იერიში მიიტანა და დაიკავა. გათენებისას ამას დაერთო ლეიტენანტ კ. ბეროშვილის ტყვიამფრქვევებისა და ლეიტენანტ მ. მაღლაკელიძის ნაღმსატყორცნების ძლიერი ცეცხლი. მოულოდნელმა და ზუსტად დაგეგმილმა თავდასხმამ მოწინააღმდეგის რიგებში არევ-დარევა გამოიწვია. მტერი თავგანწირულად ეხეთქებოდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და მდგომარეობის აღდგენას ცდილობდა. ამ დროს გერმანელების ერთმა ჯგუფმა იერიში მიიტანა ბატალიონის სამეთაურო პუნქტზე, მდგომარეობა მეტად სახიფათო გახდა. იქვე იმყოფებოდა რეზერვის ოცეული, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში სწრაფად ჩაება ბრძოლაში. იერიშზე გადმოსულმა გერმანელთა ჯგუფმა დიდი დანაკლისი განიცადა და უკან დაიხია.

ამ ბრძოლაში, სხვებთან ერთად, თავი ისახელეს მე-7 ასეულის პირველი ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა გ. ბარამიძემ და ამავე ოცეულის სერჟანტმა დ. ცინცაძემ. გერმანელებმა დიდი ზარალი განიცადეს. მათ დატოვეს დიდძალი იარაღი, საბრძოლო მასალა, სამთო აღჭურვილობა და სურსათი. რამდენიმე მათი ჯარისკაცი დაატყვევეს. ქართულმა ბატალიონმა კი ყარა-ყაიას მთის მიდამოებში ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა.

30 აგვისტოს ბრძოლა მეტი სიმძაფრით განახლდა. მოწინააღმდეგეს იერიში იერიშზე მიქონდა და მე-7 ასეულის განლაგებაში შეჭრას ცდილობდა. დივიზიის მებრძოლებმა ხერხს მიმართეს — მტერი ჯერ ახლოს მიუშვეს, შემდეგ ცეცხლი ერთბაშად გაუხსნეს. მოწინააღმდეგემ დიდი დანაკლისი განიცადა და იძულებული გახდა, უკან დაეხია. ცოტა ხნის შემდეგ მან სხვა მიმართულებიდან განაახლა იერიში და მე-3 ოცეულის განლაგებაში შეიჭრა. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომელშიც მამაცობა გამოიჩინა ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა მ. ჩხარტიშვილმა. იგი ხელდახელ შეება მტერს და 8 გერმანელი გამოასალმა სიცოცხლეს. სამწუხაროდ, მას ყინულზე დაუსხლტდა ფეხი და ღრმა ნაპრალში გადაიჩეხა. ამ ძნელ მომენტში ქართველი მებრძოლები არ დაიბნენ. ასეულის მეთაურის მოადგილემ, ლეიტენანტმა ა. ალფაიძემ ოცეული კონტრიერიშზე გადაიყვანა და გერმანელების იერიში მოიგერია.

დიდი დანაკლისის მიუხედავად, მოწინააღმდეგემ მე-8 ასეულზე მიიტანა იერიში. სისხლისმღვრელი ბრძოლა კვლავ გაიმართა. მტერი საკმაოდ ძლიერი იყო და ცდილობდა, პოზიცია არ

დაეთმო. ქართველი მებრძოლების თავგანწირვის შედეგად იერიშზე გადმოსული გერმანელთა ქვედანაყოფები მთლიანად განადგურდნენ. ძალების აშკარა უთანასწორობის გამო, ქართული ქვედანაყოფების გადარჩენილმა ნაწილებმა პოზიციები დატოვეს და მარუხისაკენ დაიწყეს გასვლა. რაზმში მყოფმა 808-ე პოლკის მე-3 ბატალიონის შტაბმა ბატალიონისაგან დარჩენილი 125 მებრძოლი 5 თანაბარ ჯგუფად გაყო და უღელტეხილიდან გამოსვლა დაიწყო. მე-7 ასეულის პოლიტხელის ტ. მაჭავარიანის ჯგუფს მარჯვენა ფრთაზე მდებარე სიმაღლეზე მოხერხებული პოზიციის დაკავება დაევალა. მას უნდა უზრუნველეყო ჯგუფების გასვლა უღელტეხილისაკენ, თუკი მოწინააღმდეგე შეეცდებოდა ჯგუფების გარემოცვაში მომწყვდევას ან დადევნებას. მართლაც ასე მოხდა. რაზმმა დაიკავა ყარა-ყაიას მთის ერთ-ერთი სიმაღლე და გერმანელების ძლიერ ჯგუფს წინ აღუდგა, რომელიც ამ რაზმების გარემოცვაში მოქცევასა და განადგურებას შეეცადა. ტ. მაჭავარიანის რაზმმა მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა, რითაც საშუალება მისცა დანარჩენებს, სამშვიდობოზე გასულიყვნენ. ტ. მაჭავარიანის 25 მებრძოლიდან 7 ბრძოლაში დაიღუპა, 18 — გაიყინა. მათ საკუთარი სიცოცხლის ფასად დანარჩენი თანამებრძოლები დაღუპვისაგან იხსნეს. ცოტა ხნის შესვენების შემდეგ, ბატალიონისაგან დარჩენილ მცირე ნაწილს ებრძანა, მარუხ-ბაშის აღმოსავლეთ ფერდობზე პოზიცია დაეკავებინა და თავდაცვისათვის მოემზადებინა. ამ დროს მათ შეუერთდა დივიზიის შტაბის განკარგულებაში დროებით დატოვებული ამავე ბატალიონის მე-9 ასეული ლეიტენანტ ა.ვართანიანის მეთაურობით და ბრძოლაში ჩაება.

თავდაპირველად მარუხის მიმართულებით გამოყოფილი ჯარების შტაბს დაუმორჩილეს 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის 808-ე და 810-ე პოლკები, 155-ე მსროლელი ბრიგადის მე-3 პოლკი და 956-ე საარტილერიო პოლკის მე-2 ბატალიონის მე-5 ბატარეა.

810-ე პოლკიდან უღელტეხილისაკენ მოდიოდა მხოლოდ მისი პირველი ბატალიონი, რადგან მე-2 ბატალიონი მარუხის უღელტეხილზე იდგა თავდაცვაში, მე-3 ბატალიონი კი — ნაურის უღელტეხილზე. ასე რომ, ორივე პოლკს თითო ბატალიონი აკლდა. სამაგიეროდ, 810-ე პოლკი გააძლიერეს 155-ე მსროლელი ბრიგადის ზოგიერთი ქვედანაყოფით.

მარუხის მიმართულების ჯარების მეთაურმა, პოლკოვნიკმა ვ. აბრამოვმა მიიღო გადაწყვეტილება, შეექმნა 2 რაზმი. პირველი რაზმი — 810-ე პოლკის პირველი ბატალიონი, მეავტომატეთა ასეული, ნაღმმტყორცნელთა ასეული, 155-ე ბრიგადის მეავტომატეთა ასეული, ამავე ბრიგადის მეავტომატეთა და ნაღმმტყორცნელთა ოცეულები. ისინი იმოძრავებდნენ ყარა-ყაიას მთისა და მდინარე ალიბეკის სათავის მიმართულებებით, ზურგიდან შეუტევდნენ ქლუხორის უღელტეხილს. მეორე რაზმი — 808-ე პოლკის მე-3 ბატალიონი (მე-2 ასეულის გარეშე), მეტყვიამფრქვევთა და ნაღმმტყორცნელთა ასეულები, პოლკის სკოლა, მეავტომატეთა ოცეული, №7 სპეციალური რაზმი, 155-ე ბრიგადის ნაღმმტყორცნელთა ოცეული და მესანგრეთა ოცეული. ისინი იმოძრავებდნენ გონაჩხირის მიმართულებით, ზურგიდან შეუტევდნენ ქლუხორის უღელტეხილს და პირველ რაზმთან ერთად ხელთ იგდებდნენ მას. პირველ რაზმს ნაბრძანები ჰქონდა მეორე რაზმის ფრთის დაცვა.

808-ე პოლკის მეორე ბატალიონი კაპიტან ლადო თათარაშვილის მეთაურობით მარუხის უღელტეხილზე ასვლისთანავე შეუდგა თავდაცვისათვის მზადებას. მის წინ და მარცხნივ თავდაცვითი პოზიციები 810-ე პოლკის მე-2 ბატალიონს ეკავა. ამ დროს ჩრდილო კავკასიიდან უღელტეხილზე ამოვიდნენ პარტიზანები ყაბარდო-ბალყარეთიდან.

942 წლის 5 სექტემბერს დილით მარუხის უღელტეხილისათვის მძიმე და სისხლისმღვრელი ბრძოლა დაიწყო. მოწინააღმდეგე არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით შეტევაზე გადმოვიდა, დიდ საფრთხეში ჩავარდნენ 808-ე პოლკის მე-2 ბატალიონის ქვედანაყოფები. მოწინააღმდეგე უტევდა როგორც ფრონტიდან, ისე ფლანგებიდან. ბატალიონის მეთაურმა, კაპიტანმა ლ. თათარაშვილმა მე-4 და მე-5 ასეულების დასახმარებლად მე-6 ასეული გამოიყვანა. მტრის იერიში დროებით შეჩერდა. არტილერიის ცეცხლის შემდეგ კი მტერმა შეტევა განაგრძო. ამ ბრძოლის დროს მე-4 და მე-6 ასეული თითქმის მთლიანად განადგურდა. ბრძოლაში პოლკის უკანასკნელი რეზერვი ჩაება, მაგრამ მდგომარეობას ამანაც ვერ უშველა. მოწინააღმდეგემ იერიში სამეთაურო პუნქტზე მიიტანა. არავითარი რეზერვი აღარ იყო, ამიტომ მეთაურთა შემადგენლობა ტყვიამფრქვევებს მიუწვა და პოლკის კომისარმა ა. არუთინოვმა, ბატალიონის მეთაურმა ლ. თათარაშვილმა, შტაბის უფროსმა — ლეიტენანტმა ფროლოვმა, პოლიტხელმა გ. ლომიძემ, ლეიტენანტებმა დ. ტატიშვილმა და მირონოვმა, ექიმმა გ. მაჩიტაძემ, აფთიაქის გამგემ ლაფაურმა და

სხვებმა მოწინააღმდეგეს ძლიერი ცეცხლი გაუხსნეს. მირონოვი და დ. ტატიშვილი დაიღუპნენ. შეიქმნა საშიშროება მოწინააღმდეგის მიერ პოლკის საბრძოლო დროშის ხელში ჩაგდებისა. დროშის უსაფრთხო ადგილზე გადატანა სერჟანტ შალვა მიქაძესა და კურსანტ ლ. ჩორგოლაშვილს დაევალათ, მაგრამ ისინიც დაიღუპნენ. ბოლოს დიდი წვალებით დროშა დაბლა ჩაიტანა და გადაარჩინა რიგითმა ლევან მშვენიერაძემ.

მარუხის მიმართულებით 808-ე და 810-ე მსროლელი პოლკების საბრძოლო მოქმედებათა შედეგად გერმანელთა წინსვლა შეჩერდა. მარუხის უღელტეხილის შემდგომ მოწინააღმდეგეს წინსვლა აღარ შეეძლო. მარუხის უღელტეხილის დასაცავად ადგილზე 810-ე მსროლელი პოლკი დატოვეს, 808-ე მსროლელი პოლკი ხელახალი ფორმირებისთვის წებელდის რაიონში გადაიყვანეს.

ამ დროისათვის მოვლენები სანჭაროს უღელტეხილზე და მის რაიონში ასე ვითარდებოდა: ამ მიმართულებით ბრძოლების დაწყებამდე 808-ე პოლკის პირველი ბატალიონის ერთ მსროლელ ასეულს და შინსახკომის რაზმებს ნაბრძანები ჰქონდათ სანჭაროს უღელტეხილის დაცვა.

1942 წლის 25 აგვისტოს მოწინააღმდეგე იერიშზე მოულოდნელად გადმოვიდა და უღელტეხ-ილის დამცველები უკუაგდო. შემდეგ ქედის სამხრეთ კალთებზე დაშვება დაიწყო და მიმართულება სოფელ ფსხუსაკენ აიღო. 28 აგვისტოს მტერმა სოფელი დაიკავა, მდინარე ბზიფი გადმოლახა და ბზიფის ქედის დოუსა და აჭავჭავის უღელტეხილებთან მოვიდა.

ამ გადამწყვეტ მომენტში 46-ე არმიის სარდლობამ სწრაფად განახორციელა დამატებითი ღონისძიებები. კერძოდ, სექტემბრის პირველ რიცხვებში სანჭაროს მიმართულებით მოქმედი საბჭოთა ჯარები, რომელთა შემადგენლობაშიც 394-ე დივიზიის 808-ე პოლკის პირველი ბატალიონი შედიოდა, შეტევაზე გადავიდნენ. ფსხუდან მტერი 8 სექტემბერს განდევნეს. გერმანელებმა სან-ჭაროსა და ალაშტრახუს უღელტეხილებისაკენ უკან დახევა დაიწყეს. ფსხუს აღებას დიდი ტაქტი-კური მნიშვნელობა ჰქონდა. საბჭოთა სატრანსპორტო ავიაციას აეროდრომზე დაჯდომის საშუალება მიეცა, რის შედეგადაც ჯარების დროულად მომარაგება და დაჭრილების ევაკუაცია გაუმჯობესდა.

დივიზიის ნაწილები და ქვედანაყოფები წინსვლას მძიმე ბრძოლებით განაგრძობდნენ. ერმან-ელთა ჯარის ნაწილებმა უღელტეხილზე ასვლა ძლივს მოასწრეს, რადგან 20 ოქტომბერს უღელტეხილები და მიმდებარე მიდამოები 3-4 მეტრი სიღრმის თოვლით დაიფარა. დაიწყო ძლიერი ყინვები. მოწინააღმდეგემ სანჭაროს ჯგუფის უღელტეხილები დატოვა და ქედის ჩრდილოეთ კალთამდე ჩავიდა.

1942 წლის ნოემბრის დასაწყისში 394-ე დივიზიის ნაწილებმა სოხუმის ახლომდებარე სოფლების — ჩხალთის, წებელდისა და ზახაროვკის მიდამოებში მოიყარეს თავი. ნაწილებში ახალი შევსება მოვიდა. შენაერთს მონაწილეობა შეტევით ოპერაციაში უნდა მიეღო, რომელიც მიზნად ისახავდა გერმანელებისაგან ჩრდილოეთ კავკასიის განთავისუფლებას.

1943 წლის 5 იანვარს 394-ე მსროლელი დივიზია დაკავებული პოზიციებიდან მოიხსნა და ებრძანა, 13 იანვრისათვის სადგურ ბზიფში მოეყარა თავი. ნახარის, ქლუხორის, დომბაი-ულგენისა და მარუხის უღელტეხილების დასაცავად დატოვეს 815-ე მსროლელი პოლკი და 2 სამთო-მსროლელი რაზმი. 24 იანვარს 394-ე დივიზია ტუაფსე-პროლეტარსკის მიდამოებში განლაგდა.

ქლუხორისა და მარუხის უღელტეხილების რაიონში მყოფი გერმანელთა „ედელვაისის" დივიზიის ნარჩენებმა გარემოცვაში მოქცევის შიშით უკან დაიხიეს, ბარში ჩავიდნენ და თავიანთ უკანდახეულ ჯარებს თან გაჰყვნენ.

815-ე მსროლელი პოლკი უღელტეხილებიდან მოიხსნა და გელენჯიკში განლაგდა. აქედან პოლკი მისხაკოს კონცხზე გადაიყვანეს, სადაც საბრძოლო უბანი ჩაიბარა და მისხაკოს ცნობილ პლაცდარმზე, რომელიც „მცირე მიწის" სახელით არის ცნობილი, მეტად მძიმე ბრძოლები გადაიტანა.

ანალიზი: 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის ბრძოლების ანალიზი მეტად საყურადღებოა. თავდაცვითი ბრძოლების პირველ ეტაპზე მისი წარუმატებლობა განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით:

— ამიერკავკასიის ფრონტისა და 46-ე არმიის სარდლობის მიერ დაშვებული იყო სერიოზული შეცდომა, როდესაც კავკასიის მთავარი ქედის უღელტეხილები მიუვალ, გადაულახავ ზღუდედ ჩაითვალა და ისინი თავდაცვისათვის ჯეროვნად არ მომზადდა;

— გერმანელებს კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების დასაპყრობად ჰყავდათ პროფესიულ დონეზე გაწვრთნილი, შეიარაღებითა და სამთო ტექნიკით კარგად დაკომპლექტებული და სრულყოფილად ეკიპირებული სპეციალური სამთო-მსროლელი კორპუსი, რომლის მსგავსიც მეორე მსოფლიო ომში მონაწილე არც ერთ ქვეყანას არ გააჩნდა;
— ქართულ მსროლელ დივიზიას არა თუ სამთო პირობებში, არამედ საერთოდ არ გააჩნდა არანაირი საბრძოლო გამოცდილება;
— დივიზია განიცდიდა სურსათისა და ტანსაცმლის ნაკლებობას, ცუდად იყო დაკომპლექტებული სამთო ეკიპირებით;
— შენაერთის მეთაურები ხშირად იცელებოდნენ, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა ბრძოლის შედეგებზე.

უღელტეხილებისათვის ბრძოლის მე-2 ეტაპზე 394-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ წარმატებებს მიაღწია, რაშიც დიდი როლი შეასრულეს შემდეგმა ფაქტორებმა:
— სტალინის დირექტივის საფუძველზე დაგვიანებული, მაგრამ საჭირო ღონისძიებები გატარდა უღელტეხილების საიმედოდ დასაცავად;
— განახლების თვალსაზრისით, საკადრო ცვლილებები გატარდა 46-ე არმიასა და მე-3 სამთო-მსროლელი კორპუსის სარდლობაში;
— ბრძოლაში რეზერვების დროულად ჩაბმამ;
— ქართველი მეომრების მიერ მშობლიური მიწა-წყლის დაცვის მოტივაციამ, ბაზებთან განუწყვეტელი კავშირის არსებობამ;
— მკაცრმა დისციპლინამ;
— მოულოდნელობის ფაქტორმა — მარუხის მიდამოში კლდეზე ფარული ასვლა და სხვადასხვა მხრიდან ერთდროული თავდასხმა;
— მაღალმთიან კლიმატურ პირობებში გერმანელებისთვის ბრძოლების სირთულემ და საკუთარი ბაზებისგან მოწყვეტამ;
— შემოვლითი მანევრების დროულად შესრულებამ.

საერთო ჯამში, კავკასიის თავდაცვისას საბჭოთა ჯარებმა მთიან-ტყიანი ადგილებში ბრძოლის დიდი გამოცდილება შეიძინეს. მთებში ძირითადად ხეობების, გზებისა და მთის უღელტეხილებისათვის იბრძოდნენ. თავდაცვაზე მყოფ ნაწილებსა და ქვედანაყოფებს შორის არც თუ იშვიათად წარმოიქმნებოდა ხოლმე შუალედები. მსროლელი დივიზიის თავდაცვის ზოლი 20-დან 25 კმ-დე აღწევდა, მაღალმთიან რაიონებში — 90 კმ-დე. ასეთი ფართო ზოლი დივიზიას აიძულებდა, საბრძოლო რიგები ერთ ეშელონად აეგო. უღელტეხილების თავდაცვა მოითხოვდა არა მხოლოდ უღელტეხილების, არამედ მათთან მისასვლელი გზებისა და გაბატონებული სიმაღლეების შენარჩუნებას, რაც საშუალებას იძლეოდა, არ დაეშვათ მოწინააღმდეგის შეჭრა თავდაცვაზე მყოფი ნაწილების ზურგში.

დიდი როლი შეასრულეს მოწინავე რაზმებმა. თავიანთი აქტიური მოქმედებებით ისინი აკავებდნენ მოწინააღმდეგეს, რითაც მთავარ ძალებს თავდაცვის ორგანიზებისთვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ.

შედეგი: თოვლის უზარმაზარი ზვავების გამო არაერთი ტრაგედია დატრიალდა. ზვავის ქვეშ სამუდამოდ დაიმარხა 810-ე პოლკის ერთ-ერთი ქვედანაყოფი. ასეთი ტრაგიკული ხვედრი გაიზიარა რეზერვიდან მოსულმა მეზღვაურთა რაზმის ერთ-ერთმა ქვედანაყოფმაც. უღელტეხილებისთვის ბრძოლებში ხშირი იყო მებრძოლებისა და მეთაურების მიერ გამოჩენილი გმირობა. სარდლობის საბრძოლო დავალებების სანიმუშოდ შესრულებისათვის, მამაცობისა და ვაჟკაცობისთვის, მთავრობამ 394-ე ქართული მსროლელი დივიზიის მრავალი მებრძოლი, მეთაური, პოლიტმუშაკი, სამედიცინო და მომარაგების დარგის მუშაკი ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა. ქართული მსროლელი დივიზიის მებრძოლებისა და მეთაურების გმირობამ განაპირობა გერმანელთა გეგმის ჩაფუშვა, რომელიც კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებით შავი ზღვის სანაპიროებზე გასვლას ითვალისწინებდა.

კავკასიონისათვის ბრძოლების თავდაცვითი პერიოდი 5 თვეს გაგრძელდა. დიდი დანაკარგების ფასად მტერმა კავკასიის მთისწინეთსა და მდინარე თერგთან გაჭრა შეძლო. საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც გერმანულ არმიას ტექნიკა-შეიარაღებით ჩამორჩებოდნენ, მოწინააღმდეგის დარტყმას

გაუძლეს და მათ ბაქოსკენ, თბილისისა და შავი ზღვის სანაპიროზე გაჭრის საშუალება არ მისცეს. გერმანელთა სარდლობის გეგმები გროზნოსა და ბაქოს ნავთობის დაპყრობის თაობაზე ჩაიშალა. ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელთა ჩანაფიქრი — კავკასიაში შეჭრით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ჩაებათ თურქეთი, შეერთებოდნენ ჩრდილოეთ აფრიკაში მოქმედ თავიანთ ძალებს, შემდეგ კი გაეგრძელებინათ აგრესია ახლო და შუა აღმოსავლეთის დაკავებისათვის, ასევე ჩაიფუშა. მტრის ოპერაციამ — „ედელვაისი“ კრახი განიცადა.

§14. ეროვნული მოძრაობა და დამოუკიდებლობის აღდგენა

მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) შემდეგ მსოფლიოში ცივი ომის პერიოდი დადგა, ხოლო საბჭოთა კავშირში — უძრაობის ხანა, რომელიც გამალებული შეიარაღების ფონზე მიმდინარეობდა. მსოფლიო ორ — კაპიტალისტურ და სოციალისტურ ბანაკად გაიყო. შეიქმნა ერთმანეთთან დაპირისპირებული სამხედრო ბლოკები, რომელთა შორის მთავარი „ნატოსა“ და „ვარშავის პაქტის“ ქვეყნები იყვნენ. ამ უკანასკნელს საბჭოთა კავშირი წარმართავდა.

სტალინის გარდაცვალების (1953) შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ ნ. ხრუშჩოვის მეთაურობით რეფორმების წამოწყება ყველა სფეროში ერთბაშად სცადა, თუმცა ისე, როგორც მას ესმოდა. ამის გამო მისი მმართველობა ერთპიროვნული, ანუ „ვოლუნტარისტული“ გახდა, რომელიც ეროვნულ საკითხსაც შეეხო, რაც საქართველოსთან მიმართებაში (სტალინის ქართული წარმოშობიდან გამომდინარე) ლანძღვასა და დამცირებაში გადაიზარდა. ამას ქართველი ახალგაზრდობა საკუთარი ეროვნული სიამაყის შეურაცხყოფად აღიქვამდა. საპასუხოდ საქართველოში უმაღლესი სასწავლებლებლების პედაგოგებმა და სტუდენტებმა საპროტესტო მოძრაობა დაიწყეს, რომელიც მთელ რესპუბლიკას მოედო. თბილისის გარდა, მრავალათასიანი მიტინგები იმართებოდა გორში, თელავში, ქუთაისში, ბათუმსა და თითქმის ყველა რაიონულ ცენტრში.

თბილისში გამართულ მრავალათასიან მიტინგებზე მოითხოვდნენ სტალინის კრიტიკისა და ქართველი ერის შეურაცხყოფის შეწყვეტასა და ნ. ხრუშჩოვის გადაყენებას. ხრუშჩოვმა კი ვითარების განმუხტვა ძალით გადაწყვიტა. კრემლმა დემონსტრანტების დასარბევად ჯარის ნაწილები და მძიმე ტექნიკა გამოიყენა — მოკლეს 150-ზე მეტი ადამიანი, ძირითადად, ახალგაზრდები. მრავალი დაიჭრა და დასახიჩრდა.

1956 წლის 9 მარტის ტრაგედიამ ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების გაღვიძებას ძლიერი ბიძგი მისცა. ხალხი დაფიქრდა იმაზე, თუ რა საფრთხეს უქმნიდა საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნა. სტუდენტებმა და მოსწავლეებმა საქართველოს განთავისუფლების იდეის პროპაგანდა ფარულად დაიწყეს. გაჩნდა არალეგალური ორგანიზაციები და გამოცემები. ერთ-ერთი იყო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ინიციატივით შექმნილი ორგანიზაცია — „გორგასლიანი“. 1956 წელსვე სიღნაღში შეიქმნა „ახალგაზრდა გვარდია“, მათ გამოსცეს არალეგალური ჟურნალი „სიმები“. 1961-1964 წლებში თბილისში მოქმედებდა „სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა კავშირი“, რომელმაც ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტის დროს პროკლამაციები გაავრცელა. ეს და სხვა ფაქტები მოწმობდა იმას, რომ საქართველოში ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა გრძელდებოდა, რამაც დისიდენტური მოძრაობა კიდევ უფრო გააღრმავა.

1976 წელს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ინიციატივით „ჰელსინკის ჯგუფი“ დაარსდა — ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაცია. მათ გამოსცეს ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, ასევე, ხელნაწერი ჟურნალები „ოქროს საწმისი“ და „საღვთისმეტყველო კრებული“ და სხვა. ქართველი დისიდენტების წერილები იბეჭდებოდა როგორც რუსეთის არალეგალურ პრესაში, ისე საზღვარგარეთის წამყვან გაზეთებში.

1978 წელს კრემლის ინიციატივას საბჭოთა კავშირში ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავდა რუსული ენის პრიმატს ყველა ერისათვის, საქართველოში პროტესტით შეხვდნენ. 14 აპრილს დემონსტრანტებმა უნივერსიტეტიდან მთავრობის სახლთან გადაინაცვლეს, რამაც აიძულა საბჭოთა ხელისუფლება, დათმობაზე წასულიყო და ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი დაეტოვებინა. ეს იყო ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება.

მ. გორბაჩოვის მიერ 1986 წლიდან აღებულმა „პერესტროიკის“ (გარდაქმნის) კურსმა, რაც პოლიტიკური აზრის თავისუფლებისა და საბჭოთა ცენზურის შერბილებას გულისხმობდა, იატაკ-ქვეშა საზოგადოებრივ მოძრაობებს ღიად მოღვაწეობის საშუალება მისცა. დაიწყო არაფორმალური გაერთიანებების ჩამოყალიბება.

საქართველოში პირველი არაფორმალური გაერთიანება „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ 1987 წლის დეკემბერში დაფუძნდა, რომლის მიზანი იყო ბრძოლა საქართველოს თავისუფლების, დემოკ-რატიისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებისათვის. შემდგომში ანლოგიური მოთხოვნებით ამ საზოგადოების საფუძველზე ჩამოყალიბდა მრავალი პოლიტიკური პარტია.

1988 წლიდან ეროვნული მიმართულების პოლიტიკურმა პარტიებმა ანტისაბჭოთა მიტინგები დაიწყეს. იმავე წლის ნოემბერ-დეკემბრის მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები უკავშირდებოდა დავით გარეჯის მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების პოლიგონის გადატანას, ტრანსკავკასიური სარკინიგზო მაგისტრალის (როკის გვირაბის პარალერულად) მშენებ-ლობის აკრძალვას, სსრკ კონსტიტუციაში მოკავშირე რესპუბლიკების გასვლის უფლებას და სხვა.

1989 წლის 4 აპრილს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ინიციატივით მთავრობის სასახლის წინ პერმანენტული მიტინგი დაიწყო აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების მოთხოვნით, რომელიც მიმართული იყო აფხაზი სეპარატისტების მიერ ლიხნის შეკრებაზე მიღებული ანტიქართული დოკუმენტის წინააღმდეგ. ასეულათასობით მომიტინგემ და ათეულობით მოშიმშილემ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მოითხოვა. რადიკალურმა პოლიტიკურმა მოთხოვნებმა საბჭოთა ხელის-უფლება შეაშფოთა და მიტინგის დარბევა ჩვეული მეთოდით, ძალის გამოყენებით სცადა.

1989 წლის 9 აპრილს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები და მოსკოვიდან ჩამოსული სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი (სულ 1900) სასტიკად გაუსწორდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს. მოკლეს 19 ადამიანი (მათ შორის, 16 ქალი), 2000-ზე მეტი გაზით მოიწამლა, ბევრი დაიჭრა. თბილისში კომენდანტის საათი გამოცხადდა.

9 აპრილის სისხლიანმა ტრაგედიამ მთელ მსოფლიოს დაანახვა საბჭოთა „ბოროტების იმპერიის“ (ეს სახელი მას რეიგანმა შეარქვა) ნამდვილი სახე. ანალოგიური დარბევები მოაწყვეს საბჭოთა სპეცრაზმებმა ბაქოში, ვილნიუსსა და რიგაში.

ამ მოვლენების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა თანამდებობიდან გადადგა. ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლება თითქმის მორჩილად ასრულებდა ეროვნული მოძრაობის მოთხოვნებს. ქვეყანაში ფაქტობრივად ორხელისუფლებიანობა დამყარდა.

პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ეროვნული ხსნის კომიტეტი. მასში გაერთიანდნენ: ჰელსინკის კავშირი (თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია), ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (გ. ჭანტურია), სახალხო ფრონტი (ნ. ნათაძე), ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია (ირ. წერ-ეთელი), ილია ჭავჭავაძის საზოგადოება (ზ. ჭავჭავაძე), ტრადიციონალისტთა კავშირი (აკაკი ასათიანი) და სხვა. ეროვნული ხსნის კომიტეტის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს გამოყვანა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და დამოუკიდებლობის მოპოვება. მათი ინიციატივით მრავალი აქცია გაიმართა. მათივე მოთხოვნით, საქართველოს კომუნისტური ხელისუფლების უზენაესმა საბჭომ 1921 წლის თებერვლის მოვლენები სპეციალური დადგენილებით ქვეყნის ოკუპაციად და ცალმხრივ ანექსიად შეაფასა და უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები დანიშნა.

1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ „ჰელსინკის კავშირი“ და მისი მხარდამჭერი ძალები ეროვნული ფორუმიდან გავიდნენ და ახალი პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ ჩამოაყალიბეს. ეროვნულ ფორუმში დარჩენილმა ძალებმა ეროვნული ყრილობა მოიწვიეს და ეროვნული კონგრესის არჩევა გადაწყვიტეს. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება იძულებული გახდა, არჩევნები დაენიშნა.

1919 წლის შემდეგ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები საქართველოს ისტორიაში პირველი თავისუფალი არჩევნები იყო, რომელშიც გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ და საპარლამენტო ადგილების უმრავლესობა (62%) მოიპოვა. საქართველოში ფაქტობრივად „ხავერდოვანი რევოლუცია“ მოხდა. საქართველო ოფიციალურად გამოცხადდა რესპუბლიკად. საკანონმდებლო ორგანოს (უზენაესი საბჭოს) თავჯდომარედ ზვიად გამსახურდია აირჩიეს.

1990 წლის ნოემბერში გარდამავალი პერიოდის შესახებ კანონი მიიღეს. ჩამოყალიბდა ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები — საკრებულოები და პრეფექტურები. 1991 წლის მარტში საკრებულოების დეპუტატთა არჩევნები ჩატარდა. 1991 წლის 31 მარტს კი საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხზე რეფერენდუმი დაინიშნა. მოსახლეობის 97%-მა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე მხარი დაუჭირა.

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნებში ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა. ახალმა მთავრობამ მნიშვნელოვანი დადგენილებების მიღება დაიწყო. შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისია (1990 წლის 15 ნოემბერი), საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეჩერდა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ არსებული საკავშირო კანონის მოქმედება (1990 წლის 15 ნოემბერი) და სხვა. ეს ყველაფერი ერთობლიობაში ქვეყნის დამოუკიდებლობას სამართლებრივ საფუძველს უქმნიდა.

გენერალისიმუსი
იოსებ ჯუღაშვილი-სტალინი

საბჭოთა კავშირის მარშალი
ლავრენტი ბერია

საინჟინრო ჯარების მთავარი მარშალი
არჩილ გელოვანი

გენერალ-პოლკოვნიკი
პორფილე ჩანჩიბაძე



გენერალ-პოლკოვნიკი
კონსტანტინე ლესელიძე

გენერალ-ლეიტენანტი
ვლადიმერ ნანეიშვილი

მეორე მსოფლიო ომი – შავ ზღვაზე

(1941 წლის ივნისი – 19



მასშტაბი 1

მიმდინარე საომარი მოქმედებები

(44 წლის სექტემბერი)



1 : 4 000 000

გენერალი შალვა მაღლაკელიძე

პოლკოვნიკი დიმიტრი ამილახვარი


მერმანული ჯარების სარდლობის
კავკასიის დაპყრობის გეგმა „ელელვაისი“
1942 წელი
„ა“ არმიების ჯგუფი
სტალინგრადი
სტალინგრადის ფრონტი
17ა
1სატ.ა
4სატ.ა
ვერხნე-ყურმოიარსკაია
ციმლიანსკაია
როსტოვი
ანდოვის ზღვა
ქერჩი
ყუბანი
ნოვოროსიისკი
ტუაფსე
სოხუმი
ბათუმი
თბილისი
ბაკოური
ბაკოური
ბაკოური

IV თავი

ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის

§15. სამხედრო გადატრიალება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა (22.12.1991 – 6.01.1992)

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. ის ყველა ხერხით იბრძოდა მოკავშირე რესპუბლიკებში გავლენის შესანარჩუნებლად. 1991 წლის 23 აპრილს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვის რეზიდენციაში – ნოვო ოგარევოში მიხეილ გორბაჩოვისა და ცხრა მოკავშირე რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა გაიმართა, სადაც სსრკ-ის მემკვიდრის – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნა გადაწყდა. ამ თანამეგობრობაში საქართველო არ შედიოდა, რადგან რუსეთის გავლენისაგან სრული თავდაღწევა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ოფიციალური კურსი იყო. ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი საქართველოს მიმართ კეთილგანწყობას არ გამოიჩენდა. რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ რამდენიმე სერიოზული ნაბიჯი გადადგა: ხელი შეუწყო საქართველოს ავტონომიურ წარმონაქმნებში სეპარატისტული მოძრაობის გააქტიურებას; პარალელურად კი ცდილობდა ეროვნული ხელისუფლების ძალით დამხობას.

1991 წლის 22 დეკემბერს 7.30 საათზე, ოპოზიციურმა ძალებმა, საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის შენობაზე შეტევა დაიწყეს. 9.00 საათზე ეროვნულმა გვარდიამ, რომელსაც ყოფილი სარდალი თენგიზ კიტოვანი მეთაურობდა, უზენაესი საბჭოს შენობას, რომელშიც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ, ცეცხლი გაუხსნა. კიტოვანმა გვარდიის შეიარაღებული ფორმირებები რუსთაველის გამზირის მთელ პერიმეტრზე ჩააყენა. სამხედრო ტექნიკა და შორსმსროლელი „ჰაუბიცა" კი ქვაშვეთის ეკლესიის ეზოში დადგა. რუსთაველის გამზირზე ცალმხრივი სროლა 28 დეკემბრამდე გაგრძელდა. 29 დეკემბერს კანონიერი ხელისუფლების მომხრე სამხედრო შენაერთებმა გვარდიის ქვედანაყოფებს „იმელის" შენობამდე დაახევინეს. იმავე დღეს რუსთაველის გამზირზე რუსული „ტ-72" ტიპის ტანკები და მოკლელულიანი ქვემეხებიც გამოჩნდნენ. მოგვიანებით, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობამ აღიარა, რომ შეიარაღებულ ოპოზიციას ცოცხალი ძალითა და ტექნიკით ეხმარებოდნენ. მათ ისიც დაადასტურეს, რომ ოპოზიციას სატელევიზიო ანძის აღებაშიც დაეხმარნენ. 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ და მთავრობის წევრებმა უზენაესი საბჭოს შენობა დატოვეს და ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ კი სომხეთში გადავიდნენ, მაგრამ პოლიტიკური თავშესაფარი ვერ მიიღეს. მოგვიანებით საქართველოდან განდევნილი პრეზიდენტი და მთავრობის წევრები ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ჯოჰარ დუდაევმა შეიფარა. საქართველოში კი ძალაუფლება ხელში სამხედრო საბჭომ (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა) აიღო, რომელიც შემდეგ „სახელმწიფო საბჭოდ" გადაკეთდა. 1992 წლის მარტში სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე გახდა.

თბილისში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით მრავალათასიანი მიტინგები დაიწყო, რომელსაც სისტიკად არბევდნენ. დაპირისპირება და შეტაკებები გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის 1993 წლამდე გრძელდებოდა. 1992 წლის 2 იანვარს მეტრო „დიდუბესთან" კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა აქცია გაიმართა. აქცია „მხედრიონის" შეიარაღებულმა ფორმირებამ დაარბია. იყვნენ დაღუპულები.

1992 წლის 24 ივნისს, თბილისში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებმა სახელმწიფო ტელევიზიის შენობა დაიკავეს და განაცხადეს, რომ საქართველოში ლეგიტიმური მთავრობის უფლებამოსილება აღდგა. კიტოვანის გვარდიამ ისინი ტელევიზიიდან რამდენიმე საათში განდევნა.

1993 წლის 24 სექტემბერს ზვიად გამსახურდია ჩეჩნეთიდან ჯერ სენაკში, შემდეგ ზუგდიდში დაბრუნდა და ხელახალი არჩევნების ჩატარება მოითხოვა. ედუარდ შევარდნაძემ დახმარება რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ადმირალს, ბალტინს სთხოვა და სანაცვლოდ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ) გაწევრიანებას დათანხმდა. რუსეთმა ჯარის მობილიზება დაიწყო და 20 ოქტომბერს, რკინიგზის დაცვის მიზეზით საქართველოში რუსეთის შავი ზღვის

ფლოტის ქვედანაყოფები შემოვიდნენ. ზვიად გამსახურდიამ თავი სამეგრელოს ტყეებს შეაფარა. 1993 წლის 31 დეკემბერს იგი წალენჯიხის რაიონის სოფელ ხიბულაში დაიღუპა.

საქართველოში კრიზისი მწვავდებოდა, ყოველივე ამან კი ახალი ბიძგი მისცა სეპარატისტების გააქტიურებას.

§16. აფხაზეთის ომი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წელი) აფხაზური საზოგადოების ნაწილში, რუსული გავლენით, ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი განწყობა შეიმჩნეოდა, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლების ბოლოდან განსაკუთრებით გაძლიერდა, 1978 წელს კი პიკს მიაღწია. სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზი ინტელიგენციის ნაწილმა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას წერილი გაუგზავნა, რომლის საფუძველზეც საქართველოს ხელისუფლებას კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით დიდ დათმობებზე წასვლა აიძულა. ეს იყო დათმობის გაუმართლებელი გზა, რომელიც აბორიგენი ქართული მოსახლეობის, ასევე, საქართველოს მთლიანობის ინტერესების შელახვის ხარჯზე მოხდა.

80-იანი წლების ბოლოს აფხაზეთში ანტიქართული ისტერია გაძლიერდა. 1989 წლის 18 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა სოფელ ლიხნის შეკრებაზე მიმართვა მოამზადეს და სკკპ XIX კონფერენციაზე გაგზავნეს. მათ აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა, ასევე, რუსეთის მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნა მოითხოვეს. 16 ივლისს აფხაზმა ექსტრემისტებმა, აფხაზური სეპარატისტული ორგანიზაცია „აიდგილარას" ხელმძღვანელობით, სოხუმში საშუალო სკოლის შენობა დაარბიეს, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი იყო. შეტაკების დროს 14 ადამიანი დაიღუპა.

1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზ დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია მოიწვია, რომელმაც ცალმხრივად მიიღო „დეკლარაცია" აფხაზეთის ასსრ-ის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შესახებ. 4 დეკემბერს სესიამ საბჭოს თავჯდომარედ ვლადისლავ არძინბა აირჩია.

მოსკოვიდანვე იმართებოდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" მიმდინარე პროცესებიც. 1989 წლის მაისში ოსი მოსახლეობის ნაწილმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მიხეილ გორბაჩოვს წერილი გაუგზავნა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებისა და რუსეთის ფედერაციაში შესვლის მოთხოვნით. ცხინვალის მოსახლეობის დემონსტრაციებს სათავეში ედგა სეპარატისტული ორგანიზაცია – „ადამონ ნიხასი". ამ ორგანიზაციის ზეწოლით ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ ე.წ. სახელმწიფო ენად ოსური გამოაცხადა და 1990 წლის სექტემბერში მიიღო დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ. „სამხრეთ ოსეთი" ნოემბერში საბჭოთა რესპუბლიკად, ხოლო დეკემბერში დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადეს.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა. საპასუხოდ, 11 დეკემბერს, ცხინვალსა და ჯავაში საგანგებო წესები გამოაცხადეს. 1991 წლის იანვარში კი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებულება გამოვიდა ავტონომიური ოლქის კვლავ აღდგენის შესახებ. ამან ბიძგი მისცა ქართველი და ოსი მოსახლეობის დაპირისპირებას, რომელიც მალევე შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა.

1992 წლის აგვისტოში, სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით, აფხაზეთში ქართული პოლიცია და ჯარი შევიდა, 14 აგვისტოს კი ომი დაიწყო. ეს იყო რუსეთ-საქართველოს მორიგი ომი, რომელიც რუსეთის იმპერიული იდეოლოგიის საფუძველზე მოხერხებულად შეინიღბა ეთნოკონფლიქტად და ქართველ-აფხაზთა ომად. ქართული მხარე არ წყვეტდა პოლიტიკურ მცდელობას აფხაზეთში მშვიდობის დამყარების მიზნით. ამის დადასტურებაა 1992 წლის სექტემბერში მოსკოვში და 1993 წლის ივლისში სოჭში ხელმოწერილი შეთანხმებები, რომლებიც აფხაზმა სეპარატისტებმა რუსული გეგმის შესაბამისად დაარღვიეს.

ომში აფხაზურ მხარეს იბრძოდნენ დაქირავებული კაზაკები, ჩრდილოეთ კავკასიის კონფედერაციის მეომრები, რუსეთის არმიის ნაწილები, რუსული სამხედრო ავიაცია და ფლოტი. 1992 წლის 2 ოქტომბერს სეპარატისტებმა სწორედ მათი მონაწილეობითა და დახმარებით აიღეს გაგრა,

ეროვნული გვარდიის აღლუმი (თბილისი, 1991 წ.)



აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობა (სოხუმი, 1993 წ.)


1993 წ. ივლისი-სექტემბერი
მასშტაბი 1:50 000
გაგრა
2.09.1992
3.5.10.1992
2119
1800
1534
2071
ბიჟვინთა
ბიჭვინთა
ახალი ათონი
6.09.1992
18.08.1992
სოხუმი
გულრიფში
ფსირცხა
ბზიფი
ოფარა
ლიბანი
ბარბაროსა
ანუხვა
ბაბუშერა
ბაბუჩარა
ბაბარეთი
ბაბუჩარა
ბაბუჩარა
ბაბუჩარა

)ᲥᲢᲘ (1992-1993 ᲬᲬ.)


1993 წ. ᲘᲕᲚᲘᲡᲘ-ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
მასშტაბი 1 : 150 000
ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲛᲐᲦᲚᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲝᲠᲩᲮᲔᲠᲘ
ᲒᲐᲚᲘ
ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘ
ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲘᲐᲜᲘ
ᲡᲐᲛᲪ


სოხუმის დაცემა (1993 წლის 27 სექტემბერი)
ზემო ეშერა
154
ბიცკვარა
124
162
161
ადიგეური
ბაზაბა
378
151
ბვანდრა
236
ეშერა
34
122
121
ბუმისთა
ბუტიშხა
„ბაგრატიონ-ბაზა"
„თეთრი ალბატროსი"
სოხუმი
ბეჯეტი
ბეჯეტი
ბეჯეტი
ბ ე ჭ ი
ბ ე ჭ ი
ბ ე ჭ


მ. ახბოუქი
584
486
281
ბორანა
513 მ. იაშთხუარხუ
ქამანი
ზემო იაშთხვა
ქვემო ლინდა
560 მ. ბირცხა
180
427
გვარდა
თავისუფლება
ზემო ბირცხა
ქვემო იაშთხვა
აბჟაქვა
70
ქვემო ბირცხა
ბესლეთი
ძილუტა
ვოლოდარსკოე
ახალსოფელი
208
206
ალექსეევკა
322 მ. ანიხაპაარა
ქელასური
3
ᏗᏍ
261

აფხაზეთის ომი, ქართული საკომანდო პუნქტი

აფხაზეთის ომი, ქართული შენაერთები დასახლებულ პუნქტში

აფხაზეთიდან დევნილები კოდორის ხეობაში

დიდი ბრძოლების შედეგად კი, 1993 წლის 27 სექტემბერში – სოხუმი; ოდნავ მოგვიანებით – ოჩამჩირე და გალი. 1993 წლის ოქტომბრის ბოლოს მდინარე ენგურზე გამყოფი ხაზი გაავლეს.

აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებები შემდეგი ქრონოლოგიით განვითარდა:

16-17 ივლისს, სოხუმში, ქართულ და აფხაზურ მოსახლეობას შორის პირველი შეიარაღებული შეტაკება მოხდა. დაიღუპა 16 და დაიჭრა 140-მდე ადამიანი.

1992 წლის თებერვლის ბოლოს, საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების ჯარები დასავლეთ საქართველოდან აფხაზეთის გავლით ფსოუმდე ექსცესების გარეშე გადაადგილდნენ.

23 ივლისს, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ხელმძღვანელმა ვლადისლავ არძინბამ რეგიონში საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. არძინბას დაქვემდებარებულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ქართული სამთავრობო სტრუქტურების შენობებზე იერიში მიიტანეს.

14 აგვისტოს, 7.00 საათზე საქართველოს შინაგანი ჯარის ნაწილებმა, სარკინიგზო მაგისტრალის დაცვის მიზნით, ზუგდიდი-გალის ადმინისტრაციული საზღვარი გადაკვეთეს. პირველი გასროლა ოხურეისთან, მდინარე ღალიძგასთან მოხდა. ქართული ჯარის ნაწილები სოხუმისკენ მაინც დაიძრნენ. გულრიფშის რაიონში სეპარატისტებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს და თბილისი-სოხუმის მაგისტრალურ გზაზე ტამიშის ხიდი ააფეთქეს. საღამოს, ქართული ჯარის ნაწილები სოხუმს მაინც მიუახლოვდნენ. ქალაქს სამხედრო კომისარ სერგეი ბარის ხელმძღვანელობით, აფხაზური შენაერთები იცავდნენ. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ, აფხაზებმა უკან დახევა დაიწყეს. არძინბამ მობილიზაცია გამოაცხადა და გუდაუთაში გადავიდა.

15 აგვისტოს ქართული ჯარის ნაწილებმა განთიადში საზღვაო დესანტი გადასხეს, ლესელიძე შტურმით აიღეს და საქართველო-რუსეთის საზღვარზე ქართული დროშა აღმართეს. „შავნაბადას" ბატალიონმა უბრძოლველად დაიკავა გაგრა, ასევე, კოლხიდა და გუდაუთაში გახიზნული არძინბას გუნდი ბლოკადაში მოაქცია. სეპარატისტები მხოლოდ ბიჭვინთა-ახალი ათონის მონაკვეთს აკონტროლებდნენ. ბლოკირებული იყო ტყვარჩელიც, საიდანაც ბლოკადამდე კოდორის ხეობა იბომბებოდა.

18 აგვისტოს, 12.30 საათზე ქართული ჯარის ნაწილები სოხუმში შევიდნენ და აფხაზეთის უზენაესი საბჭოს შენობა ბრძოლის გარეშე დაიკავეს.

21 აგვისტოს, მთიელ ხალხთა კონფედერაციამ საქართველოს ომი გამოუცხადა. ადიღედან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ჩეჩნეთიდან, ყარაჩაევო-ჩერქეზეთიდან, ჩრდილოეთ ოსეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან აფხაზეთში მოხალისეები ჩავიდნენ. საარტილერიო დანადგარებით, ნაღმსატყორცნებით, საბრძოლო ქვეითი მანქანებით, 1000-მდე ავტომატით, „ტ-72" ტიპის ტანკით, 600-მდე ტყვიამფრქვევით, 500-მდე ხელყუმბარით, ტყვია-წამლით და ცოცხალი ძალით აფხაზებს რუსები ეხმარებოდნენ.

28 აგვისტოს ქართულმა მხარემ ბზიფის მიმართულებით შეტევა და მამძიშხის მთიდან ჩამოსასვლელი ბილიკების გადაკეტვა დაგეგმა. ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში გაგრის რაიონში შესვლა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა. ბზიფზე შეტევა კოლხიდიდან ნახევარ კილომეტრში დაიწყო. ქართველმა მებრძოლებმა წინ წაიწიეს, თუმცა მათ ცეცხლი სამი მხრიდან გაუხსნეს და გაგრიდან 3 კმ-ში შეაჩერეს. 5 სექტემბერს ქართულმა ბატალიონმა დიდი დანაკარგით უკან დაიხია.

3 სექტემბერს, მოსკოვში, საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელების – ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას არძინბაც ესწრებოდა. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ 5 სექტემბერს ცეცხლი შეწყდებოდა და დაქირავებულთა რაზმები, ასევე, ქართული საჯარისო ფორმირებები აფხაზეთიდან გავიდოდნენ. შეთანხმების მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში პოზიციური ბრძოლები გრძელდებოდა.

5 სექტემბერს „შავნაბადას" ბატალიონმა გაგრა დატოვა. 6 სექტემბერს ქართული ნაწილები შეტევაზე ეშერის მიმართულებით გადავიდნენ და გუმისთის მარჯვენა სანაპიროზე სტრატეგიული პლაცდარმიც აიღეს, მაგრამ იერიშის გასაგრძელებლად ძალა არ ეყოთ. 26 სექტემბერს ქართულმა მხარემ გაგრაში ტყვედ აყვანილი ჯარისკაცისგან შეიტყო, რომ აფხაზები გაგრაზე ფართომასტაბიან შეტევას ამზადებდნენ.

1 ოქტომბერს, 18.00 საათზე აფხაზურ-კაზაკურმა დაჯგუფებამ და შამილ ბასაევის კონფედერ-ატთა ბატალიონმა შეტევა მართლაც დაიწყო და წითელი ჯვრის საგუშაგო, რომელსაც ლესელიძის ბატალიონი იცავდა, რამდენიმე წუთში აიღო. „ავაზას" ქვედანაყოფმა უკან დახევა დაიწყო. 19.00 საათისთვის მოწინააღმდეგე კოლხიდას მიუახლოვდა, ქართველთა შტაბი და უნივერმაღის შენობა დაიკავა. ქართულმა შენაერთებმა კოლხიდა იმავე დღეს დატოვეს. 2 ოქტომბერს გაგრის შესასვლელის 4 კმ-იან მონაკვეთს 109 კაცი იცავდა. 6.00 საათისთვის მოწინააღმდეგემ გაგრაზე შეტევა დაიწყო, დაახლოებით 9.00 საათისთვის სარკინიგზო სადგური აიღო და ქალაქის ცენტრში შევიდა. ქართველებმა შეტევას ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. გაგრა იმავე დღეს დაეცა. მოწინააღმდეგე ქართულ მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდა. 5 ოქტომბერს განთიადი-ლესელიძის მონაკვეთი მოწინააღმდეგე მხარემ დაიკავა.

1993 წლის 16 მარტს, 3.00 საათზე, გუმისთის ხაზზე რუსულმა ავიაციამ ცეცხლი გახსნა. 5.00 საათზე შეტევაზე აფხაზთა ქვეითი ნაწილებიც გადავიდნენ და ქართველთა პოზიციების 8 კმ-იან მონაკვეთზე ერთდროული იერიში მიიტანეს. დარტყმის ძირითადი მიმართულება სარკინიგზო სადგური და აჩადარა იყო. შეტევაში ჯავშნატექნიკაც ჩაერთო. 7:00 საათზე აფხაზურმა ფორმირებებმა სოხუმის გარეუბანში შეაღწიეს. ქართულმა შენაერთებმა შეტევას გაუძლეს. 15:00 საათისთვის სეპარატისტებმა უკან დახევა დაიწყეს. დღის ბოლოს გუმისთა აფხაზებისგან გაიწმინდა, მაგრამ ქართული მხარე იერიშზე არ გადასულა, რადგან ბრძანებას ელოდა, რაც ვერ მიიღო.

14 მაისს, რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო. შეთანხმება ძალაში 20 მაისიდან შევიდა, თუმცა აფხაზეთში პოზიციური ბრძოლები მაინც მიმდინარეობდა. შეთანხმების მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში რუსეთმა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შეყვანა განაახლა.

2 ივლისს, 5.00 საათზე, აფხაზურმა მხარემ რუსეთის სამხედრო ხომალდის დახმარებით საზღვაო დესანტი ტამიშთან გადასხა, ცაკირა-ტამიშის მონაკვეთი დაიკავა და პლაცდარმის გაფართოება დაიწყო. გამთენიისას, ტამიშში, ლაბრასა და ზემო კინდღში განლაგებულმა ქართულმა ნაწილებმა მორიგი სადესანტო დარტყმა მიიღეს. შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პოზიციაზე მყოფი ყველა ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. მოწინააღმდეგე ოჩამჩირის რაიონშიც გააქტიურდა და ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალის გაკონტროლება დაიწყო. 3 ივლისს სადესანტო ნაწილებმა ანუაარხუს შეუტიეს. ბრძოლა დაზვერვითი ხასიათის იყო და ნახევარ საათში დასრულდა. 4 ივლისს მოწინააღმდეგემ საჰაერო დესანტით სტრატეგიული სიმაღლის — ახბიუქის დაკავება სცადა, მაგრამ დესანტირება წარუმატებელი აღმოჩნდა. 5 ივლისს რუსულ-აფხაზურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა შრომა-კამანის მიმართულებით მძიმე ტექნიკა გადაისროლეს, სოხუმესი, გუმა, ახალშენი 3 დღეში აიღეს და გამთენიისას კამანში შეიჭრნენ. დღის ბოლოს სოფელი დაეცა. 9 ივლისს 6.00 საათზე დესანტმა ანუაარხუს შტურმი დაიწყო. აფხაზები შეტევაზე მძიმე ტექნიკით გადავიდნენ. ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა, მაგრამ მოწინააღმდეგემ ამოცანა ვერ შეასრულა. პარალელურად იერიში შრომაზეც დაიწყო. სეპარატისტთა პირველი შეტევის მოგერიების შემდეგ, სოფელში მხოლოდ ქართული პოლიციის ნაწილი დარჩა. მათ აფხაზები ღამით თავს დაესხნენ, ამოხოცეს და შრომა უდანაკარგოდ დაიკავეს. 10 ივლისს მოწინააღმდეგის დესანტმა კინდღის მიმართულებით გაჭრა სცადა, მაგრამ ვერ შეძლო, თუმცა მცირე ჯგუფებმა ტყვარჩელისკენ გადასვლა მაინც დაიწყეს. 14 ივლისს მოწინააღმდეგემ ყველა სტრატეგიული სიმაღლე დაიკავა და კამანის, შრომას, ახბიუქის, ასევე, აპიანდას კონტროლი დაიწყო. ახბიუქისა და აპიანდას სიმაღლეებიდან სოხუმის დაბომბვა პრობლემას აღარ წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთიდან ქალაქი უკვე ბლოკირებული იყო. აფხაზებმა გუმისთის ხაზს შემოუარეს და ქართველთა პოზიციების ზურგში გამაგრდნენ.

27 ივლისს სოჭში კონფლიქტის მხარეებს შორის, რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, მორიგი შეთანხმება დაიდო. დოკუმენტის მიხედვით ყველა დაქირავებულ მებრძოლსა და ტექნიკას აფხაზეთი უნდა დაეტოვებინა. 1 სექტემბერს ქართულმა მხარემ საბრძოლო ტექნიკა სოხუმიდან ფოთში გაიტანა და გუმისთის ხაზის განაღმვაზეც დათანხმდა. იმავე დღეს, ხელისუფლების მოწოდების საფუძველზე, მოსახლეობის დიდი ნაწილი აფხაზეთში დაბრუნდა. სკოლებში სწავლა განახლდა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციის გენშტაბში სოხუმის შტურმის რუსულ-აფხაზური გეგმა დამუშავდა. 16 სექტემბერს სეპარატისტთა შეირაღ-

ებულმა ფორმირებებმა და რუსი მებრძოლებისგან შემდგარმა რაზმებმა სოხუმს ერთდროულად ფართომასშტაბიანი იერიშით ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან შეუტიეს. ქართველებმა მასიურ შეტევას ვეღარ გაუძლეს. 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. მოსახლეობამ ქალაქი კოდორის ხეობის გავლით დატოვა. 28 სექტემბერს ქართულმა შენაერთებმა ოჩამჩირისა და გალის რაიონები უბრძოლველად დატოვეს.

აფხაზეთის ომში სეპარატისტთა მხარეს იბრძოდნენ: რუსეთის ფედერაციის სამხედრო ბაზის გუდაუთის გარნიზონის სამხედრო ნაწილები, „ბაგრამიანის" სახელობის ადგილობრივი სომხების ბატალიონი, დაქირავებული ჩრდილოეთ კავკასიელები და კაზაკთა შეიარაღებული მილიციელები.

აფხაზეთის ომში დაიღუპა 4000 ქართველი მებრძოლი და სამოქალაქო პირი, დაიჭრა 10 000 ადამიანი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1000 პირი. აფხაზების მხრიდან დაიღუპა 4000-მდე მებრძოლი და სამოქალაქო პირი, დაიჭრა – 8000, დაიკარგა – 122 ადამიანი. აფხაზეთიდან გამოიდევნა დაახლოებით 300 000 ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი.

დაინგრა სარკინიგზო და საავტომობილი გზები, ხიდები და შენობები.

აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული გენოციდისა და ეთნოწმენდის ფონზე კრემლმა მიაღწია მთავარ მიზანს – 1992 წლის 8 ოქტომბერს საქართველო იძულებული გახადა, დსთ-ში შესულიყო.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეგიდითა და რუსეთის ფედერაციის შუამავლობით, ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას (1994 წლის 14 მაისი) „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ", რომელიც ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით რუსეთის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტინგენტის ჩაყენებას, უსაფრთხოების ზონისა და შეზღუდული შეიარაღების ზონის შექმნას. განისაზღვრა დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მანდატი, მათი განლაგების პრინციპები. 1994 წლის 24 ივნისს კონფლიქტის ზონაში დსთ-ის (რეალურად, რუსეთის) კოლექტიური სამშვიდობო ძალები შევიდნენ, სულ – 1600 სამხედრო მოსამსახურე, რის შემდეგაც გაეროს უშიშროების საბჭომ რუსეთის სამშვიდობო ოპერაცია პოსტ-ფაქტუმ დაამტკიცა, როგორც რეგიონალური სამშვიდობო ოპერაცია და საკუთარი მანდატის ქვეშ მოაქცია.

საკითხავი ლიტერატურა:

1. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბ., 1999.
2. ა. ბენდიანიშვილი, გლეხთა კლასი და გლეხთა მოძრობა საქართველოში, თბ., 1989.
3. მ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის აჯანყება – 1804 წ., თბ., 1951.
4. ა. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801-1921 წწ., თბ., 1980.
5. დ. ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა, თბ., 1941.
6. ლ. ებანოიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში, თბ., 1968.
7. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 1801-1890 წწ, თბ., 1977.
8. ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბ., 1974.
9. ა. ფრონელი, მთიულეთი 1804 წ., თბ., 1904.
10. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტ. III, თბ., 1870, ტ. IV, თბ., 1872, ტ. V, თბ., 1873.
11. ნ. ქორთუა, საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში, თბ., 1964.
12. თ. ქიქოძე, ჟამი ხსნისა, ნაწ. 5, თბ., 2009.
13. თ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლ. მიქიაშვილმა, თბ., 1983.
14. შ. მეგრელიძე, აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი, 1956.
15. ბ. დიასამიძე, ბათუმის საკითხი XVII-XIX საუკუნეების რუსეთ-თურქეთის ომებში, წიგნში: ისტორიული ეტიუდები, ბათუმი, 2009.
16. შ. მეგრელიძე, საქართველო აღმოსავლეთის ომებში, თბილისი, 1974.
17. ლ. სარალიძე, უცნობი ფურცლები აჭარის ისტორიიდან (ემიგრაციული პრესის მასალების მიხედვით) კრებულში: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, ბათუმი, 2009.
18. ხ. ახვლედიანი, ნარკვევი აჭარის ისტორიიდან (XVI–XIX საუკუნეები), ბათუმი, 1943.
19. გაზეთი „დროება“, №92, №126, 1878.
20. ო. თურმანიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, ბათუმი, 2008.
21. შ. მეგრელიძე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, ბათუმი, 1963.
22. ო. გიგინეიშვილი, კავკასიის ფრონტი და თურქეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1960.
23. მ. სიორიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი, 2002.
24. ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა. თბ., 1963.
25. დ. დათუნაშვილი, სარიყამიშის გმირი ტარასი ვაშაკიძე, თბ., 1974.
26. ი. უგულავა, ჟურნ. „მხედარი“, №3, 1991.
27. ახალი ისტორია (მეორე პერიოდი), წიგნი II, 1900-1918 წლები., თბ., 1975.
28. სამხედრო ჟურნალი „რესპუბლიკის ჯარი“, №7, 1919.
29. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა, თბ., 2001.
30. გ. მაზნიაშვილი, მოგონებები, 1917-1925, ბათუმი, 1990.
31. გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე, ჟურნალი „მხედარი“, №2, 1992.
32. გ. კვინიტაძე, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, მოგონებები, თბ., 1990.
33. სცსა, 1864–1–39–6, 1878–19/Г–2–6, 1878–2–19/Г–58, 1878–2–19/Г–63, 1878–19ბ–2–67, 1878–19ბ–2–69, 1878–19ბ–2–72.
34. ვ. გოგუაძე, „დაბრუნება“, ემიგრანტული ლიტერატურა, თბ., 1992.
35. გაზეთები „საქართველო“, 20.12.1918, გაზეთი „ერთობა“, 21.05.1918.
36. გაზეთი „სახალხო საქმე“, №№427, 10.01.1919, №430, 14.01.1919.
37. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 19.01.1919. №14.
38. ალ. აბდალაძე, მეტი ობიექტურობა! ჟურნალი „მნათობი“, №3-4, თბ., 1985.
39. სცსა, ფონდი 2081ა, ნაწ. I, საქ. 637, ფურც. 1-3; ფონდი 1961, აღწ. 2, საქმე 2003.
40. დავით აღმაშენებლის სახელობის თავდაცვის ეროვნული აკადემია, სამეცნ. ჟურნალი „აკადემიის შრომები“, №2, 2005.
41. ა. მენთეშაშვილი, ქართველი, ოსი და აფხაზი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1990.

42. გაზეთები: „დროება“, 09.10.1918; „სახალხო საქმე“, 09.02.1919 – 11.02.1919.
43. ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, ტფ., 1919.
44. სცსა, ფონდი 1969; აღ. 1; საქმე 670; ფურცელი 17 და 25; ფონდი 1969, აღ. 2, საქმე 146, ფურცელი 3.
45. მ. ბახტაძე, ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო – რუსეთის ომში თბ., 2009.
46. ა. კვიტაიშვილი, ჟურნალი „განთიადი“, №2, 1990.
47. გაზეთი „ერთობა“, 19.02.1921.
48. ა. ჩხეიძე, სამხედრო სკოლა, ჟურნალი „მხედარი“, №1, 1991.
49. გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. II, თბ., 1998.
50. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1991.
51. გ. ივანიძე, მ. ივანიძე, ბრძოლა მესხეთისათვის 1917-1921 წლებში, თბ., 2006.
52. რ. არსენიძე, აჯანყება საქართველოში, პარიზი, 1964.
53. ლ. თოიძე, ბრძოლა ბათუმისათვის: 1921 წლის მარტი, თბ., 2009.
54. ვ. ბენიძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ., 1991.
55. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წლები), თბ., 2001.
56. რ. გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბ., 1992.
57. ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, პარიზი-თბილისი, 1989.
58. მ. კახიანი, მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები, თბ., 1924.
59. გ. შარაძე, კრებული – ქაქუცა ჩოლოყაშვილი, თბ., 1989.
60. ნ. კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
61. კრებული – სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა ხსოვნა, ქართველ მხედართა კავშირის დამფუძნებელი საინიციატივო ჯგუფის გამოცემა, სტამბული, 1923.
62. გრ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ., 1995.
63. ფ. ლომაშვილი, ქართული ემიგრაციის ისტორიიდან, თბ., 1965.
64. მ. ნათმელაძე, ა. დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია, თბ., 2004.
65. პ. ნაცვლიშვილი, საქართველოს მიწა, თბ., 1994.
66. კ. სულაქველიძე – რა მოხდა? (ვინ და როგორ მოაწყო აგვისტოს აჯანყება), თბ., 1927.
67. ალ. სულხანიშვილი, მოგონებები შეფიცულთა რაზმზე, თბ., 2007.
68. ნ. ჯავახიშვილი, ბრძოლა კავკასიის თავისუფლებისათვის (ქართველთა და ჩრდილოკავკასიელთა სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის ისტორიიდან XX საუკუნის I ნახევარში), თბ., 2005.
69. ო. ჯანელიძე, ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ სვანეთის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, კრებულში: სვანეთი – ქართული კულტურის საკანე, თბ., 2008.
70. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, საქმეები №№ 28, 54, 60, 137, 212, 278.
71. ა. გრეჩკო, ბრძოლა კავკასიისათვის, თბ., 1971.
72. ნ. კალაძე, სტალინგრადი, კურსკი, ბერლინი, თბ., 1971.
73. ი. ტიულენევი, სამი ომის გზებზე, თბ., 1984.
74. კ. ცქიტიშვილი, ბრძოლა კავკასიისათვის, ბათუმი, 1985.
75. გ. ჟუკოვი, მოგონებები და ფიქრები, თბ., 1970.
76. კ. ჩარკვიანი, განცდილი და ნააზრევი, თბ., 1985.
77. ს. შტემენკო, გენერალური შტაბი ომის წლებში, თბ., 1968.
78. სამშობლოს ჯარისკაცები, იხ, მ. ბუსკაძე, კავკასიისათვის ბრძოლებში, თბ., 1984.
79. გ. ყურაშვილი, მრისხანე კავკასიონთან, თბ., 1967.
80. ე. კუპატაძე; შ. ბაბუნაშვილი, ქართული დივიზიების მონაწილეობა კავკასიისათვის ბრძოლებში, თბ., 2003.
81. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 01.05.1985.
82. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1983, ტ. 9, 1985.
83. ლ. გოგატიშვილი, ვ. რუხაძე, ქედუხრელი კავკასიონი, თბ., 1969.

84. სამხედრო ისტორიული ატლასი, თბ., 2010.
85. ოფიცრის ატლასი, თბ., 2013.
86. ა. ჩაჩხიანი. დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი. თბ., 2007.
87. ი. კვესელავა, დისიდენტური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1999.
88. ი. კვესელავა, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990 წწ.), თბ., 2004.

სარჩევი

I თავი
საქართველო და
მეფის რუსეთი ---------- 3
§1. ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყება ---------- 3
§2. 1812 წლის კახეთის აჯანყება ---------- 9
§3. ბრძოლა ფოთისთვის (1806-1812 წლები) ---------- 17
§4. ბრძოლა ჩოლოქთან (1854 წელი) ---------- 22
§5. ქართველები რუსეთ-ოსმალეთის ომის კავკასიის ფრონტზე (1877-1878 წლები) ---------- 25
§6. საქართველო და პირველი მსოფლიო ომი ---------- 33
II თავი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკა ---------- 44
§7. სომხეთ-საქართველოს ომი (18.10.1918 – 17.01.1919) ---------- 44
§8. ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებები აფხაზეთის რეგიონსა და შავიზღვისპირეთში ---------- 72
§9. ქართული შენაერთების საბრძოლო მოქმედებები თურქული და ისლამური შეიარაღებული აგრესიის წინააღმდეგ 1918-1919 წლებში ---------- 101
§10. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომი (საქართველოს ოკუპაცია) ---------- 122
III თავი
საქართველო და საბჭოთა კავშირი
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ---------- 134
§11. ბრძოლები ბოლშევიკური საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ (1921-1924 წლები) ---------- 134
§12. საქართველო და II მსოფლიო ომი ---------- 149
§13. ქართული დივიზიები კავკასიისათვის ბრძოლებში (1942-1943 წლები) -- 153
§14. ეროვნული მოძრაობა და დამოუკიდებლობის აღდგენა ---------- 166
IV თავი
ბრძოლა ტერიტორიული
მთლიანობისათვის ---------- 173
§15. სამხედრო გადატრიალება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა (22.12.1991 – 6.01.1992) ---------- 173
§16. აფხაზეთის ომი ---------- 174
საკითხავი ლიტერატურა ---------- 184